

114
1968



გეოგრაფია

4

1968



გნათობა

სოციალური ლიტერატურულ-მეცნიერული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუახედი

წელიწადი 45-ე

№ 4

აპრილი, 1968 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ ს ი

დურა ჩხეიძე — ლანდები. რომანი, დასასრული	3
სიმონ ნიძოშანი — ვერიკო ანჯაფარიძის ლექსი	32
ვიტორი შატბერაშვილი — გამოთქმული ლექსები	33
ლევან გოთუა — მიტრიდატი. რომანი, ვაგრძელება	37
ნიკოლოზ ჩაბავა — ლექსები	59
შალვა ფორჩხია — ლექსები	61
ვიტორი ჯიშვილი — ველარ მობაქაძის ნაწევები რომანიდან „ღუღის ტაძარი“	66
ვარკიშვილი — ივანიძე. ნაწევები კოეპიდან. ლათინურიდან თარგმანა რომანი მიმინოსეილმა	106
კონსტანტინე კახიანი — ომრის ვარკი. ვაგრძელება. თარგმანა გუგუნიძის გადაცემიდან	109

1870 ვ. ი. ლენინი 1968

პ. ზაბაძე — ვ. ი. ლენინის მიერ ღირს მარქსისტული თეორიის განვითარება	126
---	-----

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

ვიტორი კალანდიაძე — ალექსანდრე აბაშიძის	135
ლივინოვი თეატრალი — ჯანოზიანი მრავალპერსონაჟის თეატრულ საბჭო- თა ლიტერატურაში	146

მ ე მ ნ ი ე რ ე ბ ა

პროკოპი რატიანი — მეფისტყუარის ამბის ვინაობისათვის. ვაგრძელება	151
თენგიზ ბუაჩია — „ღინარა“ პროზისათვის	166
თამარ გამახარია — თხილის ციხის შემოღობვის სახელმწიფოსათვის	176





წიგნების მიმოხილვა

- აბაჯი თოფურია — ზღვის მდივანი 187
- ბ. ზალაზნაიძე — გართული მინი ინვესტიციური ლექსიკონი 191

შთავარი რედაქტორი ელგუჯა მალრადე.

სარედაქციო კოლეგია:

- ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ელენტი,
- ა. სულაიაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტიპოგრაფიული რ. ჩავჭავჭავიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პარკის ქუჩა № 12.

ბალეფონები: რედაქტორის — 93-55-11, პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/IV 68 წ. ქა-
 ლალის ზომა 70x108. ანაწილების ზომა 7 1/4 x 12 1/2. თბილისის ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
 უფ. 02039 ტირაჟი 9.700. შეკვ. № 1056.

საქ. კვ. ცენტრის გამოცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ლ ა ნ დ ე ბ ი

რ მ ა ნ ი

XX

ჰო თუნდაც ხრამში გადავარდებო-
 დაო, ხანძარშიაც გადავარდებოდა, —
 იმჯერად მაინც ხანძარი ითქვას, ხანძრის
 შუაგულში შევარდა, ცეცხლზე ნავთს
 ასხამდა, მხოლოდ აბსტრაქციონიზმი
 ეკერა პირზე, ვინც არ მოსწონდა, მე-
 სტრაქციონდა ნათლავდა ყველასა. წერი-
 ლიც გამოაქვეყნა, წაიკითხა საჯარო
 ლექციებშიცა, ორიოდ რეპროდუქცია
 ეშოვნა, სადაც თუ რომელიდაც ვაზე-
 თებიდან ამოეჭრა, დაჰქონდა და უჩვე-
 ნებდა, შეჰხედეთ, დააკვირდით, რანი
 არიან, საით გვეწვივანო. მაგრამ ეს
 მაინც უცხოელთა განქიქება გამოდიო-
 და, გაბიბრებდა იყო ისე უცხოთა, ისე
 უცხოელთა, რომ იმათ გვარებს სწორად
 ვერც გამოსთქვამდა, ენა მოეკიდებო-
 და ან ქალი მოედებოდა ენაზე, თითქოს
 ბლუთა, ბორძიკობდა და ცოტა არიყოს
 ეუხერხულეობდა, ოღონდ რა ექნა, ის
 გვარები გაეგონა და იმასვე იმეორებდა,
 როგორც მოუხერხდებოდა, ისე იმეო-
 რებდა, ხოლო გული აქეთ ეწეოდა, აქეთ
 მოუღიოდა ხელი, აქ უნდა დაერია ხე-
 ლი, იმათთან რა ესაქმებოდა, ჯავრი აქ
 უნდა ამოეყარა, ამოეყარა გულისბუზა-
 რი. ცალკე საუბრებისას კიდევაც იო-
 ხებდა გულსა, საჯარო ლექციებში ვერ
 ეთქვა, ჯერ არ ებრძანებინათ და ვერ
 ეთქვა, ეტყოდნენ და მერე თვითონ
 იყოდა, მანამდის უნდა ჩაეწვეთებინა,
 ხმები დაერხია, განცხადებები შეეტანა,

ნიადაგი შეემზადებინა, ჰო ნიადაგი
 უნდა შეემზადებინა და კიდევაც ამზა-
 დებდა. გენალიც ამოსდგომოდა მხარში,
 ნესტორიცა ან უფრო — გენალი აქე-
 ზებდა ორივესა, აქეზებდა და განაგებ-
 და. ხანძარი მატულობდა, ხანძარი დიდ-
 დებოდა, უნდა დაეზუგა ვინმე თუ ვინ-
 მენი, ამოდ არ ჩაივლიდა ამხელა ხან-
 ძარი. ასედაც უთქვამთ: ამდენი მგელის
 ყმუილი ამოდ არ ჩაივლისო. და მართ-
 ლაც ბევრი ყმუოდა, ყველას ჯავრი
 სჭირდა ყველასი, თითქმის ყველასა,
 თითქმის ყველასი, ერთიმეორეს ასახე-
 ლებდნენ, ყველა იყო დასახელებული.
 ვილაცას რომ ზომიერება არ დაეცვა,
 ყველა გაიწირებოდა, მხოლოდ მოქან-
 დაკენი როდი, — არა, გადაჰყვებოდნენ
 ფერმწერნიცა, გრაფიკოსებიცა, მუსი-
 კოსებიცა, მწერლებიცა, ყველას მოე-
 დებოდა, ყველას გასწვდებოდა დიდი
 ხანძარი. მაგალითებიცა ყოფილიყო,
 არცთუ შორეული მაგალითები, შემ-
 თხვევა მისცემოდათ და შური ეძიათ
 ერთმანეთისა, იდეების სახელით ეძიათ
 შური. იდეები გამოსდებოდა აბსტრაქ-
 ციონიზმსაცა, გიზგიზებდა დიდი ხანძა-
 რი, დიდი შურისძიებაც იყო მოსალოდ-
 ნელი. უკვე გამოექვინებინათ მეაბსტრა-
 ქციონეები რუსეთში, მსგავსნი თუ მი-
 ნამგვანნი გადმოესროლათ სხვა რეს-
 პუბლიკებიდანაცა, ხოლო აქ გვიანდებო-
 და, — საოცარი რამ იყო, გაუგონარი
 იყო, რაღას ელოდნენ?! ჩვეულებრივ
 წააჭიარებდნენ ხოლმე, ერთზე ორი გა-
 ჰყავდათ, ერთზე ათიც არ ენანებოდათ,

ყველაზე უკეთესნი, რჩეულნი გაჰყავდათ, რჩეულნი და რჩეულთა რჩეულნი. რჩეული ვაჟაკები სამშობლოს რომ იცადნენ, ერთი ათს შეებოდა, ერთი ათს უშკლავდებოდა, ერთი იყო ათის ბადალიო; მერე ათი გაჰყავდათ ერთის საბადლოდა, მერე ასე ესახელებოდათ, ყოველთვის სასახელოდ იქცოდნენ და ვითომ რაო, ახლა რა იყო, ვითომ რაღად შეირცხვენდნენ თავსა? მხოლოდ აყოვნებდნენ, აგვიანებდნენ, რაღას ელოდნენ? — ტუჩებსა ბერავდა გენადი, ნესტორიცა ბერავდა ტუჩებსა, ზოლო ბიბო მუშტებს იქნევდა, დღეში ათი საჯარო ლექცია რომ დაენიშნათ, ათჯერვე მიიმართებოდა ტრიბუნაზე და იქნევდა მუშტებსა, ისევე ცხოვალდა, ისევე მგზნებარედა, თითქოს პირველად გამოდისო. ბოლოს ექვებიც გამოაბარა იმ ლექციებში, რაშია საქმე, რას აგვიანებენო... გენადიმაც გამოაბარა, ნესტორმაცა, ისინიცა კითხულობდნენ საჯარო ლექციებსა, იმათაც დაჰქონდათ ვინ უწყის რომელი ჰქვეყნის, რომელი უსახელო თუ დიდხანია დაეიწყებული მეამბსტრაქციის რეპროდუქცია, ვინ უწყის რომელი გაზეთიდან ამოჭრილი თუ ვადმობეჭდილი, დაჰქონდათ, უჩვენებდნენ და ვასამრჯელოსა ლებულობდნენ პროფესორის განაევითთა. რა ეჩქარებოდათ, ვაგრძელებულიყო. მაგრამ უნდოდათ ისე ვაგრძელებულიყო, ამოეყარათ ჯავრიცა.

და დაჰკრა ჟამმა...

თავი მოიყარეს დიდ დარბაზში სამხატვრო ვალერეიდან არცთუ შორსა, თავი მოიყარეს და წარმოგზავნილს ელოდნენ. ზეიმობდნენ გენადელები, ჯერ გულში ზეიმობდნენ, გარგენულად ღირსეულად ეკირათ თავი, ისხდნენ ამაყადა, თუ ისხდნენ, იღგნენ ამაყადა, თუ იღგნენ, გარსებვოდნენ მოშიშარნი თუ ისე, უბრალოდ მიმფერებელნი, თუმცა ახლა უბრალოდ ფერაობას ვილა მოჰყვებოდა, — მიფერებასაც აზრი მიეცა, აზრი მიეცა თავისდაკრასაცა, ხელისჩამორთმევასაცა, მხოლოდ მისალმებად როდილა ითქმოდა, სხვა აზ-

რი მიეცა, სხვა შინაარსი. სხვა აზრი დედო გადახედ-გადმოხედვისათვის, რაღაც სხვა, ფარული, საშიში ზოგათათვისა, ზოგი ამკარადა კრთოდა, თითქოს შიში წამოჰპარვოდა, ლანდად დადიოდა და კრთოდა, ტუჩებს იკვნეტდა, გარბოდა, სხვა კუთხეს ეძებდა, მომხიარულებულ ჯგუფს ეტანებოდა. იქაც წამოეპარებოდა შიში, დადიოდა ლანდი, ყველგან დადიოდა, ყველგან იყო ლანდი შიშისა, მხოლოდ გენადელნი ისხდნენ რაინდებივითა, თუ ისხდნენ, იღგნენ რაინდებივითა, თუ იღგნენ. აქ ვალაწყებოდა, აქ გამოცხადდებოდა ვინმე ან ვინმენი და მერე ყველა ზედ შესდგებოდა განწირულსა თუ განწირულთა. აქ გამოცხადდებოდა მსხვერპლი, შვებით ამოისუნთქებდნენ სხვანი, ვადაეკარგებოდათ ლანდი შიშისა და პირველყოვლისა ისინი შემართავდნენ მახვილსა, პირველად ისინი მიეტანებოდნენ მსხვერპლსა, ყველაზე მოშიშარნი მიეტანებოდნენ, მანამდის ვერსად მოესვენათ, ვერსად შეჩერებულყვენ, მიმოდიოდნენ, მიმობოდნენ, ამო იყო, სად მივიდოდნენ, შიშის ლანდი რომ არ დახვედროდათ, ცოდო არ ასვენებდათ თუ არ ასვენებდათ უცოდველად განწირულთა აზრდებები? რუსთაველიც ვეღარ ამხნეებდათ: შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო... ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანიო... მხოლოდ გენადელები ისხდნენ წმიდანებივითა, თუ ისხდნენ, იღგნენ წმიდანებივითა, თუ იღგნენ, გარსებვიდნენ მიმფერებელნი, ამაყადა ზედებოდნენ მიმფერებელთაცა. მტრებისა რაღა ითქმის, — ვაინმათა, ახლა თვალში თუ ჩაუქარდებოდნენ...

გამოჩნდა წარმოგზავნილიცა... თავმჯდომარეები და ღირებულებები რომ ერქვათ, ისეთი ხალხი მოუძღვოდა, ოღონდ აქედანაც მიეგებნენ და მიეგებნენ პირველყოვლისა გენადელები, ამათგანა უპირველესად ცხადია — გენადი, კიდევაც შეაყოვნა, ცოტა შეაყოვნა, რაღაცა უჩუჩრჩულა, უჩრჩია თუ რჩევა

ჰკითხა, სულერთია, დარბაზში ძრწო-
ლამ ჩამოიარა, სიჩუმემა და ძრწოლამ
ჩამოიარა ერთობლივად, ლანდელ ჩა-
მოიარა სიჩუმემაცა, რალაც იმედისმა-
გვარიც გამოკრთებოდა ამ ლანდთა შო-
რისა. წარმოგზავნილს თითქოს არ უნ-
დოდა შეჩერება, მიიწვედა, მიიწვედა
პრეზიდენტის მავდიდსკენა, მაგრამ არ
ეშვებოდა გენალი, აყოვნებდა, ეუბნე-
ბოდა, აცმატუნებდა პირსა, უნდა მოეს-
მინა, მიეგო რამე, სხვა თუ არაფერი,
ზრდილობას საით წაუვიდოდა. პო თი-
ქოს იმედი იყო, რომ მიეშურებოდა,
რომ არ უნდოდა მოესმინა, მხოლოდ
ზრდილობას რომ შეეჩერებინა. იყო თუ
არ იყო, მინც გამომკრთალიყო იმედის
სხვიდა, გეყო ლანდები სიჩუმისა და
შიშისა. შესაძლოა იმედი კიდევ მოძლი-
ერებულყო, სხდომის თავმჯდომარემ
ისე გულთბილად დაიწყო ლაპარაკი,
მერე სიტყვა დაუთმო წარმოგზავნილსა
და იმასაც წყრომა თუ მრისხანება არ
გამოუჩენია. თუმცა ხერხი არ დააყარა
აბსტრაქციონიზმსა ან რა ხერხს დააყ-
რიდა, — გაიმეორა ყველაფერი. რაცა
თქმულიყო, ვიზეცა თქმულიყო, მაგრამ
აქაურს არავის დაადო ხელი, ჩვენში არ
გვხვდება საამისო გამოვლენანიო, მარ-
თალია შეიმჩნევა რალაც კოდვანი, მაგ-
რამ ეს კოდვანი სხვადასხვა სახისაა,
სუსტია, ადვილად მოსანელებელია, ყო-
ველშემთხვევაში აბსტრაქციონიზმს არ
მეწერებო. მართალი რომ ითქვას, ეს
არცთუ ადვილად გასაგები რამ იყო,
ვერც გაიგეს ადვილად, გონება დაუბ-
ნელდათ თუ ყურებს არ უჭერიდნენ ან
ისეთი რა დამართოდათ, რამდენჯერმე
რომ გაუმეორეს და მინც ვერას მიმ-
ხვდარიყვნენ, — ჰააო, რაიო, ჰააო, რა-
იო, ხან აქედან, ხან იქიდან წამოიძახებ-
დნენ; უმეორებდნენ, ახლა სხვანი წამო-
იძახებდნენ, — ძნელი სათქმელია თუ
რა დამართოდათ. მოულოდნელობის
ვაოგნება თუ იყო ან თვით შიშის ძრწო-
ლა თუ იყო, თვითონვე შიში თუ შე-
შინდა, დაფრთხა, ავარდ-დავარდა, აქეთ
ეცა, იქით მიაწყდა და გადაიკარგა, გა-
დაიკარგა ლანდი შიშისა, მხოლოდ სი-

ჩუმის ლანდილა დარჩა, ჩამოწვა, გაისუ-
სა, გაოგნდა.
ბიბო წამოხტა და შეშის ლანდმაც
ჩამოიქყიტა სარკმელიდანა.
დიდად ბედნიერი ვიქნებით ასე რომ
იყოს, მაგრამ მართლაც ასე არ არის
საქმეო, განაცხადა და სიტყვა მოითხო-
ვა; მოითხოვა და მისცეს. თავისი სა-
ჯართ ლექცია გაიმეორა. შეუძახ-შემო-
უძახეს აქეთ-იქიდანა, ეგეები კარგად
მოგვესწენება, სხვა რამე გვითხარო, პო
კოტკოტობით გადაიარა გაოგნებამა
და შეუძახ-შემოუძახეს. სხვა რამეც ის
არის, რომ ჩვენშიც ასევეაო, ჩვენ ვი-
თომ რად ვიქნებით გამოწკლისებით,
სხვაგან რაცაა, ჩვენშიც იგივეა, ჩვენ-
ში რაცაა, სხვაგანაც იგივეა, ერთდო-
გივე საზოგადოებას ერთდოგივე ძა-
ლები განსაზღვრავენო. გეუბნებიან, არ
არისო, გონს მოდი, რასა სწადიხარ,
ქუჯა მოიკრიფე და ტრიბუნიდან ჩამო-
დიო. არ ჩამოვლო, უნდა ვთქვაო.
თქვიო. ჩვენშიც ასეაო, სხვა რა-
მე თქვიო, ვიღამაც იყვირა, იყ-
ვირა მძაფრად, თითქოს ისევ წა-
მოუარა შიშის ლანდმაო, იმ ლანდს
შეპყვირა თავდავიწყებითა. დაასრუ-
ლეო, ნესტორი წაშველა ბიბოსა. ვერ
დაასრულა ბიბომ, ჯერ იმ შეყვირე-
ბამ დააბნია, მერე ამ წაშველებამაც ენა
დაუბა, ხოლო წყალი რომ მიაწოდეს და
მოსვა, ენაც მოიბრუნა, რიხიც მოიბ-
რუნა, თავის ლექციასაც მიუბრუნდა.
ადარ მოუთმინეს, ერთობლივად აუყ-
ვირდნენ, რეგლამენტი მოსთხოვეს თავ-
მჯდომარესა. ბიბომაც იკადრა, ჩამო-
ვიდა ტრიბუნიდანა, ჩამოვიდა ალწი-
ლი, გახვლებული.
ნესტორი ჩაეშველა ან აეშველა, ფი-
ცხლად ავარდა ტრიბუნაზედა, რალაც
ეჭირა ხელში, ასწია და დაიძახა, რა
არის ესაო. მხრები აიჩჩინეს, ვერავინ
მიხვდა თუ რა უნდა ყოფილიყო. სად-
ლაც ბოლოში მხოლოდ ფრიდონს ეც-
ნაურა, თუმცა იმასაც გაკვირვება წა-
მოეტანა, ნესტორის ხელში საიდან მოხ-
ვდაო. გენადიმ იცოდა, საიდანაც მოხ-
ვდა, ცხადია იცოდა დიდებულადა,

ოღონდ შეჰყურებდა ისე, თითქოს ისიც პირველად ჰხედავსო. ხოლო ნესტორი ცოტა უკან გადაზნექილიყო, ხელი გამოეჭიმა და აცანცარებდა პატარა ნაძერწსა, გინდათ თუ არა მიპასუხეთ, რა არის ესაო. დარბაზმა რომ ვერაფერი გაუგო, მერე მიუშვირა თავმჯდომარის გვერდით მჯდომელსა, მიუშვირა და მიაცივდა, მაშ შენ მიპასუხე თუ ბიჭი ხარო. რათქმუნდა „ბიჭად“ არ მოუხსენებია, მაგრამ ასე გამოდიოდა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებიდანაცა. იმან თავი გადააქნია. მაშინ ნესტორმა განაცხადა გამარჯვებულის ხმითა: ესაო ამირანი ვახლავთო, ასეთ ამირანსა გვპირდება ერთი დიპლომანტიო. ვინ დიპლომანტიო, იმან შეიყრა წარბი. გუნდიშვილიო. გუნდიშვილი ვინ არისო. დიპლომანტი, სტუდენტიო, ცოტა-არიყოს დაყოვნებით მიუგო ნესტორმა, ცოტაარიყოს ტუჩიც ჩაიკვინტა, ნეტავი დამთავრებული ჰქონდესო. მაგრამ ტუჩის კვნეტა რას უშველიდა, ის ჯერ ისე სტუდენტი ვახლდათ, იმანაც ეს დაიხვია ხელზედა, ჩამოართვა ამირანის ნიმუში ანუ ის ნიმუში, პლასტილინისაგან რომ გამოჰქნა ფრიდონმა გენადის ატელიეში, ჩამოართვა და შეათამაშა, — ეს ვართობანაა და მეტი არაფერიო, ხოლო თუ ვინციობაა, მართლა სერიოზული მონაფიქრია, გუნდიშვილი ვინ არის, ისეთი რა ძალაა, ისეთი რა ფიგურაა, სამსჯელოდ ვაიხიხადოთო. ჩვენი ქანდაკება ჯანსაღ ტრადიციებს ეყრდნობა, ჯანსაღ გზაზე დგას, ჯანსაღსა და ნათელ გზაზედა, აგერ პატივცემული გენადი და სხვა მოწინავე მოქანდაკენი რომ მიუძღვიან; ჩვენ ასე ვფიქრობთ, როცა ქანდაკებაზე ვმსჯელობთ, ეს მოქანდაკენი გვეყავს მხედველობაში და ასე ვფიქრობთ, ხოლო თქვენ თუ სხვა აზრისა ხართ, თქვით, ბრძანეთ, ამათზე ბრძანეთ, ეს გუნდა კი სალაპარაკოდ არა ჰღირსო. ხელისგულებში მოატრი-ალა პლასტილინის ნიმუში და მაგიდაზე დაავგორი ვუხდასავითა.

მართალი ბრძანებააო, ხმა დააწია გენადიმ, ბრძნულად გადაუწყვეტით

უფროს ამხანაგებსა და ცხადია ჩვენც ამ აზრს ვადგივართო, მეო, მაგალითად... და მოჰყვა, იქოდაქოთო თაერ, აქოდაქო, ვილა არ აქო... პირი დააღეს ნესტორმა და ბიბომა, პირი დააღეს და თვალები შეაჰყიტეს ერთმანეთსა. განა არ გამოეცადათ? როგორ არა. მეგობრები ბრძანდებოდნენ და მაშ რილას მეგობრები იქნებოდნენ. კარგადაც თუ არ იცნობდნენ ერთიმეორესა, მაგრამ ხანდახან მაინც დარჩებოდნენ ასე პირ-შიხალაგამოვლებულები და უყვირდათ, მაინც უკვირდათ, რანაირად დაგვემართება ხოლმეო. ხოლო გენადი, ვითომც აქ არაფერიო, ვითომც არც იცნობს ამ თანამზრახველებსაო, საშემოდგომო გამოფენაზე ლაპარაკობდა, — აი თუნდაც საუკეთესო მაგალითი, თვლანათლივი მაგალითი თუ რა სწორ გზაზე დგას ჩვენი ქანდაკებაო. მართალიაო, გამოფენის ხელმძღვანელობა ცოტაარიყოს კინალამ დაიბნა პირველხანებშიო, მაგრამ დროზე მიხვდა, დროზე გამოასწორა რალაც პატარა შეცდომათ. თუმცა ისიც ახალგაზრდობის წისკნებზელად გადადგმული ნაბიჯი უფრო იყოო, ოღონდაო ახალგაზრდობას რა წაქეზება უნდაო, ახალგაზრდობამ ჯერ უნდა ისწავლოსო... მართალიაო, კვერი დაჰკრეს თანატოლებმა, თვით ბიბომაცა, ნესტორმაცა. მაინც დაჰკრეს კვერი, მაინც უსმენდნენ, ასეც ემართებოდათ ხოლმე. მაგრამ აქ სხვა რამ არის გასახსენებელი: თვითონ რომ იყვნენ ახალგაზრდები, მუშტებს უღერებდნენ ხანდაზმულ ოსტატებსა, გზა მოგვეციოთ ახალგაზრდებსაო, მუშტებსაც უღერებდნენ და... რა გასახსენებელია!.. ახლა? — ახალგაზრდობამ ჯერ უნდა ისწავლოსო. რა თქმუნდა, კარგი რჩევაა, ვინ აუხირდებათ, ოღონდ კარგი იქნებოდა მაშინაცა სკოლნოდან ამღენი, ამათთვისაც კარგი იქნებოდა, იმათგანაც გადაჩეზოდა ბევრი კარგი.

მაგრამ რაც იყო, იყო, ასეც იტყვიან, რასაც აღარაფერი ეშველება, ოღონდ აღარ გამეორდესო, ოღონდ აღარაო. ხოლო იმ თათბირმა გადაწყვე-

ტილება რომ მიიღო, ცალკე მუხლად ჩასწერა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს და სხვა და სხვა... ეს იქმარეთო. შიშის ლანდიც იჭვრიტებოდა, სათვალთვალოდან იჭვრიტებოდა, ამა იქმარებენ თუ არაო.

იქმარეთო და იქმარეს, ოღონდ დარჩენენ უქმარნიცა, — რატომ არავის დაადეს ხელით, მე ვისაცა ვმტრობ, სწორედ ის რატომ არ გამოაუქნესო. პო დარჩენენ უქმარნიცა, მხოლოდ იმათაც ჩამოუარა ლანდმა დუმილისა, ნუ გედარდებთ, კიდევაც დაჰკრავს ეამიო. ამით ასე ჩამოუარა, იმათ ისე, მაინც რა იყო ლანდი დუმილისა, რაც იყო, იყო, შიაცილებდნენ წარმოგზავნილსა, ემშვიდობებოდნენ, სულ ბოლოს გენადი გამოემშვიდობა. იმან კიდევ შეაქო გენადი, გამოემშვიდობებოდაცა შეაქო, საჯაროდაცა თქვა, — ყველა ასე გონივრულად უნდა შეხედეს ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასა, ასე გონივრულადა, ბრძნულადა, როგორც ჩვენი სასიქადულო ხელოვანი ბატონი გენადიო. ბიბო და ნესტორი უფრო მეტად ვეღარც დაალებდნენ პირსა, ვეღარც თვალებს დაჰყებდნენ უფრო მეტადა.

აქეთ ფრიდონს გადარჩენას ულოცავდნენ ნაცნობნი თუ უცნობნი, ჩუმ-ჩუმად ურჩევდნენ, მადლობა შეუთვალე წარმოგზავნილსა ან უკეთესი იქნება თუ ეახლები და პირადად მოახსენებდი მადლობასაო. ბოლო დროს ცოტ-ცოტას თითქოს მიხვდა ფრიდონი, მშვენიერების აქეთაც გადმოიხედა და მიხვდა რაღაცასა, მაგრამ იმდენი მაინც ვერ გაეგო, — რას გადარჩენილიყო ან რისა თუ ვისი რა მადლობელი უნდა ყოფილიყო. ის ნიმუში ხომ ბიბოს ნათქვამის მიხედვით გამოიყვანა, იქვე დააგდო, არად მიაჩნდა, თავისად ზომ არ ჩათვლიდა და არა, იმითმაც დააგდო, წამოვიდა. რა სალაპარაკო იყო, რა გამოსატანი იყო, ან რად შემცდარიყო ნესტორი? ზოლო ნესტორი თუ შემცდარიყო, იტყოდა გე-

ნადი, იტყოდა და ამითი ჩაიფარებოდა ყველაფერი, პო ჩაიფარებოდა, ვისი რა მადლობელი უნდა ყოფილიყო, ან მისალოცი ვითომ რა იყო? რაქმანუნდა იტყოდა, აკი კიდევაცა თქვა, ჩვენში არაფერია ამისი მსგავსიო, ასე სჯობდა, ასეც უნდა თქმულიყო, კარგადაც მოიქცა, ფრიდონი რომ აღარც ახსენა, გამართლებად ასედაცა კმაროდა, დასახელება ეუხერხულებოდა, ერთიორჯერ რომ უკვე დასახელებს, იმანაც აუჭინკრა კანი, ეს იყო და ესა, ეს უხერხულობა იყო, სხვა არც არაფერი ყოფილა. ხალხმა გაზვიადება იცისო, მხარზე ხელს უთათუნებდნენ, ყოჩაღად გადარჩიო, გაზვიადებაც ესა ყოფილა. ამდენთა თვალში ტრიალიც ეუხერხულებოდა, ნელნელა ინაცვლებდა ფეხსა, კედელ-კედელ მიიწევდა, მიცურავდა, მიიპარებოდა შეუშინველად. ვილაც კიდევ წამოეწეოდა, კიდევ ვილაცა, კიდევ და კიდევ, ზოგს არც იცნობდა, ზოგს მხოლოდ შორიდან ესალმებოდა ხოლმე, ისინიც მხურვალედ ართმევდნენ ხელსა, ხმამაღლაც შესძახოდნენ, აქ დუმილის ლანდი აღარსად იყო, აღარც შიშისა ლანდი მოსჩანდა, ეს წამომართულიყო ეს უეცარი, მოულოდნელი. უნებლიე გმირი, გმირი ერთი საათისა, წამომართულიყო მართლა გმირივითა, თუმცა თვითონ ამას როდი გრძნობდა, მხოლოდ არ უნდოდა, მდგარიყო ასე სააშკაროდა, არ უნდოდა, ეუხერხულებოდა. გაუძლებდა, გაუხსაძლისი რა იყო, მალე მიაფიწყდებოდათ ეს ამბავი, უხერხულობანიც თან მიჰყვებოდა, ოღონდ გასცლოდა ახლა, გაესწრო, კიდევაც გაასწრო, მალე ქუჩაში ამოჰყო თავი, თავი ამოჰყო უცნობთა შორისა და უხერხელობაც ჩაიწლია.

თუ შეაფიქრიანებდა, ისევ ბიბოს სიტყვა თუ შეაფიქრიანებდა, — ნეტავი ბიბო ვილასა გულისხმობდაო, თუ გადარჩენაა, ისაა გადარჩენილი, ბოლომდის ვეღარ გაიმეტა, მაინც კეთილი კაცია, მაინც ხელოვანიო. თუმცა ბევრი რამ თავისებურად ესმის, მაგრამ რო-

გორც ესმის, ესმის, მაინც ხელოვანია, ხელოვნების ბედით აღელვებულა, ხელი კი არავეს დაადო. ოღონდ მაინც ვისა გულისხმობდა, პა? — ვერ მიიტანა გუმანი, ვერაიზე შეჩერდა, მაინც ვადარჩენილად ის ითქმის, მისალოციც იმასა აქვსო.

XI

ისევ მზიანი დღეები იდგა, ზეცა ისევ კრიალებდა, შემოდგომა გაგრძელებულიყო... ისევ რუსთაველის გამზირზე სჯობდა და ფეხით ჩაუყვავა გამზირსა. დრდმა ლანდმა გადაუსწრო, ხელი დაუქნია, შესცინა და წავიდა. ისევ სვანური ქული ეხურა, ისევ იდგა სითბო შემოდგომისა, ოღონდ ნაბადი წამოესხა. თელავს მიეწვით პოიზიის საღამოზე, ნაბადი მიედღვნათ და წამოესხა ნაბადი, დაე სითბო გაგრძელებულიყო. ლანდმა რა იცის სითბოსი თუ სიცივისა, ლანდი მზისგულზე ეგრე მკაფიოდაც არ გამოიკვეთებოდა, ნაბადი კი მიდის, მიდის შესამოსი უძველეს პოეტთა. ამირანის შემომქმედიც ასევე ნაბადში იქნებოდა გამოხვეული. ჯერ ეგებ მხოლოდ ნაბდისძველა ჰქონდა და ამირანი რომ დაიმღერა, მაშინ უბოძეს ახალთახალი ნაბადი. ეს ნაბადი, უცვეთელი, გაუხუნარი, მარად ახალი, ვითარცა პოეზია; იმას უბოძეს, ამას გადმოსცემა და ივლის ასე, ოღონდ როდემდის ივლის, როდემდისას ივლის, როდემდისაც ივლის, როდემდისაც ვასწვდება, ამჟამად ამისი უბრინანა, ამას შემოპხვევია: მიდის ქული, მიპყვება ნაბადი და ბზინავს ქული შემოდგომის დამცხრალ მზეზედა... ეს შეჩერებულა, ნანობს, რად არ ავედევნეო, რად არ ამოვეფარე იმ ნაბდის კალთასა, თან რად არ გაეყვიეო. თუ გაეკიდებოდა, კიდევაც წამოეწეოდა, — აგერ აპა, ძალიანაც არ დაშორებია, მოსჩანს, როგორ იშლება და იწურება კალთები ნაბდისა, აფრიალდება და ჩაიწურება, მიუსწარი, ამოეფარე... მავ-

რამ ვილაყა ჩაახველებს, ნაცნობი ჩაახველებია, მოეშვება დაახტეფე მუხლებში, სიტყვაც რომ მოპყვება იმ ჩახველებასა, ველარ გაეკიდება, ველარ გაპყვება.

— გადარჩი... — მართლაც მოესმის. ნაცნობი ხმაა, ბიბოს ხმა არის, ოღონდ მილოცვა სხვაგვარია, თანავრძნობისა არ არის, გულმოსულობისაა, როგორ გადარჩი, რად გადარჩი, რად არ ჩამოვახრჩვესო.

— რას გადარჩი? — ცოტა არ იყოს გულმოსულად გამოსდის ამასაცა, მობებურა.

— რასა?!

— რასამეთქი!

ირიბად გახედავს ბიბოი, ოღონდ ჩაიციენებს, ჩაიციენებს მრავალმნიშვნელოვნადა, სიტყვასაც აუღლებს, აგერ კაფეში შევიდეთო, ეტყვის. კაფე იქვეა, გამზირის გადასკრიან და შედიან... პატარაპატარა, მსუბუქი მაგიდები დაუღვამთ, პლასტმასის მაგიდები, სხვდასხვა მოყვანილობისაა, ოთხკუთხი თუ მრგვალი არცერთს დაერქმის, იმ მოყვანილობისანი არიან, შესარქმელი რომ ვერ გამოიქმნება. ლითონს ფეხები გამოჰმბითათ, მსუბუქი ლითონისა. სკამებიც ასევე ლითონისფეხებიანია, ლითონის საზურგეანი, უხერხულად ჩამოსაჯდომი, თითქოს უნდა ჩივარდე და აყირავდეთ. ჩამოტანილია, ფორმა თუ სახეობა აქაური არ არის, ოღონდ „ყოფაცხოვრებითი კეთილმომსახურების“ ფაქულტეტს რომ გაივლიან ახალგაზრდები, აქაც გამოიგონებენ ბევრად უცნაურსა თუ უკეთესსა. აქამდისაც გამოეგონათ, თუნდაც აგერ ამათვე გამოეგონათ, ქვებს რომ თლიან უსარგებლოდ, ასეთასეთები გამოეგონათ, სასარგებლოც იქნებოდა „გამოყენებითიცა“... ერთისიტყვით შედიან და უხერხულადა სხდებიან უხერხულ სკამებზე. მაგიდასაც როგორ მიუსხდნენ, ველარ გაუგიათ, საით თავია, საით ბოლო, ველარ მიმხედარან, — სხდებიან, როგორც მოუხერხდებათ ანუ სხდებიან უხერხულადა. სამაგიეროდ სხვა რამაა სახერხო-

და, — ხალხი ცოტაა. მოსწონს ბიბოსა, ცოტათი, კარგიაო. ბიბო ყავის უკვეთავს, საყავია და ყავის შეუკვეთავს. მაშ რა იქნება, პო უკვეთავს ყავასა, მაგარიო, თურქულიო, რამდენჯერმე გაუმეორებს. გამეორება არც უნდა ოფიციატსა, იქ მხოლოდ მაგარი ყავის დასალევად შედიან, ყოველთვისაც აქვთ, არ ექნებათ და უნდა გამოიკეტონ კარი, სხვა რამისთვის იქ არავინ მივა. თუმცა რაღაო, — ბიბომ დიახაც სხვა რამისთვის მიიწვია ფრიდონი, ყავა საბაბია, მხოლოდღა საბაბი. მოაქვთ საბაბიცა, შავი, ჩამუქებული, სქელი ყავა მოაქვთ პატარა ფინჯნებითა. ბიბო მოსვამს, ტუნებს ფრთხილად ჩაიწმენდს ენითა და ასე, ამასობაში იკითხავს:

— რასა?!

— რასამეთქი!

— ჰმ... — ჩაიცივნებს ბიბოი, — გულბრწყვილობანასა თამაშობ თუ მართლა არაფერი გაგეგება წუთისოფლისა?!

— რა შეკითხვაა?!

— რაო, შესაფერისი კილო ვერ მომიძებნია?!

— აზრი ვერ მოგიძებნიათ შესაფერისი...

— ეგება შენ მაინც მიპასუხო შესაფერისად...

— შესაფერისი შესაფერისმა იცის, ფერი ფერსაო.

— და თუ გეკითხებიან, მართლა ბრიყვი ხარ თუ ბრიყვად მოგაქვს თავიო, ნუთუ შესაფერისი პასუხს ვერ მოუძებნი?!

გაშრა ფრიდონი, გაქვავდა ერთი წუთითა, მერე ფინჯანს წამოავლო ხელი, მიაქან-მოაქანა, სქელი ყავა გადმოდინდა ოდნავად, მოისვარა სატუნე ფინჯნისა.

— ასეთ შემთხვევაში დუელში იწვევდნენ ხოლმე. — კბილებში გამოსკრის ფრიდონი.

— დუელების დრო დიდხანია წავიდა.

— და კადნიერების დრო დადგა?

— ვის უბედავ?!

— ვინც გამოკადნიერდა. — ცივად

თქვა ფრიდონმა და აიჭრა, აიჭრა მისი ხანდა, ფინჯანზეც ეკიდა ხელი, აიტაცებს და დაახეთქებს თუ თვალზეში შეასხამსო, ვერ გაიგებდით, ისეთხაზად ეკიდა ხელი.

— დაბრძანდი!.. — თითქოს ხმა წასვლიაო, ისე თქვა ბიბომ.

— გმადლობთ!.. — მიუღებს იმავე ხმითა, იმავე იერადა, — თქვენი უღრმესი პატივისცემელი ვიყავი... ახლაც ის მაკაევებს. მიჭირს დავიჯერო, რომ თქვენ მელაპარაკებით ასე ცუდადა და მე ასე გახელებული ვდგეაო თქვენს წინაშე; მიჭირს დავიჯერო... დაარქვით თქვენ რაც გუნებოთ, თუნდაც სიბრყვე დაარქვით, ოღონდ სინამდვილეში ეს იყო გულწრფელი ნდობა თქვენდამი, ნდობა ალალი ბიჭისა, ნდობა სრული, უაღრესი, თვალდახუჭული და არ მინდა ვინანო, მაინც არ მინდა დავიჯერო, რომ არ იყავით ღირსი ესოდენი ნდობისა.

— ნდობის სანაცვლოდ ნდობითვე ვიპასუხებდი. აქ ვალი არ დამედება, ხოლო სინანულისას რომ ამბობ, მე უკვე ვნანობ, მე უკვე მივხვდი, ღირსი არა ყოფილხარ ჩემი ნდობისა.

— ჰა?! — თითქმის შეჰყვირებს ფრიდონი.

— დაბრძანდი! — ხმა მოუფიდა ბიბოსა. ფრიდონი ჩაჯდება, უტბად, უნებლიედ ჩაჯდება. — დღეს ვადაპირჩი, — ეანაგრძობს ბიბოი, — მაინც დაგინდე, მეცა მძლია პატივისცემის გრძობამ შენდამი, ამან შემაკავა, ამიტომ დაგინდე, ოღონდ იცოდე, აღარ დაგინდობ, თუ არ ჩამომეცლები. ცხვარი ცხვარიო, თუ გაბრანდა, ცხარიო.

— კარგია, ეგ ანდაზა რომ გცოდნიათ...

— სხვასაც ვასწავლი.

— გმადლობთ, თქვენთვის შეინახეთ და გამოიყენეთ, უკეთესი იქნება... რას შემუქრებით!

— გემუქრები!.. დაგიბოვებ და ეს გაფრთხილება იყო. ვერ გაიგე, რომ დაგიბოვებ ან არ გინდოდა, გაგეგო. ამიტომაც მივიკირს, მართლა არ გესმის თუ ვანგებ იგონებ... ნუთუ ყველაფერი

პირდაპირ უნდა ვითხრან?! რატომ მაიძულებ, ასე პირდაპირ გელაპარაკო!..

— აღარ გაიძულებთ, აღარ დავიბრუნდებით. ნუთუ ესაა ამ გაუგებრობის თავი და ბოლო? — ღრმად ამოისუნთქებს ფრიდონი, თითქოს გაირკვა ყველაფერი, თითქოს ეექვეება, არა ეს არ იქნება თავიდათავი მიზეზიო.

— აღარც შეხედები, აღარსად შეხვდები!

— ვისა?! — უნდა ვაივოს, აღარცა ბრაზობს, აღარცა ღელავს, ვისაო, იმეორებს, უნდა ვაივოს. ბიბო აყოვნებს და კიდევ ჩაეკითხება.

— აღარ შეხე... დე... ბი... — იმეორებს ბიბო ჩამარცვლითა, — ნათესაობის საფარველი გამჭვირვალე გამოდგა, გხედავენ, იციან, მატყობინებენ, ვიცი. უარყოფას აზრი არა აქვს.

ფითრდება ფრიდონი, თვალები უფართოვდება, შეპყურებს ასე გაფითრებული და თვალდაწყვტილი, ენახოთ, რას იტყვის, კიდევ რა საშინელი ამოუვა პირიდანაო. მეტი საშინელი რაღა უნდა ამოუვიდეს, მაგრამ ელის, მეტს ელის ან აღარც აღარაფერს ელის. აღარც გაეგება, აზრი ჩაჰბნელებია და ენა დასდუმებია, — თქმულა მიზეზი თავიდათავი, გაგებაღა უნდა, რომ ვერ გაუგია, ვერას მიმხვდარა, ეგება უფრო მკაფიოდ უნდა ითქვას? უნდა ითქვას!.. უთხრან მკაფიოდა, გასაგებდა, აუხსნან, განუმარტონ ერთიმეორეზე უფრო მკვერთეშველებმა, უფრო გონიერება, უფრო ბრძენებმა, უფრო შთამაგონებლებმა და ეგების მერეღა მიხვდეს, მერეღა მიიტანოს გუშანი თუ შეიძლება მოხდეს ასეთი სისაძაგლე, ასეთი სიბილწე ან თუ შეიძლება ცილისწამება ასეთი. ვერ მხოლოდ ლულულულებს:

— განა შეიძლება...

— წმინდა ზნეობით არა.

— მაშ რად შეუბნებით უზნეოსა?! ეს ხომ სიცრუეა...

— რაც ყველასა სჯერა, სიცრუე არ არის.

— სიცრუეცა სჯერათ ხოლმე.

— მაშინ სიცრუე სიმართლის ძალას იძენს, სიმართლესავითა ბატონდება.

— არსება მისი მოკლეა.

— იყოს... ეს სიმართლეა. ან მე რად მამტკიცებინებ, განა არ იცი, სიმართლე რომ არის?!

— სიცრუეა! — მაგიდას მუშტებით აწევება ფრიდონი.

— „ქალს“ სად წაუხვალა?!

— „ქალი“ ხელოვნებაა, სწრაფვაა, ძიებაა მშვენიერისა.

— ჰა, ჰა, ჰა...

— რა გაცინებთ?!

— ნამდვილი ზრახვები ვეღარ დაიფარება იდეალებითა.

— განა თქვენ ხელოვანი არა ხართ?!

— რა ვუყოთ მერე, მიწიერია ჩემი ზრახვები...

— მიწიერი თუ ბიწიერი?!

— ჩემი მიწიერი, შენი ბიწიერი, გამოსხვეული მშვენიერების იდეალებში.

ფინჯანს შეათამაშებს ფრიდონი.

— თუ დადგეს დრო დუელებისა, — აწვევდ ამბობს ფრიდონი, აღმურავარდნილი ამბობს, — მზად მივუღეთ, თქვენს სეკუნდანტებს ჩემი პოენა არ გაუტირდებათ. — ამბობს — და თანაც ზურგსუკან გაიტანს ფინჯანსა, გაიტანს და გამოაქანებს მთელის ძალითა, გამოაქანებს და სახეში შეათხლუმს იმ შეე, სქელ, მაგარ, თურქულ ყავასა; შეათხლუმს და ადგება, მიდის ნელნელა. ბარბაკით მიდის თავზარდაცემული განაგონითაცა, თავისი მოქცევითაცა. მაგრამ სხვაგვარად როგორღა მოქცეულიყო ან რა ეთქვა, რა მიეგო, რა ეპასუხა, განა ვადაარწმუნებდა? — რას ვადაარწმუნებდა, ვის ვადაარწმუნებდა, იმასა, ვისაც არა ჰქონია იდეალი მშვენიერებისა?! — ვერა, ვერაფერს მოუხერხებდა. ეგება სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო? — ვინ იცის! ეთქვათ, ასე უნდა მოქცეულიყო, ეთქვათ, მერე რაო, რა მოუხერხდა, იმას გაუჩინა იდეალი მშვენიერებისა თუ თვითონ მოიხსნა გული? — მხოლოდ ოდნავ შეჰკივლეს კაფეში მსხდომმა ქალებმა თუ ქალიშვილებმა, ოდნავ შეჰკივლეს თუ პირი დაადგეს და

ღრმად ამოისუნთქეს, სულერთია; ყმა-წვილებმა წამოიწიეს, წამოიწიეს მოწონებითა, აცა, კიდევ რა მოხდებოა; ერთმა-ორმა, ცოტა ხანში შესულმა თუ ცოტა მფრთხალმა კიდევაც გაასწრო, ემანდ მართლა მეტი არაფერი მოხდესო, ემანდ ჩვენც არ მოვყვეთ შუაშიო. სულ ეს იყო, რომ გამოდიოდა, ამას შეასწრო თვალი, არეული, ამღვრეულა თვალი შეასწრო, ისევე გასწია თვალამღვრეულმა, ფიქრაწეწილმა.

თავდაპირველად თავს იმართლებდა, ძალიანაც კარგად მოვიქეციო, ხელის გამოქნევაც მოსწონდა, სქელი ყავით გადაგლესილი თვალბეცა, ის რიხიანი შეძახილიცა, — ველოდები შენს სეკუნდანტებსაო. თუმცა თითქოს სხვანაირად შესძახა, ველოდები თუ არ გაუჭირდებათო, მაგრამ გარჩევამი აღარ შედიოდა, მოსწონდა და ნატრობდა, მართლაც მეწვიონ სეკუნდანტები, მართლაც დავთქვით ღუელის ადგილი, ოქროყანის ხეში ან თბილისის ზღვის ნაპირას, დავთქვით და ვანანო, მწარედ ვანანო ეს სირეგვენე თუ სიბილწეო. ბევრი რამ წაეკითხა ღუელისა და ამ ვიწწარებულ გულზე უფრო შორსაც მიიწევიდა წარმოსახვანი: შესაძლოა მე მიმუხთლოს ბედმაო, ეგრემც ყოფილაო, დაე მოვიწინაო თუ შემეცოდოს თუ რამე მქონდეს მოსანანიებელიო, თუ მართალი არ ვიყო ამასთან, იმასთან, ყველასთან, ყოველ ადამიანთანა, ვისაც კი შევხვედრივარ ამ წუთისოფელში, დიდი ყოფილა თუ პატარაი, კაცი ყოფილა თუ ქალიო... თამამად იტყოდა, მაგრამ მაინც საკვირველი გახლდათ, რაღა ამას შესჯავახებოდა. ყველაზე მეტად ვინცა სწამდა, ვისგანაც დაეალებულიყო; შეეჯავახა და აღარცა სთომბდა, — რა ცუდი ადამიანი ყოფილა, რა ავი, ბოროტი, როგორა ვძულეებივარო. რა ვერაგული ვანზარახები კქონია და როგორ უდიმოდა, როგორ უთათუნებდა მხარზე ხელსა, აქეზებდა, აიძვებდა!.. როგორ მოსიბლულყო, რაოდენ კეთილ მოვლენად დაესახა და თურმე რა ყოფილა! მაინც რა ყოფილა, ვინ მინახავს მსგავსი

ან სად წამიკითხნია ან თუ შევხვედრივარ სადმეო. საშინელთა ამბებზე მგვრთა წაუკითხავს, მაგრამ აღარცა დაუტყვის ბია, მხოლოდ სიკეთეს გადაპყროდა. მხოლოდ კეთილი სწამდა, კეთილთა სახეს იმახსოვრებდა. ზღაპრული დევებიც ბავშვობაში ამინებდნენ, მერე არც ისე მტარვალნი თუ უძლველნი გამომდგარიყვნენ, გმირებს ადვილად დემარცხებინათ. ამირანიც ადვილად ამარცხებდა და კიდევაც ებრალებოდა გულუბრყვილო ბუმბერაზები. ესეც ბუმბერაზად მოვლენოდა, კეთილ ბუმბერაზად. მფარველად, წინამძღოლად, მოვლენოდა გაუწაფავ ყმაწვილსა, გაუწაფავსა, უცოდნელსა, მფრთხალსა, მოვლენოდა და კეთილი ზეგავლენაც მოეხდინა. ბუნებით ალაღსა და პატიოსანს, ბუნებით კეთილსა და უზადოს კიდევ უფრო გაუღვივა სიკეთის გრძნობანი, ზრუნვით გაუღვივა, სითბოთი და უანგარობითა. რა ვუყოთ თუ ზოგჯერ იშველიებდა, ავალებდა თავის საქმესა, რა ვუყოთ მერე, სძაიკეთო გახლდათ ამისთვისა, ამის გასაწაფადა, — უანგარობად ითქმოდა; და მერე რად იღონა ამდენი, იმიტომ რომ თავზარი დაეცა ერთ მშვენიერ დღესა?! სულის სიმტკიცეს ხომ არ აცლიდა სიკეთითა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოემთო დასუსტებული სული, ერთ მშვენიერ დღესა ანუ დღევანდელ დღესა. მშვენიერი დღეა? დიახაც, მართლაც მშვენიერი რამ არის, იცის ასეთი დღეები შემოდგომაში თბილისისა, შემოდგომა გაგრძელებულა, თან მიჰყოლია მშვენიერი დღეებიცა. ეგება უქანასკნელი დღეც არის, ეგება ხვალისანვე ავდარი ატყდეს, ნაადრევი ზამთარი წაებას ნაგვიანვე შემოდგომასა. ასედაც იცის თბილისმა. რაც უნდა იყოს, რა ბედენაა დარი თუ ავდარი, სიანეცა სცანი, გაიგე, იგემე სიანეცა და იმისგან იგემე, ვინცა გწამდა ყველაზე მეტადა...

სცანი, მაგრამ აქ სხვა რამეა გამოთარკვევი, — ისაა განა წყარო სიანისა, მართლა ისაა თუ სხვა ვინმეა ან სხვა რამეა? ეგება ის არ გათამაშებდა, ეგება

თვით ის იყო სათამაშო სხვათა ხელში, ან უეცრად მოხდა ისეთი რამ, ვერ გაუძლო იმისმა სულმა, გასტეხა თვით იმისი სული და საშინელს რომ გეუბნებოდნა, არც იცოდა რასა სჩადიოდა, აღარც ახსოვდა თუ ვინ იყო იმის წინაშე, ვინ უწყისი, ჰა? ეგება თანაგრძნობა უნდოდა, ეგება გამორკვევა უნდოდა ამ ვაგონებდანა, შენ კი გონება ვერ მოივრიდევ, მხოლოდ გადაიზნიქე, გაიტანე მკლავი უკანა, გაიტანე და გამოაქანე, უფრო ძლიერად რომ მიგვთხლიშა თვალებში თურქული ყავა. რის სამაგიეროდა, იმა სიკეთისა? თვით შენშივე ხომ არ ჩაბუდებულა სიავე, — ალბათა თვლემდა, მინაბულიყო და აფეთქდა მყისვე, მცირედი საბაბი მიეცა თუ არა. მცირედით... ნუ, ამას ნულარ გამოვეციდებით, ნულარ ვიდავებთ მცირედი იყო თუ დიდ, ნუ გამოვიწერილებთ, შორს გაგვიყვანს, დავკარგავთ მთავარსა. იგული-სხმე, როგორც გენებოს, ოღონდ ჯერ მაინც ესა ბრძანე, სიღინჯე გმართებდა თუ არა მანამდის დინჯსა, გონიერება გმართებდა თუ არა მანამდის გონიერსა, მადლიერება, გმართებდა თუ არა მანამდის მადლიერსა, — ერთბაშად როგორ ჩაიგბნელდა ყველაფერი, ისეთი რა გითხრა? — როგორ თუ რაო... ჯერ ამას დავფხსნათმეთქი, გმართებდა თუ არა თავშეკალება, გმართებდა თუ არა კითილგონიერება, როცა ის ამოვარდა კალატრიდანა, — გმართებდა თუ არა? შეც აღმიანი ვარ.

ისა?

ისიცა.

ანუ კაცნი ვართო, იტყვიან ხოლმე და ყველაფერს გაამართლებენ. ღირსებაც კაცურია, სისუსტეცა, სიკეთეც კაცურია, სიავეცა, მაგრამ არის კაცად-კაცურიცა, ეს სიავის აცილებდა, ეს სისუსტის ძლევაა, კაცადკაცურად მოიქცეოდი თუ დასძლედი სისუსტესა, დასთრფნიდი სიავესა, აუხსნიდი, გააგებინებდი, ექვს გაუფანტავდი, ხოლო შენ, არც აცივე და არც აცხელე, გადაიზნიქე და... ამაყადაც მიმოატარე თვალები ყვახანაში, ნეტავი ახლაც თუ

გეამაყება? საამაყოს გამეორებაც ესა-ხელებათ, — შენც თუ გაიმეორებ? ეგება მიბრუნდე, ეგებ *მთავარი* მოვიდეს, კიდევ იამაყოსო, ეგებ ესოდენ კეთილშობილიც არის, ოღონდ გეამაყებოდეს, ოღონდ გეამებოდეს, კიდევ მოგიშეერს სახესა, შენ გადაიზნიქე ან გამოქანდი, გამოქანდი შორიდანა და, ის პატარა ღინჯანი რა არის, ან შეგრილებული ყავა რა არის, — ყავადანითვე მიათხლიშე მდუღარე ყავა, ეგებ ამან უფრო დაგატკბოს, დატკბი. ვერ დატკბები, უკვე გერცხვინება და რაც ერცხვინებათ, საამაყო ვერ იქნებოდა; რაც ერცხვინებათ, ველარც გაიმეორებენ ამაყი აღმიანები, ხოლო ის ადვილად გაგიმეორებს, თვალს გაგისწორებს და გეტყვის, ასეო და ისეო... საამაყოდ ესეც არ ითქმის, მაგრამ გაგიმეორებს, — ესეც შენთვის არ არის საამაყო, შენ გეშინიან ამისიცა. მე? შენა! მე?! შენა?! ჰო შენაო...

მშვენიერს ეტრფოდი... მერე და რაო, ასევე ეტრფოდა ყველა ხელოვანი ან ვანა მხოლოდ ხელოვანი, — სიცოცხლე ყოფილა ტრფობა მშვენიერისა, არც არავის დაეძრახვის ტრფობა მშვენიერისა, არავისა და არც... რა თქმა უნდა, ვინ აგინიხრდება, მაგრამ მშვენიერი უარესი, უზენაესი, აბსოლუტურიო რომ ამბობენ, რალაცად ან ვილაცად ჩამოსხივდება ამა ქვეყნადა, კენტად არა, ორადაც არა, აქა-იქა, ოღონდ მაინც მრავლად ჩამოსხივდება, უნდა მიერქვა იმა მრავალსა, აჰყვე სვეტთა სხივისათა, აჰყვე, აათავო, შეუწიეთდე უარესსა, უზენაესსა. შენთვის ჯერ ამად მოვლენილა, გამოცხადებულა ამ ლამაზ ქალადა, ოღონდ სხვაც არის ლამაზი, ბევრია ლამაზი, შენ მხოლოდ ამას შეუპყრიხარ, ჯერ ამას შეუპყრიხარ, მერე ვინ იცის ვინ იქნება შენი მპყრობელი, ჯერ ეს არის და ძნელი სათქმელია, ეს ტყვეობა, ეს პყრობილება მხოლოდ თვალისაა, მხოლოდ სულიერი აღმაფრენისაა თუ არის რაღაც სხვაცა, რაღაც დაფარული, ძალიან მიჩქმალული, მაგრამ მაინც ძალოვანი,

მაინც მაკლერი, საამისოდ წაუტეხები-
ხარ, ამისკენ გეწევა და არა სხვისკენა.
მერე სხვისკენ თუ წაინაცლებ, იგი-
ვე გაგწეხს, იგივე ფარული და მიჩქმა-
ლული, ოღონდ იქ ის საძრახისი აღარ
იქნება, აქ საძრახისია, დიდად საძრახი-
სი და გამზილეს, დაგძრახეს, აღგაშფო-
თა მხილებამა. ხელთა გქონდა მხო-
ლოდ ფინჯანი ყავა, აღშფოთებაც იმითი
გამოსტევი, ხანჯალი რომ გრტყმოდა
წელზე, დამბაჩა გქონოდა, იმითაც გა-
მოსტევიმდი, მაგრამ რაც იყო, იყო,
სიამე მაინც სადაა, იქა თუ აქა, შენშია
თუ სალდაც სხვაგანა ან რა არის სიამე
თუ ეტრფი მშვენიერსა, ზოლო მოვლე-
ნილა იგი სახედ მშვენიერისა... აი ამ
სახედა.

ჩაქუჩი აიტაცა, მოიქნია, მაგრამ ჰა-
ერში შეჩერდა ჩაქუჩი, კიდევ გადაი-
ტანა მკლავი, მოზიდა უფრო ძლიერა-
და, მაინც იქავე შეუჩერდა, იმავ სი-
მალღეზე გაეყინა, მკლავიც ველარ გას-
ძრა, მკლავიც გაუშეშდა, მთლად სხეუ-
ლი გაუშეშდა. მისჩერებოდა განცვიფ-
რებული „ქალი“, განცვიფრებული და
გაოგნებული, ლამის ნამსხვრევებად იქ-
ცა, ველარც აღსდგებოდა, ვერა, ველარ
განახლდებოდა. ის იქნებოდა, ის მშვე-
ნიერი სახე ერთხანს კიდევ გასძლებდა,
მაგრამ ველარ იქცეოდა მარადიულ სა-
ხებადა, ველარ დაიურკვებდა მარჯვენა
ხელოვანისა, რადგან ველარ იქნებოდა
ისე ძლიერი. ისე წრფელიც ველარ იქ-
ნებოდა. თუმცა ძალა კიდევაც მიეცე-
მოდა, ადვილადაც არ დადრკებოდა
მარჯვენა ახალგაზრდისა, მაგრამ ამღ-
ვრეული სიწრფოება ადვილად ველარ
დაიწმინდებოდა, ის სიხასხასე, ის სი-
კაშკაშე იოლად ველარ დაუბრუნდე-
ბოდა. სხვა გული ჰქმნიდა, სხვა გრძნო-
ბა, სხვა მღელვარება, სპეტაკი აღმაფ-
რენა ჰქმნიდა, — შეჭბალავოდა და გა-
ნლა კიდევ ეყოფოდა სისპეტაკე? თუმ-
ცა ნამსხვრევებად თუ იქცეოდაო...
შეპყურებდა მშვენიერი და გაოგნებუ-
ლი. ხელი ისევ შეღმართულიყო, თუმ-
ცა გაშეშებულიყო, მაინც ვინ იცის რა
მომზდარიყო... საშიში აღარაფერი მოხ-

დებოდა, დიდი ლანდი წამოსდგომო-
და, ლანდს გაეშეშებინა ჩეღლი-
ლი გადაწეულიყო, მკლავიც თუ გამოსტე-
ვულიყო ნაბდიდანა, მსხვილი თითები
შემოჭდობოდა გაშეშებულ მარჯვენა-
სა. იმავე თითებმა აართვა ჩაქუჩი, მო-
იაროლა, თუმცა ისე ჩანდა. თითქოს
ჩაქუჩი თავისთავად გადაფრინდაო.
მოწყვეტილად დაეარდა გაშეშებული
ხელი. ნაბადი შესწორდა. იღვა ნაბა-
დი, ყაბალახი ჩამოჰკონწიალებდა, —
მესხეთს მიუწვიათ პოეზიის საღამოზე,
იქ მიეძღვნათ ყაბალახი, — სვანური
ქუდიც უპრავად იყო. პო იღვა ვეება
ნაბადი, თითქოს კარავი იღვა, შეიძ-
ლებოდა იქ შეფარებულიყო შემცოდე
ჭაბუკი, ხელი რომ აღმართა მშვენიე-
რი ქმნილების დასამსხვრევებადა. პოე-
ზიის ტამარი მაინც დაიფარავდა, პოე-
ზიამ იხსნა, პოეზიავე დაიფარავდა.

დაიფარავდა... მშვენიერს ეტრფო-
და, მშვენიერის ტრფიალი ყოველთვის
სასიკეთოდ აღძრავდა ადამიანსა. სიმა-
ხინჯის ტრფობა არც შეიძლებოდა, თუ
დაბნეულიყვნენ, სიმახინჯით დაბნეუ-
ლიყვნენ, მშვენიერი იხსნიდა, სასი-
კეთოდ წააქეზებდა, სასიკეთოდ ქვეყ-
ნისა, სასიკეთოდ ერისა, თავსაც გასწი-
რავდა, რამეთუ თავგანწირვა უკვდა-
ვებისაა, ზოლო უკვდავი მშვენიე-
რიო. აქ სწრაფვაა მშვენიერისად-
მი, აქ აღმაფრენაა, აღარაფერია მიწიე-
რი; თუმცა მშვენიერისაკენ გზა მრავა-
ლია, მიწიერიც არის, დიხაც არის,
მაგრამ აქ არა... აქ სულისაა ყველაფე-
რი, აღმაფრენისაა. მხოლოდ? მხოლოდ!
მაშ ის ცილისწამება ყოფილა. ყოფილა.
განა ადვილია?..

არ არის ადვილი... სხივი გაჰხსნის შორს
ბინდებუნდას, წამოვა, წამოვა, ნელნელს
იმატებს შუქი, დიდდება, დიდდება და
მერე შუქში ამოვა ლანდი, ლანდი დე-
დისა. არაფერს ამბობს, მხოლოდ თვა-
ლებს მიაპყრობს, დიდ თვალებსა, მუ-
დარიან თვალებსა, — აკი გთხოვე, აკი
აღმოთქვიო... ადგიოთქვიო. და ჰქრება
ჩვენება. ის მაინცა ბორკავს, მთელ ლა-
მეს ბორკავს. მოჩვენებანი ირევიან.

ფიქრები ერევა. თავი გუგუნებს, თვალებს თითქოს ისრებს უყრიანო, გაახელს, არ ეშვებიან, დახუჭავს, არ ეშვებიან. წევს, არ უნდა, ადგეს, არ უნდა, მაინც ადგება, დაბორიალობს. იქით დიასახლისი ბუზღუნებს, მაგრამ როდიღა ეპუება, მიმოდის, ბოლთასა სცემს, ფანჯარას გააღებს ჯახუნითა, მოურიღლად. გარეთ სიწყნარება, სიწყნარე სცოდნია დიდ ქალაქსაცა.

XXII

ღელვა თეატრებსა და ოჯახებში შებუღებულა, თუმცა თეატრებში მხოლოდ სცენაზე ღელავენ ან ივონებენ, ვღელავთო, დაბაზს მოგონილი არ გადაუღება; ოჯახი სხვა რამ გაზღავ, თავისი ტყვილეუბიცა აქვს, გარეგანი ტყვილეუბიც იქ იყრის თავსა, მაგრამ კარი მოიკეტება და არა ისმის რა, არაფერი მოსჩანს. ყბა მოიღლება, აფეთქდება სული, ღამე გატყდება, ხოლო დილით რომ გამოიშლებიან, ვითომც არაფერი მომხდარაო, პირზე წყალს შეისხამენ მამაკაცები, ფერუმარილს შეისწორებენ ღედაკაცები, გამოიშლებიან და ვითომც არაფერი მომხდარაო. ზოგჯერ მაინც გამოდის ოჯახის სადავადარაბო, ოჯახიდან სასამართლოშიც გადაბარგდება, იქაც კარს შეიხურავს, ძრავების გუგუნი დაჟვარავს აწეულ ხმასა, დღიურ დაჟვარავს, ღამიან იგივე გუგუნი დაიწევს, მოიკლებს, სულაც მიყუჩდება და ვითომდა რაო, სიწყნარება ქალაქშიო, ვითომდა რაო, გამტკნარებულა დიდი ქალაქიო. დილით თვალებს ამოიწმენდენ, გამოიშლებიან და ვითომც არაფერი მომხდარაო. მაგრამ დილამდის... ამისი მღელვარე ღამე იმდენიც არაფერი, მხოლოდ გატეხილ ღამედ ითქმობდა, ხოლო იმათი, — იქ ღამეც გატყდა და... ოღონდ ვიდრე ღამე გატყდებოდეს: კარი კინაღამ შემოიხტვრა, დროზე გაშხენდა ეთერმა, აღებდა, მაგრამ არ აცდიდა, ალბათ ძალიან ადელვებულიყო, ზარიცა რეკდა, კარიცა ბრაზუნობდა, ბრაზუნი რაა, ღამის ჩამომტვრეულიყო კარი. ელოდა, გახარებუ-

ლი მოვარ, იცოდა, თათბირი მოუწევიათ, ისეთი თათბირი, ბიბოს რაღაც ვაჟაერებდა, იქ გაიხარებდა ~~და შექმნდნა~~ მოიყოლებდა სიხარულსა. კარი სხვაგვარადა ბრაზუნობდა, — საეკტზე ეღობელი, აღებდა და ვერც გაელო, უნდოდა, მოესწრო, განეჭკრიტა თუ რა მომხდარიყო. ბრაზუნი არ აცდიდა, ზარიც არ აცდიდა, ქლოშინიც არ აცდიდა, უნდა გაელო, კიდევაც გაელო, ოღონდ იქვე არ დალოდებია, ერთი თვალი შეავლო და გაეშურა თავის ოთახისაკენა. იქ მოასწრებდა ფიქრსა, მომზადებას მოასწრებდა, მომზადებული უნდა შეპგებებოდა. მაგრამ მხოლოდ ის მოასწრო, ტახტზე აიყვია ფეხები, ცალი მხარით მიეყრდნო კედელსა და მინაბა თვალი, ფიქრისად მინაბა. ბიბო მიჰყვა ფეხდაფეხა, აღარ დაანება ფიქრი. მაინც მოუხერხდა იმ სახეს დაჰკვირვებოდა, კარებში რომ შეასწრო თვალი, არეულ სახესა, ამღვრეულ თვალებსა, ისევე თვალშინაბული დაჰკვირვებოდა. ეყვირა ბიბოსა, ექოთქოთნა, ეტყაპუნებინა ფეხები, ის მაინც არ მოშლიდა დაჰკვირვებასა, ეცდებოდა. გაეხსენებინა, ენახა თუ არა ესოდენ ~~სახე~~არეული, თითქმის შეშლილი, თუ ენახა, რა მიზეზითა, — მაშინ მიხედებოდა დღევანდელ მიზეზსაცა. ენახა: პირველად რომ ეთქვათ, ექვის პირველი თესლი რომ ჩაეგდოთ, იმ ღამესაცა, კაბის ამარა რომ გავარდა გარეთა. თუმცა ასე გაშმაგებული მაინც არა ყოფილა, ერთხელ თოფი ჩამოხსნა, მოკვლით იმუქრებოდა, მაშინაც არა ყოფილა ასე გაშმაგებული, — ახლა მართლაც მოჰკლავდა ვინმესა, თოფს თუ შემოიყოლებდა, ამას მოჰკლავდა; ან ეგება ის უკვე მოჰკლა, მოსულა და უნდა აუწყოს, მორჩა, ბოლო მოელო ჩემს სატანჯველსაო. და ნეტავი რაისთვის გაუტანჯია თავი? ნეტავ რა ეშველება, რა იღონოს, რითი მოუხერხდება, გაჟვანტოს ეს გაუგებრობა, ექვი თუ სიგიჟე, — რითი მოუხერხდება? და მიუნაბია თვალი, შექმს სცემს მაგიდის სანათიდანა, შექმს ყვირელი საფარველისა, — მშვიდია, ნა-

ზია, მომხიბლავია, ძნელია ეღაო, გავიჭირდება თუნდაც ხამაღლა ელაპარაკო, უნდა ეჩურჩულო, ეღუღუნო, სიყვარულისა თუ სიყვეთისა უნდა ეღუღუნო.

ბიბო ჭაღს გაჩაღებს, — რა ეღუღუნება ბიბოსა, ცეცხლი უკიდია, სახეზე მართლაც აღმური ასდის.

— აი სადამდის მივედით!..

მკაფიოდ მოეხმის ბიბოს ნათქვამი, აღბათ დასკვნაა, აქამდის მკაფიოდ როდი ესმოდა, ყვირილი და ქშენა ესმოდა, ეს დასკვნა თუა იმა ყვირილისა და ქშენისა.

— შენ მიხვედი... — ჩურჩულებს ეთერი.

— რა თქვი?!

— რა მნიშვნელობა აქვს?

— როგორ თუ არა აქვს?!

— არა აქვს, — ოღნავ ხმას აუწევს ეთერი, — რომ ჰქონდეს, დამიჯერებდი და არც მიხვიდოდი, სადამდისაც მისულხარ.

— იცი, სადამდისა? შემომხედე!

— შენ მიხვედიმეთქი...

— შემომხედემეთქი!

— ასედაცა გხედავ.

— შემომხედემეთქი!.. — ლამის ყელი ამოეფხრიწოს ბიბოსა.

ეთერი ოღნავ ახამხამებს წამწამებსა.

— ჰხედავ, ყავა შემომასხა...

ეთერი არაფერსა ჰხედავს, არც უნდა დაინახოს, ისე ახამხამებს წამწამებსა, ახამხამებს და მინაბავს, ოღონდ ოღნავადაც რომ გაეხილა თვალი, კარგად გააჩნევდა მოლაფულ გულისპირსა, თუმცა ოფიციატებმა ამოუწმინდეს თვალები. მობანეს პირი, მოუწმინდეს გულისპირიცა, ლაქები მაინც ჩარჩა მუჭი ყავისა.

— თათბირზე ყავით გიმასპინძლდებიან? — უბრალოდ იკითხავს ეთერი.

— შამპანურითა! — გესლიანად შესძახებს ბიბო.

— ყავა საიდანღა გაჩნდა? — არც ეღიმება ეთერსა, თითქოს შამპანურიც დაიჭერა, ყავასაც დაიჭერებსო. თვალ-

საც გაახელს: დიღას თეთრი, ვახამებულ-ლი საყელო ჰქონდა, ყავისფერი, ზოლებიანი ჰალსტუხი ეკეთა, ახლა ჰალსტუხი, საყელო და გულისპირი აღარ გამოირჩევა ერთმანეთისაგანა. მხრებიც უპრიალებს, უღალაპებებს ჭადის ქვეშა, მართლაც რაღაც მომხდარა; სუფრაზე შეიძლება, სიმთვრალეს შეიძლება ყველაფერი მოჰყვეს, ზოგმა თამაღამ მუჭარაც იცის, დალიე, თორემ კისერში ჩაგასხამო. ოღესმე ეგება მართლაც ასრულბდნენ მუჭარასა, ახლა მხოლოდ ხუმრობით იმუჭრებიან ხოლმე და თუნდაც ვინმეს მართლაც აქარულებინოს, — სიმთვრალე სიმთვრალეა, სიმთვრალეში არაფერი გაუქვირდებათ, ოღონდ ეს ყავა რა შუაშია ან ყავამ ასე როგორ დაათორო, — თუ ჭერ შამპანურით, მეჩე ყავით გაგვიმასპინძლდნენო.

— ვერაფერი ხუმრობაა, — მრისხანებს ბიბო, — არც დრო არის ხუმრობისა.

— მე მართლა გეკითხები...

— გულუბრყვილობაც ხომ არა?

— არც გულუბრყვილობა და არც ხუმრობითა, საღერებოდ არც მეგულები, თათბირზე მგონიხარ.

— თათბირზეც გახლდით...

— ეგ ყავობანა საღლა ითამაშეთ? — ახალა იღიმის ეთერი, — ზაფხულობით გოგობიჭებმა წუწაობა იციან, თქვენ ამ შემოდგომით ყავობანა შემოგილიათ. ნურც ამას მიიღებ ხუმრობადა, მხოლოდ გაკვირვებად ჩამითვალე.

— გაკვირვებადა თუ თვალთმაქცობადა?

— ზომას ნუ გადახვალ!

— ზომას ვინ იცავს?!

— ვისაც გონიერება ჰყოფნის.

— მხოლოდ შენა გყოფნის გონიერება, — ახლოს მიიჭრება ბიბოი, ხელებს აქანავებს.

— დაქეცი, — წარბსაც არ შეჰხრის ეთერი, — შენც მოიკრიფე გონიერება და ვასაგებად მითხარი თუ გინდა რაიმე მითხრა, თუ არა და მოისვენე. მოვესწრებით უფრო დამშვიდებით მოვილაპარაკოთ.

— მოსალაპარაკებელი არაფერი მაქვს, — ბიბო ცოტა უკანუკან იხევს, ოღონდ არ ჩამოჯდება, ისევ ფეხზე დგას, — ჩემთვის ყველაფერი ნათელია, მხოლოდ წყრომას გამოვთქვამ და ამისათვის შესაფერისი დროც არის.

— ბატონი ბრძანდები, გისმენ...

— ჩემთვის ყველაფერი ნათელია-მეთქი...

— შენთვის ყველაფერი ბნელია, ამაზე ნურც ვიკამათებთ, მხოლოდ წყრომისა თქვი, გამიწყვირო თუ მართლა წყრომა დამიმსახურებია და მომასვენე, შენ თუ არ გინდა მოისვენო, მე მომასვენე.

— მინდა მოვისვენო და მოისვენო, მე მეტი არაფერი მინდა.

— მაშ მოვისვენოთ.

— სათქმელად ადვილია.

ეთერი ფეხებს ჩამოაწყობს ტახტიდანა, იდაყვებით დაეყრდნობა მუხლებსა და სახეს ხელებში ჩარგავს. ერთი მოქნევია, ოსტატური მონახზია, ნაქანდაკეცია. წელან ფერწერული იყო. შეჩერდებოდა ხელოვანი, თუნდაც აღშფოთებული ყოფილიყო, ბიბო არ შეჩერებულა, ან უზომო გახლდათ იმისი აღშფოთება, ან... თუმცა მართლაც უზომოდ აღშფოთებულიყო, თვალეზი ამღვრეოდა, ხოლო სილამაზის გარდა სხვა ყველაფრის ხილვა ძალუძთ ამღვრეულ თვალთა.

— ადვილად თქმული ადვილადაც მოხდება. — უიოლებს ეთერი.

— მაოცებს შენი ლოგიკა...

— ჩემი არ უნდა იყოს, ალბათ ვიმეორებ ვინმეს ნათქვამსა.

— მაინც ვისასა?

— რა მოგახსენო, ადამიანის ცოდნა მრავალთაგან შეგროვებულა და მერე აღარ მოკგონებია თუ ვისგან რა დამახსოვრებია.

ბიბო მიმოღის, მიმოღის აჩქარებითა, კედელთან მიახლოვებისას თავს ვერ იკავებს, ლამის შუბლი დაახლოს კედელსა.

— მაგრამ თუ რა დაიმახსოვროს, ეს რაღაზეა დამოკიდებული? — მიაწყდება და მიაფრქვევს კედელსა.

— ადამიანის ბუნებაზე, — კედელზე ვით ციკად მიუგებს ეთერი, — მე დამახარალებ, სიტყვა ბანზე ამიგდლო, მევე მოგაგონებ, გელოდები მითხრა, წყრომისაა თუ რაც არის. — ხელებს ჩამოიღებს, გასწორდება, შეპყურებს. ახლაც ნაქანდაკარია, ოღონდ წელან მოღვედილიყო, მოქნეულიყო ერთის მოქნევითა, ახლა ტეხილადაა, სწორხაზებადაა; ძნელი ყოფილა სწორი ხაზი-ცა, მხოლოდ მახვილ თვალსა და მახვილ მარჯვენას გაადვილებია, შეუმჩნევია და გადაუტანია. ამჯერად არც შემამჩნეველი იყო ვინმე, არცა გადამტანი, დროდარო ამღვრეული თვალეზი რომ დაეფეთებოდა, მძულვარების ნაპერწკალი ცვიოდა იმა თვალთაგანა, ხოლო მძულვარებას ვერაფერი გაუგია სილამაზისა.

— და ვამბობ...

— ყავისა გავიგე, ოღონდ სად დაგე-მართათ?

— ყავახანაში.

— თათბირის შემდეგ?

— თათბირის შემდეგ.

— ბევრნი იყავით?

— მე და ის...

— შენ მიიწვიე?

— მე მივიწვიე.

— და ისეთი რა უთხარი, რომ?

— რაც უნდა მეთქვა.

— რად უთხარი?!

— როგორთუ რადა, მხოლოდ მე ვიტანჯო?

— ის რა შუაშია?

— მაშ ვინ არის შუაში?!

— ცალცალკე არავეინა...

— მაშ?!

— ერთადაც არავეინა...

— მაშა?!

— რაღაც სხვა... რაღაც ჩვენს გარეშე, რაღაცა ლანდი, შიში სიკვდილისა...

— ახ! ახსნა ამანაც!.. ვის ეშინიან სიკვდილისა?! ყოველშემთხვევაში მე არა!

— რა თქმა უნდა! ვიდრე შენა ხარ, სიკვდილი არ იქნება, როცა აღარ იქ-

ნები, შიში არ გექნება, ცნობილია, ამას არ მოგახსენებ, სხვა შიშისას ვამბობ, იმა შიშისა, რომ გგონია, უკვდავებს ვილაცა ვართმევს.

— ამალღებული მსჯელობაა, ისიც აბსოლუტურ მშვენიერებაზე ლაპარაკობდა, მაგრამ მე ვუთხარი, რაც უნდა მეტქვა, ვუთხარი, რომ მშვენიერება ვადაუქცევია საფარველად ბიჭიერებისა.

— ო, რა სულმდაბალი ხარ!

— მე ვარ სულმდაბალი?!

— კიდევ სხვაც იქნება, მაგრამ აქ შენა ხარ, მხოლოდ შენა ხარ! — წამოდგება ეთერი, საყურნალო მაგიდაზე სიგარეტის კოლოფია, დეიდა სალომეს დარჩენია როდის აქეთია, დარჩენია და აქაც არის, საფერფლუც იქაა, ასანთიც იქვეა, საფერფლუზეა, კოლოფს დასწვდებდა ეთერი, ერთ ღერს აძრობს,

— ასეც ლამაზია, გრაციოულია, ხელოვანის მონახაზია, თავი ოდნავ მოუბრუნებია, აუკვირვლად, აღუშფოთებლად: სულმდაბალი სხვაც ბევრია, ოღონდ ეს იმათდენივეა თუ წააქარბებსო ან შესაძლოა, მხოლოდ ცოდვილია და მეტი არაფერია. ამასობაში სიგარეტს ამოაძრობს, ასანთს მოუკიდებს, სიგარეტს უხერხულად გაიჩრის პირში, უხერხულადაც მოუკიდებს, მოსწევს და ლამის დაიხრჩოს ხელებითა, გამოუტყდელია, არც უხდება, ხელოვნებისადაც აღარაა, ბოლში ვახვეული, ახველებული, ირღვევა, იშლება, იმსხვრევა ხაზები ირევა ერთიმეორეში, ხელოვნებისად აღარაა, მაგრამ ძალიან ემწევა, რიდაცით უნდა ჩაეხშო სიმწევავე, სიმწევავეთვე უნდა ჩაეხშო, კიდევაც მოსწია, კიდევ და კიდევ, უფრო მწარედ ახველდა, მერე დაგდო სიგარეტი, იქვე საყურნალო მაგიდასთან შეჩერდა ხელებისაგან ცრემლმორეული, შეჩერდა ისე, თითქოს ზევიდან ჩამოშვებულაო, — ისეც ხელოვნებისად იქცა.

— მე მხოლოდ მსხვერპლი ვარ. — ბიბო ამბობს, როგორთუ სულმდაბალიო, პროტესტის ნიშნად ამბობს.

— შენივე უხასიათობისა.

— ლალატისა...

— სიცრუემეტეი, ათასჯერ მითქვამს...

— ვანა ქალს რამე დაეჭვრება? —

უცხო ხმა იტყვის, თითქოს ეს არის მოესმა და იგივე ხმით იმეორებსო.

— ვინ ჩაგძახის ასე?

— მე მოგახსენებ.

— არა, ჩაძახილია. სიმაართლე გვეროდა, ჩემი გვეროდა.

— ეიდრე მართალი იყავი.

— მხოლოდ მართალი ვარ, ვიყავი და ვარ.

— მე საბუთები მაქვს...

— ყალბი. ის იცი...

— ო, რა დიდებული რამ ვიცი! — ბიბო კვლავ უცხო ხმით წარმოსთქვამს, ოღონდ ჩაძახილს როდილა ჰგავს; ან ეგებ ესეც ჩაძახილად ითქმის, ოღონდ სცენიდან გადმოღებულ ხმასა ჰგავს, ტანსაც ისე არხვეს, თითქოს ოპერის მსახიობიაო, მხოლოდ აკომპანიმენტი-ლა უნდა, — რა დიდებული რამ ვიცი! ჩემი მეუღლე ვილაცასთან თუ ვილაცებთან, ღამიან, ქალაქგარეთ, რესტორანში თუ თეთრ ღუქანში, ო, რა დიდებული რამ ვიცი! მაგრამ სხვაც ვიცი...

— ეგრევე დიდებული? — ცივად იცინის ეთერი, ცივად გახსნის ბაგესა, ცივადვე მოკუმავს.

— ეგრევე დიდებული! — შესძახებს ბიბო, — გამოფენიდან „ქალი“ რომ გამოაბრძანეს, კოჯრის ნიავით შუბლს განუფრილებდა ქალი, ანუგეშებდა კოჯრის გზაზედა...

— ბოლდა!

— მე ვბოლდავ?!

— შენა თუ სხვა, სულერთია, ნაბოლდარია, სიცრუეა, მე იქ არა ვყოფილვარ, ამ ბოლო ხანებში თვლიც არ დამიკრავს, არსად შეგხვედრივარ ან თუნდაც შეგხვედროდე, ნათესაობას ხომ არ მიკრძალავ, ნუთუ ამიკრძალავ?! ვინ მისცა ქმარს ამდენი უფლება!

— მე მხოლოდ ოჯახის პატიოსნებას ვიცავ.

— უმწიკვლოა პატიოსნება შენი ოჯახისა, მტკიცეა, ურყევი, ნუ წაიქვებ...

08901



— განა...

— არ გაიმეორო! — შესძახებს ეთერი, თვალებს მოხუჭავს და თავს აარაცრაცებს, აფუვდება თმა მალა აკცილი, ბუწუწები გამოიშლება, კავებად გამოეშლება აქა-იქა, უფროც დამშვენდება, თუმცა რალა უნდა მომატებოდა, მაგრამ ყოველწუთს იცვლებოდა, თავისებური იყო ყოველწუთსა, თავისებური და მომხიბლავი, ამ წუთსაც თავისი მოქანდაკე უნდოდა. — თუმცა გაიმეორე, გაიმეორე... — თვალებს გაახელს, თავს შეაჩერებს, ცოტაარიყოს დამცინავად შეჰყურებს, — გაიმეორე, ხმა მეცნაურა, გაიმეორე, დავიბეჭითო, მართლა ის არის თუ არა.

— ვინ ისა?! — ბიბო ატრიაზავებს.

— მხრებზე ვინც დაგვდომია, ვინც ჩაგძახის.

— ვინ ჩამძახის?!

— ვინც ჩაგძახის... შენი ხმით არ ამბობ, გაიმეორე და დაუკვირდი, დაუკვირდი და შენვე მიხვდები თუ რა ყოფაში ხარ, ჩემი მხილება აღარც გინდა, შენვე მიხვდები.

— ვიცი რა ყოფაშიცა ვარ...

— არ იციმეტქი!

— ვიციმეტქი! — ყვირის ბიბოი, ზრიალებს ლარნაკი ბროლისა, ბროლის მძივებიცა წკრიალებს ქალზე. თვალეზი ვადმობრუნებია, ვადმოკარკვლია, ვადმოხველწია, ყვირილის შემდეგაც ღიად დარჩენია პირი, თითქოს კიდევაც უნდა იყვიროსო, ოღონდ რაღაცას დალოდებია, ნიშანსა თუ რაღაცას სხვა გამაღიზიანებელსაო. რაც უნდა იყოს, მოქანდაკისათვის გამოუსადეგარია, ფერმწერისათვის არად ივარგებს, კარიკატურისათვის რალა თქმა უნდა, საამისოდ თუ სატირისათვის სახარბიელო ვახლავთ, სატირისათვის ყველგან ივარგებს, ყველგან სხვა ეანრში, ქანდაკებაში მაინც არა, ქანდაკებას მაინც სილამაზე შეჰფერის, სილამაზე მხოლოდღამხოლოდ. ცივია ქვა, ცივია მარმარილო, ბრინჯაოც ცივია, მშვენიერებას უფრო იფერებს, მშვენიერებასაც ესევე შეუფერებია, ეს არა, რა თქმა უნდა არა:

ლაშებმორღვეული, თვალბგადმოქაჯული, — რა თქმა უნდა...

— არ იცი, მერწმუნე, არ იცი... ოღონდ რაც უნდა იყოს, ცოტა ხმას დაუწიე, — თითქმის ჩურჩულით ამბობს ეთერი, — რაც გითქვამს, იმაზე საშინელს ველარას მეტყვი, იმეზე მეტად ველარ შეურაცხყოფ, ავი სიტყვა ჩურჩულითაცა გმორავს გულსა, ყვირილი ამოაო.

თითქოს ამას ელოდაო, ამოიფრქვევა მორღვეული ლაშებიდანა:

— მე არავისი მერიდება...

— არც მე... მსწრაფლ შეტრიალდება ეთერი, ფანჯრებს გადახსნის მარჯვედ, მოხდენილად, — აპა იყვირე, გაავგონე, თუნდაც მთელ ქალაქს გაავგონე, თუკი მეუღლეს აღარა სჯერა ჩემი, რამენალღლება თუ რას იფიქრებს ვილაც ჩიბურდანიძე. იყვირე, გნებავს მოგეშველები, ვიწივლებ, მოგიგროვებ მსმენელებსა, გნებავს? მანიშნე, აპა, მზადა ვარ! — და შეიმართება, უნდა გახსნას ბაგე, უნდა მოირღვეს ეს მშვენიერი სახე, მთელი სხეული უნდა მოირღვეს, მოიშალოს ნიძუში დიდებული ქანდაკებისა, დგება საშინელი ეამი, აი, აპაა, აი დგება, აი უნდა დადგეს, — მერე კვლავ დაბრუნდება იგივე სახე, იგოვე იქნება, ოღონდ მშვენიერი აღარ იქნება, ერთხელ შემღვრეულიც ქანდაკებისა აღარ იქნება, აი, აპაა... მაგრამ ბიბო აიქნევს ორივე ხელსა, თითქოს რაღაცას უნდა მოეჭიდოსო, — ვერაფერს მოეჭიდება და ჩავარდება სავარძელში. შიშისა იყო და მართლაც უნდა შეშინებოდა ხელოვანსა, მხოლოდ ეს შიში ხელოვანისა როდი გახლდათ, ჩვეულებრივი შიში იყო, მთელმა ქალაქმა არ გაიგოსო. ახლა თუ რამეს ისურვებდა, ისურვებდა მხოლოდ ამას: ფანჯრები ჩაგმანულიყო, თუნდაც ისე მოხდენილად როდი, როგორც გაიღო, არა, ჩაგმანულიყო თუნდაც ტლანქად, ოღონდ ჩაგმანულიყო, ჩაჩულულიყო, ჩაგუღულიყო.

ღია ფანჯრებიდან საღამოს სუხსმა წამოჰკრა ოთახსა, კარგი იყო, გაანიავა დახშული ოთახი, გახურებულ გულსაც სასიამოდ მოხვდა. არ მოიშალა მშვენი-

ერი სახე, გადაიარა საშიშმა წუთმა, — ის წუთიც ქანდაკებისა იყო, იმის მერე აღარა, მერე აღარაფრად ივარგებდა, ხოლო ის წუთი, ოთო, რა დიდებული რამ იყო! გადაიარა იმა წუთმა, აღარც გამეორდება, წივილსაც აღარ აპირებს თუ აპირებდა, აღარც კამათის განგრძობას ინებებს, ზურგს შეაქცევს, ვაკუურებს ქალაქსა, — იქავე ფანჯრები გაჩაღებულა, იქითაცა, იმას იქითაცა, იქით ლამპიონები ვარვარებს, იქითაცა, იმას იქითაცა, იქით რეკლამები ელავს, იქითაცა, იმას იქითაცა, შუქში ზის ქალაქი, შუქს ისვრის ქალაქი, სტყორცნის შუქსა, ოღონდ ისეთსა ვერა, მზისა რომ არის, და აღამიანები რომ მიმოდიან, თითქოს ლანდები მიმოდიანო. აგერ აქედან, ზემოსართულიდან მაინც ლანდები არიან და მეტი არაფერი, მიცახცახებენ, მიცანცარებენ, მიქანქარებენ, მიტუსტუსებენ. იქ შენთვის არავისა სცალიან, იქ ყველას თავისი ეშხი მიაქანებს, ან ღარდი მიაქანებს, ოღონდ რაც უნდა იყოს, შენთვის არავისა სცალიან, ყურადღებას არავინ მოგაქცევს; თუმცა ყმაწვილკაცები შეჯგუფულან აქა-იქა, ისინი ყველას მიაღვენიებენ თვალსა, ხარბ თვალსა, შმაგ თვალსა, ოღონდ შენც თუ არ ააყოლე თვალი, მალევე აგაცილებენ, აგაცილებენ სხვა რომ არ გაუსხლტეთ, კვლავ მარტო დარჩები, მარტო იქნები და უკეთესიც არის, იქა სჯობიან, იმა სიმარტოვეში, სიმარტოვეში ლანდთა შორისა. და მიჰქრიან ისინი თუ მიქანქარებენ, შენს გარშემო მიჰქრიან და მიქანქარებენ, შენ იმათ ვერ ამჩნევ, ისინი შენა, მიღიხარ მარტო და იხსნება გული დახურული, გული ჩახუთული, გარეთ იხსნება, აქ ჩახუთულა, თუმცა ფანჯრებიდან სუსხი შემოდის, სუსხი შემოდგომისა, სიო შემოჰქრის, სიო შემოდგომისა, ზაფხულის სიოზე ბევრად ცოცხალი, ბევრად ცელქი, მაგრამ მაინც ჩახუთულა აქაობა, რადგან აქ ეს არის, იქ კი არაინაა ანუ ლანდთა აუარებელი, ოღონდ ყველას თავისი ეშხი მიაქანებს ანუ მიაქანქარებს ღარდი თავისი, ხო-

ლო შენ მარტო ხარ, არაფერია თუ საროც თან გახლავს, სუსხიც თან გახლავს შემოდგომისა, არაფერია ლამპიონებიც არაფერია, არაფერია რეკლამებიცა, ვერც გაარჩევ თუ როგორ მოფერადებულა ასოები, რა ფერადფერად დაკლავნილა შუქი, ვერც გაარჩევ, იქნები მარტო და უფრო ღრმადაც ამოისუნთქებ, ბევრად ღრმადა, ბევრად ხალვათადა, თავისუფლადა, ვიდრე აგერ გამოღებულ ფანჯარაში სუნთქავ. თუ შემობრუნდი ვეღარც ისუნთქებ, უფრო დაგეხუთება, დაგეზოზება გული. ის აქაა, შენს უკან ჩამჯდარა თუ ჩაქუტულა, თითქოს ძალას იკრებს, გიღარიელებს, უნდა ისეკუპოს და მხრებზე დაგაცხრესო... შეიშმუშნება, მხრები ერხევა ნაზადა; მოხდენილადა, ლამაზადა. უნდა გავიდეს, უნდა გავიდეს! შემობრუნდება, ზედაც არ შეგხედავს, კარს გამოაღებს.

— მოიცა!.. — ბიბოს ხმაა, ჩაწეული ხმაა, ჩაწეული და მოგუდული.

— რაღას მიბრძანებ?! — ჩერდება ეთერი, კარი გაუღია, კარებში ჩერდება.

— რასაც ვამბობდით...

— უკვე ითქვა.

— ყველაფერი არა...

— ყველაფერი ითქვა, ერთიდაიგივეს გარშემო ვტრიალებთ, კმარა.

— ჩემთვის არა კმარა...

— ჩემთვისა კმარა.

— ჩემთვის არა!..

— აჰა, ისევე აუწიე ხმასა, კმარა, ღღეს მაინცა კმარა... უნდა გავიდე.

— მეც გამოვალ... — ბიბო აღგება, თითქოს დამშვიდებულა, არ ერხევა არცერთი ზოლი სახისა, მაინც ჩვეულებრივად სანდომიანი ვერ არის, გადავლილი მრისხანების ლაქები შერჩენია, თვალბშიც ისევე უღგას შუქი ჭავრისა, — გამოვალ...

— მაშინ მე დავრჩები...

— რატომ?

— არ ვიცი...

ბიბო ხელებს აღარ გააქან-გამოაქა-

ნებს, აღარა ცდილობს, რაიმეს მოეჭიდოს, ისევე ჩაიკეცება სავარძელში.

ეთერი ვადის, პალტოს ჩამოიღებს საყიდარიდანა, ნატის ყავისფერ პალტოსა, საშემოდგომოსა, ვადაიცეამს ანუ — შესრიალდება პალტოში. ნაილონის თეთრი ხელთათმანები წასცივია სახელოდანა, აპკრეფს, გაიკეთებს. ფეხსაცმელებიც თეთრი აცვია. თეთრივე ბუტგულა ქუდსაც დაეძებს, მაგრამ სარკეში თვალს მოჰკრავს აფუებულ თუ ოდნავ აწეწილ თმასა: ამის განწყობილებას თითქოს უხდება, ასე უხდება, — აფუებული შავი თმა ჩაძირული ყავისფერ საყელოში, ახვეული და აფუებული საკუთარი თმა, შავი, მბზინავი, ბუნებრივად მბზინავი, საკუთარი. ქალები რომ იკორტნებოდნენ, არ აპყოლია მოდასა, თმა შეინახა, შეინარჩუნა დიდი დალალები, ახლა სხვისი თმის ჩატანება როდილა უნდა, არ ეწვალებოდა თუ როგორ შემოეხვია საკუთარი ბუწუწები ნაყიდ თუ ნათხოვარ თმის გორგალისთვისა, — არ ეწვალებოდა, იმ მოდას გადაეგლო ამ მოდას დახვედროდა წინა. ახლა მოსწონებოდა, ქუდიც აღარ უნდოდა, თეთრი ხელთათმანებიც წაიძრო, წაიყარა თეთრი ფეხსაცმელებიცა, შავებში გაუყარა ზელიცა, ფეხიცა, შავი შემოეფინა ყავისფერსა. შესახედად კვლავაც ლამაზი იყო რა თქმა უნდა, ოღონდ ქანდაკებისა როდილა გახლდათ, ფერწერისა იყო. ქანდაკებისა სხვა იქნებოდა: დამსკივინოდა ის სამოსელი... სახე უკვე გამოქანდაკებინა, გამოაქანდაკებდა შიშველ სხეულსაცა მხრებზე დაყრილი დალალებითა, იგივე გამოაქანდაკებდა, მიეგნო მაღლი მშვენიერებისა, თავიდან დაეწყო, ჩააბოლოებდა, მაგრამ რომ არ დაეცადეს, რომ აუშფვრიეს წრფელი ოცნებანი, — რაღას გამოაქანდაკებდა, ეყოფოდა განა სიმტკიცე სულისა, გაუძლებდა, ვადაიტანდა...

XXIII

ვინ უწყის ჰყოფნოდა, ვინ უწყის ვერა, ყოველშემთხვევაში მანამდის კი-

დევ ბევრი რამ იყო მოსალოდნელი. თუნდაც აი: ეთერი უკვე ქუჩაში გახლდათ. მაშინდელივით გაოგნებულად არ ითქმოდა, მაგრამ მაინც ისე ჩაიარა ლანდები, არავინ შეუმჩნევია. ისიც არავის შეუმჩნევია, ყველას თავისი სურვილი მიაქანებდა, ზოგს სიხარული შესჯდომოდა მხრებში, ზოგი ზრუნვით დატვირთულიყო; თუმცა უფრო მოხარულნი თუ ხალისიანი იყვნენ სტუმარნი საღამოს ეამისა და ამის გულისათვის სადარდელს არავინ გაიჩენდა, ხასიათს არავინ გაიფუქებდა; უკეთუ ნეტავი ვის ეკითხებოდა, მარტოდმარტო რას გამოეყვანა ქალი ვარეთა, — ასეთი კარგი და მარტო, — რას მიეშურებოდა, სად მიეშურებოდა. და მართლაც მიეშურებოდა, თითქოს პაემანზე აგვიანდებოდა; თუმცა ეს უფრო ყმაწვილკაცისათვის ითქმის, ძველი შედარებაცაა, ახლა პაემანზე ჩვეულებრივ იგვიანებენ და არც ყმაწვილებს უკვირთ, არცა ქალიშვილებსა, არც არავინ გაეშურება, სად წავა, მოიცდისო, უფრო ყმაწვილკაცები იტყვიან, გული დაუარხებინებიათ ყმაწვილებსა, კარგი ზრდილობაა, დიდებული რამ პატივისცემაა მოკრძალებისას ხომ ნულარას იტყვიან; რაც უნდა იყოს ეს მიეშურებოდა, ისე მიეშურებოდა, თითქოს... თითქოს ეს არის შვილის ავადმყოფობა შეატყობინესო, — ვთქვათ, ჰყოლოდა შვილი. მაშინ ავტოში ჩაჯდებოდა, ტაქსს გააჩერებდა, ვინც უნდა ყოფილიყო გააჩერებდა, ავტოთი გაეშურებოდა, ასე ფეხდაფეხ ვითომ რა გაეშურება გამოვიდოდა... და მაინც მიეშურებოდა და ლანდები გზას უთმობდნენ, ის ვერავის ამჩნევდა, იმასაც გზას უთმობდნენ და მერე თვალს აღარ მიაღვენებდნენ, მანამდისაც გზას რომ აუქცევდნენ, აუქცევდნენ მიუხედავად, თითქოს ბრმადა. ასე ჩათხელდა ლანდები და, როცა გზას აღარავინ უთმობდა, მაშინ მიხვდა, მარტო რომ იყო, სანაპიროზე იყო, იქავე, იმ ადგილასა, ავტო რომ ჩამოუდგა და გაიტაცა სამადლოსა. მაშინ გაოგნებულიყო მოუ-

ლოდნელი, დაუჯერებელი რამ მიახალეს, უტიფრად მიახალეს და გაოგნდა; პო მაშინ გაოგნებულიყო, ახლა მოულოდნელი აღარაფერი უთქვამთ, გაუმეორეს უკვე ნათქვამი, აღარც გაოგნებულა, მაგრამ მაინც არ იცოდა, აქ რად მოსულიყო ან დაბრუნდებოდა თუ არა შინა.

შინიდან არ გამოჰყოლია საამისო ფიქრი, მხოლოდ გარეთ გამოსვლა უნდოდა, ჰაერი უნდოდა, სუსხი უნდოდა საღამოსი შემოდგომისა, მერეღა აუჩნდა საამისო საფიქრალი, მერეღა იყო, ლანდებს რომ ველარ ამჩნევდა, ველარც იმას ამჩნევდა ველარავინა. აქ უკვე ყველაფერს ამჩნევდა: აგერა ჩამოფოთილი ხეები, გაჩაღებული ლამპიონები და მტკვარი მოლაპლაპე, შეგუბებული მტკვარი, — ორთაქალაქისი ხომ მხოლოდ საგუბრად გამოდგა და დამდორებულა ჩქარი მდინარე ავჭალიდან ორთაქალამდისა. ესეც კარგია, მდორე მდინარე უნდოდა დიდ ქალაქსა, ეს მიზანიც დაესახათ მშენებლებსა თუ დამპროექტებლებსა, აუხდათ მიზანი, ოცნებადაც ითქმოდა განხორციელებამდისა, მას ოცნებაც აუხდათ. შიდის მტკვარი დამდორებული, შიდის მიღელავს, თითქოს ასე წყალუხვი იყოს. ხანდახან ნავებიც ჩაიქროლებენ, თითქოს მტკვარი გამოცოცხლდებო, მაგრამ მხოლოდ ხანდახან ჩაიქროლებენ, მოჩვენებად ჩაიქროლებენ. ახლა არა, მოჩვენებადაც არა, მხოლოდ ლაპლაპებს მტკვარი დადუმებული, დამდორებული და დამდურებული. ესეც ასევეა, ამიტომაც თუ მოეშურებოდა, სწორედ აქეთ მოეშურებოდა, ჰოდა რაღა ბედენაა შედარებანი, — ოღონდ მაინც დარჩეს, რაც ითქვა, ითქვა, წავიდა, მორჩია, ველარავინ გამოაბრუნებს... მხოლოდ აქ უკვე სიმარტოვემ შეაკრთო. მაშინ ლანდი აუტღვა, ჩამოჰყვა დიდ ლანდსა, პოეზიის ლანდს გამოედევნა, ხანდახან თუ მიემალებოდა, მარტოდმარტო მაინც არ დაუტოვებია, მალევე მიჰხედავდა, მალმაღე გამოუჩნდებოდა. ახლა ალბათ არ იცის, ეგებ აქაც არ არის,

ეგება სამშობლოს უფლის და იგროვებს პოეზიის კალთაში, ეგება, თორემ ჩაქოვშეელებოდა. თუმცა მოიცა!... ვიღაც გადმორბის, სანაპირო გადმოსჭრა შუამდისა — ახოვანი ლანდია, თუ გაიგო და ჩამოეშველა. ასე იფიქრებს და წინ წადგება. სატყერითო მანქანა ჩაიქროლებს, ლანდს ჩამოეფარება, თუმცა ეგრე სჩანს, თითქოს ქვეშ მოიყოლა ლანდით. ეს მოჩვენება თუ განცდა მხოლოდ ერთი წამისაა, გულიც შექანდება წამისადა, მანქანა ჩაივლის და ლანდი ისევ გამოქანდება. იმას არა ჰგავს, სწრაფია, ძლიერია, დაუდგრომელია, თითქოს მოიერიშობსო: შოდის, შორბის, შორდება ბინდი ლანდისა, ახლოვდება, ცხადდება. პო იმას არა ჰგავს და ის არც არის, ეს ცხადია, ცხადზე ცხადია, ხელები გაუშლია, ხელებს შემოჰკრავს, შესმახებს, — ძლივს! — შესმახებს თუ ყვირის, ყვირის აღტაცებული, ყვირის და ატყაბუნებს ხელებსა.

— თქვენა?! — ეს ამბობს გაკვირებული.

— მე, დიახ, მე... ოღონდ თქვენა?!

— მეც მე... — დუღუნებს და შიდის თავჩაღუნული.

— მოიცათ!.. ავტო იქით გავაჩერე, დავინახეთ თუ არა გავაჩერე, მეგონა, თვალს მოგაცილებდით თუ არა, გამიხლტებოდით, არც მიიხედია, არც მომიხედია, მობრუნებაც არ შიცილია, ვაღმოვხტი და გამოვიქეცი... მოიცათ!..

— და პასუხს როდიღა ელოდება, შირბის, შორდება და ლანდად იქცევა. იქ სხვა ლანდს შეერევა. ის ლანდი ათუნთუნდება, გამოუქნდება, შემოტრიალდება და ამასთან მოვარდება. კარი გამოიღება. მიიკეტება კარი. ეს შიგნით მოექცევა. ავტო გაქანდება, მოედანზე რომ გავა, წრეს როდი შემოივლის, აღარც ვარაზისხევისაყენ შემობრუნდება, საბურთალოსაყენ აიღებს გეხსა. ეს არაფერს ამბობს. ის განაგრძობს ყბამოუღლელადა. — მაინც რა იყო, რა დამე იყო!.. არა მჭეროდა, არც შემემძლო, არ დამეჭერებინა, თუ მართლაც მოჩვენება იყო, დაე კიდევ გა-

გრძელებულიყო იგივე, ისევე მწარედ გაიმორებულებოდა; დაე კვლავაც ამოსულიყო მშვენიერი ალქი მტკვრიდანა, გავეტანე, ვეწამებინე და მივეტოვებინე პირში ჩალაგამოვლებული; დაე კვლავაც ვეწამებინე თუ ალქი იყო... ასე მსურდა და ყოველ საღამოს მოვდიოდი, ავეულ-ჩავუვლიდი სანაპიროსა, შეეჩერებოდი და გელოდი. ხან ავტოთიც აღარ მოვდიოდი, ეგება ავტო აფრთხობსმეთქი, ალქი თუ იყო, მანქანა მართლაც დააფრთხობდა, თუმცა მაშინ არ დამფრთხალამეთქი, ყველა თუ ყველაფერი მოდერნდება, ეგება ესეც მოდერნიზებული ალქიამეთქი. ასე ვფიქრობდი, რას არა ვფიქრობდი, გელოდი და ვფიქრობდი. სამსახურში ამიტყუნენ, სხვაგან უნდა მიგავლინოთო; რაღა არ ვიღონე, თავი რომ დამეძვრინა, რამდენჯერმე კიდევაც დავიძვრინე, ერთხელაც იყო ველარ დავიძვრინე და მჯეროდა, სწორედ მაშინ მოხვიდოდი, მჯეროდა, შემთხვევა დაგკარგე, მაგრამ ისიცა მჯეროდა, გამეორებოდა იგივე შემთხვევა, არ იქნებოდა, არ განმეორებულებოდა: ჯიუტად რომ გელოდი, ალბათობის თეორიის იმედით გელოდი, ერთხელ თუ ამხდარიყო, მეორედაც ახდებამეთქი, ოღონდ მომეთმინა, ოღონდ დამეძვრინა თავი, თუ კიდევ დამატანდნენ ძალასა, უნდა მიგავლინოთო. სხვა საზრუნავი აღარცა მქონდა, ჩემი სამსახურიც ამ ზრუნვითა შემოიფარგლა, როგორმე დამეძვრინა თავი, ხოლო საღამოს სანაპიროზე დავრჭობილიყავი. იყო რაღაც ქინი, რაღაც ხალისი, თითქოს აუხსნელი, ოღონდ რა ახსნა უნდა სურვილსა, რა ახსნა უნდა გატაცებას! მხოლოდ არ უნდა დამცხრალიყო ეს სურვილი, არ უნდა მიწლებულიყო, მაგრამ ილეოდა, ბოლო დროს უკვე მაინებდა ჩემი ახირება, ალბათ ილეოდა. მართალი ვითხრა, თავიდანვე მეცინებოდა, მოედანზე რომ გამოფიხზლდი და თავს მადგენ ინსპექტორები, მას შემდეგ სულ მეცინებოდა, მაგრამ სხვა იყო ის სიცილი, მეორედამერე რომ დამჩემდა, ის სულ სხვა

იყო. მაინც ალბათობის იმედს მივდევდი, მაინც მეგონა, დღესაც თუ ხვალე, როცა იქნებოდა, კვლავ გამომეტყობოდა. თუმცა მართალი ვითხრა, ჯერაც არ ვიცი, ის იყო ზღაპარი, თუ ესაა ზღაპარი, ის იყო სინამდვილე თუ აი ესაა, აგერა ჩემს გვერდით რომ ბრძანდებით და მომდევთ ისე, არც მეკითხებით, სად მივდივართ; ან რას იკითხავთ, გრძნეული თუ ხართ, წინასწარ გეცოდინებათ ყოველივე. ეს თქვენ მიგყევართ, თქვენ მიმაქროლებთ, ხოლო მე მგონია, მე აგიდევნეთ, ჩემი სურვილი დაგაძალეთმეთქი, ეს თქვენი ჯაღოა, ჩემი ვაჟკაცობა მგონია. დაე მეგონოს, ეს ასე მეგონოს, ხოლო ალბათობას რომ მივინდე, რომ ამიცხადდა, ეს ხომ ჩემი ნებისყოფისაა?... თუ ისიც თქვენია?! იყოს თქვენი, ლანდი თუ ხართ, იყავით ლანდი. ზღაპრად გამიგონია, ბავშვობაში გამიგონია, თუ როგორ შეიყვარა მონადირემ ლანდი... ლანდი თუ ალქი? დალი შეიყვარა, დაღმა ამირანი შვა... არა, ეს ყველას გაუგონია. მე კიდევ სხვა რაღაც გამიგონია, ლანდისა და მონადირის სიყვარულის ამბავი გამიგონია, თუმცა ველარ მომიგონებოდა, როგორ დასრულდა იმათი ზღაპარი, ველარ მომიგონებია, კარგი იქნებოდა მომიგონებოდა, წინასწარ მიგხვდებოდი თუ როგორ დასრულდებოდა ჩვენი ზღაპარი. თქვენ ხომ არ გახსოვთ? ყოველშემთხვევაში გეცოდინებათ, თქვენ ხომ გრძნეული ხართ. მეც მაცოდინეთ, მაინც თქვენს ხელთა ვარ, მაინც ვერ წავივალთ, მითხარით, როგორ დასრულდება ეს ზღაპარი. მალე რომ დასრულდება, ამდენს მივმხვდარავარ, ოღონდ დღეს მაინც ნუ დასრულდება, მხოლოდ ამას ვთხოვთ, დღესვე ნუ დასრულდება მეთქი! გადამიწყვიტეთ ცოტა უფრო მეტი ხნის სიცოცხლე...

ხმა უთამაშებს მაშინდელივითა, დამცინავი იერი გადასდევს ხმასა, ალაგალაგ დაეცემა ტრაგიკული მახვილი, მონომილად დაეცემა და უფრო აიწვეს დაცინვის კილო, ჰო მაშინდელივითა, ვიდრე დათვრებოდა. ახლაც თუ დათ-

ვრება... ოღონდ მანამდის ჯერ ავტო მიჰქროდა, უქცევდა ავტობუსებსა, ტროლეიბუსებსა, მსუბუქ ავტომანქანებსაცა. უკან მოიტოვა კორპუსები პოლიტექნიკური ინსტიტუტისა, სპორტის სასახლეც უკან მოიტოვა, — დიდებული სასახლე, მაგრამ არც ისეთი დიდებული, ერთ მოგზაურს რომ შეშურდა თბილისისთვისა, — სხვაც ბევრი რამ მოიტოვა, სამხედრო გზის გასაყარსა თუ შესაყართან მანქანების ჯგროში გაძვრა მახათივითა, მიუხე-მოუხვია და ვაჟა-ფშაველას გამზირს გაუთამამდა. თუმცა სითამამე მანამდისაც არ აკლდა, ეს მაინც სხვა სითამამე იყო, სიფართოვე, თავისუფალმა ასპარეზმა რომ იცის, ის სითამამე გახლდათ. გაჭირვების სითამამე სხვა რამე ყოფილა, ნერვული დამძულობა თუ ნერვული მოშლილობა ყოფილა; სხვა ყოფილა სითამამე დაღლინებისა, სულ სხვა ყოფილა, თუმცა რაღა სხვა, ძარღვებისა ყოფილა ისიცა, ოღონდ გალაღებულისა, აელვებულისა, აღტაცებულისა. აცეტებულს ნელარ მივადევნებთ, თუმცა ის უფრო აცეტებულსა ჰგავდა. — ჰგვანებოდა, აცეტებულოყო, იტანდა ფართო გამზირი, აცეტებულსაც იტანდა. მერე გაწყდა გამზირი, გაწყდა ქროლვა აცეტებულისა, კვარტალებსა და კორპუსებში ჩაიხლართა ავტომანქანა; იზოტოპების ქარხანა მოიტოვა და იმას იქით ჩაიხლართა, ვიწრო გასასვლელებსა თუ მიმორეულ ეზოებში ჩაიბნა, — თუმცა სად ეზო იყო, სად ქუჩა თუ ჩიხი, ვინ გაიგებდა, ვინ რას მიხვდებოდა, წინ თუ არ დაიდებდა საბურთალოს გაშენების გეგმასა. მაშინაც გამოცდილი კაცი უნდოდა, აქაც უნდოდა გამოცდილი ადამიანი, თავისი ბინა რომ მიეკვლია. სახლები თუ ეკრეთროლებული კორპუსები ერთიმეორისაგან არ გაირჩეოდა, არც ეზოები თუ ქუჩები გაირჩეოდა, არაფერი გაირჩეოდა, ჩაიბნეოდა თუ ჩაიკარგებოდა ახალმოსული, არიანდას ძაფი თუ არ ექნებოდა. თუმცა იქ მიგნება თუ გაძნელებულიყო, იქიდან გამოგნება არ იქნებოდა ისევე ძნე-

ლი, ვაჟას გამზირზე გამოდიოდა ყველა ბილიკი. ამიტომაც ეს გულისყურსაც არ მიაღვენებდა, თუმცა აქამდისაც არაფრისთვის მიუღდევენებია გულისყური, — ის ლაპარაკიც შორეულივით მოესმოდა, მართალია სიტყვები არ გამოჩენია, არც ხმის თამაში გამოჩენია, მხოლოდ აზრისთვის არ მიუყოლებია გულისყური. არც ის გაუგია, რომ ეკითხებოდა, პასუხიც არ მიუცია რა თქმა უნდა, თუმცა იმასაც არ უნდოდა პეპასუხება, ენადგაკრეფილიყო. ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა და იხლართებოდა კორპუსებშია.

საღღაც შეჩერდა. მოვედითო, თქვა. ეს დასკვნაც იყო იმდენი ლაპარაკისა. ყოველშემთხვევაში დადუმდა, დააცხადა თუ რას იტყვისო. იტყოდა ცხადია, სად მოვედითო, იკითხავდა. არაფერი უკითხავს. ის გადავიდა. გადავიდა ესეცა. იმან გზა გაუთავაზა. ეს გაჰყვა. შევიდნენ ბოლო სადარბაზოში, თუმცა შეიძლება თავიც იყო, — რაც იყო, იყო, ერთი სიტყვით შევიდნენ, აჰყვნენ, იარეს, იარეს, შეჩერდნენ მეხუთე სართულზედა; მეხუთეზე შეჩერდნენ, ოღონდ მესამედ ითქმოდა ძველებური სართულების სიმაღლითა. კიდევ ორი რომ ევლოთ, გულიც ამოვარდებოდათ, ჯერ თუ არა მერე, მოხუცობაში მაინც ამოვარდებოდათ გული, ამიტომაც თუ ჩაუდაბლებით სართულები, აღმინისათვის დიდი ზრუნვით ჩაუდაბლებით. ზოლო სული თუ შეეხუთებათ, ეგეც არაფერი, ფანჯრები დააღონ და მოითქვან სული. აქ მაინც არ უნდა შეხუთულიყო სული, შიგ არაეინა სუნთქავდა, არავინ იყო, იდგა სიცივე მარტოხელობისა, იდგა სუნი კედლებისა, ავეჯისა, — ახლათ-ახალი ავეჯისა, კედლებიც ხომ ახალი გახლდათ. სამზარეულოში ქურა არ გაღვივებულოყო, ომშივარი არ ასულიყო ჭვავებიდანა, პური არ დაიბებულოყო კიღობანში, მხოლოდ აბაზანის კართან მოსჩანდა ცოტაოდენი ქუქკი, შიგინთაც ეყარა დაჭმუჭუნულ პირსახოცები თუ გამოცვლილი მაისურები, აქეთ საწოლიც არ იყო დალაგე-

ბული, მაგრამ წინა ოთახიდან, — ალბათ სასტუმრო თუ ეთქმოდა, — არაფერი მოსჩანდა, თუნდაც გამოჩენილიყო, ვერას მოაკლებდა მარტოხელობის სიცივესა თუ უკაცრიელობის სუნთქვას, ამ ბინაში რომ დაბუღებულყო. ის მაინც დატრიალდა, ყველა კარი გამოალო, მიაჯახა, მოაჯახა, აქეთ გავიდა, იქიდან გამოვიდა, იქითვე შეტრიალდა და აქეთ ამოპყო თავი; რომ ჩაიკარგებოდა, ისმოდა ხმაური, ყველაფერს ეხლებოდა, თითქოს უნდა ყველაფერს ფეხი ადგვევინოს, დასძრას მთელი ბინაო. ცხადია ამდენიც ვერ მოუხერხებოდა, მაგრამ რაც იყო, იყო, ერთი ბოთლი „ენისელი“ მაინც შემოიტანა და ისე შემოიტანა, თითქოს მოულოდნელად აღმოაჩინა ან ნადავლიდან ერგოო. რა თქმა უნდა უფრო მოულოდნელი უნდა ყოფილიყო, თანაც — მისწრება, ასეთ შემთხვევაში უკეთესს ვერაფერს ინატრებდა.

ეს აუკვირვლად იჭდა... შემოვიდა თუ არა, ჩამოჯდა სკამზე, ჩამოჯდა და მოიბუზა, პალტოს კალთები შემოიტმამსნა მუხლისთავებზე. მოიბუზა და გულზელი დაიკრიფა, სახელოებში გაუყარა ხელები. ის ატეხილი ხმაურიც ესმოდა, ეს აღმოჩენის სიხარულიც არ გამოჰპარებია, მაგრამ არ აპყლია, არ გამოსცილებია თავის ფიქრებსა: ვერას მიმხვდარყო, ველარ გაეგო, კედევ დაბრუნდებოდა თუ არა შინა, ვერ გაეგო და ვერც გამოსცილებოდა თავის ფიქრებსა. ის ეუბნებოდა, გრძნეული ხარო, ჩემი ბედისა მითხარი რამეო, ამას თავისიცი ჭერა გაეგო. იმას სახე გაჰხსნია, „ენისელს“ ხსნის და სახეც გახსნია, მოუღებია, მაგიდისაკენ წამოიწყო, სთხოვს თვალითაცა და ენითაცა. ეს თავს აქანებს, თავის ფიქრებს თუ ეუბრება, იმასა ჰგონია, მე მეუარაო, ჰგონია და წამოჰკრეფს ჭიქებსა, აიტაცებს ბოთლსა, ორ სკამსაც აიტაცებს, იმასთან მიდის, ერთ სკამზე ჯდება, მეორეს შუაში ჩადგამს. იმაზე დააწყობს ბოთლსა და ჭიქებსა, — ჯერ ისე კარგადაც არ მოეწყობილვარ, მისაჩოჩებ-

ლი მაგიდა არ შემოძენია, ჯერ ასე იყოს, ნუ მიწყენ, მერე უკეთესად დაგვხედებიო.

— ახლა ეწყობით? — ეს იკითხავს, ისე უბრალოდ, გულგარეშე იკითხავს, ბოლოსდაბოლოს რაღაცა ზომ უნდა ითქვას.

— ახლა... უკეთუ მაწყობენ.

— კარგია, მზრუნველი თუ ჰყავს აღამიანსა.

— ზრუნავენ ჩემიანები, ცალკე გამოიყვანეს, ამ საამხანაგო სახლში გამოამწყესეს, მარტო რომ იქნები, ოჯახს მოისაკლისებ, მოეკიდები ოჯახსაო.

— მოეკიდებით...

— ვინ იცის...

— აღამიანს მარტობა უჭირს.

— და აქ არც შემოვდივარ, თუ შემოვდივარ, დასაძინებლად. იქ მაინც ვერიდებოდი, მეტისმეტადაც არ ვიგვიანებდი, აქ ვის მოვერიდო?! იქ ვერც ვერავის მივიყვანდი... მეგობრებიც ვერ მომყვებოდნენ ეგრე ხალვათადა. აქა? როცა უნდათ მოვლენ, ვინც უნდათ მოიყვანენ, როგორც უნდათ ილხენენ, მეც რომ არ ვიყვე, გასაღები აქვთ... ბინა კი არა, ხავერაა. არ გაუმართლდათ ჩემიანებსა.

— გაუმართლდებათ...

— ვინ იცის... თუმცა მე ვიცი, ვშორდები იმათს მიზანსა, ყოველ დღე, ყოველ წუთს, ყოველ წამსა ვშორდები.

— ერთხელაც იქნება ერთის ნახტომით ამოავსებთ ამ დაშორებასა.

— მაგ ნახტომს დიდი ძალა უნდა.

— აღმოვაჩნდებათ...

— დარწმუნებული ხართ?

— რა მოვახსენოთ...

— რა თქმა უნდა თქვენც არა გჯერათ... თუმცა რა სალაპარაკოა! — ჭიქებს გაავსებს, — დავლიოთ ჩვენი მოულოდნელი შეხვედრისა! — და თავის ჭიქას გამოსცლის ერთის მოქნევითა.

მოსვამს ესეცა, იმდღევანდელზე მეტს მოსვამს, შუამდის მიიტანს პატარა ჭიქასა.

— დაღევა ვისწავლიათ! — მოწონებით ამბობს მასპინძელი.

— არა... ეს ისე... უნებლიედ... მეტს არც დავღვივებ.

— უნებლიედ მეტიც შეიძლება.

— შეიძლება, მაგრამ მე უნებლიე აღამიანი არა ვარ.

— წამი ხომ გამოგერიათ?

— წამი წამია...

— ცხოვრება წამებისაა...

— ჰა, ჰა, ჰა... — ოდნავ იცინის, — მოსწრებელი ნათქვამია.

— მოსწრებელი იყოს, თუმცა მე პირდაპირი მნიშვნელობითა ვთქვი, — ბოთლს აიტაცებს, შეათამაშებს, ამის ჭიქისაკენ წამოიწევს ბოთლი.

— ნულარ დამისხამთ!

— კეთილი...

— ნულარც თქვენ...

— რატომ?! — ბოთლს დაუშვებს და ისე ევითხება, — თქვენისა თქვენ იცით, მაგრამ მე თუ მსურს, რატომ არ უნდა დავლიო?

— სურვილის აყოლა ვაგაკობა როდია.

— აბა?!

— ვაგაკობა დაოკებაა სურვილისა.

— სურვილს გააჩნია. აქ ისეთი რა არის?

— სურვილია. სურვილი სურვილია, მცირეში სუსტი, ისუსტებს დიდშიცა. აი თუნდაც თქვენი მაგალითი: ჭიქა მცირეა, ოჯახი დიდი, ჭიქაში სუსტობთ, სუსტობთ ოჯახშიცა. ნებისყოფა არა ვაქვთ, ოჯახს რომ მოეკიდოთ, ძალა არა გყოფნით და ქარაფშუტულ სურვილებს ასდევთ. მომიტყევთ, ასე რომ ვამბობ, მაგრამ სხვანაირად როგორღა ვთქვა?

— ჭიქის მადეგარი ვერც მოეკიდება ოჯახსათჳს.

— რათა... მე ქარაფშუტობაზე მოგახსენებთ.

— სულერთია ოღონდ ეს დიდაქტიკა ხშირად მომისმენია, თქვენ მაინც ნულარ გამიმეორებთ.

— მომიტყევთ... სიტყვამ მოიტანა და...

— სიტყვავე გააბრუნებს. თუმცა რატომღო, რახან მოიტანა, მოიტანოს:

ისეთი რა ვახდა ე ოჯახი, ყველა ამას რომ მიქადაგებს?! განა უოჯახო ცხოვრება არ შეიძლება?! რატომ უსაფრთოდ მეც უნდა გავამრავლო, განა უჩემოდ ვერ გამრავლდებიან?!

— ეინ?

— ხალხი.

— რომელი?

— რომელიც უნდა იყოს...

— იქ, თავიანთ მიწაწყალზე როგორც ენებოთ, მაგრამ აქა?!

— ამოა, დიდი ერები გადასძოვენ პატარა ერებსა, ოცი ვაეიც რომ გავაჩინო მეუფ ნოშრევაჩივითა, მაინც გადასძოვენ, ერთი ყბის მოქნევა უნდა, მხოლოდ ერთისა. ნუ იტყვი, ოცი ოცჯერ ოცს გააჩენსო, პროგრესიები იქ უფრო მოქმედებს.

— უკვე სხვა დროა, სხვა საუკუნეა, ჩვენს თვალწინ ჩნდება ისეთი ერები და სახელმწიფოები, განათლებულმა ადამიანებმაც რომ არ იცოდნენ იმათი არსებობა.

— ჩნდებიან იმიტომ, რომ გადასძოვონ; ეს საძოვრების აღმოჩენაა, დიდ ჯოგებს საძოვარიც დიდი უნდა.

— ხატოვანი გამოთქამა.

— ხატოვანია და ხატოვანი იყოს, ყოველშემთხვევაში მე არა ვცდილვარ, რაც ენას მომადგა, ვთქვი და ეგ იყო... სხვათაშორის ერთი მეგობარი მყავს, ჩემი ჭკუისაა, ჩემი არიფანისა, ჩემსავითვე აუტყდებიან ხოლმე, ცოლი შეერთეთ; აუტყდებიან ხოლმე და ისიც დამშვიდებით უხსნის: ჩემი მშობლები სულ ამას დამძახოდნენო, ალალი იყოს ჩვენი ამაგიო, შეგერგოს ჩვენი ამაგიო; ჰოდა ოჯახს რომ მოვეკიდო, შევილებს რომ შევალთო ჩანი და ღონე, რაღა უნდა შემერგოსო, ჩემს მშობლებს ვუმტყუნებ და განა მე ისეთი უმადური შვილი ვარ, მშობლებს ვუმტყუნოო, — არაო, შეგერგოსო რომ დამძახოდნენ, კიდევაც უნდა შევირგოო.

— ეს არც ისე გონებაშახვილურია.

— არა?!

— თქვენ მაინც იცინით, ათასჯერ ამბობთ, ათასჯერვე იცინით...

— ასეა...

— ცინიზმი.

— იყოს.

— რად იყოს?! მძიმე სენია, ერს თუ დაღუპავს, ცინიზმი დაღუპავს. — კიდევ უნდა ითქვას, ოღონდ ჯერ მიაჩერდება, აბა რას მომიგებსო. ის თვალებს დახუჭავს, არას მიუგებს, ძალიან მაგრად მოხუჭავს თვალებსა, ისე მოხუჭავს, თითქოს უნდა ჩაიბრუნოსო, მაგრამ ცხადია ვერ ჩაიბრუნებს, ხოლო რომ გაახეღს, გაახელს სულ სხვანაირადა, — ნაპერწყლებს ამოიტანს, ხალისს ამოიტანს, გარდაიქმნება.

— ამისათვის შეგვხვდით?! ვეკამათოთ?! თუ ღმერთი გწამთ, დამხსენით ამ ზრუნვასა! საამისოდ სხვა ადამიანები გაჩენილან, თავში ქვა იხალონ და იბოვნონ გამოსავალი. — წამოიჭრება და შემოპროწილდება. — სადაც ზრუნვაა იქ აღარც არის ეშხი სიცოცხლისა. ქვეყნად ამდენი სილამაზეა, ამდენი სიტკბოა...

— მაინც რამდენი?

— რამდენიც უნდა იყოს, ერთიც რომ იყოს, დავტყბეთ იმ ერთითა, ზრუნვით რატომ უნდა გავიფუჭოთ სიცოცხლე?! — კიდევ შემოპროწილდება თითქოს ვიღაცას ეთამაშებაო, მერე ცეკვა-ცეკვით უახლოვდება სტუმარსა, ხელს გაუწვდის. ეს არ მიაწოდებს ხელსა, კალთაში უყრია თითქოს მოწყვეტილი ორივე ხელი. პალტოც ისევ აცვია, თუმცა ისევე მოხუჭული როდია ზის, არც გაღადებისა ეტყობა რამე, არის, ისე, როცა ადამიანს არც არაფერი სურს, არც არაფერს ეუარება. ის დაიხრება, დასწვდება ამის მარჯვენა ხელსა, ფრთხილად დასწვდება, თითქოს რაღაცისა ეშინიანო; შეკრთება, ოღონდ ეს კრთომაა გაოცებისა თუ სიხარულისა, ან ერთისაცაა, მეორისაცა, ამავე ორი განცდით ამოიძახებს, — როგორ მეშინოდა!

— რისა?!

— მაშინ ისე ცივი იყავით!.. — მერე ხელსაც მიატანს, სინჯავს, ფრთხილობს,

მეჩვენება თუ მართლა თბილი ხელი მიბყრია ხელთაო.

— ახლა არა?!

— არა, რა თქმა უნდა, არა! — მაგრამ რაღაც საოცრება ხდება, უეცრად გაქვავდება ქალი და ვაჟის ხელებშიც ჩაიკვდება ხელი ქალისა, ლამაზი ხელი თითქოს ყინულის ლოლუებიაო. ვაჟს შეაჯანკალებს. თავს დასძლევს, ეფერება ყინულის ლოლუებსა, ეფერება, თან შიშობს, წვეთა არ დაიწყოსო, წვეთ-წვეთად არ ჩამელიოსო. — მართლაც გრძნეული ბრძანდებით! — შესძახებს, — მაგრამ ნუ... ახლა ნუ... ნულარ! ხომ განვიცადე, ხელმეორედ ნულარ განმაცდევინებთ! — მხურვალე ვედრებაა. ილიმის ქალი, იგივე იმილი დაუგლის სხეულსა, ჩათბება ხელი, ლამაზი ხელი, ვაჟაკის ხელებში ჩათბება. — აჰა!.. — შეჭკიყინებს ვაჟაკი, შეჭკიყინებს და აიტაცებს. ესეც აჰყვება, ისევე პალტოიანი აჰყვება... მერე დაცვივა სამოსი, დაცვივა სათითაოდა...

X XIV

ერთიც ვნახოთ მოულოდნელად რაღაცამ დაიგრგვინა და გათავდა ბურანი თუ მირინდება, გამოფხიზლდა ქალი, საბანი გადაიძრო, წამოდგა... იმას ეძინა, გულადმა იწვა, ეძინა, ქუჩიდან შემოღწეულ ლიბრ შუქში ეძინა; როგორღაც გაფუებულიყო, ვანს გაწეულიყო, დამგვანებოდა გოლიათსა, ციხე რომ აეღო, მისვენებულიყო დაღლილი, ნათმარი და ძილშიც ჩაჰყოლოდა სიხარული გამარჯვებისა. ამას ცერაღაც არ მიუხედნია იმისკენა, მხოლოდ ცდილობდა, არ აჰყოლოდა ხმაური, — ფრთხილად ჩაიცივა, ფრთხილად გააპარა ფეხი, წვრილი ქუსლები არც მიაკარა იატაკსა.. ისე მაინც ვერ გავიდა, სარკესთან რომ არ შეჩერებულიყო: შეჩერდა და თმა შეისწორა, შეისწორა და ვერც შეისწორა, ფანჯრებიდან არეკილი შუქი არა კმაროდა თმის დასაწყობადა. გარეთ უამ-

რავი ნათურა ენთო, ბრიალებდა ეს ვე-
 ება უბანი, ახალი უბანი დიდი ქალაქი-
 სა, მაგრამ აქამდის მაინც ოდნავ აღწე-
 და შექვი, ლიბრად შემოდითოდა დაბალ
 ფანჯრებში, დაბალ ჭერქვეშა, ლიბრად
 ეცემოდა სარკესაცა და სახე მკაფიოდ
 როდი მოსჩანდა, სხეულიც არ მოსჩან-
 და კანთიელადა, თითქოს ლანდი ჩამდ-
 გარიყო სარკეში, ლანდი შემოსცქერო-
 და, შემოსცქეროდა სამღურავის თვალი-
 თა; ხოლო ეს მკლავებს რომ ასწევდა
 თმის შესასწორებლად, უცნაურად იგ-
 რიხებოდა ის ორეული თუ ის პირველ-
 ეული, იგრიხებოდა და მახინჯდებოდა
 ლანდი იგი; ერჩივნა დაჰხსნოდა თმასა,
 ჩამოეყარა მკლავნი, სიმახინჯე გადაიე-
 ლიდა, ოღონდ სამღურავი არა, ეგრე
 ადვილადაც არ გადაივლიდა, სამღურა-
 ვი ან სულაც არ გადაივლიდა, ჩიცხადეც
 ვეღარ მიავებდა თუ სიცხადე დაკარ-
 გულიყო... დაკარგულიყო, შესცოდა და
 აღარ გააჩნდა სახიერება, ვაკყროდა ზო-
 რცი თუ მშვენიერება, დასცილებოდა,
 დაშორდებოდა, საიდანაც შორიდან
 თუ შემოსცქეროდა დამღურებული, სა-
 ყვედურითა და მუნათით აღსაქსე. მაგ-
 რამ ამას ვის ემღუროდა, ვინ იყო ესა ან
 ის ვინ იყო? ერთი იყვნენ, ეს ის იყო,
 ის იყო ესა, ერთი იყო ის შორეული თუ
 აქ დაშთენილი, იგივე ლანდი იყო, იგივე
 ერთი და განუყოფელი, აქამომდე ხო-
 რციელი იგივე იყო, აქამომდე ხორციე-
 ლი და კანთიელად გამოსახული; გამქ-
 რალიყო მკაფიობა იგი, კანთიელება იგი,
 შეეცოდა და გამქრალიყო; სხივად შე-
 მოვლებოდა, სიწმინდისა და სიფაქიზის
 სხივად, შეეცოდა და მოსხლეთოდა,
 მოსცილებოდა. იგივე სხივი კანთიელო-
 ბისა, სახიერებისა რომ იყო, სილამა-
 ზისაც გახლდათ და თუ მოსხლეთოდა,
 მოსცილებოდა, უსახობად უნდა დაშ-
 თენილიყო, ხოლო უსახობა სიმახინ-
 ჯე ყოფილა. მშვენიერი გადაქცეულა
 სიმახინჯედა, ოღონდ პირუკუ არასო-
 დეს მომხდარა, მშვენიერი დაშლილა,
 ხოლო ნაშალი არასოდეს შედგენილა
 მშვენიერადა, დამსხვრეულა მშვენიე-

რი ქანდაკებანი, მაგრამ შეკოწიწებული
 ნამსხვრევები მშვენიერება აღარა ყო-
 ფილა. განა არა? აი, აჰა, ასწიოს მკლავ-
 ვები, მისწვდეს თმასა, თმა შეისწოროს,
 — სიმახინჯის მაგვარად იქცევა; სხვა
 რამე სცადოს, რალა თმას მიეციევი-
 ვართ, რაც უნდა სცადოს, მორიდგევა
 ლანდი, მოიშლება, სულ მოიშლება და
 ისევე სიმახინჯე სჯობნებია მთლად მოშ-
 ლასა, — სიმახინჯე მაინც სახიერება
 ყოფილა, თუმცა შესაზარი და არცთუ
 სასურველი. არა, რაც უნდა დემარ-
 თოს, ოღონდ ამორდეს სიმახინჯე,
 ოღონდ ამორდეს, არც შეირხევა, იდ-
 გება ასე, თუნდაც გაქვავდეს, მხოლოდ
 მოსწვდეს, კიდევ ერთხელ მოსწვდეს
 საიდანმე მოსხლეთილი სხივი სიწმინ-
 დისა, სიფაქიზისა, კანთიელობისა, —
 სილამაზის სხივი...

გარეთ კვლავ რაღაცა დაიგრიალეს.
 სადღაც გასვლება, თითქოს იქუხაო,
 ჭუხილოვითვე გადაივლის და მიიღევა.
 ეს შეძობგინდება, გადაუვლის გარინ-
 დება თუ გაქვავება. დროა წავიდეს, დი-
 ახაც დროა, საფიქრალი აღარაფერი
 აქვს, უცებ გადაწყდა დიდი საფიქრა-
 ლი: ბიბოსთან აღარ დაბრუნდება, ვე-
 დარ დაბრუნდება, ეს ოჯახობიანაც მო-
 თაუდა, მორჩა, გამოეშვა ამ უღლიდანა,
 დაავდო უამური ჭაპანი, შესცოდა და
 გამოეშვა, დაავდო, საფიქრალი რაღაცა,
 მწვავე შინაგანი ჰიდილი რილასი მაქნი-
 სია, — შესცოდა და გადაწყდა. დეიდა
 სალომეს მიუბრუნდება, დედაც იქაა
 შეხიზნული, ესეც მიუბრუნდება. ხვალ
 ახალი დღე გათენდება, იმათთვის გასა-
 ოცარი და ამფორიაქებელი, ამისთვის
 დღე სინანულისა და წუხილისა — რო-
 გორ შევეცოდე, რა დამეშართა, რამ მაი-
 ძულაო. მაგრამ ეს ხვალინდელი დღისა,
 ხვალინდელისა და ხვალის ხვალინდ-
 ელისა, ზეგინდელისა და ზეგის ზეგინ-
 დელისა, ხოლო ახლა თავი ეზიზღება
 და სად დაიმალოს, აღარ იცის. ვერც
 დაიმალება, უნდა გაჰქრეს, სამალავი
 ვერ დაიფარავს, ვერსაით წაუვა იმ
 მოსხლეთილ და ჩაბინდულ სახეებასა,
 ლანდად რომ ქცეულა და ვითომ სარ-

კეში ჩამდგარა. სარკე რა ბედენა ანუ სარკეა ყველაფერი, ყველაფრიდან შენივე სახე შემოგცემრის თუ შენივე სახეს ჩასცემრისხარ ყველაფერში ანუ მოსხლეთილ სახებას უხმობ და ნატრულობ; უხმობ და ნატრულობ, თანაც გწადიან, გაექცე, გრცხვენნიან და უნდა გაექცე, შესცოდე და უნდა დაემალე, ვერ დაემალე და უნდა გაქტრე; უნდა გაქტრე, თორემ ვერ გაუძლებ, სად დაიმალები, რომ არ მოგაკითხოს და არ ჩავაცივდეს: სიცხადე მოგანიჭე, მოგაბარე სიწმინდე და მშვენიერება, როგორ გასწირე, რად ვერ დაიფარე, ნუთუ ესოდენ ძნელი იყო? ძნელია განა?! თუ შენთვის გამოდგა დიდად საძნელიო? — ჩავაცივდება და ვერაფერს მიუგებ. ჯერ წყნარად არის, არ მიუბზიხარ, არ ემალები და წყნარად არის, არას გაგრძობინებს, არც ებრალები, არცა გგმობს, მხოლოდ გეწევა, წამოდიო, მიატოვე აქაობა, მალე გამოშორდი ადვილსა ცდუნებისა, მიატოვე, წამოდიო მალეო. ბაგე არ მოუჩანს, თვალცი არ მოუჩანს, ხმაც არ ისმის, როგორ გაგებინებს, ძნელი სათქმელია, თითქოს ლამობს როგორმე გიხსნას, ოღონდ არ უნდა თვითონ შეიბღალოს... ეგება არც უნდა იხსნას?! მამ რად მოსულა?! ან რად მოსხლეთია, რად წისვლია?! თავს თუ ადგა, რად არ უბატრონა, რად მიიყვანა ცდუნებამდისა?! მაგრამ ეს სახვალეო სულისკვეთებაა, ხვალინდელი დღისაა, მომავალი დღეებისა, ახლა მხროლოდ თავი ეზიზღება და თუ ვერ გაქტრება, ვერც გადიამალება, აქედან მაინც უნდა გაიქცეს. და გარბის, აღარაფერს ერიდება, რაღაცას წამოედება, ბაკი-ბუკი ხომ მთელ ბინას შესძრავს.

იმასაც გამოაღვიძებს, წამოაჭრება, შუქს ანთებს იქვე, საწოლში, სასტუმროში, ღერეთანში, მორბის და ახალებს ნათურებსა. ეს უკვე კართანაა, წამიც რომ დასცლოდა, გაალებდა, გავარდებოდა, წავიდოდა, მაგრამ აღარ დასცალდა ის ერთი წამი, შუქი დაეცა და

მიიტუქვა კართანა, თითქოს შუქმა მოსტრა თვალი და მუხლი მოსწყვეტა...

— მიდიხარ!

— მივდივარ...

— ასე უთქმელადა?!

— რაღა მეთქმის?!

— ნახვამდის...

— აღარასოდეს!..

— გამომშვიდობება მაინც წესია...

— გამომშვიდობებაში მაინც არის სურვილი...

— და იყოს!

— აღარასოდეს! — ის ახლოს მიდის. — არ მომეკაროთ! — მძაფრად შესძახებს და კანკალებს ქალი, თითქოს ტალღები მიხეთქებია; უნდა წარიტაცოსო, თითქოს ეს ხავსსლა მოსკიდებია, აი, აჰაა, ხავსიცა წყდებაო.

— მიინდა, ვითხრა...

— არ მომეკაროთ!

— აჰა, შორს გავდექი, — უკანუკან იხვეს, — ოღონდ მომისმინე...

— ჩაიცვიო! — ბრძანებს ქალი, თითქოსა მხნევედება, ხმას რიხი ამოჰყვა და ხმის კილო თუ ამხნევეებს, თითქოს მუხლიც მოუმაგრდება, წელშიცა სწორდება, შემობრუნებით არ შემობრუნდება, ისევ ისეა, პირით კარისკენა, შუქი ზურგიდან დასცემია, კარს აკვერია ლანდი, აკვერია და გაყინულა. არის ასე ურხვეული, თითქოს დამშვიდებული, შინიდან აჩქარებული ხმა გამოისმის:

— ჩაიცვიო. — ფეხიც ახლოვდება, სუნთქვაც ახლოვდება.

— გისმენთ! — ეს ამბობს, ამბობს ცივად, გამაცივებლად, ფეხი აღარ წამოდგაო.

— შემობრუნდი, დაესხდეთ, სული მოვითქვათ.

— გისმენთმეთქი! — ზედმეტს დაეხსენი, თქვი თუ გაქვს სათქმელი რამე, თუ არა და აჰა, მივდივარო.

— თუ გნებავს, მერე იყოს. — რახანა ჩქარობთ, მერე იყოს, მერეც შევხვდებითო.

— აღარასოდეს! — შეირხვევა ასე, აი კარს ვალებო.

— მოიცა! — შესძახებს ცოტა არ

იყოს შეშინებული, ფეხსაც წასდგამს, გაიწვდის ხელსა.

— არ მომეკაროთმეთქი! — ესა ბრძანებს და გაიყინება წამოწვდილი ხელი, არის ეგრე გამეშებული, ვეღარც მისტანებია, ვეღარც ჩამოვარდნილა.

— უცნაურია, — ამოსთქვამს ეგრე ხელგაწვდილი და შეწუხებული.

— ახსნა-განმატრებას დაეხსენით, თქვით თუ ამბობთ.

— ასე რა გითხრა, როგორ დაგარწმუნო, შენ მირბიხარ, მე მოგდევ...

— თქვენი

— თქვენი?

— თქვენი

— ...მირბიხართ, მოგდევთ, კეთილი, ეგრე იყოს, ოღონდ მეგონა...

— ზღვარი მოიშალა?

— დიახაც!

— არის დაივიწყეთ ყველაფერი!

— ასეთ რამეს არ ივიწყებენ...

— ყმაწვილები. თქვენთვის უცნაური არაფერია.

— თქვენა ხართ უცნაური.

— კმარა!..

— მოიცათ! ასე თქმა ძნელია, შე-
მომხედეთ მაინცა.

— თქვით! — არ შემობრუნდება.

— კეთილი... დარჩით.

— ჰა, ჰა, ჰა... — ცივი სიცილია, შორეული, თითქოს კართან არ გაისმის, საიდანღაც მოვარდა, უცბად ჩაიფლრა და უცბადღვე გადაიკარგაო.

— დარჩით ჩემს დიასახლისად და ქალბატონად.

— ჰა, ჰა, ჰა... — იქიდანვე მოვარდა და იქითკენვე გადაიკარგა.

— არ გეხუმრებით, ნურც გაგიკვირდებით, თუ გადაწყვერდით, ასე უცბად უნდა გადაწყვერდითა.

— ჰა, ჰა, ჰა... — უფრო შორისაა, უფრო ცივიცაა.

— თქვენსას არაფერსა გკითხულობ, ვინა ხართ, რა ხართ, ეგება ქმარშვილიცა ვყავთ, არასა გკითხულობ, ოღონდ დარჩით, ვერ დარჩით, მერე საამისო დროც ბევრი გვექნება.

კვლავ უფრო შორიდან მოისმის,

ოღონდ სიცილის მაგვარი რამ როდღა მოისმის, თითქოს ამოკენესაა...
ლანღია
ამოკენესა.

— ჰა?!

ყველაფრის დრო გვექნება... ჩემიანებიც დაშვიდდებიან, მეც დავშვიდდები. კარგი იქნება ყველსათვისა.

— ჩემთვისა? — შორიდანვეა, ამოკენესაა და ამოკენესას შორის ამოკენილი.

— შენ... თქვენთვისაცა.

— ჰმ!.. — ეს ახლოსაა. წინ წაიწვეს გაწვდილი ხელი, აი თითქოს უნდა შეეხოსო. — არ მომეკაროთმეთქი! — მტკიცედ შესძახებს და შემობრუნდება, შეანათებს ცივზე ცივ, მსუსხავზე მსუსხავ თვალბესა, — არც გამოძევეთ, აღარ მეძებოთ, აღარსად შემხვდეთ! თუ დაშინახოთ, ამარიდეთ თვალი...

— რატომ?!

— ნურც იკითხავთ, ნურც ეცდებით თქვენვე რომ ახსნათ.

— რატომ?!

— ნურცამეთქი!..

— აღარაფერი გამეგება.

— უკეთესია.

— სჯობს, ვიცოდე.

— არა!.. — ეს თვალბეს დაჭბრის, ცოტასა მღუმარებს და მერე ღუღუნებს, — მოშეცით მანქანის გასაღები.

— მე წავიყვანთ.

— არ გამოძევითმეთქი. — მკაცრად შეჰხედავს, დატუქსავს თვალითა, უჩრჩობას ნუ გამიბედავო. — ნუ გეშინიათ, მანქანა დაგიბრუნდებით, ვინმეს გამოვატან.

— არ მეშინიან.

— ყოველშემთხვევაში გაიძვდებით.

— არ მეშინიან, თუნდაც თქვენი იყოს, ფეშქაშ!..

— ჰა, ჰა, ჰა... — უკვე აქვე გაისმის, გაისმის დამცინავად, — ნუთუ ასე ასაჩუქრებთ?!

— ამ ერთხელ მაინც...

და შეძიძვინდება ქალი, ვრჯოლვა დაუგლის, შეძრწუნდება, — ეგონა ძრწოლა ხვალისა იყო ან თავს ირწმუნებდა, ხვალისააო და აქამდის გასძლო,

იღგა მტკიცედა, ვითარცა ქანდაკება შეუვალი ქალისა, აქამდის იღგა, აქამდის გასძლო და კიდევაც გასძლებდა, აიტანდა, უნდა აეტანა, ვიდრე გავიდოდა აქედანა, ამაყად შემოვიდა, ამაყადაც გავიდოდა, ცივად შემოვიდა, ცივადვე გავიდოდა, მერე სხვა იქნებოდა, მერე რაც უნდა ყოფილიყო, თუნდაც გამგმირავი ყოფილიყო დღე ხვალინდელი; მაგრამ აღარ დასცალდა ხვალამდისა, რალაც ემართება, გული ებობა თუ ეფლითება სხეული... ხოლო ის იღმის, ამაყად მოუღერებია ყელი, თავი მოაქვს რჩეულ ვაჟაკადა, რჩეულადა და რჩეულთაგან რჩეულადა, მაშ რაო, ვის გაუცია ასეთი საჩუქარი? — თუ გაუციათ, იქითელთა, ეგ არაფერი, აქეთ, აქეთელთაგან, ვის გაუცია? ნუთუ არ მოეწონება, ნუთუ არ დარჩება?! შეჰყურებს ისე, სჯერა დარჩებაო; ჰო იმასა სჯერა, ხოლო ესა ძრწის, ირღვევა, იშლება, აღარაა ქანდაკებისა, — ფასადაც იქცა?! ძვირფასადა, მაგრამ მაინც ფასიდა, ცდუნებამ დაადო ღირებულება?! — სახსრები ეშლება, ირღვევა, აი, აბა, აქვე დაცვივა ნაწილნაწილადა; მაგრამ არა, აქ არა, უნდა გაასწროს, უნდა გავარდეს, დაინგრეს სხვაგანა, დაე დაინგრეს, ოღონდ აქ არა... შემობრუნდება, კარს გამოჰგლეჯს და ვარბის, ჩარბის, თითქოს ჩაჰფრენსო. მისდევს ესეცა, მიმხვდარა, ცუდად რომ გამოუვიდა, ემუღარება, მოიცადოს, ნუ დარჩება თუკი არ უნდა, ოღონდ ცოტა მოიცადოს, უნდა დაარწმუნოს, კეთილი გულითა ვთქვიო, შეურაცხყოფა არა მნდომიო, — ენუკვიშ მიუტევოს, ეხვეწება, მე წაგიყვანო, გზად დაგარწმუნებ, შევრიგდებითო. ეს არ იკარებს, არც უსმენს, მირბის. ის მისდევს, ოღონდ ვერ შეჰხვდება, ვერ შეუჩერებია, სიტყვით ვერ შეუჩერებია, ხელი ვერ გამოუღია, ვერ გაუბედა... უკვე ძირს არიან. ეს თავისას არ იშლის, გამზირი მოუწინებია, იქითკენ აულია გეზი. გვიანაა, შორსაა, ვერაფერს გადაეყრება, ფეხით ხომ არ ივლის? ივლის, ივ-

ლის ფეხითა, ისეთია, ფეხით სიარულს არ მოერიდება, სიშორისა არ შეემჩნდება, არც არაფრისა შეეშინდება, არც არაფერს მოერიდება. ასე ვერ გაუშვებს. არც გაიყოლებს. რა იღონოს? სხვა რალა იღონოს, — ძალით შეაჩერებს, ხელს გამოუშლის და მანქანის გასაღებს ჩაუღებს ხელში: დილაზე აქ იყოსო... ოღონდ რაც უნდა იყოს, ჩვენ კიდევ შევხვდებით, უსათუოდ შევხვდებითო. — ეტყვის გულმოსული, ეტყვის ღრმად დაჯერებითა.

— აღარასოდეს! — ამას აღმოხდება, აღმოხდება ძრწოლითა და ღრმა დაჯერებითა.

ძნელი სათქმელია თუ რომელი უფრო ღრმად დაჯერებულყო, რომლის ნათქვამი უფრო აღესრულებოდა, რომელი უფრო მტკიცე გამოდგებოდა. მტკიცე და დაუთმობელი, ჰო ძნელი სათქმელია; თუმცა სიმტკიცეა, მაგრამ ვინ უწყის თუ რას მოგვიტანს წუთისოფელიო ან ვისი ხასიათი როგორ მოიქნებაო. ყოველშემთხვევაში ამჯერად ეს მოისვრის გასაღებსა, ფეხებთან მიუღდებს და კვლავაც ვაეშურება. ის აიტაცებს, წამოეწევა, ხელს გამოსტაცებს მოურჩილადა, ისე ჩაუკუნძავს გასაღებსა, თანაც ლამობს როგორმე შეაჩეროს, მოაბრუნოს ავტომანქანისკენა. შეჩერებით შეაჩერებს, მაგრამ მანქანისაკენ ვერ წაადგმევინებს ფეხსა. არც გასაღებს გაიჩერებს ხელში, აღარც ფეხებთან მიუღდებს, შორს გადაისვრის, გადაისვრის საითაც მოხდება. ის უკვე დაიბნევა, გასაღებიც უნდა მოსძებნოს, ესეც უნდა შეაჩეროს, — ნათქვამია, თორი კურღლის მღევაარი, ვერცერთს წამოეწევაო, ისა ცდილობს, როგორმე წამოეწიოს, გასაღები სადღეზნი ხომ არაა, საძებნია და საძმეც ეგაა, დევნა სჯობნებია ძებნასა. ვერ მაინც უნდა ეძებოს და იქით მირბის, დაცემის ხმა საიდანაც მოისმა, იქ დაფათურობს, ბუზღუნებს თუ ივინება, თვალებს აცეცებს, წაიხრება, წაყირავდება, ხელებს დააცურებს მიწაზე, ეგება ხელში მაინც მომხვდესო. ამასობაში

ილევა ხმა წვრილი ქუსლებისა, ილევა, წყდება, ილევა ხვეულებიცაა,—ჯერ თუ ჩაიბნა და ჩაიხლართა, ვაჟას გამზირი მაინც მოსჩანდა, გრძლად გაწოლილიყო, ელვარებდა ლამპიონები, საღმე ვადიდოდა, რაც უნდა დაჰხვეოდა თუ დახლართოდა ბილიკები... ვიდრე გავიდოდეს, ის კიდევ წამოეწევა ანუ აი, აჰა, უნდა წამოეწიოს, დაიწყოს იგივე გაძალიანება, ჰო, აი, აჰაა, მაგრამ გამზირიდან გადმოდგება დიდი ლანდი, ცოტა წინ წამოვა, ხელსაც ასწევს, თითქოს ვიღაცას აფრთხილებს, თითქოს ვიღაცას ამხნევებსო. ამას ძალა მიეცემა, ფრთები გამოეხსნის, ველარავინ წამოეწევა; თუმცა აღარც უნდა ფრთები, ის გაქვავდება ერთ ადგილასა, რახან გაქვავდება, ველარც გამოედევნება რაღა თქმა უნდა, იქნება ეგრე გაქვავებული, მერე ფიქრს მოიკრებს და გაბრუნდება... ეს უკან აღარც იხედება, შიში აღარა აქვს, დიდ ლანდს მისდევს, დიდი ლანდი მოვლენია მფარველად, ლანდი დიდი, ლანდი პოეზიისა, ლანდი ნუგეშისა თვით სინანულ-

შიცა, სატანჯველშიც ნუგეშისა; ჰო, მისდევს დიდ ლანდსა, დიდ გამზირს მისდევს, მიდიან მაღალ შენობათა, შორისა, ლამპიონნი მიაცილებენ, მხოლოდ ჩრდილები როდი მისდევნებიანთ, — დიდ ლანდს ხომ არა აქვს ჩრდილი, ამასაც დაჰკარგვია ან აღარა აქვს ძალი, დაინახოს თავისი ჩრდილი, ძალა დაჰკარგვია და არა ჩრდილი... ჰოდა მიდიან, ლამპიონნი მიაცილებენ.

მიდიან, მიდიან მღუმარედა. ამას დალევია სათქმელი, ფიქრიც გასწყვეტია, მხოლოდ ძრწოლალა გამოჰყოლია და თითქოს ამ ძრწოლითაღა არსებობს. ქალაქიცა დღეს, ოღონდ დროდადრო სილდაც რაღაც დაგრიანებს, გასკდება და გადაიქროლებს. ეგვეც არაფერი, ამას ძრწოლა არც ემატება, არც აკლდება. ეგებ აღარც ესმის, გრიალია თუ გუგუნია, რაც არის, აღარ ესმის, გარეგანი აღარაფერი ესმის, სულის ძრწოლას აუტანია, დამონებია შეძრწუნებულ სულსა, თითქოს ველარაფერი გამოარკვევსო...

ზევით ისევ დაიგრიანებდა, გადაივლიდა ზათქითა, გუგუნითა, გრუხუნითა, — არა, ღრუბელი არ იყო ცაზე, მაცინცა ქუხდა, ქუხდა ცამოწმენდილი.



ვეჩიქო ანჯაფანიქას

ეგებ ეს ლექსი ნაზი ვერ იყოს,
ვერ დაამშვენებს ეგებ ვერიკოს.
მაინც გვეწვია შემოღამება
და თვალი ცრემლით არ ინამება,
თუმცა სიცოცხლის გზაზე დაბინდდა
და შორს სამოცი წელი გაფრინდა.
ვერ შეგვაშინებს წლების ჭენება,
შენ გიგონებ და წარსულს ვესები,
ცირას მღერა და შენი მშვენება,
შენი მჭროლაგი ვარდის ფეხები,
შენი რიდი და შენი სიმორცხვე,
ნაზად მღერალი ყელი ლერწამი.
შენ გაგვინათლე ასი სიცოცხლე
ჩვენი სულის და ფიქრის მძერწაფი.
შენს ნიჭს სამშობლომ ეშბი უკურთხა,
სუნთქვით გაათბე სიტყვის მარმარი,
შენ ხარ ჭართული სულის ჩუქურთმა
და შენ გარტყია ცისკრის ქამარი.
ეგებ ეს ლექსი ნაზი ვერ იყოს,
ვერ დაგამშვენოს, ჩემო ვერიკო,
ვერ შეგინახოს ის სიყმაწვილე,
რაც შენ დათესე და გვინაწილე.
ვედარ აღბეჭდოს სული მინაზე,
შენი შფოთი და შენი სინაზე.
მაინც მიილე და შეიფერე,
ყანას გვიპირდება გულის ყამირი
და თუ გვეწვია თეთრი სიბურე
თმაში ჩაიწნე, როგორც ყვავილი



საქართველოს
წიგნების კავშირი

ბიოგრაფიული მონაგარი

გამოუქვეყნებელი ლექსები

ოღისაჲსი სიძლერა

ვარ ოღისეესი, გადავლახე მღელვარე ზღვანი,
 გზა უდაბური კუნძულების, მსხვერვეა ხომალდის,
 პოსეიდონის უკან დევნა და შერისხვანი...
 ვარ ოღისეესი, ავსებული ჭმუნვით და დარდით.
 ვარ ოღისეესი, გამოვცადე მსხვერვეა იმედთა,
 ცრუ მეგობრობა, ცბიურება, ცვალება სწრაფი,
 გამაჭაღარა და მომჭანცა ჭიდილმა ბედთან,
 ვუახლოვდები მოქანცული სამშობლოს ნაპირს...
 ვარ ოღისეესი მიჯაჭვული ხომალდის ანძას:
 მოუსმენელის ჯერ კაცთაგან სმენა მწადაია,
 თანამგზავრები დასცინიან ჩემს უხმო ტანჯვას,
 ჩემს უხმო ტანჯვას, ეს მეათე წელიწადია!

მე მსურდა მეთქვა

ყველაზე წმინდა, უნაზესი ქვეყნად რაც არის:
 დაჭრილ ვაჭკაცის ამოხვრა და გულის ფეთქვა,
 როგორ ვიტანჯე, ვით ავაგე ტრფობის ტაძარი —
 შენთვის, ძვირფასო, იმ საღამოს მე მსურდა მეთქვა...
 მე მსურდა მეთქვა ვნებიანი და შმაგი სიტყვა,
 შენთვის, კენტისთვის მთარულო ჩემს სულში ჩრდილად,
 მაგრამ სათქმელი ბავთაგან ჩემთა ვერ ითქვა,
 ისე დაგვადგა იისფერი შაისის დილა-
 ვერ ითქვა იგი, ქვეყანაზე ყველაზე კარგო,
 დარდო სულისაგ, მოწყენილო სიონის მტრედო,
 ვრცელია მიწა, სად წაფიდეო, სად დავიკარგოთ,
 ამ ქვეყანაზე როგორ გავძლოთ უერთმანეთოდ...
 შენ გინდა ლექსი... ყვაელი ვარ, აბა, შარბათი,
 წაიღე იგი, წაიკითხე, წამების ჯვარო,
 წაიღე იგი, პეპელა ხარ, ფრთების ფარფატიო
 წაიღე იგი, წაიკითხე ქვეყნად საჯაროდ...
 ყველაზე წმინდა — ქვეყანაზე რაც მე მიყვარდა,
 დაჭრილ ვაჭკაცის ამოხვრა და გულის ფეთქვა,
 დარდო, სურათო, ჩახატულო ჩემს გულში ხატად,
 არ დაიჯერებ, იმ საღამოს მე მსურდა მეთქვა-



ქ ა ტ ა

თან დაგვდევს მუდამ თვალი ცბიერი,
 ვერ ფარავს: შერჩა მიმოსვრა გველის.
 გაუმაძლარი, მარად მშიერი,
 ჩასაფრებული ზის და მოელის
 ჩვენი სიკვდილის თუ ძილის წუთებს —
 რომ ჩაგვაცქერდეს ხარბი თვალებით,
 საშიშ წინაბრად გადიქცეს უცებ,
 უღმობელი და შეუბრალები.
 ჩვენს გვერდით ცხოვრობს ის, როგორც
 წმინდა,
 მაგრამ თვალები ვერ ფარვენ სურვილს:
 ქვეყნად სიციცხლის დასაბამიდან
 ადამის მოდგმას შეჭყურებს შური!

• • •

მე ჩქარა წავალ... შენც გაიგე და აქვითინდი,
 აცახცახებით შემოსხედე ჩემს სულს მიწიდან,
 შენც აქვითინდი, მეგობარო, გაფიცებ სინდისს,
 რომელიც მუდამ შენ გეჭნება თოვლივით წმინდა!..
 შეხედე ზეცას, შეაშტერდი მთიების ელვას:
 ეს მე ვარ... ესლა შენ გიგონებ და შენ მინდები,
 შენ ჩემ თვალებში წაიკითხავ საშინელებას,
 მაგრამ, ძვირფასო, გევედრები, ნუ შეშინდები!
 გაფიცებ შენი სიყვარულის პირველ ხარებას,
 გაფიცებ, ჩემი მოგონება ატარე ხშირად..
 მაგრამ იცოდე, საშინელი, ვით მწუხარება,
 ჩემი და ცივი მე ვიქნები სამარეშიაც!

ორი სანთელი



შემოღამების კორიანტელი ჩემს სულში ჩადგა... ველარ გავუძელ, ერთად ავანთე ორი სანთელი, დავიდგი წინა — და სევდით ვუმზერ...
სხვა არაფერზე ფიქრი არ მინდა, ოღონდ ამაზე მითხარი „ამინ“
სანამ იწვიან, მათსავით წმინდა ვიყო, რომ სული დამშვიდდეს წამით!

ხედავ, ჩაიწვა ერთი სანთელი, მეორე თრთის და მქრალს ერიდება,
მას თავს დაატყდა კორიანტელი... ჩამქრალს დიდება...

მე, განძარცული, დაჭრილი ძლიერ, შენგან, ოპ, შენგან მოველი შევლას,
ყველაფერს ვნახავ მე ამ ქვეყნიერს: ვივლი მშვიერი და ფეხშიშველა,
ოღონდ მითხარი მე სასურველი — ძვირფასო ჩრდილო, მითხარი „ამინ“,
ვიდოდე მარად განუკურნელი, ოღონდ ეს სული დამშვიდდეს წამით!

შენ აღარ მოხვალ, ჩემთვის ცხადია, ველარ მოისმენ ჩემს აღსარებას,
შენ ჩემზე ადრე გასცილდი წყვილიადს, შენი ხმა ისმის სადღაც ზარებად...
დიდება შენს სულს!.. ის ატარებდა მარად განწირულ, ვაჟაკურ იერს,
მარად დასდევდა მას მწუხარება, ის დაიტანჯა ჩემს სულზე ძლიერ!

ჩაჭრა მეორეც, წყვილიადში ვზივარ... აღარც შენ ჩანხარ, არც მე ვარ სადმე,
შემოღამების ბინდბუნდში მცივა, ხელაპყრობილი ვდგავარ ცისადმი...
შენ, დაკარგული უგზოდ, უგემოდ, გამომეცხადე და მარქვი „ამინ“,
ვიყო დევნილი და უნუგემო, ოღონდ ეს სული დამშვიდდეს წამით!

უხაბა ნათქვაბი

მოწყდა ვარსკვლავი, გულზე დამეცა...
მომჯარებიან სევდა, დარდები.
დაგელოდები მე ამ ღამესაც
და მეერე სადმე გადვიკარგები-
შენ ხარ ღამაში, ზეცის ვარსკვლავი,
მოხატული ხარ შენ მინანქარით,

შენს კოშკს არა აქვს კარი არსაით,
გეძახი, გიხმობ: გამიღე კარი!
მოდი, დასტოვე ცის ლაქვარდები,
როგორც მთიები მოსწყდი ვარსკვლავებს,
დაკრიფე ცაში ღურჯი ვარდები
და დაესვენე ჩემს გაშლილ მკლავებს.



მე ვემდურები
შენს მაცდურ ღიმილს,
დაუნდობელს და
შეუბრალებელს...
რად მიწყალობე
იმედის სხივი,
რად შემეყვარე
შენი თვალები,
რად დამანახვე
შენი თვალების
განუზომელი
სითბო და სიღრმე,

გაყინულ სიტყვით
და მდუმარებით
თუ წამართმევდი
უმაღლე იმედს.
შენ არცვი იცი,
რომ მე მაქვს გული,
რომ მე მაქვს გული,
რომელიც მტკივა,
რომელსაც შენი
კარგი თვალები
სწვავენ და მერე
უმზერენ ცივად.

ჩემი პეიზაჟი



მე ვიყავე ქვეყნად, შენ ხარ, მაგრამ აღარ იქნები.
სცდების, საწუთროს ვინც მიიღებს და მიენდობა,
მეც დავეყრებდი ამ წარწერებს მძიმე ფიქრებით,
მეც გარდაცვლილი წინაპრები მოხვდნენ შენდობას.

შევუნდე ყველას. შენც შეუნდობ თვით ბოროტ მტრებსაც,
ვის სიცოცხლეშიც არ ჰქონია ჩვენი დანდობა,
ვერ გავეშვეცი მათს სათხოვარს, მუდარას ვერსად:
ყოველ სუფრაზე ხარბად ვსვამდი მათს შესანდობარს!

ვინც უნდა იყო — ბედნიერი თუ შავბედიანი —
ხარ ძე კაცისა, შენც ამ ლოდქვეშ დარჩები ობლად,
ვინც უნდა იყო: ცოდვილი ხარ, მცირე თუ დიდი —
აიღე ჭიჭა, წამკითხველო, მითხარ შენდობა!..



მ ი თ რ ი ლ ა ტ

რ მ ა ნ ი

10. პეის ქვეყანაში

ქვასავარძელას ბჭობის შეყრაცა და დაშლაც სრულ ფარულად მოხდა. ჯერ შიდაკაბადოკიელი ტუბალები წავიდნენ. ტირიბაზ სწავლული, გორდაის გვართუხუცესი და მისი შეაბჯრული, სახე-შეფარული ჯგუფი გაპქრა ბინდში, მერმე ბერშუმ ხალიბი, ხალდუ-მისანი და მათ-მათი ამალოსანნი გაუდგნენ ჩალამებულ გზას... ზედაბმით, მაგრამ გზის შენაცვლებით, შერგილ-მუსხი და მოსინიეთა ჯგუფი გაპყვა.

დანარჩენი ტომთუხუცესნიც დათქმული წესით გაიკრიფნენ.

ქვასავარძელაში ფარულდარაჯა და მაენენი დასტოვეს.

ბოლოს ჰაბუკი „მითრო-შეგირდი“, ბედან-კოლხი, გვაზა მეგრი, გური ასკანელი, და, საერთოდ, კოლხ მხედართა მოზრდილი ჯგუფიც დაიძრა მათთან ერთად მიდიოდნენ მახუნჯავ ტაოელი, გადარჩენილი და საკმაოდ მომაგრებული გედე ფარულმაცნე, თავიანთი მხედრებით. სპერის მთებამდე ერთი გზა ჰქონდა მათთან აბიო-იბერის გუნდსაც.

საყოველთაოდ და მკაცრად დაიცვეს... ზღვით არავინ არ გაუშვეს და ბანაკიდან ყველა ღამით გადიოდა.

ერთიც, ყოვლად უცნაური მოიმოქმედეს ბერთა-ბერა უხუცესებმა: კერპის ახლოს, ქვასავარძელას ბოლოში, ქვები ზენეშით მოზიდეს და კარგა მონაღლო ხოხოლაც ამოაწყვეს.

ეს ზღვაში შეჭრილ, ღმერთებთან წასულ მითრიდატე ნორჩი მეფის სახსენებელი იყოს!..

— იყოს! იყოს! იყოს! — ჩურჩულებდნენ და ქვებს ეზიდებოდნენ მხცენი. თანაც პირველი ქვა თავად „ღმერთებთან წასულს“ დააღებინეს და ბევრიც ცალკე თუ ერთად, დასალოცი თუ ღრომდე გამოსათხოვარი უჩურჩულეს.

— მამის მოსვლამდე არა გეტყინოს რა!

— იყოს ესე ახალ შეყრამდე! ჩვენს ბუნებას შეემატოს ეს ერთი ნიშიც!

თავისთვის, ჩუმად კი, ამ ხოხოლას ნიშნაც — „არსიანული“ უწოდეს და საიდუმლო გულში ისე ჩაიბრუნეს, რომ ჯერ „შეგირდსაც“ არ გაუმხილეს, მაგრამ ყველამ იგრძნო, რომ ამ მუდამ ნანატრ, ნიჭთა ნიჭის ჰაბუკს ამიერიტ „არსიანული“ შარავანდელი უხილავად დაედო და ყველა დანარჩენი შეიუფლა.

...მითრო-შეგირდსა და მის სწავლულ მკურნალს ერთი ჯორი და ურთი ცხენი მისცეს. ჯორს ორპირი ხალთა ეკიდა. შიგ კვირის საგზალი ჰქონდათ. დღე მითრო-შეგირდი იჭდა ჯორზე, ღამე ტარიელ მკურნალი.

გზადაგზა ისვენებდნენ, მაგრამ ღამის ბანაკად არ დგებოდნენ. ეტიკებად წინ, დღისით-მზისით, გური ასკანელი და გვაზა მეგრი იყვნენ. სულ კრიმან-

ქულითა და ლაღი ოხუნჯობით ვიღო-
დნენ, თათქოს ტომის ხატის დღეობა-
ზე მიდიოდნენ.

ლაშე კი მახუნჯავი წამოდგებოდა
წინ, თავისი თუხარული ულაყითა,
რომელსაც მართებულად სპილოს ეძახ-
დნენ. თან გედეს გაიყოლებდა ძუ
მწვერებით.

მითრო-შევირდმა რომ გაიგო, საგან-
გებოდ შეეკითხა.

— კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც
ძუ? მეც მონადირე ვარ და ხვადები
გამყავს ტყედ და ველად!

— ასეთ „ნადირობისას“... ჩვენ რომ
ვართ, ძუ სჯობია... სოფელზე ისე გა-
ვივლით, ხვადი ძალი არ დაჰყვებს,
ძუ კი ეზოს არ გასცილდება!

ბოლოში აბიო-იბერი მიდიოდა თა-
ვისი შუბონებითა და აბჯროსებით.
თავდასხმა და საერთოდ საშიშროება
პონტოს მხრიდან უფრო იყო შესაძ-
ლებელი.

მდეგარი უფრო სარიდო იყო, ვიდ-
რე დამხვდურთ.

სავალი ზღვას მაშინვე გასცდა და
ქედს გადაეკიდა. მერმე ხეობასა და ზე-
განს გაჰყვა, საოცარ ტყიანსა და და-
ჩრდილულს. გზადაგზა უგზოობას ირ-
ჩევდნენ, მდინარეებს უხილოდ ჰკვალავ-
დნენ... სოფლებს და თემშარებს ერი-
დებოდნენ. თუმცა, რაც უფრო შორს
გასცილდნენ ზღვასა და ქვესავარძე-
ლას, უკლეს რიღს... აემგზავრათ კიდე-
ვაც არაერთი თემთაშორისი მავალი.
ზოგნი შეკრთებოდნენ იარაღსხმულ
გუნდის შეხედრისას, მაგრამ მსცოვა-
ნებს დაინახავდნენ და დაწყნარდებო-
დნენ. ფერთა შორის, მაინც ქაღარაა
ყველაზე უფრო მშვიდობიანი!

— გამარჯობა!... ხომ მშვიდობაა? —
შორიდანვე შესძახებდნენ.

— მშვიდობა! — და მერმე ირკევო-
და ან ტუბალი იყო, ან მოსხი თუ მო-
სინიკი. მერმე ჭანები და ლაზები გახ-
შირდნენ... რომლებიც არა ტომობითა
და კილოთი განსხვავდებოდნენ, არა-
მედ მთისა და ბარის საცხოვრისით.

აქა-იქ გალაენიან კოშკებს ჰხვდებო-
დნენ, გორადასახლებებს... მაგრამ „ასა-
ქცევი გზა თუ ბილიკი მუდამ იყო“ და
მსვლელობას, მშვიდობიანთ, არვინ
უფერხებდათ, მდინარის მაღალ პირებ-
ში კი ოდასახლები იდგა, ზერგილთა
და მესრით. შემორაგული, თხემებ-
ზე მიწურები, ხევებში — ჯარგვლები.

ტრაპიზონს შორს გაერიდნენ. იმის
იქით კი კოლხეთი იწყებოდა და თავი
სამშვიდობოს ჩასთვალეს.

— უკვე ახლოაგულად ვიღოდნენ.
ალარც ისე ჩქარობდნენ და ალარც ისე
ერიდებოდნენ სოფლებსა და დაბებს.

ხეობებ-ხეობებით მიდიოდნენ და
ყველგან — ტყის ახოებში, ზერთვი-
სებში მრავალი ქართული ტომი ცხოვ-
რობდა. ხშირად მათ შორის აღარავი-
თარი განსხვავებაც აღარ იყო, მაგრამ
ძველის გარდმონამთით ზოგნი სახელ-
დობარ კოლხებად იწოდებოდნენ, ზოგ-
ნი მაკრონებად... მთებში ბიძგებრი,
ზღვის პირას ბეჭირები იყვნენ, თუმცა
ერთ კილოვანზე მეტყველებდნენ. მათ-
გან დიდად არ განსხვავდებოდნენ ძიდ-
რიტები. სხვა, მაგრამ მაინც მისახვედ-
რი კილოთი მეტყველებდნენ ჰენიოხე-
ბი... სპერში კი უკვე იბერ-ქართული
კილო იყო. მერმე ისევ მეგრულ-კოლ-
ხური.

ქაბუტას ახალი შესაცნობი სამყარო
გადაეშალა და ამას ტომთსამხილავი
უწოდა. ბედან-კოლხისაგან ნაწაველ
კილკავეებს ახლა ჰაბუტურმა მესხიერე-
ბამ შეჰმატა კილოთა და ენის მოქცე-
ვათა ცოდნა. სულ მალე შეაჩვია ყური
და საუბარსა და იერზე არკვევდა ტო-
მობას... ისე კი ყველა ნათესაობით
ქართველნი იყვნენ. და თითო-ორი
ბერიკაცი კი არა, როგორც ქვესავარ-
ძელაში, არამედ სიმრავლე თემთა, ხეო-
ბათა, გვართა, კომლთა, სახლეულთა
და ყველა თაობათა, თანაც აურაცხელი
სიმრავლე ბავშვთა!

ბედან-კოლხმა ამ „ტომთსამხილავს“
გარკვეული მიმართება მისცა და გზა-

გზა საუბრებში დედაზრი მკაფიოდ ჩამოათავთავა.

— ნათესავად ქართველთ ამჟამად ორი ძირა-აკვანი ვაგვანჩინა...

— ეს უკვე ვიცი, სპერის ზღვა და კავკასიონი, ძველად, ალბათ, მეტიც იყო, საშუმერო — შუამდინარე და საბელაზგო, იქნებ საეტრუსკოცა და იბერ-ბასკეთის ძირა-აკვნები, როგორც შენ უწოდებ... ანუ კერა-დიდი, როგორც მე შევეუბრე სახელწოდება... — შეგირდმა ბედანის ცხენს თავისი ჯორი ამოუყენა. სხვებიც ახლო-ახლო მოდგნენ, ტომთსამხილავი განაგრცეს და გააღრმავეს...

— სიტყვის მასალა, თორემ ჩვენ ახლა მარტო წარსულით ვერ ვისულდგმულვით, — დინჯი ლაფშურით შეუერთდა მათ აბიო-იბერიც, — ჩვენს აწმყოს, უწინარესად ყოვლისა, დიდი ფიჭვი და დედაზრი სჭირდება, თორემ ძველ კერებივით დავიშრიტებით... ამიტომ „კერა-დიდის“ წინსაკვალავის ჭერტა სჯობს და გვმართებს, „ძირა-აკვანის“ გადასულ კვალის ძებნას!

ახლე ყველანი მოდგნენ. ხაზბარიც ისე წარმართეს, რომ ყოვლის მცოდნესა და განსწავლულ შეგირდს „არსიანულის“ კალაპოტი მისცეს.

— სწორედ სპერთა და კავკასთა შორის, არსიანიდან — ამირანის მთამდე, არის მათი შეყრის მხარე, კოლხეთი — ჰესა ჭვეყანა!

— შენი სამშობლო, ბედან-მოძღვარო! — გაღიმებულად შესძახა შეგირდმა.

— მე ყოველ ნათესაურ ტომთსამყოფელს სამშობლოდ ვგრძნობ და ვრაცხავ და არა მარტო იმ კუთხეს, სადაც ჰობი მიმაჭრესო!.. სადაც ჩემი გამჩენი ნათესავთ მოდგმა ბინადრობს და დედაზრად ბრძნული თანაცხოვრება უზრახავთ.

— არის ერობა, არის ბჭობის ერი, დარბაზის ერი, თემის ერი... და არის, ჩვენს ბუნებაში ტომის ერიცა და ტომთა ერიც!... და მე ამ ერის კაცი ვარ!

— ჩვენცა! ჩვენცა! — მიამახეს ცხენოსნებმა.

ისევ ღრმად ჩაფიჭრდა შეგირდი, ბოლოს და ბოლოს, ჭვასაფარქელს მთელი შეყრა ამის ირგვლივ იყო მაგრამ ეს თითქოს აღლოსაგულად კეთილბოდა პონტოს სამეფოშიაც, ალბათ სხვა ქართულ მხარეებშიაც... ერთი მხრივ იყო უცხო, ძლიერი მტერი და მეორე მხრივ ნათესაური ტომები... უმარტივესი ალღო მხარამიციემას უკარნახებდა ტომებს, მიუხედავად კილოკავურ, ყოფით, განათლებისა თუ სხვა სხვაობისა... მაგრამ ახლა, ტომთსამხილავის საუბარს, სხვა დედაზრისა და ჭერტის სახე ჰქონდა გამოკვეთილი... და იგი როგორღაც ვერ ეწყობოდა „ბერძნულ სულის“ დედაზრს, რომელსაც უფრო კარგად იცნობდა ათენში განათლებული შეგირდი. იქ თავისუფალი ქალაქი—თემი, სამეფო—თემი, კუნძული—თემი იყო უმარველსი სახე. მართალია, მათაც ჰქონდათ ხოლმე მოკლენიანი კავშირები ურთიერთ შორის, მაგრამ ბრძოლა და თიშვა უფრო ხშირი და თითქოს სახასიათოც იყო.. ხანდახან წამოუგელიდა ვინმე ძლიერთ ძლიერი ფილიბეს ან მისი ძის ალექსანდრე მაკედონელის დარი თუ გვარი... მაგრამ ეს შინაგან დაპყრობას უფრო ჰგავდა, ვიდრე ბუნებრივ ნათესავთა გაერთიანებას!.. ხანდახან გადიდებული ქალაქი—თემი ფუტკარივით იყრია ზღმეტს... ასე გაჩნდნენ ახალ-შენი თემ-ქალაქები ბერძენთა — პონტოს, კოლხეთის, კიმერ-ბოსფორის სანაპიროებზე... მაგრამ ესენიც ცალცალკე იყვნენ!.. მართალია, ქართულ სამყაროში არ იყო ასეთი ქსაქსევა კუნძულთა, მაგრამ აღარც ნაკლები ხეობათა დაქსაქსულობა იყო, ქედების ზღუდენი.. ჰოი, რამდენი უკვე გადმოიარეს და რამდენი კილევ წინაა!?

მგზავრებმა კლდოვანი ზეკარი გადავლეს და კრიალა ზღვას გადაადგნენ...

— „ბერძნული სული“ ზღვის სამყაროა, „ქართული სული“ კი ჩანს უფ-

რო მთისა — ზღვისა და მთისა ერთად! და ამ „სულს“ უნდა ჩავწვდეთ! — თითქოს შორეულ ზღვას გადასძახა შეგირდმა.. ზედაც მთის ნისლი აფრისდარად წამოიშალა და ზღვის სახედველი ამოხაზა.

— ამ „სულს“ სწორედ კოლხეთში ჩასწვდები ყველაზე უფრო, აქ ზღვაც არის და მთაც! ჰეას ქვეყანა და ამირან-პრომეთეს მთიანეთი.. შენ ბერძნულსა და სხვათა მითებსა და ღმერთებს კარგად იცნობ!

— მანსოვს მოძღვარო! ჰეა შუმერული ღმერთთა წყლისა, თავისი ზვედრი ქვეყნის ღვთაებად და სახელად კოლხეთს მოვლენილი! ამირანი კი ჰეას შვილია, ბერძნების მიერ პრომეთედ თარგმანებული.. მაგრამ ბერძნული პრომეთე გაათავისუფლა ჰერაკლემ, ქართული ამირანი კი მიჯაჭვული დარჩა!

ცხენოსნებმა ტყიანი თავქვე ჩაიღეს და ნისლს თითქოს ძირში გაუძვრნენ. ახლა ზღვაც კარგად ჩანდა და ნავსადგომთან ციხე-დაბაჯ.

— ესეც ათენი! ბერძნულ დიდ ქალაქის მცირე მოსახლე! — მოსძახათ დაწინაურებულმა გვაზა მეგრმა, მისი ეტიკობის სავალი იყო.

ქაბუკი მითრიდატე კარგა ხანს ცხოვრობდა და სწავლობდა დიდ ათენში, მას მშობლიურ სინაბზე არანაკლებად უყვარდა ეს სასახელო ქალაქი, „სიბრძნისა და ხელოვნების სავანე“. ახლა ამ მარად მწვანესა და ლურჯის შესაყარზე უეცრად აღმოჩენილ ციხე-დაბაჯს ადარებდა იმ „ელადის თვალს“.

— ალბათ ესეც დიდი ათენის სკის ნაყარია!

— ალბათ.. ახლა კოლხეთის ათენია და სახელის მეტი ძველბერძნული აღარა შერჩენია რა! — ეტიკმა განუმარტა კიდევაც და გზაც მოკლზე ჩასჭრა, ათენში აღარც შეჩერებულან. აქედან ზღვისპირა გზას გაპყვენ.

დაადამდათ, მაგრამ მთვარედაკრული ზღვა თითქოს გზას უნათებდათ. მსუბუქი, თბილი ჰაერი და მარადმწვა-

ნე მცენარეულის სურნელი ლტოლველ უფლისწულსაც სიამეს ჰგვრიდა და სვებედს უმსუბუქებდა. მანძილიც თქოს თავისთავად გარბოდა ხევიან ლაფშურში. შეგირდი უკვე ცხენზე იჯდა და თავის გაწინაურებით ყველას აპარდებდა.

ბინდ-ბუნდში დიდი ციხე-გალავანი ამოიტიფრა. მთის ტყიანი კალთა ვაკის ზღუდით თავდებოდა..

— აფსაროსი! — შეგირდს წასჩურჩულა გვაზა მეგრმა. — ციხეში ვათიოთ ღამე?

— არა, ზღვის პირას! ტყეც თითქმის ზღვამდე ჩასდევს! მომენატრა!

ეტიკმა ჩაუხვია, გალავანსა და ზღვას შორის ტყეს მიაშურა. ტყესა და ზღვას აქ სილის ვიწრო ზოლი საზღვრავდა.

ზღვის შემობერილ ყურეში ნავსადგომი ჩანდა. ციხე-გალავანი აქ ზღვასაც დარაჯობდა და სანაპირო გზასაც.

აფსაროსის ციხისთავი გოგიჩა სარფელი ჭოროხის ხეობასა და საფსაროს ზღვის არეში სახელნაქები კაცი იყო. მას მახუნჯავიც იცნობდა, გვაზა მეგრიცა და გური ასკანელიც, მისი „ყოველად საიმედობისა“ ყოველ მხრივ სწამდათ, ციხეში ითხოვეს ღამის თევა, მაგრამ შეგირდი, მცირე ამალით უკვე დაწინაურებული, ტყისა და ზღვის შესაყარში კარგებს შლიდა. საქმე მარჯვედ გაარიგა და უმალ სამოსი გაიძრო და ღამის ზღვაში გადაბტა, ფართო მხარული გაპკრა. მაშინვე ტარიელიც მიჰყვა.. მალე ორივენი გაუჩინარდნენ.

ბედან-კოლხმა ძლივს მიუსწრო, დაშლა დააპირა, მაგრამ გვიანაც იყო და გულმაც აღარ უყო.. ზღვის ქაბუკი ბოლოს და ბოლოს ქაბუკობდა, ზღვას ელტვოდა, ხოლო ცხენით შეჭრის შემდეგ ზღვაში აღარ ჩასულიყო.. ეს კი საპირო იყო — ზღვის შიში არ დარჩენოდა, ზღვის მბრძანებლად მოწოდებულსა და ზრახულს.

ღამის ბანაყის საშაღისი გასრულებული არც ჰქონდათ მოსულთ, რომ აფსაროსის კარიბჭის თავანიდან ცეცხ-

ლის ნიშანი მისცეს, სარკვევი კოცონი აუნთეს, შეამჩნიეს და სცილდნენ. ხოლო, როდესაც მოსულეებმა საპასუხო ცეცხლი აუნთეს, მალევე მზევრავიც მოუვიდათ... ტყის პირიდან შემოსახტეს:

— ჰეჰეი! ვინა ხართ?

— მშვიდობიანი მგზავრები! — ხმა გასცეს ღამის დარაჯებმა, — შიში ნუ გაქვთ! სულ ერთიან ნათესავნი ვართ!

— კი არ ვშიშობ, მიკვირს! — მკვირცხლად მოაძახა მზევრავმა და სულ ახლოს ყინადა მოვიდა.

სხარტი ახალგაზრდა ჩანდა, კოლხური, გრძელბრილი ხმალი წელზე მოხდენილად ერტყა, ხელშუბელა მსუბუქად ეპყრო, უსახელურო ტყავსაცავი კოხტად ეცვა, თავს ირგვლივ კი ხუჭუჭის შარავანდელი ადგა. მარცხენა მოხდენილად აღმართა, მერმე გულზე იდო. საერთო სალაში მისცა, თან შევარდნის თვალი მოავლო მცირე ბანაკს. — უპატივეცემულობად ნუ ჩამომართმევთ სიტყვას, მამა ჩემმა, გოგინა სარფელმა, შემოგითვალათ — ეს ვინა ხართ, არც მტრობა გწადთ, არც მოყვრობაო! ლა მეს აქ, ზღვის პირას ათევედეთ, ციხის დარბაზში კი სუფრაც გაშლილი იყოს და სასათუმალიცაო! საშლოცველოცა და ქულბაქებიც!

— ნუ გიკვირს, ვაჟო, კეთილი! ჩვენთანაც ახალგაზრდა სწავლულნი არიან და მათ ასე ირჩიეს, თორემ ჩვენ — მცოვანთ, ბარემ გოგინა სახელოვანის მასპინძლობა გვიამებოდა! — ბედანკოლხმა თავის კარავში იწვია მოსული, მან კი დევტანა ტაოელი შეამჩნია და იცნო...

— მახუნჯავ ბატონო! ეუპ! ბაბა-გოგინა თავად გემწვეოდათ, რომ სცოდნოდა! — მერმე სხარტად გატრიალდა და ჭების ჩრდილს სხაბა-სხუპით გასძახა, — დიდსაპატიონი გვწვევიან! მამას ახარეთ ერთლანდზე... სანთელ-ლაშპრებიც. მოართეთო! მე აქ დაევჩები! — თავად კი ისევ საბატიო სტუმრებს მოუბრუნდა, მოკრძალებულად და მინც

მკვირცხლად შეეკითხა, — თქვენს ახალგაზრდებს ვერა ვხედავ, მცოვანები კი მდიდრად ბრძანებულხართ! მახუნჯავმა ერთი გადაიხარხარა...

— საელაჟ ჩემო, რაც შენა ხარ, ისინიც ასეთივე სულწისულეები არიან და ჰე!!..

მახუნჯავმა მუხის ტოტოვით ვეება ხელი ზღვისაყენ გაიშვირა.

სავლაკემ ზღვისპირას სამოსიც შეამჩნია და იქით გაიწია...

— ბატონებო! მამა ახლავე გეახლებათ! ჩემიკბილა სტუმრები კი ზღვაში ყოფილან... და მომიტყვეთ...

— დიახ, შვილო, მიეგებე... ჩვენ კი გოგინა სარფელს დაველოდებით! — სურვილი უგრძნო და არც გაუმტყუნა ბედანმა და თედახრილ სავლაკეს მოსცოლდა, მახუნჯავიც გაიყოლა.

სავლაკემ როგორღაც ერთი ხელის მოსმით გაიძრო საფარ-სამოსი და ზღვაში ჰვილითივით გადიტყორცნა. უყვინთა, გაიმოკლა საცურავი და ღამემწერეულ ზღვაში გაუჩინარდა. მერმე ამოტივტივდა და გულადმა გაწვა, ყური წყლის ზედაპირს მიაპყრო და ოდნე დაჭერილ ჩქამის ხმას კალმახურით მიჰყვა.

— ზღვაშიაც გაგიმარჯოთ და ხმელეთზედაც, ყმაწვილკაცებო! — უხმაუროდ მიცურდა და შეეძრახა.

— ვინ ხარ? საიდან გაჩნდი ამ შუა ზღვაში? — მოაძახა მითრო-შეგირდმა, მან სწრაფი გამორკვევა იცოდა, — აფსირტეს ლანდი ხომ არა ხარ, მედეას მიერ განწირული?

— არა, სწავლულნი, მაგრამ არც თქვენ ბრძანდებით, თუ არ ვცდები, ვერავი არგონავტები!

აქ, საკმაო სიშორეზე ნაპირიდან, კარგა მოზრდილი ჰვალი იყო, სამივე ერთ ტალღაზე შეიყარნენ... ერთმანეთს ძლივს ლანდავდნენ...

— არა, კაბადოკიელი ტუბალები ვართ!

— მე კი აქისა და ჭოროხის მკვიდრი ვარ და აქ ყველგან გიმასპინძლებთ!

ღამე უფრო შეიქუფრა, მაგრამ თვით ზღვას ანდიოდა ციმციმი. მეტი რალა სკიროდათ ყმაწვილებს. ახალგაზრდობას ხომ ის უპირატესობა აქვს, რომ უცბად გაუგებენ ურთიერთს და ერთ-ზელ წყალზე შეყრაჲ ჰყოფნის მათ დამეგობრებას... აჲ კი, ასე თუ ისე, მთელი ზღვა იყო... და სულ ცოტა ხნის შემდეგ, უკვე მეგობრულ საუბარში გართულნი, ნელი მოსმით, როგორც სხარტი სავლაჲე იტყოდა, „ბატ-კვატურად“, სიტყვაღალობითა და წყალაღერსიანად უკან მოცურავდნენ.

ნაპირზე უკვე ლამპროსნები ბორიალობდნენ, ოდნავ მოშორებით, მცირე ბორცვზე, დიდი მუხა იდგა. ლამის ბინდში ვეება მუზარადად გამოსჩანდა მისი გუმბათა ვარჯი, მუხის ძირში უკვე კოცონის შუქი იყო. მითრო-შეგირდმა სუფრასაც მოჰკრა თვალი. იქვე მუხასთან ახლოს, ტაძრის ნანგრევები ჩანდა.

— ის რა ადგილია. სავლაჲე, ზღვის ძმობილო?

— წმიდა ადგილი, მუხა-ჰყონი გაბლაჲეთ! აფსირტეს სამარეს იტყვიან! ძელს ტაძარს!

— გმირ აფსირტესი, მედეას ძმისა?

— ღიახ...

მითრო-შეგირდი ჩაფიქრდა, მერმე ნაპირისაკენ გაისწრაფა...

— ვერ მოგვსვლია კარგად... გმირის სამარეზე არც მივსულვართ, თაყვანი არ გვიცია! მის მახლობლად კი ვლავლობთ!

ნაპირზე სწრაფად შეიმოსნენ. ზედაც მოეგებნენ ბედან-კოლხი, მახუნჯაგი, აბო-იბერი და მსაპინძელი, სავლაჲეს მამა — გოგინა სარფელი.

სავლაჲემ მამას წარუდგინა თავისი სტუმრები...

— ბაბაჲ, ესეც ჩემი „ზღვის ძმობილები“... თავად მიწოდეს ასე!... სურვილიც გამოსთქვეს, გმირ აფსირტეს საფლავს თაყვანი სცენ და დღევ აღნიშნონ!

— აბა, ახალგაზრდები თქვენ ხართ...

ამ მთვარის დღეა და მოამზადდეთ... ჩვენც მოგეწვევით... ოღონდ როგორც წესი არს! — გოგინა სტუმრებს წინ წარუძღვა, მუხის ბორცვზე წაიყვანა. იქ უკვე საბელდაბელოდ გაშლილი სუფრა ელოდათ.

ახალგაზრდებმა ნაჩქარევად წაიყბარეს და მუხის ძირში, დიდ, უნიშნო და უწარწერო ვერძისთავა ქვასთან განმარტოვდნენ. აფსირტულას საფიქრალსა და სამზადისს შეუდგნენ. მერმე აქვე, ციხიდან ჩამოტანილი დათვის ტყავებში დაიგეს, ნაბდები წაიხურეს და დაიძინეს. მათთან დარჩა სავლაჲეც.

მსოფიანებმა და ბადრაგა მხედრებმა კი ჩუმი დარაჯა დააყენეს და კარვებში წავიდ-წამოვიდნენ.

გოგინა სარფელმა მაშინვე იგრძნო „მსოფიანთა შინაღესპანობის“ დიდი მნიშვნელობა. აქ უკვე კარგად იცოდნენ პონტოს ამბები. ბედან-კოლხის სახელაც ცნობილი და მეტყველი იყო. ყველაფერს აბა რას მიხედებოდა, ან ჰაბუკ მითრიდატეს სწავლულ მკურნალის შეგირდად რას წარმოიდგენდა, მაგრამ გოგი კოლხელის ტახტის საფარველში მიმავალ გამორიდებულ ტუბალთა დიდფარულობა იგრძნო და ზედმეტი არა ჰკითხა რა. ძმური შეხვედრა განიზრახა და სავლაჲეს შემოთავაზებული აფსირტულა ვადაზე ადრე დაასკნა.

— მაინც ამ მთვარის თვეშია და ჭერი არს საბატიო სტუმრიონთან მოდლოებმა! — დასტური მისცეს აფსაროსის მოხუცებმა.

დილა ადრიანად, ახალგაზრდებს კი დევ ეძინათ, როდესაც ტაძრის ნანგრევების თავზე ცეცხლის კოცონი აბრიალეს, კვამლის სვეტი მუხა-ჰყონსა და ზეცას შეუყენეს...

— ნიშანი აფსირტულას დასაწყისისა! — წამოვარდა შიშველი სავლაჲე.

— პირველნი ხომ ჩვენ ვიწყებთ მოსახსენებელ დღესასწაულს! მამამ დაგვასწრო სამზადისი!

ახალგაზრდები წამოვარდნენ და, ვიდრე ვინმე მოვიდოდა, წესისამებრ, შემოსავად მიიზბინეს მუხა-ჭყონთან, რკომოსხმული ტოტებით შეიმკეს თავხელი და მუხის ტანს ცხრაჯერ შემოურბინეს. მუხის სათვალავი ცხრა იყო.

ახლა ტაძრის ნანგრევებსაც შემოურბინეს, მთვარე-მისარონის სახელზე იყო, მნათობთ სათვალავი კი შვიდი იყო.

ამის შემდეგ აფსირტეს სამარედ მიჩნეულ ვერძისთავა ქვას დაუარეს ხელქლეულად და მერმე ზღვაში გადაეშენენ. მუხის ტოტები შიგ ჩატოვეს და ამოსვლისას მსუბუქად შეიმოსნენ.

ამ დროისათვის აფსაროსის ახალგაზრდობაც მოვიდა. მხოლოდ ჭაბუკები იყვნენ ქალწულთათვის ჯერ აკრძალული, ვაშინერსი, ანასკარანი იყო.

დაიწყო სეფური და ჯომარდი საფლავის ირგვლივ. გაშლილ ნაბადზე ხტომში თავი გამოიჩინეს ტანსუბუქა, ფეხმაღალა კოლხებმა. მუხის მაღალ ტოტზე ჩამობმულ ქვის ღუზის ბაგირზე ძრომაში კატასავით მოქნილმა და სხარტმა სავლაკემ აჯობა ყველას. ღუზის ქვების აწევაში ქორახელმა, ჯერ უუღლავო, „მუხა-ჭმუხა“ ჭაბუკმა აღცანდრემ.

ისრის ტყორცნაში ყველას მიტრო-შეგირდმა წაჭარბა. მაღალ ყაბახზე შემოდგმულ ზღვის ზღარბას, ყველაზე უშორეს მანძილიდან მოარტყა... დამატებითაც, მუხის კენწეროზე უდროოდ შემომჭდარი ყვავიც ჩამოაგდო, რითაც საერთო აღფრთოვანება და მუხა-ჭყონის საპატიო მცველის სახელიც მოიბოვა.

შუბის ტყორცნაში მკლავ და მხარგრძელი ტარიელი გამოვიდა გამარჯვებული. ვაჟთა სრბოლაში — ისევ სწრაფი სავლაკე. მასვე დარჩა მამისეული თეთრი ნაბადი, ჯილდოდ დათქმული. აფსირტულაზე თეთრი ნაბადი აუცალვებელ აღმად და ერთერთ ჯილდოდ ითვლებოდა. სავლაკე ცას უწია.

გოგინა სარფელმა კი ჩანჯ-ჩონჯურე-

ბით შეწყობილი და შორიდანვე შემღერებული, თალხებმოსილი მანდილოსნები იხმო.

აფსარტულას თავისი კილო და საგალობელი ჭქონდა. მაგრამ წესი მოითხოვდა, მანდილოსანთა დაბალ ზრუნის ხმაზე შეწყობით ვინმე სტუმარს უნდა ეთქვა წყობილსიტყვიანი კადია.

— წესი არს! აფსირტეს უთხრას! გულის ნადებით იმისნოს! — შესძახეს კიდევაც.

ბედან-კოლხი და სხვა მოხუცებიც წინ წამოდგნენ და კადიის მიტქელად „ჯერ ახალგაზრდა“ წამოაყენეს... ბედანის არჩევანი ჭაბუკ შეგირდს ხვდა... მან იცოდა, ვისაც ირჩევდა, მისი განსწავლულობის იმედი ჭქონდა... შეგირდი ვერძითავას წინაშე წარსდგა და მიმოიხედა... დღეობის ერი მას უმზერდა... უმზერდა ზღვაცა და ციხე-გალავანიც... ტყეც... თუმცა ტყის პირში, რალაც ფარული მოძრაობაც შეამჩნია. გულმა უგრძნო, ჯერ მოუწვევი ქალწულები იყვნენ.

გულმა ძგერას უმატა... ფარვით უსმენდნენ მას, ზღვის ჭაბუკს... და მან, ჭაბუკმა იგრძნო, რომ ამას საოცარი, ჯერ განუცდელი მნიშვნელობა მიეცა... უეცრად გაუჩნდა თავმომწონებაცა და თდნავ ჩაბორკილ მიხრა-მოხრის ახალი იერაც. წყობილსიტყვაც აღზნებულად სთქვა... შიგადაშიგ, ლექსიც უნებურად შემოებარა...

ვაყო განგმირულ... ლალატის მსხვერპლო!

შენებრ წილხვდომილნი ჭაბუკნი

გეტყვით:

ღმერთთა და კაცთა ამრევი ძალისა—

არის ცრუ გმირობა — იაზონური!

მედვას გაცემა შენი და თვისტომთა,

აჲ სახედ მოსდევს კოლხეთს და

საბერძნეთს...

დავგმოთ და შევექმნათ ახალი

საწმისი,

ტომთათესავთა და ოქროს
ძმობისა!..
..თუ მისმენს ვინმე ქალწული
თმოსანი!..

თუ გული ერჩის და ალი ედება,
ვაშობო მოსული, უცნობი მგოსანი,
მედვას გული ნურმც დაუბეღება!

კაფიამ დიდი მოწონება მოიპოვა
ხოლო მოხუცებმა „ცრუ გმირობა —
იაზნურთიკა“ და „ახალი საწმისიკ“
გაუგეს და დაუფასეს. „ოქროს ძმობა“
სავლაცკისა და სხვა ახალგაზრდებს მოე-
წონათ... ხოლო ყველასათვის შეუმჩ-
ნევლად, სადღაც, ტყისპირში „ვინმე
თმოსანი“ გული შეეურჩა და იქნებ შე-
უმჩნევი ალიც მოედო.

..მაგრამ შეგირდისათვის სრულიად
მოულოდნელად, კვიელი მოესმათ ქალ-
თა. ყველამ ტყისპირისაკენ გაიხედა. იქი-
დან მორბოდა ტალა ქალწულთა, ყო-
ველ მათგანს თითო კოლხური ცალსა-
ხელურიანი კოკა ედგა მხარზე, ისე
მორბოდა.

— კოკამარულა! — აუხსნა გაკვირვ-
ებულ მითრო-შეგირდს ბედანმა, — წყა-
როდან მოაქვთ წყალ-ცრემლი, „დის“
ცოდვის გამო, „ძმის“ საფლავის დასა-
პკურებლად... თან მოსწრებაზეა!

თეთრა-ჭრელა კაბიანები, მკაცრად
თმაკონილნი და ფეხშიშველანი, შორი-
დან ჩამწკრივებულ წეროებს ჰგავდნენ.
მერმე იძალეს ზოგთა.. ურთი-ორი გზა-
ში წაიქცა..

— იიპ, კოკატეხილა! — შექმნეს ხარ-
ხარი ყმაწვილკაცებმა.

ერთი წვივმაღალა და ტანკენარა ქალ-
წული დაწინაურდა... ვერძითავასთან
მოიჭრა, მაღალი მკერდი დაიოკა და
კოკა გადმოაბრუნა, ხელში დაატრია-
ლა, საფლავის ირგვლივ კოინდარი მო-
რწყო. მერმე სხვებიც მოიჭრნენ.

— ერთი კოკით აჯობა! აჯობა!.. ამო-
რძლობა ლულუფასია!

მანდილოსნებმა ხელად მიართვეს
„ამორძლის წელსამკულა“ — შემარ-
ჯული და შესაღაფული ქამარი შემო-

არტყეს და ჩანგ-ჩონგურებს ებანისა და
დაფის ხმაე შეჰმატეს, კილოც შემარ-
ული დაუტრეს. ლულუფამ ხელკაშქრად
და კენარანარარად ჩამოუარა ხელად
რკალი გაჩნდა, მაგრამ ლულუფამ გაარ-
ღვია და ხობობივით ჩამოუჭროლა სავ-
ლაცკეს. მანაც არ დააყოვნა.

— ჩემი ნანდაურია, ზღვის ძმებო...
აკვანშივე დანიშნული — წაუჩუმათა
მათ და ახალგადადრენილი შევარდენი-
ვით გაჰყვა.

მითრო-შეგირდს რაღაც პირალესილ-
მა გაჰკრა, სადღაც გულის პარკუქანას
არეში. ამ ბოლო დროს რა არ ვადახდა,
რა ახალი რამ არ აღმოაჩინა თავის გა-
რეთ თუ შინა.. მაგრამ ეს სრულიად
ახალი, განუცდელი, ქრუანტიელიანი
გრძნობა იყო, ოდნავი თავბრუ და
ლტოლგაუცნაური...

თვალი გააყოლა აგოგმანებულს, მი-
სი გულის რხევისად რომ როკავდა და
ხიბლვის ლანძვეში უფრო იბაკებოდა.
და აქამდე ბალღურ ზღაპრად და სიზმ-
რად თავწასულს, მხოლოდ ახლა გამო-
ედვიდა და, ვგონებ, პირველად, თვალ-
გამქოლად შეჰხედა ასულს, თანაც მთე-
ლი არსებით იგრძნო, რომ ჰხედავს!

თვალი მოსწყვიტა და სხვა ქალწუ-
ლებს გადაჰხედა, რბოლისაგან სახე-
შეფერილთ, კოკიანებსა და კოკაგატეხი-
ლებს... თავბრუ უფრო დაეხვა.

ახლა ყველა ცეკავდა... უკვე ცარიე-
ლი კოკები მხარზე შემოედგათ და რო-
კავდნენ.

ქაბუკმა მართლაც პირველად ნახა
ამდენი კოკები ერთად. მაგრამ საოცარი
ის იყო, რომ ქალწულები თავ-სახეს
აფარებდნენ კოკებს, თუმცა ყველაზე
უფრო საოცარი სწორედ ის იყო, რომ
კოკები თითქმის გამჭვირვალე იყო, თუ
ყოველ მათგანზე ლულუფას სახე იყო
ნატიფი და იქნებ, მხოლოდ მითრო-შე-
გირდისათვის გამოჩენილი.

ახლა გუნდური მოაყოლეს ცეკვაჲ.
ყველა გალობდა. ეს ლოცვისავით აუ-
ცილებელი იყო. გუნდმა ჩაუკლო ხმას
და ლულუფამ შვიდძალიანი ჩანგი ააყ-

ღერა, დაბალი რბილხათიანი ხმით. მოკლედ წაგალობებით შესძახა:

აყვავდა თეთრი ღიღილო
ვაყვაცის ნომარზედა...
ლეში შენ დაგრაჩა, სიკვდილო,
სახელი დარჩა კარზედა!

ლულუფამ ხმა იკმინდა და შვიდმალიანი საკრავი ზედან-ჟოლსს მიართვა; ახლა კი ბერიკაცებიც წამოდგნენ და ზედანის ნელ თხრობას დააყურადეს.

— ჩვენ საბერძნეთი, სიბრძნის ქვეყანად ვსახეთ... მათ, ბერძენთა, ჩვენი ქვეყანა — ჰეა — ღმერთ-კაცების საყვინელი... ეს იყო ბერძენთა და კოლხიბერთა ურთიერთობის გარიყრაყზე. მერმე მრავალი მართალ-ზღაპარი და ბოროტნაჩამბი აირია სპერის ნაპირებზე... ერთი მათგანი არის თქმულუბა არგოს მუხანათებზე... აი, მათი მართლაც და ცრუ გმირობის მსხვერპლი! ესეც მთავარესისლიანა ტაძრის ნანგრევები, რომელიც აღარ აღადგინა ტაძრის ერმა—იგი აღამიანს იწირავდა! და პირსისხლიანი გახდა იგი აფსირტეს ვერაგული მოკვლის შემდეგ... ჯერ მხოლოდ მტრებს იღებდა შურისძიების მსხვერპლად, მერმე თავისიანიც მიიღო... ვიდრე დაინგრა!

— ვაუჰ, აფსირტე! — ყრუდ გაიმეორა ერმა.

— ელადის გმირებს სმენოდათ ჰეას სიმდიდრე... ოქროს საწმისის ძვირფასობა, ოქრო-წერისი იღუმალება... შემოკრბენ, არგოს—ხომალდით მოამშურეს კოლხეთს, ჰეეთის სამეფოს. სიამაყით ვერას გახდნენ და ჩაიღინეს საშინელი მკრეხელობა აღამიანის უფაქიზეს გრძნობის წინაშე... მოითვალთმაცეს სიყვარული! იაზონი შეუჩინეს ჰეეთის ასულს, მედეას, თანაშიწიეს ღმერთები თვისინა...

...და მოიხიბლა მედეა სიყვარულითა ბეციითა და ცოფიანითა...

— ცოფიანი სიყვარული? ბეცი გრძნობა... ვაუჰ... აფსირტე! — აღმოხდა გარემოს.

— ...და მან — მედეამ ჰქმნა დილატი, ჩვენ დედათაგან გაუგონარი, ფარულად განუდგა მამასა და თვისტომთ, მოუვერაგა იაზონსა და სხვათა ოქროს საწმისიც, ოქრო-წერის ხერხიცა და სხვაც მრავალი... თანაგაყვავა ღტოლვილთ! დიდმა ცოდვამ იცის ჯაჭვი ცოდვითა!

ზღვაში ვერ შეჰბედეს არგოელებმა შებმა კოლხთა. ისევ მედეამ იზრახა გაუგონარი ქართველ ნათესავთ შორის, დამ გასწირა ძმა, და იაზონ საყვარელს, ზურგიდან შეპარვით, ამ ტაძარში აფსირტე მოაკვლევინა.

— ვაუჰ, აფსირტე! — შეჰლაღადა ერთობლივ ყველამ.

უეცრად ღულუფა, თვალცრემლიანი წამოვარდა და განაგრძო აღლუღებული თხრობა: — მედეამ, შავსახემა და შავწარბოსანმა, შავი ლაბადა იფარა, რათა ძმის სიკვდილი არ დაენახა... მაგრამ ძმამ თავისი სისხლი პეშვით შეასხურა შავ დას!

ახლა აცხცახებულმა მითრო-შეგირდმა ჩამოართვა სიტყვა...

— იაზონმა კი მოკლულ აფსირტეს სამსხვერპლო ნაწილები მოჰკვეთა და სამჯგის გაივსო პირი სისხლით, განსაწმედელად! ნეტა რა გასწმენდს ასეთს! — ვაუჰ! აფსირტე ნაწილმოკვეთილო!... — ბერდიაცებმა მცირე-მცირე შესაწირავი, სეფე-კვერი ჩამოარიგეს... და ისევ ბერიკაცებში გადავიდა თხრობა, ახლა გოგინა სარფელმა განაგრძო...

— ...და მიინც ცოფიან სიყვარულს ბედი და სალბუნი არ ღირსებია! მეორედღეს შორს აქედან, ბნელ ქვაბში, ოქროსსაწმისის უკან, გველხოყერებში, გაიშალეს თავისი ცოფიანი სიყვარულის სარეცელი მკვლელებმა და ჰზორკავდათ მათ სისხლიანი ჯაჭვი ცოდვისა. ხოლო საბერძნეთს რომ დაბრუნდნენ მუხანათ-გმირნი, სხვა მეფის ასულის შერთვა განიზრახა იაზონმა, მედეამ მართლაც ცოფიანი და ბეცი შური იძია, ცოდვა ამრავლა!

— აი, ეგ კი ვერიბედეს მოჩნახულია!

— ველარ შეიკავა თავი მითრო-შეგირდ-მა.

თხრობა შეწყდა. თითქოს შეიდიეკ სიმი შეაწყდა დიდ ჩანგს.

ისევ ბედან-კოლხმა წამოიწყა:

— მედეას შურისძიება ის იყო, რომ მან მოწამლა კორინთეს მეფე კრონტი და მისი ასული გლავკე... შვილები დაუტოვა ტაძარში იაზონს, ხოლო თავად ილტვოდა ათენს. ბავშვების ცოდვა კორინთელებმა დაიდეს. საერთოდ კი იაზონმა — უკუღმართმა რაინდმა და მამამ.

— მერმე ევრიბიდემ, დედმა მწერალმა, მედეას ვით მიაწერა ასეთი ცოდვა? — შემფოთდა ტარიელი, რომელიც ათენში იყო ნამყოფი და ევრიბიდეს დრამებს იცნობდა.

— არისტოტელე ამბობს — „გადმოცემული მითების გასწორება არ შეიძლება!“

— ევრიბიდემ გაამძაფრა ტრაგედია... თუმცა ბერძნულ მითებში, ტრაგედია და ყოფაში ასეთი რამ არც თუ იშვიათი ყოფილა. პროქსემ მოჰკლა თავისი შვილი იტოსი, მისი ხორცი მეუღლეს შეაქამა და ასე იძია შური! — ბედანმა თვალი მოავლო ყველას, მაინც შეგირდს და უფრო მწვავედ შეეხო „ცოდვიან დედებს“

— მე უფრო ახლა ბერძენ დედაკაცის ცოდვასაც დავსახელებ, რომელმაც მოჰკლა მეუღლე და ქვრივობას ყველგან ჩიოდა, შვილის მოკვლაც სწაღდა და აისრულა ეს სწაღდელიც, და ახლა, ალბათ, მის გამო სტირის!

ამ მაგალითმა ყველა შეჰზარა მაინც მანდილოსნები და ქალწულები.

— ნუთუ ჩვენს ტომებშიაც არიან ასეთი დედები? — ყრუდ იკითხა შეგირდმა.

— არა ვგონებ! მედეას ისედაც ეყოფა ცოდვა. ზედმეტს კი ნუ ვაკისრებთ! ბერძენ მწერალს „ბარბაროსთა ტომის ასულის“ მედეას სახელის გატეხა არაფრად მიაჩნდა... მის ვნებებს გონებაზე უფრო მაღლა სახავს. კოლხი ქალის მა-

გალითზე ამტკიცებს, რომ მამულის ლალტი ყოველივე საშინელის საწყისი და გამომწვევია...

— ამაში კი ჩვენც დავეთანხმებით! — ბანი ააგუგუნა მახუნჯავმა.

— ევრიბიდეც ამას დასკვნის — „სამშობლოს, დაე, ნურასოდეს ნუ ვანუდგებით!“

მითრო-შეგირდის შეძახილს ახლა კი ყველა აჰყვა და ყველაზე უფრო, როგორც მას მოეჩვენა, სწორედ „ქამაროსანი“. ამან კიდევ წაათამაშა:

— ევრიბიდეს ქალთმოძულე შეარქვეს და ყველაზე უფრო მას მედეა სძულდა და, როგორც ბარბაროსს, აღარაფერში ინდობდა!

— მაშ ქალთმოძულენიც არიან? — ხელები შეჰყარა ლულუფამ, მაგრამ მისი კითხვა, ვგონებ, არავის არ გაუგია, გარდა „აქამდე ქალთმოძულე“ ჭაბუჭ შეგირდისა.

ახლა კი ხევიანად ამოუშვა ბედან-კოლხმა თავისი სარიტორო ხმა: — ბარმენისკემ რქვა: „ევრიბიდემ კორინთელებისაგან ხუთი ტალანტი აიღო და ბავშვების მოკვლა მედეას გადააბრალა. მედეას ბავშვები კი მოჰკლეს კორინთელებმა.“ ალბათ ეს იყო პირველი ქრთამი მწერლისა ასეთ ცილისწამებაში მიღებული და ჭერაც სათანადოდ ევრიბილებული.

ამით ევრიბიდემ ოთხი კურდღელი მაინც დაიჭირა — სიმდიდრე მოაპოვა, ტრაგედია გაამძაფრა, „ბარბაროსი ქალი“ დაამდაბლა და მის შავ მაგალითზე, ბერძენ ქალთა უკადრებლად, ზნეობრივი დასკვნა და განაჩენი გამოიტანა.

მაგრამ ზნეობა მაშინ არის ზნეობრივი, როდესაც საფუძველიც ზნეობრივია! ჩვენც ვგმობთ მედეას, მაგრამ არა შვილთათვის, რომელნიც მას არ მოუკლავს, არამედ მამისა და მამულის ლალატისათვის, ძმისათვის, რომლის საფლავზე მრავალ საუკუნეთა შემდეგაც ვამბობთ — ვაუჰ! აფსირტე! სამშობლოსათვის და ტომ-ოჯახისათვის დაეცემული!

— ვაუჰ, აფსირტე! — ყველა ხელჩა-

კიდებულ, დიდრკალად გარს შემოადგა ვერძითავეს. შუაში მუხა-ჰყონის მე-წლოურა მსახური დედაბერი, ნენა-მონა ჩადგა და მუხის ტოტები ჩამოარი-გა.

— აბა, გამრნო და მდედრნო, აფსირტეს წლისანნო და ნაკლებნო, მაგრამ არა ბავშვნო, აქ ვადმოდექით!

ყმაწვილები და მოზარდები გადმოღ-გნენ. აფსირტე იცი წლისა ითვლებო-და. ასე რომ, უღვაშმოკითხულებიც გა-ერივნენ. შეუღლებულებს ეს არჩევანი არ ეხებოდათ.

— გადმოდექით! — შეეყოყმანებულ ტარიელსა და მითრო-შეგირდს ხელი დაუქნია უკვე გადმომდგარმა სავლა-ეკემ.

შეხარვეზებული რკალი ახლა მოხუ-ცებმა შეავსეს და „ძველსაწირავი“ წა-მოიწყეს.

— ძველსაწირავი, გრძელსაკენსაირი! — წასჩურჩულა სავლაეკემ, — სამსხვერ-ბლო აღამიანის გმინვის დამზობი! ბა-ბუს ახსოვს! — და სხეულის კანკალი თავის ძმობილებსაც გადასდო.

ნენა-მონამ ხელმარჯვედ გადაარჩია „მსხვერპლსაწირავი“, პირველყოფლისა, კოკამარულაში გამარჯვებული ლულუ-ფა, ახლა იგი „მედვას ნაცვალი“ იყო.

მერმე ორი „უცხო“, ტარიელ და მი-თრო-შეგირდი, ახლა უკვე საპატიო-ბით, ძველად კი „ტყვეების ნაცვლად“. და მხოლოდ ერთიდა შერჩა სადავო. რადგან „მთვარისმხლიანი“ ტაძარი, თუმც დანგრეული და ძველძალა დაკარ-გული, მაგრამ უსათუოდ წყვილს „იწი-რაედა“.

— მე მზად ვარ! — უმაღ წამოდგა სავლაეკე, — მსხვერპლი და მონა ახალ-გაზრდობით ფასობს, ჩვიდმეტი წლისა ვარ, პატივი დამდეთ!

— თუ გირჩია რკომ! — გაურკვევე-ლად წაიღულღულდა ნენა-მონამ და აპარჩევ ჯგუფს შორის რკო ზევით აავ-დო.

ყველა ელოდა, სავლაეკე კი საოცარ

სიმაღლეზე აბტა, რკო დიპირა და ნე-ნა-მონას დაანახვა.

— მე ვარჩიე და ისიც მომწყვდის რკალში თავშეკაეებული სიცილი გა-ერთა, მაგრამ მოძლიერებულმა ძველ-საწირავმა ჩაახშო.

— ბედმარდო!.. მეორედ რკოს ყრა აღარ იქნება! ჰყონის ბჭეებმა ბრძანონ წესგანაჩენი!

ოდესღაც უმძიმესი გადასაწყვეტი, ახლა წესჩვეულებად შთენილი, სწრა-ფად მოაგვარეს ჰყონის ბჭეებმა. მათ შორის სავლაეკეს მამაც იჭდა და სდუმ-და. ამ ჯერად მას ხმა და სიტყვა არ ჰქონდა. ესეც ძველთა-ძველის გარდმო-ნაშთი იყო. სავლაეკე თვალახვეული წა-მოაყენეს მუხის ძირში.

— რატომ მიგერჩის გული, წილ-ხედომილო? — შეეკითხა ერთი ბჭე.

— ძველ მკედრისა თუ ცოცხლების პატივდება გამოქმედებს? — ახლა მეო-რემ ჰკითხა.

— იყო დრო, სიკვდილი არ ავცდუ-ბოდა... მაშინაც დაირჩენდი რკოს?

— გული მერჩის სამოყვასო.. გმირთ სასახელოდ და მით უფრო ცოცხალთა-თვის! ზღვადანაფიციებიც რკალში არიან და... — სავლაეკემ ლულუფას გაპხედა. ენაზე იკბინა და მეტი არა თქვა რა... მაგრამ ბჭენი სდუმდნენ, ელოდნენ..

— მათთან მიჩვენია თავითაც და უთაოთაც!

ბჭეებს ჩაელიმათ, გოგინას გადაპხე-დეს.

— ყურები დაიგმანე! გოგინამ უკვე იგრძნო „მკაცრი განა-ჩენი“, ყურებზე ხელი იფარა.

— მუხა-ჰყონის დასტური! — სთქვა უხუცესმა.

— დასტური! — გაიმეორეს სხვებმა. სავლაეკეს თვალახვევი ჩამოხსნეს და „შეწირულებში“ ჩააყენეს. მერმე ოთხივე ტაძრის ნანგრევებთან, მზის გულზე გაიყვანეს.

ციხნთათვმა, რომელსაც ხევისბერო-ბაც ეკისრებოდა, თავისი ზურგით, მრგვალი, სამსხვერპლო მორი მოიტანა

და ჯგუფის ახლო ისიც მზებზე დადო. პირმოხატული, კოლხური, დიდი ნაჯახიც გამოაჩინა და ტაძრის ზღურბლზე ალესა.

პირველად ლულუფა გაიყვანა, დანა ნაჯახის პირს ააღესა და ქალწულს ციციქნა კულული შეაკვეცა, მორზე დადო. მარცხენა ხელი გადაუწია, ოდნავ თითი გაუქაწრა, სისხლი ნაჯახის პირს დასცხო. ქალი მზის მხარეზე ისე დააყენა, რომ მისი თავ-ქისრის ჩრდილი სწორედ მორს დაადგა. ხევისბერმა ნაჯახი მოიქნია და ჩრდილს „კისერში“ დაჰკრა, ირგვლივ რკალმა შეჰკვილა. ნენა-მონამ ლულუფას შეაწითელა ხილბანდი თავზე გადააფარა და წრიდან გაიყვანა. შემდეგი, ვაყებს შორის უმცროსი, მითრო-შეგირდი იყო.

აქ კი შეფერხდა „შეწირვა“. მუხა-ჰყონის ბჰენი მოჟლოდნენ შეფერხებას, რადგან მაშის მიერ შვილის „შეწირვა“, თუნდაც ასე გაჩრდილულად, არ შეიძლებოდა, მაგრამ, როდესაც ხევისბერმა მითრო-შეგირდს კულული შეაკვეცა და ახლა მარცხენა ხელი გადამოუწია... შეერთა, ხელისგულზე „ამირანის ფიცის“ ნიშანი ნახა, მაშინვე თავის მარცხენას უღარა და ხელი დაუშვა ახლა ტარიელს გაუსინჯა ხელი და აქაც რომ ნახა, უსიტყვოდ გასწია მუხისაკენ. მან იგრძნო, რომ აქ უფრო რთულად არის საქმე, ვიდრე „სწავლული მკურნალებს“ საფარველი.

— დანარჩენნი ჩემთვის ხელშეუვალნი არიან, ჰყონის ბჰენო, და მიზეზსაც ნუ მკითხავთ!

— ხევისბერი თუ არ დასტურობს, გუთნისდგა არს წესი მიწის სიწმინდის კაცი! — ბჰეებმაც ხელად გადაწყვიტეს. მეტი არც არაფერი ჰკითხეს.

ღუტუ გუთნისდგა არც უმხცოვანესი იყო, არც ნაფიცი, არც ბჰე... ერთი უსიტყვოდ და შევებაურდულა, ჯმუხა ჰარბაგი იყო. სანთელი და წყალი ითხოვა. ხელი დაიბანა, სანთლის ალზე გაიმშრალა და „შეწირვის“ წესი შეატრიალა. ახლა უფროსობით მოაყოლა.

ჯერ ტარიელი „შესწირა“, მერმე სავლაკე და სულ ბოლოს, მითრო-შეგირდი. ერთიც დაილოცა, ნაჯახი შორში ჩაასო და „რკალიდან“ გასულებს კეთილი მებრეობა უსურვა.

ნენა-მონამ „შეწირულები“ ერთად შეჰყარა.

მათ ურთიერთს უჩრდილო სიცოცხლე მიულოცეს და წესის ამბორი „საჯაროდ და საეროდ“ ჰყვეს.

...და როდესაც მითრო-შეგირდმა თავისი ოდნავ შეღინდლული ზაგეება შეახო ლულუფას შეფუთულ ტუჩებს, ისევე საოცარმა ქრუანტელმა დაუარა და თვალები დაახუჭვინა.

მერმე საერთო სუფრა გაიშალა მითრო-შეგირდმა კი ინიშნა, რომ სუფრაზე ერთობლივ შვლის ხორცი იყო. ზეთის ხილი და მალღარის საამოდ შეშხუნა, მსუბუქი ღვინო. ჰაბუკი ჯერაც გლოვის ქაში იყო, ღვინოს ოდნავ ეკარებოდა.

საერთოდ, ლად ჰამადისს ძველებურად ეკრძალებოდა და „შხამის თადარიგს“ თავგამოდებით იცავდა. ამ სუფრიონზე კი მაღაც არ ჰქონდა და, მართლაც, „ჩრდილმოკვეთილად“ დადიოდა და მარჯნისა და სადაფის ფერ-ნარნარი ყველგან ელანდებოდა. ირგვლივ კი აფსირტულას დღეობა და ღრეობა გრძელდებოდა.

შეოცნებებულ ჰაბუკს როგორღაც უჩვეულოდ ემორჯებოდა ბურუსიანი ფიქრი... ჩრდილიანი და უჩრდილო სხეები აფსირტესი, მედეასი, იაზონისა, სავლაკესი... უამრავ ქალწულებისა და კოყებისა... დაბოლოს ყველაზე მკაფიოც და მწველად — ლულუფასი! „მე კიდევ რაღაც სამყარო აღმოვაჩინე ჩემს გულში! უმიზეზო შედგერება ჰქონია ნიშნად და ნუსხად!“ — ფიქრებში გაუტრევე მღურვით იყო ჰაბუკი გარეგნულად კი ზღვის ძმობილები სულ ერთად იყვნენ. მომავალ გეგმებს სთხზავდნენ. აფსირტულას კუდად ხვალვე წყავის ტყეში ნადირობა იზრახეს, მხოლოდ „შეწირულთა“ ჰასაკისა.

— შეგლებს ქალწულები მოგვრეკავენ, მაგათ რომ კივილი იციან, სულ შესძრავენ სამველეთს! ყმაწილები კი საფრებში ჩავსხდეთ! არც მშვილდი გვინდა, არც შუბი, ხელშიშვლად დავიქირით! ხელშიშვლად!

...და ჭაბუკი შეგირდი, რომელიც სულ აჩქარებდა ლტოლვილთა გუნდის წინსვლას, სულ ადვილად დაეთანხმა სანადირო დაყოფებაზე. გულმაც უოჩნა და ფიქრმაც, ხეირიანად ვერც გაარკვია — ეს „ხელშიშვლად დაქერა“ შეგლებს შეეხებოდა თუ მათ მომრეკეთ? ისიც იგრძნო, რომ ეს „სხვა, ახალ სამყაროს“ ოჩინი ფიქრი იყო.

...მაგრამ არ შედგა მათი ნადირობა. საღამოთი ცხენოსანი მაცნე მოვიდა კოლხათენიდან. გოგინა სარფელი გაიხმეს ციხეში. ღამე ცეცხლი აღარ დაანთებინეს მედღეობით.

ბედანის კარავში შემოკრბენ მგზავრნი-მსტოვანნი და ორი ახალგაზრდა, ყველა შეფიცულნი, ხოლო სარფელმა მაცნე მოიყვანა და ალაპარაკა...

— რაო, კვეცილავ, რაის მაცნე ხარ? იქნებ ამათ გაარკვიონ შენი ნათქვამი?

— შენთან გამომგზავნეს, სარფელო! უცხო ხომალდი მოადგა ათენს, მეთევზენი გვიპყრეს, ერთი ბერძენ-ვაჭარიც... ვინც ნავებში ვიყავით, ხმელეთზე კი არც გადმოსულან. არც ჩვენ გვესმოდა მათი და არც მათ ჩვენი!

— ბერძენ-ვაჭრისა? — შეეკითხა ბედანი.

— არც მისი... ის კი გაიძახოდა... რომნი, რომნიო! ბოლოს ავაბით აზრი... საოცარს კითხულობდნენ — ზღვაში ცხენოსანი კაცი ზომ არ გინახავთო? ან ცოცხალი, ან დამხრჩვალისო! ან ერთი ხომალდი ბერიკაცებით სავსე არ შეგხვედრიათო? ბოლოს ვედარ გავარკვიეთ—ცხენებს ეძებდნენ თუ კაცებს!

— ვინ იყვნენ, არ შეეკითხეთ? — ჩაეძია გოგინა.

— შევეკითხეთ, ახალი არგონავტებიო, ასე გვითხრეს... დაგვშიშეს, წადით და მოენე მოიყვანეთო! ასე გამოგვრეკეს, ბერძენ-ვაჭარი კი დაიტოვეს! ახლა აღარც ხომალდი და აღარც ბერძენი კოლხათენს.

ბედანმა და დანარჩენმა მოგზაურებმა ღიღებულად გაიგეს ვინ და ვის ეძებდა ხომალდი, მაგრამ არ შეიფერეს და შესაფარავად ბევრიც იცინეს. დილა ადრეიანად კი გზას გაუდგნენ. ჭოროხის ხერთვისიც აღარც თუ შორს იყო.

მახუჩვაგი, თავისი გუნდით, ტაოს გზას უნდა დასდგომოდა, ჭოროხის აღმა-აღმა, ადრევე უფრო მოკლე გადასასვლელიც ჰქონდა, მაგრამ ვიდრე ჭოროხს არ გადაატარა, არ მოშორდა მითრო-შეგირდს. ხოლო უკვე საქმიოდ გამორჩენილი გედე სულ აახლა, ფარულმეძაჭრეთა და ტაოს მეკავშირედ.

აბაიო-იბერიი კი ჭოროხს იქითაც მიჰყვებოდა. გზა არც თუ მეტად უგრძელდებოდა.

შეგირდის ჯგუფს შემოემატა სავლაცე სარფელიც, რომელმაც არასგზით აღარ მოიციადა აფსაროსში, აღარ ჩამოშორდა თავის „ზღვადნაფიცებსა და ერთად შეწირულებს“, მაგრამ ყველაზე უფრო იმან გააკვირვა სავლაცე, რომ ნამამაც „ღლი გზად და მკურნალთა შევირდად“ დალოცა და გაუშვა.

შხოლოდ ეს იყო, რომ წასვლის წინ, მასაც და მითრო-შეგირდსაც სულ ერთეოდან თითო ფეხი, მაგრამ ვერც ერთმა თვალი ვერ მოჰკრა ლულუფა შეწირულს.

აბა ისინი რას წარმოიდგენდნენ, რომ ქალწული, სოფლის გარეთ, გზის თავზე, შებურულ ზეთისხილის ხეზე იჯდა, თვალს აყოლებდა მიმავალთ და ცხარედ იცრემლუბოდა. ხოლო რომელ შევირდს ეკუთვნოდა ეს ცრემლი, ძველსა თუ ახალს, ეს ვგონებ, ხეირიანად თავადაც აღარ იცოდა.

11. შხა მცნებისა და კამერობისა

ქოროხი შესართავთან დიდიც იყო და დატოტილადც დიოდა. ქარიც ზღვაური იყო და მდინარე საკმაოდ ზღვაშემობერილად იზღაზნებოდა.

მევეღებმა — გური ასკანელმა და გვაზა მეგრმა კარგა ხანს იღავეს, ითათბირეს, ქოროხისპირა ლამზე ჩხირებით ხაზეს და მდინარეს აღმა ააყოლეს სავალი. ფონი ძებნეს, მაგრამ დაბურულ თხემლნარში ფრად ძნელი იყო გარკვევა.

ღღის დასასრულს მიაგნეს და ჭგუფ-ჭგუფად გასვლა იწყეს. დაშლილი ტოტების ნაწილი რომ გავლეს, უსიერ, ჭალანარეე ჩალიანში მოხდნენ. დანარჩენთ დაელოდნენ და ერთად შეეჭიდნენ ჩალიანსა და წარაფნარს... უფრო ღრმად კი მაღალი ისლნარი იდგა.

ცხენოსნები სულ შეიფარნენ ჩაწალიკებითა და გადაძახილით ვიდოდნენ. ხან ტალახი იყო, ხან მშრალი. შეტბორებულ ადგილებს უვლიდნენ. ამას იხვის გუნდები უფრო აგებინებდნენ მგზავრებს. მერმე ღორების კოლტებმა იწყეს ფრთხობა. უფრო მომშრალი ზურგებზე ზოხბების სიმრავლემ გააოცათ. მერმე დიდ ტოტში შევიდნენ და სინჯვა-სინჯვით გასტოპეს.

არც ვაღმა იყო ნაკლები უსიერობა. ხან შველი წამოუვარდებოდათ, ხან ტახი, ახლა ირმების რემა გადააწყდათ ხშირნარში. ველარ გაუძლეს ცდუნებას... პირველი მითრო-შეგირდი გაედევნა... იხელმარჯვა და ისარი ყელში გაუყარა. მაგრამ მონადირეცა და ნანადირეც ისეთ ეკალ-ბარდნარში მოხვდნენ, ხსნა ვაჭირდა.

ღენა უყვეს სხვებმაც. ზოგი ჩამორჩა, ზოგი დაიბნა კიდევაც და ვიდრე ურთიერთს მიაგნებდნენ, შეგროვდებოდნენ, ირემიც გატყავებული დახვდათ და ეკალ-ბარდიც გამოწაღდული, პირველი მღვევარიც სამოსშემოფლეთილი.

ბედან-კოლხმა გავიკრებით გადმო-

ხვდა... ღამის თევა აჭვე ბრანა და უფლისწულს წასჩურჩულა:

— ახლა კი, მართლაც, ვერაინ შეგიცნობს ასეთს!

— ბრძენ-კაცო, ჩემთვის ჭერ ირმის ტყავ-კაბა, ვგონებ, უფრო უპრიანია!

მაღე ტარიელი და სავლაყეც „ამ დღეშივე“ მობრუნდნენ. იმ ღამესვე გედემ და გურმა სამივეს უსახელობო ჭუბაჩები გამოუთარგეს ირმის ტყავიდან. გვაზამ წვრილთამები გამოუჭრა, ახლასხვები მიეხმარნენ და გვერდები ამოუთასმეს. მერმე მთელი ღამე ცეცხლზე უფიცეს და შიდამხარე უშრეს. დილას კი დახეულ სამოსზე ბეწვიპირულად ჩააცვეს.

სავალი ისევ ზღვისაკენ დაჰყვა და მთებით შემოგარსულ ზღვის უბეს მიადწია. თითქოს ვეება სარკე იყო ჩამული მარადმწვანე, ცალკიდემოტებილ ბუდეში.

მთელ სივრცეს ტყეებად ატეხილი მთები იცავდნენ და საოცრად მყუდრო უბეს ჰფარგლავდნენ.

მგზავრებმა მთიდან გადაჰხედეს დიდმანძილა სანაპიროს...

— რა ბუნებრივი ნაჭაღდომია?! — ფიქრიანად გაჰხედა ხმელთ-გარემოსა და ზღვას მითრო-შეგირდმა, — სინოპეს მაგონებს, მაგრამ აქ უფრო დიდი არეა და ზვიადი ბუნება! ქალაქი კი სულ არა ჩანს! მიკვირს, ბერძნებს ახალშენი ან მოუსწრიათ!

— ბერძნები, ყოველთვის, უკვე დასახლებულ, მონაცხოვრებ ადგილებზე აწყობდნენ თავის ახალშენებს! აქ კი კოლხნიც არ სახლდებოდნენ მაინცაღამაინც... — გური ასკანელმა შენისლულ ქედებს ახვდა... — იქნება თქორი! თუ შხაუნამ გვიპატია!

და, მართლაც, მაღე გამშვირვალე თქორი საბანივით წამოეთარა მთასაც და ზღვასაც...

— აქ მცირე სოფელიც არის, ბათუ,

სიმაგრეც... მეთევზეები ცხოვრობენ... ისე კი, საკუთრივ ჰეას მიდამოა, აქ ყველაზე უფრო დიდი საწვინეთია, მთელ სპერზე!... აი, იმ ზღვისპირა კლდის თავზე კი დიდი ციხეა, ქვაციხე!

მითრო-შევირდის მეხსიერებაში წარუშლელ შთაბეჭდილებად წვებოდა ეს გრძელი სახმელეთო გზა სპერის ზღვის ირგვლივ. იგი ყველაფერს აკვირდებოდა, ადარებდა, ასხვავებდა, ძიობდა მკვიდრთა მოღვმას და ყველგან ნათესავნი, თვისტომნი იყვნენ... პონტოში იელი იყო მეტი, აქ შქერი... წყავის ტყეებმა განაცვიფრეს... წაბლი აქაც იყო და იქაც. ამდენ აღმა-დაღმა მი-მოვლაში მხარი ეცვალა და ამიტომ ფიქრში ყოველთვის აზუსტებდა სავალს... ჯერ შვეტი აღმოსავლეთი იყო, მერმე ჩრდილო-აღმოსავლეთი, ახლა კი შვეტი ჩრდილოეთია!

ყოველ წელსზეთა სიღრმის მდინარეზე კითხულობდა — „ესაა ფაზისი!“ და ყოველ მაღალი ქედის დანახვაზე გაიძახოდა — „აი, კავკასიონი!“ მაგრამ სინოპედან აქამდე — რამდენი მდინარე ყოფილა, რამდენი ქედი? რამდენი ტყე და რამდენი ველ-ხეობა? მხოვალი ყანებიც ნახა — უფრო ჰეავი და ღომი... ქერიც იყო მაღლობებზე... ამას ყველაფერს კითხვა-კითხვით, იგებდა, თორემ აბა რა იცოდა სასახლეში, მრავალ მწურთნელთ ხელში, რიტორულ და მითოლოგიურ წიგნებზე გაზრდილმა?! და ეს გზა არსებითად ლტოლვის გზა კი არ იყო, არამედ გზა ცოდნის წვლილებისა და აღმავლობისა! გზა ოცნებისა და მომავლისა! ასე ეგრძნობოდა და ეს უფრო ამახვილებდა... აქეთ, კოლხეთში, უფრო ტყიანი, უფრო ბიამანი ადგილები იყო, პონტოზე უფრო მეჩხრად დასახლებული, მაგრამ მიწამაძრად, ხეასტავიანად, ხილა-ბალიანად... თუმცა აქ ტყეებიც ხილსავსენი და ნადირთაუტრაცხელნი იყვნენ.

ქალაქები კი ნაკლები, აღებ-მიცემობაც მცირე... უფრო შინაური გაცვლა-გამოცვლა... ცხოვრებაც თითქმის პონტოზე უფრო კარჩაკეტილი, გვარ-გვა-

როვნულად შეკრული. თავისუფლება/კი მეტი, სილაღე, თავნებობა/ბუნების წიაღში ყოფნა და, გვონებ, ცხოვრება, და კიდევ — აქ თითქმის სრული ტომ-ერთგვარობა სუფევდა, ამიტომ უფრო მეტი ურთიერთ ნდობაც.

ბათუს — ჰეას საწვინეთის, შემდეგ უფრო გახშირდა მოსახლეობა. მოფანტულ ფაცებში, კორტოხებზე შემოდგმულ ჯარგვლებში უამრავი ბუთბუთა, ღიშნიშველა ბავშვები... ღელისპირებში გაცულდული და ჩაყარული ძელის სახლები და წისქვილები. უფლისწულს უკვირდა ამდენი ღელეები, ნაკადულები, წყაროები... ასე ჭარბად წყალი აბა სად იყო, კამოდოკიაში თუ პონტოს შიდა-მხარეებში!

აქ, გარდა შორი-შორა ციხეთა ან სათვალთვალო კოშკთა და გზაჯვარებზე მდგარ ქვა-კერპებისა, ქვის შენობები არა იყო რა... კერპები ანუ ქვაკაცები კი გზის გამგნებოც იყვნენ და მისალოცნიც... იქ, სადმე, ახლო-მახლოში, ან მთაზე, ან ჭვავში, ან ხეობის თავში, მუნწარით დაბურული კერპსალოცველონი ქვის საფუძველზე იდგნენ, ძელგალავანი ჰქონდათ... და თვით კერპებდაც უფრო ხშირად სახეტვიფრული ხატი-ძელები ხედებოდათ.

აქ ხე იყო ღმერთიც, სახლიც, ზომალდიც და, გვონებ, საფლაოც! აქა-იქ ახლაც ნახეს ხეზე, გოდრით ან ლასტით შემოდგმული მიცვალებული. ზოგ ძველ გვარებში მიწაში მხოლოდ ქალებს მარხავდნენ.

— აქ ორი ზღვა ყოფილა — ცისფერი და მწვანე და, ვინ იცის, რომელი რომელს უდებს ტოლს!

„მწვანე ზღვა“ კი სულ ახლოს ჩამოდიოდა ცისფერ ზღვასთან და პონტოს უფლისწულის თვალში დევნებები, ცამდე აყუდებულ, ჯერ გაუთოლელ ზომალდებდა იდგნენ და თავის დროსა და ოსტატს ელოდნენ.

— ეხე, რა ზომალდიონი შეცურდებოდა სპერის ზღვაში?

— მარტო სპერისაში? — ფიქრი კითხვით წაუმახვია ბედან-კოლხმა.

— მართლაც... რატომ მარტო? უფრო იქითაც — საელადოში... და იქნებ მგლის ბუნავშიაც...

ქვეციხის იქით სულ ზეთისხილისა და გარეული ხურმის ტყეები იყო... ზედ გადებული უსურვაში და კრიკინა... სურრო, ათასგვარი ფათალო და ფშალა...

საქალი არც თუ შორს მისდევდა ზღვის ნაპირს. ზღვაზე მეთევზენი ჩანდნენ. აქა-იქ, იშვიათად, იალქნიანი ხომალდიც ჩაილიბრებოდა ცისფერში. აქაური ნავებიცა და ხომალდებიც ზომითაცა და რაოდენობითაც პონტოსაზე მცირე ჩანდნენ. მაგრამ მითრო-შეგიროლის არცთუ დიდად გამოცდილმა თვალმაც შეატყო, რომ უფრო სწრაფმავალი და მარღსაბრუნე იყვნენ.

საერთოდ კი, თავისი დასახლებითა და მიმოსვლით სინოპეს ნაპირებთან აბარას მოვიდოდა ეს შორეული ტყიან-მთიან-ჭაობიანი მხარე.

— აქ ჭერ კიდევ იაზონის ლაშქრობის დრო-ჟამია! — შეგიროდმა თავისი ცხენი ბედანის ლაფშას ამოუყენა, — სულ ასეთი უდაბურია კოლხეთი?

— ცოტაც მოითმინე! გულდაგულ კოლხეთსაც ვნახავთ! ჭერ კი ჩვენც ვცდილობთ ბიამან გზების რჩევასა და კვლევას... მაგრამ არც ეს არის მთავარი... კოლხეთი კოლხეთია, თავისსახოვანი... პირწმინდად ქართულტომოვანი, ან სულ ახლო ნათესაური... არა პონტოს სანაპიროა, ან დიდი ზევანი, სადაც სხვა ტომებიც ბლომად არიან, შერეულად და მიჯრილად... აი, თუნდაც ელინნი, პონტოს ქალაქებში!

— მერმე ცუდია? — წამოედგა ტარიელი, ელინური კულტურის დიდი მოტრფიალე. — არა, ცუდი არა... ვიდრე ცოდნის წყაროდ მოგვევლინება! — პაექრულ გამოწვევას ჩაჰყვა ბედანი, — მაგრამ, როდესაც ზეობას დაიწყებს და მკვიდრთ ბარბაროს მონებად რაცხს და სახავს, უკვე ცუდია!

— რაცხს და სახავს! — ფიქრიანად ჩაეძია და ისევ ჩაიკარგა კოლხეთის ტყეებზე არანაკლებ ფიქრებში. აქამდეც უყვარდა ფიქრი, მაგრამ თავსატეხი არც

ერთი არ იყო... იქნებ გადაუწყვეტო, მაგრამ არა თავსატეხი! ახლაც ვეფლავფერი მოითხოვს პასუხს, რადგან ამანჯა მისი, და არა მარტო მისი, მომავალი!

ბედანი კი სულ ნელ ცეცხლზე ამყოფებდა...

— აქაც, კოლხეთშიაც ნახავთ ბერძენთ ქალაქებს... უფრო სწორად, ნაბერძნულ ქალაქებს, მაგრამ აქ მკვიდრი უფრო მკვიდრობს! ბერძნული ცოდნა-სიკეთეც მიიღო და კოლხურიც გააძლიერა, ჩვენი კი ბერძენთაც მიაღებინა...

— მერმე პონტოს? — არ დასცხრა ტარიელი, მითრო-შეგიროდმა კი უკვე იცის პასუხი, თავადაც უფიქრია, მამისაგანაც სმენია... აი, ბედანიც ამას ამბობს.

— იქ, ჭერ არა! ბერძნული ქალაქები ცალკერძ არიან, ჩვენ ნათესავთა ტომები ცალკერძ! სამეფო კი ჩვენი იყო, ვფიქრობ, ახლაც ჩვენია! აი, მე თქვენ, ახალგაზრდებს გეკითხებით — პონტო ქართულია თუ ელინური?

— ქართულ-ელინური! — შესძახა მითრიდატემ.

— ელინურ-ქართული! — შებრუნებულად გამოთქვა ტარიელმა.

— აი, კოლხი და სპერი კი ქართულია! გაელინებულთ კი ნაბერძნულში უნდა გვერჩიოს! განსაკუთრებით ახლა, როდესაც გაელინება რომთ მონობას ნიშნავს!

— პირიქით, თავისუფალ ქალაქების! მარმარილოს ტაძრების, განათლებულ ღმერთების, ბრძენ მოაზროვნეთა და ფილოსოფოსთა სამყარო! — უფრო აღფრთოვანდა ტარიელი.

მითრო-შეგიროდი კი უსმენდა და სდუმდა... ესენი დაობდნენ, ლამაზად პაექრობდნენ, მას კი უნდა გადაეწყვიტა და მერმე მთელი სიცოცხლე უნდა ეზიდა და ებრძოლა ამ გზით!

— მართალია! კარგადაც სთქვი! — კვერი დაუქრა ტარიელს ბედანმა, — მაგრამ ჩვენ ვინდა ვართ, ტარიელ-ჩემო?

— ვინ ჩვენ?

— საქმეც ეგ არის, ვინ ჩვენ? ბარბა-

როსნი, როგორც ელინნი და მით უფრო რომნი გვიწოდებენ? თუ უსახო ტომნი, მხოლოდ მონებად ვარგნი? რომელთაც არაფერი არ გვაერთიანებს, გარდა გარე ომისა და თითო-ოროლა დიდ შინა-დამპყრობელისა? ან რა ნიშანით მოვალთ ცხოვრებაში?

ახალგაზრდები ღელდნენ. მიტრო-შეგირდი კი ღელავდა კიდევაც...

— რა ნიშანით... ჰერ ვერ გეტყვი... ერთს კი ახლაც თუნდაც დავიფიქინებ — მე თავისუფალი ბარბაროსობა მიჩვევია, ყოველგვარ მონობას, მათ შორის ელინურსაც და მით უფრო რომაულს!

— ეს უკვე პირველი და თავიდათავი ნიშანია! — ცხენზე შესწორდა ბედანი, — ნათესავით ქართველი... და ეს ყოველ ქართველ თუ ქართველურ ტომს შეეხება, დაბადებით თავისუფალია და თავისუფლების უსაზღვრო მოყვარე... ეს მისთვის ძირეული აღლია და უპირველესი თავშესაწირი!

— და ვანა ეს საცაოა ახლა?... მართო აღლიო ახლა ბევრს ველარაფერს გვეკარნახებს და გვისაშველებს! — ისევ შეედავა ტარიელი.

— უკვე სიბრძნეა! მაგრამ აღლიო უნდა გვიკარნახებდეს, რომ ქართველობით ნათესავნი, თუ ნათესაობით ქართველნი — წარმოშობისა და წარმოშობის ერთბუდიანობას ნიშნავს, სისხლითა და გულ-ღვიძლით ნათესაობას, ერთენიანობას, რა თქმა უნდა, კილოებითა და კილოკაყვების ჩათვლით... საერთო სულისკვეთებას და ურთიერთშეეღერებულ ლტოლვასა და თანადგომას! ასე განჭვრეტელი აღლიო — მთავარსაც გულისხმობს — შეგნებულ თვითშემეცნებას, ურომლისოდაც ეს ყოველივე ამაოა!

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ბედანბრძენმა იგრძნო, რომ კარგად ვერ გაუგეს მსმენელბმა. უნდა გააგებინოს კია, უსათუოდ გააგებინოს... განსაკუთრებით ერთს — ყველაზე ახალგაზრდასა და ნიჭიერს, მომავლისათვის დიდმნიშვნელოვანს, ...ზოგს, ალბათ, მასაც, აღლიოხალა-

სიანს, სტიქიური გრძნობა ამოქმედდეს, მაგრამ ეს აღარ კმარა ახლა... აზრია სპირო, ჩამოკვეთილი და ნათელი, მადლსათვის მისაწვდომი და მკვიდე... ძლიერი ბიძგის მიმცემი აზრი... ახალ ვითარების შემქმნელი თორემ ამდენ, ასე მოჭიკებულად დაქსაქსულ ნათესავთ რა შეპკრებს, რა შეამყარებს? არადა, უსათუოდ გადითვლებიან ასე ცალ-ცალკე, უფრო თვითშეგნებულ ან უფრო სტიქიურად ძლიერთავან... ამ შეგნებამ და აღლიომ შეპყარა ტომთ მსცოვანნი ქვასავარძელას ირგვლივ... მაგრამ მართო მსცოვანთა, თუნდაც სიბრძნით მოსილთა „ქვესავარძელა“ რა უნდა გახდეს, თუ ახალგაზრდა, შემძლე და ძალამოსილი თაობა ამ აზრით და ზრახვით არ განი-სკვალვება?

ფლოქვებქვეშ კი უკუღმა გარბოდა სავალი... ხან ფართო გზა იყო, ხან კლდოვანი ბილიკი, ხან ღელე და ქვეითთათვის ხიდად გადებული ორპოტიკა ხე.

— ჩვენი თხოვნაა, გური ბატონო, საუბარში ნუ გავეპარებთ სავალს... ეს რა მდინარეა? — შეხიანდა მიტრო-შეგირდი, როდესაც წყლის დგაფუნი და ტალღა უზანგამდე მოსწვდა...

— კინტროში გახლავთი მალე მუხაესტატეს ჩაუვლით... წმიდა აღვილია! მდინარე გაფონეს. სერუბზე გაფანტული სოფელიც მოიტოვეს. მუხების დიდი კორომიც შენიშნეს შორიანლოდან. ისევ საუბარის კალაპოტში მოდგა მგზავრიონი.

— დროა, ცალკე ტომს იქით გადაიხედოს ქართულმა თვალმა ქართულ სამყაროს სჭიდოს... ახლა ტომთ სამყარობის ბრძოლაა და ღელოც მისია, ვინც მოასწრებს გამთლიანებას! — ისევ ბედანმა სთქვა საბაეჭრო.

— ტომთ სამყარობის ბრძოლა? კარგი ნაჭვრეტია! ნათქვამიცი! — ჭაბუქმა თავისთვის ჩამოთვალა ახლომახლო „ტომთ სამყარობი“, უკვე ბრძოლაში ჩამოსულნი თუ შესაძლებელ ჩამოსასვლენი... რომ — იტალიკური, ელინური, ჰერბაული, არაბული, პართ-მიდე-

რი, სომხური და სპერ-ქართული. თითქოს ბრძენი კოლხი მის ფიქრებში იჯდა, ისე განაგრძო აზრის ძერწვა:

— სპერ-ქართულ სამყაროს შუაგული არის კოლხეთი, ძველი სამეფო, შემცველი ზღვისა და მთისა... დასავლეთ ფრთაზე ქართული სპერა — ელინურ-ქართული პონტი, აღმოსავლეთით — იბერულ-ქართული მთა-ბარი! ჩვენ უნდა გავდგეთ სრულქართულ ხიდად, მაშინ კვლავ მოვიპოვებთ ოქროს საწმისს... ზღვაც ჩვენია და მთაც... და, რაც მთავარია, დიდი მომავალიც! რამეთუ არცერთ ცნობილ ტომთა სამყაროს ჩვენი არ ჩამოუვარდება არც ნიჰიტა და არც ცოდნის შეთვისების უნართ, ზოლო საცხოვრისის სიკეთითა და სიმდიდრით სქარბობს კიდევაც!

ყველას გულში მოხვდა „ხიღისა და მომავლის“ ასე თამამად ნაჭკერტი ზრახვა. ბედანიც დაჟმდა. დანარჩენი ფიქრში ჩაიხვია და მოიძოწა... ამასვე არ დასტრიალებდა სინოპეს სასახლეში!.. და არც მარტო!.. დაიძრა კიდევაც ალ-მართალი ზრახვა, მაგრამ დააშწრეს მტრებმა, მოჰკლეს მამა-მეფე... და, აი, ახლა ძე მიჰყავს ამ შორეულ, იმედად სახულ გზაზე... არც ახლაა მარტო... თანამზრახველნი ჰყავს ყოველ ქართულ კუთხეში. რა ვუყოთ, რომ ფარულად მიჰყავს, ლტოლვილი, მთავარია, რომ გადაარჩა... აჲ თვალის ჩინივით შეინახავს! რა ვუყოთ, რომ ახალგაზრდაა... ნიჰით აღსავსეა, ეს მისმა მწუროთნელმა ყველაზე კარგად იცის... ეს არის — არ დაამახინჯოს ღვეწამა და უტელმართობამ, არ გააბოროტოს, კეთილი საქმისათვის მაინც სიკეთე არის საჭირო! ზედმეტად ეჭვიანი არ გახადოს, უნდო... ნდობა მაინც ადამიანის სულის სილამაზეა! აი, ახლაც კი, ჩვენს შორის, მუდამ, ჰამადისის წინ, ციკქნა საწამლავს ან ფარდ საპირისპიროს სევას ზოლმე იძულებით ფარული და კრძალული „ქვესაავარძელას შეილობილი“.

ციხე-გოჭში ბევრი რამე გადაწყდებდა, თუ დასძრეს „არსიანული“... მაგრამ რამდენი რამ არის ჩასახვეწი თუმცა

არც მარტოა... ქართულ სამყაროში არც დაილევის კეთილ აზრთა მოზიარენში! აი, აბიო-იბერიც აქ არის, მის — გვერდით, კიდევ კარგა ხანს იქნება მათთან. იქ, იბერიაში კი ახალგაზრდა ადერკ-მეფის სანდო მრჩეველი... და „არსიანულის“ მოქადაგე.

— აბიო ჩემო, მე როგორღაც მძიმედ ვთქვი ძირა აზრი... იქნებ შენ შეაგონო ამ ახალგაზრდებს?

აბიო-იბერმა ჩაახველა, მოაყენა თავისი ფეხკავშა და ქორბუდა წარბები ყველას მოავლო...

— ახლა ამ გუნდშიაც ჩვენა... ზოგი იბერნი ვართ, ზოგი კოლხნი, ზოგი ტუბალნი. მადლობა მზესა და მთვარეს, კიდევ ბევრნი ვართ... მიწა-წყალიც, ზომ ზედავთ, მოვალთ, მოვალთ... ნალეზი გაცვივით და ნახევარიც ვერ გავცივლია! და ეს სულ ჩვენი სანათესაოა! ერთ სკიდან, ერთ იაგ-ნანიდან და დედაენიდან გამოსულნი და ჩვენს მზისქვეშეთში მოთესილნი! ჯიგარიცა და ფიქრთ-საბრუნავიც ერთი გვაქვს! თავდავიწყებულ აღფრთოვანების ტომთა ერი უფრო ვართ, ვიდრე თავდაკარგული სასოწარკვეთისა... გულგაუტუტლობა ჩვენი ტომსაერთო ხასიათია!

— აი, კიდევ ერთ-ერთი ნიშანი! — წამოიძახა აღფრთოვანებულმა შეგირდმა.

— მაშინ კიდევ ერთს გეტყვი, ჰამუკო ფიცხო და მკვირცხლო! უაღრესი თავისთავადობა, პიროვნულიცა და ტომობრივიც! ეს კი გონივრულად დასაძლევია გვაქვს, თორემ ცალ-ცალკე გადავთვალავენ!

— უაღრესი თავისთავადობა! — სიტყვა კბილებში გასინჯა შეგირდმა, — მაგარია, კერკეტა!

— შუბლის ძარღვში მორტყმული! — მოიხედა გურ ასკანელმა, — ცალ-ცალკე ყველა ვემირობთ, ერთად კი ურთიერთის ბათილს ვუნდებთ! რაღაც უფრო მეტია საღონო, აღარც მარტო ტომთა სამხედრო კავშირი კმარა!

ტყე-ბურჩქნარიდან გამოვიდნენ და ნაპირიყიან მდინარეს გადაადგნენ...

გურმა ჩატყვებულ ფლატეზე იწყო ჩასვლა...

— ჭაბუკო, „ფიცხო და მკვირცხო“ კინტრიშის შემდეგ ოჩხამური იყო, ეს კი ნატანებია! აღმოსავლით — გურიან-მთა... ტომის ღვთაება იქ არის მთაზე, ორსახოვანი ქვაკაცა... ნატანები კი გატანებულსა და შეწირულს ნიშნავს!

„ფიცხო და მკვირცხო“ კი ყველაფერს საუბრის ფიქრში გაცრილად სჭვრეტდა, ფლატე ჩაათავა და შუა მღინარეში წამოიძახა:

— დაე, ეს ჩემი ნატანებური იყოს, ჩვენც უნდა ვშვათ ჩვენი ალექსანდრე მაკედონელი... მაგრამ არა დაპყრობილ ვეებერთელა იმპერიას ვეხარბოთ, არამედ ჩვენ ნათესავთა ერთიანობა შევკრათ და დავიცვათ!

— ღმერთებო! ძველნო და ახალნო! უსმინეთ ჭაბუკს! — აღმოხდა ნაამებ ბუდანს.

— ამისათვის კი ახლა ყველაფერი მომწიფებულია, გარდა საერთო შეგნებისა!

— ეს გვესმის ყველას! — წამოიძახეს ახალგაზრდებმა. ახლა, გარდა სწავლელებისა, აქვე იყვნენ სავლაკეცა, გედეც, სხვანიც... ავი ხმაც მისცეს.

— ამ შეგნებას ერთი-ორი საერთო გამარჯვება მინც სჭირია! — ჩაურთო გურმა.

გვაზა მეგრმა კი უფრო ჩააზუსტა:

— შინაგანიც და გარეგანიც!

— იმედი გვაქვს ვგეც იქნება! — ისევ წამოხალისდა ბედან-კოლხი, მაგრამ ამ დიდი „საერთო შეგნების“ მიღწევა მართო ბრძოლის გზით როდი შეიძლება... თორემ მაკედონელის ვეება გამარჯვებანი და დაპყრობანი, საბოლოოდ გადასწყვეტდა ელადის ბუდს, მაგრამ ალექსანდრეს სიკვდილთან ერთად მისი სახელმწიფოც დაირღვა და ახლა მთელი საბერძნო რომმა იპყრო!

— ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დამხობის მთავარი მიზეზი დაპყრობილ ტომთა აურაცხელი სიჭრელე იყო!

ეს უკვე ათენშივე იცოდა ჭაბუკმა,

სხვა მიზეზებიც ჰქონდა, მაგრამ ახლა ეს იყო მთავარი.

— უდავოდ! სიჭრელე ტომთა ყველაფერი დულაბია სახელმწიფოსათვის! — როგორღაც ერთად, თითქმის გუნდურად სთქვეს ბედანმა და აბიომ.

— სამეფო არა ზევიდან ქვევით, შუბზე დაყრდნობით, უცხო თესლთა დაპყრობით, არამედ ქვევიდან ზევით, ნათესაურ ტომთა შეგნებულ და საიმედო შეთვისტომებით! — ბედანმა ხელი სულ შეუშვა ალერს, აზრმაც გაიტაცა და, ვგონებ, ცხენმაც. სხვებიც უნებურად მიჰყვნენ... გატყეპნილი, კეთილბაღობიანი სავალი იყო... მითრიდატემაც მათრახი გადაუჭირა ცხენს, დაეწია, ყიფინით მიიძახა:

— კარგი სიტყვაა შეთვისტომება!

— მაგრამ ბერძნებმა ეს ვერ მოახერხეს! — ზურგიდან მოიძახა ტარიელმა... ახლა ყველა მიჰქროდა... და ყველა რაღაცას გაიძახოდა... ხან ბუდანის ხმა იყო, ხან აბიოსი, ხან გვაზასი თუ გურისა... ახალგაზრდული ხმებიც ერეოდა, ხან ჰფარავდა კიდევ... თითქმის თაობათა გადაძახილი იყო!

— ბერძნები ათას კუნძულ-კუნძულ ცხოვრობენ... ქალაქ-ქალაქ... თემ-თემ... ახალშენ-ახალშენ!

— ამან წარმოშვა მათი მუდმივი დაქსაქსულობის გრძნობა და ხასიათი!...

— ისეთი მწარე შინაბრძოლებიც არსად ყოფილა, როგორც მათთან!

— ჩვენ კი ხეობა-ხეობა ვცხოვრობთ... ტომ-ტომ... გვარ-გვარ...

— ჩვენი ტომთნათესაობაც უფრო ახლოა, ვიდრე ელინთა!

— ჩვენი ზღვაც უკუნძულოა... მთლიანობის საფუძველი ჩვენ უფრო გვახლავს!

— ბერძნებმაც მოილონეს ქალაქთა კავშირები, მაგრამ მტერმა ცალ-ცალკე ყველა დაიპყრო! უფრო არსებობია საჭირო!

— ჩვენც შეგქმენით ცალკეულ ტომთა კავშირები, წვრილსამეფონი... ხოლო თუ მეტს ველარ მივადწიეთ... — ჩვენი სამყაროს ტომთა ავი რიგიც მოვიდა!

— ნათესაურ ტომთა შეგნებული შეთქმულებას! აი, არსებითი გუნდი ზშირისლიან ნაბირს მიადგა. მდინარე და ქაობი აღარ ირჩეოდა. ცხრაჯერ გამოიღარა და ცხრაჯერ გაწვიმდა. ზღვისაყენ ცა წამოიქუფრა, ჯერ ჩამოწინწკლა, მერმე კი კარგა მიდგა ცრილი წამოვიდა.

ეტყვები კვლავ ჩაფიქრდნენ. გარემოს ქაობები მოსჭარბებოდა. ამ წვიმიან დარში ფრიად ჰირდა გავლა. იქნებ შეუძლებელიც იყო.

ცოტა აღმა აკვალეს ჩაქაობებულ სუფსის პირი და ოდნავ გაიტიანეს.

პირველყოფილი უღრანი უკან დარჩა... აქ პირველად ნახა მითრო-შეგირდმა ბარჯგებზე შემდგარი ჯარგვლები.

— ეს რაღა არის?

— ოჩოფებებზე შემდგარი სოფელია, — გაეცინა ასკანელს, — კოლხეთის ქაობები იწყება... უმდიდრესი და უნოტიოესი... ორმავ და ორჯერ მოსავლიანი და სიყვითლისა და ციებ-ცხელების ბუდე! მადლი და უემური ერთად!

წვიმა მოწყდა, მაგრამ შორს, ზღვაში, საწვიმარ ღრუბელს შავი ძირი დარჩა.

— იდარებს?

— ქაობის სულმა იცის ღიმილი და ცისარტყელა! თავისი ოჩოკოჩი და ჭინკა ბყავს! — გური და გვაზა ისლის ღეროზე არკვევდნენ ქარის მიმართულებას.

— ქარიც წარამართბს! ცისარტყელაც კამარაში აღრეკილი ჩანს!

— დღეს ნუ გავალთ გაღმა, თორემ კოლო შეგვჭამს!

— არც აქ დავგაყრის ხეირს!

...და, მართლაც, ღრუბლებსა და ნავლში ერთლანდზე ამოწვერილმა მზემ მდინარისა და ქაობის თავზე მომხიბვლელი ცისარტყელა გადაატარა... და თითქოს ყველაფერი გაციხარტყლული იყო. მაგრამ მზემ ზღვაში ჩავორება იწყო და ქაობნარი, ლაქაშები, გაუვალი თხმელნარი და შიგ ჩამუხლუხებული მდინარე თითქოს ადგა, ფრთა აიბა და წყილით მოედო ირგვლივეთს. მუმლი და კოლო შეესია ყოველივე ცოცხალს. მოსვენება და გულისყური აღარ იყო.

მწერი პონტოშიც იყო, გზაზეც ნახეს. მაგრამ აქ უკვე სტიქიურ ძაღლ-იყო ქცეული.

გური ასკანელმა კარგად იცოდა თავდასახსნელიც. ჯერ კიდევ დაღამებამდე ქარსაქროლი სერი გამონახა, ხმელი გვირა და ჩალა-ყვერო მოატანინა და სიოსპირში კვამლა-ბოლქვა ცეცხლი აანთო. ნაბდები და კარვები შეკვამლულში გააშლევინა... და მუმლის შემოსევა მოეგვრია.

ეტყვები ბედანსა და აბიოს შეეთათბირენ.

— აქედან ფოთამდე, ზღვის პირ-პირ, კოლხეთის ქაობით... ზღვისა და ტბის შუა გავლით, თუ მშრალი დარია, ნახევარი დღის სავალია... არადა, ნახევარი წლისა... ისიც უძირო ქანჭობში თუ არ მოვხვდით ფარსაგად!

მითრო-შეგირდმა ყური მოჭკრა:

— ფაზისამდე! მუდამ ჩემი ნატერა იყო ფაზისის ხილეა!

— არც უსაფუძლოდ! ფაზისი უნდა ენახოთ! თუ მაინცდამაინც აქ დაველოდოთ გამოდარებას!

— არის სხვა გზაც, შემოვლით... ასკანის ციხით... დიდი საბმელუთო გზით... მაშინ ფაზისზე ავიდოთ ხელი და პირდაპირ ციხე-გოჯში გაგიყვანთ ყველას, ასკანაშიც მე გამასპინძლებთ! — თავი გულდაგულ გამოიღო გურმა.

ბედანმა უფლისწულს გადაჰხედა... აბიო-იბერმაც, ისიც ციხე-გოჯამდე მიჰყვებოდა ფარულ მეფიონს.

— მე მირჩევნია დაჰიმულ თასმას გაეყვე, ვიდრე ვეება ოდრიკალა მშვილდის გზას!.. გარდა ამისა, ზღვას ისე ვერ მოვშორდები, რაიმე რომ ვერ გავიგო პონტოს მხრისა!

— კეთილი, ხვალ დილას გადავწყვიტოთ! იქნებ იდარებს? — დაასკენა კოლხმა.

სუფსის პირზე, უხვედრ ადგილას, ცეცხლი შეამჩნიეს ზედა სოფლებიდან. ზღვის მეკობრეები ეგონათ. გათენების ხანს კარგა დიდი გუნდი მშვილდოსანთა და შუბოსანთა თავს დაესხა.

ბედან-კოლხს თავიდან მკაცრი თაღა-

რიგი ჰქონდა. ყოველ დამე დარაჯა საფარში იჯდა და ფიზიოლოგია. გამონაკლისი მხოლოდ მსოფლიოთათვის იყო. თუშ-ცა ისინი ცილფიზიოლოგნი, პასაქსა და უმყუდრობის გამო.

იმ გამოთენისას კი საფარში, აბჯროსან ბადრავთა გარდა, გედე და საელაქე იყვნენ. საელაქემ პირველმა იგრძნო ფიზიოლოგია და ჩრდილშემოპარვა.

— ჰეჰეი! ვინ ხართ!?

სრული სიჩუმე ჩამოვარდა. საელაქე გედეს შეეთათბირა და დარაჯა შეამზადა, ცეცხლსაც ხელი გვიმრა მისცა და აღნათელი აბორიალა.

— მოდით ცეცხლთან... ვინცა ხართ! მშვიდობა! ჩვენ მშვიდობიანი მგზავრები ვართ!... ხმა გავეციოთ... ახლა ნუ აგვაშლევინებთ მძინარე ბანაკს... საპატიო ბაჰეზია!

ახლა კი შვირზნენ ტყის ჩრდილები და მიდგნენ-მოდგნენ.

— ღმერთები ჩამოთვალეთ! დაიფიცეთ!

— მოვარე, მზე! არმაზ! მითრა-თეთრა! — გადამახა შეღვიძებულმა ტარიელმა.

— გვეყო! — გამოსძახეს ჩრდილებმა, — საიდან მოხვალთ?

— აფსაროხიდან! — ახლა საელაქემ გაძახა, — თუ გაუჭვებთ, მე თავად მოვალ თქვენთან!

— არა, ყველაზე უხნესი... რამდენი წლისაა თქვენთან?

— ყველაზე უხნესი? გვაზა მეგრი გააღვიძეთ! — ურჩია გედეს ტარიელმა.

მეგრამ, ჩანს, მომხედურნი სულ ახლოს მოდგნენ.

— არა, ვარე! ნუ აღვიძებთ... უახლგაზრდესი?

აქ-იქ ბანაკში უკვე შეაღვიძათ გადაძახილმა... მითრო-შეგირდიც უკვე ფეხზე იყო. მას გული და თვალი მუდამ საფიზიოლოგე ჰქონდა... არა შინით მოსლიოდა, არამედ უკვე პერანგივით შეჩვეული სიფრთხილით.

— უახლგაზრდესი მე გახლავართ, მეთოთხმეტეში!

— პოდა, შენ მოდი სწორედ!

— მოვდივარ! — მითრომ ანთებულ მუგუზას დაავლო ხელი და წასვლა დააბირა. ტარიელი წინ გადსუღბა...

— შენ ვაგიწყულება...

— არა, მე ყველაფერი მახსოვს, ისიც თუ ვინმემ მხდალად ჩამოვალა!

— არა მხდალად, არამედ ტანოვნად და...

ზედაც მოხუცებიც წამოიშალნენ. პირველი აბიო-იბერი მოვიდა. ჩემად ჩაეღიმა:

— გაუშვი!

— გაუშვი! — კვერი დაუკრა ბედან-კოლხმაც, ხასიათსა და ნებისყოფას ისევე უნდა ჰედვა, როგორც აბჯარს!

შეგირდმა მალა ასწია მუგუზალი და ფეხი წარსდგა, მეგრამ ისლის სარეცელზე წამოწოლილი გური ასკანელი ნიდაყვებზე წამოიზიდა და ისეთი საოცარი კრიმანჭული დაავგირისტა, რომ ყველას პირი დააღებინა...

— ციხოვანი! გური ასკანელი ყოფილა! ჰე, ბიჭებო, ბანი მიეციოთ! მოძახილი და ბანი! — ახლო ტყეში შეიქნა ძახილი და მეგრამ ჩრდილები, შორიდანვე ბანმოძახილით შეხმატებულბული, შემოვიდნენ აღნათელის არეში.

მითრო-შეგირდმა მუგუზალი დაავლო და გამობრუნდა:

— კრიმანჭულის ნაკვესებთან რალა მუგუზალი არის საჭირო?

„კრიმანჭულის ტომის“ შემოსევა ფრიად ბედნიერად დამთავრდა. სხარტი, ცეცხლის სიმკვირცხლის ახალგაზრდები იყვნენ... ოც წელზე მეტისა, აღბათ, არცერთი არ იყო. ყელმაილა, მზეგაკრული, წაბლისფერკულულებიანი, თავზე არც ქუდი ეხურათ, არც ყაბალახი, არც მუზარადი... იარაღადაც მსუბუქად იყვნენ, მოკლე ხელშუბლები და ძარღვა-შქერის ჩადრეკილ-ჩათასული მშვილდისრები.

სიმღერით მოვიდნენ და, ვიდრე გური ასკანელმა არ მოსწყვიტა კრიმანჭული, არც მათ გამოუშალეს ბანი და მოძახილი.

უმზერდა გაოცებული პონტოელი ამ ბრძოლიან და სიმღერიან შეყრას და თა-

ვისთვის უკვე შემწიფებულ ფიქრებს ასვენდა.

„ქართველ ნათესავთა სამყაროში სიმღერა უფრო გულისხმიერია, ვიდრე სიტყვა! ალბათ, მათი ბუნების გამომხატველიც!“... მერმე თავადაც ააყოლა ხმა და არც ურიგოდ გამოუვიდა.

მოსულეებმა სიმღერას „გამარჯობა“ მოაყოლეს.

— ვინა ხართ, ასე ერთ თარგზე, კმკლუცად მოკვეთილები? ან საბრძოლველად ასე უჩაფხუტოდ როგორღა მოხვალთ? — გაკვირვება ველარ დაძვარა ყველაზე ახალგაზრდაში.

— სულ საცოლე ყრმანი ვართ! ჭერ ყაბალახი არ გვეკუთვნის! ჩაფხუტს, დიდ ომში თუ დაგჭირდით, მაშინ დავიხურავთ და შევიჭედებთ... ახლა კი ლელოს ვთამაშობდით და თავმსუბუქობა გვიჩვენია... — სხაბა-სხუპით მიუგო წინამძღოლმა.

— მუხამავრავ, შენა ხარ აი მეკობრე, ძილს რომ გვიფრთხობი? — იცნო ასკანელმა, — საპატიო სტუმრები გამოღვიძე!

— შეგამინეთ თუ? გური ბატონო, ყველას მასპინძლები ვართ სუფრაზე, მეკობრისა — მეკობრულად, მეგობრისა — მეგობრულად... საპატიოთა კი დიდსაპატიოდ! მუხამავრობაში გულით გიწვევთ და პატივსაც ვითხოვთ! გვარის დღესასწაულს უარი არ ეთქმის! ჭუმბოტურობა გახლავთ! ორთა ღვთაებათა დღეა — ჭეგე-მისარონისა და ჰეასი! ხეალ დიდი ლელოს დღეა!

— მაღლობთ, მაღლობთ... გვეჩქარება და გზას ვერ გავიგროვებთ! მუხამავრები კი კეთილი გვარი ხართ, ღვთაების მოგვარენი! — დაუყვავა ასკანელმა და ხელი სუფრის გაღმართს მიუშვირა, მერმე თავისიანებს აუხსნა, — ჭეგე-მისარონი აქაური მითრია!

— დიდუ, ბატონო! პატივი უფროსობას, მაგრამ მხარი გეცვალათ თუ? ასკანის ციხის გზა სამუხამავროზეა და ჭუმბოზე, გაღმა ილინცივ სათი იწვევთ?

— აქეთ არც გზა ვარვა, ვგონებ, არც

ფონია საიმედო! — მუხამავრების გატნობის სურვილი ველარ დაძვარა მითროშევირდმა. არც ვასაკვირი, იქვე, მითრია ხომ მითრიდატეთა საგვარეულო დგობაება და მისი მოლოცვა ლტოლვილისთვის ბედის ძახილად ჩანდა!

მუხამავრამ დაკვირვებით შეათვალიერა კანჭმალა ყმაწვილი, მოეწონა, მხარზე ხელი ტოლივით დაჰკრა...

— ათა მეთოთხმეტე წლისა? ბუმბერაზი გეზრდებათ და ისაა? გზა სულ ქონჭყოა, ფონი კი მხოლოდ ერთ ადვილას ახრჩობს! რაია ერთი ადვილი ვაქცაცისათვის თუ სირცხვილში არ ჩავარდებია?

უფლოსწული ქმეთ ჰასაკში იყო, როდესაც ყველაფერს ადვილად ითვისებდა, თანაც თავისთვის იმასაოვრებდა უჩვეულო სიტყვებსა და ნაკვეთებს...

— მამ, რაია სიკვდილი ვაქცაცისათვის, თუ სირცხვილში არ ჩავარდა? — კილოშიაც კი მიძბაძა მუხამავრას...

— ეს, ძამიავ, ბრძენ-ფილოსოფოსი არ ყოფილა? რაცნა მეცნობა აი კაცი? შენც მუხამავრა ხომ არა ხარ? ტუბალეძშიაც ყოფილან ჩვენი გვარის კაცები!

არავინ არ ამოიღო ხმა. ზოგმა იცოდა და იმიტომ, ზოგმა არცოდნის გამო. ისევ ტარიელ-მკურნალი წაეშველა თავის „მეგორად“.

— იქით ყოფილხარ თუ? სპერის ზღვაზე გიტყვარია?

— რას ამბობ, არ მიყვინთავს თუ? სუფსას არ აბია აი სპერის ზღვა? ხშირად ლელო-ბურთიცი აქ გაგვაქვს ერთლანდზე!

ლელოს ხელახალმა ხსენებამ გადასწყვიტა საკითხი.

— ჩვენც აქ უნდა გავიტანოთ ლელო! — გადაწყვეტილად მოსტრა შევირდმა, მერმე იგრძნო, რომ კილოშეუფერებელი ნათქვამი მოუვიდა და გამოაკეთა, — რას გადასწყვეტთ, უფროსებო, მცოვანებო, თავკაცებო!

ბედან-კოლხმა ყველაფერს აუღო ალლო:

— ლელოც აქ უნდა გავიტანოთ და გზაც აქეთა გვაქვს სარკვევი! ჭუმბოტრობაც ვნასოთ! ალბათ, სწეულებიც ბევრი უყოლებათ და მაღლია ახალგაზრდა მკურნალებო! მგზავრებმაც მსხვერპლი შეეწირათ მითრას და ჰეასი ორთა ღვთაებათა დღის გზად გადაყრა კეთილნიშნად გვიჩანს.

კახი კაცისთვის

შე ვერ დაშწამებ ვერავინ ვერსად,
რომ შეღალატოს კაცისთვის სადმე,
მე მართალი ვარ მიწიდან ცამდე,
რომ კაცის კვნესა და კაცის დარდი
მიმაჩნდა მე ჩემ დარდად და კვნესად.

რად მინდა მაშინ კაცი რომ მერქვას,
თუ კაცს გაფყიდი ნაკუნ-ნაკუნად,
თუ კაცის სულის აშოლტილ ძელქვას
წაფართმევ იერს და შნოს საკუთარს.
კაცი თუ გქვია და კაცად გთვლიან,
ღალატი კაცთა ვის გაუგია?!

როსა სარქუში ვინებები...

მე ვხედავ ჩემი ორეული ხარ,
რა საჭიროა ამ ქვეყანაზე
იყოს მეორე კაცი ჩემგვარი —
ერთიც ვკმარივარ.
არა იმისთვის, რომ მეშინია
შენი იერის და შენი ხმისა,
ან თითქოს ვინმეს შენი ჯიბრი აქვს,
ან თითქოს — შენგან იმედი ხსნისა.
სჯობია ვიყოთ სხვა და სხვა ფერის,
ვიდრე ერთურთში რომ შევეცვალოთ,
მე უშენოდაც თამამად ვმღერი
და უშენობით სულ არა ვწვებლობ.
ვიცი შენ ჩემი ტოლფასი არ ხარ,
მგაგებარ და მაინც არ მგაგებარ ვიცი.
შენ შერეულხარ შექცეულ ხარხარს
და იმეორებ ჩემეულ სიცილს.
არც საშიში ხარ, არც საოცრება,
უბრალოდ, ჩემი ჩრდილი ხარ, ჩრდილი.
და როგორც ყველა განმეორება,
ხარ უფრო და ნამუსახდილი.

მ ი ნ ი ა ტ უ რ ე ბ ი

სითბო უღვეი

გულს დავატარებ ხელისგულებით
და მინდა სადმე ჩაეთესო ხნულში,
რომ ქვეყნად გაჩნდეს სითბო უღვეი,
აღამიანთა უამრავ გულში.

გაინს დასანანი

რამდენი პწკარი
ჩემი ლექსის ფიქრს გაჰყოლია
და შემდეგ აღარ გამოჩენილა.
შეგჭიადებივარ
მე ხელდახელ ფიქრებს გოლიათს
და განრისხული არ დაფრჩენილვარ.

ბავშვობის გასსენება

ბავშვები დღესაც თამაშობენ
ქვასალობიას,
ჩემს მოსუცობას ის ბავშვობა
მართლაც სჯობია —
ბავშვობა — როცა გაბრწყინებულ
დიდრონ თვალებით
მისჩერებიხარ ამ უცნაურ
ცხოვრების ტრიალს,
შენი გგონია ქვეყანაზე
მზეცა და იაც.

ქალაქის კართან

თითქო ტიროდნენ შორი მზეები,
ცა იბერტყავდა ცრემლიან კალთას...
მერე კიოდნენ მწვანე ტყეები
და გროვდებოდნენ მოსკოვის კართან!

მერე მორბოდნენ შორი მინდვრები
განრისხებული კაცის თვალებით.
ირგვლივ იწვოდნენ თივის ზვინები
და ქარს მიჰქონდა კვამლი წვალებით...

მერე მიჰქოდნენ ეშვლონები
და ტრამალებზე გრიგალი დულდა.
ისხდნენ ხეებზე თეთრი ქორები,
თვრებოდნენ სისხლით და ზეცა ქუხდა...

მერე ნატრობდნენ თეთრ ფრთებს ქორები,
დამგვანებოდნენ ჭვარტლში ყორანთა...
დაფრენდნენ ზანტი ღრუბლის ზმორებით
და თან დაჰქონდათ კენესა მოკვდავთა...

* * *

ურა კვიცივით დაჭიხვინებს ქუჩებში ყინვა
და ასფალტს ხეთქავს თეთრი ფლოქეებით.
თითქო სიმწრისგან გამხმარ მიწას აღმოხდა
გმინვა,
ვინ გასძლებს გარეთ ჭკუათმყოფელი!

მე კი პირდაპირ მივუშვირე მკერდი
სიცივეს,
გულში რომ ცეცხლი ვერ გავიწვლე,
საცაა სული ნაპირს გაგლეჯს და ზღვად
იწვივლებს,
ღმერთო, მშვიდობის დღე გამითენე!

ქარი კაპასი დიაცივით მიკაწრავს
დაწვეებს,
ყელზე ამოად ვიწვე საყელოს.

მერე მოფრინდა უცხო ფერებით
ცხრა მაისი და...

იწყო თენება.
წელში გასწორდნენ ჩალის ღერები
და დაივიწყეს ომის ხსენება...

მერე ამწვანდნენ დიდი მინდვრები
და გაცოცხლებულ მიწის ფერებად
მოჰქონდათ ნედლი თივის ზვინები,
როგორც სიცოცხლე და მოფერება...

და მერე აღარ ატირებულან
ბავშვების ცოდვით შორი მზეები,
მწვანე ფოთოლი გახშირებულა
და ცა იბერტყავს მადლიან კალთას.
მხოლოდ მორბიან ლურჯი ტყეები
და გუგუნებენ ქალაქის კართან...

და სულ ერთია ახლა მიზანს ვაღწევ,
არ ვაღწევ,
მინდა სიცივე ნაბადივით ფესქვეშ
გავთვლო...

მოვარდევ პროსპექტს გრიგალივით
ადულბული, —
ნაღდად ორმოცი გრადუსი ყინვით,
და ცა ისეა ჩალურჯებული,
მე ახლა ვიტყვი, თუ რამეს ვიტყვი!

მოვატან შენთან, მოგაცხუნებ სამხრეთის
სიცხეს,
ავინთებ სულს და გაგეტოლები,
რომ ვაგვაცობის, გამტანობის შევიკრათ
ცინედ,

რომ შევიფოთლოთ პოეზიის მწვანე
რტოვებით!...

ურა კვიციავით დაჭიხინებს ქუჩებში ყინვა
და ასფალტს ხეთქავს თეთრი ფლოჭვებით,

* * *

მიჭირს ყოველდღე მეთოთხმეტე
სართულზე ასვლა,
აგალ და ჟინით გადავცქერი ფერების
გისვივს,
მომწყინდა ასე მარტოობა და არცა ვმაღავ,
მე ჩუმი სევდა თვალწინ თეთრი
მტრედევით მიზის!..

ირგვლივ მახურავს თამბაქოს ბოლი,
და უფრო მაფრთხობს, გვერდით რომ
დგას ელამი სარკე...
საყვედურებით არ მავსებს ცოლი
და ოხერ გულზე ნეტავი რა მკბენს?

თვალზე მადნება გათოშილი ზამთრის
სალამო,
თოვს და პრისპექტზე მანქანები მიდის
ჯგროვებად...
მოაქვს ნათელი დაუსაბამო
თეთრი სტეპების უსაზღვროებას...

* * *

უზარმაზარი მზე ხმაურობს ახლა ჩემს
გულში, —
სათქმელს ზვალინდელს სხვა ფერით
ვიტყვი!..
მე აღარ მახსოვს, რაც იყო გუშინ,
სხვა გზით მეწევა ნერვიული ქალაქის
რიტმი.

სისხლში შემოდის რაღაც ახალი,
და ვგრძნობ, ჩემი ხმა რა უცხოოდ ისმის.
სოველი ჩიტის ფრთების ფართხალოთ
ჩამოვირეცხე ტანზე ჭალის მტირალა
ნისლი.

არ შემიცოდო... არცა მცხელა და არცა
მცივა,
ვიტან ამ ყინვას და უნაზეს ხილვებს
ხოველი...

და აღარ მესმის მატარებლის შორი
კივილი,
წვრილ ქალაქებში რომელიც იცის.
გამშრალმა ყინვამ დამაფიწყა ყველა
ტკივილი
და სული უცხო ხილვებით იწვის...

და მიყვარს რაღაც უფრო ძლიერად,
და არაფერი თვალს აღარ უკვირს...
თითქო ფილტვებიც გაგანიურდა
და ვცხოვრობ დიდი ქალაქის სუნთქვით.
მაგრამ მომწყინდა მარტოობა და არცა
ვმაღავ,
მე ჩუმი სევდა თვალწინ თეთრი
მტრედევით მიზის.
მიჭირს ყოველდღე მეთოთხმეტე
სართულზე ასვლა,
აგალ და ჟინით გადავცქერი ფერების
გისვივს..

და როგორც კლდეზე დამჯდარი ქორი,
მე ვუცდი შენი ხელის დაქნევას,
რომ მოვწყდე ადგილს ვით მეტეორი,
რომ ჩემი სულის ნახონ შენი მზით
გადარევა..

მიდის და მოდის,
მიდის და მოდის,
მიდის და მოდის
უამრავი ხალხის ნაკადი.
ლამდება როდის?
თენდება როდის?
ჩემს თვალწინ ჰყვავის, როგორც თეთრი
ასკილის ტოტი,
შენი ლამაზი სულის ნახატი...

თითქო მახურებს ტანში რაღაც უცხო
 სახადი,
 და ყველაფერი უცხოდ მწვედვება,
 ჩემს სულს არ ახსოვს სიხარული უფრო
 მაღალი,
 გარდასახული მარად მწვანე მინდვრის
 ფერებად.

მზეა სხეულში,
 მზეა სულში,
 მზე არი ყველგან,
 და თეთრი ქალი ხელზე ტყავის
 ხელთათმანს იძრობს.
 მე რუხ ქვაფენილს,
 როგორც ჩრდილი, მივყვები ნულა.
 ნეტავ შემხედოს, რომ მეტი ვიგრძნო!..

მესამე თვეა, ფართო პროსპექტს მარტოკა
 ვოვლავ...
 და მათრობს უცხო სიტყვების სიღბო
 რა ვუყოთ, დღემდე ამ ქალაქში
 თუ ვერვინ მიცნობს —
 მე ვიცნობ ყველას,
 როგორც მეგობრის ხელების სითბოს.

უზარმაზარი მზე ხმაურობს ახლა ჩემს
 გულში, —
 სათქმელს ხვალინდელს სხვა ფრით
 ვიტყვი!
 მე აღარ მახსოვს, რაც იყო გუშინ,
 სხვა გზით მეწვევა ნერვიული ქალაქის
 რიტმი...



თუ სიცოცხლეში არ გაკლდა შუქი —
 ცხრა ზეცის კარი შენთვის გაიღო,
 და ტრამალებზე ამტყდარი ბული
 ლამაზი სულის დუდილი იყო;

თუ უსიერ ტყის უთვალავ ფერებს
 ტუჩით კი არა, თვალებით ხვრებდი,
 თიბავდი ბალახს და ჩალის ღერებს
 და გულს სისხლისგან ხალისით წრეტდი;

თუ შენ ბავშვებთან გიყვარდა ფრენა
 და შექპაროდი ჩვილთა თბილ აკვნებს,
 უცხო ჩიტების იცოდი ენა
 და არ იმჩნევდი კრაზანის ნაკებნს;

თუ გახარებდა სიმწვანე ფოთლის,
 გკლავდა წყურვილი ახლის გაჩენის,

ყოველ გაზაფხულს ელოდი თრთოლვით
 და ხელს უწვდიდი გზაზე გარჩენილს. —

რად გენანება, რად გენანება,
 დასტოვო, რასაც სიცოცხლე ჰქვია?
 სხვა მოვა, ვინაც შენ გემგვანება
 და შენს სათიბში გაივლის გვიან.

შენებრ დათვრება მიწით, მზის სხივით,
 და იღორძინებს მისით სოფელი...
 გვიან ბილიკებს დააწერს სისხლით,
 რადაც უღირდა წუთი ყოველი.

მერე შენი გზით წავა დადლილი,
 რომ მის სათიბში სხვამ გასჭრას ცელით...
 ცეცხლი მეზვივით გულზე დახლილი
 სხვამ შეაფრქვიოს ცას თვალთა ელვით...

ბოროდინოში

არყის ტყეებში გრიალებს ქარი
 და ტრამალები შიპქვს სითეთრეს...
 სადღაც თოფების ქუხილი არი, —
 თითქო ვიღაცა მახვილს მიღერებს!

ვდგავარ თოვლიან რილო-ჭრილოში
 და თეთრდებიან სტეპები უფრო.

ასი წლის შემდეგ ბოროდინოში
 ეტრატით ხელში შემომხვდა რუბო...

დავცქერი სისხლით დაწერილ ტილოს,
 თვალებს მჭრის სიღბო უამრავ ფერთა,
 და მათრობს ქინი, ვით შავი ღვინო,
 აქაირმზღებულ, გარდასულ დღეთა.

რას ვიფიქრებდი, ამდენს მეტყობდა
ფერებით ჯადო მხატვრის ნახატი,
ბილიკებს სისხლი ახლაც ეტყობა,
ვისთვის რა მეთქვა, თუ არ ვნახავდი!..

ალარა მკითხოთ, რისთვის მოვედი,
რად ვუცქერ სისხლში მოზედილ მიწას?
ვარ ჯარისკაცი, უფრო პოეტი,
ჩემი აკვანიც ცეცხლში დაიწვა.

ვერ დავემაღლე ხილვებს წარსულის,
კივილი სულის ცამდე რომ ადის,
აქ გამარჯვების ძველად დადგმული,
ირხვეა ქართველ ვაჟკაცის ლანდი.

მოვა, სინანულის წუთები მოვა,
თვალეში მძიმე ჩადგება ბინდი...
და უფრო ცივი იქნება თოვა,
და არ იქნება შენი ხმა მშვიდი!

იქნება უფრო სითუთრე ირგვლივ,
და სულში იჭვის კორიანტელი.
დაგათოვს დაღლილ სახეზე ფიქრი, —
სიყრმის დღეების შორი ფანტელი...

მოგელანდება დიდი სიმწვანე,
ადუღებული მზე და აპრილი.
ვინაც ვერ დათმე... ვინაც იწამე...
შორეული ზღვის უცხო ნაპირი...

ვაგასხენდება მამის ცხედარი,
დედის კუბოზე დაღვრილი ცრემლი...

საკვი პსანიონ

ეტლში შეუბამთ თეთრი ცხენები
და ტრამალეებზე აპრილი მოდის.
ვალაც ტყეებს რთავს თეთრი ხელებით,
რად ტირის შენი არყის ხის ტოტი...

მოჭისვინებენ თეთრი კვიცები
და გაშლილ ფაფარს თან მოაქვს ველი...

და ვდგავარ მის წინ მე თავდახრილი,
მიწას თხრის სიმწრით მისი მერანი,
ის კი დაჭრილი მიძყავთ მარხილით
და კვლავ მოსკოვზე წუხს ლენერალი.

და ყელში უფრო მაწვება სისხლი,
თითქო იმ ბრძოლის ვარ მონაწილე.
უნდა მტრის რკალი გავაბო რისხვით —
მე ჩემ ლენერალს ვერ გავაწბილებ...

გრიგალი ნაძვებს ღუნავს მიწამდე,
და ცეცხლს მიმატებს ჩვენება მკაცრი.
მინდა, მეც მისებრ მაშულს ვიცავდე,
როგორც პოეტი და ჯარისკაცი...

სისხლის ღვრა, ბრძოლა დაუდევარი,
ტყვიით დახრული მუხები ველის!

მოგენატრება ბილიკი მინდერის, —
შენგან გავლილი ყველა გზა-შარა,
სველ ჭალაკებში ფოთლები გვიმრის
და წამით ნადველს ველარ დაფარავ.

დაგენანება უფრო სიცოცხლე,
ტყიდან თეთრ ხელებს დაგიქნევს ალი...
გახედავ წარსულს და... გაიოცებ —
მოგაჩერდება ათასი თვალი!

ნეტავი მაშინ შენს ბედს, შენს ზეცას,
თუ დარჩი მუხის კორძად ნათალი.
ტანზე უსისხლო ჩოხა თუ გეცვა,
თუ შენ კაცთანაც
და ღმერთთანაც იყავ მართალი...

მე შენს დაბალ ქოხს ველარ ვცილდები,
არ ჩანხარ, მაგრამ ჭიშკართან ველი!..

ბილიკზე ვაფენ ბალახებს მწვანეს,
თვალეებს ნაწ ფერთა მირეცხავს ზეხსმა,
ახლა მე უნდა დაგვადე და მწარედ
ვუმღერო შენს თეთრ კვიცების რემას.

თითქო კვირიან სულში ქორები,
და ვგრძნობ სხეულში ტუხას მუხისას...
ნუ ნადვლობ, ყველას ემახსოვრები,
ვისაც აქ მოსვლა ერთხელ ეღირსა.

არი ქარი და საყვარელ ქალის
შენს ჩუმ ეზოში ცრემლებს ფრქვევია...
ეს, რიანანსუ ბრალია, ბრალი,
არ შემხვდა შენთან მე ღამის თვეა!..

ბული დგას შენი ცხენის ტორების,
თუ შენი სული მოარბევს ჭალებს,
სივრცეა იით სავსე მორევი, —
რა სანახავი წარუტყვევს თვალებს!

ო, ეს ფერები მე შათრობს მწარედ,
ვით ათრობს სისხლი ვაგეცას მოსისხარს,

სადა ხარ? — სტეპი გადამატარე,
ველი რომ ნამის დილეებს მოიხამა...

სადა ხარ, შენთან გამათარეშე,
ჭინ დასდებს სალტეს ოცნებას ჩემსას?
არა მწამს ღმერთი ძმობის გარეშე,
ჩემს სულში შენი ღვთის ცეცხლი კვესავს.

თეთრი ცხენები კეცავს ტრამალებს
და მწვანე ეტლით აპრილი მოდის,
ქარი ვარდის რტოს ღუნავს, აწვალებს,
რად ტირის შენი არყის ხის ტოტი?..

როგორც ტყის პირას გაბარდნილ გვიმრას,
თვალებს ნაზ ფერთა შირფესავს ზესხმა,
ასლა მე უნდა დაგვადე და მიდღვრად
ვუმღერო შენს თეთრ კვიციების რემას...

ერთი საღამო ნიკორწმინდაში

რაჭის მთებში მთვარე გაჩნდა, როგორც
ულჩი,

და ჭალებში დაწვა ბინდი.
გვიანამდე მობიბინე კორდებს შევრჩით,
პოი, ხომ არ შემეშინდი!

ჩაგვიტვია ღამემ ტორით,
დატვირთულნი ნიკორწმინდის სხივთა
კონით,
და შორიდან, როგორც ქორი,
დაგვედგენა ლანდი რუხი ბაროკონის.

მოვისიბლეთ რალაც ღვთიურ მყუდროებით,
გვამადლებდა ხილვა ძველთა საუნჯეთა...
ქართველთ აჭაც უძლევიათ ურდოები,
უტყვი ქაეზი უძცვიათ ფსაკუნჯებად...

თან გამოგვევა სიხარული უფრო მეტი,
ცეცხლი ნატიფ ჩუქურთმებში მინაგლული,
ქალწულავით ბინდში რხევა თეთრი სვეტის
და უეცარ განშორების სინანული.

წინ ნისლების შეგვეფეთა მინარეთი,
დაღლილები ძმურ სუფრაზე შევიყარეთ,

გავიხსენეთ გუმბათები ფიტარეთის,
ყველა ციხე ძმაკაცივით შევიყვარეთ.

სადღაც ხეზე ჩიტი ბარტყებს აძინებდა,
ტყეში ლურჯი სანთელივით ერთო ფიჭვი,
და ბოხი ხმით თითქო მთებსაც აცინებდა
ტანმადალი, ლალი ბიჭი.

არ სვამდა და მაინც სუფრას თამადობდა,
და ბურუსში იწვა ჩუმად ხართვალა,
აღარ მახსოვს, იმ საღამოს რა გვათრობდა,
ტყის მეუფემ ბედი ხომ არ გაგვითვალა!

ავიშალეთ ნისლის ფაფარაშლილები,
გზას მდინარის თეთრი აღი გვინათებდა,
შენ თრთოდი და...

მე შენს არდილს ვამშვიდებდი,
და ტყის ჭინკა სადღაც ჩემს ვჭვს
შიათრევიდა...

ვერ გავიგე, ასე რისთვის იმორცხვებდი,
ანდა შენთვის როშელ მოყმის სულში
წვიმდა!

ნეტაც კიდევ სიხარულად სიცოცხლეში
ვნახოთ იმავე შედუღებულ ძმობის ეშხით
ნიკორწმინდა... ნიკორწმინდა...

ველარ მოგვლავნი

• • •

ოშორაში მობრუნებულ იუსუფს მრავალი ახალი ამბავი დაუხვდა: ხუნანიდან მეფე გიორგის მეუღლე დედოფალი ხორეშანი ჩამოეყვანათ, მეფის მზირებიც ჩამოსულიყვნენ ქართლიდან და სპარსეთიდან. კილოკავად მოჰყრა ზოგიერთ რამეს ყური: ქართლი არეულია, ქვეყანა უთავოდ განიგებაო; ბოროტი ყმების მორჩილი გამხდარა მეფე ნაზარალიხანი, შფოთი, მობტომ-მობტომა და ყოველგვარი უსამართლობა დამკვიდრებულა და ამის გამო თვით ყაენიც უწყრება ნაზარალიხანსო. — უმატებდნენ გიორგი მეფის ჯარისკაცები. — არჩილი იმერეთში მკვიდრად ზის, ქართლკახეთიდანაც გავრეკავთ ყიზილბაშებს, იქნებ ხონთქარიც დაეხმაროს ჩვენს მეფეს ყიზილბაშების გარეკვაში, მაშინ კვლავ ერთიანი, ძლიერი სამეფო გვექნებაო.

იუსუფს მეფე ჯერ არ ენახა. უსაჩუქროდ არ უნდოდა ხლებოდა. დედოფალიც ახალი ჩამოსული იყო. არც ის ჰყავდა ნაშული. ბევრი იფიჭრა, მაგრამ მეფისა და დედოფლის საკადრისი ძღვენი ვერაფერი მონახა. ერთადერთი მამაბაბეული წიგნი ჰქონდა ნიჯგორიდან წამოღებული. წიგნი, მართალია, ძვირფასად იყო მოჭედილი, ოჭროში ცურვილი და თავსამკაულებით მოხატული, მაგრამ მარტო ამის ამარა წარდგომა მეფე-დედოფლის წინაშე საჩოთიროდ მი-

აჩნდა. ვთქვათ, წიგნი მეფისათვის მიეძღვნა, დედოფლისათვის რაღა მიერთმია? ახალციხეში გაგზავნა ლევანი. ვილაც იტალიელი ვაჭრისაგან მართლაც შესანიშნავი თავსახურავი და ყელსაბაში აყიდვინა. ამაზე უკეთესი ვერაფერი ვნახეო, — უთხრა ლევანმა. იუსუფის ჭოჭმანი, გამოვჩნდე თუ არა ჩემი მცირე საჩუქრებითო, იქნებ კიდევ დიდხანს გავრძელებულიყო, კარისკაცებს რომ არ მოეკითხათ:

— მეფე გასაყვედურობთ, მასპინძელმა რად მოგვიძულა, რად აღარ გენახულობსო.

„ალბათ, გაიგო ჩემი გულბედაობის მიზეზი, იმიტომაც უთქვამს!“ გაივლო გულში იუსუფმა. თვითონაც ძლიერ მონატრებოდა მეფის ნახვა.

ქართლის ბატონი მისთვის საგანგებოდ მიჩენილ დიასამიძისეულ სასახლეში დახვდა. დედოფალი, კათალიკოსი და მეფის სტუმრებიც აქვე ბრძანდებოდნენ.

იუსუფმა თავყანი სცა მეფეს. — ეს სრულიად საქართველოს კათალიკოსიანო, — გააცნეს მალალ-მალალი, ახოვანი მოხუცი; — ეს დედოფალიანო, — მიუთითეს სეფე-ქალუბით გარსემორტყმულ ხორეშანზე; — ესენიც მეფის სტუმრებია, მცხეთელი მერაბ ზევდგინიძე და ეგნატაშვილი ზაალიო. კათალიკოსისა და დედოფალს იუსუფი კალთაზე ეამბორა. მოკრძალებით მიესალმა მეფის საბატიო კაცებსაც.

— დაბრძანდით! — შესთავაზა ბოლოს მეფემ.

ვებუდეთ რამდენიმე თავს რომანიდან „დედლის ტამარი“. რედ.

სტუმარ-მასპინძელმა ერთმანეთი მოიკითხეს.

— დიდებულო მეფევ, სათხოვარი მაქვს: მცირე ძღვენი მსურს მოგართვათ. ვთხოვთ ინებოთ მისი მიღება თქვენი მორჩილი ყმისაგან, — როგორც იყო, შეჰბედა იუსუფმა.

მეფემ გაიღიმა.

— რა გაეწყობა, თუმცა...

გიორგიმ აღარ დაამთავრა, რადგან კარისკაცებმა ლევანი შემოიყვანეს. ლევანი მდაბლად მიესალმა მეფეს, დედოფალს, კათალიკოსს, შემდეგ სხვებსაც დაუკრა თავი და განზე გადავა.

— ძმისავით შეზრდილია ჩემთან! — მიმართა მეფეს იუსუფმა, — მაგის მამა-პაპა ჩვენი სახლის უერთგულესი ყმები იყვნენ.

სტუმრებმა კიდევ გადაჰხედეს ლევანს. ყველას მოსწონდა ეს წარმოსადეგი ყმაწვილი კაცი. შემდეგ მზერა იუსუფზე გადაიტანეს. ჰაბუკები გარეგნულადაც კი ძმებზე უკავდნენ ერთმანეთს.

— რა გვარია? — იკითხა კათალიკოსმა.

— ლონდარიძეა, თქვენო უწმინდესობავ, სახელად ლევანი ჰქვია, — მკვირცხლად მიუგო მღვდელმთავარს იუსუფმა.

— კარგი ჰაბუკი ჩანს, — მოიწონა მეფემაც.

მცირე ხანს დუმილი სუფევდა.

— მაპატიეთ, დიდებულო მეფევ, ასე მცირედზე ნუ შემომწყურებით! — ბოდიში მოიხადა იუსუფმა და ლევანისაკენ ნაბიჯი წარსდგა. სტაგრაში შეხვეული საჩუქრები გახსნა ლევანმა, იუსუფს გაუწოდა. იუსუფი მეფეს მიუახლოვდა, მუხლი მოიდრია და საჩუქარი მოწიწებით გადასცა. შემდეგ ასევე კრძალვით ეახლა დედოფალს და იმასაც მიართვა ძღვენი.

ოქროთი მოოჭვილმა წიგნმა თვალი მოსტაცა კათალიკოსს. მისწვდა, აიღო, რამდენჯერმე ხელში შეატრიალ-შემოატრიალა. ახალთ-ახალივით ბრჭყვიინავდა ძვირფასი ლითონის ჰედილობა.

კათალიკოსი ერთხანს დავით წინასწარმეტყველის გამოსახულებას დაჰყურებდა, შემდეგ გადაფურცლა. თავისმა კაულებს დაჰხედა. მოეწონა ხელობა.

— ჩინებული რამ არის! — ჩაილაპარაკა ბოლოს ყველას გასაგონად.

ახლა მეფემ გადაათვალიერა წიგნი და იმანაც აღტაცება გამოთქვა. განსაკუთრებით გადამწერის ხელი მოეწონა.

სად ნახეთ ასეთი უიშვიათესი რამ, ჰაბუკო? — შეეკითხა იუსუფს კათალიკოსი.

— პაპაჩემის ნაქონია, თქვენო უწმინდესობავ. დედისაგან მსმენია: წყაროსთავში უნდა იყოს შემზადებული, — უპასუხა იუსუფმა.

მეფე ისევ სინჯავდა წიგნს. თავსამკაულების მოხატულობას და ხელს აკვირდებოდა.

— უზადო ნამუშევარია. ძველი მწიგნობარნი თუ დაამზადებდნენ ასეთ რასმე, თორემ... — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა მეფემ, შემდეგ იუსუფს მიუბრუნდა, — წელან ბოდიშს იხდიდი, მცირედზე ნუ შემომწყურებით. ქვეყანა რომ გეძღვნა, ასე ვერ მასიამოვნებდი. შითხარი ახლა სამაგიერო რით გადაგიხადო? თუმცა, როგორც სტუმარს, — მეფეს თავისი წელანდელი სათქმელი გაახსენდა, — პირველად საჩუქარი მე უნდა მეძღვნა.

— სტუმრობა როგორ გკადრებათ, დიდებულო მეფევ: — ძლივს ამოსთქვა გახარებულმა იუსუფმა, — მასპინძელიც თქვენ ბრძანდებით და...

კათალიკოსმა გულზე დაკიდებული ოქროს ჯვარი შეიხსნა ლუსკუმიანად, იუსუფს შესთავაზა.

— ჩემი მხრივ მეც დავაჯილდობ ჩვენს მასპინძელს, — თქვა მან. იუსუფი ვერ ბედავდა, ამ თმა-წვერდათოვლილი, მკაცრი მოხუცისაგან საჩუქარი მიეღო.

— ნუ მერიდები, ჰაბუკო, ჩემს სახსოვრად გქონდეს ეს! — გაამხნევა კათალიკოსმა.

იუსუფი მაინც არ იძვროდა ადგილიდან.

— აიღე, ნუ გერიდება! შეპლიმა მეფემაც.

— იქნებ თათრული სჯულის მსახური და რად ეძალუბით? შენიშნა ხორეშან დედოფალმა.

— აჰ, ეგ კი გადამეფიყდა! მაჰმადიანი ხარ, ქაბუკო? — იკითხა მღვდელმთავარმა.

იუსუფმა თავი გადააქნია, სიტყვით კი არა უთქვამს რა.

— მაჰმადიანია, მაგრამ გაქრისტიანებას აპირებს, — წაეშველა მეფე. — ამას წინათ ასე მითხრა. ასეა ხომ?

— დიახ, დიდო ბატონო, — მორცხვად დაფხოწმა იუსუფი.

— მამაო ნიკოლოზ, — ახლა უკვე კათალიკოსს მიმართა მეფემ, — ქრისტეს მცნების აღიარება თქვენი კურთხეული ხელით მოუხდება.

ბოლო სიტყვები გიორგიმ დმილით წარმოთქვა. საპატრონო ქვეყნიდან გადმობეგვის მწუხარებას ვერ გაეტეხა მეფის მხნეობა. მისი ლალი ბუნება მაინც ვერ ეგუებოდა მოქურუშებას. მუდამ გულლიად, იმედებით აღსავსედ გამოიყურებოდა.

გაიღიმა იუსუფმაც, გადადგა ბიჯი და მღვდელმთავარს ხელზე ამბორით ჩამოართვა საჩუქარი.

მეფემ მოლარეთუხუცესი იხმო.

— დღეს უზომოდ გვასიამოვნა ჩვენმა მასპინძელმა. ისეთი საჩუქარი უნდა ეუძღვნათ, რომ სამუდამოდ დარჩეს დღევანდელი დღის სახსოვრად.

მოლარეთუხუცესმა თავი მდაბლად დაუკრა მეფეს და უკანვე გავიდა.

მეფე იუსუფს მიუბრუნდა:

— დაბრძანდი, ბატონო უსუპ. მოგვიყვი, რა ამბავია შენს საბრძანებელში.

— მშვიდობა გახლავთ, დიდებული მეფე! — მეფის საპასუხო პირველი სიტყვა ძლივს იპოვნა იუსუფმა, შემდეგ კი უფრო თამამად განაგრძო: — თქვენი აქ ყოფნა ძალიან ახარებს მთელ საქავახეთოს. ფარულად ხმები დადის: მეფე იმიტომ გადმოსულა, ხონთქარს ზემო ქართლსა სთხოვსო. აღრიდნავე ჩვენი იყო და ახლა ისევ უნდა მომცეო.

თქვენს გამარჯვებას ღმერთს ვევედრებიან, ბევრად მსხვერპლსაც სწირავენ თურმე...

მეფემ შუბლი შეიკრა, სხვადასხვა ფერის ქვევით მოგებულ ფილაქანს დააჩერდა. რას ფიქრობდა ის ამ დროს? იუსუფმა აღარ იცოდა, აქ შეჩერებულიყო, თუ კიდევ გაეგრძელებინა საალაბეგოს ამბების თხრობა.

— მაშ, ჩემს გამარჯვებას უფალს ვევედრებიან? — გაისმა სიჩუმეში მეფის ხმა, — ასე თქვი, ბატონო უსუპ?

— დიახ, მთელი ჯავახეთი. ასევე ახალციხის ქვეყანა.

მეფემ მსუბუქად ამოიოხრა.

— კარგია, ეგ კარგი სურვილებიც კარგია, მაგრამ... ეჰ, როგორ მიწოდდა ქართლისათვის შემეერთებინა ეს სისხლ-ხორცეული ნაწილიც ჩვენი ქვეყნისა. პატარაობიდანვე ამბზე ვოცნებობდი, ქართლის მოღალატე ერისთავებმა კი ფრთები შეაკვეციეს ჩემს ზრახვებს.

მეფის სიტყვების გაგონებისას სახე აუბრწყინდა მღვდელმთავარს. მარჯვენა ხელის მთელი მტკენით ჯვარი გამოსახა და ღმერთს შეჰლაღადა:

— უფალმა იწებოს, ბატონო მეფე, თქვენი სურვილის აღსრულება!

მეფისა და კათალიკოსის ნათქვამმა გამხნევა იუსუფი. თურქთაგან ქვეყნის განთავისუფლების იმედი აღეძრა და გიორგის გულმხურვალედ შეჰლაღადა:

— გვიბრძანეთ, დიდებულო მეფე! ფეხზე დადგება საქავახეთო და სამცხე, მთელი ქვეყანა დრტინავს ოსმალთა ხელში. მთის გადაღმა ხომ... აი, შავშელნი ოსმალთა ქვეშევრდომობას სიკვდილს არჩევენ, ცეცხლში ვარდებოდნენ, კლდეზე ცვიოდნენ და მათ კი არ ნებდებოდნენ, — იუსუფი მცირედ შეყოვნდა, შემდეგ სახეაწითლებულმა განაგრძო: — მათ ხომ მეც ამიხილეს თვალი. ოღონდ თქვენ ისურვეთ, მეფე... ხალხს მოთავე და იმედი სჭირდება. თქვენი იმედით ყველაფერს მოიქმედებენ...

გიორგის ღმილი ბაგეებზე შერჩა.

იუსუფის ახალგაზრდულმა გატაცებამ და წარმატების რწმენამ ერთბაშად მოხიბლა, მოინადირა მისი გული. გაახსენდა, ახალგაზრდობის დროს თვითონაც რომ ამ ჰყოფნიდა მოთმინება, ერთი ხელის დაკვრით რომ უნდოდა მთელი საქართველოს გაერთიანება. რამდენჯერ შებშია მამამისს, მეფე ვახტანგს, სპარსთაგან შანაგუზად წოდებულს, რაღას აყოვნებ, დაიპყარ იმერეთი და სამცხე-საათაბაგო, ნაწილ-ნაწილად დაგლევილ ქვეყანას რად არ აერთიანებო.

— ჯერჯერობით მოთმინება გვმართებს, ბატონო უსუბ, — მეფის დინჯმა კილომ ცივი წყალი გადაასხა ჭაბუკის აღფრთოვანებას, — ოდეს ქართლსა და კახეთს იმერეთიც შეუერთდება, მაშინ დადგება მაგისი რიგი. ოსმალთა ხელიდან საათაბაგო ქვეყნის გამოსავლევად არც ჯავახეთი და სამცხე კმარა და შეიძლება არც ქართლ-კახეთში იკმაროს. კიდევ უფრო დიდი ძალა გვეჭირდება. აი, ვნახოთ, რა ახალი ამბები მოგვიტანა ქართლიდან ბატონმა მერაბმა.

მცირედად წინ წამოდგა შუახნის, მოსული ტანის კაცი, თავი მოდრიაკა მეფის წინაშე, შემდეგ მარცხენა ხელი სატყერის ქარქაშს მოავლო, მარჯვენათი თითქოს ტარს დაეყრდნო და ჩაახველა:

— მეც იგივე უნდა მოვახსენო თქვენს მეუფობას, რაც ამ ჭაბუკმა ბრძანა, დიდებულო მეფე.

— ქართლშიც ჩემს გამარჯვებას ევედრებიან უფალს? ვინ, თამაზ სარდალი? არაგვის ერისთავები? რა გვინდაო მერე? — უეცრად ბრაზი წაეკიდა ქართლის თავადებზე შემომწყურალ მეფეს.

ბასუხი აღარაგის გაუცია, მხოლოდ კათალიკოსმა შეჰხვდა:

— ნუ ვანრისხდებით, ბატონო მეფე. ქართლის თავადები შესცდნენ და ახლა, მძღობა უფალს, მიხვდნენ თავიანთ შეცდომას. სწორედ ამიტომ ევედრებიან ღმერთს თქვენს გამარჯვებას. უფალი ჩვენი შემწყალებლობას შთაგვაგონებს. უგუნურობით ჩადენილი შეცდომა შეუნდეთ თქვენს ქვეშევრდომთ!

— მართალს ბრძანებთ, მამო ნიკო-

ლოზ, შემცოდეთ უნდა შეგუნდოთ ძლივს დაიოკა გიორგიმ რისხვა. დარბაზში მყოფნი თავდაზრდილნი მენდნენ მეფეს. მერაბ ზედღვინიძემ კიდევ ერთი ნაბიჯი წარმოსდგა წინ და მოკრძალებით შეჰხვდა ბატონს:

— დიდებულო მეფე. მპატიეთ, თუ რჩევას გადარბობთ. თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ შეუმცდარი არავინ არის ქვეყნად, თვინიერ ლეთისა... დამბადებელს იმდენი თვალთახედვა კი მიუტია კაცთათვის, ავს რომ ნახვენი, კარგის ფასს მაშინ შეიტყობენ, ერთხელ შემთხვეულ შეცდომასაც აღარ ჩაიდენენ მეორედ. ქართლის თავადთა შეინანეს თავიანთი შეცოდება. ახლა თქვენ გამართებთ სულგრძელობის გამოჩენა და ქვეყნის გამოხსნა მტარვალის ხელიდან.

ზედღვინიძის მიერ გაბედულად ნათქვამმა სიტყვებმა გაამხნევა ყველა. თვლებგაბრწყინებული მისჩერებოდნენ.

— დიახ, მართალს მოგახსენებთ ბატონი მერაბი, დიდებულო მეფე! — დამოწმეს ზედღვინიძის ნათქვამი სხვებმა.

მეფე ჩაფიქრდა.

— კიდევ რა ამბებია ქართლში? — იკითხა მცირე ღუმილის შემდეგ.

— მეტი რა მოგახსენოთ! ყიზილბაშები დათარეშობენ ყველგან. ტყვეებს იტაცებენ, ჰყიდიან. გაპარტახდა ქართლი. გორი, ნარიყალა და სხვა ციხეები სპარსელებით არის სავსე. დღემუდამ თავს ესხმიან მოსახლეობას. ძარცვავლევითა და ტყვეთა სყიდვით ჭონებებს იხვევენ...

— მეფე რას აკეთებს მერე? — ველარ მოითმინა ქართლის ამბებით გულნატყვენმა იუსუფმა და თავადს სიტყვა შეაწყვეტინა. ისეთივე უღვთო თარეში წარმოუდგა თვალწინ, როგორიც არაერთხელ ენახა ოსმალთაგან სამცხეში.

— რას აკეთებსო, ბატონო უსუბ? — თითქოს გაიოკა მერაბმა, — რას უნდა აკეთებდეს? ყიზილბაშნი რომ ქვეყანას ურბევენ, იმ დროს ის შევბასა და განცხრომაშია. სადა სცალია! დღემუდამ მთვრალი ქალებთან ატარებს დროს.

ტწირად სანადიროდ დადის, თან ქალე-
ბის მთელი მარაჟა დაჰყავს. ამბობენ,
სპარსელების ყაენის მსგავსად ჰარამზა-
ნის გახსნას აპირებდნო.

ყველა მოწყენილ-ჩაფიქრებული მის-
ჩერებოდა მერაბს. აოცებდათ ის, რაც
საკუთარი ყურით ესმოდათ, თითქოს
პირველად გაეგონათ ამჟამინდელი
ქართლის ამბები.

— თავადები აღარაფერში ერიდებიან
მეფეს, — ნაღვლიანად განაგრძობდა
ზევდგინიძე, — ახლოს რომ უყუროს
კაცმა, ისე ეგონება, სახიობას თამაშო-
ბენო. ნაზარალიხანი სახუმაროდ მორ-
თულ ყენის მოჰგავს, აქლემზე უკუდ-
მა რომ შესვამენ ხოლმე. ქვეყნის მმარ-
თველნი თვითონაც პამპულობენ და მე-
ფესაც აპამპულებენ, ქართლის ქვეყანა
კი ვაგლახად ტაციობანა-თარეშობიანა-
თი იტანჯება...

მერაბს უკანასკნელი სიტყვების თქმა-
ზე ხმა აუთრთოლდა, ცრემლიც მოგბ-
ჯინა ყელში, მაგრამ გულიდან მოხეტქი-
ლი ვარამი ზემოთ სანახევროდაც არ
ამოუშვა. მერაბის ასეთი ყოფა ყველამ
კარგად იგრძნო. ეს ვარამი რაღაც იდე-
მალი ძალით გადაედო ყველას და დაიბ-
ყრო, ჭერ გული ატყინა და დააღონა,
შემდეგ კი აახშიანა, ააღელვა. ყველაზე
მეტად მიანიც მეფე აღშფოთდა. მის ძარ-
ღებში თითქოს ისეე აჩქვფდა ახალგაზ-
რდული სისხლი, თანდათან მძლავრად
მოედო მთელს სხეულს, ბრძოლის ყიეი-
ნით აღავსო. მაგრამ ახლა კვლავ თავშე-
კავება მართებდა. კრიჰაშეკრულმა იმე-
რეთის მეფედყოფილი ალექსანდრე მო-
იკითხა, ისიც ნაზარალიხანივით ყულად
ხომ არ უდგება სულეიმან შაჰსო?

— იმერთა ყოფილ მეფეს, ალექსან-
დრეს, დიდ მწყალობლად გაუხდა ჰაშ-
სულეიმანი, — მეფეს უბასუხა, მერამ
ისეე ყველას მიმართა ზევედგინიძე. —
ზარალალიხანისათვის რაყამი გამოუგზა-
ვინა: ვიდრე ჩვენი ბრძანება მოგივიდო-
დეს, ალექსანდრე მეფეს კარგად შეუწყე
ხელი და დახვედრითაც კარგად დაუხე-
დიო. რაყამი თვითონ ალექსანდრესაც
მიუღია. რაყამისათვის ძვირფასი საჩუქ-

რებიც მოუყოლებია შაჰსულეიმანს: სა-
მეფო გვირგვინი, ოქროს ქამარი, ოქროს
მოსართავებით შეკაზმული ცხენი, დე-
სხვა მრავალი ძღვენი. ცბიერი შაჰის
საბრალო ყულს მეტი არც არა უნდო-
და-რა. შაჰის საამებლად მთელი ჯარით
ჩამოვიდა მუხრანს. ალექსანდრე თავი-
სი ჯარით ყვაის საყდართან შეეგება.
ამბობენ, შაჰის მონები მამა-შვილურად
გარდაეხვიენენ ერთმანეთსო. გორში
მიბრუნებულიყვენენ, დიდი ღზინი გადა-
ეხადათ. იმასაც მოგახსენებ: ვითომ სიმ-
თვრალეში შესულ ნაზარალიხანს ებრ-
ძანებინოს, ამაღამე გორის ყველაზე
ლამაზი ქალწული უნდა მომგვაროთო.
ახნაურ ალიბეგაშვილს მართლაც ლამა-
ზი ქალიწვილი ჰყოლია. ის მიუყვანიათ,
მეორე დღეს თავის მხრივაც დიდძალი
საჩუქრები მიართვა ნაზარალიხანსა
ალექსანდრეს. სამ დღეს ჭეიფსა და გან-
ცბრომაში იყვნენ. ალიბეგაშვილის საბ-
რალო ქალიც სამ დღეს თავისთან ჰყავდა
იმ ურცხვს. მეოთხე დღეს გაბრუნდა ნა-
ზარალიხანი თბილისისაკენ. ქალი მცი-
რედი საჩუქრებით შინ დაებრუნებინა
მშობლისათვის. ალექსანდრე საზაფხუ-
ლოდ წედისს დასტოვა. კარგად მოგეხ-
სენებათ, ბატონებო: თუ თვით მეფე ასე
მოქცევა თვის ერს, რალს იზამენ მა-
შინ სპარსი თხუნელები?

— ღმერთო, შენ დაიხსენი ამ სიბილ-
წისაგან ჩვენი ხალხი, ღვთისმშობელო,
დედაო ღვთისაო, შენ მოჰხედე შენს
წილხვედრ ქვეყანას! — სასოებით აღაპ-
ყრო ხელები კათალიკოსმა. ღმერთო, გა-
მარჯვება მიანიჭე ქართველთა მეფე გი-
ორგის, ღმერთო, შენ დაიხსენ ტანჯვისა-
გან ქართველთა ქვეყანა, ღმერთო, გამ-
გებელო ცისა და ქვეყნისა, შენ მიანიჭე
თავისუფლება მას!

— ღმერთო, შენ იხსენ ჩვენი ქვეყანა,
შენ მიანიჭე გამარჯვება მეფე გიორგის!
— ერთმად შეჰლაღადა ცას ყველამ.

მეფემ ტაში შემოჰკრა, მსახური იხ-
მო და, როცა შემოვიდა, შეცვლილი
ხმით ბრძანა:

— ქაიხოსროს გადაეცი, ხვალისათვის
სამასამდე მოლაშქრე მოამზადოს.

იუსუფი რომ დიასამიძეებისეული სასახლიდან გამობრუნდა, მოსალამოებულ იყო. შთაბეჭდილებებით დატვირთულმა პირდაპირ შინისაკენ გასწია. გზადაგზა ათასი ფიქრები უტრიალებდა. მთელი მისი არსება ხვალისდელ დღეზე ოცნებას შეეპყრო. მაშ, მედემ ლაშქრობა ვადაწყვიტა? ყოყმანსა და გადამწყვეტი იერიშის ხვალისთვის გადადებას ბოლო მოელო. მან იცოდა, რომ ოცნების განხორციელებას, დავითისა და თამარისდროინდელი საქართველოს აღორძინებას, დიდი წინააღმდეგობა ელობებოდა წინ, მაგრამ გამარჯვების სურვილისა და რწმენის წინაშე ეს წინააღმდეგობანი იმდენად იჩრდილებოდა, რომ მათ თითქმის ველარც კი ამჩნევდა.

ფიქრებში გართული თავის სამყოფს მოადგა. კარის ღირზე მსახური წამომაჯდარიყო და თვლემდა. ბატონის მოულოდნელად თავზე წამოდგომის გამო შეკრთა და ზეწამოიჭრა. იუსუფს მისთვის ყურადღება არ მოუქცევია, გვერდი აუარა და შიგნით შევიდა.

ოშორაში მეფის გადმოსვლის შემდეგ იუსუფი ამ სასახლეში გადმოსახლდა. ეს მოზრდილი, დაძველებული შენობაც დიასამიძეებისეული იყო. ვინ იცის, რამდენ თაობას ეცხოვრა აქ, რამდენი ჭირი და ლხინი გადაეხადათ... რა იცოდნენ, თუ აქედან მათი სახსენებელიც აღმოიფხვრებოდა და მათი მამულისა და სახლ-კარის ბატონ-პატრონიც სხვა ვახდებოდა!

რკინის ლანძვებჩასმული, მოზრდილ-სარკმლებიანი სახლი, ძველისძველი შენობის პირობაზე, კარგად იყო განათებული. კედლებზე ყავისფერი საღებავებით მოხატული სახეები ქამთასვლაში დადებული მტკრისა თუ მურის გამო იმდენად გამუქებულიყო, რომ ძლივსღა იჩჩეოდა ფონისაგან. დიდი დარბაზის შუაგულში გრძელი, ატლასის სუფრა-გადაფარებული მაგიდა იდგა, რომელსაც აქეთ-იქიდან სავარძლები ჰქონდა

შემოწყობილი. მაგიდის ორივე თავში ვერცხლის შანდლები დაემაგრებინათ.

სახლში შესულ იუსუფს ცუტლა არ დაუდგა. რაღაც აწუხებდა მცირე ხანას სავარძელში ჩაჯდა. ვერ მოისვენა. წამოდგა, სარკმელთან მივიდა და სივრცეს გააჩნდა. სარკმლის მოპირდაპირე მხარეს ტყით დაფარული ქედი მოჩანდა. ლურჯად მოელვარე ცარგვალი ქედს გადაღმა, საღდაც მიწას ეყრდნობოდა. ზედ ქედის ზურგზე, შიშის სხივების ნაკადზე, რუხად შეფერილი, მაღალგუმბათიანი ტაძარი ამოზიდულიყო. ტაძრის ქვემოთ, დარიჯებზე, ქვიტირის სახლები გადმომდგარიყვნენ.

იუსუფმა მეფის სადგომისაკენ გაიხედა. გარეთ მხოლოდ დარაჯები ჩანდნენ. კათალიკოსის საჩუქარი გაახსენდა. უმაღლე გულზე ოქროს ძეწკვით დაკიდებული ლუსკუმა გახსნა და ოქროს მოზრდილი ჯვარი ამოიღო. ზედ გაკრულ მაცხოვარს შუბლსა და ხელისგულებზე სამსკვალავის თავები ემჩნეოდა შავად. ოდნავ გვერდზე გადახრილ თავზე ეკლის გვირგვინი ედგა. იუსუფის გონებაში გაცოცხლდა ჯვარცმული იესოს სახე. პატარაობისას დედა მოუთხრობდა ხოლმე, ურწმუნო და გაბოროტებულმა ადამიანებმა სიკეთის გულისათვის აწამესო. ისევე დაჰხედა. მაინც რა სათნო სახე გამოეხატა ხელოვანს! რამდენი სიკეთე განესახიერებინა ამ ეკლის გვირგვინებმოვლებული და სამსკვალავით განგმირული, მაღალი შუბლის გამოქედვით.

„დედა ამბობდა ხოლმე, თვითონ მეუფემაც ხალხის ხსნა წამებით მოიპოვა, ამ ქვეყნად გამეფებული ბოროტება თავისი ტანჯვით დათრგუნაო. და თუ მეუფემაც... ჩვენ, კაცთაგანს, როგორღა შეგვიძლია წამების გარეშე სიკეთე მოვუშინოთ ქვეყანას და ადამიანებს?“

— ამას ვინ ვაპატიებს! — ისე ცხად-ლივ ჩასძახა რაღაც ხმამ, რომ იუსუფი შეკრთა, თვალი სივრცეს გაუშტერა. რატომღაც შეეშეთში ამასწინანდელი ვაწ-

1 დარიჯი ჯავახეთსა და სამცხეში იხმარება, ტერასს ჰქვია.

ვევა გაახსენდა. ჯერ კიდევ არ იცოდა. ფაშა რისთვის ეძძა. იქნებ დაბეზღებულიც იყო? მაგრამ გული მაინც მაგრად ჰქონდა. შეეძლო ფაშისათვის პირდაპირ თვალბეზღში შეეხედა და სულსწორად ეთქვა, რომ ტყუილად დაბეზღეს, მას იოტისოდენაც არაფერი ჩაუღვნია დიდი სულთნის წინააღმდეგ. გულში საწინააღმდეგო ფიქრიც არ გაუყვლია... ახლა? ახლა ნივთიერი საბუთიც კი შეიძლებოდა ჰქონოდა მამბეზღარს. მას, იუსუფს, სძულდა სულთანი, მისი ღმერთი — წინასწარმეტყველი, ყველა მისი ერთგული ფაშა, ალაი-ბეგი თუ ბეგი...

გულს მარტოობა შემოაწვა. ისეთი ვინმე მაინც ჰყოლოდა გვერდით, რომ მას ვასაუბრებოდა, თავისი ხეაშიაღი ემცნო. არა, ფიქრ-ზრახვების ვისთანმე გაზიარება ჯერჯერობით ნაადრევი იყო, მაგრამ გული მაინც თავისას ითხოვდა.

„ლევანი რატომ აღარ მოვიდა?“ — გაახსენდა უცებ და მოტრიალდა, კარი გამოაღო, ლევანს დამძახეთო, გასძახა მსახურს.

ცოტა ხნის შემდეგ მსახური ფეხაყრფით ეახლა.

— ლევანი შოდის, — მოახსენა, — თან ვიღაც უცხო კაცი მოჰყავს.

„უცხო კაცი? — გაიფიქრა იუსუფმა, — ნეტა ვინ უნდა იყოს?“

მოსულთა დასახვედრად გარეთ გამოვიდა. ლევანის გვერდზე საშუალოზე მაღალი ტანის, ჭადრაამურეული, ქართულ კაბაში გამოწყობილი კაცი იდგა. დაწახვისთანავე თავისი ღედის ძმა, დოლენჯი ხმალაძე შეეცნო იუსუფს.

— ოჲ, ჩვენს ალაი-ბეგს გაუმარჯოს! ხმაალა შეეხმანა სტუმარი იუსუფს.

— ოჲ, ბიძაჩემო, საიდან, როგორ მოხდა? — მიეგება გახარებული იუსუფი ბიძას, მარჯვენა მუხლით ჩაიჩოქა ნიშნად უმცროსობისა. დოლენჯიმ ფეხზე წამოაყენა, გადააკოცა ახალგაზრდა მასპინძელი.

— როგორა ხარ, დისწულო, რასა იქს ჩემი და?

— გმადლობთ! კარგად ვართ... მხოლოდ ეს გვაწულებს, ასე ძლიერ რომ დაგვივიწყეთ, — უსაყვედურა იუსუფმა. გაიცინა დოლენჯი:

— ჩემი გახსენება რაღასთვის დაგჭირდება, შეილო, როდესაც დიდი სულთნის წყალობა დაგიმსახურებია. ახლაც კი მორიდება მმართვეს, მაგრამ დისწული ხარ და ნუ მიწყენ, ასე თავისუფლად რომ გელაღები.

იუსუფი არ გამოაპსუებია. იგრძნო, დასცინოდა ბიძა. გაიღიმა მხოლოდ. ორიოდ წამის შემდეგ ღიმილითვე მიმართა სტუმარს:

— რაღას ვუყურებთ, შევიდეთ შინ!

— რა ვიცი, მიგვიღებ ხონტქროს დიდი კაცი? — ისევ დასცინა დოლენჯიმ. სტუმრის დამცინავემ კილომ მასპინძლის მაგივრად ლევანი აამღერია.

„ბაბაჩემისა არ იყოს, ამ წარა-მარა დაცინვით რას ემართლებიან იუსუფს?“

— გაივლო მან გულში უქმაყოფილოდ.

იუსუფმა არაფრად ჩაავდო ბიძის ქილიკობა. მის გამკილავე სიტყვებს ბალობიდანვე შეჩვეული იყო. გამაჰმადიანების შემდეგ ასე კენწლავდა ხოლმე სიძეს, იუსუფის მამას ეტყობოდა, ახლა დისწული ამოვლო ნიშანში. იუსუფს მართლა არა სწყენია. სამშობლოს ერთგულების გამო მოპაექრე ბიძასთან თავი გამარჯვებულად მიიჩნდა. კარგად იცოდა, მალე სულ სხვა აზრისა იქნებოდა ბიძამისი.

— მობრძანდით, შევიდეთ შინ! — კვლავ შეიპატოვა სტუმარი და თავად პირველი შევიდა კარში. უკან დოლენჯი და ლევანი მიჰყვნენ.

— ცოტა ხალვათად გხვდებით, — მოიბოდიშა მასპინძელმა, — ნუ მიწყენთ, ბიძაჩემო, ასე სჩვევია უქალო ოჯახს.

დოლენჯი მაგიდის მარჯვენა მხარეს სავარძელში ჩაჯდა. მის პირდაპირ მიეწყო იუსუფიც.

— არა უშავს, არა უშავს, გაამხნევა ბიძამ დისწული, — იმას ხომ მოვესწარი, რომ ოსმალებსაგან დაწინაურებული, გადიდგაცებული გნახე.

აღბათ, თათარ რძალსაც მოვესწრები ჩემი დის ოჯახში. დიდი წყალობა მოუღია სულთანს. საკვირველი კია, რა ასეთი ერთგულება გამოიჩინე, რომ ესოდენი პატივი დაგიმსახურებია?

იუსუფმა ახლა კი ვეღარ მოითმინა და ნიშნისმოგებით მიახალა სტუმარს:

— სულთანის წყალობას რომ მისაყვედურებ, ბიძაჩემო, მეფე გიორგის მოპყრობა რად არ გახსენაღებამე მაინც უფრო მეტად მწყალობს, ვიდრე სხვა ვინმეს...

ლევანმა და დოლენჯიმ იუსუფს შეპხედეს. ლევანი მიხვდა: იუსუფი თავის მკვახე პასუხის „სხვა ვინმეში“ თვითონ დოლენჯის გულისხმობდა. ახლა ამის გამო შეწუხდა — სტუმარი უფროსი კაცი, ისიც ბიძა და არაფერი აწყენინოსო.

დოლენჯიმ თითქოს ვერც კი შენიშნა დისწულის წყრომა. მის სახზე მხოლოდ გაკვირვება გამოისახა.

— რა თქვი? — ჰკითხა იუსუფს.

— მეფე გიორგი სხვაზე უფრო მეტად მე მწყალობს-მეთქი, — გაუმეორა იუსუფმა.

დოლენჯი ჩაფიქრდა და მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ ასწია თავი.

— სულთანის მოწყალება ისეა სარწმუნო, როგორც ვირის წიხლის სიკეთე; მეფე გიორგი კი... სულ სხვაა. შენი რა მოგახსენო, შეილო, მე კი ქართველთა მეფის რისხვა მიჩვენია თათართა სულთანის მოწყალებას. ეგებ არც შენ დაივიწყო ეს.

ისევ ჩაფიქრდა დოლენჯი. იგი მეფე გიორგისთან დაახლოების საშუალებას ეძებდა. ამ საქმეში იქნებ ყველაზე უკეთ იუსუფი გამოსდგომოდა? შესაძლოა, მისი ზრახვების თანაზიაროც იყო მისგანვე მრავალჯის განუსჯელად გაიციხული ჰაბუცი?

— როგორ ბრძანდება მეფე გიორგი? — ახლა მორიდებულად ჰკითხა დისწულს.

— მეფეს რა უჭირს. ჯანმრთელად არის.

— შენ ამ ორ დღეში ნახე?

— ეს არის, იქიდან მოვედი. ლევანიც მეფესთან მახლდა. სარწმუნო მიგაჩუქეთ.

— თქვენ, გეტყობათ, არც ხუმრობთ! — მოხუცი გახალისდა, — ახალი რა ისმის?

— შენ რა უფრო გაგახარებდა, — ბიძა-ბატონო? მეფე გიორგი ქართლის ტახტზე აპირებს დაბრუნებას.

— სურვილი კარგია, მაგრამ შესრულება...

— მარტო ხომ არ არის ყველა გვერდში არ ვუდგავართ? იმერეთის ტახტი ძმას უჭირავს...

ლევანმა უხერხულობა იგრძნო, რომ ბიძა-დისწულს შორის გამართულ ასეთ საუბარს ესწრებოდა. წამოდგა.

— სად მიდიხარ, ლევან? — გაუკვირდა იუსუფს.

ლევანმა კარს გახვდა, თქვით კი არაფერი უთქვამს.

— იყავი, შეილო, პაპა ჰიკოს გაზრდილთან დასამალავი არაფერი გვაქვს.

— ახლა დოლენჯიც წამოეშველა იუსუფს.

ლევანმა საქმე მოიმიზეზა და მაინც წავიდა.

— ქართველთა ქვეყნები თუ არ გაერთიანდნენ, ისე ვერ დაიხსნიან თავს უცხოელთა რბევისაგან, — ფიქრიანად თქვა დოლენჯიმ კარის გახურვის შემდეგ, — ეჰ, ჩვენმა უყარათობამ და ბედოვლათობამ, რომელიც მტრის მომალავრებას ყოველთვის ხელს უწყობდა, აი, სადამდე მიიყვანა დავითისა და თამარის უძლეველი ქვეყანა! მოგვერივნენ, მონებად გავვიხადეს. გავგაბრიყვეს, გავგაუგუნურეს... იქნებ ქართული წერა-კითხვა არც კი იცი?

— ვიცი. დედამ მასწავლა.

— კიდევ კარგი, რომ აგრეა, თორემ საქართველოში ქართული აღარ ვიციოთ. რუსთაველის სამშობლოში ქართული ენა უნდათ აღმოფხვრან. თვითონ ხომ ბრიყვი და უციცი არიან, ჩვენც ასეთებად უნდათ გვაქციონ... ეს ყოველივე გამოცდაა, იუსუფ, ბედმა დაგვიწესა. ნეტარება იმას, ვინც სამსალას შესვამს

და არ მოიწამლება. ხსნა ახლოა. თუ შანაუზის ძენი დამკვიდრდნენ ქართლ-კახეთშიც, ერთმანეთს მხარს მისცემენ. მაშინ საათაბაგოსაც ეშველება. ჩვენც უნდა გამოვიდოთ ხელი. შენ, ჩემო დისწულო, იქნებ კიდევაც გამოგვადგე ამ საქმეში.

ხმალი შეჩერდა. გაიფიქრა, ზედმეტი ხომ არ მომივიდაო. თუმცა დისწულის დახვედრით და ახალი ამბებით უაღრესად კმაყოფილი იყო, სიფრთხილე მთინე გამოიჩინა და ოსმალეთის სულთანის ახალგაზრდა ალაი-ბეგს ბოლომდე მთინე არ ენდო. თვითონ ლეონ თუბარელს და ბექან-გოგორიშვილს საგანგებო დავალებით იყო მეფე გიორგისთან წარმოგზავნილი. საათაბაგოს ამ დიდ თავადთ სურდათ დახმარების ხელი გაეწოდებინათ გიორგისათვის მის ქართლ-კახეთში დასამკვიდრებლად. სამაგიეროდ, ქართლ-კახეთის მეფეს შემდეგ თურქთა ხელიდან მესხეთის გამოხსნაზე უნდა ეზრუნა.

იუსუფმა მთინე იახრა, რომ ბიძამისი ოშორაში უსაქმოდ არ ამოვიდოდა. მას რაღაც განზრახვა უნდა ჰქონოდა და ეს განზრახვა უთუოდ მეფე გიორგისთან იყო დაკავშირებული.

— ნამგზავრი ხართ, ბიძაჩემო, პური გეშეუებათ, — რაკი ბიძა თავშეკავებას იჩენდა, იუსუფმაც იგივე მოიმოქმედა და სტუმარს მცირედ წასაუზმება შესთავაზა, კარი გამოაღო ლევანის დასაძახებლად და სახტად დარჩა: დერეფანში სიყრმის მგვობრის მაგიერ ხეივრის შვილი მურადი შეეხება. იუსუფი შეკრთა. ამას არ მოელოდა. უნებლიედ გზა დაუჭმო მურადს. დოღენჯიშვილს ადგილზე გახევებულ მურადს მიჰხედა.

— რას უდგხარ, შემოდი შიგნით! — უთხრა დაუპატიჟებელ სტუმარს იუსუფმა.

ისედაც შემკრთალ მურადს იუსუფის სიტყვებმა კიდევ უფრო წამოუჭარხლა სახე. პირველად კრინტი ვერ დასძრა. დარბაზში შემობიძვება ძლივს გაბედა.

— ნიჯგორში წასვლა მინდოდა. სა-

თხოვნელად მოვედი. მსახური არ დამსვდა... — ენის ბორძიკით ამოუჭვა გვერდი.

— რა გაჩქარის, — ექვიანად დააცქერდა იუსუფი, — განა რა ასეთი საქმე გამოგიჩნდა! ფეხი არსად გასდგა. ზეგ შენ და ლევანი შეიძლება ერთად გაგისტუმროთ.

მურადი უხმოდ გაბრუნდა უკან. ველარე ბოდიშის მოხდა მოახერხა, ვერც სხვა რისამე თქმა.

— ვინ არის ეგ? — დოღენჯი დისწულის მიუბრუნდა.

— ნიჯგორის მოლას შვილია. — მათეგო იუსუფმა.

— სახე ეშმაკს მიუგავს, არ შეიძლება მაგის გვამში კეთილი სული ტრიალებდეს.

— ეილომ? — ღიმილით მხრები აიჩეჩა იუსუფმა.

— არ დაივიწყო: კაცი ყველაზე მეტად იმ აღამიანებს უნდა უფრთხოდე, ვინც ძლიერ გვირდება და ვისაც ეშინია შენი. ამნაირი კაცი ყოველი საშუალებით ცდილობს შენი საიდუმლოების შეტყობას. იცის: პატიოსან ბრძოლაში ვერ მოგვერევა და იმიტომ.

— მართალს ბრძანებთ, ბიძაჩემო, — დაეთანხმა იუსუფი და დერეფანში პირველი გავიდა. მეზობელ ოთახში სახელდახელოდ გაწყობილი სუფრა ელოდებოდა.

* * *

პეტრუბავლობის დღეობა ოშორაში ძველთაგანვე იმართებოდა. ოცდაცხრა ივნისს ახლო-მახლო სოფლებში ხმა გავრცელდა, სრულიად საქართველოს მღვდელმთავარი და რომის პაპის გამოგზავნილი პატრი პარაკლისის ერთად გადაიხდიან ოშორაშიო. საყდარი, ლითინთა წესით არის მოართული, ძვე არასოდეს არ ყოფილაო. იღუმალადან, მლაშეხევიდან, ინდუსიდან, ყაშხიდან და ზედოშორიდან დიდიდანვე მოაწყდა ხალხი. საკირის შეღმართი მოსულეებით აივსო. ეკლესიის ეზოში ხომ ტევა აღარ იყო. ბევრს ტარიგები მოუყვანა.

გზის მარცხენა მხარე ავესოთ სამსხვერ-
პლო ქედლებით.

ქართველთა მეფის გიორგის ოშორა-
ში ყოფნამ დიდი იმედი აღუძრა ხალხს.
ოსმალებს თითქმის აღარაეინ ერიდებო-
და. გაბედულად მიდიოდნენ საყდრებში
სალოცავად. ძალადობას ოშორის ახ-
ლო-მახლო ოსმალთა მსახურნიც ველარ
ბედავდნენ. ერიდებოდათ იუსუფისაც.
ხმა დადიოდა: ალაი-ბეგი იუსუფი ქრის-
ტიანია, ქრისტიანი მეფეც იმიტომ მა-
გასთან ვადმოვიდაო, ქრისტიანების შე-
მავეწროებელს სასტიკად სჯისო.

ოსმალთა მსახურებს ეს ამბავი დი-
ახაც არ მოსწონდათ, მაგრამ ითმენდნენ,
ვერაფერს უბედავდნენ ძლიერ ალაი-
ბეგს. ფადიშაჰის ნებართვით ქართველ-
თა მეფეც აქ იდგა. სიფრთხილე მარ-
თებდათ.

პარაკლისს რომ შეუდგნენ, ახალი
მომზევებული იყო. ვინც ეკლესიაში
შესვლა ვერ მოახერხა, ფანჯრებს მიაწყ-
და. უნდოდათ, აქედან მაინც მოესმინათ
ღვთის მსახურთა ქადაგება.

საქურთხეველის წინ მეფე და მისი
ოჯახი იდგა. მათგან მცირედით უკან
იუსუფს, დოლენჯის და ლევანს ეკაფათ
ადგილი. საყდრის მარჯვენა ტალანში შა-
ვადმოსილი მოძღვართა გუნდი ჩამწყ-
როვებული. კელაპტრებით და სანთ-
ლებით გაჩირაღდნებულ ეკლესიაში
ძლივს ეტეოდა ხალხი. თვალად და ყუ-
რად გადაქცეულნი, საზეიმო ღუმლით
მისჩერებოდნენ სამოძღვროს. კარი გა-
მოაღო მღვდელმთავარმა და მცირე ბა-
ქანზე გამოვიდა. თავზე ოქროს მიტრა
ეხურა, ტანთ ოქრომკედით ნაქსოვი,
მკრთალი აღისფერი სამოძღვრო მოსას-
ხამი ჰქონდა მოსხმული. მოსასხამზე ოქ-
როს ძაფით წმინდანთა სახეები იყო
ამოქარგული. სამოძღვროში პატრი იდ-
გა. ხელთ წიგნი ებურა. ისიც თითქმის.
კათალიკოსის მსგავსად იყო შემოსილი.

მღვდელმთავარმა ჯვარი გადასახა იქ
მყოფთ, შემდეგ მიბრუნდა, ვერცხლით
უღებმოჭვდილი წიგნი აიღო. ძლივს გა-
საგონი ხმით ორიოდვე გვერდი წაიკითხა.
უფრო ხმამაღლა წარმოთქვა:

— ღმერთო, გვაკურთხევენ!
— ღმერთო გვაკურთხევენ! რამდენ-
ნიმეგზის გაიმეორა მოძღვართა გუნდმა.
ბანს აძლევდა საყდრის თალი. გრვეინ-
ვასავით გაისმოდა მათი ხმადამალი ღუ-
ლუნი.

იუსუფი პირველად ესწრებოდა საეკ-
ლესიო ზეიმს. საყდარს მოწყვეტი-
ლი ამდენი ხალხი, უცხოდ მორთული
მღვდელმთავარი და პატრი, მოძღვარნი,
ყოველივე ეს წარუშლელ შთაბეჭდილე-
ბას ახდენდა მასზე. ღვთაებრივ ხმად
ჩაესმოდა მღვდელმთავარისა და მის მწყე-
თა გალობა.

— ღმერთო, შენ მიანიჭე ძლევა
მტერთა ზედა და მიეცი გამარჯვება
ყველგან მსახურსა შენსა ერთგულს,
შეილსა შენსა რჩეულს მეფე გიორგის!
საუკუნო ჰყავ დიდება მისი! კეთილად
წარუმართენ საქმენი ქართველთა, კახ-
თა, რანთა და მოვაკანთა და ყოველთა
მთეულთა მეფეს... — ღალადებდა კათა-
ლიკოს-პატრიარქი.

— ღმერთო, შენ მიანიჭე ძლევა
მტერთა ზედა! — გალობით იმეორებდა
მოძღვართა გუნდი.

კვლავ გრვეინავდა და გუგუნებდა საყ-
დრის თალი...

მღვდელმთავარი თანდათან ხმას
უმაღლებდა. ხმას უმაღლებდა მოძღ-
ვართა გუნდიც.

გალობას ქადაგება მოაყოლა ნიკო-
ლოზმა: ღმერთმა გამოსაცდელად მოგ-
ვივლინა სატანჯველიო. ღვთისმოსავნი
არ უნდა შევდრკეთ, მხნედ უნდა გადა-
ვიტანოთ იგი. სამაგიეროდ უფალი არ
დაგვივიწყებს, სააქაოს მტერზე ძლევას
მოგვანიჭებს, საიჭიოს ნეტარებას დაგ-
ვიმკვიდრებსო.

იუსუფს გულით ვერ დაეჯერებინა სა-
იქიო ცხოვრების არსებობა. ცოდვა გა-
ტეხილი ჯობს და, ხანდახან თვითონ
ღმერთის არსებობაც კი ეიჭვებოდა.
„რამდენი ღმერთია ქვეყანაზე! — ფიქ-
რობდა იგი, — რამდენი შემოქმედი: იე-
ლოვა, ქრისტე, მაჰმადი... ყველა ხალხი
თავის ღმერთს ემონება და გაითქმის:
ჩემი ღმერთია მხოლოდ ქეშმარიტი,

სხვა ყველა მაცდურიაო, 'ნამდვილი პეშმარიტება კი არავენ უწყისი!'

კათალიკოსმა რომ ქადაგება მოათავა, გვერღზე ვადგა და ადგილი უფროს პატრს ჭულიოს დაუთმო. ჭულიომ ჭერ ლათინთა წესით შეასრულა პარაკლისი, შემდეგ სახარება წაიკითხა ქართულ ენაზე. მოძღვართა დღელუნი ისევ არ წყდებოდა. პატრმა რაღაც ანიშნა მლოცველებს. ყველამ თავი მოჰხარა. იუსუფი ვერ მიხვდა, რას მოასწავებდა ეს მინიშნება. თავი მაინც დახარა და ღიმი მოერია. მოაგონდა, ნიჯგორელე-ბისათვის რომ დებარებინა ფაშას, როგორც მალა მოიქცეს, თქვენც ისე მოიქეცითო.

პარაკლისმა შუადღემდე გასტანა. ეკლესიის შესასვლელ-გამოსასვლელები ისე იყო გაჭედილი, მცველებმა ძლივს გაარღვიეს ბრბო. პირველად მეფე გამობრძანდა. მას დიდებულები მოსდევდნენ უკან. ხალხი წუთით გაინაბა, შემდეგ ისევ თავშეუთქავებლად აგუგუნდა. ისმოდა ერთურთისადმი გადაძახება, ჩუჩჩული, ცნობისმოყვარეთა ამოძახილი. ყოველივეს საზეიმო იერი ედო. გზის ორივე მხრივ კედლად შემომდგარი ხალხი თავდახრილი მიაცილებდა მეფესა და დიდებულებს. სამათხოვროდ მოსულნი გზებზე დგებოდნენ. ვიდრე მეფის ბრძანებით საჩუქარს არ გასცემდნენ, მიწაზე იყვნენ ჩამხოზილი.

ჯარად მომდგარი ხალხი ესწრაფვოდა საკუთარი თვალთ ენახა მეფე. ერთმანეთს აწყდებოდნენ. ნასიამოვნები მეფეც ღიმილით მიჰყვებოდა გზას, თან გარსმოჭარულთ დროდადრო ესალმებოდა.

ეს ამბავი სპარსეთიდან დაბრუნების პირველ დღეებს ახსენებდა გიორგის. ასეთივე სიხარულით და ზეიმით ემგებებოდნენ მაშინაც. ეს იყო მხოლოდ: ქართველები ასე დაჩაგრული და გაჭირვებული არ იყვნენ იმ დროს. ყველა აქ მყოფის სახეს ჩაგვრისა და დამპირების დღი აჩნდა. თურქების უღვთო ყვლეფას გაულტაყებინა მესხნი. დღევანდელ

ზეიმსაც ვერ გაეჭრო მათ სახეზე ტანჯვის ჩრდილი...

სადღესასწაულო განწყობილებამ ისევ გაიტაცა მეფე. გაჰხედა ხალხს, რომელიც გზის ორივე მხარეს თავდაღმართის ბოლომდე იდგა მწკრივად. აქვე იყო მეფის ერთგული ლაშქარიც. კვლავ სპარსეთიდან მობრუნებისდროინდელი ქართლელთა ზეიმი მოიგონა. ამათაც ახლა ისე უხაროდათ, როგორც მაშინ ქართლელებმა გაიხარეს თავიანთი პატრონის დაბრუნებით.

„ღმერთო, უსმინე! — გაიფიქრა მეფემ, — ღმერთო მომეც ძალა, ამათ იმედი არ გავუშტყუნო!“

• • •

სუფრობის შემდეგ მეფე ისევ მოწყენილობამ მოიცვა. თუშცა დილანდელი საზეიმო განწყობილების სიამე ჭერაც არ გაჰჭრობოდა, ნაღველი მაინც მოერია. ან როგორ არ უნდა დანაღველიანებულყო ქვეყნის პატრონი. ის ხომ მხოლოდ თავს იტყუებდა, როდესაც ლხინსა და დროსტარუშას ეძლეოდა.

უცბათ გაახსენდა, რომ პატრი ანჯელო ახალი დაბრუნებული იყო რომიდან. მაშინვე მანდატური იხმო და მის მოსაყვანად გაგზავნა.

პატრები, ჭულიო და ანჯელო, თითქოს საღმე ახლოს ყოფილიყვნენ მოყურადებული, სულ მალე შემოვიდნენ. პირველი — ჭულიო, — მაღალი, ტანწერილი კაცი იყო. თმასა და წვერში ოდნავ თეთრი ემჩნეოდა. ანჯელო უფრო ტანმოორჩილი ჩანდა. ორივეს შავი ხამის კაბები ეცვათ.

პატრები ქართული წესით მიესალმნენ მეფეს და მოუცადეს, ვიდრე ის დასასხლამად მიიწვევდათ. მეფემ, როგორც ერისკაცმა, ხელი ჩამოართვა ორივეს და შემდეგ ჭულიოს მიუბრუნდა:

— როგორ ბრძანდებით, მამაო? მე-

გონა, უფრო ადრე მანახებდით ჩვენს სტუმარს. როგორ იმგზავრეთ? — გიორგი ახლა ანჯელოს მიუბრუნდა, მაგრამ სახელი ვერ მოიგონა და მზერა ისევ ჯულიოზე გადაიტანა.

— ღვთისა და თქვენი წყალობით კარგად უმგზავრია ჩვენს ძმას, ანჯელოს, — მოწიწებით უპასუხა ბერმა, — მხოლოდ წყველ ოსმალებს გაუწვავლებიათ მცირედ.

— ოჰ, ოსმალებს? დაბრძანდით, მამაო! — მიიწვია მეფემ სტუმრები და თვითონ პირველი ჩაემვა სავარძელში, — დაბრძანდით, მამაო ანჯელო. რა ახალი ამბავი მოგვიტანეთ დასავლეთიდან?

ბერები უკვე მოელოდნენ ამ შეკითხვას. დალაგებულად და მწყობრად შეუდგნენ თბრობას. სულ პირველად, რასაკვირველია, რომის პაპის—ინოჩენციო მეთერთმეტის ძლიერებას და სათნოებას შეასახეს ხოტბა. ეს მოგიტანეთ ყველაფერზე უფრო სასიხარულო ამბავიო და შემდეგ მეორე რიგის მოვლენებსაც გადასწვდნენ. იმის შესახებ კი, რომის პაპი და ფრანგთა მეფე თუ აპირებდნენ საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენას თურქ და სპარსელ მოძალადეთაგან გამოხსნის საქმეში, სიტყვაც არ წამოსცდნენიათ.

მეფემ ერთი-ორჯერ შეაწყვეტინა. უნდოდა სწორედ იმ კითხვებზე მიეღო პასუხი, რომლებიც მას განსაკუთრებით აინტერესებდა. ამოად: პატრები მინც წმინდა პეტრეს საყდრის სიდიადეზე განაგრძობდნენ ლაპარაკს...

რომის პაპისა და ლათინთა სარწმუნოების სოტებით თავმოებურებულმა გიორგიმ ესლა იკითხა ბოლოს:

— რა ამბები მოგვიტანა მამა ანჯელომ ყოველად უწმინდეს და ყოველ ქრისტიანეთა მთავრის ინოჩენციოსაგან?

თქვენთან წიგნი უახლებია წმინდა პეტრეს მოსაყდრეს. მისი თარგმანება მინდოდა, მაგრამ ვერ მოვასწარი. ამიტომაც ვეღარ მოგახსენეთ აქამდე. აქვე გადაგითარგმნით! — უპასუხა ჯულიომ, შავი ხელმანილით შებლი შეიმშრალა.

უბეში ჩაიყო ხელი, ოთხკუთხედად გაკეცილი ქალაღი ამოიღო, ზედ ემთხვია და მეფეს გაუწოდა. გიორგიმ, აღმოკვლულია ჩვევის მიხედვით, ჯერ თავს შემოივლო წიგნი. მერე ეამბორა, პაპის ბეჭედს დაჰხედა და გადასათარგმნელად წიგნი ისევ ჯულიოს დაუბრუნა.

— ქრისტეს მიერ ჩვენს დიდად საყვარელ შვილს, გიორგის, ივერიის ბრწყინვალე მეფეს. პაპი ინოჩენციო მეთერთმეტე, — დაიწყო ბერმა. — ქრისტეს მიერ საყვარელო შვილო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა. გამოუთქმელის აღტაცებით ვცანით თქვენის დიდებულების წერილითაგან და ჩვენი საყვარელი შვილის პატრ ანჯელო ფილანელისაგან, რომ ეგრე ზრუნავთ კათოლიკე სარწმუნოებისათვის და არ იშურებთ თქვენს ძალ-ღონეს ქრისტეს მიერ დახსნილ სულთა ცხონებისათვის. — აქ შეჩერდა ჯულიო, ისევ წაიკითხა და გადათარგმნა: — სათნოდ ვრაცხთ, რომ ამ წერილით ჩვენი დიდი მადლობა გამოგიცხადოთ, რათა ამით როგორმე ვუპასუხოთ მაგ თქვენს უდიდეს ღირსებას. ამასთანვე, როგორც იმედო გვაქვს, უმეპველია უფრო შეგვლიანდეთ და შეეწიოთ ხსენებულ მისიონერებს და კათოლიკებს. რათა ამ მიზანს ეწიოთ, საჭიროდ ვრაცხთ, შეირიგოთ კეთილშობილი კაცი ბარძიმი. ამით ჩვენ დიდად გვასიამოვნებთ. მასთანვე ეცადეთ, რომ დაურღვევლად დაიცვათ ეზ მეგობრობა.

მეფეს მწარედ გაელიმა. „მე რომ ვთხოვე შეწვენა, იმის შესახებ სდუმს, ჩემგან კი ითხოვს, — ვაივლო ვულში, — ბარძიმ ერისთავის შერიგებასაც რომ მირჩევს?“ ამ უკანასკნელმა წინადადება მბრაზი მოჰკვარა. თვალწინ წარმოუდგა თავგასული ბარძიმ ერისთავი, კაცი მეშურნე და ამპარტავანი, მუდამ რომ ერთი სწრაფვა ასულდგმულებდა: ყველა დაეჩრდილა, ყველაზე დიდი კაცი გამხდარიყო სამეფოში. როგორ თუ გებედა მეფემ და შემომწყრო! თავისი მსგავსი აღზევების მოსურნე თავადები

წამოუსისინა, აუჯანყა. თბილისსაც სწორედ ამ დროს მოადგა ირანის შაჰის ჯარებით ზურგგამაგრებული ნაზარალიზანი. ვიორგი იძულებული გახდა თავის საბატონოს გასცლოდა და სხვათა მამულში გადმოხვეწილიყო. ახლა მიდი და ყველაფერი აპატიე ქვეყნის გამყიდველს, აპატიე, რადგან მის უწმინდესობას ასე სურს!

პატრი ქულიო თარგმნას განაგრძობდა. ფიქრებში წასული მეფე უკვე აღარ უსმენდა მას. პატრი მაინც გულმოდგინედ ჩაპკირიკტებდა ყოველ სიტყვას. ცდილობდა ზუსტად გადმოეღო. როდესაც დაამთავრა, მაშინლა შენიშნა, რომ მეფის ფიქრი სულ სხვაგან იყო.

— შემდეგ, შემდეგ? — იკითხა მეფემ, როდესაც ფიქრებიდან გამოერკვა.

— ბარძიმ ერისთავი უნდა შეირიგოთ, თქვენო უმაღლესობავ, — ახლა უკვე ზეპირად წარმოთქვა ბერმა, — ამით თქვენს ქვეყანაში კათოლიკობის გავრცელებას შეუწყობთ ხელს, გაძლიერებთ წმინდა პეტრეს სამწყსოს და ქრისტეს სისხლით მოსყიდულ მრავალ სულს იხსნით წაწყმედისაგან.

— შეფუროდები, მამაო. სხვა კიდევ?

— ძმა ანჯელომ გადმომცა: ასეთსავე წერილს აგზავნის უწმინდესი პაპი ინოჩენციო ბარძიმ ერისთავთანაც. თქვენს შერიგებას უბრძანებს. ეს შერიგება კათოლიკობის გაძლიერებას დიდად შეუწყობდა ხელს. თქვენი ქვეყანა კათოლიკეებით უნდა მოიფინოს. ჩვენ გვინდა ერთი აქაური ყმაწვილი წარგზავნოთ პრობავანდის სკოლაში. მე სარეკომენდაციო წერილებს გავატან. მიიღებენ, გამოზრდიან, კაცად აქცევენ. იღვაწებს თქვენი ქვეყნის სასიკეთოდ. რამდენი კვდება ისე, რომ განდობასაც ვერღებულობს. თქვენმა მღვდლებმა ზიარბაც არ იციან წესიერად, ვერც საიდუმლოს ასრულებენ... ტყუილად იღუპება მრავალი სული.

მეფემ მძიმედ ამოიოხრა:

— მართალს ბრძანებთ, მაგრამ ვანა ეს არის ჩვენი ხალხის თავიდათავი უბედურება?

სიჩუმე ჩამოვარდა. პატრებმა შენიშნეს, რომ მეფე გაელიზიანებინა პაპის წერილს. წამოდგნენ, ბუდეში მოუხადეს, ძალიან დიდხანს დაერჩითო. მეფემ ვახშმად დაპატიჟა. კიდევ მოიბოდიშეს და გამოეშვიდობნენ.

* * *

ქაიხოსრო ბატონიშვილის წინამძღოლობით ქართლს გაგზავნილმა რაზმებმა კარგი ამბავი ვერ მოუტანეს მეფეს. დამით წასული ჯარი გათენებისას ციხისკვარში გადავიდა. იმ დღეს იქ, დაეით გოგორიშვილთან შეისვენეს, მეორე დღეს კი გუჯარეთში ციცი ციციშვილს ესტუმრნენ. იქვე, მეზობლად, ბეჟან სააკაძის რომელიღაც ყმა ყოფილიყო ნათესავთან სტუმრად ამოსული. ყურმოკერით გაეგო, სად და რისთვის მიდიოდა მეფის სპა. იმავე დღეს გაბრუნებულიყო და ყოველივე ბეჟანისათვის მოეხსენებინა. ბეჟანმაც არ დააყოვნა და წედისში მყოფ ალექსანდრე იმერეთის მეფეს შეატყობინა: მეფე ვიორგის შენს დასატყვევებლად ჯარი გამოუგზავნია და ფრთხილად იყავიო. ალექსანდრე დაუყოვნებლივ გაეცალა წედისს, იმავე დღეს გორში ჩავიდა და მის ფრიალ მაგარ და შეუვალ ციხეს შეაფარა თავი.

ქაიხოსრომ და მისმა მოლაშქრეებმა დიდხანს უტრიალეს გორის ციხეს, მაგრამ ალექსანდრე ციხის გარეთ ვერსად მოიხელეს. იმერთა მეფის დატყვევების ცდა გაუცუდდა ქაიხოსროს. სახელოვანი ქაბუჯი სარდალი ხელცარიელი დაბრუნდა ბიძასთან.

ვიორგი მეფემ კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი შეიტყო: მისი სპის ქართლში ყოფნისას იმერეთის თავაღთავან რამდენიმე მისვლოდა ალექსანდრეს: მეფე არჩილს განუვლდებოთ, მეფედ ისევ შენ დაგსვამთ, ოღონდ იმერეთში დაბრუნდიო.

ამ უკანასკნელმა ამბავმა მეფე ძლიერ შეაფიქრია. იმერეთის ზოგიერთი თავადის მოლაღატეობა გულმა თუ უგრძნო. იმიტომაც ისე ჩქარობდა ალექსანდრეს დატყვევებას. ეს რომ მოხერხე-

ბუღიყო, დამშვიდდებოდა იმერეთი, არჩილი ტახტს განიმტკიცებდა.

ამ ამბებში ერთიც სასიხარულო გამოერია. მესხი დიდებულნი: შალიკაშვილები, ფალავანიშვილები, გოგორიშვილები და ავალაშვილები დოლენჯი ხმალაძეს პირით ერთგულებას უცხადებდნენ გიორგის, საჭურჭლითა და სპით ყოველმხრივ დახმარებას პირდებოდნენ, სამაგიეროდ, შემდეგისათვის მესხეთის ქართლ-კახეთთან შეერთებას სთხოვდნენ. მესხ დიდებულთა გეგმაც ისევე ვრცელი იყო, როგორც თვით გიორგისა. მათ სურდათ უცხოელთა განდევნა და სრულიად საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანება. ასეთი სამეფოს ღირსეულ მეფედ მათ გიორგი ესახებოდათ.

გიორგიმ სამცხის საქმეებზე ჯერჯერობით დუმილი ურჩია მესხებს, რათა ოსმალებს არაფერი შეეტყვოთ. ყველას უნდა სცოდნოდა, რომ სამცხეზე ზრუნვა მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუ ბედნიერად მოგვარდებოდა ქართლისა და კახეთის საქმეები. ეს არც ისე შორეულ ამბად მოჩანდა. სპარსეთიცა და ოსმალეთიც დასუსტებულნი იყვნენ. თუ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება მოხერხდებოდა, შემდეგ სულ ადვილი იქნებოდა სამცხიდან ოსმალთა განდევნაც. თვითონ დოლენჯი და იუსუფიც ამავე აზრისანი იყვნენ. ჩვენც ასევე ვფიქრობთ, შემოეთვალათ დოლენჯისავე პირით მესხ დიდებულებს.

ფიქრებში მყოფი მეფე სავარძელს მიყრდნობოდა. გვირგვინი მოეხადა. ჭალარაშერეული თმა მცირედ ასწეწვოდა. უბრაწყინავდა ოფლისაგან შეჭირხლული შუბლი.

მოპირდაპირე. სავარძელში მდგდელ-მთავარი ნიკოლოზი იჯდა. მკერდზე დაფენილი თეთრი წვერი და ალისფერი ბისონის სამოსი ღვთაებრივ იერს სდებდა მას.

გაყუჩებულიყვნენ მეფის მძისწულები ქაიხოსრო და ვახტანგი. დავალების შეუსრულებლობით გულნატყენნი ბიძის

მსჯავრს თუ ელოდნენ. იუსუფი და დოლენჯიც თავდახრილნი ისხდნენ ოდნავ მოშორებით.

მეფემ შუბლი შეიმშრალა და სავარძელში შესწორდა. ყველამ თავი ასწია. მეფეს შეჰხედეს.

— თუ საჭირო შეიქნა, არჩილს უნდა დავემორჩილოთ! — დაარღვია სიჩუმე მეფემ.

ქაიხოსრო ფეხზე წამოდგა.

— მიბრძანეთ, ბატონო ბიძავ, თუნდაც სამი ათას კაცს შევებმი ჩემი რაზმით. ყველა რჩეული ვაყვაცია. ერთზე ათიც რომ მოდიოდეს, პირისპირ ბრძოლაში მაინც არ შევეუშინდებოთ!

გიორგიმ თვალი შეავლო ომახიან ვაყვაცს. კარგად იცოდა მძისწულის სიმამაცის ამბავი. ეს სიტყვებიც ისე მტკიცედ იყო წარმოთქმული, რომ მის სიმართლეში ეჭვი არავის შეეპარებოდა.

მეფეს გაელიმა, იგრძნო, რომ წედისის მარცხის გამო დარცხვენილი იყო ჭაბუკი. აღარ იცოდა, რით გამოეწეწორობინა შეცდომა.

— შენი ერთგულება და ვაყვაცობა სულაც არ შეეპყვება, შვილო, — სცადა გიორგიმ გულდაკოდილი მძისწულის დამშვიდება. — რაც უნდა მამაცი იყო, თუ შინა გამცემი ვაგინდა, ადვილად წაგებდნენ საქმეს. თუ მოპირდაპირემ ნაფიქრი შეგიტყო, უკეთეს ხერხს გამოიხატავს და გავეცუდებს ყოველივე ნაქმნარს. მტერი მტერია, სულელი და უგუნური ბრლი არის, მასაც შესწევს უნარი სიმამაცე და მოხერხებულობა გამოიხილოს...

— სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ღვთის კურთხეულო! — დემოწმა მეფეს დოლენჯი.

— ნუ სწუხხართ, შვილო ჩემო, წუხილი ვერას გარგებთ. ეძიეთ, იქნებ სხვა გზით შეიძლებოდეს მაგ შეცდომის გამოსწორება! — დაუმატა კათალიკოსმა.

ვახტანგი მძიმედ წამოდგა ფეხზე და მორიდებულად მიმართა იქ მყოფთ:

— მამაბრეთ... კარგად მოგხსენებთ, ზოგიერთი შეცდომის გამოსწორება ისევე შეუძლებელია, როგორც გასრო-

ლილი ისრის უკან დაბრუნება. უწმინდესობა მართალსა ბრძანებს. წამხდარი საქმე წუხილით არ გარკვევია. ჩვენ დავაშავეთ. ამაში დიდად მიმიძღვის ბრალი, მაგრამ რაღა გავწყობა, სხვა რამ უნდა ვიღონოთ...

— ის უნდა ვიღონოთ, ჩემო ძმისწულლო, რომ იმერეთის სიბხლოვეს უნდა გადავიდეთ საღმრთო, — სიტყვა ჩამოართვა ძმისწულს მეფემ, — მალე მსრბოლთა საშუალებით დროზე უნდა შევიტყოთ არჩილის ამბები და საქიროების დროს უნდა დავებმართო ჩვენი მცირე ლაშქრით. ხანდახან მცირედი დიდი საქმის მოქმედია, საუკუნო საქმეს გადაწყვეტს ხალხი. თქვენ რაღას გვიბრძანებთ, მამათ ნიკოლოზ, ამაზე?

კათალიკოსმა წვერზე დასვა ხელი, ოდნავ უკან გადაიწია და ისე უპასუხა:

— თქვენ უკეთ უწყით, ბატონო მეფე. ეს კია: დედა-წულს მრავალგზის მგზავრობა უხდება. ახალი მგზავრობა ძლიერ ვატანჯავთ, მაგრამ თუ ასე მიგახნიათ საქიროდ, მეტი რა ღონეა.

— სწორს ბრძანებს კათალიკოსი, — მოკრძალებულად შენიშნა იუსუფმა, — ისე, აქედანაც შეგიძლიათ იმერეთის სიმორე არ შეიძინოთ.

მეფემ ვაუღიმა მასპინძელს:

— შენი სტუმართმოყვარეობა დიდად სანაჭებია, შვილო, მაგრამ მუდამ სტუმრობა ხომ არ გვარგებს, მასპინძლობაც უნდა შეგიძლიათ!

იუსუფი კიდევ უფრო გაწითლდა.

— როგორ გეკადრებათ სტუმრობა, დიდებულო მეფე... მე თქვენი ერთგული ყმა ვარ, მეტი არაფერი!

— კარგია აგრე რომ იცოს, ჩემო უსუბო, მაგრამ სხვათა საბრძანებელში ვართ შენც და მეც... — მეფემ დაწყებულ სიტყვა განაგრძო, — ამიტომ გინმეთ თქვენც და მასპინძლებიც ამიტომ შევაწუხებ. ვფიქრობ, აწყურში გადასვლა გვიჯობს, ამაზე მინდოდა მოგათბობიერებოდი.

— უთუოდ უკეთესი იქნება, ბატონო ზიძე! — დაუდასტურა ქაიხოსრომ.

— მეც ვგრე ვფიქრობ, — მოეწონა

მეფის არჩევანი კათალიკოსსაც, — მხოლოდ ეს არის, დედა-წულს შეგვწუხებდებო! — გაიქორა ისევ წინადაცხადებით.

— მე ვფიქრობ, დედა-წულიც და თქვენც აქ დავტოვოთ, ისედაც ძლიერ გაგსარკეთ... უსუბს მაინც გული სწყდება და... — ვაიღიმა მეფემ.

— მე? არა, დიდებულო მეფე, ჩემს შეწყუხებაზე არ მომიხსენებია! — გადაჭრით იუარა დარჩენა მღვდელმთავარმა, — მამა-უფალმა გვაშოროს, მაგრამ საკირეშიც რომ შემაყენოთ, მაშინაც არ გეტყოდით უარს! სადაც თქვენ იქნებით, ვალდებული ვარ იქ ვიყო მეც!

მეფეს კვლავ სიამოვნების ღიმილმა გაუნათა სახე, შემდეგ კი ნაოქები დაასხდა ვაოფლიანებულ შუბლზე.

— არ მეგონა, თუ საწყენად მიიღებდით, ბატონო ნიკოლოზ, ვგონებ მაინც აჯობებდა დედა-წულთან დარჩენილიყვით პატრონად და იმედად!

— მე არა მწყენია. მხოლოდ ის მოგახსენეთ, რაც გულში მეღო. ისე, როგორც გვნებოთ. სადაც უფრო საქირთ ვარ, იქ გამგზავნეთ. მე თუ მკითხავთ, თქვენთან წამოსვლა მირჩევნია.

— ჩვენ გვირჩევნია აქ დარჩეთ, მამათ, თუ თქვენ, რასაკვირველია, წინააღმდეგი არ იქნებით, — ბრძანა მეფემ და კრებულს მიუბრუნდა: — კიდევ აქვს ვისმე სათქმელი?

— თუ შეიძლება... — დარბაზის შორეულ კუთხეში დოლენჯი ხმალიაქ წამოღდა.

— ბრძანე, დოლენჯი!

— მამატიეთ, ბატონო მეფე... ზიკილიაში უნდა გთხოვოთ წამობრძანება. აწყურიდან შორი არ არის, იმერეთშიც უფრო ადვილად გადავა იქიდან კაცო.

მეფე დაფიქრდა, შემდეგ ღიმილით გადააქნია თავი და მოპატიყეს ახედა.

— ზიკილიაში? შეგაწუხებო?

— შეწყუხებას ნუ ბრძანებთ. დიდებულო მეფე, თუ ინებებთ, მტლედ დაგედებთ.

მცირე ხანს ისევ ფიქრობდა მეფე. შემდეგ თვალი მოავლო მომღიშარ სახეებს და ბჭობა ღიმილითვე დაამთავრა:

— რა გაეწყობა. გულით მოძღვნილი პატივისცემა ბრძანებაა, ბატონო დოლენჯი!

• • •

მეფემ „დიდებულ და ბედნიერ ვეზირს, ახალციხის... და ყოველთა კიდეთა მკყობელს“ მეორე დღესვე ახლა ძღვენით დატვირთული ამირჯიბი. — შენს საბრძანებელში სხვაგან მინდა გადავინაცვლო, შეუთვალა. საჩუქრებს დახარბებულმა ფაშამ მეფისაგან წარგზავნილი ძღვენი სიხარულით მიიღო. მოციქულს პატივი სცა და მეფე გიორგისათვის გადასაცემი დააბარა: „თქვენი წვევა დიდი ხანია მინდოდა, თქვენი ბედნიერი ფეხის ჩემს ოჯახში შემოდგმას კარგა ხანია ველოდი, მაგრამ აქამდე არ მომხატვრდა, ახლა კი ისე ნუ იწებებთ ზიკილიაში წაბრძანებას, თუ თქვენს მზღებლებთან ერთად არ მეწვიოთ“.

გზად მინიც ისე უნდა გაველო მეფეს. გადაწყვიტა, ნაწყენი არ დაეტოვებინა სულთანის ყმა.

სამ დღეს ემზადებოდა საბა გასამგზავრებლად. მეოთხე დღეს გაშალეს დროშა. ოთხასზე მეტი მხედარი დაიძრა ოშორიდან. მლაშებევი და იღუმალა გადასერეს, აბალშენთან შეჩერდნენ მცირე ხანს და ისევ გზა განაგრძეს. სოფლებთან ვავლისას ბავშვები გუნდ-გუნდად აედევნებოდნენ ზოლზე, თითქოს ეჯიბრებოდნენ მხედართ, ცდილობდნენ წინ ვადაესწროთ, ჩერდებოდნენ, აკვირდებოდნენ ცხენებს, მხედართა შეჭურვილობას, ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებსა და ასე ერთიმეულით საკმაოდ დიდ მანძილზე აცილებდნენ ქართველთა მეფის ქარავანს. ბაღლებს არც დიდები ჩამორჩებოდნენ. გზად მიმავალთ კარანებიდან უშვებდნენ ცნობისმოყვარე ქალები, ხელის მიჩრდილვით ათვალეერებდნენ მხედრობას, ცდილობდნენ მათში მეფე ამოეცნოთ. სულ წინა რიგებში ქაიხოსრო მდიოდა. ხშირად „მნათობი“, № 4.

რად იმაზე უჩვენებდნენ ერთმანეთს: უთუოდ ეს არის მეფე.

რუსთავის ვაკე გაიარეს, მუსხის ხეობაში შევიდნენ. ცხელოდა. მტვერდადებულ ვეშაპებივით გაწოლილიყვინ რუხი კლდეებით შეფენილი სერები. ალაგ-ალაგ ბუჩქნარი ტყე მოჩანდა. მზისგან დამწვარ კლდოვან ფერდობებზე აქა-იქ მხოლოდ ეკალს ამოეყარა. ქვემოთ, ხეობის ფსკერზე, თავქვე დაშვებული, ქაფმორეული მტკვარი მიავარებდა ტალღებს. სიცხისაგან შეგუბებული პაერი აწმობდა მის ხმაურს. მხედართა მწკრივი კლაკნით მიჰყვებოდა მტკვრის მარჯვენა მხარეზე მიმავალ ვიწრო გზას.

შუადღე იყო როდესაც სოფელ ქაჭარაქს მიუახლოვდნენ. მოპირდაპირე მხრიდან ცხენოსანთა რაზმი ამოდიოდა აღმართში. მეწინავენი რომ მალღობზე ამოეფინენ, უკანანი ისევ დაბლობში იყვნენ მოფარებულნი. რაზმს წინ მერანზე ამხედრებული სალიმ-ფაშა მოუძღოდა.

მეფე გიორგის ამაღის მიახლოები-სთანავე ჩამოქვეითდნენ ფაშა და მისი მომყოლნი. საღმრთო, კოლასა და ჯავახეთის ფაშებთან ერთად, ქვეითად გამოემართა ქართველთა მეფის შესახვედრად. ცხენდაცხენ დაწინაურდა გიორგი. აქეთ და იქით დაქვეითებული ქაიხოსრო და იუსუფი მიჰყვებოდნენ. უკან ასევე ქვეითად მისდევდნენ ვახტანგი, დოლენჯი და რამდენიმე სხვა წარჩინებულნი.

ათიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდნენ ერთმანეთს, მეფეც ჩამოხტა ცხენიდან. კიდევ ორიოდ ნაბიჯიც და ახალციხის ფაშამ მუხლი მოიყარა მეფის წინაშე. მიწამდე დაიხარა მთელი მისი რაზმი. ცალ მუხლზე დაიხოქეს მეფის მზღებლებმაც. მარტო მეფე იღვა ფეხზე.

— ქართველთა დიდებულ მეფე გიორგის მორჩილ საღამს კვადრებ მისი ერთგული ყმა, სამცხის ათაბაგი და დიდი სულთანის ბედნიერი ვეზირი სალიმი! — ზარ-ზეიმით წარმოთქვა ახალციხის ფაშამ.

— გაუმარჯოს მეფე გიორგის! — იგრილა სამცხელთა რაზმეულმა.

— იაშახან გიორგი ხანა! — ახლა თურქულად გაისმა იგივე. ჯერაც არ შეწყვეტილიყო იანიჩართა ხმა, რომ მეფისანებმა დასძახეს: „გაუმარჯოს მეფე გიორგის და ათაბაგ სალიმს!“

მთებს გრგვინვად გადაეველო ეს ხმა. ხეებმა გაიმეორა ძახილი.

სწორედ ამ დროს სამცხელთა თოფებმა იგრიალეს. თოფები დასცალეს მეფისანებმაც. სროლის გამოძახილმა შორს, მთებს გადაუარა.

თოფების ქუხილი საკრავთა საამო ხმამ შესცვალა, დამატკობელი ზუზუნნი მოეფინა არე-მარეს.

მეფე გიორგი და სალიმ-ფაშა ერთმანეთს გადაეხვივნენ. ახლა ფაშის მხლებელთ მიესალმა გიორგი. ასევე მოიქცა სალიმიც. ყმებმა ცხენები მიართვეს. ისევ ამხედრდნენ მეფე, სალიმი და მათი ამალა.

გზა ახალციხის ბაღების გასწვრივ გადიოდა. ვასცდნენ ბაღებს. მარჯვნივ მოუხვიეს. უამრავი ქალი და კაცი მოსწყვეტოდა გზის ნაპირებს მეფისა და მისი რაზმის სანახავად. გარს მოჯარულთ გასაველელები კი აღარ დაეტოვებინათ. შეიარაღებული მცველები ტრიალეზდნენ, ძალით ახვეინებდნენ ხალხს უკან.

— მშვიდობა მისცეს ათაბაგ სალიმის ყმებს! — დროდადრო ესალმებოდა მეფე მათ.

— გამარჯვება ნუ მოაკლავს დიდებულ მეფეს! — ისმოდა პასუხად.

ფოცხოვისწყალზე ზიდი გაიარეს და ციხის სიბზლოვეს ისევ დაქვეითდნენ. აქ ხალხის ტევა აღარ იყო. მცველები კიდევ უფრო მარჯვედ დატრიალდნენ. გზა ძლივს დააცლევინეს. ციხის კიბურ-საფეხურებიანი ასავალი სამცხური ხალიჩებით მოეგებინებინა სალიმ-ფაშას. ამ ასავალით აიარეს მეფემ, ფაშამ და მათმა დიდებულებმა. ალაყაფის კარში ფაშის მეუღლე შემოეგება დიდებულ სტუმარს ჩადროსანთა მარაქით. ამ დროს სამცხეში ჯერაც არ იყო მოშლი-

ლი ქართველობა, მამა-პაპური წესი და ზნე. თურქული ადათი ნელა და უხალისოდ მკვიდრდებოდა, ქალების მიერ ჩადრების ტარება მუსულმანთობის წინაშე უბრალო მოვალეობის მოხდას წარმოადგენდა და არა უთუო ზნეობრივ კანონს. იმიტომაც იყო, რომ ქალებს ჩადრებით სანახევროდ ჰქონდათ სახე შებურვილი. მათ მოძრაობასა თუ ვამოხედვაში თავისუფლება და სიკისკაცე იგრძნობოდა.

მეფის წინ მიწას ეამბორნენ დედანი.

— უძლიერესო და უბრწყინვალესო მეფევ, ყოველთა ქართველთა, თქვენი მობრძანებით უსაზღვრო ბედნიერებას განიცდის ჩემი სახლობა და მთელი ჩემი სამფლობელო! — კვლავ ზარ-ზეიმით წარმოთქვა სალიმმა, — უბრძანეთ, ზარბაზნები დასცალონ, მთელს ქვეყანას ამცნონ თქვენი მობრძანებით ჩემი ღარიბი ოჯახის გაბედნიერება.

გიორგისათვის საგულისხმო იყო სალიმისაგან მისი ყოველთა ქართველთა მეფედ მოხსენიება. აგრეთვე ისიც, რომ სულთანის სამსახურში მყოფი ფაშა-ათაბაგი, ბაგრატიონთა ყოფილი ყმა, ზარბაზნებით შადლუხის წიციემის ნებართვას სთხოვდა. გიორგის გამჭრიახ თვალს არც ის გამოაპრვია, რომ ფაშას, მისადმი განსაკუთრებული პატივისცემითა და სასწრაფოდ მოწყობილი დიდებული შეხვედრით, თავისი სიძლიერის გამოჩენაც უნდოდა. სალიმს თავი თავაზიანად და დამოუკიდებლად ეჭირა. თითქოს იმის თქმა სურდა, რომ საკუთარი თავის ბატონ-პატრონი თვითონ იყო და არავის ემორჩილებოდა. ალბათ, უფრო ის უნდოდა ეგრძნობინებინა გიორგისათვის, რომ მის მიერ სულთანის ქვეშევრდომობის აღიარება ისეთსავე თავაზიანობას წარმოადგენდა, როგორ თავაზიანობასაც თავისი საბრძანებლოდან გადმოხვეწილი მეფის წინაშე იჩენდა. დამოუკიდებლობაზე ფიქრი ხომ ჯაყელთა ძველთაძველი სწრაფვა იყო. ეტყობოდა, ამ ტყბილ ცდუნებას სალიმის გულშიც ძალუმად გაედგა ფესვი.

— გამარჯვებული და ბედნიერი ვამ-

ყოფით, დიდებულთა ათაბაგო, ბედნიერება და ზეიმი ნუ მოაკლოს თქვენს ოჯახსა და ქვეყანას! — გამოეხატა მასპინძლის სიტყვებს მეფე.

ნიშანი მისცეს. აქუხდა ზარბაზნები. თითქოს ცა გაიფხრია ციხის თავზე. ქალაქს მრისხანე ჰქეპა-ქუხილმა გადაუარა.

გიორგიმ ზღურბლს გადააბიჯა. კარის მცველები მიწამდე დაიხარნენ. არ განძრეულან, ვიდრე მთელი ამაღა არ შეიკრიფა ციხის სანგარს შიგნით.

იუსუფს ჯერ არ ენახა ასეთი ზეიმი. იმ დღეს ოშორაში მოწყობილ ნადიმზე თუმცა მეტი სიამოვნება და ხალისი იგრძნობოდა, მაგრამ ის ნადიმი არც ასე ხალხმრავალი იყო და არც ასე დიდებული. შვეშეთიდან დაბრუნებულთათვის მოწყობილი ზეიმი ხომ ამასთან ანგარიშში მოსატანიც არ იყო. ასე ეგონა, ფრთები გამოემსება და ცალ მივფრინავო. სულში ჩაჭრილი გრძნეული ძალა მოსვენებას უკარგავდა. მთელი არსებით მოწყურდა თვით ქვეყნის კიდემდე გაქროლებულიყო, გადაესერა ზღვა და ხმელეთი, ან ვინმეს შეჰბოძა, ხმლით შეჭრილიყო ბრძოლის ქარცეცხლში...

ოცნებასაყოლიო იუსუფი მაშინლა გამოერკვა, როდესაც ირგვლივ უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა. მის მარჯვნივ, მოშორებით მჯდომი სალიმფაშა წამოდგარყო. სხეები მდუმარედ მისჩერებოდნენ მას. სუფრაზე ნაირ-ნაირი საჭმელების სურნელება ტრიალებდა. ოქროს სასმისი ასწია სალიმფა და სიტყვა დაიწყო. კვლავ თავისი ოჯახის უდიდეს ბედნიერებად მიიჩნია მეფე გიორგის წვევა. ბოდიში მოიხადა, რომ მის ღარიბ ოჯახს ძალა არ შესწევდა შესაფერისად გამასპინძლებოდა მეფესა და მის ერთგულ დიდებულებს. ღვინის გადახდა ქართული წესით ისურვა და ტოლუმბაშობა დოლენჯი ხმალიძეს მიულოცა.

საყვირს ჩაჰბერეს. მის დრვინვას სტვირის ზუზუნნი და დიპლომატიკის ბანი შეერწყა. სუფრობა დაიწყო.

ახლა მეფემ მიულოცა დოლენჯის

სუფრის უფროსობა. დარბაზს ისევ საყრავთა ხმა მოეფინა. იდროვა ქაინოსრომ და მეზობლად მჯდომ იუსუფს ჩასჩურჩულა:

— ბიძაშენს სალიმი არ მოსწონს, მან კი თავის სახლში თამადად დააყენა...

იუსუფს უმაღვე გაახსენდა, წელან, კიბეზე ამოსვლისას, დოლენჯიმ რომ ჩუმად გადაულაპარაკა მის გვერდზე მომავალ ვახტანგს:

„სულთანით დაწყებული მის უმცირეს მსახურამდე ორპირნი არიან ოსმალები. თუ რამეს გამოელან, გეფერებიან, თუ საკბილო რაიმე გინახეს, მეორე წუთშივე აღარ დაგინდობენ...“

— ალბათ, ჩვენთანად ჩასთვალა და იპიტომ, — ჩუმადვე უბახუბა ბატონიშვილს იუსუფმა: „ჩვენთანში“, რასაკვირველია, მეფის ხალხს გულისხმობდა. მართლაც, დოლენჯი იმ მხარეზე დასვეს, საითაც მეფე და მისი ამაღა იყო. ყველაზე ახლოსაც ის იქდა გიორგისთან.

დოლენჯი წამოდგა და მდბალი მადლობა გადაუხადა მეფესა და მასპინძელს ესოდენ დიდი ნდობისათვის. ახლა ძალებიანი საკრავები ააფლერეს მესაკრავებმა. შეჩერდნენ თუ არა, დოლენჯიმ დაიწყო:

— შაჰბატივ, დიდებულო მეფევე! დიდებულნი! ბრწყინვალე მასპინძელმა მძიმე საქმე დამაკისრა. ამ მოვალეობის მოხდა ჩემზე უფრო რჩეულთ შვენოდათ, მაგრამ ესლა...

— არა, ბატონო დოლენჯი, თქვენზე უფრო შესაფერისს ვერავის ვიპოვი თქვენი — კვლავ დადასტურა მასპინძელმა თავისი არჩევანი, — გახოვთ შეუდგეთ მოვალეობის შესრულებას.

გიორგი ოდნავ წინ იყო ვადმობრილო თავისი მოსული ტანადობითა და სახის ნატიფი ნაკვთებით გამოირჩეოდა სხვებისაგან. იუსუფს მამაკაცის სილამაზის განსახიერებად წარმოუდგა მეფე. სალიმფაშას გადახსენდა. არც მას აკლდა ახოვნება, მაგრამ მეფის ქალარაშერული, ლამაზი, მრგვალი სახე და ოქროს კილით შემკული თავი ჩრდილავდა ფა-

შის თათრული წესით მორთულ, ჩაღმინ თავს. ასევე ეჩვენა ჯავახეთისა და კოლის ფაშებიც, ახლა გაახსენდა, რომ ამდენ ხანს თვითონაც თურქულ ჩაღმას ატარებდა. ამ უცხო სამკაულისადმი სიძულვილი იგრძნო. ხელი შეავლო, მადლა წამოსწია.

შხარი წაკრა ქაიხოსრომ. იუსუფი და ვახტანგი ერთად წამოდგნენ. თამადად მიულოცეს დოღენჯის და ერთადვე შესვეს შესხური ღვინო, რომელიც ჯერ კიდევ იშოვებოდა საათაბაგოში. დარჯაცნი ჯერაც ვერ შეღუთდნენ თავიანთ ბაღნარებში ვახის ძირებს და მათ სუფრაზე აქაიქ კიდევ ბოგინობდა ქართველთათვის ეს სასუკვარი სასმელი.

სასმელის შემდეგ საკმელს გადასწვდნენ ახალგაზრდები. შიმშილი აქამდე არ უგრძენია იუსუფს. პირველი ლუქმა რომ შეჭამა, მაშინ გაეხსნა მადა. მაინც მორიდებით შეექცა.

მეფისა და ქვეყნის, სრულიად საქართველოს სადღეგრძელომ ჩამოიარა. მესხებმა მრავალკამიერი დასძახეს. ქართლებმა ბანი დააწიეს. აგრავინდა დარბაზის თაღები. შემდეგ საღომ ფაშა და მისი ოჯახი ადღეგრძელა თამადად. ამასობაში შებინდა. შანდლები შემოიტანეს. ვაჩირადნდა დარბაზი. დოღენჯიმ ჯავახეთისა და კოლის ფაშების სადღეგრძელო ჩამოატარა. მეორე თავი საკმელები შემოვიდა სუფრაზე. მხიარულ გუნებაზე იყო საღომი. ნუ მოიწყენთო სთხოვდა ყველას. მეფის ძმოსწულები ახალგაზრდები იყვნენ და ფაშების შემდეგ ადღეგრძელეს. ტოლუმბაშს არც იუსუფი დაუწყებია. საღომმა და ძალანმა ერთხანად შეაქვს მეფის მასპინძელი. დიდი პატივისცემისა და გარჯისათვის მადლობა გადაუხადა მას გიორგიმ, უქო ვაჟაკობა და სტუმართმოყვარეობა.

ფაშებმა რომ სადღეგრძელოში იუსუფი შეაქვს, მას მაშინვე დოღენჯის ნათქვამი გაახსენდა ოსმალთა ორპირობის შესახებ. არც ის დაეწყებია, რომ მისმა ბიძამ ვირის წიხლს სიკე-

თეს შეადარა სულთნისა და მის მარჩილთა მოწყალებს. უნებლიედ გაეღომა.

მალალი ვახშობა გადასტურ უყო, ნადიმი რომ დამთავრდა. სტუმრები მოსასვენებლად წაიყვან-წამოიყვანეს. ქაიხოსრომ მკლავში გამოსდო ხელი იუსუფს. გარეთ გამოვიდნენ. თავზე ვარსკვლავებით მოქედილი ცა დაპყვრებდათ.

— ჰა, როგორ მოგეწონა? — შეეკითხა თავის ახალ მეგობარს ქაიხოსრო.

— რა უქირდა, არ იყო ურიგო!

— არა, კარგი მოწყალება მოილო ათაბაგმა. მე არ ველოდი ამდენს!

— მაგათი მოწყალება ბიძაჩემმა დოღენჯიმ ვირას წიხლის სიკეთეს მაიღარა...

— ეგ კარგად უთქვამს! ნუკი მიწყენ, ჩემო იუსუფ, და, — გაიცინა ქაიხოსრომ, — ეს ზონტქრისანი ნამდვილი ვირეშმაკები არიან!

— ეშმაკობა რომ არ აკლიათ, ცხადია, — სიცილითვე დაუდასტურა ალაიბეგმა, — მაგრამ ის რა ეშმაკობაა, თუ მაშინვე ყველამ გაიგო, ჯონს საით ღუნავ, რისთვის რას აკეთებ!

• • •

იუსუფი და ვახტანგი ხუთიოდე მსებლითურთ მეორე დღეს დაბრუნდნენ ოშორაში. იუსუფი უკვე ისე შესჩვეოდა ხალხის სიმრავლეს, რომ ოშორა და ცარიელბული ეჩვენა. მეფის ოჯახი და ყმები ორმოცდაათი სული თუ იქნებოდა. ამას დაუმატეთ ოცდაათიოდე კომლი ადგილობრივი მცხოვრებაც. ცხადია, ახლანდელი დაყრუბული სოფელი აღარ ემგვანებოდა წინა დღეების ოშორას. იუსუფს ყველაზე მეტად ჰაინც მეფე და ქაიხოსრო აკლდა თვალში.

მარტობაში უფრო მეტად შეეთვისნენ ერთმანეთს იუსუფი და ვახტანგი. ერთხანს ბაღებში და ახლო-მახლო სოფლებში დაიარებოდნენ. ხვარამზეც ხშირად აპყვებოდა ხოლმე ქაბუცებს,

ზოგჯერ ცხენოსნობაშიც კი ეჭიბრებოდა ძმასა და მასპინძელს.

იუსუფმა გადაწყვიტა ნიჯგორში ასულიყო. დედაც უთვლიდა, მოახერხებო როგორმე, ამ დღეებში ამოდით. იუსუფს უნდოდა ვახტანგიც თან წაეყვანა, მაგრამ ერიდებოდა სურვილის გამბედავას: ვაითუ საკადრისად ვერ დახვედროდა ბატონიშვილს. მაინც შეჰბედა:

— ნიჯგორში მინდოდა წამეყვანეთ, ბატონიშვილო. პატივს რომ დამდებდეთ და წამობრძანდებოდეთ...

— დიდი მადლობა, ჩემო იუსუფ, მაგრამ რუსთავში გადასვლას რომ ვაპირებ? — მიუგო ვახტანგმა.

— ჯერ რუსთავში წავსულიყავით და შემდეგ... — დაჰყვა ბატონიშვილის ნებას იუსუფი.

შეთანხმდნენ, ჯერ რუსთავი მოენასულებინათ, შემდეგ სწევოდნენ ნიჯგორს.

მეორე დღით ადრიანად შეემზადნენ წასასვლელად და წასვლის წინ დედოფალს ეახლნენ. ხვარამზეც იქ იყო. მეც გამიშვიტო, შეეხვეწა ბიცოლას. დასთანხმდა დედოფალი, თან ჰაბუკე გააფრთხილა: თვალი ფხიზლად გეჭიროთ, არაფერი მოიწიოსო.

ჰაბუკეებს მარტო ერჩიათ მგზავრობა, მაგრამ, მეტი რაღა გზა იყო, ხათრი ველარ გაუტეხეს ხვარამზეს. რაკი მესამე მგზავრი მოემატათ, ხუთი-ექვსი მხედარიც იახლეს თან და ისე გაუღმენ გზას ვახტანგმა და იუსუფმა შუაში ჩაიყენეს ხვარამზე. მის გამო ერიდებოდნენ ცხენების აჩქარებას. ხვარამზე, რომელიც ცხენზე მოხდენილად იჯდა, ძლიერ გამახიარულა მგზავრობამ. ცელქი ბავშვივით ცმუკავდა, იცინოდა, ეხუმრებოდა ძმასა და მასპინძელს. ცოტა ხნის შემდეგ ცხენსაც აჩქარებინა ნაბიჯი, „ჩემს გამო ტყუილად შიშობთო, ცხენოსნობაში თუ ვერ გაჯობებთ, არ ჩამოგორჩებით მაინცო“. ეს სიტყვები სარწმუნოს ჰკავდა. ხვარამზე გაბედულად და ლამაზად მიაგელვებდა ბედაურს.

დანარჩენები მოშორებით მიჰყავებოდნენ სამეფლს. დროდადრო თუ დაუბლოვდებოდნენ. მაშინაც ხვარამზეს სიანცეს აყოლილი იუსუფი და ვახტანგი ისევ მალე მოიტოვებდნენ ამაღას უკან.

მეორე მადლობი გადაიარეს. წინ კარგა ჩაღრმავებული ლეღე დახვდათ. თან მხლებნი ცხენებიდან ჩამოხტნენ და ლელისპირს ქვეითად ჩაჰყვნენ ვახტანგი და იუსუფი მოერიდნენ ხვარამზეს ცხენიდან ჩამოსმას და ფეხით სიარულს. ამიტომ ცხენდაცხენ განზე გაუხვიეს, ლელის თავზე გადაიარეს. იქიდან შედარებით გაშლილ ველზე დაემშენნენ და დაბლა კლდეს გაუარეს. იუსუფმა კლდის ქიმზე ჩამოქცარი რაღაც ფრინველი შენიშნა. უცხო რამ იყო. ასეთი ლამაზი ფრინველი არსად ენახა.

— რა ლამაზია! — ჩაილაპარაკა მან და თანამგზავრებს მოჰხედა, რათა კლდის წვერი და ის უცხო ფრინველი დაენახებინა.

ხვარამზემ და ვახტანგმაც შეაჩერეს ცხენები. ფრინველს ბუმბულზე თეთრით დაწინწყლული შავი და სოსანისფერი ზოლები გასდევდა, წინწამოწყული მკერდი ნაწრთობ ფოლადისფრად უბრწყინავდა. თავზეც თეთრით დაწინწყლული სოსანისავე ფერის ქორჩორი ადგა. თავმომწონე ქალიშვილივით გადმომდგარიყო და სულ არ იმჩინევდა ადამიანთა სიახლოვეს.

— რა ლამაზია! — წამოიძახა გახარებულმა ხვარამზემ, თან ცხენი გამოაბრუნა და სცადა კლდის ქიმს მიახლოვებოდა, — ვერ დავიჭერთ?

— აგრე კი არა, ხვარა, რომ აფრინდება, მაშინ უნდა გამოეკიდო დასაჰყვარად! — ღიმილით დასცინა დას ვახტანგმა.

— ზომ ზედავ, ისევ ზის, ჩვენი არ ეშინია. უნდა მიეპარო და...

ვახტანგმა თოფი შემოატრიალა ხელში. ცხენიდანვე დააპირა სროლა.

— არ ესროლო! — დაიძახა ხვარამზემ.

— მიინც ვერ დავიჭერთ, გაგვიფრინდება! — ვახტანგის გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი იუსუფმა.

ფრინველმა ცალი ფეხი ნისკარტზე ჩამოსივა, კისერი ოდნავ წაიგრძელა, მადლიდან თითქოს რისხვით გადმოჰხედა მოუყრადეთ. შემდეგ თავი მიმოაბრუნა, კეკლუცად შეარხია ტანი და დიუყურსა ერთხანს — თავისავით ლამაზ ხვარამხეს მისჩერებოდა. ვახტანგმა დამიზნებული თოფის ჩამოღებაც ვერ მოასწრო, რომ ფრინველი მუხლებში ჩაიხარა, გაშალა ფრთები და შურდულის ქვასავით მოწყვეტილი კლდის ჭკორე მხრისაკენ გაფრინდა.

ხვარამხემ იქით მიატრიალა ცხენი, ხაითაც ფრინველი მიეფარა თვალს. ვახტანგს სიცილი აუტყდათ. ხვარამხემ ცხენი გააჰენა და თვალის დახამხამებაში კლდის ქიმის იქით აღმოჩნდა. ვაჟები ამას როდილა მოელოდნენ.

ცხენები დაუყოვნებლივ შემოატრიალეს. ამ დროს მხლებლები თავშეკრულად იდგოდნენ ქვეითად. წინ გაჭრილი ქალიშვილი და უკან დადგენებული ვახტანგი და იუსუფი რომ დინახეს, შეჩერდნენ. უცხო ფრინველი ერთხელ კიდევ აფრინდა და ახლა სხვა მხრისაკენ გაუტია. მხლებლები მიხვდნენ, რომ მათი ბატონიშვილი ფრინველს მისდევდა.

გულდაწყვეტილი ხვარამხე უკან გამობრუნდა. საკმაოდ დიდი დაღმართი ჰქონდათ ჩასასვლელი. ჩამოქვეითდნენ. მხიარულად განაგრძეს გზა.

— მაშ, ვერ დაიჭირე, ხვარა, ჰა? როგორ გაგიფრინდა? უნდა გებრძანებინა, რომ გაჩერებულყო! — ელაღებოდა ხვარამხეს ძმა.

— თქვენ არ მომეხმარეთ, თორემ...

— გვეგონა. შენს ნებას დამორჩილებოდა ვინა ბატონის ქალი არა ხარ? თავდაღმართი ჩაათავეს. ისევ ამხედრდნენ.

კარგა ხანს ხმის ამოუღებლივ იარეს. დროდადრო ცხენს შეაყენებდა ვახტანგი, გარემოს მოავლებდა თვალს და

ისევ გზას ვანაგრძობდნენ. მცირე ვაჟებზე გავიდნენ. ქვემოთ ფლატე იწყებოდა. ფლატის ქვემოთ მტკვარის გაყვლითა ბაზე წნორის ხეები იდგა. მტკვარსგალმა ტყით შემოსილი ქედი მოჩანდა.

— რა ლამაზი რამ არის, შეხედეთ ერთი! — ბუნების სანახაობით მოხიბლულმა ვახტანგმა ცხენი შეაყენა და თანამგზავრთ მიუბრუნდა.

— კარგი აღვილებია! — გამოეპასუხა ახლოს მომავალი მხედარი.

— ძალიან კარგი, ნამდვილად ღვთისაგან არის ნაკურთხი! — კვლავ გაიმეორა ვახტანგმა, შემდეგ სადავე შეათამაშა და ცხენები ისევ დაიძრნენ.

ვაჟს გასცდნენ. ტყე გაიარეს. წინ ნასოფლარი შემოხვდათ. ნასოფლარიდან ორასიოდენ ნაბიჯის მოშორებით შალლობზე ტაძარი იდგა. ვახტანგმა ნასოფლარის სახელი იკითხა იუსუფმა ვერ უთხრა. აქამდე არც შემიმჩნევიაო.

ტაძარი წითელი, თლილი ქვით იყო ნაგები. სამხრეთის კარს წითელი ქვისავე უზარმაზარი, ორი მხარის სიგრძე ბალავარი ჰქონდა დადებული, ზედ თოკისებრ გრებილით შემოვლებულ წრეში ჯვარი იყო ამოკვეთილი.

ახალგაზრდები ცხენებიდან ჩამოხტნენ და ტაძარში შევიდნენ. ლაყვარდ ცასავით დასჩერებოდათ ზემოდან თალი. სამკაულებს აბა ვინ გააჩერებდა, მაგრამ კედლებიც ჩამოემტვრიათ ალაგ-ალაგ. ფიქალის იატაკზე ნაცარი ეყარა. კედლები და თალი ბოლს შეემუწრა. თალი მოხატული იყო. ღვთისმშობელ მარიამს ხელში ყრმა იესო ეკავა. მსახვრალი ხელი მოწყვდომოდა იესოს — შიგ თვალში ეფგერებინა შუბი. უკეთესი დღე არც მარიამს დასდგომოდა: ერთთავად შუბისა და ისრის წვერებით დაეჩხაბნათ ვიღაც ბარბაროსებს.

ვახტანგი ფერხითთ დაუვარდა მარიამს და თვალები ცად აღაპკრო:

— დედაო ღვთისაგ, შენ დაიხსენი ჩვენი ქვეყანა ამ საშინელებისაგან, შენ დაიფარე, დაგვიბრუნე ქართველთ ძველი რწმენა, ძველი მხნეობა და თავდა-

დებო, შეგვეწიე, დაგეამარცხებინე მტარვალე მტერი!...

ვახტანგის ვედრება მძალავრ გუგუნად დატრიალდა ტაძრის თაღების ქვეშ. იუსუფს ისე მოეჩვენა, თითქოს კედლები ახშიანებულყო. ნახევრადჩამოშლილ ფრესკებს შიამჩრდა, ეს ნახატები ხომ არ აჯრგვინდენო.

ვახტანგი მცირე ხანს კიდევ მისჩერებოდა ღვთისმშობლის ხატს და ახლა მხოლოდ ტუჩების მოძრაობით, თავისთვის ლოცულობდა.

გარეთ გამოვიდნენ.

ტაძრის ახლოს მოღზე დასხდნენ.

— არ მოგშიედათ? — იკითხა ხვარამზემ, როცა ძმაც გამოსული დაინახა. ვახტანგი ჭერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო ფიქრებიდან. არც კი გაუგონია დის სიტყვები. რაკი იუსუფმაც არაფერი თქვა, გაჩემდა ქალიც.

ვახტანგმა მსახურებს საწერ-კალამი მოსთხოვა. ქვეშ დასადებად არაფერი ჰქონდათ. უნაგირი მოხადეს ცხენს და მოუტრბენინეს. ვახტანგმა მდელიოზე მოიკეცა, უნაგირის ტახტა დაიდო, ზედ ქალაღი გადააფინა და ისეე ჩაფიქრდა.

— ლექსს წერს ვახტანგი! — ხვარამზემ ჩემად გადაულაპარაკა იუსუფს და, რათა ძმისთვის ხელი არ შეეშალა, წამსვე გაიტრუნა.

* * *

რუსთავეში ნაშუადღევს შევიდნენ. ყველა გააკვირვა სოფლის უკაცურობამ. ესეც ნასოფლარი ხომ არ არისო, უნდოდა ეკითხა ხვარამზეს, მაგრამ ძმამ დაასწრო და იუსუფს მიმართა:

— არავინ არ ცხვორობს აქ?

— როგორ არა, არიან. რამდენიმე ოჯახია დარჩენილი, — დაღვრემილად მიუგო იუსუფმა.

— სახლები კი ცოტა ჩანს და... — ჩაილაპარაკა ხვარამზემ.

— უმეტესობა დაინგრა, ბატონიშვილო, — ახლა ქალს მოუტრუნდა იუსუფი,

— უპატრონობამ აგრე იცის.

— კი მაგრამ ხალხი რა ექნა?

— ზოგი იმერეთსა და ქართლ-კახეთში გაიქცა, ზოგიც მტერმა ვაწყვიტა.

— ეპ, დიდი რუსთაველის მშობელი სოფელი და... ნანგრევები! — ამოიხრა ვახტანგმა.

სოფლის თუ ნასოფლარის ზემო მხარეზე რამდენიმე სახლი იდგა. მხედრები ცხენებიდან ჩამოხტნენ და მცირე ხანს შეიცადეს, იქნებ ვინმე გამოჩნდესო.

— ნუთუ მართლა არავინ არის? — იკითხა გულდაწყვეტილმა ვახტანგმა.

საიდანღაც ძაღლის ყეფა მოისმა. უმალვე იქით გაიხედა ყველამ. თვალი შეაშწრეს: ქოხის კარმა გაიჭრიალა და ვილაცამ თავი გამოჰყო გარეთ, გამოჰყო და უცხო კაცი რომ დაინახა, ისეე მიიშალა. იუსუფს უზომოდ გაეხარდა. მადლობა მღმერთს, რომ ეს ერთი ადამიანი მაინც აღმოჩნდაო.

— ეი, ვინა ხართ მანდ, ცოტა ხანს გარეთ გამოდით!

იუსუფი ერთხანს პასუხს ელოდა, მაგრამ როცა არავინ გამოეპასუხა, კარი-საკენ წავიდა. ის იყო, უნდა შესულიყო კიდევ ქოხში, რომ შიგნიდან „მგონი ქართველები არიანო“ — შემოესმა კაცის ხმა. ორიოდ წუთის შემდეგ დერეფანში შუატანის ვაჟკაცი გამოვიდა. მან უცებ თავზე სარუხშემოხვეული იუსუფი დაინახა და უნებლიედ უკან დაიწია, მაგრამ იუსუფი დროზე მიუხვდა, რისაც ეშინოდით და უმალ შეაგება:

— რას გარბიხარ, კაცო, სტუმარს აგრე უნდა დახვედრა?

— ვინა ხართ? — ჰკითხა ოჯახის პატრონმა.

— აბა, თუ მიხვდები, ვინ ვიქნებით... — უთხრა იუსუფმა და მთელი სახით გაიღიმა.

ღმძლიოთ ნათქვამმა ტყბილმა ქართულმა ვაჟკაცს ერთბაშად მოუტრუნა გული.

— მართლა ქართველები ყოფილ-

ხართ... — ნაძალადევად გაიღიმა მანაც.

— მეფე გიორგის ძმისწული, ქართლის ბატონიშვილი ვახტანგია ჩვენს შორის...

— ქართლის ბატონიშვილიო? — წამოიძახა ვახტანგულმა რუსთაველმა და კარს მოსცილდა, — სად ბრძანდება?

— აი, ეს არის ბატონიშვილი, — იუსუფმა კაცი წამოიყვანა და ვახტანგის წინ გააჩერა, — ეს კიდევ მისი და, ბატონიშვილი ხვარამზე... ფერხით დაუვარდა ვახტანგს რუსთაველი, მაგრამ იმან არ დაანება, მაშინვე ზეზე წამოაყენა.

— რად დაგვემალენით, რუსთაველო, სად არის ხალხი?

პასუხის ნაცვლად გლეხმა მხრები აიჩეჩა მხოლოდ ამასობაში სხვებიც თანდათანობით გამოჩნდნენ, მოწიწებით მიესალმნენ სტუმრებს და შორი-ახლო გაჩერდნენ. აქა-იქ ბავშვებმაც წამოყვეს თავი.

ვახტანგმა ისევ დამალვის მიზეზი გამოიკითხა, გამოიჩქვია, რომ რამდენიმე დღის წინ იანიჩრები შემოსეოდნენ რუსთავს, სანოვავე და ერთი ლამაზი ქალიშვილი მოეთხოვათ. შორს დაეჭირათ სოფლელებს — მაშინვე იარაღისათვის ეტაცათ ხელი. იარაღი იანიჩრებსაც ზომ ჰქონდათ. შეხლა-შემოხლაში ერთი იანიჩარი შემოკვდომოდათ, ორი კი შიმშედ დაჭრილიყო.

— მაშ რა გვექნა? ყველაფერს ვითმენთ, მაგრამ... — გლეხმა ხვარამზეს შეჰხედა, — ქალებს... ამას კი ვერ მოკუთმენთ!

— რა გვარი ხარ? — ჰკითხა ვახტანგმა.

— ჯვარიც ვახლავარ, მახარობელას მიხზობენ, ბატონო.

— იანიჩრები საიდან იყვნენ თუ იცი? — ახლა იუსუფი შეეკითხა.

— მაგისი რა მოგახსენოთ, ფაშამ გვიბრძანაო, ასე ამბობდნენ, — უპასუხა ერთმა ახლადმოსულმა.

— ახლა რას აბირებთ? — ფიქრის შემდეგ იკითხა ვახტანგმა.

— რას უნდა ვაბირებდეთ, ჩვენც არ ვიცით რა გზას დავადგეთ... სხვადასხვა ხმაზე აღაპარაკდა ჯვარანაჭის ხალხი, — ამას ვინ შეგვარჩენს!

იუსუფმა ზურგი შეაქცია საგონებელში ჩავარდნილ რუსთაველებს. ვახტანგს მიუბრუნდა:

— რა ეშველებათ ამით, ბატონიშვილიო?

— მეფეს უნდა ვაცნობოთ. იქნებ სალიმ-ფაშას აბატიებინოს როგორმე.

ყველას სიხარულის ნათელი დაადგა სახეზე. იუსუფს თვალეები გაუბრწყინდა. მადლობის თქმაც კი ვერაფერს გაბედა. ყველა ვახტანგს მისჩერებოდა მალემერთებელი თვალეებით.

ხალხი ბლომად მოემატათ. ახლა უკვე ყველამ იცოდა, ვინც მოვიდა და რაც მოხდა. მოხუცები ხელებს აღაპყრობდნენ ლოცვად და ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ ეს კეთილი ხალხი დღეს რუსთავში მოიყვანა. გიორგი მეფის შემწეობით ვახტანგ ბატონიშვილი უსათუოდ იხსნიდა სოფელს. ამა ქვეყნის ძლიერთათვის ეს არცთუ ისე ძნელი საქმე იყო.

— ახლა ცოტა რამ მინდა ვკითხოთ, — ხალხს მიმართა ვახტანგმა, — შოთა რუსთაველი თუ გაგიგონიათ?

— შოთა რუსთაველი? — გაიმეორა მახარობელამ, — როგორ არა, ბატონიშვილო. აქ ყველამ იცის დიდი შოთა. ჩვენს სოფელში დაბადებულა, ის სულ განათლებული. ასე გვსმენია: მაშინ დიდი სოფელი იყოო რუსთავი. საბატონოდ შოთას მამას ჰქონია. თვითონ შოთა დიდი თამარ მეფის მდივანი ყოფილა.

— შოთას საფლავიც, აი, იქ, ქვევით უნდა იყოს, გზის პირზე. — თანასოფელს სიტყვა ჩამოართვა ახლადმოსულმა ყავარჯიანმა ბერიკაცმა.

— რა ალაგზე, ჩვენ არ გამოვიარეთ იქით? — იუსუფს მიუბრუნდა ვახტანგი.

— არა, ბატონიშვილო, ის ადგილი ჩვენ ქვემოთ დავტოვეთ, — უპასუხა იუსუფმა.

— აი, აქვე, ახლოს არის, — ჩაერვი-
ნენ საქმეში სხვებიც.

— გამოგვყეთ, გვაჩვენეთ!

ხალხი თითქოს ამასლა ელოდა. უმაღ-
წინ წამოდგნენ.

— იარეთ, ბატონიშვილო, ასე ჩა-
ვალთ.

ადგილიდან მხოლოდ უფროსები არ
დაძრულან. ისინი იუსუფს შემოეხვი-
ნენ გარს. სთხოვდნენ, უფლისწული
და მისი თანმგლებნი გვაჩვენე სახარად
და თავდაცვ გვეწვეოთ.

— ვერ მოვასწრებთ. კაცი უნდა ვა-
ფრინო მეფესთან, — იუსუფის მაგიერ
მიუგო ხალხს ვახტანგმა, — დიდი მად-
ლობა! ყველა ნუ წამოგვყვებით, ერთი
გაგვავოლეთ ვინმე.

ხალხი აჩოჩქოლდა, მაგრამ ისევ მა-
ლე დაწყნარდა. განმეორებით დაბატი-
ება ვერ გაუბედეს ბატონიშვილს.
სტუმრებთან პირველი შეხვედრის უპი-
რატესობით მახარობელამ ისარგებლა
და მეგზურობა მან იკისრა. არავინ შეს-
ცილებია.

გზადაგზა მახარობელა ისევ შოთა
რუსთაველის ამბავს ჰყვებოდა. ერთი
ქველი თქმულედაც მოიგონა. თურმე
ორმოცელ ბატონის ქალიშვილსა და
შოთას ერთმანეთი ჰყვარებოდათ. სულგა-
ნათლებულ თამარ დედოფალს არ სცო-
დნია ეს ამბავი. შოთასთვის სხვა ქალი
შეურთვევინებია. ვარძიაში დაუწე-
რიათ ჯვარი. ვარძიიდან ცოლთან ერ-
თად მომავალ შოთას ორმოცელი ბა-
ტონის ქალიშვილი ვაჟის ტანსაცმელში
გადაცმული დახვედრია. ძლიერ ყოჩაღი
ქალი ყოფილა თურმე. ახლადდაქორ-
წინებულებს თავს დასხმია. მოკვლა
სდომებია შოთასი. მოსაკლავად ვეღარ
გაუმეტებია და მის წინ თვითონ მოუ-
კლავს თავი.

დანიშნულ ადგილას მივიდნენ. მცი-
რე გორაკი იყო გზის პირზე. გორაკ-
ზე ცალგვერდამონგრეული, მომცრო,
პრგვალი, კოშკი იდგა.

— ეს არის, — მიუთითა მახარობე-
ლამ, — ხალხი ამბობს, დიდი შოთა რუ-
სთაველი აქ არის დამარხული.

ვახტანგმა დაიჩოქა. მუხლი მოიყა-
რეს სხვებმა.

კოშკში წარწერა არაფერია დაწვე-
ლია. თვით შენობა სანახევროდ დანგრე-
ული იყო. ხეტა ვინ ემარხა აქ, ნუთუ
მართლა დიდი რუსთაველი? ვახტანგმა
ფული აჩუქა მახარობელას. ის არ იღებ-
და, ძალად ააღებინეს და დაემშვიდობ-
ნენ.

ვახტანგმა ერთხელ კიდევ მიჰხედა
დანგრეულ კოშკს.

— ისე ვგრძნობ, თითქოს ქვეყანა შე-
სამუსრავად იყოს განწირული, ან და-
სამსხვრევად გამზადებული ქარადის
პირას იდგეს. არ ვიცი, ყველგან ნანგ-
რევენსა ვხედავ და იმიტომ თუ... —
ვახტანგის ხმაში საშინელი გულის-
ტკივილი იგრძნობოდა.

იუსუფსაც აუცრემლდა თავლები.
ხვარაშუეს შეჰხედა. დაღვრემლი ქა-
ლიშვილი ფრთებჩამოყრილ მტრედს
ნიაგავდა.

• • •

ზიკილიაში გადასვლის შემდეგ ორ
აგორასაც არ გაუვლია, რომ, როგორც
ცხოვრებაში არაიშვიათად ხდება ხოლ-
მე, ენით აუწერელი უბედურებანი
ერთიმეორის მიყოლებით დაატყდა
თავს მეფე გიორგის.

სპარსეთის ყენის შაჰ-სულეიმანის
ტყვეობაში მყოფ ლევანისაგან წერილი
მიიღო. მწუხარებისაგან გულდათუთქუ-
ლი ძმა მეტად სამძიმო ამბავს ატყობი-
ნებდა: შენმა ძემ ბაგრატმა ვერ გაუძ-
ლო უცხოეთში ტყვეობას და ჰერათს
განუტყვა სული. მეც ცოტა დღე და-
მრჩა ამ ქვეყნად, სიკვდილის პირამდე
მივიწურეო. შაჰის ბრიყვა ყმებმა
აღარ იციან, როგორ მაწამონ იმისათ-
ვის, რათა როგორმე ჩემი ქვეყანა და
რკული დამაგმობინონო.

მეფე გიორგიმ ძლივს ჩაიკითხა ბუ-
ლომდე ძმის წერილი. ბავშვობის შემ-
დეგ ეს პირველი იყო, რომ მისი თვა-
ლები მდუღარე ცრემლმა დაასველა.

„საშინელი ხურგება შეეყარა, — დაწერილებით იწერებოდა ლევანი, — სამ დღეს გონდაკარგული იყო. დღედაღამ თავითი ვუჯემი. ცივ წყალში გაწურულ ტილოს ვადებდი შუბლზე. სამი დღის შემდეგ მცირედ მოიხედა. შენი ნახვა ისურვია: ნეტავი შამა მანახაო. თან იმას ნატრობდა — აქ მაინც არ მხდებოდეს სული, საქართველოში ვიყო, გულზე ჩემი ქვეყნის მიწა მაინც დამეყარებოდაო... ორ დღეს არა უშავდა. მესამე დღეს ისევ ძლიერმა ხურგებამ შეიპყრო. გონი დაკარგა. ბურანში მყოფი ევლავ საქართველოს ნატრობდა. თბილისის ნაცნობ ადგილებს ასახელებდა... შერე ქართლის მამულის მიწა მოინდომა. მცირედი მე მქონდა. მცხეთიდან წამოსვლის ეამად სვეტიცხოვლის სიახლოვეს ავიღე. მანდენად წამოყოლილ თავად იოთამიშვილსაც აღმოაჩნდა მცირედი. გულზე დავაბნიეთ სამშობლოს მიწა. მხოლოდ მაშინ განუტევა სული ქართლის მამულისათვის წამებულმა ყრმამ.

ვაი ჩემს თავს! ამ უცხოობაში ბატონიშვილი მყავდა დიდ იმედად. იგი წავიდა და მეც ცოცხლივ მკვდრებში გამართია ის იყო ჩემი ერთადერთი იმედი ამ სატილოს ქვეყანაში. ახლა ვილა მეყოლება სევდათა შესამსუბუქებლად?!

ნუ შედრკები, ძმაო ჩემო. უფალი იტყვის: „მოგაგენ ჭირი, რამეთუ გამოგცადო ერთგულებასა ჩემსა შიგან“... გამხნევი, რამდენი არის მამულისათვის წამებულნი, იმ წმინდანთა შორის შეირაცხა მე შენი ბაგრატიც. ვიცი, რა დღეშიც ჩავარდები ამ წიგნის წამკითხავი. ასე დაწერილებით არ მოგწერდი, მაგრამ შენც ვერ დააჯერებდი გულს... მეც რომ მოგვკლევ აქ, მაინც ნუ შედრკები. გამხნევი. აღამიანები გაჭირებისათვის ვართ ნაშობნი: ქართლის მამულს უპატრონე, იხსენ როგორმე უსჯულოთაგან, თორემ ისედაც მოგვკლვებით ყველა“.

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მეფეს სამ დღეს არ აუღია თავი. ბევრს ეხვეწნენ, მაგრამ ამაოდ. ვერავენ ვერაფე-

რი ვაიწყო. წუხდა, გოდებდა ერთადერთი შეილის მამა: „ჩემი უმანკო ბაგრატის დაღუპვა ჩემივე ბოლოა, შეგონა, შამთან შეილის გაგზავნით ლევანს ვიხსნიდი, ბოლოს კი ორივე დაკარგე მე უბედურმაო“.

მეოთხე დღეს მეფეს სიცხე მისცა. შუადღისას ისეთმა ხურგებამ მოუარა, ქაიხოსრომ ხელი ძლივს მიაკარა შუბლზე.

აქიზობაში განთქმული მასპინძელი მოიკითხეს. შინ არ აღმოჩნდა. სამცხის ფაშას ცოლი გახდომოდა საფარაში ავად და იქ წაეყვანათ. ფაშასთან აფრინეს კაცი. მეორე კაცი ოშორაში გაგზავნეს პატრ ჭულიოს ჩამოსაყვანად.

ხმაღაცე ღამითვე ჩამოვიდა. გასინჯა ავადმყოფი.

— არა უშავს, გაუვლის! — დაამედა მეფისანი, შუბლზე მტლევები შემოადო, იის ზეთით დაუზილა ტანი, ვარდის ნახარში წყალი შეასვა. — დიდი ნალველისაგან დამართია, ერთ კვირას გასტანს ავადმყოფობა, შემდეგ უთუოდ გამომჯობინდებაო, — დაასკვნა დოღენჯიმ...

ერთი კვირის თავზე მეფემ, მართლაც, მოიხედა. დღედაღამ სასთუმალთან უსხდნენ ავადმყოფს მკურნალი დოღენჯი და ბატონიშვილი ქაიხოსრო. ავადმყოფი მეცხრე დღეს ფეხზე წამოდგა. უზომოდ დასუსტებულმა ჯოხი დაიბიჯა და ოთახში ძლივს გაიარა ორი ნაბიჯი. სამი დღის შემდეგ ჰერათიდან ლევანის წერილის მომტანი გორჯას ავალიშვილი მოიკითხა. ყველა გაახარა ამ ამბავმა. მიხედნენ, რომ მეფემ სძლია თავის დიდ ჯავრს და საქმეს უბრუნდებოდა.

გიორგიმ ვერც იმერეთიდან მიიღო სანუგეშო ამბავი: იმერელ თავადთა ერთი ნაწილი ალექსანდრეს მისვლოდა გორში, წამოდი, არჩილი გვაძევეთ და მეფედ ისევ შენ დაგსვათო. ცუნდრუკი ალექსანდრე უმაღვე დაპყროლოდა მათ სიტყვას, შეთქმულ თავადებთან ერთად ქუთაისთან დახმობდა თავს არჩილს. პირველად კიდევ ემძლავრათ,

მაგრამ თვითონ გულფიცხი და მოუთმენელი ალექსანდრე თავისზე არანაკლებ გულფიცხ წერეთელს შელაპარაკებოდა. ქედმაღალ წერეთელსაც უმაღლვე ზურგი შეეშტია მისთვის. არჩილს მცირე ჯარი ჰყოლოდა, მაგრამ მაინც დაუმარცხებინა ტახტის მოცილე. იმერეთიდან გამოძევებულ ალექსანდრეს ისევ გორის ციხისათვის შეეფარებინა თავი.

— მეფე არჩილი ისე მხნედ იბრძოდა, იტყობი, თუ გოლიათისაგან არა, ეს საქმე არავისაგან არ არის შესაძლებელი, — მოახსენა იმერეთიდან წარმოგზავნილმა დავით მესხმა.

თავადთა ერთგულების იმედი გიორგის არასოდეს ჰქონია. წელგაუმართავი მეფე ხომ სულ ვერ დაენდობოდა მათ. გიორგიმ კარგად იცოდა, რომ გაუხედნელი მოზრებივით მუდამ ტაბიკების დამტყრევის ცდაში იყვნენ თავაშვებულობასა და ქირვეულობას მიჩვეული ფეოდალები.

ერთი მხრივ მაინც კარგად ენიშნა მომხდარი ამბავი: დამარცხებული თავადობა მცირე ხნით მაინც გააუჩუღებოდა, აღარ იფიქრებდა ალექსანდრეს გახედვებაზე. ველარც ცუნდრუკი ალექსანდრე გაბედავდა კვლავ წაპოტინებოდა სამეფო ტახტს.

გიორგი მეფეს კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი მოუვიდა: სპარსეთის წინააღმდეგ მისი მხარდამჭერი სულთანი სულეიმანი გარდაცვლილიყო კონსტანტინოპოლს და მის ძმა მუსტაფას დაეკავებინა ხონთქრის ტახტი. ახალ ხონთქარს ახალ-ახალი ძღვენი და ახალი საჩუქრები დასჭირდებოდა, რათა მასაც თავის წინამორბედივით მხარი მიეცა მეფე გიორგისა და არჩილისათვის. სამეფოდან ლტოლვილ მეფეს, აბა, სად ჰქონდა იმდენი საჭურჭლე, რომ ცალკერძ ახალციხისა და ყარსის ფაშების გაუმძღარი სტომაქი ამოევისო, ცალკერძ კიდევ ახალი სულთანი და ვეზირი ახამი ესია მოეწებინა?!

მეტი რაღა გზა იყო, ერთხელ კიდევ უნდა შეეწუხებინა მისთვის ისედაც

ფრიად გარჯილი სიძე გივი ამილახვარი და ნიკოლოზ მაღალაშვილი. შეიძლება, მცირედ ბარძიმ ერისთავსა და ქართლის სარდალს თამაზ ყაფლანიშვილსაც დასესხებოდა.

ამ რამდენიმე ხნის წინ ბარძიმს თავისი აზნაური წარმოგზავნა მეფესთან. წერილი გამოეტანებინა: შემინდეთ შეცოდებაო, ითხოვდა, მე არ ვიყავი დამნაშავე, სხვა ავკაცთ მიქნეს ეს საქმე, თქვენც კარგად უწყითო. „ავკაცთ“ აღარ ასახელებდა ნებიერი თავადი. მეფემ კარგად უწყოდა, რომ „სხვა ავკაცთა“ შორის თვითონ ბარძიმი ყველაზე უარესი იყო. თავნება და გოროზი ერისთავი ყოველთვის გაურბოდა მეფეთა ნორჩილებას. ამპარტავან ერისთავს ჩვევად ჰქონდა: სადაც ის იქნებოდა, იქ სხვისი ქება არ უნდა წარმოთქმულიყო. მხოლოდ ის უნდა ექოთ და უდიდებინათ. ყმებსა და შინაურობასაც მისი ვაჟკაცობისა და გონიერების ამბები უნდა ჰკერებოდა პირზე. თუ ვინმეს სხვის ქებას გაუგონებდა, ვაი იმის ბრალი!

იმევე პატივმოყვარეობამ გადაამტერა ბარძიმი ნაზარალიხანს. კაცმა კათოლიკური სარწმუნოება მიიღო და რომის პაპს წიგნი გაუგზავნა, რათა მისი სახელი ევროპაშიც შეეტყოთ და განუდიდებინათ. სპარსელთა მონა-მორჩილის ნაზარალიხანის ბატონობას როგორ მოითმენდა გაზულქებული ერისთავი! გიორგისაგან ნაწყენს უარესი წყენა შეხვდა ნაზარალიხანისაგან. ამიტომ ისევ გიორგი მეფეს შეავედრა თავი ამ მხრივ ისიც აქეზებდა, რომ რომის პაპი სულგრძელობად ჩაუთვლიდა გიორგისთან შერიგებას, უფრო მეტად შეაქებდა და განადიდებდა. ამიტომაც თავისი საბრძანებლიდან ლტოლვილი მეფის შესანდობად გაუხდა საქმე პატივმოყვარეობით უზომოდ გაბერილ ერისთავს.

გიორგის უჭირდა ახლა. სხვა გზა აღარა ჰქონდა: მტრად გადამდგარ ერისთავთან შერიგებითაც უნდა მოეთბო ხელი.

ამაზე ფიქრობდა მეფე. იქვე მდებარე მკდომი ქაიხოსროც ფიქრს მისცემოდა.

მანდატური შემოვიდა, მეფეს მოახსენა:

— წუხელ, მწუხრისას, გორჯასპ ავალიშვილი გეწვიათ, თან თამაზ სარდალსაც კაცი უახლებია, თქვენს ბრძანებას ელიან.

მეფემ თავი მძიმედ ასწია.

— გორჯასპს საჩუქარი თუ უძღვევით?

— დიახ, ბატონო ბიძავ, გორჯასპი ადრე დავასაჩუქრეთ, ბიძა-ბატონის წარმოგზავნილ აზნაურს კი წუხელ ვუბოძეთ საჩუქარი! — ქაიხოსრომ უპასუხა მეფეს მანდატურის მაგიერ.

მის ნათქვამს ჩვეული ხალისიანობა და სიმტკიცე აკლდა. ახალგაზრდა კაცის ხმაში მძიმე ნალველი იგრძნობოდა. მიჰხედა მეფემ ძმისწულს, მაგრამ თქმით არა უთხრა-რა. მანდატურს უბრძანა:

— კარგი, იხმეთ, მოვიდნენ!

მანდატური ბრძანების შესასრულებლად გაბრუნდა. გიორგიმ დრო შეარჩია და ძმისწულს მიმართა:

— ახლოს მოდი, ქაიხოსრო!

ქაიხოსრო უხმოდ წამოდგა, ახლოს მიუჭდა მეფეს.

— ეგრე უკუნებოდ რატომ ხარ, შვილო?

ქაიხოსრომ წამით ატბორებული თვალები მიაპყრო, მაგრამ უმაღვე დახარა. შეშინდა, სისუსტე არ შეემჩნია ბიძას. მეფე მიხვდა, როგორ ძლიერად ემოჭმენდა დარდსა და ნალვლიანობას ძმისწულზე. თანაგრძნობა და მადლიერება გულს შემოენთო. ქაბუკის ყოფით გულნატკენს თავადაც გული აუჩვილდა. მხოლოდ ამის თქმა შესძლო:

— უნდა გავმაჯარდეთ, შვილო. ამ ქვეყნად ჭერ არავინ დაბადებულა ისეთი, ვისაც მწუხარებით თუნდ სულ უმციირესი საქმე გაერიგებინოს...

ქაიხოსრომ თვალებში შეჰხედა ბიძას. ნაავადმყოფარ, ფერმკრთალ სახეზე გამამხნევებელი ციავი დასთამაშებ-

და. ამასწინანდელი უიმედობის ნატივ-მალიც ვეღარ შენიშნა.

მეფის მხნეობამ ქაიხოსროსაც იმედოვნება

და ჩაუნერგა მანდატური შემოვიდა. უკან ქართულ სამოსში გამოწყობილი გორჯასპ ავალიშვილი და თამაზ სარდალის უერთგულესი ყმა, მაღალი შანშე მოსდევდნენ.

— როგორ ბრძანდება ბიძა-ბატონი თამაზი, შაჰის ყულებზე ძლიერ ხომ არ დამიჩაგრუნს? — მოიკითხა მეფემ ნათესავი, თან ნასიცხ ბაგეებზე დამკინავმა ღიმილმა გადაურბინა.

— თქვენი დიდებულების წინაშე ემხობა, პატიებას გთხოვთ და ერთგულებას გეფიცებათ სამართადაც. ეს მცირე საჩუქრებიც გაახლათ, დიდებულო მეფე! — მოკრძალებით მოახსენა გორჯასპმა.

შანშე ფერხით დაუვარდა მეფეს, მის წინ მიწას ეამბორა და საჩუქრები მიართვა: ოთხი შესანიშნავად მოჭედილი ხმალი, რამდენიმე მამა-პაპეული ზური, ოჭრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტიც ბლომად გამოეგზავნა ორბელიანს. მეფემ ზედაც არ დახედა საჩუქრებს. უმალ შარშანდელი ამბავი გაახსენდა. არაგვის ერისთავი იასონის ლაღატის ამბები ყოველ ცისმარე მოსდიოდა. შაჰისაგან მოსყიდული ერისთავი თვითონ რომ მძლავრობდა, სხვებსაც აქეზებდა გიორგის წინააღმდეგ სამოქმედოდ. მეფემ თავგასული ყმის სასტიკად დასჯა გადაწყვიტა. ლაშქარი შეჰყარა და არაგვის საერისთავოსკენ გაემართა. სწორედ ამ დროს განუდგა უერთგულესი ყმა თამაზ სარდალი. თამაზმა ესეც არ იკმარა თავრიზს წავიდა შაჰის სარდალთან და იქიდან არაზა მისწერა სპარსეთის მფლობელს — მეფე გიორგი შენს წინააღმდეგ არის ამხედრებული, განჯის, ყარაბაღისა და სხვა ნაპირის ხანების ამოწყვეტა და მათი სახანოების დაბრევა უნდოდაო. თქვენი ორგულობის მონაწილე რომ არ გავებნადე, მე აქ იმიტომ წამოვედიო. შაჰმაც აღარ დააყოვნა: გიორგის ძმა

და შეილი რომ ქირმანს წარგზავნა ტყვეობაში, თვითონაც ქართლიდან გააძევა.

— ქარგი ერთგულება სცოდნია სარდალს! — წყრომით თქვა მეფემ, — ჯერ სატყვეარს დაგცემს, მერე კი ერთგულებას შემოგფიცავს!

გორჯასს რაღაც უნდოდა ეთქვა, მეფემ დაასწრო:

— ახლა დაბრძნდი, ჩემო გორჯას, და სპარსეთის ამბები მიახმე დაწერილებით.

გორჯასს მეფისათვის სათბრობი აღრევე ჰქონდა მომზადებული, მაგრამ მაინც შეფიქრიანდა, როგორ და საიდან დაეწყო. ბოლოს ნაესი გატეხა:

— ახლა სპარსთა შიგან ეს არის, დიდებულო მეფე. შარშან რომ შიხალიხან ეპტიმადოვლესი¹ მიიცივალა, მის აღვილზე მირზა თაპარი დააყენეს, ვაყნავისი რომ იყო ძველად. შახალიხან ეპტიმადოვლეს სიკეთე კარგად მოგეხსენებათ: უნაგარო კაცი იყო, ჭკვიანი და გონიერი, ქრთამის არ ამღებო...

— დიხ, აგრე იყო! — დაუდასტურა გიორგიმ.

— სულ სხვა რიგის კაცი გახლავთ მირზა თაპარი, — განაგრძო გორჯასმა, — ჯერ სამიოდე თვეც არ გასულა, რაც ეპტიმადოვლესად დააყენეს და უკვე აიკლო ქვეყანა. დიდი მექრთამე გახლავთ, აბეზარი, გულხენეში და ბოროტი. ასე მოგახსენებენ: საქმეზე ვინც მივა, თუნდაც გლახაკი იყოს, უპოვარი, თუ ქრთამი არ მიართვა, არც მოუსმენს. ვიდრე გკითხავდეს, რისთვის ხარ მოსული, მანამ იმას გეტყვის: საქმის გასარიგებელი რა მომიტანეო. თუ ღმერთი გაგიწყრა და მიტანილი არაფერი აღმოგჩინდა, ლანძღვით გამოგისტუმრებს, შენთვის სადა მცალიაო. ეს ამბავი კარგად იცის ყველამ. ესეები კარგად შეიტყვეს ქართველებმაც. ტყვეს მიართმევენ და საქმეს ისე გაიწყობენ, ქრთამებით საქმის გარიგება-

ში ქართველები ერთმანეთს ეჯობრებიან. მთელი ისპაჰანი აირიყ, ყოველდღე სცვლიან უფროსთ. ერთი ქიართმევეს, დადგება, შემდეგ მეორე მიართმევეს, ახლა იმას დააყენებენ...

— მერე ყაენი რასა იქმს? — იკითხა ქაიხოსრომ.

— ყაენი რასა იქმსო, ბატონიშვილო? დღემუდამ მთვრალია. ვაზირთა უფროსისა და საქმეებისათვის სადა სცალია. იცინიან სპარსელნი: ისპაჰანში ყაენმა ღვინო გააწყოო — თანაც ეპტიმადოვლეს ამყოლია ყაენი. მკათათვის პირველს ყორჩიბაშს სანდლუს, სარუხან შურთუზა ყულიხანის შვილს, თავი მოჰკვეთეს. თვითონ ყიზილბაშნი ასე ამბობენ: სანდლე ეპტიმადოვლესთან მისულიყო რაღაც საქმის გამო, ქრთამი კი არ მიერთმია. რატომ არ მომართოო. ამაზე შელაპარაკებულაყვენ. ყორჩიბაშს ეთქვა, შენ მაგ მექრთამეობით ყაენსაც დალუპავ და ისპაჰანსაცო. ეგ მაგრე არ უნდაო და გაბრაზებულ მირზა თაპარს ყორჩიბაში ყაენთან დაეხუზებინა. მკათათვის პირველს, ღილით, დაეპარებინათ სანდლე. როსტომ-ბეგ მდივან-ბეგისათვის ებრძანებინათ მისი თავის მოკვეთა. ნამაზის ლოცვა დაეცლიათ ურჯულოებს. ამ დროს ხმალამოწვდილნი თავს ედგნენ თურმე. არც ენა შემლოდა ყორჩიბაშს, არც ფერი წასვლოდა. როგორც კი ნამაზის ლოცვა მოეთავებინა, ხმალჭვეშ ჩაეჩოქა, თან ეთქვა: ბრალი არაფერი მიმიძღვის, ერთგულებისათვის მკვლენ, ღმერთია ანის მოწმეო. და ეკრათ ხმალი. თავი ვერ წაეცლიათ გულისპირს სისხლი ჩამოსდენოდა. აელო მჭიღითა და თავ-პირზე გადაესხა ღმერთს შევედრებოდა: გებრალეზოდეს უბრალოდ წამებული ჩემი სულიო. უბრალოდ დასჯილის გვამი სამ დღეს ეგდო შეიდანში. იმავე საღამოს ამ შუა ზაფხულში ისეთი საზარელი წვიმა და ქარიშხალი ატყდა, რომ მეორედმოსვლა გვეგონებოდა. ისპაჰანში გაზრდილ ასი წლის კაცთ ასე ეთქვათ: ასეთი წვიმა

¹ ეპტიმადოვლე — სპარსეთის შაჰის პირველი ვაზირი, სახელმწიფოს მმართველი.

და ქარიშხალი არც არასოდეს გვინახავს და არცა გვსმენიაო...

მეფე შესვლოდა: გამოთავყანებულ სულეიმან ყაენს ღმერთი არ გაუწყარეს და სპარსეთში მყოფი ძმა ასე უღმერთოდ არ დამისჯასო, გაიფიქრა, მაგრამ თავისი ფიქრი იქ მყოფებისათვის არ გაუშველია.

—ახლა ეს მითხარი, ჩემო გორჯასპ, გარეშემო ქვეყნებში როგორღა აქვთ საქმე ყიზილბაშებს?

—ო, მაგას ნულა იკითხავთ, დიდებულო მეფევ! ყოველი მეზობელი ქვეყანა აღმდგარია სპარსელთა წინააღმდეგ. ყანდაარს ხომ ვერ მოუარეს. ყოველწლივ რამდენჯერმე გზავნიან ლაშქარს. ვერ იქნა, მაინც ვერ დაამშვიდეს ვერც ავღანელნი და ვერც ბულუქნი-ქურთისტანელნი ხომ კინალამ ისპაჰანში შემოიჭრნენ. თავს ესხმიან ყიზილბაშთა ქვეყანას, არბევენ, ხალხს ხოცავენ, თუ რამეს მოიხელებენ, იტაცებენ. ძათგან ძალიმღელულია სპარსეთი.

—ჰო, მაგ ამბავს არა უშავს! — ესიამოვნა მეფეს, — ლაშქართა საქმე როგორღა აქვს სულეიმან-ყაენს?

—ლაშქარშიც აღრეულობა სუფევს. ყორჩინი თავს არ უღებენ ყაენს. ყულუბიც ეურჩებიან. ერთმანეთს შორისაც სულ კინკლაობა აქვთ ყორჩთა და ყულთ...

ჩაფიქრდა მეფე. სპარსთა შესახებ გორჯასპის ნათხრობი მოეწონა. ზოგიერთი რამ კიდევ გამოჰკითხა ყიზილბაშთა ქვეყანაზე. შემდეგ ეს უთხრა:

—ასეთი არის ზოგჯერ ქვეყნის წესი: თუ ღმერთმა ერთი არ წარწყმილოს, მეორე ვით აცხონოს? სპარსელთა აღრეულობა კარგია ქართველთა ქვეყნისათვის, ძალას ვეღარ მოიტანენ სპარსელნი ჩვენზე... ამ ბოლოს კარგი ამბები მამცნე, ჩემო გორჯასპ! — გაუღიმა მოციქულს მეფემ.

გორჯასპმა დრო იხელთა. მეფეს კარგ გუნებაზე ყოფნა შეატყო და მოასვენა:

—მე ყოველთვის კეთილის მაცნე ვარ, ბატონო მეფევ. ნუ შემომწყურ-

ბით. ჩემი აზრით, კიდევ უფრო კარგი ამბავი უნდა გამცნოთ: თქვენმა ბიძამ, ბატონმა თამაზმა და თქვენმა ბიძისწულმა, ბატონმა სულხანმა, საჩუქრებთან ერთად წიგნები გაახლეს. წულან ვერ შემოგბედეთ. თან ასე დამაზარეს. სიტყვიერად: ნაზარალიხანს ყველა გამდგარი ჰყავსო. გიორგი ბატონი რომ ქართლში ჩამოვიდოდეს, ერისთავნი და სრულიად ქართლელნი მას ამოუვადგებით მხარში, გავაძევეთ სპარსელთ და მათ ყურმოჭრილ მონას ნაზარალიხანსო.

გიორგიმ ლუქი გატეხა, წერილი გახსნა. ბოლოს დაჰხედა. თამაზ სარდლის ბეჭედი ეცნო: „რისხვა მტრისა, ყმა მეფისა, თამაზ სარდარი“, — ამოიკითხა გიორგიმ, გაიღიმა, წერილი ქაიხოსროს გაუწოდა:

—წამიკითხე, რას გვწერს ბიძა-ბატონი?! — თან დამცინავი ღიმილი ვეღარ შეიკავა.

ქაიხოსრომ ხმამაღლა დაიწყო წერილის კითხვა:

„...მწყველი იმ დღეს, რომელმა დღე-მაც ჩემი სისხლისა და ხორცის, ჩემი მეუფაც საზიანო საქმე შეთამაგონა დიდსულოვნობა გასწიეთ, დიდებულო მეფევ, ამის მავედრებელი ვარ და მპატიეთ თქვენს სულით ცოდვილ ბიძას შეცდომილებანი ჩემი. ამიერიდან ყოველთვის მიგულვეთ უერთგულეს ყმათა შორის მიწა ფერხთისა თქვენისა. ამას გთხოვთ მეუფობისა თქვენისა უერთგულესი ყმა თამაზი“.

დაფიქრებული ისმენდა მეფე. გორჯასპმა და შანშემ რამდენჯერმე შეავლეს მხერა. გარკვეული ვერაფერი ამოიკითხეს მის სახეზე.

ქაიხოსრო სულხანის წერილზე გადავიდა. მეფე ისევ მღუმარედ იჯდა. მხოლოდ მაშინ აიღო თავი, როდესაც ქაიხოსრომ წერილის ის ადგილი წაიკითხა, სადაც სულხანი წერდა:

„...ჩემო მეუფევ, მოგვხსენებათ, რომ შეუმცდარი არავინ არის თვინიერ ღმერთისა... თქვენგან მრავალჯის მსმენია; იმდენი სულგარძელობის გა-

მოჩენა არავის სჭირია, რამდენიც ღმერთსა და მეფესაო. მაგ მეფური სულგარძელობის გამოჩენას გვევდრებით, მეფეო ჩემო. ამას ვთხოვთ, აღარ მოიხსენიოთ წარსულის ცთომილებანი, აბატოთ იგი ჩვენს ოჯახს და გვიგულვოთ ისევ თქვენს მეუფობის მორჩილ და ერთგულ ყმაბაღ.

თქვენს მიერ შეილაღით გაზრდილი და მიწა თქვენი მეუფობისა სულხან ყაფლანიშვილი“.

შეჩერდა თუ არა ქაიხოსრო, მეფემ უმაღლე იკითხა:

— როგორ ბრძანდება ჩემი საყვარელი ბიძისწული სულხანი?

— თქვენი წყალობით, კარგად ვახლავთ, დიდებულო მეფე, — მიუგო შანშემ, — ასე დამაბარა სულხან ბატონმა: თქვენს მეუფობას თუ რამე დასჭირდეს, ნუ მოერიდება, ჩემს სახელზე გამოართვას ჩემს სიამარსო. აღრეც მოეწერა წერილი ათაბაგისათვის. ახლაც გამომატანა. თქვენდამი დახმარებას სთხოვს ბატონი სულხანი.

— თუ იცი, შანშე, სულხანი თავის შრომას აგრძელებს ისე?

შანშე ვერ მიხვდა რა შრომაზე ეკითხებოდა მეფე.

— სულხანი ქართულ სიტყვათა კონას აღგენდა. კიდევ თუ მუშაობს, არ იცი?

— აჰ, დიახ, დიდებულო მეფე, როგორ არ ვიცი. მუშაობს. ამბობენ, ბევრი სიტყვა შეუკრებიანო. თავის სიტყვათა კონაში ყოველი ქართული სიტყვა შეაქვს თურქე... — სიხარულით წამოიძახა შანშემ: რაკი მეფე მასი ბატონის შინაურ საქმეებსაც გადასწვდა, მაშასადამე, გულიც მომბალი უნდა ჰქონოდა თამაზ სარდლისა და მისი ოჯახის მიმართ.

— როცა დაბრუნდე, გადაეცი: ნუ შეწყვეტს შრომას. რამდენადაც შეიძლება, სრულკუოს. მოათავებს თუ არა, ერთი ცალი ჩემთვის იგულე, ასე ძალიან ვერაფრით მაამებთქო, უთხარი.

— დიდი სიამოვნებით, დიდებულო მეფე!

ფეხზე წამოდგენ სტუმრები. შეწყვიტეს სტუმრებისა თვის ბოდიში მოიხადეს.

— როდის მილიხარ, ქართლში? — შანშეს შეეკითხა გიორგი.

— როცა თქვენ მიბრძანებთ, დიდებულო მეფე!

— ჰო, კარგი, მაშინ სახვალიოდ მოეამზადებ ვასტანებელ წერილებს. ისე, კი არ დაგავიწყდეს, ბიძა-ბატონ თამაზს ასე გადაეცი: ერთგულუბა ისეთი რამ არის, რომ არც ყიდვა შეიძლება მისი და არც გაყიდვათქო.

* * *

ნახარალოხანმა მეფე გიორგის მიერ წარმოგზავნილი ლაშქრის და გორში მყოფ ალექსანდრეზე თავდასხმის ამბავი უმაღლე აცნობა სულეიმან ყაენს. თან შეუთვალა: მეფე გიორგისაგან მოსვენება აღარა გვაქვს, შიგნით ერისთავებს გვიჯანყებს, გარედან თვითონ არ გვისვენებსო. გიორგი მეფემ და არჩილმა იმერეთი რომ წაგლიჯეს ალექსანდრეს და თვითონ დაისაკუთრეს, ამასაც არ სჭირადებინან, ალექსანდრეს მოკვლა უნდათ, რომ სამუდამოდ დაიშვიდრონ ჩიხის სამეფო, შემდეგ კი თქვენს ვრცელ სამფლობელოს ქართლ-კახეთიც ჩამოაცილონო. ახლა ამის მივედრებელი ვართო: მოწყალეობა მოიღეთ, როგორმე თავიდან მოგვაციოთ ეს ურჩინი მეუფენიო...

ნახარალოხანის მიერ წარგზავნილი დიდებულა რომ მიიღო სულეიმან ყაენმა, მთვრალი იყო. კარგა ხანს გაევილო, რაც ის ფიზიკლი აღარავის ენახა. რადედაც ნამეურობით წამოკარხლებულ შაჰს ღაწვები შეუხურდა. ტუჩების კიდებთან სიბრაზისაგან დორბლი მოადგა და იყვირა:

— მე ვაჩვენებ მაგ ნახარალოხანს, თუ როგორ უნდა დახმარების თხოვნა! სახელმწიფოდან გაძევებული ერთი კაცისათვის როგორ ვერ მოუვლია, რა გახდა ეს გურგინიანი, ჰა?

— ჩვენს წინააღმდეგ თურქნი ეხმა-

რებიან, მზეებრ მნათობლო, ისინი ამხედრებენ გურგი-ხანს! — შეაპარა მბრძანებელს ეპტიმადოვლე მირზა-თაპარი.

ჩაფიქრდა უმიზეზოდ გამწყრალი შაჰი ნაზარალიხანის ელჩი მეორე დღისათვის დაიბარა...

არჩილის იმერეთში გამეფება და გიორგის სულთანის სამფლობელოში გადასვლა საგონებელში აგდებდა სულეიმან ყაენს. მან აღრევე იცოდა, რომ სულთანი ჩუმ-ჩუმად ეხმარებოდა გიორგი მეფეს, ხოლო არჩილი რუსეთის მფარველობას ესწრაფებოდა. ადვილად შესაძლებელი იყო, შაჰნავაზის ძეთ იმერეთთან ერთად ქართლ-კახეთიც ჩაეღლით ხელში, განმტკიცებულიყვენ გურჯისტანში და, ამგვარად, ყაენსაც და ხონთქარსაც დაეკარგათ ეს ზღვა სისხლის ფასად დაპყრობილი ქვეყანა.

შეფიქრანებულმა შაჰმა ისევ თავისი გაიძვერა ვეზირთა უხუცესი მირზა-თაპარი დაიხმარა. მირზა-თაპარი ურჩია ელჩი გაეგზავნათ სულთნისათვის და გიორგი და არჩილ მეფეების თავის სამფლობელოდან განდევნა მოეთხოვათ. იქვე შეიძლებოდა შესხენება, რომ აღნიშნული მეფეები თვით სულთნის დაუთმინებელი მტრებიც იყვნენ.

— სულთანი თქვენი უდიდებულესობის სიტყვას ვერ გადაუვია, — არწმუნებდა შაჰს მირზა-თაპარი, — მაგრამ მაინც თუ არ შეიწყნარა იგი, მაშინ აღმოჩნდება, რომ აშკარა მტრობის გზას ადგას და ჩვენც ომისათვის მზადება გვმართებს.

ყაენმა ყურად იღო ვეზირთა უხუცესის რჩევა-დარიგება. მეორე დღესვე დაიბარა ისპაჰანში მყოფი განჯის ბეგლარ-ბეგის უღურღლუს შვილი ქალბალი-ბეგი, უხვად დაასაჩუქრა, თან დიდძალი თვალ-მარგალიტი, ძვირფასი ქსოვილები, საგანგებოდ დარაბტული ბედაურები, ოქროს ტახტი და სხვა საჭურჭლით საგულდაგულოდ დატვირთული ერთი სპილო გაატანა და ელჩად გაგზავნა სულთან სულეიმანთან.

„ჩემს ძმას, სრულიად დასავლეთის

მპყრობელს, უძლეველსა და თვით უძლიერესს, გულუხვსა და მზეებრ ბრწყინვალესს, ყოველ კაცობაზე განსაკვირვებელს, დიდ სულთანს სულეიმანს, სალამს უძღვნის სრულიად აღმოსავლეთის მპყრობელი, დიდებული სულეიმან ყაენი! — ასე ამკობდა სულთანისადმი მიმართულ წერილში თავის სეხნიას ყიზილბაშთა მპყრობელი, — მერმე ამას მოახსენებს: ჩვენ სრულიად აღმოსავლეთისა და სრულიად დასავლეთის მპყრობელნი ერთარჯულნი და დიდი ალაპის, იდიდოს მისი სახელი, უერთგულესი ყმანი ვართ. დიდი წინასწარმეტყველის მაჰმადისაგან ნათელქოსილნი და მისი ძლიერებით ერთმანეთთან ძმური კავშირით შეკრულნი... გიჟართ, ყოველთ ურჯულთ, სურთ აღმხედრდნენ ჩვენს წინააღმდეგ, დაასუსტონ ჩვენი კავშირი და აღფხვრან, ნუმც იქმნების, გეფარავდეს დიდი ალაპი და წინასწარმეტყველი მაჰმადი. ისლამის ერთგულ მსახურთა ძლიერება, ჩვენი ყმანი, შაჰნავაზ-მეფის შვილები: შაჰნაზარ-ხანი¹ იმერეთს ეჭიდებოდა და მისი ძმა გიორგი-ხანი ეხმარებოდა მას. ზოგი იმერელი თავადნი, მოლაღატენი თქვენი მეფობისა, წასვლოდნენ იმერეთის მემკვიდრეს ალექსანდრეს და შაჰნაზარ-ხანს მისვლოდნენ. ამათ შემოვწყერით ჩვენს ყმათ, გიორგი-ხანს ქართლი და კახეთი წავართვით, ჩვენს ბედნიერ კარზე დავიბარეთ, წაგვივიდნენ და რაჟის ერისთავმა შეიფარა. მერმე იქიდან თქვენს საბრძანებელში გადმოვიდნენ. იმერეთი შაჰნაზარ-ხანს უშოგეს და ალექსანდრეს, იმერეთის ნამდვილ მემკვიდრეს, თქვენი კარი შეუკრეს, ღონე გაუწყვიტეს და ჩვენ შემოგვეხვეწა. ახლა ამას მოველით, ხელმწიფეო, თქვენს მეუფობისაგან, ამისი ვართ მთხოველი, რომ იმერეთი თავის კანონიერ მემკვიდრეს, ალექსანდრეს უბოძოთ და ჩვენი

¹ ამ სახელს არჩილ მეფეს უწოდებდნენ სპარსელები.

გამოყრილი ყმები თქვენს მამულში არ დააყენოთ!

თქვენი უერთგულესი ძმა, სრულიად აღმოსავლეთის მპყრობელი სულეიმან ყაენი“.

ქალბალი-ბეგმა ერევანში შეიტყო სულთან სულეიმანის გარდაცვალება და ბონთქრის ტახტზე მისი ძმის მუსტაფას ასვლა. შეპოქმანდა ყაენის ელჩი, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა ახალ სულთანს წარსდგომოდა. ყოველად მოწყალე ყაენის ბარათში მისამართები შეცვალა და აგვისტოს მიწურულს ეახლა ახლად გაბონთქრებულ მუსტაფას. შაჰსულეიმანის ელჩი დიდი პატივით მიიღო სულთანმა. გაბონთქრების პირველ დღეებშივე შაჰისაგან უხვად მოძღვნილი საჩუქრები თვალში მოუვიდა თურქეთის მპყრობელს. ერთ კვირას გადაბმულ ნადიმებზე ამყოფა ირანის ელჩი, შემდეგ ფირმანით გურჯისტანის ვილაიეთის მპყრობელთან სალიმთან გამოგზავნა.

„დაატყვევე გიორგი-ხანი და ქალბალი-ბეგს გადაეცი. შაჰნაზარ-ხანიც გააძევე იმერეთიდან, ალექსანდრე გადმოიყვანე ქართლიდან და იმერეთს გააძეფო“, — უთვლიდა სულთანი ახალციხისა და ყოველთა მის კიდეთა მპყრობელ ფაშას.

* * *

განთიადის ეპი იყო მოწვეული. წვიმდა და თქორავდა. იცრემლებოდა მოლღუშული ცა.

მეფეს ძილი გაუფრთხა. თქმის თავზე კანჭისქედს მიღებული ჭრილობა აწუხებდა. ვერ მოისვენა საწოლში, წამოდგა, მსახურთ უბრძანა, სამოსი ჩაეკვიათ.

რამდენჯერმე საწოლ ოთახში გაიარა-გამოიარა გარეთ უკუნი სიბნელე იყო. ვერცხლის შანდალში სანთელი იღვენებოდა. მისი მომკრთალო შუქი კედლებზე ფარფატებდა. მეფეს თავისი ჩრდილი დასდევდა. გიორგიმ თვალი ედღელზე მიმდგარ ლანდს მიაპყრო და

გაიფიქრა: „თვითონ კი რაღა ვარ, თუ არა აჩრდილი! ჰო, აჩრდილი ვარ, ჩემი არსების აჩრდილი!“ ძილგამკრთალს მწუხარე ფიქრები მოეძალნენ. ბევრს ეცადა, მაგრამ გულიდან ველარ გადაიყარა კმუნება... თვალწინ აწინდელი საქართველო უდგა. აწეწილი, მტერთა თარემით განაწამები, დარბეული და დაწიოკებული...
კარადასთან მივიდა, იუსუფის მოძღვნილი ფსალმუნე გამოიღო. მსახურები გასულიყვნენ. სინათლე თვითონ მოიტანა საწოლთან, გვერდზე მიწვა, ფსალმუნის კითხვა დაიწყო. დიდხანს ისევ უსიამო ფიქრები დასტრიალებდნენ. ვერ იქნა, ვერ მიაპყრო გულისყური დავითის ლექსებს.

გადაფურცლა, მესამოცე ლექსი წაკითხა:

„შეისმინე, ღმერთო, ვედრებისა ჩემისა, მოხედენ ჩემსა ლოცვასა, კიდითვან ქუეყანასად შენდაში დალად-გყავ მოწყალეებისა გულისა ჩემისა, კლდესა ზელა აღმაძღლე მე, მიძლოდე მე, რამეთუ იყავ ჩემდა სასო. გილოლ მტკიცე წინაშე პირსა მტრისასა. დავემკვიდრო საყოველთა შენთასა, რამეთუ შენ ღმერთიანი ისმინე ლოცვათა ჩემთა და ეც მკვიდრება მოშიშთა სახელისა შენისთა. დღითიდღე შესძინონ წელიწადნი მისნი მიძღმდე ნათესავითი ნათესავად“...

ამის წაკითხვამ გული მოუფონა. ხმა-მალა განმინდა: „რამეთუ იყავ ჩემდა სასო, გილოლ მტკიცე წინაშე პირსა მტრისასა!“ ნალველი განუქარვა, თითქმის ტკივილებიც დაუამა დავითის საგოდებელმა.

„აღსდევინ ღმერთი და განიბნენდ ყოველნი მტერნი მისნი და ილტვოდინ მოძულენი მისნი პირისა მისისაგან, ვითარცა მოაკლდეს კვამლსა, მოაკლდენ და ვითარცა ცვილი რა დადნეს წინაშე ცეცხლისა, ეგრედ წარწყმდენ ცოდვილნი პირისაგან ღმრთისა“...

მესამედ იყვილა მამალმა. გათენების მახარობლის ხმა ყრუდ ჩაესმა ფსალმუნით გატაცებულ მეფეს. თავი აიღო.

„აღდეგინ ღმერთი და განიბნენდ ყოველნი მტერნი მისნი და ილტვოდინ მოძულენი მისნი ბირისა მისისაგან“... — გონებაში უტრიალებდა ფსალმუნის ეს ლექსი.

„არა, აღარ ვეგბის ასე, — გაიფიქრა მეფემ, — დრო არს აღდგომისა, მტერთა განბნევისა! ველარ მოითმენს მამული, ქვეყანა, ველარც თვითონ პე“...

გარედან რაღაც ხმაური მოისმა. მეფემ ყური მიიპყრო. მოეჩვენა თუ მართლა იყო რაღაც ხმაური? სარკმელში გაიხედა. არაფერი ჩანდა.

ის იყო, მეოთხედ იყვილეს მამლებმა, გათენების მოახლოება მეოთხედ ახარეს ქვეყანას, რომ მეფის საწოლ ოთახში ქაიხოსრო შემოიჭრა.

გიორგის გაუკვირდა: რა უნდა დამართოდა ქაიხოსროს, ამ დროს რა უნდოდა აქ, ან ასე რას აეღელვებინა!

— რა ამბავია, ქაიხოსრო? — ჰკითხა მოსულს.

— ანიჩრები შემოგვეტყუნენ, ბიძაბატონო, სულთანის შრქანებით თქვენი დაჭერა უნდათ! — მითროლვარე ხმით ნოახსენა ქაიხოსრომ.

— ჩემი დაჭერაო? — ნაძალადევად გაიღიმა მეფემ და თავი დაუჭრა დოლენჯის, რომელიც სწორედ ამ დროს შემოვიდა ოთახში, — მერე რა ჰგონიათ თელხარბ ოსმალებს, დიდ სიმდიდრეს შესძენთ ჩემი დატყვევება?

— მპატიეთ, დიდებულო მეფეე, დრო აღარ არის! — ახლა უჩვეულოდ აღვლვებული დოლენჯი მიეჭრა ბატონს, — მე ყოველთვის ვიცოდი ოსმალთა ოქპირობის ამბავი, მაგათი სიკეთე არ დაიჭერება... რამე უნდა ვილონოთ!

— კაკაბი არა ვარ, ქორით მომინადირონ, — მშვიდად თქვა მეფემ, — არც გნოლი ვარ, რომ ანიჩრებმა ძუის მახით დამიჭირონ. ხმალი მეც მარტყია, მაგაზე ნუ ღელავთ. უსისხლოდ მინდოდა მომეგვარებინა საქმე. რაკი ასე არ ხერხდება, დაე იყოს აგრე! ქაიხოს-

რო, უბრძანე მზად იყვენენ ჩვენები. მაგასაც ვნახავ, რას გაიტანენს!

— ყველა გავაღვიძე. მარშალებმა გაცემულია, გავაფრთხილებ ხელახლა! — მოახსენა მძისწულმა და ბრძანების შესასრულებლად გაბრუნდა.

• • •

სალიმ-ფაშას მიერ მეფე გიორგის დასატყვევებლად წარგზავნილნი მთელ ორ დღეს აღგნენ ზიკილიან სასახლეს. ვერ ბედავდნენ მეფისათვის თავდადებულ ქართველებზე იერიში მიეტანათ. ყველამ კარგად იცოდა, თავგანწირულება როგორ აშმაგებს ადამიანს, ბრძოლაში კი ისე არაფერია საჭირო, როგორც თავგანწირულება და სიშმაგე. ქართველები, ცხადია, ნებით არავის დაუთმობდნენ თავიანთ ბატონს.

ისინი შემართული ელოდნენ იანიჩართა შემოტევას. ძილი და მოსვენება სულ მიივიწყეს. მთელ ორ დღე-ღამეა თვალი არავის მოუხუჭავს, რათა მოუმზადებელი არ შეხვედროდა მტრის თავდასხმას.

თვითონ მეფე გიორგისაც, რასაკვირველია, არ უნდოდა, რომ სამტროდ შემომდგარ თურქთ დანებებოდა და შემდეგ ირანის შაჰს ჩავარდნოდა ხელში. ფიქრობდა, ხმლით გაეკვლია გზა, მაგრამ თავისი რაზმის მცირერიცხოვნობა რომ მოაგონდებოდა, უმაღვე სტოვებდა გაურჩების ფიქრს. ეს ერთი მუქა ქართველები მტრის ურდოსათვის როგორ შეეხეთქებინა! თუნდ მოეხერხებინა კიდევ ვასვლა და აღყის გარღვევა, ომორაში დატოვებული ოჯახის გაყვანას მაინც ვერ მოასწრებდა. ისინი შეიძლება უკვე დატყვევებულებიც ჰყავდათ. განრისხებულ ოსმალებს ვაითუ უმწეო ქალებზე ეყარათ ჯარი! ამოდენა მსხვერპლის გაღება გიორგის არ შეეძლო. მას ისევ დატყვევება და ზონთქრის ან ყაენის კარზე გაგზავნა ერჩია. დოლენჯი და მესხი

დიდებულებიც მტერთან მშვიდობიან მორიგეობას ურჩევდნენ.

თურქებთან მოლაპარაკების დროს დოლენჯიმ მონებრებულად გამოიყენა სუნიტური ოსმალების სიძულვილი შიიტური ირანის მიმართ. მოთაფლულ სიტყვებს ძვირფასი საჩუქრებიც მიაყოლა. იანიჩართა ემირები დიდად კმაყოფილი დარჩნენ ამ საჩუქრებით. მაშინვე თავი გამოიდეს, — ჩვენთან შენოფარებულ სტუმარს წყეულ ყიზილბაშებს როგორ დავუთმობთო. შეიკრა პირობა. იანიჩრებმა საპატიო სტუმრად იახლეს მეფე.

სალიმ-ფაშამ სცადა ოსმალთა მბრძანებლის სულთან შუსტაფას ნება და ყანის სურვილი შეესრულებინა, მაგრამ ემირების მტკიცე წინააღმდეგობას რომ წააწყდა, შაჰის ელჩს ქალბალი-ბეგს თავისი ბატონის წინაშე ხელცარიელი წარდგომა ურჩია. არც იმის შესხენება დაეწიებია, რომ ამ თავზეხელაღებულ ქართველებს არაერთი ელჩისათვის უხლიათ ხელი. ახლაც ვინ იყო თავდები, რომ იგივე არ მოხდებოდა. ქალბალი-ბეგს კი არ მოეხათრებოდნენ...

ყანის ელჩს რომ ამ რჩევას აძლევდა, სულთანის ცბიერ შაახურს სალიმ-ფაშას არ ავიწყდებოდა ერთი რამ: თუ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მბრძანებელთა წინაშე თავი ვერ გამოიჩინა დავალების შესრულებით, მეფე გიორგისთან მაინც აღარ გაეფუჭებინა საქმიე, მცირედით მაინც მოეგო დატყვევებული მეფის გული. გიორგის სამყოფად ძვირფასად მორთული ათაბაგების სასახლე მიუჩინა, შემდეგ თვითონაც ეწვია და ბოდისის მოხდით სცადა თავის მართლება:

— რა ვქნა, კარგად მოგეხსენებათ, როგორი მოწყალე ვახლდათ სულთანი სულეიმანი ჩემი. ის რომ ყოფილიყო, ვთხოვდი, რაიმეს შევასმენდი. მეტად გულრძოდ და თავნება კაცს ამბობენ ახალ სულთანს მუსტაფას. მცირე რამ ურჩობა რომ შემნიშნოს, მეც შემომწყრება. რა ვქნა... ისე, ჩემს რჩევას რომ დაუჯერებდეთ... იქნებ თქვენი ნე-

ბით მინდობოდით მზეებრ ბრწყინვალე შაჰინ-შაჰს. ლომობიერი კაციათ... ამბობენ, უთუოდ შეგინდობთა! მუშამაგლობას ქალბალი-ბეგი კისრულობს...

განჯის ბეგლარ-ბეგის შვილის ქალბალი-ბეგის დაპირების იმედად შაჰისათვის მინდობა იგივე იყო, რომ მეღას ადევნებულ მწევარს პირდაღებული მგლის ბუნაგში ამოეყო თავი. სპარსელთა და თვით შაჰინ-შაჰის დაპირების ფასი კარგად იცოდა გიორგიმ. ვინმესადმი პატივისცემასა და თავაზიანობას ისინი მანამ იჩენდნენ, ვიდრე მოწინააღმდეგეს ხელში მოიგდებდნენ. ამის მერე აღთქმული დაპირება ისე ახსოვდათ, როგორც წელიწადნახევრის წინ ნახული სიზმარი. განა ასეთი დაპირებით არ მიანდო შაჰს ლევანი და ბაგრატი? ის ახლა, ალბათ, უარესს, ან იგივეს უპირებს მისაც...

— ბატონო სალიმ, სპარსეთისა და თურქეთის მბრძანებელთა ზნე, ვფიქრობ, ორივემ კარგად ვიცით, — ღმილით შენიშნა ფაშას მეფემ, — მგონი, ჩემს ადგილზე რომ ბრძანდებოდეთ, თქვენს თავს ამას არ ურჩევდით.

სალიმმა იხევე დადუმება და საკუთარ ტყავში დატყევა ირჩია. ვიორგი მეფე მარტო დარჩა თავის სასახლეში.

ათაბაგების ძველთაძველ სასახლეს, ვინ იცის, რამდენი საამო და ტკბილად მოსაგონარი დღე ახსოვდა. ვინ მოსთვლის, ჯაყელ-ციხისჯვარელთა რამდენი თაობის ღმინსა და ზემს შესწრობოდა. წარსულს თავისი დადი დავსვა სასახლისათვის. გარედან გაძრკვნილ ხეს მოკვავდა, უფრო ბებერ მუხას. თავის დროზე სუფთად გათლილ, მზინავი ფილებით ნაშენ კედლებს ყანგი მოკიდებოდა, მიწაში ნავდებ ძველ სატყეარივით. ალაგ-ალაგ მზის მცხუნვარებისა და ყინვის ზემოქმედებით კედლები მუხის ქერქივით დაბზარულიყო. ხავსი მოსდებოდა წითელი კრამიტის სახურავს. შიგნით შესვლისას მალა თალებქვეშ მოხვედრილი ადამიანი ერთბაშად სიცივეს და ხალვათობას იგრძნობდა. მრავალფერად მოხატული

კედლები შორიდანვე მოწყენილობას მოგვგრძობდა. ასეული წლების წინ გამო-სახული სახეებიდან ისეთი სიმკაცრე გამოკრთოდა, რომ თვალის გასწორება გაუჭირდებოდა კაცს. მათი შემხედავე უძალევი გაიფიქრებდი, ალბათ, მესხეთის ახლანდელი ყოფის გამო მრისხანებენო. ვარდისფერი მარმარილოს ფილებით მოგებული იატაკი ალაგ-ალაგ გადაცვეთილიყო. ამოცვენილი ფილები აჭა-იჭ მწვანე და შავი მარმარილოთი შეეცვალათ და იატაკი გარდარბებული კაცის საკერებლებით აქრულებული სამოსისათვის დაემგვანებინათ.

გიორგი სათოფურისმაგვარ ვიწრო ფანჯარასთან იდგა და ეზოში უსაგნოდ იცქირებოდა. ძირს კარი გააღეს იანიჩრებმა. სალიმს კალთები აეკრიფა და ისე ჩადიოდა კბეზე. ფაშა წელეებზე ფეხს იდგამდა, ზედმეტ თავზიანობას იჩენდა მეფე გიორგის მიმართ. ამ რამდენიმე დღეში ეს შეხუთედ თუ შეეჭვსედ ინახულა და ყოველი სტუმრობის შემდეგ გიორგის დამცინავი ღიმილი გაიყოლა. ამ გადაგვარებულ ქართველს, პირად კეთილდღეობას რომ ყველაფერი ანაცვალა, ადამიანური ღირსების ნატამალიც აღარ გააჩნდა. ნუთუ ასე ადვილად აღმოიფხვრა მის სულში თავნება ათაბაგების სიამაყე, რომელმაც თავის დროზე ცოტა ზიანი როდი მოუტანა სრულიად საქართველოს შეფეხებს! სალიმ-ფაშა დღეს დიდი ბეჭას, მზექაბუჯ-დიდისა და მანუჩარის ლანდილა იყო!

ჩემი სიძე, ბატონი სულხან ორბელიშვილი მწერს თქვენზე, — უთხრა ერთ-ერთი მოსვლის დროს სალიმმა, — შემწეობა აღმოუჩინეო. იმასაც რომ არ მოეწერა, როგორ გაგიმეტებთ, უცხოთა ტყვეობაში როგორ წარგვზავნით ქართველთა პატრონს, რაც შემოძლია, არ დავიშურებო..

ფაშის სიტყვებმა მწარე ღიმილი მოგვარეს გიორგის:

„ჰჰ, მაშინ წავხდი, ოდეს შენებრ გადაგვარებულთა დასახმარებლად გა-

მიბდა საქმე!“ — გაიფიქრა მან და ამოიოხრა.

გაქცეული

ქნებ მართალი იყენენ გიგამალა-ჩხარი, მალალაშვილი და მუზრან-ბატონი, როცა ევედრებოდნენ, ოსმალთა სჯული მიიღე, როგორმე განთავისუფლდი და ქართლს გადმოდიო? ბარძიმ ერისთავიც ამასვე სწერდა: ნურაფერს დაიშურებ, საჭურჭლეს ჩვენ გაახლებთ, ოღონდ ქართლში გადმოდი და ნახარალიზანის მაგივრად იბატონეო...

უშველიდა კი ოსმალთა რჯულის მიღება? სპარსელებმა ხომ მიაღებინეს ერთხელ თავიანთი რჯული. ამის შემდეგ ვითომ შეურიცდნენ კიდევ, მაგრამ მალე დევნა ისევ განახლეს. ოსმალეზიც ამასვე იზამენ. მცირე ხანს მოეფერებოდნენ, დაუტყებდნენ, მერე კი ისინიც სპარსელებივით დევნას დაუწყებენ. განა ან ერთს და ან მეორეს ის აწუხებთ, თუ რომელი ღმერთი სწამს გიორგის? მათ გიორგის უსიტყვო მორჩილება და ქართლზე განუყოფელი ბატონობა სურთ. ამას რომ ვერ მიიღებენ, ცხადია, ისევ მტრებად აღუდგებიან.

ფიქრი კარის ქრიალმა შეაწყვეტინა. დარბაზში მსახური შემოვიდა.

— დოლენჯი ხმალამე და იუსუფ აბაშიძე გეაზღუნენ, მეფეო!

— ახლავე შემოვიდნენი — მიუგო გიორგიმ და გულხელდაჭდობილი კარს მიაჩერდა. წუთსაც არ გაუვლია, ბიძა და დისწული გამოჩნდნენ.

— ჩემს მასპინძლებს ვახლავარ, ჩემს მასპინძლებს! — მხიარული ღიმილით შეეგება მათ გიორგი და სავალდებულო მისალმება-მოკითხვის შემდეგ აქეთ-იქით ამოაყენა ორივე, — როგორ ხართ, რასა იქო?

— თქვენი თავი გვიყოფოს კარგად, ჩვენ, თქვენს ფეხთა მტვერთ, აბა, რა გვიქირს! — ორივეს მაგივრად უპასუხა დოლენჯიმ.

— მობრძანდით, დაბრძანდით! მართალია, ჩემს სასახლეში ვერ გაბატი-

ყოფთ, მაგრამ დღეს ეს სასახლეც მე მეკუთვინის!

იუსუფი გაოცდა, რომ განსაცდელის ემას მეფე ასე ლაღად გამოიყურებოდა. ქაიხოსროს ამასწინანდელი ნათქვამი ირწმუნა: დიდი მწუხარების წუთებშიც შუბლმეკრული და იმედწართმეული არ მინახავს მეფეო, რაც უნდა გასაჭირი შეხედეს, მაინც მხნედ გამოიყურებო. გიორგი მხოლოდ შვილის სიკვდილის ამბავმა გასტეხა, მაგრამ ამ დიდ ჭირსაც მალე მოერია და წაქცეული ფეხზე წამოუდგა.

— ახალს რას იტყვით? — შეეკითხა სასურველ სტუმრებს მეფე.

— თამაზ სარდალს დიდძალი ძღვენი და ბარათი უახლებია თქვენთვის! — მიუგო დოლენჯიმ და თამაზ სარდალის წერილი გადასცა.

მეფემ ახსნა ლექვი, წერილი ამოიღო და იქვე შეუღდა კითხვას.

ოსმალებისაგან თქვენმა დატყვევებამ ძლიერ დაგვაღონაო, წერდა თამაზი და, სხვების მსგავსად, ურჩევდა ოსმალთა რჯული მიეღო, საგანძურით თვალეზი ამოეკო თვალხარბი მოხელეებისათვის და როგორმე მოეხერხებინა ქართლში დაბრუნება. „მცირედი საქურძლე გაახელ, მალე სხვასაც გამოგიგზავნი“, ამთავრებდა ორბელიანი.

— ესეც იმასვე მწერს, რასაც ჩემი სიძე — ბატონი გივი! — ისევე გაიღიმა მეფემ. სავარძლის საზურგეს მიეყრდნო. ხელში თამაზ სარდალის ორად გაეცილი ბარათი შერჩა.

— ასევე გთხოვდით მეც, დიდებულო მეფევ! — დაუმატა დოლენჯიმ.

— თქვენც, ბატონო დოლენჯი? — გაიკვირვა მეფემ, შემდეგ იუსუფს მიუბრუნდა: — შენ რაღას მეტყვი, ჰაბუკო?

— თავად უკეთ უწყით, დიდებულო მეფევ, მაგრამ... — იუსუფი წამოწითლდა.

— რა „მაგრამ“?

— არ მინდოდა მე თქვა, დიდებულო მეფევ... როდესაც მეტი ღონე არ არის, მაშინ კაცმა ორი ცული გზიდან უმჯო-

ბესი უნდა ამოირჩიოს: თამაზ სარდალის მიერ ნარჩევი გზა იქნებ ვარვისიც იყოს, მაგრამ არც ისე საიმედოა, კარგად მოგესხენებათ, აუზაჯს რომ დღისით-მზისით შინ მოიწვევ და სახლკარს დაათვალიერებინებ, ადვილად მოსალოდნელია, ღამეც შემოგეპრას და გაგძარცვოს... ამიტომაც, თუ თქვენი ბიძა-ბატონის და აგერ ბიძაშემის რჩევას ყურად არ იღებთ, მაშინ სხვა გზა უნდა სცადოთ, მაშინ უნდა... უნდა ვახვიდეთ აქედან!

— გასვლით კი გავიდოდი, ჩემო იუსუფ, — ფიქრთანად, თითქოს მხოლოდ თავისთვის თქვა მეფემ, — ჩემი ნება რომ იყოს, იქნებ ერთ წუთსაც არ დამეყოვნებინა აქ. კიდევ სხვა რაღა გზა გაქვთ ახრად?

— ოსმალთა რჯულის მიღება თანდი იქნებოდა... — ახლა ცოტა უფრო გაუბედავად განაგრძო დოლენჯიმ, — მაგრამ თუ არ ისურვებთ, მაშინ ერთი გზაღა რჩება: უნდა გავაბაროთ!

მეფე ჩაფიქრდა.

— როგორ შეძლებთ ამას?! — იკითხა შემდეგ მოქურღმებულ შუბლზე კოპები დასხდომოდა.

— უნდა შევძლოთ! — დამარწმუნებლად თქვა დოლენჯიმ, — მეტი გზა არ არის!

— მოხერხდება? — ისევ იკითხა მეფემ.

— უნდა მოხერხდეს! ფოცხოვისწყლის მხარეზე ზღუდე არც ისე მაღალია. სწორედ იქიდან შეიძლება საბეჭლით ჩაგიშვათ. ციხის დარაჯებს ეშმაკის კვერთხი დაადუმებს. ყოველ შემთხვევაში, იანიჩარნი მაინც არ გამოიღებენ თავს... ქაიხოსრო და იუსუფი ცხენებით დაგზავდებიან ფოცხოვისწყლის პირზე. დედოფალი და დედამწული სლესს არიან. იმ ღამესვე ავალი-შვილისას გადახვალთ, იქ კი ოსმალები ვეღარაფერს დაგაკლებენ.

ახმა არ ამოუღია მეფეს. სახის ნაკვეთებზე ეტყობოდა, რომ დოლენჯის ნათქვამმა ჩააფიქრა. ყოველმხრივ ზომივდა ამ გეგმის არსს.

— მაპატიეთ, დიდებული მეფე, რომ თქვენს წინაშე ამდენს ვბედავ. ჩემი აზრით, ყველაზე უკეთესი ეს გზაა, — ჩაერია საუბარში იუსუფი, — ქართლელი ერთობლაჲ გელიან. გააძევეთ კაბთ ბატონიშვილს და...

მეფე ისევ მღუმარედ იყო ეტყობოდა, ვაჟკაცობით განთქმულ მხედარს ეძნელებოდა ქურდულად გაპარვა. გვიან აიღო თავი.

— გეთანხმებით! — ეს თქვა მხოლოდ და შეკრული შუბლი ისევ გაეხსნა.

• • •

ბნელი ღამე იყო. ნოტიო ბურუსი დასწოლოდა დედამიწას. ქალაქს ღრმა ძილით ეძინა. ხანდახან ძაღლების ყეფა თუ დაარღვევდა მუხდროებისა და ისიც უმაღლე მიწყდებოდა. მარტო ფოცხოვისწყალი იყო, რომ თამამად მიაქანებდა ტალღებს, მიჰქროდა ხეც-ღეღეღებში, ჩხრიალებდა კლდეებზე შეხლილი. წყალი, მართალია, თვალზე რულს არ იკარებდა, მაგრამ ჩვეული რიხიანობა აკლდა მის ხმას, ყრუდ ხუროდა, თითქოს იგუდებოდა ნისლის საბანქვეშ.

მადლიდან უზარმაზარი ლანდივით გადმოსჩერებოდა ხევის ძველისძველი ციხე. აქა-იქ ოდნავ გამკრთალი სინათლის ციგლიგი და დროგამოშვებით ღამის დარაჯთა ერთურთისადმი ვადაძახ-გადმოძახილი თუ ამეღავენებდა მის სიციხეს.

სარკმელსწინდგარმა მეფემ გარეთ გაიხედა. სწორედ რომ მისი საქმისათვის იყო შესაფერი ეს ღამე. ცოტა ხნის შემდეგ ციხის ზღურბლს გადააბიჯებდა, ხვალ ქართლს იხილავდა, საყვარელი მამულის მიწაზე ფეხს დაადგამდა, მოინახულებდა სანუჯვარ ქვეშევრდომებს...

მას თანდათანობით მოუსვენრობა იპყრობდა. ძალამილეულს მეტის ატანა აღარ შეეძლო. წუთებს ითვლიდა. ყოველი წამი კუს ნაბიჯით მიცოცავდა და

გულს უღონებდა. აუტანელი გამოდგა დროის ნელი სრბოლა. სანუჯვარი წუთების მომლოდინე მეფე როგორც დღეერ ჰგავდა ახლა დაღლილობისაგან მუხლმოკვეთილ ქვეითად მოსიარულეს, ტრიალ ვაკეზე გადაქიმულ გზაზე რომ მიდის და აღარ ელევა სავალი.

მოაგონდა: ჯერ ისევ ბავშვი იყო, მაშამისი ვახტანგი რომ იმერეთს მიდიოდა სალაშქროდ. შეევედრა გიორგი, მეც გამიყოლეო. მეფემ ჯერ უარი უთხრა მცირეწლოვან შვილს, მაგრამ შემდეგ შეებრა და დაეთანხმა, კარგი, წამოდიო. გიორგი მაინც ეკლებზე იჯდა: ვაითუ შამამ ცათუნებამდე გადაიფიქროს ჩემი წაყვანა და ისევ უარი მითხრასო. სწორედ მაშინ ესწრაფებოდა ასე ძალიან ღამის გასვლას და განთიადის მოახლოებას.

„ეჰ, ახლაც მაშინდელივით ვცმუტავ. ნუთუ ბავშვური აღტყინება ყოველთვის გვდევს თან?“ — გაივლო მეფემ გულში. თავისივე თავისა შერცხვა, რომ მოთინებდა ახლაც არ ჰყოფნიდა.

აი, მოატანა, როგორც იქნა, დათქმულმა დრომაც, მაგრამ ჯერ არც დოლენჯი ჩანდა და არც სხვა ვინმე.

„რად დააგვიანეს? — შეფიქრიანდა გიორგი, — ვაითუ ვინმემ გასცა, ან სხვა მიზეზით ჩაეშალა დოლენჯის გეგმა?“

ზღვიზედ წამოეშალნენ გულისმდრღნელი ეჭვები. ამ ორ დღეში გაპარვის აზრს ისე შეეთვისა, რომ ეთქვათ, ორ დღეს კიდევ დარჩი აქ და შემდეგ დიდი დიდებით გაგისტუმრებთო, მაინც გული დასწყდებოდა.

ფიქრი ფიქრს სცვლიდა, დრო მიდიოდა, დოლენჯი კი ჯერ მაინც არსად ჩანდა.

გიორგის იმედი გადაუწყდა. უთუოდ რაღაცა მოხდაო... სწორედ ამ დროს შემოაღო დოლენჯიმ დარბაზის კარი და თავისი მეფის გულს სიხარულის ნათელი მოჰვინა.

— კარგად არის საქმე, დიდი ბატონო, ამინდიც სათქვენო დადგა, — მღამ-

ლად თავი დაუტყრა მოსულმა, — მზად არის ყოველივე...

— ახლავე წავიდეთ? — მეფეს კვლავ მოუთმენლობამ აუძგერა გული.

— ახლავე! — დაუდასტურა დოლენჯიმ.

მეფემ სამყოფელს მიმოავლო თვალი. განშორების უკანასკნელ წუთებში თითქოს კიდევ დაენანა იმ სავანის დატოვება, სადაც ორ კვირაზე მეტ ხანს იყო ჩაქეტილი.

დოლენჯიმ მეფის იარაღსა და სამოსს წამოაგლო ხელი, მსახურებს მიაჩეჩა და ანიშნა წასულიყვნენ. მათ ფრთხილად გააღეს კარი. წამიც და სიბნელეში გაუჩინარდნენ. დოლენჯი მეფის საწოლს მოუბრუნდა. საშანი იმგვარად გადააფარა ლეიბს, რომ კაცს ჰგონებოდა, შიგ ვინმე წევსო. შემდეგ ორივე ფეხაქრეთით გამოვიდა გარეთ, გამოსვლისას პირველი გადაისახეს და მარჯვნივ გაუყვნენ სასახლეს. სამხრეთის კედლის ძირში თოკი იყო ჩამოშვებული. ბარგით დატვირთული მსახურები უკვე ეშვებოდნენ დაბლა. მალე დოლენჯის და გიორგის რიგშიც მოაწიდა. დოლენჯიმ მეფის დაწინაურება ამჯობინა. თოკი თავისი ხელით ამოაბა ილიებში და მკერდთან საიმედოდ გადაუკვანდა. ფრთხილად ჩაუშვეს. საბელი რამდენჯერმე შეირბა. მესამე შერხვევისას მეფე უკვე ძირს იყო და მსახურების დანმარებით თოკს იხსნიდა. დამხედურთა შორის იუსუფიც იყო თავისი კაცებითურთ. სადაც მამლები აყვილდნენ. თითქოს ამ ნიშანს ელოდნენო, ციხის ქონგურებზე დარაჯები ვაეხმარუნენ ერთმანეთს. ორიოდ წამის შემდეგ ისევ მიწყდა გადაძახილ-გადმომახილი და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

მეფე და მისი თანმხლებნი ფრთხილად მიჰყვებოდნენ ფოცხოვისწყლის პირს. ბაღების ბოლოზე ქაიხოსრო დაუხვდათ ცხენებით. ბიძა-ძმისწულმა ერთმანეთი გადააკოცნეს და ცხენებს მოახტნენ.

ბაღებში სტვენა ატყდა. სტვენას მალე ყვირილიც მოჰყვა.

— აუ, აუ, ქურდები! — ყვიროდა ვილაც.

ცხენოსნებს ყურადღება არ მიუქცევიათ ყვირილისათვის, მხოლოდ ფეხი ააჩქარებინეს ცხენებს.

— არ აიკლეს აქაურობა? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მეფის სიახლოვეს მომავალმა დოლენჯიმ.

— ვაშლის ქურდობაღა გვაკლდა... — გაიცინა მეფემ.

ახლა უკვე სამშვიდობოს იყვნენ გასულნი.

ნისლი თანდათან ჩაიკრიფა. ცახე აცურებულმა შთვარემ გზა გაუქვლია მგზავრებს. მათ აგარას გვერდზე გაუარეს, შემდეგ მარცხნივ აუხვეეს, აწყურრი სამხრეთით მოიტოვეს და განთიადისას სლესაში ამოჰყვეს თავი.

• • •

გათენებული იყო. ლურჯი ცის თალი თითქოს მალლა-მალლა მიიწვედა და თანდათან ბაცდებოდა. შარვაშეთის მთების მხარეზე მზის ამოსვლის წინ სისხლისფერად იღებებოდა ცის კიდე.

ხეობაში ცხენოსანი ლაშქარი მიიკლანებოდა. ლაშქარს წინ შინდისფერი სამეფო დროშა მიუძლოდა. დროშაზე ბაგრატიონთა ღერბი იყო ამოქარგული: უკანა ფეხებზე შემართულ პირდაღებულ წვეილ ლომს ტორებით მალლა აწეული მეფის გვირგვინი ეკავა. ლაშქრის შუაში ტაბატრევანებით ქალები მიჰყავდათ. დოლენჯის, ძმისწულებისა და იუსუფის თანხლებით, სულ ბოლოს მეფე მიდიოდა.

იუსუფი ჩაფიქრებული მიჰყვებოდა ლაშქარს, აგონდებოდა, სამცხეში გადმოსვლისას რომ ახლდა მეფეს. მაშინაც ასე იყო გაწეილილი მეფის რაზმი. ფალავნების გორაზე გამართული საუბარი და მეფის დალონებაც ვაახსენდა. თვითონ მეფე ქაიხოსრო, ვახტანგი და სხვები ხომ მაშინ გაიცნო. ამ მცირე დროის მანძილზე ისე შეეთვისა და გაუშინაურდა ყველას, თითქოს მათთან აღზრდილი ყოფილიყოს. მეფისა და მისი ოჯახის აყრის შემდეგ რაღას ემგვანე-

ბოდა ომორა, ერთი მიყრუებული, მივარდნილი სოფელი! იუსუფს გული ატყუვდა. რაღა იქნებოდა იმისი ყოფა და სიცოცხლე უამათოდ!

ქაიხოსრომ შენიშნა უკუნებობა. ცხენი შეაყენა და ჰკითხა:

— რამ შეგაწუხათ ასე ძლიერ, ბატონო უსუფ?

იუსუფი შეკრთა არ ეგონა, თუ ვინმე თვალს ადევნებდა.

— იქნებ ავად ხართ? — ბატონიშვილი სულ ახლოს მივიდა, სახეში ჩახედა.

— არაფერია... — ძლივს მონახა საჭირო სიტყვა იუსუფმა და უცებ სიმართლედ წამოსცდა: — მიხარია, მაგრამ მაინც მალონებს თქვენი წაბრძანება. ამ კაცობაში მართო ვრჩები... ნეტავი მეც თქვენთან ერთად მოვდიოდე...

— მერე შენი კუთხე ვის უნდა დაუტოვო? — მეგობრული თანაგრძნობით მოუღო ქაიხოსრომ და ცხენი დასძრა.

— ამიტომაც ვერსად მივდივარ... — საწყლად თქვა იუსუფმა, — თუ ძალით არ წამართვებს, ნებით ვერ შეველევ. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, ადამიანმა ის მხარე მიატოვო, სადაც დაიბადე და გაიზარდე, სადაც ყოველი ქვა, ყოველი ხე ნაცნობია, სადაც მამა-პაპის მარად სახსოვარი ძელები განისვენებენ! არა, ძნელია, ძნელი!

— მიტომაც ტკილია მამული! — ნაღვლიანად შენიშნა ქაიხოსრომ.

— ძნელია საყვარელი ადამიანების დაშორება, ბატონიშვილო, მაგრამ უფრო ძნელია სამშობლო მხარის მიტოვება. მერცხალი რომ მერცხალია, ისიც კი არ ჰქარგავს თავის ბუდეს....

ის იყო ზოვრეთის ციხეს დაუპირისპირდნენ, რომ ერთი მეწინავეთაგანი ბეფესთან მოიჭრა და ფრიად მოულოდნელი ამბავი მოუტანა: მეწინავე რაზმი იმერთა მეფე ალექსანდრეს ოჯახს შეყროდა გზაში. მეფის ოჯახს ოცდაათი ცხენოსნისაგან შემდგარი ამაღა ახლდა. უცაბედად მივადექითო, ამბობდა შიკრიკი, არაფინ არაფერი იცოდაო.

დოლენჯი, იუსუფი და მძისწულები ვარს შემოერთყნენ მეფეს.

— დაატყვევე, ქაიხოსრომ! — როს მძისწულს მიუბრუნდა გიორგი, — სისხლის დაღვრას უფრთხილდი, კარგად შეიტყე, თვითონ ალექსანდრე სადღაა!

ქაიხოსრომ რამდენიმე მხედარი გაიყოლა და შიკრიკთან ერთად წინ გაპქუსლა. ყურები დაცქვიტა ყველამ. შეყოვნების მიზეზი უნდოდათ გაეგოთ. გიორგი ისევ ცხენზე იჯდა. ჩაფიქრებული მიწას დასჩერებოდა.

ქაიხოსრო მალე დაბრუნდა უკან და მეფეს განკარგულების შესრულება მოახსენა. ალექსანდრეს ოჯახის თანმხლებნი გასძალიანებოდნენ. იარაღი ძალით აეყარათ. დედოფალი ცხარე ცრემლით ტიროდა თურმე. შესაბრაღისად ატირებულყვენენ ბაეშეებიც. თვითონ ალექსანდრე ახალციხეშია, გუშინ წავიდაო, ეთქვათ იმერეთის ტახტის მამიებლის კაცებს.

— უბრძანე, ალექსანდრეს ოჯახი დედოფალთან ერთად ამგზავრონ, სხვებს კარგად ადევნონ თვალყური! — ისევ ქაიხოსროს მიმართა გიორგი და მისი წასვლის შემდეგ დოლენჯი ხმაღაქეს მიუბრუნდა: — თქვენს წამოწყებას, ჰგონი, კარგი პირი უჩანს...

დოლენჯი ვერ მიხედა, რას გულისხმობდა მეფე.

— რაზე ბრძანეთ, ბატონო მეფე, ეგ? — შეეკითხა.

— თქვენს მიერ წამოწყებულ საქმეს თავსავე გამარჯვება მოჰყვა. ჭერ უზიფათოდ გამოვადწიეთ იქიდან, აქაც ასე თავისუფლად ჩავვივარდა ალექსანდრეს ოჯახი. თვითონ ალექსანდრე რომ ყოფილიყო, მაშინ უნაკლო იქნებოდა ჩვენი წარმატება, — ღიმილით განუმარტა გიორგიმ.

შემდეგ იოვანე თარხნიშვილი მოიხმო, ქუთაისს აფრინა არჩილთან, რათა მისი განთავისუფლების ამბავი შეეტყობინებინა. დვირის ხიღს რომ გაუსწორდნენ, დოლენჯიმ და იუსუფმა

უკან გაბრუნება გადაწყვიტეს. ცხენები იაჩქარეს და წინა რიგებში მიმავალ დედოფალსა და კათალიკოსს დაეწივნენ. ბიძა-დისწულის ჩინებული მსპინძლობით უზომოდ პატივნაცემმა ქალებმა აღარ იცოდნენ, თავიანთი მადლობა როგორ გამოეხატათ. პატარა ქალბატონის დამშვიდობების რიგი რომ დადგა, მან მორცხვობას სძლია და ბიძა-დისწული ქართლში მიიბატიყა. იუსუფმა პირდაპირ შეჰხედა მეფის ძმის ასულს. ქალშვილის ანგელოზურ სახეზე გამოხატული მადლიერება და კიდევ რაღაც სხვა გრძნობა მას ფრიად მომხიბვლელ სანახავს ხდიდა. ხვარამზეს ეს შემოხედვა სამუდამოდ ჩარჩა იუსუფს მესხიერებაში.

ცხენები შემოატრიალეს და ახლა მეფეს ეახლნენ.

— უდიდესი ვალი დამდეთ, მეუფემ შემაძლებინოს სამაგიეროს გადახდა! — უთხრა გამომშვიდობებისას ოდნავ გულაჩუყებულმა გიორგიმ, — არა მგონია, ვერ შევიძლო...

მესხებმა თავი დაჰხარეს.

— ეგოდენ დიდი მადლობის ღირსი არაფერი გაგვიკეთებია! — თქვა დოლენჯიმ, — მხოლოდ ვალდებულება შევასრულეთ ჩვენი ქვეყნისა და მეფის წინაშე.

— უსაზღვროა თქვენი სიკეთე, — გაიმეორა გიორგიმ, — თუ უცხოელი ვიქნები, ვალში არ დაგჩინებთ!

— ბიძა-ბატონმა მართალი მოგახსენათ, დიდებულო მეფემ, — ახლა იუსუფმა ჰკადრა გიორგის, — ჩვენ მხოლოდ ვალი მოვიხადეთ. ნეტავ მეტი შეგვაძლებინოს.

მეფემ თავი დაუკრა მესხებს, ცხენი დასძრა. დანარჩენებმაც დასძრეს ცხენები. ცოტა ხნის შემდეგ გიორგი ისევ შეჩერდა და უკან დაბრუნებულთ გაჰხედა. დოლენჯი ხმალაძე და იუსუფ აბაშიძე წინ მიუძღოდნენ თავიანთ მცირე რაზმს. მტკვარი დვირის ნახევრად-დანგრეულ ხიდზე გადავლით გადასქრეს და პირი სამხრეთისაკენ ჰქნეს. ამ ხიდთან იწყებოდა ქართლის სამეფო, იქით კი სამცხის საფაშო იყო.

„მშვიდობით, მშვიდობით, დიდებულო სამცხევ! — წაიჩურჩულა მეფემ, — როდის იქნება, ეს უკუღმართი სამანი მოვშალოთ და შენს იქითა კიდეზე გადავიტანოთ!“

თვალეში მოწოლილი ცრემლი ხელის ზურგით ამომშრალა. ერთხანს კიდევ გაჰყურებდა სამხრეთ-დასავლეთს, შემდეგ კი ცხენს დეზი ჰკრა და აღმოსავლეთისაკენ გააქროლა.



პ ე ტ ი ც ი ა

ნიმუხი პირველი

ხმლისა და მოყმის ხოტბას ვიტყვი, ვინც ძველთაგანვე ტროას ქვეყნიდან იტალიის ნაპირს ეწვია.

ზღვას მისცა თავი, ხმელეთზედაც არ ასვენებდა დაუცხრომელი მრისხანება იუნონასი.

- 5 ბრძოლა გარდასდა, ვიდრე ქალაქს აღაშენებდა, კერბთ შეიყვანდა ლაციუმში, სად ლატინთ მოდგმა, ვრცელი ალბა და გალავნები არის რომისა. მუზავ, მიზეზი გვამცნე ღმერთის შეურაცხების, ღმერთთა დედოფლის მრისხანების, რომ ეგოდენი
- 10 არგუნა ვაქეაცს ქველს და სათნოს შრომა მტანჯველი უკვდავთა სული ნუთუ ასე უღმობელია?

ტვირელთ ქალაქი კართაგენი იტალიიდან, მდინარე ტიბრის სათავიდან შორს აღმართულა ბედკეთილი და შეომარი, სიუხვით სავსე.

- 15 თურმე ფრჩია იუნონას ქალაქი იგი კუნძულ სამოსსაც: საჭურველი იქა ჰქონია, ეტლიც იქავე. ბედისწერა თუ ინებებდა, მძლავრი ტომების მეუფება სწყუროდა ქალღმერთს. კარგად იცოდა, რომ ტროელთა შთამომავალი
- 20 ოდესმე ტვირელთ ამაყ კოშკებს იავარჰყოფდა, ძლიერი ხალხი დათრგუნავდა ლიბიის მხარეს: პარკებს ჰქონიათ ბედისწერა გადაწყვეტილი. ამის მოშიშმა, მესხიერმა სატურნიის ბრძოლის ძვირფას არგიველთ ტროელეზზე ძლევა არგუნა.
- 25 მიზეზი საღმრთო მრისხანების, ბოღმა მტანჯველი სულში არ დასცხრა... გონებაში პარისის მსჯავრი ჩაეჭდო, — რისხვა უარყოფილ სიტურფის გამო, მოდგმას საძულველს, მიტაცებას განიმედისა ვერ შეურიგდა. ზღვის სივრცეზე მოხეტიალეს —
- 30 დანაეს მოდგმას, აჭილვესის რისხვას აცდენილს, გზა გადაუჭრა ლაციუმში. მრავალი წელი წილად ხვდა დევნილთ ზღვად ყიალი და უგზობა.




ო, მძიმე იყო დაბადება რომელ ხალხის!

- ოდეს გასცილდნენ სიკულები ადგილსამყოფელს,
 35 და მხიარულად შეერივნენ სპილენძის ტალღებს,
 მყისვე იფიქრა იუნონამ გულდასერილმა:
 „ნუთუ ასლაც კი უნდა დაერჩე მათგან ძლეული,
 ვერ განვაშორთ იტალიას ტვევრთა ბელადი?
 სწორად სჭრის ხოლმე ბედისწერა- ნუთუ პალადას
- 40 შეეძლო მხოლოდ არგიველთა ფლოტის მოსპობა,
 თილიადი აიაქსის სიგიჟის გამო?...
 იოვის ელვა თვით გასტყორცნა შავ ღრუბლებიდან,
 გემნი მიფანტა, ზღვა გააპო ქარიშხლის ქროლვით,
 ალის მფრქვეველი, გახეთქილი შუა გულიდან
- 45 ხომალდი გრიგალს ააყოლა, კლდის ქიმზე დასვა.
 მე კი, თუმც ღმერთთა დედოფალი, იოვის და ვარ,
 ცოლიც ვარ მისი, მაინც ვებრძვი რამდენი წელი
 ერთ ხალხსა ოდენ! იუნონას ტაძარს დღეიდან
 ვინდა სცემს თაყვანს, ბომონს ზვარაკს ვინდა შესწირავს?“
- 50 ასე ამბობდა აალებულ გულში ქალღმერთი.
 ეწვია მამულს ქარიშხლისა, სად წივის ავსტრი, —
 ეოლიაში. იქ მღვიმეში მეფე ეოლუს
 შხუილა ქარებს, მოგუგუნე გრიგალსა თრგუნავს,
 ჯაჭვებით აბამს და ჯურღმულში აკეტავს შემორკილს.
- 55 განრისხებულნი აღიძვრიან ხოლმე გრუხუნით,
 ხმას გამოსცემენ დაბორკილნი, ხოლ ეოლუს,
 კვერთხის მპყრობელი, მწვერვალიდან მათ რისხვას აცხრობს.
 ასე რომ არა, ზღვას და მიწას და ცის კამარას
 პაერში მიჰფანტ-მოჰფანტავდენ ზეატაცებულთ!
- 60 ყოვლისმძლე მამამ ამის შიშით გამოქვაბულში
 ჩააკეტა ქარნი, მყის დაამხო ზემოდან მთები,
 შემდგომ სელმწიფვეც განუწესა, რომელს სადავით
 შეეძლო მათი ასხნაცა და დამორჩილებაც.
 მასთან მივიდა იუნონა, მიმართა თხოვნით:
- 65 „ეოლუს, შენ ხომ ღმერთთა მამამ და კაცთ უფალმა
 მოგცა შეძლება ქარით აღძრა ზვირთი მრისხანე!
 ტირენის ზღვიდან იტალიას მიილტვის ტომი,
 დამარცხებული პენატები და ილიონი.
 ქარიშხალს მიეც ძალა თვისი, შთანთქმას გემები,
- 70 ზღვაზე გაჰფანტოს და გვამები აატივტივოს!
 მივის თოთხმეტი ტანკენარი, ლამაზი ნიშვა,
 უტურფესია იმათ შორის დეიოპეა,
 მას ქორწინების ჯაჭვით შევკრავ და მოგვერი კიდევც,
 რომ შენთან იყოს დღემუდამთამ სანატრელ ჯილდოდ
- 75 და მშვენიერი პატარების მამად გაქციოს!“
 პრჭეა და მიუგო ეოლუსმა: „ო, დედოფალო,
 ნება შენია, მე კი მმართებს დამორჩილება!
 შენით ვფლობ კვერთხსა და სამეფოს, შენა მრთავ ნებას,



- რომ მეც ვილხენდე ღვთაებათა ნეტარ ნადიმზე,
 80 წვიმის, ქარიშხლის დაოკების უფლებით მმოსავ-
 ეს თქვა თუ არა, შუბი გაჰყო და გაანგრია
 მთის ფერდი. თითქოს ბრბო უძლევი მოაწყდა კარებს,
 მძვინვარე სუნთქვა დააფრქვია მიწას გრიგალმა.
 ზღვა შემოსალტა, ყოველივე ძირს, ჯურღმულამდე
 85 ამაღა ნოტმა და ვერუსმა, და აფრიკუსი
 ქუხილით საფე მოარღვევდა ხმელეთზე ზვირთებს.
 გაისმა გმინვა საზარელი, ბაგირთ ჭირიალი,
 ტევერთა თვალთაგან მიიტაცა ქუფრმა ღრუბელმა
 დღის ბრწყინვალემა. ბნელმა ღამემ ზღვა ჩააშავა.
 90 ქუსდა ხმელეთი, ციმციმებდა ცეცხლით ეფერი,
 ყოველი მხრიდან კაცთ დაატყდა სიკვდილის ზარი-
 ყინვამ დაშალა ენეასის მძლავრი სახსრები,
 ამოიგმინა, ვარსკვლავთადმი აღაპყრო ხელნი,
 ასე ღაღადყო: „ბედნიერი ყოფილა სამგზის,
 95 ვინც მამათ თვალწინ ილიონის დიად კედლებთან
 სიკვდილს ეღირსა! ო, ტიდიდო, დანაელთ დასში
 უმამაცესო, ხომ შეგეძლო ტროის ველეზე
 მოგეკალ, სული ამოგერთვა მძლავრი მარჯვენით,
 იქ, სად ჰექტორი კაკიდის განგმირა შუბმა,
 100 სადაც არს გმირი სარპედონი, სადაც სიმოისს
 საჭურველი და მეომართა გვამები მიაჭეს!“
 ასე გოდებდა. აქვილონის აღძრულმა ქროლვამ
 აფრა მოგლიჯა და ტალღები ცად ააშხეფა.
 ხოფი დაიმსხვრა, გემი გვერდზე მობრუნდა, ტალღებს
 105 ფერდით დაუსვდა, წყლის მთა მოდგა, ქიმზე ვკიდა
 მრისხანე ტალღა, მთელი ზვირთი შუა გაიპო,
 ტალღათა შორის მიწა ჩანდა, გრგვინავდა ქარი...
 იტალიელნი უწოდებენ ამ კბოდეს არასს.
 110 ხმელეთზე იდგა დიდი ტინი, სამი ხომალდი
 ვერუსმა მყისვე გააქანა ვიწრობში, ვაგლას, —
 ნაფოტად იქცნენ და ქვიშაზე გააჭანტა ტალღამ!..

ლათინურიდან თარგმნა რომან მიხეილშვილმა





მ ქ რ მ ს ვ ა რ დ ი

ნაბღეშები გულზე

ო, გულის ხსოვნე, ვერ შეგედრება
შენ ნაღელიანი ხსოვნა გონების.

ბატიუშკოვი

მკითხველები ხშირად ეკითხებიან მწერლებს, როგორ უყრით თავს და დიდხანს აგროვებთ თუ არა მასალას თქვენი წიგნებისთვისო. და ჩვეულებრივ ძალიან უყვით ხოლმე, როცა ეტბნებიან, მასალას საგულდაგულოდ არავენ არ აგროვებო.

ზემოთ ნათქვამი არ ეხება, რასაკვირველია, სამეცნიერო და შემეცნებითი მასალის შესწავლას, რაც აუცილებლად სჭირდება მწერალს ამა თუ იმ წიგნის დასაწერად. ლაპარაკია მხოლოდ არსებული ცხოვრების დაკვირებაზე.

ცხოვრებისეული მასალა — ყველაფერი ის, რასაც დოსტოევსკი „მიმდინარე ცხოვრების წერილმანებს“ უწოდებდა, — არ ისწავლება. მწერლები ჩვეულებრივ არიან, თუ შეიძლება ითქვას, ამ „მასალას შიგან“ — ცხოვრობენ. იტანჯებიან, ფიქრობენ, უხარიათ, მონაწილეობენ დიდსა თუ მცირე ამბებში, და ცხოვრების ყოველ დღე ცხადია, თავის ნიშანსა და ნაქდეს ფტოვებს მესხიერებასა და გულში.

საჭიროა, რომ მკითხველებს (რადგან სიტყვამ მოიტანა, ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალსაც) გაუქარწყლდეთ ის წარმოდგენა თითქმის მწერალი დღენიდანაგ უბის წიგნაკით დამრწოდეს ყველგან და ცხოვრებამ პრინციპული „ჩამწერი“ ან მეთველურე იყოს.

ვინც საგულდაგულოდ აგროვებს დაკვირვებებს და ზედ დაკვირვებებს თავის ჩანაწერებს („რა ვიცო, რაზე არ დამაეწიფდესო“), ცხადია, უთავბოლოდ თავმოყრილი მკვლარი დაკვირვებანი შეჩიხება ხელში. სხვათადად რომ ვთქვათ, თუ ამ დაკვირვებებს ცოცხალი პროზის ქსოვილი გადაეტიანთ, ისინი თითქმის ყოველთვის დაქარგავენ თავიანთ გამოშახველობას და საკრებლებს დაემგებებიან.

კაცმა არასოდეს არ უნდა იფიქროს, აგერ ის ასფურცელა ან ეს კალაჩა მედოლე როდისმე მოთხრობისათვის გამოამადგება და ამიტომ განსაკუთრებით უნდა დაუეცვიოდეთ. ამ თვალსაზრისით, ანუ „სამსახურებრივი მოვალეობის მიზნით“ დაკვირვება არაფერს კარგს არ მოიტანს.

პროზაში არასოდეს ძალით არ უნდა ჩაეტონოთ თუნდაც მეტად მოსწრებული დაკვირვებანი: საჭირო რომ გახდება, ყველაფერი თვითონ დაიქიებებს თავის ადგილს. მწერალი ხშირად სხტად რჩება, რომელმე კარგანის წინათ მიმხდარი და დაეწიყებული შემთხვევა ან რაიმე წერილმანი ამბავი უცაბედად რომ ცოცხლდება მესხიერებაში სწორედ მაშინ, როცა საქმისათვის პერიფიით საჭიროა ის შემთხვევა და ის ამბავიც.

კარგი მესხიერება მწერალური საქმიანობის ერთ-ერთი ფუნქციაა.

ეს აზრები ალბათ მეტ სიყახადეს შეიძენენ, თუ მოიყვებით, როგორ დაეწიერ მოთხრობა „ღებემა“.

გვიან შემოდგომით სოფელში დავსახლდი ჩაზნის ახლოს, თავის დროს ცნობილი გრაციოზის პოელოსტინის ადგილმამულში. იქ მართლდმართო ატარებდა წუთისთველს პოელოსტინის ქალშვილი — დაუძღვრებული ტბილი დღდამერი კატერინა ივანოვან. კატერინას დქდსიერებას ნასტია ლენინგრადში ცხოვრობდა და ეგრერიგად აღარ ავინდებოდა მშობელი. მართო მე იყო — თვეში ერთხელ ფულს უგზავნიდა.

კედლებამაშვებულ ვეებერთელა ძელურ სხლში ერთი ოთახი დაეიკირე. დედაბერი მეორე მხარეს ცხოვრობდა. სანამ იქ მხივილადი, ჩამდენიმე ოთახი უნდა გაგველო. დაფრავებულ, გაქუქყულ იატაკს კრიალი გაქოინდა.

დელაბრისა და ჩემს გარდა, იქ შერთი არავინ არ იყო.

უზოს უკან დაფუძნებულ შირამლებს გადამხა, იმ ძველი შემორჩენილი სახლივით გაბარტახებული კარგა მოზრდილი ბალი თითქოს ამუხტულიყო ცივ ქარში.

სამუშაოდ ვიყავი ჩასული და პირველ ხანს ოთახიდან ფეხს არ ვიცვლიდი, დიდიან შემდგომად ვწერდი, აღრე ღამდებოდა, ხუთი საათი ვახდებოდა თუ არა, ძველი ნავთის ღამეთა უნდა ამენთო, ღამფას მუქი მინის აბაჯური ჰქონდა ტიტა ყვავილისნაირი.

შერე საღამოობით დავიწყე მეშობა, აფსუხი იყო შემოდგომის ისედაც მოკლე დღეები ოთხ კელდომეა გამეტარებინა, როცა შემდგომო უკვე საშობის სუნთქვადავადღად ტყეუბასა და მინდვრებში ხეტიალით შეგერებინა გული.

ბევრს დავდიოდი და გზადაგზა გვიან შემოდგომის უძრავ ალი-კვალს ვამჩნევდა. დილაობით თხლად შეყინულ გუბებში ჰაერის ბუბტები ჩანდნენ. ზოგიერთ ამგვარ ბუბტში, როგორც გულგამოცლილ ბროლის ბურთულაში, ევრხვის ან არყის ხის მეწამული თუ ზაფხანის-ფერი ფითლი ევლო. ჩავამტრევედი ზოლმე ვიწარს, ამოვიღებდი დამზრალ ფითლებს და შინ მიჰქონდა, ფანჯრის რაფაზე ვერდიდი, მალე მთელი ბლუჯა მოპიჯროვდა. ცოტა რომ შეთბა, ფოთოლმა სპირტის სენი აფშვა.

ტყეში ყოფნას მიიწე არაფერი არა სჯობდა. მინდვრად ქარი უბერავდა, ბნელ ღრუბელჩამოწალილ ტყეში კი ჩაქუჩრული სიჩუმე იდგა. ღრუბელი ისე დაბლა ჩამოწევაობდა ზოლმე, რომ ფიქვებს ხან კენწეროები აღარ უჩანდათ ნისლეში.

დრო-დრო ოკის ტრატებში ეთევაობოდი. დავრეოდი ვამბულ ბარდებს და ტირიფის ფოთლის მწკრივარტ სენისაგან თითქოს სახის კანო მგებუნებოდა. წყალი კუამეტრებით შივი იყო, თანაც ოდნავი სიმწვანე გადაჰქრავდა. თევზი ხელს იშვითათ მისდევდა.

შერე კი ცამ პირი მოხსნა — წვიმებმა ერთიანად ჩააოხრეს მთელი ბალი, მიწასთან გაასწორეს სიმწვანეპარული ძალახა, ჰაერში თოვლქუების სენი დატრიალდა.

ებგვლევე ცოტა გეში და კვლი როდი იყო შემოდგომისა, მაგრამ არაფრის დამახსოვრება არ მიცდია. ერთი რამ დაბეჯითებით ვიცოდი — არასოდეს არ დავივიწყებდი ამ შემოდგომის ნალექს, გულის სალაღესთან და მარტივ, ზნად აზრებთან საოცარი ძალით შევრთებულს.

რაც უფრო იქუფრებოდნენ ღრუბლები, დედამიწაზე სველ ჩამოქნებულ კალთებს რომ მი-აბრევენდნენ, რაც უფრო ცივი წვიმა მოდიოდა, გულს შერე სიხალისეს ეატყობდა, და კალსასაც თითქოს თავისით გაჰქონდა ზნელი ქალღმრუტ. მთავარი იყო შემგვრძინო შემოდგომა, ვავე-ტაცე იმ გრძნობებსა და აზრებს, ის რომ აღ-შობრავდა. დანარჩენი, რასაც მასალას ვეძა-

ხით, — აღმიაწიბი, მოვლენები, ცალკეული, კერძო და წერილობრივი ამბები, — გამოკიდულ-ბით ვიცოდი, რომ დრომდე შემოდგომის ამ შეგანმანებში დაბნულებდა. და როგორც ეს რომ მელიმე მოთხრობაში კვლავ დავებრუნებოდი ერთხელ უკვე განცდილს, მთელი ის „დანარჩენი რამ“ უშალ აღდგებოდა მებსხერებში.

როგორც სამოთხრობო მასალა, სავანებოდ არც ის ძველი სახლი შემისწავლია, სადაც ვცხოვრობდი. ახალად, გულთ შევიყვარდა იქაურობა. იმ სახლის სიგორობეც მიყვარდა, სიჩუმეც, კედლის საათის უთავებოლო წიქრი-კიც, ღუმელში შეყრული არყის ხის ბოლის სუნიც. მიყვარდა, რომ კედლებზე ძველი გარე-უბრები ევიდა (ცოტადა იყო დარჩენილი, თითქმის მთლიანად მუხუბუს წაელი): ბრინჯის „ავტომატრები“, პეროვის „ჭერის ზიდა“, „შეყაყათე“ და პოლინა ვიარდოს პორტრეტი. ფანჯრების ძველი, დაბრეცილი მინები უც-ნაურად ბრუყვიანდებდნენ. როცა სახლში სანთე-ლი ენთო, მინებში სანთლის ალი რატომღაც ორად ჩანდა.

მთელი აუჯი — ტახტები, მავიდები და სკამები — ღია ფერის ხისა იყო, პრიალებდა სიძვე-ლისაგან და ყველგანვეს კვიპაროზის სენი ჰქონ-და, როგორც ხატებს.

ბევრი რამ იყო იმ ძველ სახლში, რასაც უკ-ვე თავისი დრო მოეკმა და ახლა ომიანს იწ-ვევდა: სპილენძის ღამის სანთურები, ჩირად-ნის მოყვანილობისა, საიდუმლოდ საყვარი კლი-ტები, გაქვებულა კრემით სავსე ფიფურის მუქლიანი შეშები, ზედ „პარიზურომ“ ეწერათ, ცვილის კამელიების მტკრიანი თიფული (ის უშ-ველზევლ ეანგვან რუინის კეტზე გაიდა) და პატარა მრგვალი ჯაგრისი, ლომბერის მავიდის გადასაწმენდალ.

კატერინა ივანოვნას სამი სტელი კალენდარი ჰქონდა — 1848, 1850 და 1852 წლებისა. იმ სამეფო კარის ბანოვანთა სიებში წაფაწყდი ნა-ტალია ლენსკაას — პუშკინის ცოლს — და ელსაბედ ვორონცოვას, პუშკინთან სიყვარულ-ლი რომ აკეთებებოდა. ამ ამბავმა რატომღაც ნალელიან გუნებაზე დამაყენა. დღემდე ვერ ვა-მიგია: რატომ? შეიძლება, იმიტომაც. რომ იმ ძველ სახლში სამაჩისებურ სიწყნარეს დაე-სადგურებინა. შორს, ოკაზე, ვუზინსკის რაბთან ახლოს, თბომავალი კოდა, და ფიქრს ვასაქინ-არ მისცა ლეჭამი, ერთბაშად რომ წამომავონ-და:

ველავ მიიწერა დღე უცმური. უბერავს მწარედ. ღამეს ტყეისფრად შეესდრავს, ცა უამოა; მალე ფიქვანარში აჩრდილივით ჩემად ამოვა დამაწყული, დამცხრალი მთვარე...

საღამოობით კატერინა ივანოვნასთან დავე-ლოდი ჩიხს დასალევიად.

ის უკვე ძალზე ცუდად ხედავდა საცოდავი, და მეზობლის გულარჯალა გოგო ნიურკა დღე-ში ორჯერ-სამჯერ შემოტრბენდა ხოლმე ხელის წასახმარებლად.

ნიურკა კერ სამოყარს გააჩაღებდა, მერე გვერდზე მოგვიჯდებოდა, სულ ხერება-ბერებით დალევდა ჩაის, რაც არ უნდა ეთქვა კატერინა ივანოვნას, ნიურკას გაზეპირებული ჰქონდა პა-სუხი:

— ისევე რას ვტყვი! ვე რალამ მოგაფიქრა! რა შენი ტოლია, ვგრე ნუ ეპასუხები-მეთქი, ვეჯერდებოდი, მაგრამ ნიურკა არც მე მაქვლედა:

— ისევე რას ვტყვი! ვანა მართლა არაფერი არ მესმის!

ნამდვილად კი, ნიურკას მეტს არავის არა ჰქონდა კატერინა ივანოვნას სიყვარული. მართო იმიტომ რადი უყვარდა, რომ კატერინა ივანოვნა ხან ჩიბის ფრთით გაწყობილ ძველ ხივერდის შლიაპას არეუტებდა, ხანვე მიწის მძივის თავსაფარს ან ღროსიანგან ვაფეთილებულ არშინას.

კატერინა ივანოვნა ოდესღაც მამსთან ერთად პარიზში იყო ნაცხოვრები, ტურგენევის იცნობდა თორმე, ვიქტორ ჰიუგოს დაქრძალუაზეც ყოფილიყო. ხშირად მიეცებოდა ამ ამბებს, ნიურკა კი თავისას გაიბზოდა:

— ისევე რას ვტყვი! ვე რალამ მოგაფიქრა!

მაგრამ ნიურკა ცოტა ხნის სტუმარი იყო ხოლმე, მოითავებდა საქმეს და ვარბოდა „თავისი პატარების დასახედალ“.

კატერინა ივანოვნა არასოდეს ხელიდან არ გაუშვებდა თავის ძველ ატლასს ჩანთას. მთელი ავლა-დადება იმ ჩანთაში ჰქონდა: წარბეზადეაქალშული, თეალებომბენილი ლამაზი ნასტია წერალები და ფოტოგრაფიული სურათები, ცოტაოდენი ფული, პასპორტი და თავისი ქალიშვილობისდროინდელი ვაფეთილებული სურათი.

კატერინა ივანოვნა არასოდეს არაფერს არ ეშვებოდა, ვარდა სიბერისა. მაგრამ მეზობლებიც ლაპარაკობდნენ და, სახანძრო ფიქრების დარაჯი რომ იყო ივანე, ცოტა აბეჩახაი, უბოროტო ბერიკაცი, ისიც მეუბნებოდა — რაღა მავის სიციცხლე, დარბმა შექმმა საცოდავიო, მეთოთ წელწილი იყო თურმე, ნასტია თვალთ არა ჩანდა, ერთხელაც არ მოსკოვნება დედა, კატერინა ივანოვნა კი წუთი-წუთზე ელოდა საყვდილს. აღბათ სამარეში ისე ჩავიდა, შეილას ნახვას ვერ ელიბებოდა, გულში ვერ ჩაიკრავდა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ნასტიას თვალისმოპყრელ ოქროსფერ ნაწნავეს.

ნასტია ცოტ-ცოტა ფულს ეშვებოდა კატერინა ივანოვნას, მაგრამ იმასაც ძალზე იშვიათად. არაფერ იყოლა, რა აღლებინებდა ხშირად უსახსროდ ღარჩენილ საწყალ დედაკაცს.

წამო, ბაღში ჩამყვანყო, მთხოვა ერთხელ

კატერინა ივანოვნამ, ვახუტელს მერე იქ ფეხის დამდგელი არ იყო — მტლებს ვეღარ იძორჩილებდა.

— არ დამეშდრო, შეილო... მიხატისა გეტყვარინა ივანოვნამ, — მოხუცი ქალი ვარ. უკანასკნელად მინდა ენახო ჩვენი ბაღი. ჩემს გოგოთაში მინდ ტურგენევის კეთილშობილი ხოლმე. აგრე ის ხეები ჩემი დაჯეგლია.

ძლიერდევობით ჩაიკცა იველი თბილი ტოლიში, თავშალი მოიხურა, ხელი მაგრად ჩამეკლო მკლავში და ღანღალით გამომყვა.

უკვე საღამო ხანი იყო. ზღს ფოთოლი შემოსძარცვოდა, ძირს სქლად მოფენილ ფეხქვეშ ფანი-ფერი გაქმნდა. სიმწვანედაქრულ მწუხარში ცისკარა ავნთო. შორს ტყის თავზე ნამგალი მთვარე ეკიდა.

კატერინა ივანოვნა ქაჩისავან გამიშვლებულ ცაცხეთან შედგა, ხელით მიეცრდნო და აქვითინდა.

მე მაგრად მეჭირა უბედური, რომ არ წაქეუელიყო. გულამოჭდარი ტირიდა, როგორც მოხუცმა ხალხმა იცის, როცა ცრემლისა უკვე აღარა სცხენვინათ.

— ჩემი ბედით ღმერთმა არ დაგაბეროს, შეილო... მეუბნებოდა კატერინა ივანოვნა, — ღმერთმა ვაშოროს ჩემნაირი სიბერე!

მერე ფრთხილად წავიფანე სახლისკენ და ვაფიქტრე: რა ბედნიერა ვიქნებოდი, ეს ქალი დედაჩემი რომ იყოს-მეთქი.

სალამითი კატერინა ივანოვნამ მაშის დანატოვარი ჩაფეთილებული წერალები გამომიტანა, წითეათხო.

ის წერალები რომიდან გამოეგზავნათ მხატვარ კრამსკიოს და ვრავიორ იორდანს, იორდანი სწურდა ცნობილ დანიელ მოქანდაკესთან ტორაულდსენთან მეგობრობის აბზას, ინსენებდა ლატერანის ვასალიარ მარმარილოს ქანდაკებებს.

როგორც ყოველთვის, ამ წერალებსაც ღამით ჩიუქეკი. კედლებს ვაფებული ქარი აწვდებოდა, წილდა სველ, ვამიშვლებულ ბუჩქებში, ღამფას ტკაც-ტკაც გაქმნდა, იტყვი, მოწვენილობისავან თავისთავს ელაპარაკებოი. უცნაური კი იყო, მაგრამ ჩატომაც ვულს მეფონებოდა, რომ სწორედ აქ, უცმურ ღამეს აყოლილი, ვეთოტლობდი რომიდან გამოგზავნილ წერალებს, ხანდახან ხის სარკუნას კაქუნი ჩამეპროდა ვერში — სოფლის დარაჯი ორობებეში ეშვამეებს აფრთობდა.

მაშინ ძალიან ვამიტაცა ტორვალდსენმა, მოსკოვში მერე ყველაფერი მოვიძიე, რაც რამ შეიძლებოდა წამეეთხა ამ მოქანდაკეზე. შევიტყე, რომ ტორვალდსენი მეგობრობდა მეზობარე მანს ქრისტიან ანდერსენს და ჩამდენივე წლის შემდეგ მოიბზობდა დაეწერე ანდერსენზე. ეს მოთხრობდა იმ ძველმა სახლმა დამაწერინა.

მალე ლოგინად ჩავარდა კატერინა ივანოვნა და ასადგომი პირი აღარ უჩანდა. ტყვილათ

არაფერი არა სტიოდა, მარტო დაღლილობას უწიდა.

იღვი და დევემა გაუფხავნენ ნასტიას ლენინგრადში, ნიურკამ კატერინა ივანოვნას ოთახში დაიღო ბინა, რომ ყოველ შემთხვევისათვის ახლოს ყოფილიყო.

ერთხელ ღამით ნიურკამ ბრახაბრები აუყენა ჩემი ოთახის კედლებს და შემინებელი ხმით შემომამბა:

— გამოდი! დიდმა კვლებამ!

კატერინა ივანოვნა უგონოდ იწეა და ოდნავღა სუნთქავდა. მაჯა გაუფხიწვე და კი არ უცემდა, უთრთოდა.

ხელად ტანთ ჩაეიცი და სოფლის საჯადმ-უოფოში წავედი ექიმის მოსაყენად, საჯადმ-ყოფო ტყეში იყო კარგა მოშორებით. შვებ ქარს ნაყოფიდან ნახერხის სუნი მოჰქონდა. უკვე ძალზე გვიანა იყო, ძალღებაც კი აღარ იყუფებოდნენ.

ქვეყნმა ველარაფერი უშველა კატერინა ივანოვნას. აგონია კარგა ხანს ვასტანს, მაგარი გული ჰქონია საწყალოს, თქვა ბოლოს ექიმმა, ერთი ამოახუნემა და წაივდა.

კატერინა ივანოვნა გათენებლას გარდაიცვალა. თვალში შე დავებუქე. აღმათ არასოდეს არ დამაიწვდებდა, როგორ ფრთხილად შევებე ჭულთთოვებზე და ჩაგებებულა ცრემლი უცაბედად ლოყაზე რომ ჩამოუგორდა.

ტირილისაგან დაოსებულა ნიურკამ დამშენ-ნული კონკერტი მომცა და მითხრა:

— წერილი დაუტრავებია, მომრთეთ და ისე დამსაფლავეთო.

კონკერტი ვაგხსენი, წაიციოხებ ავანკალბულ ბებრებულ ხელთ ნაწერი რამდენიმე სიტყვა, ანუ ბრძანება—როცა მოვედუ, ესა და ეს ჩამაციეთო, — და ბართო ქალებს ვაღავეცი. ისინი დილაადრიან მოვიდნენ, რომ სამდღამო ქვეყანაში მიმავალი კატერინა ივანოვნა შეემოსათ.

შერე სასაფლაოზე წავედი სამარის ადგილის შესარჩევად. უკან რომ მოვბრუნდი, კატერინა ივანოვნა უკვე საიმქვეყნოდ გამოწყობილი იწეა მაგიდაზე და გაოგნებულად შეივადეკი.

ტანწერწერტა ჩანდა, როგორც ქალიშვილი, ძველებური ოქროსფერი სამეცლისო კაბა უკვე, გრძელკალთიანი. გრძელი კალა ფეხებზე ჰქონდა შემთხვეული და მატარა შავი ნატის ფხსაცმელები მოუჩანდა. ხელთ სანთელი ეჭირა. ქალებს არც თეთრი ლაყის ხელთათმანები და ვიწყებოდათ. აბაუშუმის აღისფერი ვარდების თავეული კორსაყზე მიგზნით.

სახზე ლეჩაქი ეფარა და დამქნარი, მოფხუ-წული იღაყები რომ არა, კაცო იფიქრებდა, ახალგაზრდა კობტა ქალი წევსო.

ნასტიამ სამი დღე დაიფვიანა და უკვე დასაფ-ლავების შერე ჩამოვდა.

ზევით ნაამბობი სწორედ ის საშერლო

ცხოვრებისეული მასალა, რომლისგანაც კა-წული სიტყვა იზადებდა.

დამბახსიათებელია, რომ ყველასფერი, რაც რომ იქ ხდებოდა, რა ვარემოებაც იქ იყო, ცხვირით ვა-თარებაც იმ ძველი სახლისა და შემოდგომისა—ხუსტად შეეფერებოდა კატერინა ივანოვნას მღვომარეობას, იმ მძიმე სულიერ დრამას, რა-საც ის სიცოცხლის ბოლო დღეებში განიცდი-და.

მაგრამ, ცხადია, მაშინ ნანახსა და ნაფიქრა ერთიანად არ მოუფრია თავი „ღებუშაში“. ბევრი რამ მოთხრობის ჩარჩოებს ვარეთ დარჩა, რო-გორც შედგომად ხდება.

პატარა მოთხრობისათვის თითქმის ყოველთ-ვის საჭარაა, შწერლური ერთი რომ ეთქვათ, მასალა „თაგზე საყრტლად“ გქონდეს, რათა იქი-დან ყველაზე მთავარი ამოკარბო.

ბევრჯერ მიდევნებია თვალური კარგი მსახი-ობის მუშაობისათვის, მეორეხარისხოვან როლს რომ ამზადებდა. გმარს ზმირად მთელ პიესაში ორი-სამა ფრახა ჰქონდა წარმოსატქმელი, მაგ-რამ მსახიობი მაინც მოსკენებს არ აძლევდა აე-ტორს თავისი გმირის მარტო ხასიათი და ვა-რეგნობა კი არა, ბიოგრაფიულ უნდოდა ვაეგო-ენ იყო, სადაური იყო.

ეს ხუსტა კოდან აუცილებლად სჭირდებო-და მსახიობს, რათა თავისი ორასამი ფრახა სწორად წარმოეთქვა.

იგივე ამბავი სჭირთ შწერლებსაც. მარავად უფრო მეტი მასალა უნდა ჰქონდეთ, ვიდრე მოთხრობისათვის არის საჭირო.

შე „ღებუშაზე“ მოგვიყვიეთ. მაგრამ ყოველ მოთხრობას თავისი ისტორია და თავისი მასალა აქვს.

ერთხელ იალტაში ეცხოვრობდი, ზამთარი იყო, ფანჯარას რომ გამოვლებდი, ქარს მუხის ხმელი ფოთლები შემოჰქონდა ოთახში, ასწლო-ვანი მუხებისა კი არა, ყირიმის იაილას ქუჯა მუხნარიდან მოტანილი.

დამდამობან ცივი ჭარი უბერავდა ჩამოთო-ვლილი მთებდან. თოვლი საოყრად ბრწყევა-ლებდა მოცახცახე ვარსკვლავების შუქზე.

პოეტი ასევე (გვერდიგვერდ ეცხოვრობდით) გმირულ ესპანეთზე „ბარსელონას ძველთაძველ ცაზე“ ფიქრს შეეპყრო (ესპანეთის ამბების დროინდელს ვამბობ).

პოეტი ვლადიმერ ლეგოვსკიო თავისი მძლავ-რი „ბანით ინგლისელმა მატროსების ძველებურ სიმღერებს ლიდინებდა:

მშვიდობით, მიწვე! ზღვაში გავედით, და თოლიები მოგვადვენ უკან.

სალამობით რადოსთან ვიკრებებოდით და ესპანეთში მომხდარ ამბებს ვესმენდით.

ვ. ი. ლენინმა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ პირობებში ეროვნული პრობლემის გადაწყვეტა დაუკავშირა იმპერიალიზმის დამხობის, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა განთავისუფლებას და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ეროვნული საკითხი არის საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის შემადგენელი ნაწილი.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაასაბუთეს, რომ პროლეტარიატი თავისი ბუნებითა და მიზანდასახულობით ინტერნაციონალურია, ძირეულად ანტაგონისტურია ბურჟუაზიისადმი თავისი კლასობრივი და ეროვნული ინტერესებით. პროლეტარებს ყველა ქვეყანაში აქვთ ერთი და იგივე ინტერესები, ყავთ ერთი და იგივე მტერი მსოფლიო ბურჟუაზიის სახით, რომელსაც ისინი უპირისპირებენ თავიანთი რიგების ინტერნაციონალურ ერთიანობას და მათი ეპოქალური ლოზუნგია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ (იქვე, გვ. 97).

კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო პროლეტარიატის შეკავშირების ამოცანას ემსახურებოდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ შექმნილი კომუნისტთა კავშირი (1847-1852 წწ.) და პირველი ინტერნაციონალი (1864-1872 წწ.), რომელთა ისტორიული მოღვაწეობა მოწმობს, რომ საერთაშორისო კაპი-

ტალის წინააღმდეგ ბრძოლაში არ არსებობს სხვა იარაღი, გარდა ეროვნული ორგანიზაციების შექაფშირებისა ერთ საერთაშორისო პროლეტარულ არმიად.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ძირითადი იდეები ვ. ი. ლენინმა შემდგომ განავითარა და მჭიდროდ დაუკავშირა იგი ეროვნულ-კოლონიურ საკითხს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების სოციალისტურ რევოლუციებში გადაზრდის, თავდაპირველად ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის პრობლემებს.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ააშკარაებდნენ და უღმობლად ებრძოდნენ ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის, ეროვნული ნილილიზმისა და ეროვნული ყოყოანობის ყოველგვარ გამოვლინებას.

კ. მარქსი ისეთი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ, რომ ვ. ი. ლენინი 1914 წელს წერდა: „ჩვენს ნიმუშად დარჩება მარქსი, რომელიც ათეული წლობით ინგლისში ცხოვრობდა, გამო, ნახევრად ინგლისელი გახდა და მოითხოვდა ირლანდიის თავისუფლებასა და ნაციონალურ დამოუკიდებლობას ინგლისელი მუშების სოციალისტური ინტერესებისათვის“ (თხზ., ტ. 21, გვ. 115).

კ. მარქსისა და ფ. ენგელსმა წამოაყენეს დებულება: „შეუძლებელია თავისუფალი იყოს ხალხი, თუ იგი ჩაგრავს სხვა ხალხებს“ (თხზ., ტ. 18, გვ. 409). ამას ვ. ი. ლენინმა სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის ძირეული პრინციპი უწოდა. ეს პრინციპი, ამჟამად კიდევ უფრო ფართოდ ცნობილი, მოქმედების სახელმძღვანელოა ყველა ქვეყნის მარქსისტულ-ლენინური პარტიებისათვის.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსმა აღმოაჩინეს ორი ისტორიული ტენდენცია ეროვნულ საკითხში: პირველი — ფეოდალიზმის დაქსაქსულობის წინააღმდეგ ბრძოლაში ცენტრალიზებული ბურჟუაზიულ-ნაციონალური სახელმწი-

ფოების ჩამოყალიბება. „დამოუკიდებელი, ლამის მხოლოდ დაკავშირებული პროვინციები, აღქურვილნი სხვადასხვა ინტერესებით, კანონებით, მთავრობებით და ბაყებით შედუღებულ იქნენ ერთ ერთად — ერთი მთავრობით. ერთი კანონმდებლობით, ერთი ნაციონალური კლასობრივი ინტერესით, ერთი საბაჟო ხაზით“ (კომუნისტური პარტიის მანიფესტი, გვ. 50-51); მეორე — ბურჟუაზიული ერების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია. „ძველი კუთხური და ნაციონალური თეიოქმარობისა და კარჩაკეტილობის ნაცვლად წარმოსდგა ერების ყოველმხრივი კავშირი და ყოველმხრივი დამოკიდებულება ერთმანეთისაგან. და ეს ასეა როგორც მატერიალურ, ისე ვონებრივი დოვლათის წარმოებაშიც. ცალკეული ერთს ვონებრივი ნაწარმოები საერთო კუთვნილებად ხდება. ნაციონალური ცალმხრივობა და შეზღუდულობა სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება“ (იქვე, გვ. 49-50).

ვ. ი. ლენინმა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ახალ პირობებში გამოიკვლია ამ ტენდენციების გამოვლინების ხასიათი და დაასკვნა, რომ განვითარებადმა კაპიტალიზმმა იცის ორი ისტორიული ტენდენცია ეროვნულ საკითხში: პირველი — „ეროვნული ცხოვრებისა და ეროვნულ მოძრაობათა გაღვივება, ბრძოლა ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასთან, ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა“; მეორე — „ერთა შორის ყოველგვარი ჟრთიერობის განვითარება და გახშირება, ეროვნული ზღუდეების დამსხვრევა... ორივე ტენდენცია კაპიტალიზმის მსოფლიო კანონია. პირველი ჩარბობს მისი განვითარების დასაწყისში, მეორე ახასიათებს მომწიფებულ და სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევისაკენ მიმავალ კაპიტალიზმს. ორივე ტენდენციას უწევს ანგარიშს მარქსისტების ნაციონალური პროგრამა“ (თხზ., ტ. 20, გვ. 14).

ამრიგად, ვ. ი. ლენინმა ამ ორი ტენ-

დენციის რაობა ახალ ვითარებაში, იმპერიალიზმისა და სოციალისტური რევოლუციების ეპოქაში, მსოფლიო კანონად მიიჩნია და საფუძვლად დაუდო ბოლშევიზმის ეროვნულ პროგრამას, რომელმაც გამოაცხადა ერთა თანასწორუფლებიანობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ბოლომდე ერთგულება და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა.

ეს მარქსისტულ-ლენინური დებულება გახდა მეთაურობითი საფუძველი იმის გასაგებად, რომ სოციალიზმის დროსაც მოქმედებს ორი ძირითადი ტენდენცია ეროვნულ ურთიერთობაში, მაგრამ არა ურთიერთდაპირისპირებული, როგორც ეს ახასიათებს იმპერიალიზმს, არამედ ურთიერთდაკავშირებული, პროგრესულად განვითარებადი. სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის პირობებში ნამდვილი ინტერნაციონალიზმის დროშით მიმდინარეობს, ერთი მხრივ, თვითეული სოციალისტური ერის სწრაფი, ყოველმხრივი განვითარებისა და აყვავების, მეორე მხრივ, სოციალისტური ერების სულ უფრო მჭიდროდ დაახლოების, მხური თანამეგობრობის განმტკიცების პროცესი.

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ ეროვნული საკითხის სრული და საბოლოო გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ კომუნისმის პირობებში, რომ „კაპიტალიზმის დროს ეროვნული (და საერთოდ პოლიტიკური) ჩაგვრის მოსაომა შეუძლებელია“ (თხზ., ტ. 22, გვ. 412).

ვ. ი. ლენინმა ცხადყო, რომ „მთელ მსოფლიოში ეპოქა კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვებისა ფეოდალიზმზე ეროვნულ მოძრაობებთან იყო დაკავშირებული“, რომ „მთელი დასავლეთი ევროპისათვის — უფრო მეტიც, მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის — ტიპიური, ნორმალური მოვლენას კაპიტალისტურ პერიოდში ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს“ (თხზ., ტ. 20, გვ. 483).

ამასთან ვ. ი. ლენინი თვალისწინებდა მდგომარეობის ძირეულად შეცვლას სოციალიზმის პირობებში და სახსრებით მიზანშეწონილ, ნორმალურ და ტიპურ მოვლენად მიიჩნედა მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც გააერთიანებდა ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებს თანასწორუფლებიან ფედერაციად. „ჩვენ მოვიტხოვთ ჩაერული ერების თვითგამორკვევის თავისუფლებას, ვ. ი. დამოუკიდებლობას, ვ. ი. გამოყოფის თავისუფლებას არა იმიტომ, რომ ეოცნებობდეთ სამეურნეო დაქუცმაცებაზე ან პატარა სახელმწიფოთა იდეალზე; არამედ, პირიქით, იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა დიდი სახელმწიფოების და ერების დაახლოება, შეერთებაც კი, ოღონდ ქეშმარიტად დემოკრატიულ, ქეშმარიტად ინტერნაციონალურ ბაზაზე, რაც წარმოუდგენელია გამოყოფის თავისუფლების გარეშე“ (თხზ., ტ. 21, გვ. 506).

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა განსაზღვრეს, რომ რაც უფრო ვითარდება ბურჟუაზია, ვაჭრობა, იქმნება მსოფლიო ბაზარი, სამრეწველო წარმოების ერთიანობა და მისი შესაფერი ცხოვრების პირობები, მით უფრო ქრება ხალხთა ეროვნული განცეკრძობა.

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ „სოციალიზმის დროს მშრომელი მასები თვითონ არსად არ დასთანხმდებიან კარჩაეცილობას... ხოლო პოლიტიკურ ფორმათა სხვადასხვაობა, სახელმწიფოდან გასვლის თავისუფლება, სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილება... იქნება მდიდარი კულტურული ცხოვრების საფუძველი“ (თხზ., ტ. 22, გვ. 431).

ვ. ი. ლენინი პრინციპულ ბრძოლას ეწეოდა რა დიდმპყრობელური შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, წერდა: „ინტერნაციონალური კულტურა უეროვნო არ არის“. პროლეტარიატის გამარჯვებამდე ყოველ ეროვნულ კულტურაში მოიპოვება „დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ელემენტები, ვინაიდან

თვითთველ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარღვევალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას“ (თხზ., ტ. 20, გვ. 9, 10).

ამავე აზრით განმარტავდა ვ. ი. ლენინი ბურჟუაზიული ერის კულტურის გაორებას: „ორი ერთი თვითთველ თანამედროვე ერში... არის ორი ნაციონალური კულტურა თვითთველ ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკოროსული კულტურა პურიშეკეიჩების, გუჩკოვებისა და სტრუვეებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკოროსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლენაროვის სახელები“ (იქვე, გვ. 21).

მხოლოდ გამარჯვებული სოციალისტების კულტურაში აღარა გვაქვს ასეთი გაორება და ერის კულტურა ფორმით ერთგვული, შინაარსით ინტერნაციონალური, ერთიანი სოციალისტური კულტურაა, რომელიც ვითარდება და მდიდრდება კომუნისმის მშენებლობის პროცესში.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შეიმუშავეს და შეცნიერულ ლიტერატურაში დაამკვიდრეს ერის ტიპის გამოჩატვული ტერმინი „კაპიტალისტური ერი“ (კომუნისტური პარტიის მანიფესტი, გვ. 36), ვინაიდან მათ ერი მხოლოდ კაპიტალიზმის პროდუქტად მიაჩნდათ (იხ. იქვე, გვ. 50-51).

რუსეთის კონკრეტულ სინამდვილეს რომ ეხებოდა, ვ. ი. ლენინი ჭერ კიდე 1894 წელს წინაუღება ნაროდნიკ-იდეალისტ მიხაილოვსკის, რომელსაც „ნაციონალური კავშირი გვაროვნული კავშირის“ გაგრძელებად და განზოგადებად მიაჩნდა, და წერდა: „თუ შეიძლება ლაპარაკი ძველი რუსეთის გვაროვნულ წყობილებაზე, უმეკელია, რომ უკვე საშუალო საუკუნეებში, მოსკოვის სამეფოს ეპოქაში, ეს გვაროვნული კავშირი უკვე აღარ არსებობდა, ე. ი. სახელმწიფო დამყარებული იყო სრულიადაც არა გვაროვნულ, არამედ ადგილობრივ კავ-

შირებზე... მაგრამ იმ დროს არც კი შეიძლება ლაპარაკი ნაციონალურ კავშირზე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით... ნამდვილად რუსეთის ისტორიის მხოლოდ ახალ პერიოდს (დაახლოებით მე-17 საუკუნიდან) ანასიათებს ფაქტობრივი შეერთება ყველა ასეთი ოლქისა, მიწებისა და სამთავროებისა ერთ მთელად... ეს გამოწვეული იყო ოლქებს შორის გაცვლა-გამოცვლის გაძლიერებით, საქონლის თანდათან მზარდი მიმოქცევით, მცირე ადგილობრივი ბაზრების კონცენტრაციით ერთ სრულიად-რუსეთის ბაზრად. რამდენადაც ამ პროცესის ხელმძღვანელი და განმგებელი კაპიტალისტი-ვაჭრები იყვნენ, ამ ნაციონალური კავშირის შექმნაც ბურჟუაზიული კავშირის შექმნა იყო და მეტი არაფერი“ (თხზ., ტ. 1, გვ. 169-170).

აქედან ნათლად ჩანს, რომ ვ. ი. ლენინი, ისევე როგორც კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ერს კაპიტალისტური საზოგადოების პროდუქტად თვლიდა. ამ დებულების სისწორეს აგრეთვე უდავოდ ადასტურებს ვ. ი. ლენინის შემდეგი სიტყვები: „ერები საზოგადოებრივი განვითარების ბურჟუაზიული ეპოქის აუცილებელი პროდუქტი და აუცილებელი ფორმაა“ (თხზ., ტ. 21, გვ. 73).

მართალია, კ. მარქსსა და ფ. ენგელსს არ გამოუყვეთიათ სოციალისტური ტიპის ერის შესატყვისი ტერმინი, მაგრამ ისინი მივიდნენ დასკვნამდე: „პროლეტარიატმა უწინარეს ყოვლისა უნდა დაიპყროს პოლიტიკური ბატონობა... ჩამოაყალიბოს თავისი თავი ერთად“, „ამაღლდეს ერის წამყვანი კლასის მდგომარეობამდე“ (კომუნისტური პარტიის მანიფესტი, გვ. 73). ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მოგვეცეს სახელმძღვანელო იდეა სოციალისტური ტიპის ერის ტერმინის შესამუშავებლად. ვ. ი. ლენინმა კი პირველმა მარქსისტულ ლიტერატურაში ჭერ კიდე რევოლუციამდე მოგვცა ტერმინი „სოციალისტური ერი“ და მიუთითა სოციალისტური ერების განვითარების ძირითად კანონზომიერება-

ზე, რაც მათი მძლავრი განვითარებისა და ურთიერთდაახლოების ტენდენციებში მდგომარეობს. 1916 წელს ვ. ი. ლენინი წერდა: „მშრომელი მასები რომლებიც თავისუფლდებიან ბურჟუაზიის უღლისაგან, მთელი ძალადონით გაიწევენ დიდ და მოწინავე სოციალისტურ ერებთან კავშირისა და შერწყმისაკენ... ოღონდ კი გუშინდელი მხავერდები არ შეურაცხყოფდნენ ხანგრძლივად ჩაგრული ერის თვითპატივისცემის ფრიად განვითარებულ დემოკრატიულ გრძნობას, ოღონდ კი მას მიახლოებდნენ თანასწორობა ყველაფერში“ (თხზ., ტ. 22, გვ. 431, ხაზგასმა ჩვენია. გ. ბ.).

ამრიგად, მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლავს, რომ არსებობს ერების მხოლოდ ორი ტიპი — ბურჟუაზიული და სოციალისტური ერები, რომელთა ურთიერთშორის ძირეული დაპირისპირება და მთავარი დამახასიათებელი თავისებურებანი დასაბუთებულია ი. ბ. სტალინის შრომაში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“.

ვ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებზე დაყრდნობით, ერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე ი. ბ. სტალინმა 1913 წელს ბოლშევიკურ ჟურნალ „პროსვეშჩენიეს“ №№ 3,4,5 ნომრებში გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ (სტატიაში შემდგომში მიიღო სახელწოდება „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“), რომელსაც ვ. ი. ლენინმა ასეთი მაღალი შეფასება მისცა: „თეორიულ მარქსისტულ ლიტერატურაში... სოციალ-დემოკრატიის ნაციონალური პროგრამის საფუძვლები უკვე იყო გამოუქმებული უკანასკნელ ხანებში (აქ პირველ ადგილზეა სტალინის სტატია)“ (თხზ., ტ. 19, გვ. 645).

ვ. ი. ლენინმა როგორც კი გაიგო, რომ ოპორტუნისტებს ი. ბ. სტალინის აღნიშნული სტატია უნდოდათ საღისკესიოდ გაეხადათ, მაშინვე გადაჭრით გაი-

ლაშქრა მათ წინააღმდეგ და მიუთითა: „რა თქმა უნდა, ჩვენ აბსოლუტურად წინააღმდეგი ვართ. სტატია „მსლიან კარგია. საკითხი აქტუალურია და ჩვენც ოდნავადაც არ დაეუთობობთ პრინციპულ პოზიციას ბუნდელ არამზადებს“ (თხზ., ტ. 19, გვ. 708).

ი. ბ. სტალინის შრომაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ მოცემული ერის ცნების მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრა, რომელიც ბურჟუაზიულ ერებს შეეხებოდა, ი. ბ. სტალინმა 1929 წელს დაწერილ (1949 წელს გამოქვეყნებულ) სტატიაში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ კიდევ უფრო დააკონკრეტა და გაავრცელა სოციალისტურ ერებზეც. უკანასკნელი განსაზღვრით: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ოთხი ძირითადი ნიშნის ერთობის ბაზაზე, სახელდობრ: ენის ერთობის, ტერიტორიის ერთობის, ეკონომიური ცხოვრების ერთობისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაც ნაციონალური კულტურის სპეციფიკურ თავისებურებათა ერთობა“ (თხზ., ტ. 11, გვ. 369-370).

ერის ცნების ამ განსაზღვრამ დიდი როლი შეასრულა ერის მკვლარი, ბურჟუაზიული და ოპორტუნისტული თეორიების წინააღმდეგ ბრძოლაში, გაუძლო მკაცრ ისტორიულ გამოცდას და დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, მეცნიერული სიზუსტე და ცხოველმყოფელობა.

1966 წლის იანვრიდან ჟურნალ „კომროსი ისტორიის“ ფურცლებზე მიმდინარეობს დისკუსია და ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერი ცდილობს ერის ცნების სტალინისეულ განსაზღვრაში კორექტივის შეტანას, მაგრამ ჭერ-ჭერობით ეყრავინ წარმატებას ვერ აღწევს. ეს ფაქტი ერთგულ კიდევ ადასტურებს იმას, რომ უდიდესი სიღრთილით უნდა მოვეყიდოთ იმ ფასდაუდებელ მდიდარ მემკვიდრეობას, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა დაგვიტოვეს.

მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ურყევი ერთგულება და მისი შემოქმედებითი განვითარება ჩვენი პარტიის დიდებული ტრადიციას, რომელიც ჩამოყალიბდა რევოლუციონიზმისა და დემოკრატიზმის, მენშევიზმის, ტროცკიზმის, ნაციონალიზმისა და ყოველგვარი თპორტუნისმის წინააღმდეგ პრინციპულ ბრძოლაში.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების ვ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ მოცემულმა სახელმძღვანელო პრინციპებმა ყოველმხრივი განვითარება პოვეს ვ. ი. ლენინისა და მის მოწაფეთა ნაწარმოებებში. ვ. ი. ლენინმა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალ პირობებში ახალი დებულებებითა და დასკვნებით გაამდიდრა მარქსიზმი, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ეპოქის შესაბამისად შექმნა ახალი ეტაპი ერის მარქსისტულ თეორიაში და განსაზღვრა საზოგადოებრივი ცხოვრების უაღრესად რთული პრობლემის — ეროვნული საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტის ერთადერთი სწორი გზა.

ვ. ი. ლენინმა ვითვალისწინა როგორც მრავალეროვანი რუსეთის სპეციფიკა და კონკრეტული პირობები, ისე საერთოდ იმპერიალიზმის ეპოქის თავისებურებანი და პირველმა მარქსიზმის ისტორიაში შეიმუშავა, თეორიულად დასაბუთა ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის ეროვნული პროგრამა და პოლიტიკა.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისში, რუსეთში რევოლუციური, ინტერნაციონალური მუშათა პარტიის შექმნისათვის ბრძოლის გარეგარეჯე ჩამოაყალიბა რუსეთის პროლეტარიატის სამბრძოლო ამოცანები და მოგვცა მარქსისტული პარტიის ეროვნული პროგრამის ძირითადი ამსავალი იდეები, რომლებსაც შეიცავენ ნაწარმოებები „ეგრეთწოდებული ბაზრის საკითხის გამო“, „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების

წინააღმდეგ?“, „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა-ზანსტრუევის წიგნი“. ვ. ი. ლენინის მიერ საპარობილუში (1895-1896 წწ.) დაწერილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამის პროექტში დასაბუთებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ინტერნაციონალისტური ტიპის მუშათა კლასის პარტიის შექმნის იდეები.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით, ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ რსდმპ I ყრილობამ პარტიას უწოდა არა „რუსი“, არამედ „რუსეთის“ სდმპ. „პარტია არსდება 1898 წელს, როგორც „რუსეთის“ პარტია, ე. ი. რუსეთის ყველა ეროვნების პროლეტარიატის პარტია. პარტია „რუსეთის“ პარტიად რჩება, როდესაც 1903 წელს ბუნდი გამოდის პარტიიდან, მას შემდეგ რაც პარტიის ყრილობამ არ მიიღო მოთხოვნა — ბუნდი მიეჩნიათ ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად“ (თხზ., ტ. 19, გვ. 288).

ვ. ი. ლენინმა თავის ფუნდამენტურ წიგნი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, და მთელ რიგ სტატიებში („ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი“, „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პროექტი“, „ბუნდის განცხადების გამო“, „სომეხი სოციალ-დემოკრატების მანიფესტის შესახებ“, „ესაქიროება თუ არა ებრაელ პროლეტარიატს „დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია“, „ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში“ და სხვ.) შეიმუშავა ჩვენი პარტიის ეროვნული პროგრამის თეორიული საფუძვლები და ძირითადი პუნქტები.

რსდმპ პროგრამაში, რომელიც მოამზადა ლენინურმა „ისკრამ“ და მიიღო პარტიის II ყრილობამ 1903 წელს, გატარებულია ყველა ერის თანასწორფლებიანობის მარქსისტული პრინციპი. ვ. ი. ლენინმა რსდმპ II ყრილობაზე პროგრამის განხილვისას გადაწყვეტი ბრძოლა გაუმართა ბუნდულებსა და პოლონელ თპორტუნისტებს, რომლებსაც

არ უნდოდათ პარტიის პროგრამაში „ერთი თვითგამორკვევის უფლების“ შეტანა, და ბოლომდე დაიცვა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპი.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, მარქსიზმის ყოველგვარ რევინიონისტთა და სეპარატისტთა წინააღმდეგ პრინციპულ ბრძოლაში ბოლოშევიკები ე. ი. ლენინის მეთაურობით სკეპდნენ პროლეტარიატის რიგების ინტერნაციონალურ ერთიანობას, მისი კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის, ნამდვილი პროლეტარული პარტიის ტიპს, რომლის უმაგალითო სიმტკიცე და უძლეველობა შემოწმდა სამი რევოლუციის ქარცეცხლში, საერთაშორისო იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციულ და ძლიერ ძალებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებებში და რომელიც ამჟამად წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელ და წარმართველ ძალას კომუნიზმის მშენებლობაში, ნიმუშს მთელი საერთაშორისო კომუნისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანობის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ეროვნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციისა და რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის წლებში. იმპერიალიზმმა ყოველმხრივ გააძლიერა მშრომელთა ექსპლოატაცია და კოლონიურ ხალხთა ჩაგვრა, ბურჟუაზია ცდილობდა გაეთიშა მუშათა კლასი და ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა სხვადასხვა ერები. ნაციონალისტურმა ტენდენციებმა თავი იჩინა იმპერიის განაპირა მხარეების ზოგიერთ მუშათა ორგანიზაციებში. ლენინურ ეროვნულ პროგრამას თავს ესხმოდნენ ლიკვიდატორები, ტროცისტები, ბუნდელეები, ქართველი მენშევიკები, უკრაინელი და სომეხი სოციალ-დემოკრატები და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ეროვნული საკითხისადმი ნაკარნახევი იყო აგრეთვე

საერთაშორისო ვითარების, იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა უკიდურესად გამწვავებით, გამალეზულე იმპერიალიზმით, სამხედრო ბლოკების შექმნით, მსოფლიოს გადანაწილებისათვის იმპერიალისტური ომის მოახლოებითა და აგრესიული შოვინიზმის ქადაგების გაძლიერებით, II ინტერნაციონალის ოპორტუნისტების მიერ კლასობრივ ბრძოლასა და სოციალისტურ რევოლუციაზე, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმსა და ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაზე უარის თქმით.

ასეთ ვითარებაში ეროვნულ საკითხზე გაამახვილა ყურადღება რსდმპ პრადის კონფერენციამ (1912 წ.), სპეციალური გადაწყვეტილებები მიიღეს კრაკოვისა და პორთინის თათბირებმა (1913 წ.); ე. ი. ლენინმა ამ პერიოდში დაწერა მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც გვიჩვენა ეროვნული საკითხის მთელი სირთულე, განავითარა და მეცნიერულად დაასაბუთა ჩვენი პარტიის ეროვნული პროგრამა და პოლიტიკა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტილებისთვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების ჩამოყალიბებამ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნამ საბოლოოდ მოსაო ეროვნული ჩაგვრა ჩვენს ბრავალეროვან ქვეყანაში და უზრუნველყო ერთა პოლიტიკური თანასწორობა, მაგრამ ეს ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის მხოლოდ ერთი, უადრესად მნიშვნელოვანი, მაგრამ მანც ერთი მხარე იყო. ისტორიული მემკვიდრეობით მიღებული ხალხთა ეკონომიური და კულტურული განვითარების სხვადასხვა დონის გათანასწორობა, რუსეთის იმპერიის ყოფილი კოლონიების ჩამორჩენილობის აღმოფხვრა, ე. ი. ფაქტობრივი ეროვნული უთანასწორობის ლიკვიდაციის ამოცანის განხორციელება გახდა სსრ კავშირის ხალხთა შემდგომი შემკვიდროების, კემპარიტად ურ-

დევნი სოციალისტური თანამეგობრობის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობა. ამ მეტად რთული პრობლემის გადაჭრა წარმოადგენდა ეროვნული საკითხის ძირითად შინაარსს სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის მთელ პერიოდში.

ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფაქტობრივ ეროვნული უთანასწორობის ლიკვიდაციას. 1917 წლის 22 ნოემბერს თავის სიტყვაში სამხედრო ფლოტის სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა ეროვნებათა სიმრავლეს რუსეთში, სადაც ცარიზმის დროს სასტიკი კოლონიური ჩაგვრა იყო და მიუთითებდა: „ჩვენ უნდა დავამსხვრიოთ ის ძველი, სისხლიანი და ჭუჭყიანი წარსული, როდესაც კაპიტალიზმ-ჩაგვრელთა რუსეთი სხვა ხალხების მიმართ ჯალათის როლს ასრულებდა. ამ წარსულს ჩვენ აღვგვივით, ამ წარსულიდან ჩვენ ქვას ქვაზე არ დავტოვებთ“ (თხზ., ტ. 26, გვ. 401-403).

წინააღმდეგ კაპიტალიზმისა, რომლის პირობებში ღრმადება უფსკრული იმპერიალისტურ და კოლონიურ ქვეყნებს შორის, ვ. ი. ლენინმა კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესზე (1920 წ. ივლისი-აგვისტო) დააკონკრეტა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მითითებანი და რუსეთის სფეროში საბჭოთა რესპუბლიკებისადმი უანგარო დახმარების პირველი გამოცდისადმი განხორციელების საფუძველზე მეცნიერულად დასაბუთა, რომ მოწინავე ქვეყნების გამარჯვებული პროლეტარიატის დახმარებით ჩამორჩენილ ხალხებს შეუძლიათ კაპიტალიზმის გაუვლელად სოციალიზმზე გადასვლა და თავიანთი განვითარების დონით დაუწიონ მოწინავე ქვეყნებს, რომელთა საერთო მიზანია კომუნისტური აშენება.

ფაქტობრივ ეროვნული უთანასწორობის ლიკვიდაციის ლენინურმა თეორიამ შემდგომი განვითარება პოვა ვ. ი. ლენინის წერილში „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“, რომელშიც გამოხატულია მათი პირველი მზრუნველობა და ჩამოყალიბებულია კომუნისტური პარტიის ამოცანები ფაქტობრივ ეროვნული უთანასწორობის უზრუნველყოფად. ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადასაწყვეტად, მთავარი იყო ჩამორჩენილი რესპუბლიკების ხალხთა ეკონომიკისა და კულტურის ჩვეულებრივზე უფრო სწრაფი ტემპით განვითარება მოწინავე ერების, პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის ყოველმხრივი დახმარებით. „ინტერნაციონალიზმი, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — მჩაგვრელი ანუ ეგროფილიტური „დიდი“ ერისა... უნდა მდგომარეობდეს არა მარტო ერების ფორმალური უთანასწორობის დაცვაში“, არამედ დახმარებაში ყოფილი მჩაგვრელი ერის, დიდი და მოწინავე ერის მხრივ ფაქტობრივ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. „ვისაც ეს ვერ გაუგია, იმას ვერ გაუგია ნამდვილად პროლეტარული დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი“ (თხზ., ტ. 36, გვ. 692).

ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე კომუნისტურმა პარტიამ თავის X და XII ყრილობებზე დასახა ფაქტობრივ ეროვნული უთანასწორობის ლიკვიდაციის კონკრეტული გზები და საშუალებები.

სოციალისტური საზოგადოების აშენების ლენინური გეგმით დასახა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების ყველაზე გონივრული პრინციპები. ლენინური ეროვნული პოლიტიკა ითვალისწინებდა არა მარტო ნედლეულის წყაროებთან წარმოების მიახლოების ეკონომიურ მიზანშეწონილობას, არამედ მოწინავე რესპუბლიკების ჩამორჩენილი ეროვნული მხარეების ეკონომიკისა და კულტურის უფრო სწრაფი ტემპით განვითარების აუცილებლობას. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი და მეორე ხუთწლიანი გეგმების წარმატებით განხორციელებამ განაპირობა ის,

რომ 1937 წლისათვის ძირითადად მივაღწიეთ ფაქტურ-ეროვნულ თანასწორობას, მაგრამ წინათ ჩამორჩეილ ეროვნულ მხარეებს უფრო სწრაფი ტემპით განვითარება კვლავ ესაჭიროებოდათ, რაც ვათვალისწინებელი იყო მესამე და ომის შემდგომ ხუთწლეულებშიც ისე, რომ 1913 წელთან შედარებით 1956 წლისათვის მძიმე მრეწველობის პროდუქცია თუ რუსეთის სფსრ-ში გაიზარდა 42-ჯერ, შავალითად, ყაზახეთში გადიდდა 97-ჯერ, საქართველოში — 80-ჯერ, სომხეთში — 135-ჯერ, ყირგიზეთში — 717-ჯერ, ტაჯიკეთში — 1 049-ჯერ.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია ის, რომ სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში შექმნილია ყველა ტიპის საგანმანათლებლო და სპეციალური სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები და მეცნიერებათა აკადემიები. ამჟამად მართო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ითვლის 7 400-ზე მეტ თანამშრომელს, აქედან აკადემიის ნამდვილი წევრია 53, წევრ-კორესპონდენტი — 57, მეცნიერების დოქტორი და კანდიდატი — 1 200, ჩვენი აკადემიის 30 მეცნიერი არჩეულია საზღვარგარეთის აკადემიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებად.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრულმა და საბოლოო გამარჯვებამ, რაც ე. ი. ლენინის ანდერძის პრაქტიკული განხორციელების მთავარი შედეგია, უზრუნველყო ერთა ფაქტიური თანასწორობა, აღმოფხვრა ერთა ეკონომიკური და კულტურული განვითარებაში ფაქტიური უთანასწორობა. სსრ კავშირში მოწინავე სოციალისტური ერების ჩამოყალიბება, მათი ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების მძლავრი აღმავლობა, ძმური თანამეგობრობის

განმტკიცება ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფია.

კომუნისტური მშენებლობის შედეგად, საბჭოთა კავშირის ლენინური ეროვნული პოლიტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ უზრუნველყოს სოციალისტური ერების ყოველმხრივი განვითარება და აყვავება, მისების ურთიერთდაახლოება და სრული ერთიანობა. სკკპ ახალ პროგრამაში ნათქვამია:

„პარტია კვლავაც განახორციელებს პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების ფაქტიურ თანასწორობას მათი ინტერესების სრული გათვალისწინებით, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ჩვენი ქვეყნის იმ რაიონებს, რომლებსაც უფრო სწრაფი განვითარება ესაჭიროებათ. კომუნისტური მშენებლობის პროცესში მზარდი დოვლათი სამართლიანად უნდა განაწილდეს ყველა ერსა და ეროვნებას შორის“ (გვ. 127).

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებში სახალხო მეურნეობის 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია კომუნისტური მშენებელი სსრ კავშირისა და მისი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ახალი მძლავრი აღმავლობა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში.

კომუნისტური მშენებლობის პროგრამული ამოცანების წარმატებით განხორციელება, რისთვისაც თავდადებით იბრძვის მთელი საბჭოთა ხალხი, უზრუნველყოფს სოციალისტური ერების შემდგომ აყვავებას და ურთიერთობას, მათი ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონის ყოველმხრივ აღმავლობას. ეს იქნება ლენინური ეროვნული პოლიტიკის ახალი გამარჯვება — მნიშვნელოვანი ნაბიჯი სოციალისტური ერების კომუნისტურ ერებად განვითარების გზაზე.

ალექსანდრე აბაშელი

ალექსანდრე აბაშელი სამართლიანად არის აღიარებული XX საუკუნის ქართული ლექსის ერთ-ერთ გამომწინაო ისტორიულ ვალეტიონ ტაბიქიანთან და იოსებ ვანიშვილთან ერთად, ალექსანდრე აბაშელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ლექსის განვითარებაში.

ალექსანდრე აბაშელს პოეტურ სარბიელზე გამოსულ პოეზია რთულ სოციალურ ვითარებაში. ეს იყო ხანა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამეფებულ რუსეთისა, როდესაც ანტილიბერალური ერთობა ნაწილად რევოლუციის დროებითი მარცხი თავისი მალაღი საზოგადოებრივი იდეალების საბოლოო დამსხვრევად მიიჩნია.

ლექსების გეგმა ალექსანდრე აბაშელმა ოცდაათი წლის ასაკში დაიწყო. მისი ადრეული, აბაღაზრდობის პერიოდმა, პოეტური ვარკიშობანი მკითხველსათვის დღემდე უცნობი რჩება. თავისი პირველი ლექსით („ზამთარი და გაზაფხული“), რომელიც 1909 წელს გაზეთ „დროებაში“ პარისელის ფსევდონიმით დაიბეჭდა, აბაშელი ქართულ პოეზიის უვე მომწიფებულ პოეტად მოეწონა. ეს ლექსი იმითაა საინტერესო, რომ მისი იდეურ-მხატვრული კონცეფცია შემდგომი საფუძვლად დაედო აბაშელის თითქმის მთელ რევოლუციონერულ პოეტურ შემოქმედებას. ლექსი წარმოადგენს გაზაფხულისა და ზამთარის, ნათელისა და ბნელის ურთიერთობის ალგორითმულ სერადას.

რევოლუციური ბრძოლის პრობლემა იმთავითვე შევუდ დადგა აბაღაზრდა პოეტის წინაშე. ამიტომ დაუკავშირდა იგი იმ დროის ქართულ ლიტერატურაში ახლად აღმოცენებულ „დემოკრატიული პოეტების“ ჯგუფს. „დემოკრატიული პოეტების“, ზოგიერთის გამოკლებით, ძირითადი აქცენტი ლექსის რევოლუციურ-იდეურ მხარეზე გალაქონდათ და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მისი ფორმის სიახლეს. თუმცა იყვნენ სიახლესთან ერთად კი სპეციფიკური ახალი პოეტური ხერხების ძიება, ლექსისათვის ახალი ფორმის გამოხატვა. ამ მხრივ აბაშელი გამოირჩეოდა „დემოკრატიული პოეტებისაგან“. იგი თავისი მხატვრული პრინციპებით სიმბოლისტური სკოლისკენ იხრებოდა.

აბაშელის პირველსავე ლექსებს იმდროინდელი ლიტერატურული კრიტიკა დიდა მოწონებით შეხვდა. ჟება დამისახება, მგალითად, ლექსმა „შვიდი ახრდილი“. ამ ლექსის ლირიული გმირი ტიპური სახეა რეაქციონერულში გზაბნეული ანტილიბერალისა, რომელსაც რევოლუციის დამარცხების შემდეგ ცხოვრების ორიენტაცია დაუკარგავს, ამქვეყნიურ ვიარამს გაქცევა, ზეცისკენ იღრბის შვებამ ნაცვლად იმედის სივისისა, იქ სიკვდილს ახრდილს ხედავს. ამგვარი იდეური შანახარით თავისი დროისათვის ეს ლექსი შეტად აქტუალური იყო. საუფრადღებო მოეწონეს წარმოადგენდა იგი აგრეთვე თავისი ფორმითაც. ესაა თითქმის მარცვლიანი, ჯვარდანი რითმებით დაწერილი ლექსი, რომლის თითოეულ სტროფში მეორე და მეოთხე სტროფები აღმავალ განმეორებებს ქმნიან. ეს პოეტური ხერხი, მართალია, ძველ ქართულ ხალხურ სიმღერებში გვეხვება. მაგრამ, ამ შემთხვევაში, აბაშელისათვის შთაგონების წყარო ხალხური პოეზია როდია. აქ უფრო იგრძნობა გატაცება რუსული სიმბოლისტური პოეზიით, რომელსაც აბაშელი თავისი პოეტური შემოქმედების დასაწყისშივე გაეცნო და პირველი ხანებში მისი ნაწილობრივი ფეხვლენა განიცადა. აქ, მგალითად, ლექსი „შვიდი ახრდილი“ ფორმის მხრივ, ანალოგიას პოეზობს კოსტანტინე ბალმონტის პოეზიაში („Ступени“). აბაშელის ადრინდელ პოეზიაში შეიძლება დასახვლება კიდევ რამდენიმე ლექსისა, სადაც ბალმონტის გავლენა შეინიშნება: „ცეცხლი“ თავისი ფორმით ჰყავს ბალმონტის „ფანტაზიას“, ხოლო „ზღვის ზღაპრის“ კომპოზიციას ბალმონტისავე „ქოფნის ანდერსი“ მოგვადგონებს. ლექსი „განთავის მოლოდინში“, რომელიც იწყება სტროფებით —

ნისლის ნაკვით ნაჩნარ ნივს.
ჩამქრალ ჩრდილად ჩაქვედომოდა... —

თავისი ალიტერაციით ბალმონტის ცნობილი ლექსის „სოციალიზმ ჰქმნის“:

„Вечер. Взморье. Вздохи ветра.
Величавый возглас воли!“...

1913 წელს გამოვიდა ა. აბაშელის ლექსების პირველი კრებული „მზის სიცილი“. ამ კრებულთ შინ დიდი წარმატება მოიპოვა. კრიტიკოსებმა: ი. ვომაროვლმა, გ. ტუმბურაძემ, დ. უზნაძემ და სხვებმა — გრცელი წერილები მიუძღვნეს აბაშელის პოეზიას და პალაო შეფასება მისცეს მას.

„მზის სიცილი“ იმდროინდელ ქართულ ლიტერატურაში ახალ პოეტურ სიტყვას წარმოადგენდა. ახალი იყო მისი როგორც თემატიკა, აგრეთვე პოეტურ სახეთა წარმოქმნის საშუალებანიც.

ლექსების ამ პირველ კრებულში ყურადღებას იქცევს „ჩაქრა დილა“, რომელიც დიდი სოციალური მოვლენის გამოშატეული ნაწარმოებია. ისე, როგორც აბაშელის თითქმის ყველა ადრინდელი ლექსი, ისიც ბნელისა და ნათელის კიბლის ალგორითმულ ფონზე იშლება. პოეტის ფანტაზიით წარმოსახულა „უკუენითან შენაბრძოლი“ დილა 1905 წლის რევოლუციის აღუგორიაა, ხოლო „ქვეყნელიდან მონაბერი შავი მტყერი“ — რევოლუციის დამარცხების შედეგად გამეფებული რეაქციის სუსხი. ამ პოეტური კონტრასტით ავტორი შესანიშნავად ახერხებს რევოლუციის ფინალს დახატვას. ფერთა მძაფრი ცვალებადობა, უღარესი მუსიკალობა, შესანიშნავი შედარებები, ეპითეტები, მეტაფორები და სიმბოლოები ამ ლექსს ორავინაღობურ ადგილს უმკვიდრებს XI საუკუნის ქართულ სოციალურ ლირიკაში.

„ჩაქრა დილა“ მოტყვის აბაშელი შემდეგ სხვა ლექსებშიც უბრუნდება. ის ეღერს, მაგალითად, ლექსში „სისხლის წვიმა“, რომელიც ლენის მემათა დაბერების ამბავს ეხმარება. რეაქციის მიმე წლებში პოეტი ხედავს, რომ იმედის სიბივი სავსებით როდი ჩაქრადა. მის სწამს, რომ დადგება დრო, როცა ბნელის ნაცვლად ქვეყნად ნათელი იხეიმებს:

წყვილადის ქერუმთ ხარხარი ვერ მოშლის,
ბედის ტრილისა,
ვერ გაამეფებს ცის თაღზე შავ ღრუბულთ
ვროფას ტიალსა,
სადილისპირთ სიმღერად ვერ იხმარს
ბორჯელთ ჩხრიალსა..
(„არწივი“).

ხოლო ყოველგვ ამის საწინდარს პოეტი მშრომელ ხალხში, მის რევოლუციურ მასწარავებაში ხედავს:

ქენა გუგუნებს, ქენა გრგუნებს, მამწროლთ
სავანე,
უხილავ ძალთა სტიქიონით გატყუებულთ,
ცხოვრების დარღვევს ეხერტება ვახი ოქნანქ,
სასტიკ ქარიშხლით ანაცვენსო, ახვირთებულთ.
(„ორი სუქათი“).

პოეტი მზადა ყოველგვარი დამრკოლებები გადალახოს და „ჩაგრულთა სახსნელად“ „მოშავლის შეილთა“ შებრძოლ მწყობარში ჩადგეს. ჯალათების რყინის ხუნდის დამსხვრევდაცენ მოუწოდოს.

მაგრამ ეს განწყობილება მერყევია. „არწმენის შუქი“ პოეტის ბუნებაში იმდენად ცვალებადია, რომ იგი ხან მინელდება და კიდევ ქქება, ხან მძლავრ ცოცონად იქცევა. როცა პოეტი, წარსულში იმედგაცრუებული, მომავლს იმედსაც ქეარგავს, მას, ცხოვრებაზე ბელაქნეულს, უნაპირო სევდა აყრობს:

განვლო დრომ... ცხოვრებამ დამისწო კარები,
განწმორდა ქვეყანას — აჩუხს ევკარები.
რაც იყო, არ მჭერა, — გამიჭრა ყოველი.
მომავლის არრა მწამს, იღარას მოველი...
(„ეღვლი“).

წინააღმდეგობათა ეს კიბილი ა. აბაშელის არამე თუ რევოლუციამდელ მთლიან შემოქმედლებში, არამედ იმდროინდელ ცალკეულ ლექსებშიაც შეინიშნება.

მე ხმა მესმის იღვბლი ოქნებლ ქმნილ
მომავლისა,
ობოლ სულის სანუგეშოდ ვარსკვლავთ
შორის დანაცვეს...

და იქვე:
შექმამქრალმა მიწის ბურთში ერთხელ
კიდევ გაიფლავა
და ქაოსის შავ ბურთსში სავსეწოდ ვაგებია...
...ღღდამიწის შავი ეტბო მქრალ მზის
ირველგვ დანრიალეს.
(„ხმა მომავლიდან“).

განწყობილებათა ცვალებადობა აბაშელის ადრინდელი პოეზიის შინაგანი ბუნებაა: „ხან ცეცხლის ხმა ვარ, ხან წყვილადის, მუდამ ვიცვლებო“, — ამბობს პოეტი ლექსში „სულას საშეფო“.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამეფებულში რეაქციამ ბუერი ინტელიგენტი ჩამოაშორა სოციალ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. რევოლუცია მშრომელთა ფართო მასებს ჩავერის მოსაობას, „საუკუნეთ ვანაქვი ხალხთ ბორჯილის“ დამსხვრევას მპირდებოდა, ბუნდებრ მომავალს აღუთქვამდა, მაგრამ იგი დამარცხდა. მამ, რაღად დაიღვარა ამოღენა სისხლი, რაღად იყო საჭირო ხელში

იარაღის აღება, თუ კი ბრძოლის შედეგი საკლალაო იქნებოდა? ასე სვამდა საკითხს ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელმაც ვერ გაიგო რევოლუციის განვითარების კანონზომიერება. ინტელიგენციის ამ ნაწილის შეგუენებაში შესუსტდა საზოგადოებრივი ინტერესები. მხატვრულ ლიტერატურაში შეიჭრა უკადერესი ინდივიდუალაზმი, დეკადენტური განწყობილებანი, ა. აბაშელი მხოლოდ ნაწილობრივ ეზიარა ამ განწყობილებებს. სოციალური მოტივი მინც მართლად მოტივად დარჩა პოეტის შემოქმედებაში. მაგრამ ა. აბაშელმა საწყაროს აღქმის თავისებური მხატვრული კონცეფცია შექმნა და თითქმის ყველა თავისი ადრინდელი პოეტური ჩანაფიქრი ამ ასპექტში წარმოვიხსება. ეს არის ცის სიერცის, ცის მშობობითა რომანტიკა, რითაც იგი ქართულ პოეზიაში ყველა თავის თანამოკალმისაგან განსხვავებულ, ორიგინალურ ადგილს იკავებს.

ალექსანდრე აბაშელის რევოლუციამდელი პოეზიასათვის დამახასიათებელია ცხოვრებისა და ბუნების მოვლენების ასტრაქტული წარმოსახვა. პოეტს აწვადებს ოდითგანვე თავსამტერვეი კითხვა: რას წარმოადგენს ადამიანი და რა აზრი აქვს ამ ქვეყნად მის არსებობასა და ბრძოლას თუ კი სიცილი ვარსებდა? უკვდავი მხოლოდ ცხოველყოფელი მზეა, რომელმაც დრო დაამარცხა:

მზეს არ ახსრეს შობის წამი, მზეს სიცილილი არა სჯერა,

მან სიცილზე უკვდავების სიმთავედრით ააძვერა!

დროს წაართვა ძლევის კვერთხი და დათოფენა მით სიცილილი..

ნეტაი მას, ეისაც ესმის აღმადგენი მზის სიცილი... („მზის სიცილი“)

აქედან — მზისაგან, უკვდავებისაგან დატყბრომელი ლტოლვა. პოეტი ფერად-ფერად საღებავებით ხატავს მზეს, მის მოვლენებს. იგი მზის ნაშედილი ქურუმია. ძველი ელნივეით შეხლადღებეს, ადიდებს და ეთავყვანება მნათობთა შორის უბარეფლეს.

მზის რომანტიკა პოეტმა განსაკუთრებით კოლორიტულად გამოხატა ცნობილ ლექსში „მზე“, რომელმაც 1911 წელს გაზეთ „თემის“ რედაქციის მიერ საუფეთესო ლექსზე გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და შეითხველ საზოგადოებაში დიდი მოწონება ჰპოვა. „მზე“ კომპოზიციურად შეერული, სულბტერულად ჩამოსხმული ლექსია. იგი სამი ნაწილისაგან შედგება: „დილა“, „შუადღე“, და „საღამო“. სამივე ნაწილი, ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული, ერთ მთლიანობაში წარმოადგენს დღის სურათს.

პოეტის ფანტაზიით, მზე დედამიწის სატრფოა, რადგან „მიწამ სული მზეზე უბოღა“ და სატრფოსთან „შეყრის წამს მონატრულყოფილი, კოსმიურ სიერცეში მიილტვის მზისაგან. შარადილვა ეს ლტოლვა მას, ისევე, როგორც დროს, არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული.

„მზის მგოსანთან“ ერთად ა. აბაშელს „კოსმიურობის პოეტსაც“ ეძახიან, როგორც უკვე იყო აღნიშნული, პოეტი თითქმის ყველა თავისი ადრინდელი ლექსის თემატიკა კოსმიურობის ასპექტში ჰქრეტა. მაგალითად, ცეცხლი, ბუნების ეს წვეულებრივი მოვლენა, რომელსაც ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა კონკრეტული დანიშნულება აქვს, მის პოეზიაში კოსმიურ განზოგადებას იღებს.

„ეამი მიქრის, ეამი კვდება; ცეცხლით ქმნილი ცეცხლში ჰქრება, ცეცხლად ღვივის ვარსკვლავთ კრება, მართი და ოტრადი, ცეცხლი არის მხოლოდ ერთი — რღვევის ძალა, რისხვის ღმერთი, სამივე დროა შემავრთი, არსებობის გზა და ხიდი. („ცეცხლი“)

ასევე ლექსში „ახალი წელი“ პოეტს კონკრეტული საყოფაცხოვრებო პრობლემა როდი აქვს დასმული. მას ის კი არ აინტერესებს, თუ ერთი წლის განმავლობაში რა ახალ მოვლენებს ჰქონდა ადგილი ქვეყნად, ადამიანთა ურთიერთობაში, როგორ შეიცვალა ხალხის ცხოვრება, არამედ ის, რომ დედამიწა ერთხელ მოტრიალდა მზის ვარშემო:

წარსულის ჩაჭვს ვადაცქრო კიდევ ერთი ცეცხლს რგოლი, ერთჯერ კიდევ მოტრიალდა დედამიწა, მზისკენ მსარბოლი..

მომდევნო სტატიონებში გადმოცემულია მზისკენ დედამიწის დაუსრულებელი სარბოლა და დროის შტეგრში დაფარული საიდუმლო ამოსხნის დაფოცებული სურათი.

ა. აბაშელი რთული კოსმიურია პეიზაჟების ბრწყინვალე ოსტატია. აი, შრავალთაგან ერთი შველითი:

ცის კიდურზე ღრუბლებისგან ბინდის ქართ-აშენებულს, მარმარილოს ციხე-ქალაქს, უნაეოდ გაქვებულს, სძინავს უხმოდ, უსიციოცლოდ, მთის თხემიდან ცედ აზილულს, ვით ოცნების ზღაბრულ ეენძელს, ცის ეთერში ვაგამოყიდულს. („მეფელოგია“).

ასტრალურ ფონზე იშლება ლექსების მთელი სერია: „მთვარის სახე“, „მთვარის შუქი“, „ფიჩუბ ცაზე“, „ორი ცა“, „ლურჯი ვარსკვლავი“, „ობოლი სული“, „სულას სამეფო“ და სხვ. პოეტის კონსოციონით, აღამიანისათვის შედენიერება მარადისობისაკენ სრბოლაშია. „შვის სიცილის“ ლირიკული გმირი მიწიერა აღამიანია, რომელიც უზენაესისაკენ ისწრაფვის. ეს უზენაესი არ არის ქრისტიანული ღმერთი, იგი სამყაროს მარადისობაა. როცა აღამიანი მარადიულს — მზეს უბალოვლებდა, სიყვდილის შავი აბრდილი ქრება:

ტალღათ ლეღლეში განეცადე სულისა
შეება,
ცეცხლის მორევი შევსრილი
ხელეგამოლილი,—

მარადისობის ვიგრძენ ძალა და უკვდავება...
გასწყდა მიწისა შავი სიმი... ვაჭრა აბრდილი.
(„შვის წიაღში“).

აქ თითქმის დადგა ბედნიერი წამი სანადილის
შესრულებისა, მივრამ აქვე ვაისბის ვამაფრთ-
ხილუბელი ხმა, ცურვი ზარის რეკვა:

აქ რას ეძებ, ცის წიაღში, ვარსკვლავთ
შორის, მიწის შვილი,
რად დასტოვე დედამიწა ბძობის ველად
ვადამილი?!
(„მიწის სედა“).

ეს ხმა უკვირებს პოეტს, რომ ზეციური სამყარო — მზე, მთვარე და ვარსკვლავები — უტყვია მისთვის, რომ არსებობის ბუდისწერისა* ამოსაცნობად აღამიანი, პირველ ყოვლისა, მიწის სედას უნდა გაეცნოს და მხოლოდ ამის შემდეგ მისწვდება იგი ვარსკვლავების საიდუმლოსაც, თორემ მშობლიური მიწიდან მოწყვეტა, ხალხის ქირ-ფარამისაგან გაქცევა თანამომართა მიტოვება განსაკუთრებულ, მარტოობის მომავლდინებელ სედას უქადის პოეტს. აქედან ერთადერთი გამოსავალი ზეციდან ისევ მიწისკენ დაბრუნებაა:

მეგრამ ბოლოს ცის სივრცეში ვერ ვივუძელ
მარტოობას,
სულს მოსწყენდა ცემა ფრენა, ისევ ავეცე
მიწის გრძობას;
მომავონდა ცრემლის ვუბე, მომავონდა
მიწის ხუნდი,
და ცხოვრებით გულნატყენი ისევ
მიწის დაეუბრუნდო.
(„სედას პანგი“).

აღუქანდრე ანამელისათვის სამყარო ორბუნებოვანია. ამ აზრით არის შთავონებული ლექსები: „ორი და“, „ორი ცა“, „ორი სფერო“.

ორი და — ორი უცნაური ასული — სახესამბოლო სიცოცხლისა და სიყვდილისა. პირველი, შვის სხივთა სამოსით შექობილი, შეებას

სანთელით ხელში, ცხოვრების ველზე, ლაღად მიმავალი, ყოფიერების მარცვლებს, სთვსსეს. მეორეს თეთრ ჩაღრად მთვარის მერბილი შუქი მოუბურავს. იგი ღამის ჩრდილტან შორის მჭრელი ცელით ხელში, ზამად მოარბული, დაუნდობლად სცედას პირველის ნათესს, ცხოვრების ველზე ლამაზ ყვავილებად ამოსულს („ორი და“).

სიყვდილ-სიცოცხლის ანალოგიურ აღგოჩრის წარმოდგენს ორი ცა: პირველი რეალური, თავისი უთვალავი მნათობებით, ხოლო მეორე — პირველის ანარკელი, „დაქვესყენულ“ და ზღვის ფსერზე გადმოაბრუნებულ („ორი ცა“).

ამ მოტივზეა აგებული აგრეთვე „ორი სფერო“. ერთი მხრივ, ცის ლურჯი შყერდი. შვის სხივების თაივულთ შექობილი, ხოლო მეორე მხრივ, ქვესყენის წყედილი, სადაც სიყვდილის სიმბოლოდ შავი ვარდი ვამოლია.

„შვის სიცილში“ დაბეჭდილი ლექსებში უმრავლესობა კომპოზიციურად შეკრულ პოეტურ მონოლოგებს წარმოადგენს. მათთვის დამახასიათებელია საგნებისა და მოუღვენების მობრტოტური ჭყერტა, აღწერითობა, ფილოსოფიური ხასიათის შყერლობა, ნაკლები მდღეგრება. რაობა — ხალსი, რიტმი — შყეობრი. თუმღრეველი, ალიტერაცია — შღიდარი.

პოეტს ლექსების მეორე წიგნი „ანთებული ზეიანი“ ოთხი ციკლისაგან შედგება: „შარავინდღე“, „ჩირადღენები შავრში“, „დათოვლილი ბაღი“ და „უკანასყენლ კარბთან“.

„შირავინდღეს“ ძირითადი თემატია კვლავ კონსოციონრია. მეგრამ პოეტური კონსოციოთი ეს ლექსები ვინსხვავდებიან პირველი კრებულისაგან. ლექსებში: „დღისს ლოცვა“, „ცისარტყელი“, „არწივის ფრთები“, „პირველი სხივი“, „მზე ამოღის“, „საღამო“, „შის ამოსვლა“ და „მზე ჩიდოდა“ ბუნების მოვლენები დახატულია რეალისტრად. ეს ლექსები შვისა და სიცოცხლის საგლობლებია. სიცოცხლის სიზარტლის ბრწყინვალე რომანტიკა მოგვცა პოეტმა შესანიშნავ ლექსში „მზე ამოღის“.

სიომ სარკმელს შესისინა: მზე ამოღის!
გააციხა ფანჭრას მინა: მზე ამოღის!
შემომბძა: ცისკიდურზე ქორილია
და შენ რაღამ დაგაბინა: მზე ამოღის!
მიწამ თმები გაიშალა ზურმუბტისა,
ცამ ღრუბლები ააღრინა: მზე ამოღის!
ცის ასული ისე მოსჩანს ცეცხლს ნავში,
ეით ქალწული პაქაშინა: მზე ამოღის!
დღე ვბრძოდა ღამის თავადს და ქალწული,
მან საყოლელ დაიბინა: მზე ამოღის!
დღე ვგარს იწერს ცის ასულზე დილით ადრე,
ლაქერდს ოქრო დაედინა: მზე ამოღის!
აჰ, საჭმრო მოახლოდა ღრუბლის წარით

და მონახა ქალის ბინა: მზე ამოდის.
 ცეცხლის ტუნით ჰკოცნის ვაყვას
 პატარძალი,
 კოცნა ცეცხლი გააჩინა: მზე ამოდის!

ასეთი პოეტური ასოციაციები დამახასიათებელია მწიკდის იმ ლექსებისათვის, რომლებშიც ანთიმულ ხეივანშია შეტანილი. ამ ლექსებში მწიკდის სამბოლო რსხვედ წარმოადგენილია ქალის ხატება.

სამხატვრო რეალში — ჩემი გზა — პოეტი თავისთავს სიზნულს სავანიდან გამოკვეთულ პეტროლის ადრებს; იგონებს იმ დროს, როდესაც წვეთიანი მოცელო მისი არსება ტყვე იყო სამსოფარვეთისა. ახლა სინათლისავე ზეღვება-წველი შირბის, სურს ცეცხლის კარავს შეფარობს, საბრძოლო დრომდე მზის მოწყველი აღმართავს.

ლექსების ციკლი „ჩიხადნები პერში“ პოეტის საბრძოლო განწყობილებათა განახლებას წარმოადგენს. ა. ახალი უკვე გრძნობს, რომ 1905 წლის რევოლუცია, რომელიც კაცობრიობას ბედნიერ მომავალს სპირდებოდა, საბოლოოდ არ დამარცხებულა, რომ მშრომელია: ზაფხული მისები ახალი რევოლუციური აღმართობის გზას ადგანან.

ნათელი ღრუბლები ქარიშხალს ელანს
 და სისხლის ნორთქლით ფრთებს

იჭერადებენ.

ეს ცეცხლი უნდა, მოსალოდნელია
 მკვდრისთვის უცნობი ცეცხლის სურათები.

პოეტი სწორად თავს მშრომელი ხალხის მეჩიხადნულ წარმოდგენს და იმედის ცეცხლით ანთებული, გამოიქვამს რწმენას, რომ რევოლუციური მოძრაობის ტალღა მალე წაიღვავს სასახლეებს, ძიხს დასცემს „ოქროს კერას“.

ახა, ვასრულებ, ქარიშხალი, რაც დამავლი:
 მიმაქვს ენდელი, მესმის კენეს მტრად
 სასახლის.

(„ცეცხლის მახვილი“).

პოეტი მოწოდებს თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანს, არ შეჩერდეს შუა გზაზე, ბოლომდე მიიყვანოს, გამარჯვებით დააგვირგინოს ბრძოლა.

საქართველო ახალი სობარული შეეგება თებერვლის რევოლუციას. ეს განწყობილება მან გამოხატა ლექსში „სობარულის ცრემლი“. პოეტმა მეფის ტახტის დაშობა ბრძოლის საბოლოო მიზნის მიღწევად წარმოიფიქრა. მაგრამ ცდუნება დიდხანს არ გაფრქვებულა. მალე პოეტის ოცნება მომავალზე კვლავ ნისლი დაფარა. რთვით სახეს მიიღებს მშრომელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა, რა გზას ადავლებს თვითველი ერი? ეს კითხვები ახა-

ლისათვის კვლავ ბერუსით მოცელო დროს პოეტი იძულებული კვლავ პირად „მეს“ დაუბრუნდება, საკეთილ თაქმი ექებრას! მანამდენის წყარო, ეს ვარჯიშობა მას უკარგურესი ინტელიგენციისათვის უბიძგებს. დაცეცხლობის განწყობილება, რაც ილექსანდრე ახაშელისათვის მისი შემოქმედების ადრეულ ეტაპზედაც არ იყო უცხო, უფრო მეტი სიმწვავეთი აჩნდა თავს; მაგრამ ახლა პოეტის სევდა კონსპირირი უსახლერობის დაუძლეველობით როგორ გამოიწვეული, იგი საზოგადოებისაგან განდგომილი, დღის სოციალური პრობლემებისაგან ჩამოშორებული ადამიანის მიწიერი ვნებათა ღელვაა. პოეტის შემოქმედებაში აქ პირველად იჭრება ეროტიზმი, რაც ახაშელის ლექსების პირველი კრებულისათვის, შეიძლება ითქვას, სრულიად უცხო იყო. ქალისადმი სიყვარულის თემა იშლება ლექსების დიდ ციკლში, რომლის საერთო სათაურია „დათოვლილი ბაღი“. „კოსტური ყვავილები“, რომლითაც იხსნება ლექსების ეს ციკლი, გაცრუებული სიყვარულის ღირსი პოემაა. მასში პოეტი სულიერ მატრობაზე მოსთქვამს, მას სატრფოს ვარჯიშე სიციხლე და შემოქმედება უაზროდ მიანჩია:

შენ თუ ვერ მხედავ, — ვისთვის ვყო

სხივთა მკრთობელი?

შენ თუ არ მისწენ — ჩემი ქნარი ვისთვის
 მოვმართო?

გაცრუებული სიყვარულის მოტივზეა აგებული აგრეთვე ლექსები: „თეთრი თმა“, „ზამბახის ფოთლები“, „სიცილი“, „შემოდგემა“, „დაგვიანებული რიში“, „სტუმარი“. მათში პოეტი იგონებს სატრფოსთან შეხვედრის ნეტარების წამს, მაგრამ მოთქვამს იმის გამო, რომ ის წამი აღარ განმეორდება, რომ „სიყვარული ელევა, სიცილს ვეუთხ, დროებით...“

„ანთებული ხეივანი“ იხსრება ლექსების ციკლით „უკანასკნელ კარებთან“. ეს სამბოლური სათაურია პეზივისტური ლექსებისა, რომლებშიც ცხოვრებაზე გულგატეხილობა უკარგურესობას აღწევს. სამსოფარველი პოეტი იგონებს თავისი ცხოვრების მზიან დილას, როდესაც მისი ცრემლიც კი ხალისიანი იყო, სევდასაც ხინათლის შუქი ანთებდა. მაშინ ცაში მფრინავი ამაყი სული პოეტისა „ბედს ებრძოდა“ თავდაიქცევით და იმ ბრძოლაში დრომდე „მზის წითელი ტამამბურავი“ ჰქონდა. ეს იყო ადრე, პოეტური შემოქმედების განახლებზე, ახლა კი სულის შემოღვობა და მდგარა ხალისიანი ჩანავი ვადატებოდა და პოეტი „უნაყოფო წარსულის“ სამდერავს ამბობს, აწმყოზე გულგატეხილია, ხოლო მომავალი მას „ცრემლში მცურავი“ ესინჩრება.

ახლა მაცვია შემოდგომის ტანსაცმურაჲ,
და გულს მიღონებს სხვა ნაღველი, სხვა
სამღერაჲ,
და ჩემი დროშაც ძირს აგდია სისხლში
მეტრაჲ.

სული შემტეჲნა უიმედო და ნაღველიანი.
არ დაბრუნდება სიკაბუეე ხალისიანი,
არ აყუადება მეოჯჯერ დილა მზიანი.
(„სულს შემოდგომა“)

სიკაბუეის დამსტერეულ ოცნებათა გამოტი-
რების მოტივი კიდევ უფრო მძლავრად ეღერს
„მწერხას ფსალმუნში“. პოეტის წინაშე კვლავ
დგება სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა. პოეტს
აწინებს განძობა, რომ დავიანს არ შესწევს
ძალა სიკვდილთან ბრძოლას. ამიტომ წარმოუ-
დგება მას მსოფლიო საზარელ ციხედ, სადაც
ყოველი აჩსება ტყეე, სისიკვდოლოდ განწი-
რული.

ამგვარი განწყობილებით შემპრობილი პოე-
ტი გულგრილად უტყუარის ქვეყანას, ხალხის
ცხოვრებას, მის ბრძოლას არსებობისათვის, თა-
ვისუფლებებისათვის.

ესე დამორბა ა ამაშელი იმ საბრძოლო გან-
წყობილებებს, რომელიც მკაფიოდ ეღერდა ჯერ
„მზის საცილში“, ხოლო შემდეგ ლექსების ციკ-
ში — „ჩირაღდნება პაერში“.

მაგრამ ეს ვარუთება ისე არ უნდა გაეფიგოთ,
რომ ათიქოს ამაშელი თავის შემოქმედების
ერთ მონაკვეთში ერთა გარკვეული განწყობი-
ლების გამოხატველი იყო, ხოლო მეორეში ეს
განწყობილება საუკებით იცვლებოდა და პირ-
ველსაგან სრულიად გამსხვავებულ, საწინააღ-
მდელო ხასიათს იღებდა. როგორც აღინიშნა,
პოეტის ბუნებაში მუდამ იყო განწყობილებათა
კვადილი. ზნორად დროის ერთსა და იმავე პერი-
ოდში იგი წერდა როგორც საბრძოლო ხასია-
თის ლექსებს, აგრეთვე ცხოვრების „ამოცებით“
გამოწვეული სევდისაგან დამძიმებულს და სა-
სოწარკვეთულ ლექსებს.

1929 წელს კლექსანდრე ამაშელი მკითხველი
სახოგადობის წინაშე წარსდვა ლექსების მე-
სამე კრებლით „ვახზარული სარკე“. მასში
პოეტს შერწყმით შეეტანა 1916-1929 წლების
მანძილზე დაწერილი ლექსები. 1917 წლით
არის დათარიღებული ფილოსოფიური ხასიათის
ლექსი „მტარალი საღამო“. განმარტობელი
პოეტის ოცნებაში სიკაცხლის წარმავლობით
გამოწვეულ ცრემლი ვრთვდება. „ვეფქრობ:
მე წაეღ და ჩემს წრდილსაც დაიოწყებენო“
— აცხადებს იგი, მაგრამ უიმედობის ამ ჩიბი-
დან გამოსავალს იგი ზედაეს შემოქმედებითს
წიქში, რითაც დავიანს შეუძლია უკვდავებას
მიუახლოვდეს:

ეპი გაიელის და მოკვდება წელი ათაი.
სული მრავალჯერ ატირდება მგლისის
შინაით.

...და ვარსკვლავები, ჩემს თვალსაში რომ
ბანაობენ,
ათას წლის შემდეგ სხვა თვალსაში
აინთებინან...

საუკუნეთა სიტურფენი ჩხუადისხვაობენ,
მაგრამ მნათობნი ერთ სარკეში იბედებიან.

ეს აზრი ზელოვანის უკვდავების შესახებ ამა-
შელმა ადრეც, თავის შემოქმედების ვახაჲბუ-
ლზე გამოხატა ნატო ვაჲუნია-კავარლის ხსოვ-
ნისადმი მიძღვნილ ლექსში „გაწყდა სინი“.

1916 წელს დაწერილ ლექსში „ჩემი“ გამო-
ლინებულია უკიდურესა ინდივიდუალიზმი:

ჩემი სიკვდილით ეს ქვეყანაც
გარდაიქმნება,—
უსახო მიწას დაკვდება ცა უცნაური.

მე თუ დაებრძვადი — ცისარტყელა საღდა
იქნება?

მე თუ დავერუდვი, — ხომ დაღუმდა მიწის
ხმორი!

ამ განწყობილებით შეხება იგი საქართვე-
ლოში საბჭოთა ზელისუფლების გამარჯვებას.
პოეტმა პირველ ხანებში ვერ გაიგო ის დიდი-
სოციალური ვარდატება, რაც მშობლიური ერის
ცხოვრებაში მოხდა. ლექსში „შორეული ნაში-
რი“, რომელიც 1921 წლითაა დათარიღებული,
მას ეტყვნება, რომ მშობელია ზალხის მორკი-
ლითა მსხვერველასთან ერთად, თმქმის იღუწე-
ველაფერი ის, რაც დიდების შარავანდელო-
მოსაგს ერის წარსულს. ხოლო „ჩაქრალ სან-
თელში“ (1922 წ.) ამაშელი თავისუფრად იმე-
ორებს ოღისდაე პაინრიბ პაინეს მიერ ნათქვამს
— რველოციმს ქაინიშალი პოეზიის ჩირაღ-
დნენს აქრომსო:

შარავანდედი ვკარგება პოეტის სახელს
ვიამე, ქრება პოეზიის წმინდა მანთელი..

მიუხედავად ამისა, ამაშელი, ცდილობს ახალ-
ყოფის რიტმს აუწუოს პოეტური ხმა, მაგრამ
ვერ სწვდება ცხოვრების კონკრეტულ ხანამდ-
ვილეს, ახალი სოციალური მოვლენების დამს-
ხატავად თავის ძველ პოეტურ კონციფციას
იშველიებს: კოსმოურბანის აბსტრაქტულ ფონ-
ზე ხატავს ამ მოვლენებს. ამის საილუსტრა-
ციოდ შეიძლება დავასახლოთ ლექსები „ქარა
სარკეში“ (1924 წ.) და „მეოცნება დღიოი“
(1925 წ.).

1926 წელს არის დაწერილი საკმაოდ ვამაჲ-
რებული ლექსი „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“. რო-
შელიც, პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით,
ამაშელის საუკეთესო მხატვრულ ქმნილებათა
რიცხვს მიეკუთვნება. მისი რიტმი, რითმა, ექ-
სპრესია შეხამებულია ლექსის საყარო მინო-
რულ განწყობილებასთან. შესანიშნავი პოეტ-

რი სახე უღროდ დაღუპული ნიქერი მკონის სახლის შედარება არწივის ბუფესთან:

ჭავს შენი სახლი არწივის ბუფეს, ბუფე აქ არის, არწივი მოკვდა...

ლექსის ბოლო სტრიქონებში ამაველი იმეორებს იმ მკვლარ მონახრებას, რომელიც მან, აღრი, ხუთი წლის წინათ ამ ლექსთან დაწერა, „ჩამჭრალ სახელში“ გამოთქვა, რომ თითქოს ახალმა დრომ, რადიოსა და რკინა-ბეტონის ეპოქამ დასცა და დააყენა პოეზია:

გაგიკვირდება: ლექსს რად არ შევლის, — რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად, — ციდან ქუხილი ბარათაშვილის, მთიდან ყვირილი ვაფს ხარისა! ახლა ქუხილი არ ისტამბუბა, ხარი არ ჰყვიროს მაღალ მთებიდან, ლექსი დაბარჩო წვრილმა ამბებმა, ამონაწერმა, გაზეთებთან.

გაზეთებიდან ამონაწერი წვრილმანი ამბების აღრევა პოეზიაში, რასაც ნაწილობრივ ადგილი ჰქონდა იმ დროს, როდესაც ზემოთ მოტანილი სტრიქონები იწერებოდა, სრულიად არ იყო ახალი ეპოქის ბრალი. იგი მხოლოდ ზოგიერთი მღაბე ნიჭის მქონე მწერლის სისუსტეზე მიუთითებდა და ამ მოვლენას იმგვარი ვაზოვადება, როგორსაც ამაველი მაშინ მიმართავდა, მკვლარ იყო. ეს ნათლად დადასტურა ქართული საბჭოთა პოეზიის შემდგომმა განვითარებამ და კერძოდ, ამაველას შემდგომმა პოეტურმა შემოქმედებამაც.



საბჭოთა საბელმწიფოს გეგანტურმა წინსვლამ, სოციალური წაგვრისაგან ვანათესაფუნებელი აღმზარის მშვიდობაში შემოქმედებითა შრომამ აღექსანდრე ამაველი თანდათან დაუახლოვა ახალი ცხოვრების სინამდვილეს. პოეტმა დადი შინავანი უკიდლის, წინააღმდეგობათა თანდათანობითი დაძლევის გზით შესწლო ანსტრაქტული პოეტური აზროვნებიდან კონკრეტულ თემებზე გადასვლა. ეს გარდატეხა პოეტის შემოქმედებაში, საბჭოთა სინამდვილესავე შემობრუნება, იწყება 1926 წელს დაწერილი ლექსით „უცნაური ამბავი“, რითაც ამაველმა ქების სიმღერა უთხრა საქართველოს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის პიღროვლმტრომწენებლობათა პირშვის — ზაპესს:

ტფილისის ღამეს შინი წწვევა: ამბავი შოაქეს მტკვარს უცნაური, — სეკელას ცეცხლი შემოხვევა, ანთებულ რკინის ისმის ზაპურს.

მაღვ ეს ცეცხლი ავპალიდან რკინის ფეხებზე შემდგარი ნაქვის სვეტების ქარით* თხილავ

სისაყენ დაიძვრის და დედაქალაქის გუნება ათას მოვარედ აკოფდებდა ისე, რომ ბნელისათვის მცირე ადვოლსაც აღარ დასტრეგებდა. ევრას გახდება — ბევრიც იბრძოლოს, და რომ ინათებს დილა სისხლში, წავა და საღმრე ქალაქის ბოლოს თავს ჩამოიხრჩობს თბილისის ღამე.

ახალი თბილისის მწენებლობა, შისა წინსვლა და აღორძინება ახალ შემოქმედების ცნობის აძლევს პოეტს. ა. ამაველი ხედავს, რომ საყვარელი დედაქალაქი, ძველად მტრის ურდოების მიერ მრავალჯერ რბეული და ფეხქვეშ გათელილი, ახლა თანდათან მწვენიერდება, შენდება და ფართოვდება. პოეტი რწმუნდება, რომ დემეტრონისა და რკინა-ბეტონის საუფენე, კი არ მოსპობს და დაყენებს ზელოვნებას, კერძოდ პოეზიას, არამედ სასწაულებს შოახდენს როგორც ქვეყნის მწენებლობაში, ასევე აღამაინის სულიერ ცხოვრებაში:

ფოლადი გრანიტს დაეახება, ცალ ავარდება კოშკთა კრებული. ქართული სულის ჩანს აქანყება მარმარილოში დამშვიდებული. (თბილისი, ძველი და ახალი*).

იმის ნათესაყოფად, თუ პოეტი ჩამდუნად მიუახლოვდა ცხოვრების კონკრეტულ სინამდვილეს, შეიძლება ერთმანეთს შევადართო ორი ერთნაირი სათაურის ლექსი „ახალი წელი“. პირველი მათგანი, რომელიც „შვის სიცილშია“ შეტანილი, უკვე იყო განხილული. მეორე დამერილია, დაახლოებით. ხუთმეტი წლის შემდეგ, 1928 წელს. პირველში ახალი წელი ანსტრაქტული, უსასრულო დროის კოსმოზი მონაკვეთია, მეორეში — აღამაინის შრომითი ცხოვრებითა და შემოქმედებით აღსავსე კონკრეტული დრო:

შოაღვა ნაბირს ღერძმაგარი ეს წელიწადიც, როგორც ზომალდი, ოქროს სორბლით დასატიერთავე.

ლექსში „დედაშიწა“ (1928 წ.) პოეტი გამოთქვამს უაღრესად პროგრესულ მოსახრებას მომავალში აღამაინის ფინიქურსა და გონებრივ შრომის შორის წინააღმდეგობის მოსპობის შესახებ:

ახალ ბრძოლებში არ შეხვდება გზა გამოთქავი ელვარე ტინის და ძარღვიან კენთების კაემარს.

„ვაწესების“ მიხედვით, ზემოთაწვითილი საგვარეულოები, მოურავები და სასულიერო პირები სადროშოს სარდალთან უნდა გამოცხადებულაყვნენ თავიანთი ყმებით, სახლი-კაცებით, სახელითი და სამწყურთო, ერთი სატყეით, ფეხზე დგებოდნენ „სრულიად კომლინი და სახლისა შემძლე მეომარნი“. თუ ვინმე ომს თავს აარიდებდა, სასტიკად დასჯებოდა; ვაწესებაში ამის გამო ნათქვამია:

„ოდეს დროშისა აშართავ, ანუ რუსთველსა ფალაშქრება მეფეთა ბრძანონ, კარისა ჩვენისა შიღვიანი და მოკლენი ქართს ანაწერასა და რაოდენობისა რიცხესა რუსთველთა მისცემდნენ და რა გამგზავრდებოდნენ რუსთველნი, უფლ-

¹ დავით შეფის (ომამუკლბანას) სარუსთველო დროშის ვაწესების სიგელი ორჯერ გამოცემა: პირველად 1710 წლის 3 მარტს (იხ. „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, 1910 წ., გვ. 510-511), ხოლო მეორედ — 1722 წელს. შინაარსით ორივე დოკუმენტი ასკებითად ერთნაირია, ოღონდ 1710 წლის სიგელი გაცილებით მოკლეა. ამიტომ ჩვენ მას აქვრად გვერდს ვუძღვით და 1722 წლის ვრცელ სიგელს ვეყრდნობით.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 385-386.
² იქვე, გვ. 386-387.
³ იქვე, გვ. 387.
⁴ იქვე, გვ. 386-387.

მა აქვს და ბრძანება ძველთაგანცა მეფეთა, და და ჩვენიცა აგრეთვე ვბრძანებთ:

შვიდელსა შინა ერთგვის ქარსა განთვლილდეს და ესისა ვინ დაადიდეს, ქარსა სარუსთველოდ წაართმოდენ რუსთველის მეფობენი - და მარჩილსა მისი იასაულნი გამოართმოდენ, ნაკლებსა თავადსა ბატონს შეაძმენდენ და მეფეთა აგვიმინოს, ანუ მამულთა, ანუ კვერთხთაა¹.

რუსთველის დროის მტერთველთა საპატიო მოვალეობა მეფისაგან მიწოდებოდა ჰქონია სოფ. ნოჩოთში მცხოვრებ ჰქონიანებს. მათვე ევალებოდათ, მეფის მოხელეებთან ერთად, ომის შემდეგ ნადავლის აღრიცხვა და დაყოფა. ოდეს დროსა წაასვენონ, — გვაუწყებს მეფის განწყობა; — ერთს ძლიერსა და უმცობესსა კეთილცხვიანსა კაცსა ქელთა მითავადედენ და სხვანი ჰქონიანენი ვარს შემოცხვეოდენ ომსა შინა...

ოდესცა ნებითა დმრთისათა მტერთა სძლონ და ნატყვენი ქვეყანნი ყოველივე დმრთების დროის ქარს მოეხელისაგან, ფანჯიქი საჩვენად და სარუსთველოდ ასწრდენ ჩვენი მოხელენი და რუსთველის მედროშენი, და ერთად შეკრებდენ ცხოვარსა, ძროხასა, ცხენსა, ვინა რელითა, ანუ ვერცხლთა და ოქროთა. ყოველსავე ორიად განყოფდენ, ნახევარს დმრთებისა დროსსა და რუსთველს მიართმოდენ, ნახევარსა ჩვენსა მოქველენ წამოაღებენ.

ეთა გვესმა რიგნი ძველთა მეფეთანი, ესრეთ ყოფილიყვნენ და სახელოვანსა და მრავალჯერ ომგამარჯვებულს ბატონს თეიმურაზსაც ვერეთ დაემტყიცა და ჩვენცა აგრეთვე დაემტყიცეთ, და არა-რა მოგვალეთ, არამედ უმბატეს დაუმტყიცეთ².

ყოველივე ზემონათქვამიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი საქმე ჩუბბარებიათ კახეთის მეფეებს რუსთველ მღვდელმთავრებისათვის. ასეთი ძალა-უფლება, ცხადია, საგრძნობლად ააზნდებდა რუსთველთა დარსებასა და ავტორიტეტს თანამედროვეთა თვალში. მაგრამ საქმე მართლ ავტორიტეტის ამაღლებასი როდია, ამ ძალა-უფლებით რუსთველებს დიდი პატივიალური სარგებლობაც ჰქონიათ: სადროშოს ქარს მიერ ომში მოპოვებული ნადავლის ნახევარი რუსთველებსა ყოფილა, რაც მათი მატერიული ძლიერების უდავოდ დიდმნიშვნელოვანი წყარო იქნებოდა.

მეფის სიგელეში განსაკუთრებულ შერადლებას იპყრობს არაერთგზის მითითება „ძველ მეფებზე“, რომლებსაც სარუსთველო დროის წერტილი დიდი ხნის წინათ დაუმტყიცებიათ.

დავით იმამყულახანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაერთხელ ხახვასმით მელთითუბს, რომ მას ძალი კი არაფერია მოუფრინა, არამედ ძველთაგანვე დადგენილი წესრიგი „აღლდგენის“ და განუმტყიცებია. ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ „ძველ მეფეებში“ სიგელის ავტორის ნაგულისხმები ჰყავს არა მარტო თავისი „უმუალო წინამორბედნი, არამედ კლასიკური ხანისა და უფრო ადრინდელი მეფეებიც. ამის შესახებ პირდაპირ არის ნათქვამი „ღმრთაების გუჯარ-შიც“ და „სარუსთველო დროის განწყობა-შიც“. „ესე ყოველნი, — ამბობს დავით მეფე, — ვისწივით, ეთა ძველთა მეფეთა განეჩინა, ვატანე გორავსლითვან ვიდრე ბატონს თეიმურაზადდენ და მიეროდგან მეფობად ჩვენდამდე, ჩვენცა ესრეთ განეჩინეთ და ვბრძანებთ.“³ სხვა ადგილს იგი კვლავ დაბეჭდებითი იმეორებს:

„მეფეთა და მპყრობელთა. მთავართა და თავადთა, ერისთავთა და განმწყობელთა კათალიკოზთა და ყოველთავე საეკლესიო კრებულთა ჟრთიერათ შეთქმით კრებითა და თანა-მომწყობითა საყდარს ესე დმრთებისა ესრეთ განეცრეთ და აგანდილათ სიამაღლთა, სიდიდითა და აგარათა და ალაგთა განმრავლებითა და მას ზედა მდგომარეცა რუსთველო ყოველთა პატიონისობისა პატივითა ვანეცრეთ და სახელოვან ექმნათ, — ერთხელეშცა არიან სულით საუკუნოდ პატიოსანი იგი დიდი მეფენი.“²

ამ ამონაწერებიდან ცხადია, რომ რუსთველები, შესაძლოა მერ-ნაყლებად, მერამ მაინც ყოველთვის, თითქმის მთელი ფეოდალური ეპოქის მანძილზე ყოფილან ფრად გაყლინანი და სახელოვანი მღვდელმთავრები, რომლებიც არა მარტო სასულიერო და ეკლტურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ, არამედ აგრეთვე ხლით იცავდნენ თავისი სამშობლოს დარსებასა და თავისუფლებას.

თავისთავად ცხადია, რომ რუსთველის დარსება და პატივი ჩვეულებრივი მღვდელმთავრის პატივსაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო და ეს სწორედ ასე ყოფილა. როგორც „ღმრთაების გუჯარშიც“ ჩანს, რუსთველს, ყოველ შემთხვევაში დავით იმამყულახანის დროს, ჰქონია პატივის უმაღლესი გამოხატულება — პორფირ-ბისონი და სამეფო დარბაზში მეფის გვერდით, მის მარცხენა მხარეს ქდომის უფლება.

როგორც ცნობილია, საქართველოში უძველესი დროიდან იყო დადგენილი ისეთი წესრიგა, რომლის მიხედვით დარბაზობის დროს მეფის გვერდით ერთ მხარეს (მარჯვნივ) კათალიკოსი უნდა მდებარეყო, ხოლო მეორე მხარეს

¹ იქვე, გვ. 384.

² იქვე, გვ. 385.

³ იქვე.

¹ იქვე, გვ. 362.

² იქვე, გვ. 375.

(მარკსინე) სახელმწიფოს პირველი ვაზირი — მწიგნობართუხუცესი-ჰეონდიდელი. კახეთის სამეფოში მეფის მარყენა მხარეს, აღბათ, ამა ალყარდელი იჯდა, რადგან მასულიერი საქმე-ში იგი კახეთის უპირველესი მღვდელმთავარი იყო, მეფის მარცხენა მხარეს ჭლოძის უფლებები რუსთველს მიუღია. რუსთაველთა ამ უმაღლეს პატივზე, აგრეთვე იმ მოტივებზე, რის ძალითაც მათ ეს პატივი მიენიჭათ, პირდაპირ არის ნათქვამი „ღმრთაების გუჯარში“: „ბისონისა შემოსითა რუსთველი პატიოსან ვყავთ, ვინადგან ჩვენ მივანიჭეთ ესე პატივნი და აღვიღნაც უმაღლესნი პალატა ჩვენთა, რათა მარცხენით ჩვენსა რუსთველთა ყოველთა თავს დასმოვდნ კელ-არგოსანი ჩვენნი ამათ პირთათვის, ვინადგან მეფეთა თანამშრომბა და სპათა ქველუბობასა საქმე და მოახრობა პირთა ამისთ მოცხსენებოდა მეფეთა, აგრეთვე ბისონთა შთაქმითა და სპათა თუადობითა არ ეცებოდა ექველდესთა სიანაქეთა მკდომარეობა“¹

როგორც ვხედავთ, კახეთის სამეფოში რუსთველს მეფის პირველი ვაზირის ტიტული მოუღობებია იმიტომ, რომ, ვერ ერთი, სპათა სარდალი იყო და ბისონიც ჩააცვა, ხოლო მეორეც, — მეფეთა თანამშრომბო და სპათა ქველუბობას საქმე და მოახრობა პირთა ამისთ მოცხსენებოდა მეფეთა. თუ არ ვცდებით, ამ საქმე უნდა ეხებოდეს არა მარტო რუსთველის სადროშის „სპათა ქველუბობას“, არამედ მთლიანად კახეთის სახელმწიფოს სამხედრო საქმეს, რაც იმის მიჩვენებელია, რომ რუსთველი კახეთის სამეფოს ყველაზე გავლენიანი სარდალი ყოფილა და მას დახლოებით ისეთივე მოვალეობა ჰქონია დაეხრებულ, როგორც ვაერთიანებულ საქართველოში ამირსპასალარს, აგრეთვე, ნაწილობრივ მაინც, ჰეონდიდელს ჰქონდათ.

კახეთის სამეფოში რომ რუსთველებს უდიდესი გავლენა ჰქონათ და მეფეებთანაც ძალიან დაახლოებულნი ყოფილან, ამას ექვემოტანლად ვეიმოწმებ აგრეთვე ქართლის ცხოვრებში² იმერელი ერთი უარესად დამახასიათებელი ეპიზოდი, რომელიც ალექსანდრე კახთა მეფისდროინდელ სიტუაციას გადმოგვცემს. როგორც ცნობილა, შაჰ-აბასმა კახთა მეფის ალექსანდრე ლეიქინძის მოკვლა განიზრახა და ეს საქმე მის შვილს, მოალატე კონსტანტინეს დაავალა. მემატიანის გადმოცემით, 1665 წელს ირანიდან დაბრუნებულმა კონსტანტინემ მამას განუცხადა, ვაინისაგან საიდუმლო საქმე მიქვს და მსურს ცალკე მოვალაპარაყო. მეფე ალექსანდრემ, კონსტანტინეს მოთხოვნით, დათხოვა მასთან მყოფი დიდებულე-

ბი და თავისთან დაიტოვა მარტო მეორე შვილი, კონსტანტინეს ძმა და აგრეთვე რუსთველი. კონსტანტინემ, — გადმოგვცემს მემატიანე, — „დაითხოვა კახი და წარადიდნენ ვარჯიად თუბსად, და დარჩა მასთან რუსთველი და ძმა მისი, და რაჟამს ესრეთ დაახელა, მამინ დაპირებული ჰყენდა ყიზილბაშის ვარი, და შემოცვიდნენ კარავშია და ულაღატა და დახოცეს. მამინ მოკლა მამა და ძმაცა თუბი და რუსთველი“³. ქართლის ცხოვრების⁴ ეს საყურადღებო ცნობა აშკარად გვიჩვენებს იმ დიდ გავლენას, რომელიც რუსთველს მეფის ყარზე ჰქონია; მაშინაც კი, როცა ყველა დიდებული სტოვებს ალექსანდრე მეფეს, რუსთველი მათთან რჩება. ჩანს, რუსთველი იმდენად ახლოს მდგარა მეფესთან, რომ მისთვის სახელმწიფოში დაფარული არაფერი ყოფილა. ეს კარგად სცოდნია მოალატე კონსტანტინესაც და იმიტომაც ვაუწიარეს იგი სასოვედილოდ, საკუთარ მამასა და მამასთან ერთად. აშკარაა, რომ ეს იყო არა უბრალო მკვლელობა, არამედ სახელმწიფო გადატრიალებას ცდა.

სხუთა შორის, მოტიანი ეპიზოდი ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მემატიანე, რომელიც ორჯერ მსახულებს რუსთველს, არც ერთხელ არ მიიჩნევს საჭიროდ მისი სახელისა და ვჯარის, ან კიდევ ხარისხისა და თანამდებობა-საქმიანობის მოხსენიებას. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადისტურებს იმ უდიდეს ზემოქმედებას, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში ზედწოდება „რუსთველის“ მნიშვნელობა, რაიმე განმარტების იკარგვით ყველაშთის ცნობილი და გასაკვიბი იყო. მაგრამ დაფუძნუდნით ისევ „ღმრთაების გუჯარს“.

სხენებულ ძეგლის ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობა, რომელსაც საკვლევი თემისათვის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ესაა ცნობა იმის შესახებ, რომ რუსთველ მღვდელმთავრებს უფლება ჰქონათ სამეფო სიმოკელი — პოჩფირ-ბისონი ჩაეცათ: როგორც ცნობილია, პოჩფირ-ბისონი შეეძლო ჩუხეცა არა ყველა მღვდელმთავრას, არამედ მარტო იმას, ვინც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, კერძოდ კი სამშობლოს დაცვის საქმეში, განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა.

ღვით მეფე —ღმრთაების გუჯარში⁵ უდიდეს შეფასებას აძლევს ნიოლოზ რუსთველს. ვაერად ჩერქეზიშვილს, რომელიც მეფის სიტყვით, ყოფილა „ადგალსა უდაბნოთა შინა სიყრმიითვე აღზრდილი, ბრძენი და ტრფილი საჭიროსოფოსთა შეცნირებისა“⁶ და „უფლო კი-

¹ იქვე, გვ. 47-48.

² იქვე, გვ. 361.

³ ბერი ვენეტაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება (ქც. II, გვ. 383).

⁴ იქვე, გვ. 359.

ხთა მეფეთა სპათა-ბაერაყისა, და სპათსპეტი მისავე უამრავთა ლაშქრისა¹. ამგვარ მღვდელ-მთავარს, მეფის აზრით, უფროდ ვეთვინოდა მისინის ჩაცმა, მაგრამ რადგან წინა რუსთველებს იგი არ ეციათ, — ამბობს მეფე, — დავადგინეთ, რომ „დღის წიგნით ყოველნი რუსთველნი ესრეთ ბისონითა კერობევასა მიიღებდენ და სხვათა უცოდებელს საუფლოსა ებასა ჩვენსა პორფირ-ბისონითა დიდად წყალობად მიხედვიდენ“².

ფრიად საინტერესოა ის მოტივები, რომლებითაც დავით მეფე ხელმძღვანელობდა, როცა იგი რუსთველთათვის ბისონით კერობევას აღგებდა: „ეინადგან იყო რუსთველი უფალი ჰაათა ჩვენთა ბაერაყისა, და პატრონი მკედართა უამრავთა ლაშქართა ჩვენთა მთავრობისა, ამაღ შევამყეთ და მიღებოქეთ საუფლო კება ჩვენი პორფირ-ბისონი და შთავაკეთე ევართი სამთავრო და შევმოსეთ მეფეთა სამისაელითა და მიტრომოლოტად განაწყესეთ“³.

ამსვე იმეორებს დავით მეფე სხვა სიგელში, რომელიც ფაქეულია 1711 წელს აშბა ალავერდელის სახელზე: „რადგან რუსთველი დროშო, პატრონი და სარდალი იყო და ბიანი არ ეცია, ჩვენის ბრძანებით სარდლობის ვუღისათვის რუსთველს ნიკოლოზს ბისონი ჩაკვეით“⁴.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დავით მეფეს რუსთველთათვის ბისონის ჩაცმის ფაქტუვერტობა შეუთანხმებია კათალიკოს დომენტიანოვს, რომლის წინაშე სათანადო შუამდგომლობით შესულა ქართლის მეფე ვახტანგი. ეს ჩაწი ნიკოლოზ რუსთველის ერთი წერალიდან დომენტი კათალიკოსისადმი, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენი პატრონი მეფე იმამუელისან დღათ შემოგებეწათ ჩემის ბისონის ჩაცმისათვის და პატრონი თქვენი საქართველოს გამგებელი პატრონი ვახტანგ შეა შემოვიდა, ჩვენს საყდარს ბისონი არა ჰქონდა და ჩვენის ბისონის ჩაცმა ორთავე პატონებმა (შოინდომეს სურვილით), თქვენ ნება დართვიეთ და ბიანი ჩაკვეით“⁵.

ამ საბუთებიდან ცხადი ხდება, რომ რუსთველთათვის ბისონის ჩაცმევა სრულიად ცანონიერი ცხადი მოწმედარა, რადგან რუსთველი თავისი მდგომარეობით ამ დიდი პატივის დარსი ყოფილა. მაგრამ აქ შეიძლება წამოიჭრას ასეთი კითხვა: როგორც დავით მეფე გვამცნობს, რუსთველები დროშის პატრონად და სარდალად

ძველი მეფეებისგანვე იყვნენ დადგენილნი, მაგრამ რატომ არ ეციათ ბისონი ნიკოლოზ რუსთველის წინამორბედებს? ამ კითხვის განსარტყვად, ჩვენი აზრით; საყურადღებო მანაა სკანდინავიის თეიმორაზ II ერთი სიგელი, სადაც ლაშარაკია ნიკრესელის პატივზე.

როგორც ჩანს, ნიკოლოზ რუსთველს შემდეგ ბისონის ჩაცმა მოურსოვებია აგრეთვე ნიკრესელ მღვდელმთავარს იოანეს. ამასთან დაკავშირებით თეიმორაზ მეფეს ალავერდელის სახელზე ვაფიცია სიგელი, რომელშიც ნათქვამია: „ნიკრესელის იოანემ ბისონით კურთხევა მიიღო, ჩვენ არ ვიცოდით, ასე რომ თუ სხვანი ნიკრესელნი როგორ ნიკრესელნი ყოფილყვნენ ბისონით თუ ომოფროთი, ამიტომ რომ უწინ ჩვენს სხაოვასა და მოწმურებაში უფროთი ნიკრესელი იქდა და მამსოვარი არაიენ იყო და ქვეყნის არეულობისაგან უფროთი დარწმობილყო. ეს ვიცოდით, ნიკრესი ქალაქი უყოფილყო და ათორმეტი მამათავანი წმინდა აბაბუს მის ქალაქს ეფოსკობოზი ყოფილყო და მისი მისაყრდრე უქდა ბისონიანი ყოფილყო, ჩვენც მისის მიზეზით, ნება და კერობევით რომ ნიკრესელი-ბისონის დარსი იყო ამ წმინდის მოსაყრდრეობისათვის!“

ამ საბუთიდან აშკარად გამომდინარეობს შემდეგი ორი დებულება: ჯერ ერთი, ბისონის ჩაცმის უფლება ჰქონიათ არა მარტო ამ მღვდელმთავარებს, რომლებიც დროშის პატრონი და სარდლები იყვნენ, არამედ აგრეთვე იმთავე ენიც ქალაქებში ისხდნენ და ათორმეტ წმიდა მამათა თანამოსაყდრენი იყვნენ: მუროვი, — შემსაძღმებელი ყოფილა, რომ დროთა ეთათობევაში, „ქვეყნის არეულობისაგან“ მღვდელმთავარს დასჯაროდა ბისონის ჩაცმის უფლება და თანაც ისე, რომ ამ უფლებას არსებობის სსოვდაც კი წამლილყო.

ეს დებულებები უფლებას გვაძლევს ვატიკოთი, რომ რუსთველ მღვდელმთავარებს უფროდ ძველ დროში, კერძოდ კლასიკურ ეპოქაშიც უქდა ჰქონოდათ პორფირ-ბისონის ჩაცმის უფლება (თუნდაც რომ იმ დროს დროშის პატრონი და სარდლები არ ყოფილიყვნენ), რადგან ისინი, ჯერ ერთი, საკმაოდ დიდ ქალაქში (რუსთავეში) ისხდნენ, ხოლო მეორეც, თანამოსაყდრენი იყვნენ ათორმეტ მამათავანის, წმიდა ანტონი მარტყოფელისა. შემდგომში, როგორც ჩანს, მათ ეს უფლება „ქვეყნის არეულობისაგან“ დაუკარგეთ, მაგრამ დავით მეფეს, რომლის დროს რუსთველთა ღირსება ქართის სარდლობის გამო განსაკუთრებით ამაღლებულა, კვლავ აღუდგინა მათი ეს დაკარგული უფლება.

ნათქვამიდან ლოგიკურად გამომდინარეობს:

1 იქვე, გვ. 360.
 2 იქვე.
 3 იქვე.
 4 ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთება, შერკებილი თ. კორდინის მიერ, 1903, გვ. 251.
 5 იქვე, გვ. 195.

1 იქვე, გვ. 252-253.

შედეგი უადრესად დიდმნიშვნელოვანი დასკვნა: თამარის ეპოქის რუსთველ მღვდელმთავრებს, კერძოდ კი შოთა რუსთველს, უფლება ქონიათ პორფირ-ბისონის ჩაგმისა. ეს, ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, რადგან გვაძლევს ნამდვილ გასაღებს გარის მონასტერში გამოხატული რუსთველის წაქეზლობის ბასილის გამოსარჩევად. მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

აქვითა მოკლე ისტორიული ცნობები ქალაქ რუსთავსა და რუსთველ მღვდელმთავრებზე, რუსთავის უძველეს ეპარქიაზე, რუსთველთა სახელმწიფოებრივ-სამხედრო მოღვაწეობაზე, აგრეთვე მათ მოვალეობასა და ღირსება-პატივზე.

ახლა ორიოდ სიტყვა იმ ისტორიულ მონაცემებზე, რომლებიც რუსთველთა პერსონალურ შემადგენლობას შეეხება.

როგორც ითქვა, რუსთავის ეპარქიალური კათედრა არსებობდა კამბეა საეპისკოპოსოში. თუ დავუშვებთ, რომ რუსთველთა ზეობის საშუალო ხანა დაახლოებით 10 წელი იქნებოდა, ვამოკ, რომ რუსთავის აპოსტოლური ტახტზე სულ მჭდრა დაახლოებით 130 მღვდელმთავარი. ამასთან, დღეს-ღვთობით, ჩვენთვის, ასე თუ ისე, ცნობილია, შოთა რუსთველის ჩათვლით, 21 რუსთველი: უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჩვენ ვიცით მათი მარტო ხაზილება, ზოგჯერ კი — გვარებიც; რაც შეეხება მათს მოღვაწეობას, ამაზე ძალიან მცირე ცნობები გვფიქნია.

უნდა აღინიშნოს, რომ ისტორია ქართული ეკლესიისა, საერთოდ, და კერძოდ კი რუსთავის საეპისკოპოსო საყდრისა, ქერ-ქერობით თითქმის სრულიად შეუსწაველია. ვასეუ საეპისკოპოსო ისტორიკოსმა პლადრი იოსელიანმა სცადა შეეკობა წერილობითი და ზეპირი ცნობები რუსთველ მღვდელმთავრებზე და ნაშრომში «Описание марткопского монастыря», რომელიც 1847 წელს დაიბეჭდა, წარმოადგინა რუსთველთა სია; მცირეოდენი მიოგრაფიული ცნობებთან თანდაერთობით, სამწუხაროდ, მის შემდეგ ამ საეპისკოპოსო საეპისკოპოსო შესწავლით არავინ დაინტერესებულა, მაგრამ იმედა მომავალში გაიზრდება ინტერესი ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლისადმი, რაც საშუალებას მოგვცემს შევჯეროთ და გავამდიდროთ რუსთველთა მიოგრაფიები. ამჟამად კი, პ. იოსელიანის მიერ შედგენილი სიისა და ისტორიულ საბუთებში გახვეული ცნობების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია რუსთველთა პერსონალური შემადგენლობის მხოლოდ მკრთალი და დაახლოებით სურათი წარმოვადგინოთ, თუმცა ამ სურათიდანაც კარგად ჩანს რუსთველთა დიდი ღვაწლი ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში.

პირველი რუსთველი, რომლის სახელი ის

ტორიამ შემოგვინახა, გახლავთ დენის 506 წლის საეკლესიო კრების მონაწილე ეპისკოპოსი სტეფანე¹. ეს სწორედ ის მღვდელმთავარი უნდა იყოს, რომელიც ეახტანე-გორგასანდამ² კლადი საეკლესიო რეფორმის შემდეგ, რუსთავის ეპისკოპოსად დასვა.³

სტეფანეს შემდეგ, იმავე VI საუკუნეში უნდა ემთხვეოდეს აგრეთვე ვასილ რუსთველს⁴, რომლის შესახებ რაიმე კონკრეტული ცნობები არ მოგვესახება.

შემდეგ საუკუნიდან მეცხრე საუკუნეებამდე ჩვენ არც ერთი რუსთველის სახელი არ ვიკითხებ. მეცხრე საუკუნეში კი, პ. იოსელიანს მიხედვით, მოღვაწეობდა ბათლომე რუსთველი. შესაძლებელია, ეს ბათლომე სწორედ იმ რუსთველის სახელია, რომელიც ილარიონ ქართველის ცხოვრებაშია მოხსენიებული და რომელზეც ზემოთ ვცავე გვქონდა საუბარი, როგორც დავინახეთ, ბათლომე რუსთველი არაბთა ბატონობის უძნელეს პირობებში ენერგიულად იბრძოდა ქართველობასათვის.

ელარიონი ხანს საქართველოს რუსთველთა სახლებზე, გარდა დიდი შოთა რუსთველისა, სამწუხაროდ, დღემდე ცნობილი არ არის; ვით მხოლოდ XIV საუკუნეში მოღვაწე გიორგი რუსთველი, რომელსაც თემურლენგის ურდოებში თავდასხმის დროს გმირობა გამოუჩენია, დაუმალავს ძეგრფაი ხატი, რუსთავიან მარტყოფის მონასტერში მოუკლავათ.

ამის შემდეგ კვლავ დიდი ხნით წყდება რუსთველთა სახეობა და მხოლოდ XVI საუკუნეში გაიხლეჩეს ილარიონ რუსთველის სახელი, რომელსაც 1527 წელს მარტყოფის ეკლესია აუშენებია.

ილარიონის შემდეგ ცნობილი დომენტი რუსთველი, რომელიც დასაფლავებული უფიქრად დავით გარეჯის მონასტერში⁵ დომენტის შემდეგ მოდის იოსებ რუსთველი, ხოლო მის შემდეგ პავლე⁶ როგორც ჩანს, ეს პავლე ის რუსთველია, რომელიც დაახლოებული ყოფილა ალექსანდრე კახთა მეფესთან და მასთან ერთად იქნა მოკლული შაჰაბასის აჯანყების მიერ; სამშობლოს ერთგულებისათვის.

¹ ლ. ქალაშვილი, ქალაქი რუსთავი, 1958, გვ. 49.

² გენაშვილი, ქართლის ცხოვრება, 1935, I, გვ. 199.

³ პ. იოსელიანი რუსთველთა სიას ამ ვასილით იწყებს, ზემოხსენებულ სტეფანეს კი არ იცნობს.

⁴ II. Носеллиани, Описание марткопского монастыря, 1847, გვ. 11.

⁵ იქვე, გვ. 21.

⁶ იქვე.

⁷ იქვე.

პავლეს შემდეგ შეგვიძლია დავასახელოთ ზეპარია რუსთველი, რომელიც მოხსენებულა 1641 წლით დათარიღებულ ერთ დოკუმენტში: ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ზეპარია გამოჩენილი მოღვაწე ყოფილა და მას დავით გარეჯის დანგრეული მონასტრები განუთავსებია.

იმავე ხანებში მოღვაწეობდა არქივისკომისი მათეოზ რუსთველი, ხოლო შემდეგ ჩანს ქრისტეფორე რუსთველი, რომელიც მოხსენებულა სამეხელი ეპისკოპოსის მიერ 1710 წელს გაცემულ ერთ წერილში¹. ეს ქრისტეფორე შესანიშნავი პატრიოტი ყოფილა. პ. იოსელიანის ცნობით, იგი რუსეთს წასულა და დოქტრინისაგან შეერიწოებული ქართული ეკლესიისათვის შემწეობა უთხოვია.

ქრისტეფორე რუსთველის შემდეგ, 1711 წელს რუსთველის მღვდელმთავრის ტახტი მიტროპოლიტის ხარისხით დაუკურთხა ცნობილ ნიკოლოზ რუსთველს, გვარად ჩერქეზიშვილს, რომლის ბიოგრაფია საისტორიო ლიტერატურაში შედარებით უკეთ არის ცნობილი, ეს სწორედ ის ნიკოლოზ რუსთველია, რომელსაც დავით იშქვალისხანმა ბისონი ჩააცვა, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ რუსთველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში შესულა, როგორც გამოჩენილი სასულიერო მწერალი. ავად. კ. კეკელიძე მაღალ შეფასებას აძლევს ნიკოლოზ რუსთველის მიერ დატოვებულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ნიკოლოზის შემდეგ რუსთავეის საეპისკოპოსო ტახტი, როგორც ჩანს, დაუკურთხა ნუსარიონ რუსთველს², ხოლო მის შემდეგ — დომენტი³. შემდეგ ცნობილია იოანე რუსთველი, რომელიც 1760 წელს თეიმურაზ მეორეს რუსთველი სამშობლოს ბედის საიუბნად ვაჭვლიობა. ამის შემდეგ რუსთველებად ყოფილან: თანასი, სტეფანე, იოანე, ხოლო შემდეგ — კირილე, რომელიც ლეკებთან ბრძოლაში დაღუბულა⁴. პ. იოსელიანის ვადმოცემით, კირილე რუსთველს დიდად აფასებდა მეფე ერეკლე მეორე,

რომელიც მას „ბრძენ მარტველსა და მამაც სარდალს უწოდებდა“⁵.

უჩანასკნელი რუსთველი, რომლისიც დამთავრდა რუსთველ მღვდელმთავრობა⁶, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის ისტორია, გახლდათ სტეფანე რუსთველი⁷ (გარდ. 1839 წ.), — სუნხია იმ სტეფანე რუსთველისა, რომელმაც 13 საუკუნის წინ ამ სახელოვან ზედწოდებას დასაბამი მისცა. ამ უჩანასკნელ რუსთველს მარტყოფში საყოფარო სახსრებით აუშენებია მონასტრის ახალი შენობა, ლეკების მიერ 1752 წელს დანგრეული შენობის ნივთიდან.

სანტერესოა აღინიშნოს კიდევ ერთი ლტოლნი: მარტყოფის მონასტრის გაუქმების დროს მასში ჯერ კიდევ არსებული ირკლისიანი სისწავლებელი, სადაც 35 მონაწივე სწავლობდა. ეს ფაქტი თავისთავად მტკვევლებს იმ დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაზე, რომელსაც რუსთველები საუკუნეთა განმავლობაში ეწეოდნენ.

ასეთია, მოკლედ, ჩვენს განკარგულებაში ჯერ-ჯერობით არსებული ისტორიული ცნობები, რომლებიც რუსთველთა პერსონალურ შემადგენლობას და მათ მოღვაწეობას შეეხება. თუ რომელი ქართული გვარების წარმომადგენლები ისხდნენ ხოლმე უპირატესად რუსთველთა საეპისკოპოსო ტახტზე, ამ მხრივ ისტორიული ცნობები მეტის-მეტად ძუნწია; ჯერ-ჯერობით ჩვენთვის ცნობილია რუსთველთა მხოლოდ ოთხი გვარი: ჩერქეზიშვილი, ანდრონიკაშვილი, ჭორჭაძე და ჯანდიერი. როგორც უხედავო, ოთხზევ კახეთის ცნობილი თვადური გვარებია. ჩერქეზიშვილი იყო ზემოთ არაერთხელ სხენებული ნიკოლოზ რუსთველი, რომელსაც დავით კახთა მეფემ ბისონი ჩააცვა; ანდრონიკაშვილი იყო მე-17 საუკუნის ცნობილი მოღვაწე, დავით გარეჯის მონასტრების განმარტებული ზეპარია რუსთველი⁸; ჭორჭაძენი იყვნენ: ზემოხსენებულს გამოჩენილი სარდალი კირილე რუსთველი⁹ და აგრეთვე უჩანასკნელი რუსთველი — სტეფანე; ჯანდიერის გვარიდან კი იყო მე-18 საუკუნის მოღვაწე, მიტროპოლიტი დომენტი რუსთველი⁷.

¹ იქვე.

² ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, 1903, გვ. 223.

³ პ. იოსელიანი ზეპარიათა შემდეგ ასახელებს ნიკოლოზ I რუსთველს, მაგრამ ეს შეცდომაა.

⁴ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, 1940, გვ. 380.

⁵ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 319-322.

⁶ იქვე, გვ. 320.

⁷ П. Иоселиани, Описание, г. 22.

⁸ იქვე, გვ. 23.

⁹ იქვე.

¹ იქვე.

² იქვე.

³ П. Иоселиани, Описание... г. 23.

⁴ ეს ჩანს მარტყოფის ეკლესიის სამრევლოს წარწერიდან, რომელიც 1847 წელს უნაზეს მარი ბროსეს.

⁵ П. Иоселиани, Описание... г. 23

⁶ П. Иоселиани, Города, существовавшие и существующие в Грузии, 1850, г. 38.

⁷ ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 632.

ამრიგად, ჩვენ წარმოვადგინეთ, თუმცა არასრული, მაგრამ მაინც ფრიად საუბრადღებო ცნობები 21 რუსთველის შესახებ. ესენი არიან რეალურად არსებული ადამიანები, ისტორიული მოღვაწენი, რომლებიც საქართველოს მიწაზე საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობდნენ, შრომობდნენ და იბრძოდნენ თავისი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების დაცვად, — იმ საშუალებებით, რასაც მათი ეპოქის ვითარება მოითხოვდა და უკარნახებდა. ამიტომ იყო, რომ ქართველი მეფეები მათ ისე დიდად აფასებდნენ, ხოლო თემურ-ლენგები, შაჰ-აბასები და ლეკი ყაზალები მათ სისხლს დაუნდობლად ღვრიდნენ.

ჩვენი აზრით, რუსთველთა ამ სახელოვანი პლედის არსებობის თვით ფაქტი უკვე თავისთავად მუაჩი და რეალური საფუძველია ვეფხისტყაოსნის ავტორის განაობის გასაგებად. ჩვენ მოვალენი ვართ თვალი გავუხსნათ ფაქტებს: განა იმ მკვლევარებს, რომლებიც ახწილიყვანდნენ მეტია ამტიციებზე შოთა რუსთველი ერისკაცო იყო, დღემდე შეუნიშნავთ თინდაც ერთი რეალურად არსებული რუსთველი — ერისკაცი? ჩვენ ვი უკვე ახლავე წარმოვადგინეთ 21 რუსთველი და ვინ იცის, კიდევ რამდენი რუსთველი ვაბდება ცნობილი, როცა ქართული ეკლესიის ხანგრძლივი ისტორია შეცნირულად იქნება შესწავლილი? განა ეს ფაქტი არ ამტიციებს, რომ „რუსთველი“ საქართველოში მხოლოდ რუსთავის მღვდელმთავართა ზედწოდება იყო და სხვა არაფერი? განა ეს ფაქტი არ

ამტიციებს, აგრეთვე, რომ ე. წ. „საერთო ტრუსთველი“, რომელსაც არც ისტორიაში, არც ლიტერატურაში, არც ფოლკლორში არავითარი საყრდენი არ მოეპოვება, მარტოაღწეულსავე ვლუ ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი?

ჩვენ დავინახეთ, რომ რუსთველები ისხდნენ ქალაქში, რომელიც დიდ სავაჭრო-საქარაიერო გზებზე მდებარეობდა, მათ ვრცელი მეურნეობა გააჩნდათ და თვითონაც ვაჭრობდნენ; მათ კარგად უნდა სცოდნოდათ ვაჭართა ცხოვრება და მსოფლიო სავაჭრო გზებია თუ ქალაქების მდებარეობაც. ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ რუსთველები გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი და სარდლები იყვნენ, რომლებსაც ხელი მიუწევდობდათ როგორც სასულიერო, ისე საერო საქმეებზე; ცხადია, მათ კარგად უნდა სცოდნოდათ დეოდალური ეპოქის სამხედრო-სარაინდო ხელოვნება; ჩვენ დავინახეთ, დაბოლოს, რომ რუსთველებად ისხდნენ ებსკომოსები, მოავარებიკაპოსები და მიტროპოლიტები, ე. ი. უმაღლესი სასულიერო განაილების მქონე პირები, რომლებსაც, ცხადია, კარგად ექნებოდათ შეთერებულთა საღვთისმეტყველო თუ ასტრონომიული ცოდნა.

აი, სად არის იმ ფაქტის ახსნა, რომ რუსთველთა პლედის ვეღაზე გამოჩენილია წარმომადგენელმა, ვენიოსმა შოთა რუსთველმა ასე ბრწყინვალედ იცის ვაჭართა ცხოვრებაც, ღვთისმეტყველებაც და სამხედრო-სარაინდო საქმეც.

9. რუსთველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ჩვენი მიმოხილვა სრული ვერ იქნება, თუ მოკლედ მაინც არ შევეხეთ იერუსალიმის ჯვარის მონასტერში წამოღვენილ რუსთველის პორტრეტს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი უაღრესად რთული და დიდმნიშვნელოვანი საკითხია, იგი ცალკე გამოკვლევის საგანია, რის გამოც აქ, ცხადია, არ შეგვიძლია მისი ყოველმხრივ და ამომწურავად გაშუქება, მაგრამ მისთვის საკლებით გვერდის ავლაც შეუძლებლად მიგვარჩნია; ამიტომ შევეხებით მხოლოდ ძირითად საკითხებს და ისიც ძალიან მოკლედ.

ჯვარის მონასტერთან დაკავშირებული რუსთველოლოგიური საკითხების მთელი კომპლექსიდან ჩვენი თემისათვის ვეღაზე მთავარი და გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგი ხუთი საკითხის გარკვევას: 1. როგორ მსოფლმხედველობას შეეძლო შოთა რუსთველი ჯვარის მონასტერში მიეყვანა და რა ნიდაგზე შეიძლებოდა

რომ ქართული ეკლესიის მისი პორტრეტი წმინდა ქალაქის მონასტერში, შეფეთა და მღვდელმთავართა გვერდით, გამოეხატა? 2. რა ხასიათისაა ის ტანსაცმელი, რომელიც ჯვარის მონასტრის ფრესკის მიხედვით რუსთველს აცვია. საერთა თუ სასულიერო? 3. შესაძლებელია თუ არა ფრესკაზე წარმოდგენილი რუსთველი და სააღაბე წიგნში მოხსენიებული შოთა მეპურტკულთუტუტეის ერთი და იგივე პირი იყოს? 4. შესაძლებელია თუ არა სასულიერო პირის სახელი „შოთა“ რქმეოდა? 5. რა წყაროებიდან მიაღწინარეობს და რამდენად სანდოა ის ისტორიული-ლიტერატურული ცნობები, რომლებიც იერუსალიმში რუსთველის ყოფნას შეეხება?

წვემოთ შევედებოთ, რაც შეიძლება მოკლედ, პასუხი გავუეთ ამ დიდმნიშვნელოვან კითხვებს.

ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობის, მისი ფილოსოფიური კონცეფციის არსის გამოარკვევა ურთულესი პრობლემაა, რომლის

ორგვლევ კამათი ჩვენს მეცნიერებაში დიდი ხანა მიმდინარეობს. ჩვენ აქ, ცხადია, ვერ ვაშკენდებებით ვერც ამ კამათის შინაარსისა და ვერც თვით რუსთველს ფილოსოფიურ შეხედულებათა ვალმოცემას, რადგან ეს საკვლევი თემის ფარგლებს სცილდება. გვიან აღენიშნოთ შოლოდ ერთი ფრიალ საყურადღებო გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს.

უკანასკნელ ხანებში რუსთველოლოგიაში, დამკვიდრდა ახალი, უდავოდ სწორი თვალსაზრისი, რომელიც უფსიტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობას უკავშირებს საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს. კერძოდ, ქართული ქრისტიანობის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ აზროვნებას. მეკვლევა იხვევს ლოლაშვილს ამ თვალსაზრისის ძირითად არსს შემდეგნაირად გადმოგვცემს: „რუსთველის ნაზრები კლასიკური ხანის ქართული ქრისტიანული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების ნაყოფია; ის (რუსთველი, პ. რ.) არის ქრისტიანი და მისი მსოფლმხედველობის საწყისებიც წმინდა ეკოკნულია“.¹

ეს თვალსაზრისი, შეიძლება ითქვას, ამჟამად უკვე აღიარებული თვალსაზრისია. ამის მოწმობაა, ჩვენი აზრით, პოეტ-კრიტიკოსის ირ. აბაშიძის მოხსენება, წაითხული რუსთველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ ოფიციალურ საზეიმო სტომაზე, რომელშიც ნათქვამია: რუსთველს „ფიქციურად უკანა“ ხანის დასამკვიდრებლად სულაც არ იყო აუცილებელი ქრისტიანული ფილოსოფიის, კონფესიონალური ცრურწმენებით შეტყუნილი ქრისტიანული მოძღვრების ფარგლებს გარეთ გასვლა. მიუკერძოებელი აღამიანი ყოველთვის ამის საკმაო საფუძველს სახარებაშიც იპოვნის, მოგვიანო ხანის ქრისტიან ფილოსოფოსებზე რომ აღიარებენ ეთქვას“.²

ამრიგად, დღეს უკვე სადავო იღიარა ის აზრა, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი ქრისტიანია და მისი მსოფლმხედველობა მოწყვეტილია კი არ არის ქრისტიანული მოძღვრების საფუძველს, არამედ იმავე საფუძველზეა აშენებული. მაგრამ რადგან და რანაირად არის შესაძლებელი შოთა რუსთველის ახალი, პემანისტური იდეების შეთავსება შოთა საუკუნეების ქრისტიანობის რაქციულ მოძღვრებასთან? ამ კითხვის სწორ პასუხს ამ შემთხვევაში ვიპოვიოთ, თუ გავილავალსწინებთ შემდეგ ორ გარემოებას: ქვერითი, ქრისტიანობა ყოველთვის ერთნაირი მო-

ღერება არ ყოფილა; თუ ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქრისტიანობა აღმოცენდა კარგ ვორც წაგრულთა მიძობობა“ და „ყოველიმეორეულ იგი გამოდიოდა როგორც მონათა და თავდასხნითა, ღატაოთა და უფუღებოთა რელიგია“.³ მეორე, მართალია, ქრისტიანობამ თავის შემდგომ განვითარებაში თანდათან დამკრავადრინდელი რევიოლუციურ-დემოკრატიული ხასიათი და ვაბატონებულ კლასთა სამსახურში ჩადგა, მაგრამ მის შიგნით არასოდეს არ შეწყვეტილა ბრძოლა სხვადასხვა მიმართულებათა შორის, რაც ვაბატონებულ და წაგრულ კლასების შედგენილ ანტიკონიზმის გამოხატულება იყო, ამ ბრძოლაში თაბონციური ელემენტები ძალიან ხშირად იყენებდნენ და ცყარდნობდნენ ქრისტიანობის აღრინდელ დემოკრატიულ პრინციპებს, რომლებმაც თავისი ყვალი ბბბლიაშიც დასტოვეს. შიშასადამე, გვერდის რეპტიოლკურიკალური მიმართულების წინააღმდეგ, ბრძოლისა და ახალი პემანისტური პრინციპების აღმოცენება-დამკვიდრებისათვის სრულიადც არ იყო აუცილებელი, საერთოდ, ქრისტიანობის უარყოფა, ღმერთისა და ქრისტიან უარყოფა; ამისათვის საკმარისი იყო თვით ქრისტიანობის შიგნით არსებული, ფიქციურად აღრინდელი პრორაგრესულ-დემოკრატიული პრინციპებისა და, აგრეთვე, შემდგომი დროის მოწინავე ქრისტიან ფილოსოფოსთა შეხედულებების ვაცოცხლება და შათი შემდგომი განვითარება. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ გენიალური რუსთველი სწორედ ამ მიმართულებით მიდიოდა.

ამისთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება გავხსენოთ, აკად. კ. კეკელიძის შემდეგი საუკუნისში სიტყვები: „როდესაც ჩვენ რუსთაველის ქრისტიანობის შესახებ ელაზარაკობთ, უნდა შეხედვი გარემოება გუახლოვება, რუსთაველი იმეორება ქრისტიანობის პირველწყაროს, ბბბლიას, „საღმრთო წერილს“; ამ მხრივ ის წარმომადგენელია ე. წ. „ბბბლური თეოლოგისა“; მისთვის უცხოა დოგმატურ-ეკლესიური ქრისტიანობა, რომელიც აღმოცენდა მსოფლიო კრებოთა და შემდეგ დროის სქოლასტიკურ-მისტკიურ ენებრივ აკრობატკაზე. მისთვის უცხოა შთელი ის ბალსტი, რომელიც ქრისტიანობას შეეხარდა შემდეგ, საუკუნეთა განმელობაში, და რომელთა წინააღმდეგ დასავლეთკროპაში ვაბდული ხმა პრავლად რეფორმაციის წინამორბედებმა XV საუკუნეში ათილეს. ამიტომთა ის მოწინავე აღამიანი და პრორაგრესულად მოაზრებენ რელიგიურ სფეროშიც კი აქ უნდა ვერიოთ მხებე იმისა, რომ თუ შას მომდევნო საუკუნეებში ვარკვეული წარება რელბიგურ ნადაგზედაც სდევნიდა, სდევ-

¹ ი. ლოლაშვილი, რუსთველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები (საიბბბლეთი კრებულში „შოთა რუსთაველი“, 1966, გვ. 57).

² გ.ბ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 7 ოქტომბერი.

³ K. Маркс и Ф. Энгельс, соч., том 22, გვ. 467.

ნდა არა იმიტომ, რომ ის საზოგადოდ ქრისტიანი არ იყო, არამედ იმიტომ, რომ ის არ იყო მიმდევარი და მოტრფივალე დოგმატური ქრისტიანობისა.¹

გამიწინილი მეცნიერის ეს ფრიად საყურადღებო დაკვირვება, ჩვენი აზრით, ნამდვილ გასაღებს წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობის სწორი, მეცნიერული გაგებისათვის.

ყოველთაე ზემონათქვამის შემდეგ, ვფიქრობთ, ძნელი მისაჩვედრი არ უნდა იყოს, თუ როგორმა მსოფლმხედველობამ მიიყვანა რუსთველი ქვარის მონასტერში. ცხადია, იგი იქ მივიდა როგორც ქრისტიანი, მაგრამ არა როგორც რეაქციული ქრისტიანული მოძღვრების მიმდევარი, არამედ როგორც წარმომადგენელი ქართული ეკლესიის შიგნით არსებული, პროგრესული მოძრაობისა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ, პლემანისტურ მოძღვრებას.

მაგრამ იმისათვის, რომ რუსთველი და მისი მსგავსი პროგრესული მოღვაწეები ქართულ ეკლესიის სათანადოდ დაეფასებია, კერძოდ კი იმისათვის, რომ ქვარის მონასტერის ისინი ღირსეული პატივით მიეღო, აბსოლუტურად აუცილებელი იქნებოდა, ქართულ ეკლესიაში ყოფილად იქნენ მძლავრი პროგრესული ძალები, რომლებიც შესძლებდნენ რეაქციისათვის ფრთები შეეკვეცათ და შიშინავე მოღვაწეთა საქმიანობა და დაეხსნათ შესაძლებელი გაეხადათ; აუცილებელი იქნებოდა ისიც, რომ ქვარის მონასტრის კრებული პროგრესული მიმართულების ხელთერ მამათა გაელწიანში ყოფილიყო, რათა მას საშუალება ჰქონოდა რუსთველი წმიდა ქალაქის ფიზიკურად მონასტერში გამოეხატა.

ახლა ვიკითხოთ, როგორი იყო ამ მზრივ ეთარება საქართველოში თამარის ეპოქაში? იყო თუ არა იმდროინდელ ქართულ ეკლესიაში ძლიერი პროგრესული დასი, რომლის ავანგარდს შოთა რუსთველი და მისი თანამოაზრე მღვდელმოძღვრები წარმოადგენდნენ?

მართალია, როგორც უკვე ითქვა, ქართული ეკლესიის ისტორია ჯერ-ჯერობით მეცნიერულად შესწავლილი არაა, მაგრამ ის შეიცავს დიდი ფაქტებიც კი, რომლებიც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიისთვის ცნობილია, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ შემდეგი უდაბო პეშმარტება: თამარის ეპოქაში ქართული ეკლესიის შიგნით ისეთივე ხასიათის მწვავე, კლასობრივი ბრძოლა იყო გაჩაღებული სასულიერო არისტოკრატისა და პლებეურ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეთა შორის, როგორც, საერთოდ, იმდროინდელ ფეოდალურ საზოგადოებას ახასიათებდა.

ეს ბრძოლა თამარის მეფობის პირველ პერიოდში (დაახლ. XII ს. 80-იანი წლების ბოლომდე) რეაქციულ-კურიალური სამღვდელთაბრძოლის აშკარა უმარატესობის ნიშნით მიმდინარეობდა, თამარის მეფობის მეორე პერიოდში კი (90-იანი წლების დამდეგიდან) ეთარება შეიცვალა და ეკლესიის პროგრესული ძალებმა, თვით მეფის ხელისუფლების პირდაპირი დახმარებით, შესძლეს რეაქციონერთა შეწირუბა და მათი თვითნებობის მნიშვნელოვნად შეზღუდვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა მკვლევარმა შეტყობინებულ დიდ ყურადღებას უთმობს, ზოგჯერ კი გადაჭარბებითაც აფასებს იმ წინააღმდეგობას, რომელიც ფეოდალიზმის ეპოქაში საერთო საზოგადოებასა და სასულიერო წოდებას შორის არსებობს, ზოლი ეკლესიის შიგნით გაჩაღებულ მწვავე კლასობრივ ბრძოლას ვერც ამჩნევს, ამით იხსნება, რომ ზოგიერთ ავტორს ეკლესია წარმოადგენილი აქვს როგორც ერთი მთლიანი, რეაქციულ-კურიალური მანკა, რომელიც ყველგან და ყოველთვის მხოლოდ უჩაყვლით როლის ასრულებს ერის ცხოვრებაში. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ცხადია, მცდარი და არამეცნიერულია. ფრიდრიხ ენგელსმა დიდი ხანი გერმანიის მავალითზე დამატკიცა, რომ შუა საუკუნეებში სასულიერო წოდება ორი, სრულიად სხვადასხვა, ერთმანეთს მოპირდაპირე კლასისავე შედგებოდა და მათი ურთიერთ ბრძოლა ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასების ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა - პირდაპირი გამოხატულება იყო.²

ქართულ ეკლესიაშიც რომ სწორედ ისეთივე ეთარება იყო, ეს მეცნიერულ გეზზეა აკად. ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც სასულიერო წოდების პროგრესულ და რეაქციულ მიმდინარეობათა ბრძოლის არაერთი საყურადღებო ფაქტი გამოამხეურა. იქ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ივ. ჯავახიშვილის „ქართული ერის ისტორია“ (ტომი II), სადაც დიდი დამაჯერებლობით არის დახატული ქართული ეკლესიის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის სურათი. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ახალი მომართობა, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ეკლესიაში გაბატონებულ სასულიერო არისტოკრატისა, ჩაისახა ჯერ კიდევ XI საუკუნეში უდაბო რეაქციონერულ ქართულ საგანებში, სადაც 1032 წლიდან მმართველობის მონარქიული წესი შეცვლილი იქნა რესპუბლიკური წესწყობილებით. ეს რევოლუციური მომართობა იმევე

¹ Ф. Энгельс, Крестьянская война в Германии (К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 7, стр. 350—352).

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, 1965 წ. გვ. 403.

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 147.

XI საუკუნეში შემოიჭრა საქართველოშიც. მის დასაბამს მისცა საქართველოში ბაგრატ IV თხოვნით ჩამოსულმა გამაჩინებელმა მოღვაწემ გიორგი ათონელმა, რომელიც გაბეჯულად გამოეჭმადე ეკლესიის პლემბურ ელემენტებს და იქამდეც კი მივიდა, რომ მღვდლებად ყვობიანი გამოსული გლეხები აყრატხა. გიორგი ათონელმა სასტიკი ომი გამოუცხადა რაქციონერ ეპისკოპოსებს და საფუძველი ჩაუყარა ქართული ეკლესიის დემოკრატიზაციის პროცესს. მის მიერ დაწყებული საქმე განაგრძო საზოგადოებრივ მეფემ დავით აღმაშენებელმა, რომელმაც უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საეკლესიო რეფორმა ჩაატარა და უღრესი ეპისკოპოსები ეკლესიიდან გააძევა. დავითის მიერ მოწვეული რუს-ურბნისის ცნობილი საეკლესიო კრება (1103 წ.) დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული ეკლესიის ცხოვრებაში. ეს იყო დიდი გამარჯვება იმ პროგრესული ძალებისა, რომლებიც აღმაშენებელი ეკლესიის ფეოდალური საზოგადოების წიაღში არსებობდნენ და მისი კულტურის წინსვლას ემსახურებოდნენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ანტიკონსტანტინოპოლის მხრებზე დაყრდნობილი საზოგადოების საბოლოო განკურნება არავითარ რეფორმის არ შეუძლია, და დავითის რეფორმისაც, ცხადია, არ შეეძლო ქართული ფეოდალიზმის ძირეულ წინააღმდეგობათა მოსპობა; ამის გამო ბრძოლა შემდგომშიც უნდა გაგრძელდებოდა და გაგრძელდა კიდევაც.

ვიღრე ფეოდალური საქართველოს პროგრესული ძალები და მეფის ეკლესიური ხელიწყოფლება ძლიერ იყო ეკლესიის არისტოკრატია, რომელსაც შვიდრო კავშირი ჰქონდა დიდგვარიან აზნაურთა რაქციონულ მოძრაობასთან, ძალუენებურად უნდა მიუტეხებულყო, მაგრამ როგორც კი მეფის ხელისუფლების წინაშე რამე სერიოზული სიმწევე აღმართებოდა, ეკლესიამ მთავალეებელი რაქციონერებიც დაშინე თვის წამოყოფდნენ ხოლმე. ასე მოხდა გიორგი III მეფობის ბოლო ხანებშიც.

როდესაც დიდგვარიანმა აზნაურებმა დემნა ფფისწულის დინასტიური პრეტენზიები აჯანყების საბაზად გამოაყენეს და გიორგი მეფის ტახტიდან გადავდებამიონდომეს (1177-1178 წწ.), სასულიერო წოდების დიდებულთა კლასმა საეკლესიო კრება მოიწვია და მეფეს ეკლესიის შეუვალობის აღდგენა მოსთხოვა. გიორგი III იძულებული ვახდა დავითი და მათი მოთხოვნა დაეკმაყოფილებია, მაგრამ ეს დამამბა საქმარისი არ აღმოჩნდა. იმავე ხანებში რაქციონერებმა შესძლეს ეკლესიის პროგრესულ ძალთა მეთაური, მეფის ერთგული კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძემ თანამე-

ზობიდან გადაეყენებიათ და მის ნაცვლად ქართული ეკლესიის საქმემპყრობლად რაქციონული სასულიერო არისტოკრატის ხელმძღვანელ მიქეელ შირიანის ძე დაესვათ. გიორგი მეფის ვარდაცვლების შემდეგ თეოდალური რაქცია (როგორც საერო, ისე სასულიერო) კიდევ უფრო გაძლიერდა. მიქეელ შირიანის ძემ ისარგებლა ახალგაზრდა თამარის წინაშე წამოჭრილი სიმწელებით და, სასულიერო ძალაუფლებასთან ერთად, საერო ძალაუფლებაც მიიტაცა: იგი, კათალიკოსობასთან ერთად, ვახდა სახელმწიფოს პირველი ეპიზოპი — მწიგნობართუხუცესი-პროვინციული. ჟახიხიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო საქართველოს ისტორიაში სრულიად გუგონარი ამბავი, რაც პროგრესულ ძალთა უდიდეს მარცხს და დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმის გაქრყვებას მოასწავებდა. ამ დროს იმდენად გაძლიერდა რაქცია, რომ თვით თამარ მეფემ და მის მიერ დანიშნულმა სავანეებში საეკლესიო კრებამ, რომელსაც იერუსალიმიდან მოწვეული ნიკოლოზ გულაბერისძემ ხელმძღვანელობდა, ვერ შესძლეს მიქეელ შირიანის ძის თანამდებობიდან გადაეყენება; რაქციონერთა ეს ვაგენიანი ბუღალი სიკვდილმდე (1189 წ.) დარჩა მის მიერ ძალით მიტაცებულ ორივე უმაღლეს თანამდებობაზე. თამარ მეფეს და მის მომხრე პროგრესულ ძალებს შემდგომში დიდი ბრძოლების გადატანა დასჭირდათ იმისათვის, რომ ვეეტხათ რაქციის ძლიერება რეფორმის საერო, ისე სასულიერო სფეროში. ეს შესაძლებელი ვახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საეკლესიო რაქციის ბურჯი მიქეელ შირიანის ძე ისტორიული სცენიდან ჩამოვიდა, ხოლო დიდგვარინ აზნაურთა ვავლენაში მყოფი და მათი ნების შემსრულებელი გიორგი რუსი საბოლოოდ დამარცხდა. ქვეყნის პროგრესულმა ძალებმა, დიდი ბრძოლისა და სისხლისღვრის შემდეგ, როგორც იქნა, XII საუკუნის 90-იანი წლებს დამდეგს შესძლეს რაქციის სერიოზული დათრგუნეა. თამარ მეფემ, რომელსაც ახლა გერ-

1 იქნა, გვ. 373.

2 ამ ფაქტიდან კარვად ჩანს, როდენ დასაბუთებელია ზოგიერთი მეცნიერის მტყიცება. თითქოს ქართული საერო ლიტერატურის აღმოცენება-ვანვითარებას ხელი შეუწყო კლასიკური ხანის საქართველოში ქრისტიანული იდეოლოგიის შესუსტებამ. სინამდვილეში, როგორც ვხედავთ, არა თუ საერთოდ ქრისტიანული იდეოლოგიის შესუსტებამ, არამედ ქართული ეკლესიის რაქციონულ-კლერიკალური ნაწილის შესუსტებამაც კი უაბარაკი სრულიად უსაფუძვლოა, — ყოველ შემთხვევაში, თამარის მეფობის პირველ პერიოდში მაინც.

დში ერთგული და მამაკი დაეთ სოსლანი ედ-
ვა, გამარჯვება დიდი ზეიშით აღნიშნა, მან ვა-
ბედულად დააწინაურა თავისი მომხრე პროგ-
რესული მოღვაწენი როგორც საერო, ისე სა-
სულიერო ასპარეზზე, რამაც ქართული სახელ-
მწიფოებრიობისა და კულტურის ახალი აღმავ-
ლობა განაპირობა.

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების ქარ-
თელ ეკლესიაში, ისევე როგორც გერმანიისა
და ევროპის სხვა ქვეყნების ეკლესიებში, სას-
ტიკო კლასობრივი ბრძოლა იყო გაჩაღებული
სასულიერო არისტოკრატისა და პროგრესულ-
დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეთა შო-
რის. მწელი მისახვედრი არ არის, თუ როგორი
პოზიცია უნდა სტეროდა ამ ბრძოლაში ისეთი
მოწინავე მსოფლმხედველობის აღამიანს, რო-
გორც ეფესისტყაოსნის ავტორი იყო. ექვს
გარეშეა, რომ შოთა რუსთველი იდგა პროგ-
რესულ მოღვაწეთა იმ სახელოვანი გუნდის
აენგარდში, რომელმაც შეუპოვარ ბრძოლაში
დაამარცხა ფეოდალური რეაქცია და ქართუ-
ლი სახელმწიფოს შემდგომი სამეურნეო-კულ-
ტურული წინსვლა უზრუნველყო თავისთავად
ცხადია, რომ ამ გუნდის მოღვაწეთა თვალში
არა მარტო თამარ მეფე, არამედ დაეთ სოს-
ლანიც, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობ-
და გოთრგი რუსისა და მის მომხრეთა წინააღ-
მდეგ ბრძოლას, სათაყვანებელი გმირი უნდა
ყოფილიყო, და შემთხვევით როდია, რომ ეფე-

ხისტყაოსანში ხსენებულ მეფეთა განსაკუთრე-
ბული, საოცრად ამოღებული სიყვარულია
აღბეჭდილი.

რაც შეეხება წვარის მონასტრის შამათა შო-
ზიციას, საფუძველი გვაქვს ვიდიჭროთ, რომ
ისინი ქართული ეკლესიის პროგრესულ მოღ-
ვაწეთა ღმს ეკუთვნოდნენ და, ვეფხისტყაოს-
ნის ავტორთან ერთად, იბრძოდნენ რეაქციული
სასულიერო არისტოკრატის წინააღმდეგ ამ-
გვარი შსეგლობისათვის საფუძველს გვაძლევს
შემდეგი ორი გარემოება:

ჯერ ერთი, საზღვარგარეთელი ქართული სა-
ვანეები, — როგორც ეს ივ. ჯავახიშვილმა და-
მაჯერებლად დაასაბუთა,¹ — თვით საქართველო-
ში არსებულ ეკლესია-მონასტრებთან შედარე-
ბით, ყოველთვის გამოიჩნეოდნენ თავიანთი
პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულებით
და სწორედ ამიტომაც იქნენ ისინი ქართული
კულტურის უაღრესად თვალსაჩინო კერებად.
მათი შედარებითი დემოკრატიულობის მიზეზა
ის იყო, რომ ევროპო საკუთრებისა და მასზე
დამყარებული ფეოდალური არისტოკრატის
გამბრწუნელი გააღუნა საზღვარგარეთის სამონას-
ტრო ორგანიზაციებზე ნაკლები იყო, მამასა-
დამე, სრული საფუძველი გვაქვს ვიდიჭროთ,
რომ იერუსალიმის წვარის მონასტერი და მისი
სასულიერო კრებული ქართული ეკლესიის
პროგრესულ-დემოკრატიულ მიმართულებას ეკ-
უთვნოდა და მისი ერთ-ერთი მძლავრი საყრ-
დენი იყო.

□ ბაზრძელეზა იმეზა □

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965 წ., გვ. 402.



„დინარას“ პრობლემისათვის

წინამდებარე გამოკვლევის საგანია რუსული მწერლობის ერთ-ერთი მეტად საინტერესო ძეგლი — „მოთხრობა დინარაზე“, რომელიც უმეტეს მკვლევართა აზრით, შეიქმნა XVI საუკუნეში, მოსკოვში, მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის ეპოქაში.

რუსული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის ისტორიისათვის ამ ნაწარმოების მნიშვნელობა განასაზღვრება იმით, რომ მასში მხატვრულად არის ასახული რუსეთის ისტორიული განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის იდეები. ამიტომ ისეთი საკითხების გარკვევას, როგორცაა ძველის წარმოშობის ადგილი და დრო, ავტორი, ისტორიული საფუძველი, ხასიათი, ენაობა, შემადგენლობა, ტექსტი და სხვა, პარველბარისხოვანი მნიშვნელობა აქვს რუსული ლიტერატურისმცოდნეობისათვის.

„მოთხრობა დინარაზე“ უდავრესად საინტერესო ძეგლია ქართული ისტორიული და ლიტერატურული მეცნიერების თვალსაზრისითაც. იგი დაწერილია ქართულ თემზე, მკვლევართა საერთო აღიარებით, მას ქართული ისტორიული მასალა უდევს საფუძვლად. ესაა არსებითად პირველი რუსული თხზულება საქართველოს შესახებ. ამიტომ მასთან დაკავშირებული საკითხები გარკვევას არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქართული მეცნიერებისთვისაც.

რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარისთვის კი „მოთხრობა დინარაზე“ მისი პრობლემის ყველა ასპექტით არის მნიშვნელოვანი და საინტერესო.

ჩვენ შევხვებით „დინარას“ პრობლემის ერთ-ერთ ასპექტს, კერძოდ, მის დამოკიდებულებას საქართველოს ისტორიულ წარსულთან, ურთიერთობას ძველ ქართულ ისტორიულ თეორიულ-ლიტერატურულ ძეგლებთან, მისი მთავარი პერსონაჟის დინარას ვინაობის საკითხს, პრობლემის სხვა ასპექტებს შევხვებით იმდენად, რამ-

დენადაც ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან იქნებოდა დაკავშირებული.

ქვემოთ კრიტიკულადაა განხილული „დინარას“ შესახებ არსებული მთელი მეცნიერული ლიტერატურა, შეპირისპირებულ-შემოწმებელია სხვადასხვა მკვლევართა შეხედულება. დასკვნა და ვარაუდი. წამოყენებულია აგრეთვე რამდენიმე დებულება, რომლებიც ემყარება როგორც ნაწარმოებში ტექსტზე ახალი დაკვირვებების შედეგად მოპოვებულ ფაქტებს, ისე ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების ხელახალი განხილვის შედეგად წამოჭრილ მოსაზრებებს.

1

რუსულ და ქართულ ლიტერატურულ თეორიულ მეცნიერებაში უკვე საბოლოოდ დამკვიდრდა და განმტკიცდა აზრი, რომ ძველი რუსული მწერლობის ძეგლი „მოთხრობა დინარაზე“ ასახავს თამარ მეფის ცხოვრების ერთ ეპიზოდს, ან მთლიანად მისი მეფობის ამბებს, რომ დინარა თამარ მეფეა.

ეს დებულება აღიარებულია არა მხოლოდ სპეციალურ სამეცნიერო შრომებში, არამედ შესულა სასწავლო სახელმძღვანელოებშია და პროგრამებშიც, როგორც საბოლოოდ დამტკიცებული ემპირიკური კონსტატაცია.

პროფ. ნ. კ. გუშის „ძველი რუსული ლიტერატურის ისტორიის“ სტაბილური სახელმძღვანელო სველა გამოცემაში აღნიშნულია, რომ „...ჩვენში (რუსეთში) წარმოიშვა მოთხრობა საქართველოს (ივერიის) დედოფალ დინარაზე, რომელიც წარმოადგენს ქართული ლეგენდის გადაკეთებას საქართველოს ისტორიაში ცნობილ თამარ მეფეზე...“ „ნაწარმოებს საფუძვლად დედოფლის ცნობები, რომლებსაც გააფუძის ქართული მატარაფერი მოთხრობა თამარის შესახებ...“ „...ცნობები დინარა-თამარზე იმ ქართველებისაგან შეიძლება ყოფილიყო მიღებული, რომლებიც რუსეთში ჩამოდიოდნენ...“

„რუსული ლიტერატურის ისტორიის“ ქართულ გამოცულ სახელმძღვანელოში (1960) ნათქვამია: „მკვლევართა უზრავლესობა იმ აზრი-

სია, რომ დინარაში რუსი ავტორი გელისსმობს ჩვენს სახელგანთქმულ თამარ მეფეს. ეს მოსაზრება უკვე მოღებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან იგი დისამბუტებულია საქმაოდ სერიოზული და დამამტკიცებელი ფაქტებით“ (გვ. 110).

უკანასკნელი ასი და მეტი წლის მანძილზე „დინარას“ შესახებ მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა. მეცლევარები პერსონალურად ეპირატუნდებოდნენ ნაწარმოებს და კვლავ და კვლავ, სხვადასხვა ფაქტებისა და მოსაზრებების საშუალებით ცდილობდნენ გველრმაგებოთ და ვანუტკუკებოთ პირველად მ. ბროსეს მიერ 1853 წელს წამოყენებული დებულება, რომ დინარა თამარ მეფეა.

ჩვენი უკვე ამ საერთოდ აღიარებული დებულების მიმართ თავდაპირველად შეშფემა გაცემობებმა აღჩრა:

1. რუსული მეგლის იდეური შინაარსი და გამიზნულობა, მისი პოლიტიკური ტენდენცია შორსულადაც არ ეთანხმება თამარის მეფობის ამბებს, მისი მმართველობის ხასიათს, ურთიერთდამოკიდებულებას დიდებულებთან, რომ გორც ცნობილია „მოთხრობა დინარაზე“ გამსკეპალულია ე. წ. „მოსკოვის იდეოლოგიით“. XVI საუკუნის რუსეთის პოვრესული წრეები ცდილობდნენ დაენერგათ მეფის ძალაუფლების ლეგიტიმი წარმოშობას იდეა, ცენტრალიზებული, თვითმპყრობელური ხელისუფლების უპირატესობა ბოიართა იმ ტენდენციასთან შედარებით, რომელიც მეფისაგან დამოუკიდებელი ფეოდალური მმართველობის სურვილს, მეფისადმი ურჩობას გამოხატავდა. რუსეთისათვის ეს იყო ამტრალური პოლიტიკური პრობლემა. მას მიეძღო ნაწარმოებს მიეძღვნა, მათ შორის „მოთხრობა დინარაზე“, რომლის მთავარი იდეა არის მეფის ერთმმართველობის განმტკიცება მეფის ძალაუფლების ხელშეუხებლობა ბოიართა მხრივ. ეს იდეა რეალიზებულია ნაწარმოებში მთავარი კონფლიქტით: მეფისა და დიდებულების ერთმმართველობის საკითხში. სპარსეთის მეფე ადრამელეხი ომით ემტკრება დინარას. დედათალი დიდებულებს საომრად მოუწოდებს. შინაით შეპყრობილი ბოიარები უარს ამბობენ ბრძოლაზე. დინარა იძულებულია მიმართოს მათ გამამხნეველი სიტყვით და საწადელს მიხლწიოს, ჩვენამდე მოღწეულ პრეტერო სიტრიალთ თუ ლეგენდარულ წყაროში არ არის არავითარი კვალი იმისა, რომ თამარს, თუნდაც შორსულად, რამე ანალოგიური ახასიათებდეს. პირიქით, არსებული წყაროები საპირისპირო ცნობებს გეწოდან.

2. ნაწარმოებში ხშირად გვეხვება იმაზე მითითება, რომ დინარამ არ ისურვა გათხოვება. უშეილოდ გარდაიცვალა და ძალაუფლება ნათესაებს გადასცა. როგორც ცნობილია, თამარ მეფე ორჯერ იყო გათხოვილი, თანაც მისი პირველი პირველი ქმარი რუსი უფლისწული გიორგი (იური) ბოგოლოუბსკი იყო (თამარის პირველი ქვედა და მისი სიყვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა კანონიერი მეგვიდრე გიორგი ლაშა). თუ მეცლევართა აზრით ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ქართველ მემატიანეთა ცნობები თამარზე, მაშინ საკვირვლია, რომ მოთხრობის ბუნება ავტორებმა და მათმა ქართველმა ინფორმატორებმა არ აღნიშნეს ეს მნიშვნელოვანი, ორივე მხარისათვის ღირსშესანიშნავი ფაქტი, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც გაეხვეულია დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვის რუსეთსა და საქართველოს ცალკეულ სამეფოებს შორის და პირველად დადგა საკითხი ძლიერი რუსეთის სურვილისა მათ მიმართ.

3. მწვლად განაზიარებულია უმეტეს მეცლევართა მოსაზრება, რომ თამარის სახელი დინარად გადაკეთდა. მართალია, რუსები თან ვინსტურად გადაკეთებდნენ ხოლმე ქართულ სახელებს, მაგალითად, ხორგენს — ხრისტიანად, მამუკას — მანუილად, პაბუნას — პოტაპად, რამზს — რომანად და სხვ. მაგრამ თამარის დინარად გადაკეთება ღიდ უკვე იყვება. ამ საყველთაოდ ცნობილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ სახელების გადაკეთება განსაზღვრული კანონზომიერებით ხდებოდა: რუსები, როგორც წესი, გადაკეთებდნენ ხოლმე მხოლოდ ისეთ სახელებს, რომელიც მათთვის უცხო, მწვლად წარმოსთქმელი იყო და მას ფონეტიკურად ასე თუ ისე დაახლოებული, მათთვის ნაცნობი რუსული სახელით ცვლიდნენ. თამარის დინარად გადაკეთება არ ემარჩილება ამ კანონზომიერებას, ვთვებარია, ალოგიური. თუ გადაკეთებას უწნებოდა ადგილი უფრო ის არის დასაშვები, რომ ზემოხსენებული მაგალითების ანალოგიით, პირიქით მომხდარიყო: დინარა თამარად გადაკეთებულიყო. თამარი იმ ვალონ რუსეთისათვის გაცილებით უფრო დასაგებ, უფლები, ნაცნობი სახელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეგზოტიკური დინარა.

4. თამარის მამის სახელის გიორგის აღქმასანდრედ გადაკეთება აგრეთვე პარადოქით იხსნება. ვიორგი შეიძლება შეცვლილიყო იური, ივრგია, ვგარით, გეორგი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში აღქმასანდრეტი. განვიხილოთ ამ მოსაზრებებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

რა შეიძლება სცოდნოდა რუსული მოთხრობის XVI საუკუნის ავტორს თამარის პირველი ქმრის ბედისა და მათი ცოლ-ქმრობის ფაქტის შესახებ? რუსულ მატრიანეში 1175 წლის შემდეგ ქრება ანდრია ბოგოლოუბსკის უმცროსი შვილის გიორგის ხსენება. ამ წლამდე რუსული მატრი-

ნებიდან ჩვენ ვიცით, რომ რამდენსამე ხანს იგი მთავრად იჯდა ნოვეგოროდში, ხოლო 1175 წელს შამაჰის მოკლას შემდეგ (ანდრი 1174 წელს ბოიართა შეთქმულების მსხვერპლი ვახდა) გააძევეს ნოვეგოროდისა. მატიანის სხვა ნუსხა მას იხსენიებს როსტოვსუხდალის სამთავროს ამბებში და ამის შემდეგ მისი სახელის ხსენება ქრება, არც ერთ რუსულ წერილობით ძეგლში იგი აღარ იხსენიება, რაც გაკვირვებას იწვევს, რადგან რუსი მემატიანეები იმ ფაქტსაც კი აღნიშნავენ, რომ XI საუკუნეში ქართველები კიევის ტაძრის მოსახატავად მისულან, ხოლო კიევის მთავარმა იხიასლავმა სწორედ XII საუკუნეში იბეჭთა (ქართველთა) სამეფო სახლიდან ქალიც კი შეირთო, მაგრამ ისეთი შინაშენელობანი ფაქტი დინასტიურ ურთიერთობიდან, როგორც იყო რუსი უფლისწულის საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს მეფის ქმრად გახდომა, ე. ი. რუსების თვალაზრისით მისი საქართველოში გაემუფება, უყურადღებოდ დატოვებს ცხადია, რომ არ იცნა ამის შესახებ.

როგორც არ უნდა ყოფილიყო გიორგის (იურის) შემდგომი ბედი, ფაქტია, რომ რამდენსამე წელს (ივ. ჯავახიშვილის ანგარიშით ორსამ წელს) თამარის ქმარი იყო, როგორც მხედართმთავარი ქართველთა ლაშქრობებში მონაწილეობდა, ხოლო საქართველოდან გაძევების შემდეგ ორჯერ მოინდომა შეიარაღებული ძალით თავისი მდგომარეობის აღდგენა (მათ შორის ერთხელ ქართველი დიდბულების ნაწილის აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით). რუსულ ძეგლებში ამ ამბების შესახებ არაერთი ხანიათის ცნობა არ არსებობს (არც უარყოფითი, არც დადებითი) და საერთოდ XIX საუკუნემდე რუსეთის ისტორიკოსებისათვის სრულიად უცნობი იყო ფაქტი გიორგის ბაგოლიუბსკის საქართველოში თამარ გიორგის ქმრად მოწყვეტის შესახებ. ცხადია, ეს არც XVI საუკუნეში იცნა.

ამასთან დაკავშირებით, რა შეიძლება სკოდარდთა XVI საუკუნის რუსეთში თვით თამარის შესახებ?

არავითარი წერილობითი ცნობა თამარზე XII საუკუნეში მოყოლებული რუსეთში არ არსებობს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ცნობები არსებობდა და მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ. მაგრამ მრავალი ეს ცნობა, რომლებიც XIII-XIII საუკუნეებს ეხება (ზოგი მნიშვნელოვანი, ზოგი უმნიშვნელო, უფრო მეტად შინაური ცხოვრების ამბების შემცველი, მაგრამ ბევრი უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის ამსახველი, მათ შორის ცნობები საქართველოზე) ჩვენამდე მოღწეულია რუსული მატიანეებისა და სხვა ძეგლების საშუალებით, რატომ სწორედ თამარზე ცნობები გაქრებოდა მათში?

მთლილთა ბატონობის ძეგლებდობის ხანა უნდა მიეწეროს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოების შორის კავშირის გაქრობის მთავარი ამ სახელმწიფოების სიკვდილ-სიყოცების საკითხის იდეა და უცხოეთში გადახვეწილი უფლისწულის ბედი არაიქნა დაინტერესებდა. როგორც ჩანს თამარის მეფობის ამბებშიც ვერ მოაღწია რუს მემატიანეებამდე. სხვათაჩნად არ იხსენება უხვი ცნობების არსებობა თამარზე აღმოსავლეთის ისტორიულ ქრონიკებში და რუსული მატიანეების სრული ღრმელი მის შესახებ. თუმცა ქართველები და რუსები ერთმანეთს ხელებიდან ოჭროს ურდოს კარზე, ცნობები საქართველოს შესახებ კანტიკულად გაიფიქრებს ხოლმე რუსულ მატიანეებში (ისიც უნდა აღინაშნოს, რომ „გურზი“ და „იერი“ რუს მემატიანეებს ზოგჯერ სხვადასხვა ხალხად მყავთ წარმოდგენილი), მაგრამ, როგორც ჩანს, ცნობებმა თამარზე რუსეთში მაინც ვერ შეაღწია.

მხოლოდ XV საუკუნის დასასრულიდან ვხვდებით რუსეთ-საქართველოს კავშირ-ურთიერთობის აღდგენის ფაქტებს. და ამ ფაქტს მანინე აღნიშნავს რუსულ მატიანე. იქ აღინიშნება, რომ 1492 წელს „მოუღაბა ელი იხვრთა ქვეყნიდან მთავარ ალექსანდრესაგან, სახლად მურატი“. აქედან დაიწყო რუსეთ-საქართველოს გაცხოველებული დიპლომატიური ურთიერთობა. ელჩების გაგზავნა-გამოგზავნა, წერილების მიწერა-მოწერა, ყოველი მხრიდან აგრესიული შესუღმანური სახელმწიფოებრივი შემოტევა-საქართველოს სამეფოებრივი ხსნასთან დახმარების გაძლიერებულ და თანდათან აღმავალ ერთმორწმუნე რუსეთში ემებენ. ეს კავშირ-ფრთხილთა XVI საუკუნეში უფრო აქტიური სახეს იღებს. დღემდე მოღწეულია იმ პერიოდის მრავალი წერილობითი დოკუმენტი, რომლებშიც, როგორც მანამდე, არც ერთხელ არ არის მოხსენიებული არც თამარ მეფე და არც მისი პირველი ქმარი — რუსი უფლისწული.

როგორც აღვნიშნეთ, ზემოთხამოთვლილი ვარაუდებიანი იყო ჩვენი პირველი ეპოქის აღმქრელი.

შემდგომ, როდესაც საკითხის დეტალურად კვლევას შევუდგეთ, ჩვენთვის თანდათან ნათელი გახდა, რომ რუსული მოთხრობის დინარია არ არის საქართველოს მეფე თამარი, რომ ნაწარმოებებს რუსი ავტორები და მათი ქართველი ინფორმატორები არ ეყრდნობიან თამარზე არსებულ ქართულ ისტორიულ წყაროებს, თუ ძველი შექმნილია ქართველებისა და რუსების დიპლომატიური წრეების წარმომადგენელთა პირადად, ზეპირი კონტაქტების შედეგად კი არა, არამედ რაღაც წერილობით წყაროზე დაყრდნობით, მითუმეტეს შეუძლებელია, რომ ის წყარო თამარის მეფობის ამსახველი რომელიმე

ისტორია უოფილიყო (არც „ისტორიანი და აზ-
მანი შარავანდედთანი“ და არც ბასილა უოს-
მოდერანი „ცხოვრება მეფე-მეფის თამარ-
ის“), თუმცა ადგილი აქვს გარკვეული ხასიათის
ზოგიერთ დამთხვევას ისტორიულ თამარსა და
მოთხრობის დინარას შორის, რამაც მ. ბროსეს
პირვანდელი დებულების აღმოცენება გამოიწ-
ვია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს დამთხვევები ნა-
წარმოების შემქმნელთათვის არა მთავარი, არა
გადამწყვეტი, არამედ შედარებით მეორეხარის-
ხოვანი გარემოება უნდა უოფილიყო. რას ამ-
ლევდა ან რას მატებდა რუსი ავტორის პოლი-
ტიკურ ტენდენციას, მის წინაშე დამხლ ამო-
ცანას, მაგალითად, ის ფაქტი, რომ დინარა, ისე
როგორც თამარი (ესაა მთავარი დამთხვევა), ერ-
ოდვრთი მემკვიდრე ქალი იყო და მამის სიუ-
ვდილის შემდეგ ივერიის მფლობელი გახდა?
სრულიად არააფერს, რადგან რუსეთში არის-
დროს, არც, რასაც ვერვლავ XVI საუკუნეში (მე-
მხედველობაში არა მამეს მომდევნო პერიოდი,
მაგალითად, XVIII საუკუნის რუსეთის იმპე-
რატორ ქალთა ამბები) არ მდგარა საერთო ქა-
ლის მიერ სამეფო ტახტის დაკავების შესახებ.
ასეთვე ვითარებაა სხვა დამთხვევებთან დაკუ-
შირებით, რაზედაც ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ
ვიმსჯელებთ.

მოკლედ, მთავარში არ არის მსგავსება, ხო-
ლო წერილობაში, რამდენი დამთხვევა არის,
მოდენი, ან იმაზე გაცილებით უფრო მეტი ვან-
სხვავებაა.

ამ ზოგად მოსაზრებას „ცხადია, ფაქტობრივად“
დამტკიცება სჭირდება. ქვემოთ ჩვენ ამს შე-
ვეცდებით და შევძლებიდაცვარად გვაგაშუქებთ
იმ საკითხებშიც, რომლებიც ამ პრობლემასთან
დაკავშირებული წამოიჭრება.

აქ, სანამ სხვა მკვლევარების კვლად, ფაქ-
ტობრივ ანალიზს შევედგებოდეთ, უნდა მოვი-
ტანოთ პროფ. ვ. შადურის ერთი საყურად-
ღებო მოსაზრება, რომელიც გამოთქმულია
„რუსული ლიტერატურის ისტორიის“ ქართულ
სახელმძღვანელოში და რომელსაც ჩვენ საესე-
ბით ვიზიარებთ: „ჩვენი აზრით სწორია არ იქ-
ნებოდა მოთხრობაში (ლაპარაკია „დინარაზე“—
თ. ბ.) მოხსენებულ ყველა საყურად სახელსა
და მოვლენაში რეალური ფაქტების უშუალო
ასახვა გვეხია. არ უნდა დავგაოწმავდეს, რომ ჩვენ
საქმე გვაქვს მხატვრულ ნაწარმოებთან და არა
ისტორიულ დოკუმენტთან. ცნობილია, რომ
ძველი მატინეები და სხვა ისტორიული დოკუ-
მენტებიც კი ყოველთვის არ იცავენ სიზუსტეს,
რომ ისინი მრავალ ზღაპრულსა და ტენდენ-
ციურ ამბებს შეიცავენ. მართალია, მოთხრობა
დაწერილია ისტორიულ თემაზე, მაგრამ იგი ხომ
მინც მხატვრული ქმნილებაა?! ამიტომ ვანა
უცნაური არ აქნებოდა მის ყოველ დეტალში

გვეხია ისტორიული პირებისა და მოვლენების
ზუსტი, პირდაპირი და უშუალო ასახვა და
სრულიად გამორეკიცხა ავტორის წინააღ-
მეხმარებლობა?!” (გვ. 112).

ცხადია, რომ ისტორიული დადასტურება იმ
ფაქტებსა და სახელებს უნდა მოექმნოს, რომ-
ლებიც ამს საშუალებას იძლევიან. ეს მხატვ-
რული ნაწარმოები „მოთხრობა დინარაზე“ —
იმგვარი ხასიათის არის, რომ ჩვენდაუტყდურად
მივხითებებს რადიკალურ ისტორიულ მასალაზე,
რომელიც ამს საფუძვლად დასდებია. წინამორბე-
დი მკვლევარები თამარისა და დინარას იგი-
ვეობის დასამტკიცებლად ისტორიულ ანალი-
ვიებს მიმართავენ, უდარებენ ერთმანეთს მოთ-
ხრობისა და თამარის ისტორიის ტექსტებს, მა-
თი ცხოვრებისა და მოვლენების ცალკეულ
ეპიზოდებს და ამით თავიანთ დებულებებს ასა-
ბუთებენ. ჩვენც ამ გზით უნდა წავიდეთ და არა
ამიტომ, რომ ნაწარმოების ყველა დეტალში
მოექმნოთ ისტორიული პირებისა და მოვლენ-
ების ზუსტი, პირდაპირი და უშუალო ასახვა,
არამედ იმ მიზნით, რომ წინამორბედ მკვლევარ-
თა შესვლულუბების საბუთითობა განვხილავდეთ
(რისთვისაც სხვა გზა არ არსებობს) და ამას-
თან დაკავშირებით ჩვენი დებულება დავამტ-
კიცოთ.

11

იშისათვის, რომ ნათელი იყოს ჩვენი მსკე-
ლობის ყველა ასპექტი, დასაწყისშივე მოვიტანო-
ნოთ რუსული ძეგლის ტექსტი (ჩვეულებრივ,
მკვლევარები მისი შინაარსის გადმოცემით კმა-
ყოფილებიან, მაგრამ ნაწარმოები მცირე მო-
ცულობისა და ზოგჯერ შინაარსის გადმოცემა-
თითქმის იმდენსაც ადგაის იჭერს, რამდენსაც
იგი მთლიანად დაკავებდა. ამიტომ ჩვენ ვამ-
ცობითონ ძეგლის სრული ტექსტის მოცემას).

ამ დღეზე საერთო იმს შესახებ, თუ რომელი
ტექსტით სარგებლობდნენ წინამორბედი მკვლე-
ვარები, „მოთხრობა დინარაზე“ მეტად პოპუ-
ლარული და ფართოდ გავრცელებული ყოფილა
რუსეთში, იგი XVI, XVII, XVIII საუკუნეების
მრავალი ნუსხითაა ცნობილი.

როგორც ავად, მ. სპეტაკის კომ დამატე-
ცა, არსებობს „მოთხრობის“ ერთი რედაქცია,
ხოლო სხვა მაგალითცხოვანი ტექსტები, კო-
ტად თუ მეტად ერთმანეთისაგან გამსხვავებუ-
ლი, ამ ერთი რედაქციის მხოლოდ ნუსხებია
(განსხვავებანი ტექსტში არაა რედაქციული ხე-
სითისა) 1. ეს რამდენავე ადგილებს ტექსტ-
ბით სარგებლობას ნაშეობს.

1 М. Н. Сперанский, Повесть о Дина-
ре в русской письменности; Известия от-
деления русского языка и словесности
Академии Наук СССР, XXXI, 1926,
стр. 62—68.

მ. ბროსე საჩვენებლობდა საეკლესიო რედაქციით გამოცემული ტექსტით (ე. წ. „მოსკოვსკაია“ და იმ ახალი ნუსხით, რომელიც მოსთვის ა. ი. ბერენდარფის მიუწოდებია (იგი თანდართული აქვს ბროსეს წერილს) და ამ უკანასკნელის მიერ XVI-XVII საუკუნის რუსული ქრონოგრაფიდან ყოფილა ამოღებული, ამ ორი ტექსტის შესახებ ბროსე შენიშნავს, რომ ბერენდარფის ნუსხა უკეთესია გამოშვებულ, ამიტომ იგი აწერდა მას ბეჭდვის, ხოლო „გოგარსკისკის“ ელიდან² ვარიანტებს ურთავს. ამ ვარიანტებს მკვლევარი სქოლიოზში იძლევა.

ა. პიპინი საჩვენებლობდა მ. ბროსეს მიერ გამოცემული ორივე ტექსტით და ნ. კოსტომაროვის რედაქციით გამოსულ „Памятники старинной русской литературы“-ში, გამოქვეყნებული ტექსტებით.

ა. სობოლევსკის პირველ ორ ნაშრომში არა აქვს მოთხოვნა ტექსტზე, შესაძლოა, რომელიც სპეციალურად ა. სპერანსკის გამოკვლევებს პასუხად დასწერა, უნდათქვას ნ. კოსტომაროვის რედაქციით გამოცემულ ტექსტს.

გენსკოვსკი კირილი, ჩვენი ზრით, მ. ბროსეს ტექსტებით საჩვენებლობდა თემცა ციტრებისას ა. პიპინის ნარკვევებზე მოუთხოვს.

იმ ბერიოდში ყველაზე მრავალრიცხოვანი ტექსტებით ა. სპერანსკის უსარგებლნია: ეს იყო მ. ბროსეს ორი ტექსტი, ე. წ. რუმინცივისებულა ორი ტექსტი და 30-ზე მეტა სხვა ნუსხა, ძირითადად მოსკოვის მუზეუმებისა.

ბ. ცინცაძე საჩვენებლობს ძირითადად მ. ბროსესა და ნ. კოსტომაროვის რედაქციით გამოცემული ტექსტებით.

ვ. ბახილევიჩი ნ. კოსტომაროვის ტექსტიდან მოაქვს.

გ. შადურის თავის კრებულებში ვადმოხებელი აქვს ნ. კოსტომაროვის რედაქციით გამოსული ტექსტი.

ლ. შუპელიოვა ტექსტის წყაროებს არ ასახელებს, მოაქვს მ. ბროსეს, ნ. სპერანსკის, ა. პიპინის და ვ. ბახილევიჩის ციტატებს.

ლ. შოჭენაძეს გამოქვეყნებულ ტექსტებს ვარდა ხელთ ჰქონია მოსკოვის არქივების ნუსხებიც.

1 М. Броссе. Сведения о грузинской царевне Тамаре в древней русской литературе; Ученые записки имп. Академии Наук по первому и третьему отделениям. т. I, вып. IV. СПб. 1853, стр. 483.

2 1860 წ. II, გვ. 373-376, გ. კულეშოვ-ბეზობროდსის ეს გამოცემა რედაქტირებულ იყო ნ. კოსტომაროვის მიერ, ტექსტის გამოცემას საფუძვლად დაედო XVII საუკუნის ხელნაწერი ყოფილ რუმინცივისებულ მუზეუმისა № 457, რომელსაც დართული ჰქონდა ვარიანტები იმავე მუზეუმის № 378 ნუსხიდან.

ა. ზიმიჩისათვის ნაწარმოების უკვე 80-ზე მეტი ნუსხაა ცნობილი, იგი ძირითადად საჩვენებლობს ე. წ. „როგოსკის“-ს ნაშრომისა № 82 ნუსხით (მეთექვსმეტე საუკუნისა) და გამოქვეყნებული ტექსტებით (მ. ბროსე, ნ. კოსტომაროვი). საცხებით სამართლიანად შენიშნავს ა. ზიმიჩი, რომ „სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს ნაწარმოების სრული კრიტიკული გამოცემა, რაც აძლეობს მის შესწავლას“.

ტ. რუბაძე მ. ბროსესა და ნ. კოსტომაროვის ტექსტებს უმატებს ვ. შადურის კრებულებში (ძირითადად და რუსულად) გამოქვეყნებულ ტექსტებს, მოსთვის ცნობილია აგრეთვე გამოქვეყნებული ნუსხებიც.

როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა მკვლევარი ერთსა და იმავე ტექსტებს ეყრდნობა, ხოლო ტ. სპერანსკისა და ა. ზიმიჩის განსაკუთრებული აზრები მოსცა სხვა ნუსხებში. ჩვენც ასე ვიქცევით, ძირითადად ვიყენებთ ნ. კოსტომაროვის ტექსტს, ვთვალისწინებთ მ. ბროსეს გამოცემას და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა წყაროებსაც, რაზედაც სპეციალურად მივუთითებთ.

მოგვექვს ბ. ბარათაშვილის მიერ შესრულებული თარგმანი, რომელიც მოთავსებულია ვ. შადურის მიერ შედგენილ კრებულში „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“ (გვ. 6-10). ორიგინალთან შედარების შედეგად მიღებულ დასკვნით თარგმანი საქმოდ ზუსტია და ადვილად იკითხება. ბეჭდვის დროს დაშვებულ და სხვა შეცდომებს ჩვენ ვასწორებთ, რაზედაც სპეციალურად მივუთითებთ, ახსატებად დაუფიქრებ ჩვენ ვუკუთვინის.

საკირველი თქმულება და ოსრობა დინარდოფლის, ივერიის ხელმწიფის ალექსანდრეს ქალიშვილის შესახებ, თუ როგორ დაამარცხა მას სპარსეთის მეფე ადრამელეხი.

გარდაიცვალა რა ივერიის ხელმწიფე ალექსანდრე მეფე, რომელსაც არ ჯარსა ეყიშვილი, არამედ ერთადერთი 15 წლის ქალიშვილი, ჰქვიანდ და მისივე, არ მწერელი ვთხოვბისა. და ვადისცა მას მამამ მფლობელობა ივერიისა. იგი ბრძენი იყო და მართვა-გამკებლობა დაიწყო სპარსეთის მეფის ადრამელეხის მეფობის დროს, თავისი მამის მეფე ალექსანდრეს ანდერძთა მიხედვით.

იგი სიყვარულით ეყვრობოდა მასზე დამოკიდებულ მზრანებელთ და წყალობდა ხალხს, ხოლო ყველაზე მეტი გულმოფხვნილობით სწავ-

1 А. А. Зимица, И. С. Пересветов и его современники. изд. АН СССР. 1960, стр. 103.

2 სიტყვები „15 წლის“ გამოტოვებულია ქართულ თარგმანში.

ლობდა საღმრთო წერილს და წინანდელ მეფეთა ცხოვრებას, — თუ როგორი იყო საქმენი მათნი და მათი ცხოვრების წესი და ამ შესწავლით თავის თავში სამხედრო მამაკობა განიმტკიცა. როგორც ფეტკარი თაფლსა ჰკრავს ყვავილთაგან, ასე დედოფალი დინარა ჰკრავდა სიბრძნის ღირსსახსოვარ წიგნებიდან და დიდი რაბინობით განაგებდა თავის სახელმწიფოს. უდიდესად ზრუნავდა თავის სამფლობელოზე. როგორც დახლოვებულ მესაქენს გაჰყავს გემი ზღვას მდელიარე ტალღებში, ასევე ზრუნავდა იგი მთაზე, რათა უზრუნველყო მშვილობა თავისი ქვეყნისათვის.

სპარსეთის მეფე აღრამელებამდე მიადგო ხმამ, რომ გარდაიცვალა ალექსანდრე მეფე — ივერიის ხელმწიფე და რომ ძალაუფლება ხელთ აიღო ივერიის დედოფალმა დინარამ, და სპარსეთის მეფემ განიზრახა წაეყვანა იგი თავის ოლქ სირიაში, ხოლო ქრისტიანული რეფლი კი მოესპო. და წარგზავნა მასთან თავისი ელჩისი შემდეგი სიტყვებით:

„თუ გსურს დამისახურო ჩემი წყალობა და შეინარჩუნო ძალაუფლება ივერიაში, გამოუგზავნე ჩემს უდიდებულესობას დიდი საჩუქარი. თუ ასე არ მოიქცევი, გიბრძანებ დატოვო ხელისუფლება, ხელი აიღო მასზე. მაგრამ შეიძლება შენ გსურს ან გახედო არ დაემორჩილო ჩემს ბრძანებას, განარისხო ჩემი უდიდებულესობა, მაშინ შენს მიმართ მოწყალებას არ გამოვიჩენ“.

დინარამ იხსებულა წარმოგზავნილები და გაუგზავნა მას თავისი ელჩები, უფრო დადი საჩუქრებით, ვიდრე მამამისი უგზავნიდა და ბრძანა მიეფსათყოს ასე მოესხენებინათ:

„შენ მბრძანებ ხელი აიღო სამეგვიდრეო ძალაუფლებაზე, რაც მამამ გადამოცა. მაგრამ ძალაუფლება მე მივიღე არა შენგან, არამედ ღვთისგან. დმერთმა მე შეტი მომანიჭა, ვიდრე შენ: რა ნაწილი გვეუთენის შენ იმ ქვეყანაში, რომელიც უყოლად უზაწო და უყოლად წმინდა ღვთისმშობლის სვედრია? იმიტომ კი არ გგზავნა საჩუქრის, რომ შენი მეშინია. თქვენ ურჩულო ენა და კანონები გაქვთ. ჩვენ კი ჰემ-მარტიო ღმერთის კანონი გვაქვს, და ჩვენ მხოლოდ მისი გვეშინია და მხოლოდ მის მოწყალებას ვითხოვთ. და ან როგორ შეეძლია შენ, მოკვდავს, ასე ილაპარაკო საყუთარ თავზე, ასე განაღდიო შენი თავი, თუ ამის უფლება ზეგარდმო არ გვაქვება მინიჭებული?“

და იხილა სპარსეთის მეფემ მისა ელჩები და, როდესაც ასეთი სიტყვები მოასმინა, არ მიიღო მისი საჩუქარი, არამედ განარისხდა.

დაითხოვა ელჩები და ბრძანა მისთვის ასეთი პასუხი გადაეცათ:

„თუ გსურს დედოფლად დატოვო ჩემი წყალობა დამისახურო, გიბრძანებ მოიქცევი უფლაფერი და შენ მხოლოდ ბერანგები დაიტოვო. თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ დავტარე შენს წინააღმდეგ ზოლს ჩემს ქარს, ხელთ ვივლებ შენს სამეფოს, დაევიორჩილებ შენც და შენს დიდებულებს“.

დინარამ მთაზე სპარსეთის მეფეს ასეთი პასუხი მისწერა:

„თუ შენ ასეთი მრავალი ქარით თავს დამესხმნი, გამოილაშქრებ სუსტ ბავშვ-ქალიშვილის წინააღმდეგ, კიდევ რომ გაიმარყო, სამარცხნიო იქნება შენთვის უძლურ ბავშვზე გამარჯვება. თუკი მე ღვთისა ჩემისაგან დახმარებას მივიღებ, თუ უყოლადწმინდა ღვთისმშობელი მე გამარჯვებას მომანიჭებს, თუ ჩემი ქალური ფეხი შენს მეფურ სხეულს დაეადგა და თავი მოგვეთეთ, რა დაღება და პატივი მხედვებს მე წილად — სპარსეთის მეფეზე ქალური ძალით გამარჯვებულს, რა დიდ პატივსა და დიდებას მოვუხვეპე მამინ მე ივერიის ქალებს და როგორ შევარცხენ და ვაეშობილებ სპარსელებს“.

მაშინ აღრამელები დიდძალი ჯარით დაიძრა მისი ქვეყნის წინააღმდეგ. დინარამ იხსება ქარების წინააღმდეგ თავისი დიდებულების გგზავნა. მათ ეთხრეს დინარას:

„— როგორ შეგეძლია ჩვენ წინააღმდეგო სპარსეთის მეფის ასეთ უთვალავ ქარს, ასეთ ძალას?“

დინარამ პასუხად მათ ძველი ნაწერი მოაგონა:

„გვიხსენეთ, მძებო, დებორა და გეფეონი, რომლებმაც მედიამღულნი დაამარცხეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდძალი ხალხი ჰყავდათ. ვანა ჩვენ არ დაგვეხმარება უფალი ღმერთი და უყოლად წმინდა ღვთისმშობელი? რე მიეცემით სასოწარკვეთას. თუ არ შევიარადლოთ ურჩულოთა წინააღმდეგ, თუ სარწმუნოებისათვის არ დავიხოვეთ, სულ ერთია დავიღუბებით და მონებად ვიქცევით. არამც თუ ჩვენს ღვთისმშობისათვის არ განვაღიღებთ, არამედ ურჩულოთა ძალადობით დავიღუბებით, შეიტყვევნილინი, ისე, რომ ჩვენი მსაყენა აღარ დარჩება“.

შევიარადლოთ მამაკობით, ნუ დაემწყავსებით სუსტ, ორსულ ქალებს.

როცა ევლები ხავედრო ღრუბლების წყლით იიხსება, როცა ამ ევლებზე მზის დიდი მცხუნვარება მიწას გაახშობს, ამის შემდეგ მიწა დიდხანს იქნება გამშაბრი და უნაყოფო და ძნელად

1 ნაბეჭდ ტექსტში შეცდომით წერია „მომაკვდავს“.

1 უკანასკნელი ფრაზის მავჯვარად ნაბეჭდ ტექსტში არის: „დაევიორჩილებ შენს დიდებულებს“.

ლი ვახლებმა მისი ნაყოფითა მიღება. ასევე შეიძლება დაემართოს ჩვენს გაფართოებულ სახელმწიფოს. გამრავლებულ ხალხს, როგორცაა შევჩაღებთ ჩვენ კვლავ გაერთიანებას, თუ სპარსელებმა მას შეაფრთხოებენ და დაიპყრებენ?

ვინა ჩვენ პატივისა და დიდების ღირსნი ვიქნებით, თუ სიმამაცით არ გავიმსვენებთ, თუ მოხმა აგვრტავს, თუ ფეჩქვეშ გაუთვალეთ ჩვენს ღვთისმშობლისათვის, უკუვარდებით მამაცობას და მხოლოდ ჩვენს სატყვეზე ზრუნვას დაეწყოებთ?

როგორც მეცვლადებულ ქალს თავისი ორსულბა ამძიმებს, ასევე თქვენც, რაკი სიმდაბრე შეიბინეთ და შედიდებრებით აღავსეთათ, ფეჩქვეშ თაღეთ თქვენს ერთობრწმუნეთა ზინ-მეფელებსა, უარყოფთ თვის ერთობრწმუნეთა სიყვარულს, ხოლო შემდეგ კი თვითონვე დაიწყოებთ მოთქმა-გოდებას, თვითონვე იქნებით დაფლეთალი, — როგორც უკარგისა ძონაძები, ფეჩქვეშ გათვალალი და თქვენზე არავინ იზრუნებს.

დავიწყეთ შედიდებრობა, უფრადეთ შიში, გამაჰყვარებით სიმამაცით.

თუ სპარსელებმა ტყვედ გავდესთ, თქვენს სიმდიდრეს დაიტაცებენ და გაინაცუებენ.

რადს ვაყოვნებთ? ჩქარა გაილაშქრეთ მათ წინააღმდეგ!

და მეც, ქალწულო, ასევე გამოვიღ მათ წინააღმდეგ დავიწყებ ქალურ სისუსტეს, აღვიგებთ მამაცური ძალით; ხმალს შემოვირტყამ, რკინის საჭურველოთ შევიმოსებთ და თავზე მუხარადს დავიხურავ, ქალწულის ხელით ლაბარს დავიჭერ, სამხედრო უზანში ფეხს ვაგვიყრთ მთელს ჩემს ლაშქართან ერთად, რადგან არ ძალმიძს მოსმინა ჩემი მტერების ტრაბახისა, რომ ისინი დაიპყრებენ ჰედრის ყოველადწმინდა და ყოვლადმწიფო ღვთისმშობლისას, რომელიც დაგვიამარება და მოგვანიჭებს სიმამაცეს მისი ჰედრის დასაცავად.

როგორც ქალი, როცა აბლოვდება მისი ბავშვის დაბადების გამო, უდიდეს დიდობას განიცდის თავის სხეულში, ასევე სპარსელები, რომლებიც დაბადდნენ შორს გასცქერიან და უაღლო ლამეებს ატარებენ, ამჟამად უზოჰოდ დაქანტულნი არიან. ჩვენ კი ახლა დაეაჩქაროთ მათზე თავდახმა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დახმარებით ნუ მიუცემთ მათ ჩვენს ქვეყანაში შემოსეულს სამშულებას, თუ შეუფეღ ღვთისმშობელი ისტრეებს, აგ ჩვენ მოგვანიჭებს მტერზე გამარჯვებას, რადგან მისთვის შეუძლებელი არაფერია.

მაშ ნუ დაიხვეთ უკან პირად სარგებლობათა გამო. დაიძროთ მათ წინააღმდეგ, დაიწყეთ ომი. ხოლო ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მოგვანიჭებს ძალას ამ საქმის შესასრულებლად. მე კი წინ გავიძღვებით და ვიბრძობებ მტრის წინააღმდეგ".

როცა დიდებულებმა მის ბავუთაგან მსგაო სიტყვა მოისმინეს, უდიდესი მამაცობით გაიმსვენდნენ, მეომრები შეკრიბეს და მსგაო მოხსენეს:

„გამხედვე, უდიდესო, გამხედვე“

უდიდესო ღვთისმშობელი დინარა-ქალწულმა ბრძანა მთელი მისი ჯარის სალაშქროდ მომზადება, ხოლო თვითონ ზედმწიფე წაბრძანდა შაბრინის მონასტერში, რათა შეეთხოვნა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისათვის დახმარების აღმოჩენა მტრის წინააღმდეგ: წაეიდა ფეხშიშველი ეკლიანი, წვეტიანი ქვეებით მოკირწყლული მამიგე გზით. როცა მონასტერში მივიდა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გულგანაში შევიდა, მტვრებზე დაეცა მისი ხატის წინ და დაიწყო ლოცვა:

„მეფეგო — ქალწულო, უდიდესო ღვთისმშობელო, მე ვხელმწიფობ შენს საუფლისწულოში, შენს აღთქმათა მიხედვით, რომლებიც შენ, შენი მოწყობების გამო მე მიბოძგე, მე ძალაუფლება მამასაგან მეცვიდრებით მივიღე. შენ, უდიდესო, შეუფეღო-ღვთისმშობელო, მომანიჭე მე, უმწეო ბავშვს, ზედმწიფობა შენს ჰედრზე. შეხედე, მეფეგო, ამ ჰედმადლო, თავმოიმედე სპარსელს, რომელიც თავის მეომართა სიმრავლეზე ამყარებს იმედს. მე კი, უდიდესო, შეუფეღო-ღვთისმშობელო, შენით ვნუტეშობ. შენს მოწყობებაზე ვამყარებ იმედს და ვთბობ დახმარებას. ნუ მისცემ, უდიდესო, ჩვენს მტერს საშუალებას გათელს შენი ჰედარი, დავიხურებ ჩვენ, ნუ მიატოვებ შენს მოიმედეთ. პოი, მეფეგო, თავზარი დაეც მტერს. გავაშქრადე დასახმარებლად, მიანიჭე სიმამაცე უმწეო ბავშვს; დაე შევმუსტრო ჩვენი მტრები, დაე ჩვენს ფერბათა ჰვეშ დაეამოთ ისინი, თუ, უდიდესო, შენის დახმარებით, შენი ძლევამოსილი წინამძღობობით, პოი, ღვთისმშობელო, მე დაეამარცხე ჩემი მტრები; სპარსელთა არც ერთი ვანაშ, რომელსაც ჩვენ მოგვაცუთუნებ, არ დაგატაცებინებ; ყველადგურს შენს სახლებს შევიწროვ, უდიდესო, შენი ეკლესიების შესაცოცხად, შენი დახმარებისა და სსოვნის აღსანიშნავად, სსოვნად იმისა, რა მოწყობაეც შენს საუფლისწულოსა ამოქონიე“.

ლოციის შემდეგ ის გულსიიდან გამოვიდა, თავის ცხენზე შეეჯდა და მთელს თავის ჯარს შემდეგი სიტყვით მიმართა:

„მეგობრებო და ძმებო, მე თქვენზე უწინაა“

1 ნაბეღ ტექსტში შეცდომითაა „საუფლისწულოში“.

2 ნაბეღ ტექსტში შეცდომია, წერია „არც ერთგანს“.

3 აქაც შეცდომია, წერია „მოგვაცუთუნებ“.

4 ნაბეღ ტექსტშია „საუფლისწულო“.

რეს მსურს თავი დაედო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხვედრისათვის, ჩემი ღვთისმოსაყოფისა, მართლმადიდებლობის, ჩვენი სახელმწიფოს სარწმუნოებისათვის. თუ თქვენც ააბე მოიტყვეთ, ღმერთი იყოს თქვენი შეშწე და გუარავიდეთ ყოვლადწმინდა მისი ღვთისმშობელი, თუ კი თქვენ ასე არ მოიტყვეთ, დე შეგპუსროთ ღმერთმა და, მსგავსად ებრაელებისა, მონობა და აიხრება გარჯუნით წილად მისმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა.“

ასე თქვა დინარამ და დიძრა თავის სახელმწიფოდან სპარსეთის მეფე ადრამელესის წესხვედრად, მიუხალოვდა სპარსეთის ქარს, მომარჯვა ლახარი, სწრაფად სტორცნა სპარსელთა ლაშქარს და შესძაბა მძალი ხმით ისე, რომ ორივე ქარს გაეგონა: — უფლისა ჩვენისა იყოს ქობიტესი, მისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დახმარებით!“

დაფრთხობ სპარსელნი ამ შეძახილმა და ისინი გაიქცნენ. დინარა და მთელი მისი ჯარი დაედევნენ მათ და უწყალოდ ელატდნენ. და ჩასცა დინარამ ლახარი სპარსელს, ვანგირა იგი და შეიბყრო ადრამელეზე — სპარსეთის მეფე, თავი მოკვეთა მას, ჩამოაცა იგი თავის შუბზე და წოლო სპარსეთის ქალაქ თავრიზში, დაიბრჩილა ქალაქი, ხელთ იგდო მეფეთა მთელი საუნჯე: ძვირფასი ქვებიც, ღლის ლანჯარიც, რომლიდანაც ნახუქოდონოსარი სკამდა, ძვირფასი მარგალიტის, და იმდენი ჩაოდნობის ოქრო, რომ დათვლაც არ შეიძლებოდა, და დაადო სპარსელებს ხარკი, როგორც საჭროდ დანახა, ხოლო შემახიდან ბრძანა ხარკი აეღო ცხენის ნაღებით, და დაბრუნდა დინარა თავის ქვეყანაში ყოვლად უბიწო და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დახმარებით ბრწყინვალედ გამარჯვებულ მელიდურ მტრებზე.“

მივიდა დინარა დედოფალი თავის ქვეყანაში და შეატრულა ღვთისმშობლისადმი მიცემული პირობა მისთვის მიცემუნებულ ვანძთა თაობაზე: ღლის ლანჯარიც, ძვირფასი ქვებიც, მძივიც და ოქროც, სპარსელებისათვის წართმეულ მეფის მთელი საუნჯე ხელუხლებლად დაარიგა თავის ქვეყნის ღვთის სახლებში.

- 1 კორკებტოვლი შეცდომაა, წერია „ანდრამელეზი“.
- 2 მთარგმნელს უწერია „ლევიონები“, რაც შეცდომაა.
- 3 აქაც „ანდრამელეზია“.
- 4 აქ მოაგრდება ქართულად დაბეჭდილი ტექსტი, რომელიც ნ. კოსტომაროვის რედაქციით გამოსული კრებულისაგან მოდის. ჩვენ ამას ვუმატებთ მ. ბროსეს ტექსტის დაბოლოებას, რომელიც კიდევ შეიცავს სხვა საინტერესო ცნობებს და რომელიც მრავალ სხვა ნუსხასაც ვაჩინია. თარგმანი ჩვენ ვუკეთეთ.

ღვთისმშობლის სახელზე, რომელმაც მის წინააღმდეგ დახმარება აღმოუჩინა, და იწყო თავისი ქვეყნის მართვა წყნარად და მშვიდად. სპარსელებისაგან სიყვლილმდე წაიკრა იტალია, ამ დროიდან ვერაინი ბედავდა მასზე გამოლაშქრებას მეზობელ ქვეყნებიდან. და მარად „ეოსკრესენსი“ ნუსხით — დღევანდლამდე ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ არიან ქველასაგან დამოუცილებლად. დინარა მეფობდა 38 წელსა და 6 თვეს, შემდეგ ხელისუფლება გადასცა თავის ნათესავეებს და დაპარხულ იქნა შაბრენის მონასტერში. დღემდე ივრითის სახელმწიფო განუყოფელია, ხოლო იწოდება ებრაელთა მეფის დავითის ნათესაობიდან. დიდება უფალსა ჩვენსა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, ამინ.

III

ასი-ასოცდაათი წლის მანძილზე „დინარას“ საკითხით შემდეგი მეცნიერები დაინტერესებულან (ქრონოლოგიურად): ი. სახაროვი, აკად. მ. ბროსე, ი. სნეგირევი, აკად. ა. პიპინი, აკად. ა. სობოლევსკი, ი. ედნოვი, ეპისკოპოსი კირიონი, აკად. მ. სპარსნაი, პროფ. ი. ცინცაძე, პროფ. ნ. გუბი, პროფ. კ. ზახლევიჩი, გველეაი რ. შეპელიოვი, გველეაი რ. კოწინიძე, პროფ. ვ. შადური, პროფ. ა. ზამინი, პროფ. ტ. რუხაძე და სხვები, მათ შორის აკად. ა. სობოლევსკი დინარას ვინაობის, მისი პროტოტიპის საკითხს არ შეხებია, მან წამოაყენა სრულიად განსხვავებული დებულება ანთოლ „მოთხრობის“ წარმოშობის შესახებ, ამიტომ მის შეხედულებებს ჩვენ ცალკე განვიხილავთ. გამოტოვებთ აგრეთვე ი. სახაროვის, ი. სნეგირევის, და ი. ედნოვის მოსაზრებთა განხილვას, რადგან მათ არა აქვთ რაიმე განსაკუთრებული აზრი მნიშვნელობა ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის.

პირველი სპეციალური გამოკვლევა „დინარას“ უძღვნა მ. ბროსემ, რომლისგანაც ფაქტურად იწყება ძველის მეცნიერული შესწავლა.

„დინარას“ ისტორიული საფუძვლის ძიებისას მ. ბროსე მიმართავს ქართულ მატრიცებს და აღნიშნავს, რომ მათში მხოლოდ ორჯერ, ისიც გაკვრით, მოხსენება დინარა, იგი ყოფილა მაგრატიონების გუბარდან, ცოლად გაჰყოლია ქართვეთის მფლობელს (მ. ბროსეს თქმით მერეთი დასავლეთ საქართველოშია, რაც კალმისმეორე შეცდომაა უნდა იყოს) და თავისი შვილის იშხა-

1 M. Brosse, Сведения о грузинской царевне Тамаре в древней русской литературе, Ученые записки имп. Академии Наук по первому и третьему отделениям, т. I, вып. IV, СПб., 1853, стр. 478—490.

ნივის შემწეობით X საუკუნის ბირველ ნახევარში მართლმადიდებლობაზე მოუქცევია თავისი საშლობელი (საქმე ეხება იმ ფაქტს, რომ დინარაჲ პეტრეაი მოქცეა „შწყალებლობისაგან“ — ე. წ. მონოფიზიტობისაგან მართლმადიდებლობაზე — ე. წ. დიოფიზიტობაზე). ასი წლის შემდეგ ქართველთა მეფემ ბაგრატ IV (აქაც მეცოდომა, უნდა იყოს ბაგრატ III) დაიპყრო ქართლი და „სელთ ივდო დინარ ღედოფალი, ე. ი. მისი ნეშტი, როგორც ვხსნი მე ქართული მართიანეების ამ გამოთქმას“ (გვ. 481). ქართულ მართიანეში ასეთი გამოთქმა „დაიქრა დინარ ღედოფალი თვისად“. ამის შესახებ იხ. ქვემოთ). შემდგომ მართიანეებში არც ერთხელ აღარ არის ნახსენები ეს ღედოფალი და არც სხვა ვინმე დინარის სახელით. ცხადია, ასვისნი მ. ბროსე, ნაწარმოები ან შეიძლება ამ დინარას ეხებოდნა. არც იმ დროს, როცელშიაც იგი ცხოვრობდა, არც მისი უწინშენილი სახელი არ იძლევა ამის საფუძველს.

„მაშ სად უნდა ვიყოთ საქართველოში დინარა ღედოფალი, მეფე ალექსანდრე მეღვიხის ქალიშვილი, რომელმაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სპარსელებზე, აიღო თავრიზი, შამახა და ა. შ.“ — სუამს კითხვას მ. ბროსე.

თუ ვვცლა იმ ვარუთების შეხედვლაში მიღებას მოეთხოვოთ, რომლებიც ამ პიროვნების საკითხს თან ახლავს, მაშინ ვერავითარ შედეგს ვერ მივალწევთ. ზოლო თუ გათიქვალისწინებთ მხოლოდ ძირითად ამბებს და დავინებთ ირ მოეთხოვთ საქართველოს ისტორიაში ზუსტ ასახვას ვვცლა სხვა მეორეხარისხოვან ვარუთებებისა, რომლებიც შეიძლება შეეცვალა ანაყოფი ღიდ გათიქვალისწინებულ რეს მოთხოვებს, მაშინ, მკვლევარის აზრით, არ ვავინებდება ქვემოთხსენებულ გამოჩვენება.

მართლაც, განავარძობს მ. ბროსე, საქართველოს ისტორიაში დაწვრილებითაა მოთხოვნილი თამარის, ვიორგი III-ის ქალიშვილის, შედობისდროინდელ ერთ ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებაზე — ათაბაგ ილდიღუნის ერთერთი შეიღვიღელთან ბრძოლაზე, დიდებულების გამსახნველად მეფის მეორე წარმომტულ სიტყვაზე, ბრძოლის შედეგებზე და სხვათა შესახებ. და ვველაფერი ეს, მ. ბროსეს აზრით, ქართულ მართიანეში მოთხოვნილია რუსული ძველის გამოთქმების მსგავსი სიტყვებით, „ერთინიორ გამოთქმებით“.

ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ შევხებით. ახლა კი აღვნიშნავთ, რომ სახელოვანი მკვლევარი ძირითადად იმით ამთავრებს თავისი თვალსაზრისის დასახუტებას. საინტერესოა მ. ბროსეს შენიშვნებიც, რომლებიც მან ძველის ტექსტს დაურთო.

ნაწარმოებში მოხსენებულ დინარას მაშინ ალექსანდრეს შესახებ მკვლევარი ამბობს

ვგელისძობო ჩა დინარაში საქართველოს განტქმულ მეფეს თამარს, მე ვამტყეებ, რომ მაშინისი იყო არა ალექსანდრე, არამედ ვიორგი III, რომელსაც თამარის სახით ერთადერთი შემწევიტრე მყავდა. თამარა მისი სიტყვებზე ვახდა მისი თანამართველი და ა. შ. (გვ. 488).

ეს ვველაფერი, რასაკვირველია, სწორია, მაგრამ რუსულ ნაწარმოებში ვარკვევითაა ნათქვამი (მის ვველა ნუსხაში), რომ საქმე ეხება დინარა ალექსანდრეს ასულს და არა თამარ ვიორგის ასულს.

მ. ბროსე შენიშნავს იმ შეუსაბამობასაც, რომ დინარას მეტოქედ რუსულ ძველში სპარსეთის მეფე ადრამელეხია გამოყვანილი და ამბობს: ცხადია, ეს იყო აზერბაიჯანის ათაბაგ აბუბეგრა, თუმცა ისტორია არ მოიხსენიებს იმგვარ შეურაცხველველ ელრობს თამართან, რომელზედაც მოგვიხობობს რუსული ტექსტი.

საინტერესოა მ. ბროსეს მოსახრებაანი რუსულ ძველში მოხსენებულ უცნობ „შაბრენის მონასტრის“ შესახებ. ერთერთ ნუსხაში აღნიშნულია ნაცვლად სწორა „ბერსკი მონასტერი“. აქედან, მ. ბროსეს აზრით, შეიძლება მივიღოთ სახელწოდება „ვერსკი“, სადენაც მკვლევარს გამოჰყავს „მტკერის მარჯვენა ნაპირზე, ჭალაქ ვორთან ახლოს მდებარე ვერეს ლეთისმშობლია მონასტერი“. მაგრამ, განავარძობს მ. ბროსე,

„ვვლავ რჩება ერთი დაბრკოლება: ტექსტის ბოლოს „შაბრენის მონასტერი“ ნათქვამია, რომ იქ დამიარხა ღედოფალი თამარი (დინარა — თ. ბ.); ეს ვარუთება კი უნდა მიგვიითხებდეს ვარძიანზე ან ვვლათზე. ვველაფერი ამასთან ერთად, უყუეთსი ვერთერი მიმოვია ტექსტის ვასამართადა“ (გვ. 489).

მ. ბროსე ვერ ხსნის ავრეთვე რუსულ ძველში მოხსენებულ ფაქტებს, რომ დინარა უშუალოდ მონაწილეობდა ბრძოლაში, საყუტრივე განვიჩრა სპარსეთის მეფე, რომ მისმა ლაშქარმა აიღო თავრიზი, შამახა და სხვა. მკვლევარი მხოლოდ იმას კონსტატაციას ახდენს, რომ თამარის ისტორიაში ამანე ათაფერია ნათქვამი.

დამთხვევითი თამარ მეფესა და დინარას შორის, მ. ბროსეს აზრით, შეიძლება: დინარა მეფის ერთადერთი ქალიშვილია, ომის წინ გამამხნვევებელი სიტყვით მიმართავს დიდებულებს, ფეხშიშველი მიდის სალოცავად მონასტერში, ომის შედეგად ღიდ დავლას იღებს ზელთ და მონასტრებს შესწირავს.

ძველში არსებული ცნობები საქართველოს შესახებ, მ. ბროსეს აზრით, „ახლათ ნახევრად-განსწავლულმა ქართველებმა შემოიტანეს, რომლებიც რუსეთში ჩამოდიოდნენ ივანე III-თან ელრობის შემდეგ“ (გვ. 489). მკვლევარის მეორე ვარაუდით, ეს ამბავი რუსებისათვის შეიძლება იმ პერანეზე ბერების მონახობრივი იყოს, რუსებსა და ქართველებს შორის შედარებულად



რომ იყვნენ, სანამ ქართველებსაც ცუდად ეს-
მოდათ რუსული და რუსებსაც — ქართული.

მ. ბროსეს სწორად დაკვირვებით, რუსებს
ძლიერ მოსწონდათ დინარას ისტორია, რადგან
იგი ხშირადაა ნახსენები იმ ოფიციალურ საქ-
მეებში, რომლებიც რუსეთ-საქართველოს დიპ-
ლომატიურ ურთიერთობებს ასახავდნენ XVI-
XVII საუკუნეებში.

მ. ბროსეს აზრით, ადვალტი ასახსნელია სა-
ხელების არევა, რაც რუსულ ნაწარმოებში შეი-
ნიშნება: „ქართული სახელები, ბუნებრივია,
რუსების სმენას უცნაურად ეჩვენებოდა, როცა
ბირველად ესმოდათ, და როგორც ოდესღაც
ბერძნები ეპიკოლდნენ ბარბაროსულ სახელებს,
ასევე რუსებმაც გადაკეთეს ქართული სახელები
და იქცა ეს მათეა მანფილად, პაბუნა პოტა-
პად, რამპი რამპინად, დადიანი დიდინად, დი-
რტყანი დორთეთთ და თამარი დინარად“
(გვ. 490).

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსე-
ბის შიგრ ქართველების სახელთა გადაკეთება
განსაზღვრულ კანონზომიერებას ემორჩილებო-
და. ბერძნული (ან სხვა) წარმოშობის სახელები,
რომლებიც ორივე მხარისათვის ნაცნობი იყო,
არ გადაკეთდებოდა ხოლმე, მაგალითად, ალექ-
სანდრე ალექსანდრედ რჩებოდა, ასევე — ნი-
კოლოზი, ნიკოლოზ (ზოგჯერ რუსები წერდნენ
მიკოლოსს, მიკილორ, მაგრამ ეს იგივეა), ივანე,
პაპოპი, დავითი, ჰაქარია (ზახარეი), არსენი, ვა-
სილი, მეთოდე, სიმონი, გაბრიელი (გავრიილ),
ელენე (ელენა, ოლენა), მიხეილი, პროხორი,
თეოდოსი, ფილიპე, ხატიტონი, კირილე, მათე
(მატევი), კონსტანტინე და სხვა, გადაკეთებულ-
ად ახმარებოდა. ამ რაგს უნდა მივეუფნავს,
ცხადია, თამარიც.

მაგრამ სხვა სახელსა და გვარს, მათი უ-
რისათვის მიუჩვენებლს და უცხოს, რუსები
ცვლიან. ეს შეცვლა თავისებურ ფონეტიკურ
კანონზომიერებას ემორჩილება. მაგალითად:

- ერისთავი — არისტოპ
- ბიძინა — ბუზინა
- ლუარსანი — ელუვარსაპ, ლარსაპ, ლეურ-
- ცაპ, ელუვარსაყ
- დოღობურციე — გოგოპურიზე
- ჯაფარიძე — ევაპარიც, დეიპარიზ, დეეპა-
- რაცი

- ლმკაცი — ლამკაც ან ლოგინ
- სეხნია — ხახნეი, სახნეი
- იაშვილი — იაშულ
- ქაბოსრო — კაივოსტროე
- კეტიპაშვილი — კეტიპაშულ
- ლასხიშვილი — ლასხიშულ
- ლევანი — ლეონტი, ლეპ, ლეონიდე
- ლორთქიფანიძე — ლორდქიპარის
- წულეციე — სულეცი
- გაშყრელიძე — ტაშყრელიცი
- წერეთელი — ეერეტილე
- მამია — მანფილი
- ნასყიდა — მასყიდა
- პაბუნა მოურავი — პაბუნა მაროვი და სხვა
- ცვლილებას განიცდიდა აგრეთვე გეოგრაფი-
ული სახელები, ეს ცვლილება იმავე კანონ-
ზომიერებით ხდებოდა:
- მარტყოფი — მაროპ
- მესხეთი — მესეტ
- ალავერდი — ლავერდ
- არხარეში — იხარემ, იხრემ
- ახხაზი — ახპაზ
- ზუგდიდი — ზუბდიდ
- ნინოწმინდის — ინოწმინდილსკი
- განჯა — კანდვი
- ქართლი — კარტალია, კარტელ
- ყვარული — კოროლევა
- ბაღდადი — ბოღდად
- ბოდბე — ეადბე
- ბოდბელი — ეადბალი
- გრემი — კრემი, კრემლი, კრემ
- ქუდაანი — ჩიუგარ
- ბიჭვინთის — ბინჩიუსკი
- ფშაველი — შეღლი
- რუსთავეის — რუზბელ, რუსტბელ
- დალესტანი — ტისტანი
- ტფილისი — ტეფლიზ
- ალაზანი — ლაზან
- მცხეთა — სტეტო, ცხეტო
- პანკისი — პანტოს
- თუშეთი — ტუსკაია ზემლია
- თუშები — ტოლსი, ტონსი, ტუსი და სხვა¹.

როგორც ვხედავთ, თამარის დინარად გადა-
კეთება და გიორგის ალექსანდრეთი შეცვლა მო-
ტიანილ მაგალითებთან არაერთხელ კავშირში არ
არის.

□ ზაბრძელება იმეება □

¹ ეს მაგალითები ამოყრდნობილია მ. პოლოვეტოვის მიერ გამოცემული ორი კრებულიდან.

თემატ გამსახურია

თბილისის ციხის უძველესი სახელწოდებისათვის

თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, საღალა-
კის სერზე, დღესაც შემორჩენილია უძველესი
ციხის ნაშთები, რომელსაც ნაჩიყლა ეწოდებ-
და. ქართულ წყაროებსა და ისტორიულ ლიტე-
რატურაში რგი ძირითადად შემდეგი სახელწო-
დებებით გვხვდება: კალა, შურის ციხე, ნაჩი-
ყლა ან უბრალოდ ციხე.

ჩვენს საისტორიო მწერლობაში თბილისის
ციხე პირველად იხსენიება „მოქცევაჲ ქართ-
ლისაჲ...“ ს ქრონიკაში. მეოთხე საუკუნის მეორე
ნახევრის ამბებთან დაკავშირებით, როდესაც
თბილისი სპარსთა მიხედვით — პიტიახშის რე-
ზიდენცია გახდა. ამ ქრონიკის შატბერდული
ვარიანტის მიხედვით, ვარაზ ბაკურის მეფობის
დროს „...მოვიდა ქრამ ხუარ ბორხარდ სპარს-
თა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად ციხედ,
და ქართლ მისსა ხარკსა შედგა, და სომხითი
და სივნიეთი და გუასპორავანი“ (ძველი ქარ-
თული აგიოგრაფიული ლიტერატურის მკვლევარი,
წიგნი 1, თბილისი, 1964, გვ. 92). ქელიშური ვა-
რიანტი მნიშვნელოვნად განსხვავებულია, სა-
დაც კეთიბულობით: „...მოვიდა ხუარ სპარსთა
მეფისა პიტიახში ტფილის და კ დ ციხედ და
ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და
სივნიეთი და გუასპორავანი“ (E. Takaišvili,
Описание рукописей... т. II, вып. 4, Тиф-
ლის, 1906-1912, 720), გეოგრაფიული ადგილის
დაქარაგმებულ სახელწოდებას ზოგი მკვლევარი
(ს. ჭანაშია, შ. მესხია), არც თუ უსაფუძვლოდ,
ასე კეთიბულობს: „ტფილის და კალა ციხედ“.

ამავე ძეგლში, უფრო მოგვიანო ხანის ამბე-
თან დაკავშირებით „კალა“ უქარაგმოდაც
გვხვდება: „და მის ბაკურის ზევე დაესრულა
მეფობაჲ ქართლისაჲ. მაშინ მცხეთაჲ ათ-
ხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმანნი
შექორებოდეს და კალა განდიდებოდა“ (ძველი ქართული
აგიოგრაფიული ლიტერატურის მკვლევარი... გვ. 94-95.).
თბილისის ციხე „კალას“ სახელწოდებით ია-
ვრობულ ვახუშტის, აგრეთვე, ჭეანჭყაძის თხზუ-
ლებაშიც. ასე, მაგალითად: „აიყარა მეფე სპარს-
თა, და უკუდგა რუსთავად, და გამოვიდეს
ივანი განთიად და დადგეს ველსა კალიასასა:
რამეთუ ტფილისი სიფელი და კალიცა მოიჭ-
რებულ იყო მაშინ“ (ქართლის ცხოვრება, რეფ.

ს. ვახუშტიშვილი, ტ. 1, თბილისი, 1955, გვ.
181.). შემდეგ: „ხოლო ამის სტეფანოზსა-ზე
მცხეთას მოაკლდებოდა და ტფილისი განა-
ლიერდებოდა, არმანნი აღოჭრდებოდა და კალა
ამენდებოდა“ (ქც. 1, გვ. 223, 224). „კალას“
უწოდებს თბილისის ციხეს ისტორიკოსი სემ-
ბატ დავითისძეც.

ლეონტი მროველთან „კალა“ არ გვხვდება
და არცაა მოსალოდნელი მის თხზულებაში
ქრონოლოგიური ჩარჩოების გამო; ცხადია, ვა-
მონაკლისთა არჩილის წამება. ლეონტი მროვე-
ლის ის ცნობა კი, სადაც ვარაზ ბაკურის მეფო-
ბისას ტფილისში სპარსთა პიტიახშის მოსვლის
შესახებაა საუბარი, ვაუგვებობის წყარო გახდა
და მისი არამწიფი წყაიბთვის შედეგია, რომ
თბილისის ციხეს წინათაც (ვახუშტი, პ. ოსე-
ლიანი, დ. ბაქრაძე, გ. ნათაძე და სხვ.) და ზო-
გჯერ ახლაც „შურის ციხეს“ უწოდებდნენ უმარ-
თებულოდ. ლეონტი მროველთან კვითხე-
ლობით: „და მოვიდეს სპარსნი პირველად სომ-
ხითს, და მოაჭრეს სომხითი, და შემოვიდეს
ქართლს. და აღეშენა ერისთავებან სპარსთამან
ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად“
(ქც. 1, გვ. 136). ქართლის ცხოვრების ერთ-
ერთ ნუსხაში კი ეს ადგილი ამგვარად ყოფილა
წარმოდგენილი: „აღამენა... კართა შორის შუ-
რისციხედ ციხედ მცხეთისად“.

ვახუშტი ბატონიშვილის წყაროც, როგორც
ჩანს, ლეონტი მროველის ზემოხსენებული ცნო-
ბა უნდა იყოს იმ ერთადერთ შემთხვევაში,
როდესაც იგი თბილისის ციხეს „შურის ციხედ“
მოხსენიებს: „უზ მეფის ვარაზბაკურის ქამსა
შინა აღამენა შურის-ციხე მცხეთისათვის ერის-
თავებან სპარსთამან“ (ვახუშტი, აღწერა სამე-
ფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 52).
რამდენადაც ვიცი, მეტი არსად ვახუშტი არ
უწოდებს ამ სახელს თბილისის ციხეს, „კალას“
კი ხშირად ხმარობს როგორც მისი თანადრო-
ელი თბილისის აღწერისას, ასევე ქალაქის უძვე-
ლესი წარსულის გადმოცემისას.

როგორც ჩანს, სახელწოდება „შურის ციხე“
ვაუგვებობის ნიადაგზეა წარმოშობილი, სამარ-
თლანი უნდა იყოს ლ. მელიქსეძეძევის შემდე-
ვი ვარაუდი: ლეონტი მროველის თხზულების

დღეაში სიტყვათა კომპლექსი, რომელიც ქართულში ქვეშ იქნებოდა მოქცეული, ანდა ასომთავრულით დაწერილი, უნდა ყოფილიყო შრის, რომელიც შეცდომით ამოკითხულ იქნა როგორც შურის. ამრიგად, თბილისის ძველი ციხე-სიმაგრის „შურის ციხედ“ წოდება უმართბულია და უკუგადასვლად უნდა იქნას. თბილისის ციხე-სიმაგრის თავიდანვე ეწოდებოდა „კალა“ (ლ. მელქისედეკ-ბეგე, ძალისი-თბილისი-ფაქტაქარიანი, კრ. „თბილისი 1500“, თბილისი, 1958, გვ. 33, 38).

საერთოდ, ასო „უ“ და „ო“-ს არევა ერთმანეთში ადვილად მასხროლია. ცნობილია, „ო“ რომ „უ“-ს ნაცვლად იხმარებოდა ხშირად ძველ ხელნაწერებში და ამ ნიადაგზე შესაძლოა გადაწყვიტოს მეტანიჭური შეცდომა მოსვლოდა. როგორც ჩანს, არც იგი. ჯავახიშვილი და ექვ. თაყაიშვილი იხმარებდნენ თბილისის ციხის „შურის ციხედ“ წოდებას. მით უფრო სარწმუნოა ეს მოსახრება, რომ ქართლის ცხოვრების ნუსხათაგან „შურის ციხე“ მხოლოდ ერთადერთში — ქალაქთაშენებელშია დამოწმებული, სხვაგან ყველგან მის ნაცვლად არის „შურის“. ქართულ წყაროებში ზევნ მეტი არააღ ამ შეგუბებდნა თბილისის ციხე ამგვარი სახელწოდებით.

ამრიგად, ქართული ისტორიული ლიტერატურის მიხედვით თბილისის ციხეს უძველესი დროიდან „კალა“ ეწოდებოდა.

თბილისი ციხის უძველესი სახელწოდების „კალას“ წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში. მკვლევართა ერთი ნაწილი მის ადგილობრივ, ქართულ სახელად მიიჩნევს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით კი იგი უცხო წარმოშობის სიტყვაა. ამ უკანასკნელთაგან უმრავლესობას არაბულ სიტყვად მიიჩნია „კალა“.

ამ სახელწოდების შესახებ თავისებური მოსაზრება აქვს გამოთქმული მეცხრამეტე საუკუნის ცნობილ ქართველ ისტორიკოსს თეიმურაზ ბაგრატიონს ნაშრომში — თბილისის მოკლე აღწერილობა ანუ უკუშემაჯობის უწყება ტფილისისათვის¹, როგორც მას თვით ავტორი უწოდებდა (მ. მესხია, XIX ს. ზოგი ცნობა ძველ თბილისის შესახებ, „ციცქარი“, 1958, № 10, გვ. 158-160). თეიმურაზ „კალას“ განმარტავს როგორც კალის, პურის საღებ ადვილს. თუმცა ეს არადამაჯერებელი განმარტებაა ამ ტერმინისა, მაგრამ თეიმურაზისეული ეტიმოლოგია იმით არის საინტერესო, რომ უარყოფილია „კალას“ არაბულიდან მომდინარეობა და, მანამაღმე, მისი ანატიკონიზმად მიჩნევა მეოთხე საუკუნისათვის.

სიტყვა „კალას“ ს. ჯანაშიამც მოაქცია ურბულება, მისი აზრით, ეს არის საკუთარი გეოგრაფიული სახელი, გარეგნულად მსგავსი უცხო 12. „მნათობი“, № 4.

სიტყვას და არაბიდან არ ჩანს, რომ იგი არაბული სიტყვაა. (ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომებუკუ, თბილისი, 1949, გვ. 11).

ამავე თვალსაზრისს იხმარებს მ. მესხია — „კალა“ არ უნდა მომდინარეობდეს მსგავსი არაბული „ყალა“ (ციხე) სიტყვიდან. ის ამ შემთხვევაში თბილისის ციხე-სიმაგრის უძველესი გეოგრაფიული სახელია. (მ. მესხია... თბილისის ისტორია, გვ. 9).

ამ საკითხს შევხვო ა. შანიძე თავის წერილში „საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის“. მას მიიჩნია რომ „კალა“ არაბული სიტყვაა, ნიშნავს „ციხეს“, „კალა“ ძველ არაბულ გამოთქმას ვაღმოგვემს. თბილისის ციხეს მეცხრე-ათეუ საუკუნეებიდან უწოდებენ ამ სახელს. შემდეგში (სპარსულ-თურქული ვაღმონი) ეგვე სიტყვა „ყალად“ იქცა. (ა. შანიძე, საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის, კრ. „თბილისი 1500“, გვ. 19, 20).

ს. კვაბაძეს მიიჩნია, რომ „კალა“ ძველი სპარსული სიტყვაა, შემდეგ შესული არაბულში და ნიშნავს „ციხეს“. (ს. კვაბაძე, თბილისი მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, „მნათობი“, 1958, № 10, გვ. 100).

ტერმინი qal'a ფართოდაა გავრცელებული არაბულ, თურქულ და ირანულ ენებში, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ტოპონიმიაში. საყოველთაოდ მიღებული იყო, რომ იგი წმინდა არაბული სიტყვაა. kal'a არაბულად ნიშნავს მთაზე ან პატარა მდლობზე წამოდგმულ ციხეს, პატარა სიმაგრეს. მაგრამ უკვე დიდი ხანია, რაც გამოითქვა მოსახრება, რომ იგი არ არის არაბული სიტყვა. ექვი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ამ სიტყვის ფუძე არაა დამახასიათებელი არაბულისათვის. (M. Streck. Kal'a. Enzyklopaedie des Islam, 11, Leipzig, 1927; A. Siddiqi Studien über die persischen Fremdwörter im klassischen Arabisch. Göttingen, 1919, 70).

გ. წერეთელსაც „კალა“ უცხო წარმოშობის სიტყვად მიიჩნია არაბულისათვის (გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1951, გვ. 203). qal'a (kala) ხშირად გხვდება ზორანანის, მაზანდარანის, ფარსის (ირანში), თურქმენეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ და ამიერკავკასიის ტოპონიმიაში. მაზანდარანში, მავანლითად, ასეველობით ადგილია სახელებია, რომელთა შემადგენელი ნაწილია kilā, დაახლოებით „ქალაქის“ ან „საოღლის“ მნიშვნელობით. ანდრეასის აზრით უფრო ძველი ენობრივი ნორმით სავსებით დასაშვებია რომ kilā გამოითქვოდეს როგორც kalak. (Andreas. Akola. Paulys Real-Encyclopädie der klassischen Altertumswissenschaft. Stuttgart, 1894, 1177).

სპარსული ენის ლექსიკონებში qal'a განმარტებულია როგორც „სიმაგრე“, „ცაბადელი“.

„ციხე-სიმაგრე“ და ითვლება არაბული წარმოშობის სიტყვად. kal'a-სთან ერთად მწიგნობრულ ციხესალ სპარსულში იხმარება ფორმა kal'a-ც. საერთოდ სპარსულ ენაში, მის დიალექტებში და სხვა ირანულ ენებში არსებობს უამრავი ფონეტიკური ვარიანტი ამ სიტყვისა, რომელთაგან ფორმა kalat შედარებით ახალ წარმოშობისაა, სპარსული kalat ნიშნავს შთაბე მდებარე სიმაგრეს (ციხეს), ან სოფელს. (J. Vullers. Lexicon-persico-latinum etimologicum. II, 859). საყურადღებოა რომ ფორმა kalat გავრცელებული ყოფილა ვერ კიდევ პართიანში (J. Marquart. A. Catalogue of the Provincial capitals of Eransahr. Analecta Orientalia, Roma, 1931, 42.). რაც თავისთავად შეტყველებს kala-ს სიტყვებზე. ამ უკანასკნელის პროტოტიპად კი შევსდევართა დიდ ნაწილს შიანისა უძველესი ფორმა kalak, რომელიც ახლაც შემონახულია ირანისა და შუა აზიის რაიონებში, ამიერკავკასიაში (ქართული, სომხური, ოსური „ქალაქი“ და სხვ.). მაგრამ თვით kalak-ის ეტიმოლოგიაც სადავოა და არაა საბოლოოდ დადგენილი. მრავალჯერია მოსაზრება არსებობს ამ სიტყვის წარმოშობის შესახებ, kalak-ს უკავშირებენ შემდეგ სიტყვებს: დინიური karakh არამეულ ასურული karra — შემოწოდვით აფილი (მესტლოვინი); არამეული kark — სიმაგრე (მიულერი); ფაღური qar'ak (იუსტი); სემიტური ხალა — ციხე (ვარადაშიანი); სუმერული kal (კარსტი); სომხური ქაღალ — თავშეყრა, შეგროვება (პედერსენი) და სხვ.

ასრულში დედაქალაქს, რომელიც ტარტოსის პირაზ მდებარეობდა, ერქვა kalak. პრ. აქარიანის აზრით, უეჭველია, რომ ეს იყო ვერ ზოგადი სახელი და შემდეგ გადაიქცა საერთო სახელად.

ფორმა kalak-ის გარდა ასრულში კიდევ არის სხვა სიტყვებიც, რომელნიც როგორც ფონეტიკურად, ასევე სემანტიკურად ძლიერ ახლოს არიან kalak-თან; მაგალითად kirxu ნიშნავს ციხეს, სიმაგრეს, kalakuk — შემოწმდევლად კედელს. ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი „ქალაქს“ ათვლიან სიტყვად ასურული karra-ს უკავშირებდნენ. შემდეგ ნ. მარია ეს მოსაზრება უარყო, ითვტობ სიტყვად შიანისა kalak და თვლიდა, რომ ათვტობისაგან ისეხსენ იგი სირიულშიც. (Н. Я. Марр. Ватум, Ардаган, Карс — исторический узел межплеменных отношений, Петербург, 1922, 20.).

ივ. ჯავახიშვილი კი 1939 წელს წერდა, რომ არც ასრულში და არც ქართულში ამ სიტყვას ვერ-ცარბობთ არ მოეპოვება საესებით დამაჯერებელი ეტიმოლოგია.

როგორც დავრწმუნდით, მეტი ნაწილი იმ სიტყვებისა, რომელთაც kalak-ს უკავშირებენ

აღნიშნავს „სიმაგრეს“, „ციხეს“ და ამიტომაც საესებით რეალური ჩანს ევზირი kalak-სა და kala-ს შორის. საყურადღებოა, ქანს, უკანასკნელს კალა-ს პროტოტიპს kalak-ს სიტყვით უკავშირებენ თავდაპირველი მნიშვნელობა (ციხე). როგორც ირევეა, იგი ორივე მნიშვნელობით (ქალაქისა და ციხისა) ერთად ხანს იხმარებოდა ამიერკავკასიაში.

ვერცხობით ძნელია ზუსტი ქრონოლოგიური ფარგლებისა და იმის დადგენა თუ რომელი ენიდან, ან რა გზით შემოვიდა ეს სიტყვა ამიერკავკასიაში. ერთი კი ცხადია, რომ „ქალაქი“ (შესაძლოა „კალა“) დღი ხნით აღრე გავრცელებულია მთელს წინა აზიაში, მანამდე სანამ მისი არაბულის გზით შემოსვლა იქნებოდა შესაძლებელი ქართლსა და სომხეთში.

საინტერესოა, თავდაპირველად სიტყვა „ქალაქი“ ამიერკავკასიაში შემოსვლისთანავე ზოლოდ „ციხეს“ აღნიშნავდა, თუ ციხესაც და ქალაქსაც? თუმცა ჩვენთვის ამჟამად მანდა და მაინც პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს ჰქონდა თუ არა „ქალაქს“ თავიდანვე ორივე მნიშვნელობა. უფრო საჩუქნოა, რომ „ციხის“ მნიშვნელობა უეჭველად უნდა ჰქონდა, ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია, რომ სიტყვა „ქალაქს“ ქართულში და სომხურში თავდაპირველი მნიშვნელობაც (ციხე) შემორჩენილი ჰქონდა საკმაოდ გვიანაც. მას შემდეგ, რაც ეს ტერმინი უნდა შემოსულიყო.

ძველ სომხურ ლიტერატურულ ძეგლებში „ქალაქი“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით (პოლის) გვხვდება უკვე ბიბლიაში, ავთანდილისთან და ფავსტოს ბენანდთან. ქართულში ოთხთავი, ევსტათი მცხეთელის ჰარტვილობაში დამარწმუნებელია ამ მნიშვნელობით და უკვე ფართოდაა გავრცელებული. ასე რომ, აღრეშტაა უცნეთათვის ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა უკვე „ქალაქი“.

მაშინადაც, თუ „ქალაქს“ ეტიმოლოგია არაბულ ნიშნავდეს არ ემბრება, როგორც ზოგა მუცინი (ა. სიღაი, გ. მურათლი და სხვ.) ვარაუდობს, ყოველივე ზემოთქმული გეგმდევს საფუძველს, რომ ეს სიტყვა წინა აზიური წარმოშობისადა მიეწინით, როგორც ჩანს „ქალაქს“, ისევე როგორც მისი პროტოტიპი „ქალაქი“. ვაიცილებით აღრე დამკვიდრებულა ჩვენში და საერთოდ ამიერკავკასიაში, ვიდრე მისი არაბულად შემოსვლა იქნებოდა შესაძლებელი.

ასე რომ, როგორც არ უნდა გადაწყვიდეს „ქალაქის“ ეტიმოლოგიის საკითხი, თუნდაც სემიტური ძირიდანაც აღმოჩნდეს იგი ნაწარმოები (შდრ. სემიტ. ხალაჰ), მაინც ეს ტერმინი იმდენად აღრე დამკვიდრებულა ჩვენში, რომ მისი არაბულია გზით შემოსვლა გამორიცხებულია. ამგვარად, ამოტყვევა ქართლისა და „ქალაქი“ არც მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ანაქრო-

ნისმად სემიტიური ძირიდანაც რომ აღმოჩნდეს ნაწარმოები „ქალაქი“, „კალა“, რადგან „ქალაქი“ უკვე ფართოდაა გავრცელებული საქართველოში და მსომხეთში აღრე შენაუტყენებში. თუ კი ამ პერიოდიანათვის „ქალაქის“ გავრცელების (ქართლში და სომხეთში) მაგალითები ისტორიულ თუ ლიტერატურულ ძეგლებში ბევრი მოგვეპოვება, „კალას“ შესახებ იგივეს ვერ ვიტყვი.

ყვალაზე ადრინდელი ძეგლი, სადაც „კალა“ პირველად მოიხსენიება, შეეხებ საუკუნისაა. თუმცა ზოგი მეველეარი მას მეშვიდე საუკუნითაც ათარიღებს (ეჭ. თაყაიშვილი, პ. ინგოროყვა და სხვ.). მაგრამ „შოქეყვაჲ ქართლისაჲს“ ავტორიცა და ჯუანშერიც თბილისის ციხეს „კალას“ უწოდებენ მეოთხე-მეშვიდე საუკუნეების ამბების გადმოცემისას: სპარსთა პტიახშის მოსვლა თბილისში, ვახტანგ გორგასალის ბრძოლა სპარსელებთან, ქართლში მეფობის გაუქმება, პერაყლე კუისრისა და ჟინღუ ხაყანის წინააღმდეგ ბრძოლა. მეშვიდე საუკუნის შემდეგ დროინდელი ამბების აღწერისას კი ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში თბილისის ციხე „კალად“ აღარ მოიხსენიება თათქოს. ყოველ შემთხვევაში, ზეენ საამისო მაგალითები არ მოგვეპოვება.

რადგან „კალა“ არაბულ ენაშიც არის შესული, ცხადია, არ არის გამორიცხული, რომ ამ გზითაც შეიძლება მისი გავრცელება აფიერკავკასიაში. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მეშვიდე საუკუნის შემდეგაა სავარაუდო ეს მოვლენა. როგორც დავრწმუნდით ზემოხსენებულ ძეგლებში კი უკვე მეოთხე-მეშვიდე საუკუნეებში იხსენიება ეს სახელწოდება. ამას გარდა, ფორმა „კალა“ რომ არაბთა მიერ აფიერკავკასიის დაპყრობამდე გავრცელებულა ჩვენში, შესაძლოა ამ შირაზრების სპარსელებოდ შეტყვევებს აგრეთვე, მეშვიდე საუკუნის ანონიმური სომხური გეოგრაფიის ჩამდენიმე კომპოზიტი, რომელიც სიტყვა „კალა“-თია შედგენილი.

ამ ძეგლში შემონახულია საკუთარი სახელები „ქალა-ბერდი“, „ქალა-ძორ“ და „ქალა-დამიტ“ (ს. ერქმანი. სომხეთი გეოგრაფიის მიხედვით, ერევანი, 1963, გვ. 105, სომხურ ენაზე). ძველი სომხური წყიითხვით ეს იქნება „ქალა-ბერდი, ქალა-ძორ, ქალა-დამიტ“.

ამგვარად, სიტყვა „კალა“ არაბთა ბატონობამდე შემოსულა აფიერკავკასიაში და სახე-

ბით შესაძლებელია, რომ თბილისშიც ყოფილიყო ციხე ამგვარი სახელწოდებით.

თბილისის ციხეს გვიან შესასწავლებელმა „ნარჩიყალას“ უწოდებდნენ, სახელწოდება „ქალაქი“, კი შერჩა ერთ ნაწილს ქალაქისას, სახელდობრ, ციხის უბანს. ვახუშტი წერს: „ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი — ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისინი კალას უღის ჩრდილო აღმოსავლეთი, ტფილის — ჩრდილოთ და ისინი — დასავლეთ და სამკრით“ (ვახუშტი, აღწერა... გვ. 52).

ცხადია, ეს სახელწოდება თბილისის ამ ნაწილს ციხის ძველი სახელიდან შეეკრება, საინტერესოა, რომ თერჯულად „კალა“ ეწოდება ქალაქის ცენტრალურ ნაწილს ვარაუდობთან შედარებით. აქაც იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე: ქალაქის ცენტრალურ ნაწილში იყო მისი ციხე, ციტადელი, და აქედან წარმოიშვა, როგორც ჩანს, ქალაქის ცენტრის ეს სახელწოდება.

ციხის უძველესს სახელს უკავშირდება აგრეთვე, მენჯიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების თბილისის ერთერთი უბნის — კალაუბნის სახელიც. (III. A. Meskhi. *Goroda i gorodskoi stroi feodalnoi Gruzii*. Tbilisi, 1959, 406).

საქართველოსა და, საერთოდ, მთელს აზიერკავკასიაში დღემდე შემორჩენილია უამრავი ტომონიმი, რომელიც სიტყვა „კალა“-თია შედგენილი: ძანაყალა (ძანაინი), აღქა-ყალა (გაგის ციხე), ყიზ-ყალა (ციხე მტკვრისა და ხრამის შესართავთან), ყალაბონი, ყალაყე, ყალაყარი, ყალიძორი (აჭარა); სოფ. ყალა კორეში (დაღისტანი) და სხვა მრავალი.

ჩვენს ტომონიმიკაში შემონახულია, აგრეთვე, ამ სიტყვის უძველესი ფორმა — „კალა“. ასე მაგალითად, სვანეთის ერთ-ერთ თემს „კალა“ ეწოდება დღესაც, სვანეთშიცაა სოფ. კალაში. აჭარაში: კალაბოლო, კალაში, კალაშხევი, ნაკალევი. ნასაკალვარი, კალანჯალა. კახეთში კალაური. კალა სოფ. ქისტეთში, კალა სოფ. იანეთში და სხვ.

ამრიგად, „კალა“ თბილისის ციხის უძველესი სახელწოდება იყო. უფრო გვიან, როგორც ვარაუდობს ა. შანიძე, ეს სიტყვა სპარსულ-თერჯულად გავლენით „ყალად“ იქცა. ამ უკანასკნელი ფორმიდან კი წარმოიშვა სახელი „ნარჩიყალა“ რომელიც დღემდე შემორჩა ამ ციხეს.

ვერიკო ანჯაფარიძე

(დაბადების 70 წლისთავის ბაშო)

ვერიკო ანჯაფარიძე — ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია ქართული საბჭოთა თეატრისა, რომელიც მე-20 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ძირეულ სოციალურ ცვლილებათა მხატვრულ განვითარების წარმოადგენდა.

კოტე მარჯანიშვილი და ახალგაზრდა ხელოვანთა ის ჯგუფი, რომელიც მან თავის გარშემო შემოიკრიბა, თამამად შეებრძოლა ძველს და შექმნა ახალი თეატრი. ვერიკო ანჯაფარიძე ამ ახალი თეატრის ერთ-ერთი აქტიური და ნაყოფიერი შემოქმედელია. მისი მოღვაწეობა თეატრალურ ხელოვნებაში დღეს ნახევარ საუკუნეს ითვლის.

ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ ითქვა ვერიკო ანჯაფარიძის შესახებ. ბევრი აღიწერა. იმ თაობებს, რომელთაც წილად არ ხვდათ ბედნიერება საკუთარი თვალთი ენახათ მისი ოფენსივა, ივლითი, ვინატრე, ანო, მარგარიტა გოტიე, მიყვალა და ბევრი სხვა გმირი, წაუყიფხათ, რომ ქართველთა სასახელო მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე გასული საუკუნის მიწერულში დაიბნადა ქუთაისის ნოტარიუსის იულიანე ანჯაფარიძის ოჯახში. მისი დედა, მარიამი, შესხების განთქმული ოჯახიდან იყო. ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში ყველა იცნობდა ონავარ ვერიკოს, რომელიც მშვიდად მომავალი არავის უნახავს, უსათუოდ შორბოდა, მოკრძოდა თავპირისმტყრევეთი. ნოტარიუსის სახლის ლამაზ ეზოში ვერც ერთი ხე ვერ გადატრია პატარა ვერიკოს იერიშებს, ნაკვალევთა დღესაც ამშვენებს სსკე სახალობო არტიტს. ტირილი არ სჩვეოდა, არც ჩივილა. ყველა გასაჭირიდან გამოსავლის ნახვას დამოუკიდებლად არჩევდა, სხვის დაუხმარებლად. ათი წლისამ აღექვსინდრე იმედამწილი ნახა ოტელოს როლში და იქამა, რომ თეატრზე მშვენიერი არაფერია ამ ქვეყნად. შემდეგ ყველაფერს საფუძვლად, რაც იხილა XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის თეატრის სცენაზე — ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ნინო ჩხეიძე და ხე. ალ. იმედაშვილის ხელოვნებაში გაერთი-

ანდა. მის პირველსა და მუდმივ სცენურ გარემოებაში. ამ მსახიობში მას იზიდავდა ყველაფერი — უჩვეულო ხმა, ზეაწეული გარემოება, თავისებური პათოსი და, რაც მთავარია, განცდითა სიმართლე.

განცდის სიმართლე, ღრმა რომანტიულობა და სიტყვისაღმნიშვნელობა განსაკუთრებული გულსწყნარი ვერიკო ანჯაფარიძემ მიიღო როგორც ქართული თეატრის დიდებული ტრადიცია.

პატარა ვერიკო თეატრისაღმნიშვნელობაზე თავმჯდომარე იყო, მოუსვენარი, მომთხოვენი, მაგრამ წარმოუდგენებელ ხშირად დასწრება მოწოდებისთვის მაშინ არ იყო ნებადართული. მაშამ საკუთარი თეატრი აღშენა, საბავშვო ოთახის გვერდით მოზრდალ საღარბაზოში ააგეს სცენა, გაანათეს, დაკიდეს ფარდა, გაჩნდა პარტიკული... დგამდნენ წარმოდგენებს ყუადლო საკუთარი მსუქრებელი ნათესავ-მეგობრების სახით, ლელავდნენ, განიცდიდნენ... ამ თეატრის სრული ბატონ-პატრონი ვინახილენ ვერიკო ანჯაფარიძე თავისთვის მხოლოდ მამაკაცის როლებს ირჩევდა! კარგად ახოვს, რომ „ღარიბ-შანის გასაზიარში“ თვით ღარისმას ქარსიძეს განასახიერებდა!

გამწახვის დამთავრების შემდეგ ვერიკო მოსკოვს გაემგზავრა და შევიდა მცირე თეატრის მსახიობ ს. ვ. აიდაროვის საშახიობო სასწავლებელში. ეს იყო 1916 წ. მხატვრულ კითხვას ე. ტურჩინინოვა ასწავლიდა, მსახიობის ოსტატობას — ი. ნ. ხელოვანი. შეცადინებდნენ დღისით. საღამოები თეატრს, პოეზიას და მუსიკას ეთმობოდა.

ახალგაზრდა ვერიკოს წილად ხვდა ბედნიერება ენახა რუსული სცენის დიდებული ოსტატები. პირველი ვატაცება ი. პევეცოვი იყო, ერთ წელწადს ი. პევეცოვიც ასწავლიდა ვერიკოს მსახიობის ოსტატობას აიდაროვის სკოლაში. ის მიიჩნია ვერიკომ თავის პირველ მასწავლებლად. თეატრე შალაპინის მოსწენამ შეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ამ შთაბეჭდილებისაგან ვერ გამოტყვევლივ არ იყო, რომ საშახიობო თეატრში ი. ტურჩინინ-

ვის აერთი თვე სოფლად* ნახა, კ. სტანისლავესკის რეპრეზენტის, გრძობათა სიმართლისა და მათი გამორეზნის მასშტაბურობის იშვიათმა შეხამებამ ვაიკა, მოსვენება დაუკარგა. შემდეგ ვერკო ანჯაფარაძე შთელი სიციხლე ამგვარი შეხამებისაკენ მიისწრაფვოდა. აღწევდა კიდევ საუკეთესო მხატვრულ სახეებში. ნახა ე. კაიალოვი, მიხეილ ჩხეიძე...

ოპტიმისტის რეკლამითამ მოსკოვში მოუტსწრო. შეცდინება შეწყდა. ვერკოც დაბრუნდა საქართველოში. ეს იყო 1918 წელი. ქართული თეატრი მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო. ახლოვდებოდა რევოლუცია, პარტიათა შორის ბრძოლა დღით-დღე მწვავედებოდა, თეატრისთვის არავის ეცაო. დამწვარი შენობაზე არავინ ფიქრობდა, წარმოადგენები ხან ოპერის თეატრის შენობაში იმართებოდა, ხან ქართულ კლუბში.

სწორედ ამ დროს საფრანგეთიდან დაბრუნებულმა გიორგი ჯანადარმა სტუდია ჩამოაყალიბა. მისი მიზანი ახალი, ანსამბლური თეატრის შექმნა იყო. ბევრი ქართველი მოღვაწე მიესალმა ამ წამოწყებას. როგორც ყველა ახალ საქმეს, მოწინააღმდეგეებიც გაუჩნდა.

სტუდიის პირველი წარმოდგენა, ფრანგ დრამატურგ ბრიეს „სარწმუნოება“, 1919 წ. დადგა ოპერის თეატრის სცენაზე. ამ დღეს დაიბადა მსახიობი ვერკოც ანჯაფარაძე. ეს სახელი და გვარი ამ დღეს წარმოსთქვეს თეატრის ფიციეში მისმა პირველმა მსახურებლებმა. მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნეა სახელი ვერკოც არ შორდება აღმართოვებული მსახურების მრავალი თაობის ბავს.

სცენაზე გამოჩენის პირველსავე დღეს ვერკოც ანჯაფარაძემ შესთავაზა მსახურებულს სინამდვილის უჩვეულო, მზოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხედვა. მსახურებულმა მისი თავისებურება მიიღო მყისვე, უყოყმანოდ. ამას მოჰყვამოვნ რეცენზიები, მოგონებები და კიდევ ის, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ განსახიერებელი იოუმა დღესაც ცოცხლობს მათ სსოვნაში, ვინც ნახა იგი.

1921 წ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ისტორიულად კანონზომიერი ეს ცვლილება ამგვარსავე გადართილებას მოითხოვდა ყველა სფეროში, თეატრშიც. 1922 წ. რუსეთიდან ჩამოსულმა კ. მარჩანიშვილმა რუსთაველის თეატრში ლოვე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ დადგა. შეიქმნა ახალი თეატრი, თანამედროვე, თანახმიერი ეპოქისა, მოქალაქეობრივი და მხატვრული თვალსაზრისით. ეს იყო ანსამბლის თეატრი, მებრძოლი სულსაყვეთებით გამსჭვალული, შემოქმედებით თანამოაზრე ხელოვნება თეატრი.

ვერკოც ანჯაფარაძე „ცხვრის წყაროში“ არ მონაწილეობდა. ჯერ კიდევ მარჩანიშვილის ჩამოსვლამდე ის მიხ. კიაურელთან ერთად გაემგზავრა გერმანიაში, სადაც ახალგაზრდა მოქან-

დაცე საბჭოთა მთავრობამ მიავლინა. საქართველოში ვერკოც დაბრუნდა მაშინ, როდესაც უკვე დაბადებული ახალი თეატრი უკრაინა სპექტაკლით მოპოვებული პოზიციების განმტკიცებოდა სათვის იბრძოდა; თვით თეატრში და მის გარშემოც დიდი მულეზარება იყო, ახრთა სხვაობა, ძველსა და ახალს შორის ბრძოლა გრძელდებოდა. ამ დროს დაბრუნდა ვერკოც ანჯაფარაძე უცხოეთიდან.

მარჩანიშვილის დადგებში განსახიერებელი მისი გმირები სიღვია — ბენავენტეს „ინტერესთა თამაში“, ბუგენ მაიელ—სინდის „გმირი“, თანამგზავრი — ტოლერის „კაიო-მასა“, აბლიკონი — მლოერის „გაანახარებელი მღაბო“, თავისებურად საინტერესოა იყვნენ, მაგრამ მსახიობის ცხოვრების წიგნში ხაზგასმით არც ერთი არ ჩაიწერა. ამ ორი სუზონის განმავლობაში მიმდინარებოდა კოლექტივის წიაღის „დახვევება“, რომელიც დამთავრდება დაუცხრომელი „ოქრის მამებლს“, კოტე მარჩანიშვილის ბრწყინვალე გამარჯვებით — უმანგი ჩხეიძის პამლეტით და ვერკოც ანჯაფარაძის ოფელიათი.

1926 წელს მარჩანიშვილი წავიდა რუსთაველის თეატრიდან კინოში. ვინაიდან ვერკოც ანჯაფარაძეც ახმეტელის შემოქმედებით შეხედულულებს არ იზიარებდა, დასტოვა თეატრი და ბათუმის თეატრში დაიწყო მუშაობა. შეატყობინეს თუ არა, მარჩანიშვილმა. ქუთაისში ახალი თეატრი შექმნაო, მამინევე ქუთაისში მიაშურა. ქუთაისის ახლადამოყალიბებულ თეატრის ძირითად ბირთვის შეადგენდა რუსთაველის თეატრიდან წამოსულ მსახიობთა ჯგუფი: ვერკოც ანჯაფარაძე, თამარ კაჭკაჭაძე, შალვა ლამბაძე, ალექსანდრე ყორყორაძანი, სესლია თაყაიშვილი, ვასო გოძიაშვილი და სხვანი. კემარაბე გზად ხელოვნებაში მათ მიანდობ მარჩანიშვილის გზა აქ, ქუთაისში, შეიქმნა მარჩანიშვილის შემდგომი „ურთელ აკოსტა“ და ვერკოცის ივლითი.

მარჩანიშვილის შემოქმედებითმა პრინციპებმა ამ სპექტაკლში უმაღლეს მხატვრულ ხარისხში პოვეს გამოვლინება. სრულყოფილ მხატვრული ფორმის ეს წარმოდგენა დატვირთული იყო იმ დღეღვარე აზრით, რომ კემარაბეებისათვის ბრძოლა საჭიროა მამინევე, როცა მარტო ხარ, მოწინააღმდეგე კი აურაცხელი გუავს. თეატრის ღრმად სწამდა, რომ სიმართლე უაღვეულოა და უსათულოდ გაიმარჯვებს.

ამ სპექტაკლში დაიბადა ივლითი — მხატვრული სახე, რომლის გარეშე ვერკოც ანჯაფარაძის წარმოდგენა უკვე არავის არ შეუძლია ქართული სისცნო ხელოვნების უკვდავი ნაწარმოები, ვერკოც ანჯაფარაძის მთელი სიციხლის თანამგზავრი, აგრეთვე, მათი, ვინც იხილა მისი ივლითი დაბადების პირველ დღეს, „ურთელ აკოსტას“ პრემიერაზე, ან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ამავე სპექტაკლის მესამასე წარმოდგენაზე...

რამა ამგვარი სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლო? რას მიაღწია ვერცხო ანაფარაძემ თავისი აქტიორული ცხოვრების ათი წლის თავზე? რატომ დაემთხვა მისი, როგორც სცენარის დღი ზელოვანის აღიარება სწორედ ამ სახეს, რომლის შესახებ პრემიერიდან ერთი წლის შემდეგ, მოსკოვში გასტროლებზე (1930 წ.) მ. მონოზოვმა თქვა: «ვერცხო ანაფარაძე იდუილის როლი სრული უფლებით შეიძლება აღიარებულ იქნას არა მარტო ქართული სცენის, არამედ ყველა სხვა ქვეყნისა და ეროვნების შესახებად. ვერცხო ანაფარაძე დიდ პატივს დასდებს ყველა თეატრს, თუკი მონაწილეობას მიიღებს მის შემოქმედებაში».

რა აღემატება ვერცხო ანაფარაძეს, მოკლესა და ზელოვანს. კ. გუცოვის პიესაში და თავის როლი? უპირველესად, საკუთარი რწმენის განმტკიცებისათვის ბრძოლის თემა. ეს თემა მისთვის ცხოვრებისეული იყო. რაც შეეხება წარმოდგენის მხატვრულ ფორმას, როგორც ამს ამოწმებენ მონაწილენი, მარჯანიშვილი მისი ვადაწყვეტისას ვერცხოს აქტიორული ინდივიდუალობიდან გამომდინარეობდა: ძალიან გამხდარი, თათქმის გამჭვირვალე, გედვიით მდილი ყელი, ბიბლური პროფილი... ის ილტვოდა ტეხილი ხაზისა და მღერადა სიტყვისწევნი. იყო მეტად ემოციური და უყვარდა უჩვეულო წარმოდგენაც ასეთი იყო. ეს იყო გასართობი, დამატყვევებელი სანახაობა, რომელიც იშვიათი ჭარმონით იყო შერწყმული სიტყვა, ქმედება, მოძრაობა, ხაზი, ფერა, შუტი და ბგერა. ყველაფერი მთავარს ემსახურებოდა — საქმეალის იდეას, ამავე დროს ყოველი ემოცილი თავისთავად მხატვრულად დასრულებული მონაკეთი იყო. ამიტომ საქმარისთა ვახსენო თუნდაც ერთი ეპიზოდი, რომ მთლიანად წარმოდგენა ვახდეს ნათელი. ვის არ ახსოვს წყველის სცენა ან მის შემდეგ სცენის «ცოდან» ურცილისკენ ხელაწვილი ვერცხოს იდუილი. რომელიც დაჯერებით გავრწმუნებდა, «ვისაც აქვს ძალი და ნებისყოფა, ის მთელ ქვეყნას დაიპირინილუნება». ვის არ ახსოვს მისი ღიმილი — ვერცხოს ღიმილი! მისი მზერის სხევი — ვერცხოს თვალები! მუსიკასავით მღერადა მისი ხმა — ვერცხოს ხმა!

ვერცხოს ნიჭიერებამ ამ მხატვრულ სახეში გამოაჩინა დიდ ხელოვნებად როგორც გრძნობათა სიმღერის, ისე აქტიორული ფორმის უხალისობის მხრივ. ამაში იყო მარჯანიშვილის დადგმის და ვერცხოს იდუილის უჩვეულო წარმატების საიდუმლო. მასურებელს არა მარტო ესმოდა რა ზღვებოდა სცენაზე, ის არა მარტო ღელავდა და ვინიციდიდა გმირებთან ერთად, ამას ვარდა, ის ტკებოდა ხელოვნებით.

ეს ძველი ქვეპირიტება მანამდეც ცნობილი იყო ვერცხოსათვის. ახლა ის განხდა აუცილებელი, მოთხოვნილებად იქცა. იდუილის შემდეგ სცენური სახის მხატვრული ფორმის საკითხი

ვერცხო ანაფარაძის შემოქმედებითი ცხოვრების მდომიე პრობლემად იქცევა. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ის გადაწყდება სხვადასხვაგვარად, ხან წარმატებით, ხან არა, მაგრამ მსახიობის უნარდების ცენტრში მუდამ იქნება. დროთა განმავლობაში გამოირკვევა, თუ რა არის დამახასიათებელი ვერცხო ანაფარაძის აქტიორული ინდივიდუალობისათვის ამ ურთულესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტაში.

ვერცხო ანაფარაძე არ ცდილობს ძნელად შესაცნობი იყოს სცენაზე. ის ეძებს იმ შინაგანი გაღართვის საიდუმლოს, რომელიც მის პიროვნებას მიუახლოვებს გმირის შინა სამყაროს, მის სტოერსა და გონებრივ წყობას, თვალთხედვას, გემოვნებას, ხასიათსა და ქცევას ლოგეკას. ვერცხო ანაფარაძეს არ შეუძლია ფორმის მიგნება განცდის გარეშე. განცდის თავისებურებაში, გმირის ემოციური სამყაროს სიღრმეში პოულობს იგი ამ გმირის ხასიათის იმ წამყვან თვისებებს, რომლებიც მას სხვა ადამიანისაგან განასხვავებენ.

ვერცხო ანაფარაძის მხატვრული სახე მუდამ ადვილად აღიქმება, რადგან ძნელად აღსაქმელ, თუნდაც საინტერესო საშუალებას, დაუნდობლად უთავყოფს ხოლმე. ჩანადიერი მისი მუდამ ნათელია, მხატვრული ხერხი — მეკეთრი, გრძნობათა ზომა უზარმაზარი. რადგან ცხოვრებისეული დამაჯერებლობის საზღვარი არასოდეს არ ირღვევა, გრძნობათა მასშტაბი განსაკუთრებულ ამადლებლობას ანიჭებს ვერცხოს გმირს. ამ გმირის შინასამყაროსა და ქცევას თავისებურებას შორის გასართობი შინაგანი კავშირია. სწორედ ამან მოხილა გამოჩენილი მსახიობი ფ. რანევსკაია, რომელმაც კ. სიმონოვის „რუსეთის საკითხის“ შემდეგ მისწერა ვერცხო:

«...თუმცა ყველაფერი, რასაც თქვენ აკეთებთ ამ როლი, ურთულესი და უფაქონესი მუსიკალური პარტიტურაა. — შინა ყველაზე მეტად ჩხის წასვლის სცენამ გამოაცა. სად, რანაირად მიაგნით იმ მხდარსა და საძველ ნაბიჯს, რომლითაც ტოვებთ სმიტს, როგორც ტოვებენ ვიწმობელ დასადუბავად განწირულ ზომილას. ამ გზაზე მიმავალი დღესაც მიდგახართ თვალწინ, ვხედავ როგორ შეხედეთ სმიტს. ეს შთაბეჭდილება არის ერთ-ერთი უძლიერესი მათ შორის, რომელიც მიხილა იდესმე თეატრში. თქვენ ტლანტიშ არის რადეც უჩვეულო, ზომილი, არსებობს ასეთი მართობელი სურნალება, ჩვეულებრივზე უფრო ძლიერი, რომელიც სწორედ ამიტომ განუშორებლად თან დაგდევს. ასე მდევვენ მე თქვენ ჩხის და იდუილი».

თავის შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ვერცხო ანაფარაძეს რამდენიმე ათეული ქართული ქალის სახე შეუქმნია. წამყვანი თემა — პროტესტი შეზღაბული ადამიანური ღირსების გამო. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩე-

ვიან ფატი (ხ. ნაყაშის „ვინ არის დამნაშავე?“, ვინატრე („ნინოშვილის გურია“), ცაბუ (მ. დიდიანის „ნაძარწკლიდან“), მუხეციანი (უ. ჩხეიძის „გოიორგი საჯაბე“), მაცვალა (ყაზბეგის „მოძღვარი“) და ჭავჭავაძე (ცაბუ-ფაშველას „მოკვეთილი“).

ვინატრე პირველი როლია, რომელიც თამაშში ვერცხვ ანჭაფარიძემ მარჯანიშვილის შემდეგ 1933 წ. კ. მარჯანიშვილის სიცოცხლე მიულოდნელად შეწყდა მოსკოვში შილერის „ლონ-კარლოსზე“ მუშაობის დროს მცირე თეატრში. იმხანად ვერცხვ მოსკოვში იყო შემოქმედებით მივლინებაში, მუშაობდა სოფიოს როლზე გორკის „დედამი“ (რეჟისტორი თეატრი, დიდგმა ნ. ოხლოპკოვის). შილოდ რამდენჯერმე თამაშა, წამოვიდა საქართველოში და მოსკოვში აღარ დაბრუნებულა. თამაში ნინოშვილის ვინატრე, რომლის მონალოგი „ფიქრად... ფიქრად...“ ვერცხვის შესრულებაში მხატვრული ძალით „ყოფნა, არ ყოფნა“ შეეტოვლეს, მთლიანად სახის მხატვრული ხარისხი კი ქართული ხალხური გენიის დიდებულ ნიმუშს — ეფენია და მოყვინს ამაღეს.

მდიდოდა წლები. ვერცხვ ბევრს თამაშობდა: ლუიზა მილერი (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), ენია (ა. აფნოგენოვის „შოკრედი“), გრაფინია (ბოშაშვილის „ფიჯაროს ქორწინება“), დედაფალია (პიუგოს „რუი ბლანი“) და სხვა. 1934 წ. საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება მიიღო, პედაგოგიურ ასპარეზზეც მოსწიწა თავისი ძალა — 1939 წ. მარჯანიშვილის თეატრთან არსებულ სტუდიამ დადგა დენდრის „ღემი ევროს“. უფრო გვიან რუსეთში სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლდა მსახიობის ოსტატობას, მაგრამ მოლაპყრობის ეს სახე მედამ ხანმოკლე იყო ხოლმე ვერცხვისათვის. ბუნებთ ის არ არის პედაგოგი, სისტემატორ, მეთოდურ მეცადინეობას ვერ ცხდებდა. გარდა ამისა, მიანიჩა, რომ პედაგოგია ისეთსავე ძალას მოითხოვს, როგორც ხელოვნება, შემოქმედებით ენერჯიის ხარჭვა კი სადმე სხვაგან, გარდა სცენისა, მის არ უნდა. მსახიობად დაბადებული, ის ოცნებობდა როლებზე, ახალ სახეებზე... და დაიწყო ომი, მოულოდნელი, საშინელი. შეიცვალა მიზნები, სტრეკები და ოცნებები. შეიცვალა რეპერტუარი. თეატრის ცხოვრება კედლებსა და სცენის უფთო აღარ ეტოვდა — ის კვლავაც ღებულობდა მათურებელს, მაგრამ ახლა უკვე თეთონაც მიდიოდა მითთან, ვისაც თითონ მოსვლა არ შეეძლო. ასე შემოიპტრა ვერცხვ ანჭაფარიძის ცხოვრებაში ახალი ნაკადი — საკონცერტო პრივატები, პოსპიტლები, სამხედრო ნაწილები...

გარდა თანამედროვე პიესისა, თეატრი ეცემდა ისტორიულ ნაწარმოებს, რომელიც წარსული გმირობის მაგალითებით კიდევ უფრო მეტად გააღვივებდა სამშობლოს მიმართ სიყვა-

რულის გრძნობას. სწორედ მაშინ დაწერა ლ. გოთუამ თავისი „მეფე ერეკლე“, ვერცხვ ანჭაფარიძე დედოფალ ანის თამაშობდა ცოტა მოგვიანებით კი იმავე ლ. გოთუას „დავით აღმაშენებელში“ — მზეთელს, რომელიც საგანგებოდ მისთვის იყო გამოიხნული. ეს ორი სახე შეიცავს ყველაფერს, რაც დამახასიათებელია ვერცხვ ანჭაფარიძის მიერ შექმნილ ისტორიულ გმირთა სახეებისთვის.

ვერცხვ ანჭაფარიძის ქართველ ქალებს ისტორიული წარსულიდან ხშირად აღარებენ ჩვენ ეროვნულ ფრესკულ ფერწერას, თუმცა მსახიობი ამის საგანგებოდ არ ცდილობს. ის კარგად იცნობს თავისი უძველესი ქვეყნის მხატვრულ განძებს. მაგრამ ისტორიულ როლზე მუშაობის დროს ფრესკული მასალის შესწავლას არ მიმართავს ხოლმე. მიუხედავად ამისა, მსგავსება მაინც არსებობს იმიტომ, რომ ვერცხვ ანჭაფარიძის შოგრობა სახე, ნუშის ფორმის თვლის ქრიალ, წარბის მაღალი ფრთა და ეკხიანი ცხვირი — ტიპური ქართული სახეა. როდესაც ეს სახე ქართული თავსაქაულით მოიხატება, ვერცხვ კი ეროვნული სამოსით შეიმოსება და ქართული ბუნების ან ისტორიული ხუროთმოძღვრების სურათით შევსებულ სცენურ გარემოში ჩაიხატება — ფრესკასთან ასოციაცია თავისთავად იბადება.

მაცვალას სახეზე მუშაობის დროს (ყაზბეგის „მოძღვარი“) მსახიობის ყურადღება მთლიანად მის შინაგან ცხოვრებაზე იყო მიყრობილი. ვერცხვ ანჭაფარიძის მაცვალას ემოციური სამყარო უფრო ნათელი და რთული იყო, ვიდრე ყაზბეგის გმირის, სცენური სახის მხატვრული ქსოვილიც უფრო ფაქიზი. ამიტომაც მის მაცვალას არ აღარებდნენ უძველეს ოსტატ-ფერმწერთა შედეგებს, მითს ყვავილს უწოდებდნენ. ეს განსაზღვრა მარტო მსგავსებას არ გულისხმობდა, არამედ მსახიობის მხატვრული სახის ძირითად „მარცვალს“, ყვავილით ნაზა და ფაქიზი იყო ვერცხვის მიერ ამ გმირის ცხოვრების დასახატავად მონახული მხატვრული საშუალებები.

ვერცხვ ანჭაფარიძისათვის დამახასიათებელი ყოფილა მხატვრული სახისთვის სპეციფიკური. იტორისათვის ყველაზე მეტად შესაფერო, სცენური „მასალის“ შერჩევა. ერთხელ გამოყვანებულს მეორედ აღარ მიმართავს ხოლმე. ამიტომაც ჭავჭავასთვის მან შეარჩია ის „მასალა“, რომლისთვისაც მანამდე არ მიუშარათავს, ეუფას გმირის ქმნიდა როგორც მოქანდაკე საპრეფიკლით ქვაზე.

გასაოცარი ფსიქოლოგიური მივინებით ამოხსნა ვერცხვ ანჭაფარიძემ სამშობლოს სიყვარულის არსი, ის, რაც მთავარია ჭავჭავასთვის, სიყვარული მიწისა, რომელზედაც იხილე სამყარო, რომელიც გიზიდავს, არ გაძლევს საშუალებას ფეხს სადმე სხვა მიწაზე მოიკიდო. ჭავჭავას სიყვარული სამშობლოსადმი ის შიში-

ლი და წყურვილია, რომელსაც სხვის მიწი-ზე ვერ მოიკლავ. ამიტომაც სამშობლოს დრო-მის გადამარჩენი შვილის სიკვდილი ვერცოვს ჭავჭავაძის იყო შინაგანი, სულიერი დაბრუ-ნება სამშობლოში, თავის მიწაზე. თვით ჭავ-არას სიკვდილი კი ტრაგიკული გმირის სიკვდი-ლი იყო, ნათელი, ამაღლებული. შეუძლებელი იყო ვერცოვს ჭავჭავაძის მშობლიური მიწისაგან შორება, ის სამშობლოს სახე იყო, მისი სიმბოლო, გვაში მკაცრად, უსამკაცლოდ გამოკ-ვეთილი. ეს სახე დაიბადა 1945 წელს, დიდი სამშველი ომის გამარჯვებით დამთავრების წელს და ვერცოვ ანჭაფარაძის შემოქმედების 25 წლის აღმნიშვნელ წელს. სიხეიში საღამო 21 მაისს შედგა. მარჯანიშვილის თეატრი ვერ იტყვდა მღვდლთაგანს, სიხარულს და სიყვარ-ულობას, რომელიც თან მოიტანა მადლიერმა მა-ყურებელმა საამაყო მსახიობს ესალმებოდნენ საკუთარი და სხვა თეატრები, ახალგაზრდობა, მხატვრები, კომპოზიტორები, მწერლები, რომ-ლებსთვისაც ძვირფასია არა მარტო მისი აქტი-ურული მსახიობა, არამედ პოეტური სიტყ-ვაიც.

სიტყვის ვერცოვსული წარმოთქმა მასთან ერთად დაიბადა სცენაზე. არასოდეს არავის არ უნახავს სხვანაირი ვერცოვ. ამ დღეს, რო-დესაც მან პირველად წარმოთქვა სიტყვა სცე-ნაზე, დარბაზში შეკრებულ მოსთავაზა მისი წარმოთქმის ასეთი თავისებურება, რომელსაც არც წინამორბედი ჰყოლია ადრე და არც შემ-დგომში მიმდევარი. ვერცოვ არავის არ ბაძუ-და, თავის მხრივ, ვერც მისი ნიჭი, როგორც ყველა კემპარიტი ნიჭიერება, ვერ იტანდა მიმ-ბაძველებს, თუმცა ისინი იყვნენ. ქართულ მა-ყურებელს ახსოვს ის დრო, როდესაც მარჯა-ნიშვილის თეატრის ზოგიერთ წარმოდგენაში ყველა ქალი ვერცოვსავით ლაპარაკობდა, ან-ჭაფარაძე კი მათ შორის მხოლოდ ერთი იყო. ასეთი გარემოელი, ზერელე ბევრადი მიზამეა ფესვს, რა თქმა უნდა, ვერ გაიდგამდა. არსს კი ვერაფერ ვერ წვდებოდა. ვერცოვს მანერის „გადაამდებლობამ“, შესაძლოა, ოდნავ ზიანიც მოუტანა მის არტისტულ სახელს, რადგანაც სიტყვის შესაყარული ელერადობა მის არსს ხელოვნურად ჩამოამოშრა, ამით გაამშველა იგი. სული გამოაცალა. ვერცოვს სიტყვის თავისე-ბური ელერადობა ისეა შერწყმული ამ მსახი-ობის განცდისა და ხმის თავისებურებასთან, რომ მისი არც დაეანთება, არც გადაღება არ შეიძლება.

რამი მდგომარეობს ვერცოვს მანერა, კარგად ცნობილი მათთვის, ვისაც უნახავს იგი სცე-ნაზე? სწორედ სცენაზე, რადგან არ-სად, გარდა სცენისა (არც ეთერდრამაზე, არც ტრამუნაზე, არც ცხოვრებაში) ეს მანერა არ არსებობს. მხოლოდ სცენაზე უოველ სიტყვას ვერცოვ ანჭაფარაძე ანიჭებს განსაკუთრებულ ელერადობას. ეს არ არის პო-

ეტრა უმრავლესობისათვის ან ზოგიერთი მსა-ხიობისათვის დამახასიათებელი წმინდობა. წარმოთქმისას ვერცოვ ანჭაფარაძე სიტყვას/ამ-ლიდრებს ინტონაციურად, აქვებს გრძნობით და ამადღებს. მისთვის სიტყვა სცენაზე — მხატ-ვრული სიტყვაა, მანსადაამე, არა მარტო მე-ორე ადამიანიან დაკავშირების სიმართლად, არამედ ესთეტიკური კატეგორია. მის ფაზაში უოველ სიტყვას თავისი ადგილი აქვს არა მარ-ტო აზრის მხრივ, არამედ ელერადობის მხრი-ვაც საერთო მელოდიურ მონახაზში. ამ ელერ-ადი არშიის უოველი თვლი ვარკვეული და-ნიშნულების მატარებელია და აქტიურად კავშირშია მეორესთან. ფაზა მსუბუქია, აქვს დასაყრდენი და აღმაფრენის წერტილები, სი-ტყვას კი ისეთი მოულოდნელი, უჩვეულო მე-ლოდიური საღებავით აფერადებს, რომ მუხე-ბით არც თუ ძლიერი ვერცოვს ხმა მუდამ ელერს და გვიჩვენება, რომ მისი ძალა არ და-უხარაყვს, რომ იქ, შიგნით, ჭერ კიდევ დიდი მარაგია შემონახული.

ვერცოვ ანჭაფარაძე მუდამ იყო გატაცებული პოეზიით და მუდამ ახლო ქართულ პოეტებ-თან. ჭერ კიდევ ქუთაისში, გომნაზის მოს-წავლე, უსმენდა იგი იმხანად პოპულარულ შალვა ამირეჯიბს, სულ ახალგაზრდა ტიციან ტაბიძეს, პაოლ იაშვილს, კოლაუ ნაღიბაძეს, ლელი ჭაფარიძეს და სხვა, მომავალ „ისიფერ-აწწელებს“. ხან ველათში, ხან კი რიონის ნა-პირას, მთვარის შუქით განთებულ თეთრ ქვეშე კოხტლობდნენ ისინი თავის პირველ ნაწარმოებებს.

ვერცოვ ანჭაფარაძის შემოქმედებით ცხოვ-რებს არ სჩვევია მშვიდი დინება. მისი ტალ-ღები მშფოთვარეა და ერთ ანხში ვერ ვტყვი-ან. უყვარს და შეუძლია ჩამდინიშ რთული ამოცანის ერთდროული ამოხსნა. ამ მხრივ მის ცხოვრების ზოგი მონაკვეთი განსაკუთრე-ბით „მოსავლიანია“. ასეთი იყო ორმოციანი წლები, როდესაც მან ზედიზედ შექმნა შესა-ნიშნავი მხატვრული ნაწარმოებები, მათ შორის ა. დიუმას მარგარიტა გოტიეს სახე.

ვერცოვ ანჭაფარაძის მარგარიტა ნახეს ვლ-ნემიროვიჩ-დანიჩენკომ და კინემატოგრაფი-წარმოდგენის შემდეგ ელ. ნემიროვიჩ-დანიჩენ-კო ესაუბრა ვერცოვს. ეს იყო 1942 წლის ზაპ-თანში. საუბარს ესწრებოდა ი. ნეენი (იმხანად მოსკოვის სამხატვრო თეატრის დირექტორი), რომელმაც შემდეგ ამ საუბრის შინაარსი გა-მოაქვეყნა (გაზ. «Советская культура», 1962 წ. ივლისი) მისი საინტერესო მოგონებიდან გავიხსენებთ მხოლოდ ერთ სტრიქონს, რომლი-თაც გამოჩენილ რეჟისორს დაუმთავრებია სა-უბარი ვერცოვს მარგარიტაზე: «Да, дорогая Верико, за две-три так сыгранные роли я бы ставил артисту памятник».

შემდეგ უკითხავს ახლა რის თამაშს აბირებ-

თო და თვითონვე უპასუხია — დაწმენდულნი ვარ შექსპირის კლეოპატრას თამაში გინდათო. თუ შეხედულობაში არ მივიღებთ ღედი ანას („რიჩარდ მესიმე“) და ლედი შაქერტს („მაქებეტრი“) საკონცერტო შესრულებაში, თავისი ნახევარსაუკუნოეანი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ვერცო ანაფარაძე მხოლოდ სამჯერ შეხვდა შექსპირს: დეზდემონა („ოტელო“ 1923 წ., დადგმა ა. ფაღავასი და 1933 წ. დადგმა კ. მარჯანიშვილისა), ოფელია („ჰამლეტი“, 1925 წ. დადგმა კ. მარჯანიშვილისა) და კლეოპატრა („ანტონიოს და კლეოპატრა“, 1951 წ. დადგმა ვ. ტაბლიაშვილისა).

პირველი შეხვედრა გენიოს ავტორთან, როგორც ჩანს არ აღმოჩნდა საინტერესო არც მკურნალებლისათვის, არც მსახიობისთვის. ათი წლის შემდეგ ვერცო მსგე მიიღო დეზდემონას როლი ახლა უკვე მარჯანიშვილისეულ „ოტელოში“, თორღ რეჟისორის გარდაცვალების შემდეგ. მარჯანიშვილი მუშაობდა მსახიობ მ. მჭავარიანთან. ვერცო იმ დროს მოსკოვში იყო რეპეტიტორი თეატრში. ამის გამო არც რეპეტიციას, არც პრემიერას არ დასწრებია. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან დამოუკიდებლად მოაშადა როლი და წარსდგა თეატრის სამხატვრო საბჭოს წინაშე. საბჭომ არ მიიღო დეზდემონას ვერცოსეული გაგება, რადგან ის სრულიად არ შეესატყვისებოდა ამ სახის ტრადიციულ, თითქმის დაკანონებულ გაგებას. ვერცო წავიდა კომპოზისზე. ამ ერთადერთ კომპოზისის სასყურდო მოკვება — ის დამარცხდა. სამაგეროდ მისი ოფელია ქართულ სასკოლო ხელოვნების ბრწყინვალე გამარჯვებთა რიცხვშია. მის შემდეგ 25 წლის მანძილზე ვერცო შექსპირს არ შეხვედრია, კლეოპატრაზე კი მართლა ოცნებობდა. ეს ოცნება 1951 წ. განხორციელდა.

ვერცო ანაფარაძის ცნობით კლეოპატრა მას პირველსავე წაითხვიდან შეუყვარდა. როლზე ფიქრიც, ალბათ, იმ დღიდან დაიწყო, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს მსახიობი თავისი მომავალი გმირით გატაცებული, რამდენიც არ უნდა იოცნებოს მასზე, აციხობს რაც დაწერილია ავტორისა და ეპოქის შესახებ, როლზე ნამდვილი მუშაობა მაინც რეპეტიციაზე იწყება. ეს დღეც დადგა.

ყოველ ხელოვანს საკეთარი ნაწარმოებთა შორის რომელიღაც გამოირჩევეთ უყვარს ხოლმე. მუდამ ის არა, რომელმაც მეტი წარმატება მოიპოვა. უფრო მეტად ის, რომლის შექმნისას მან მიიღწია რაღაცას ახალს, მანამდე მიუღწევებს მხატვრული თვალსაზრისით, სადაც დაძლია როლაც მანამდე დაუძლეველი. ამგვარ ნაწარმოებთა მანძილს ვერცო ანაფარაძის თაღის კლეოპატრა, რომელმაც უჩვეულო საღებავები მოსთხოვა, უჩვეულო შეხამებანი. მსახიობის აზრით, მსოფლიო რეპეტიტირში კლეოპატრაზე რთული ქაღის როლი არ არსებობს,

ხოლო მამაკაცთა სახეებიდან სირთულით მხოლოდ მეფე ლარი თუ შეედრება.

კლეოპატრის როლი თანამედროვე მსახიობისათვის რთულია არა მარტო ეპოქის მონატროლობით, ჩასაათის უჩვეულობით და გრძობაშია მისმტაბებით, არამედ წმინდა ფიზიკურადც. გრძობათა წარმოუდგენელი აღმაფრენა, მოულოდნელი, თავებრდამხვევი შემობრუნებანი სცენურ ცხოვრებაში, ეს ყოველივე მსახიობისაგან მოითხოვს უზარმაზარ სულიერსა და ფიზიკურ ძალას, აგრეთვე უზადო ოსტრობას. კლეოპატრა თითქმის სულ სცენაზეა, არც ერთი მშვიდი, ემოციურად მსუბუქი ეპიზოდი მას არა აქვს. ყოველი სურათის წინ იცვლის სამოსელს მთლიანად — კოსტუმს, აფისაცვლს, თავსაცვლს, შორთულობასაც კი. ამის გამო კელისებშიც ვერ იცვლებს, რადგან შეიძლება სცენაზე გასეღა დაავიანდეს. გავა სცენაზე და, ან აღმაფრენა, ან დამარცხება, საშინელი პარტიტურა!

მიუხედავად ამისა, ვერცო ანაფარაძე თანხმია იყო ეთამაში კლეოპატრა დაუსრულებლივ, თან მუდამ რაღაცას ახალს ამტებდა, თუმცა სახის აზრობრივი ზერხემალი ერთხელ და სამუდამოდ იყო დაღვინილი: ეგვიპტე აღმოსავლეთის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო უნდა იყოს! ეს იყო მთავარი. ანტონიოსიც ამისთვის ჭირდებოდა, თუმცა უყვარდა კიდევ ნამდვილად.

ვერცო ანაფარაძე ამ როლში ისტორიულ პიროვნებას არ აცოცლებდა, მისი კლეოპატრა სცენაზე ცოცხლობდა როგორც დღევანდელი ადამიანი, ამავე დროს საუკუნეთა სიმორში გადაჰყავდა, საოცარი იყო დღევანდელი მღვლარების და სიმყველის სურნელების ეს შეხამება.

კლეოპატრას მხატვრულ სახეში განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა (ყველაზე ძლიერ იფიდათის შემდეგ) ვერცოს უნარი სახის მხატვრული ფორმის დახვეწისა.

ვერცო ანაფარაძე ტრავგიული მსახიობია. ტრავგიულ გმირთა ვანცდის მასმტაბები კი განსაკუთრებულ აქტიურობა ენერგიას მოითხოვენ. ამგვარ ენერგიას ბუნება იშვეითად იმეტებს ხოლმე მსახიობისათვის, მაგრამ მამინაც, როცა იმეტებს, ვარდა ვანცდის გულწრფელობისა, ძალთა განაწილების უნარსაც მოითხოვს მისგან. რავინდ უხვადაც არ უნდა დააქონდოვოს ბუნებამ მსახიობს ვანცდის ძალთი, თუ ის მათი სწორი განაწილების საიდუმლოს არ დაეუფლა, უბრალოდ წარმოუდგენას ვერ მიიყენოს დასასრულამდე.

ვინც ვერცო ანაფარაძის ტრავგიული გმირის სცენურ სიოცხლეს დავიერებია, უთუ-ოც შეამჩნევდა როგორ უტყდომლად იცის მან საკეთარი სულიერი და ფიზიკური ენერგიის განაწილება. ვერავინ დასახელებს შემთხვევას, რომ ვერცოსთვის ძალას ემუხთლოს. კემ-

მარტ ოსტატს, მას შეუძლია დააყენოს სკენანზე გმირის ცხოვრების ზოგჯერ უადრესად დააბულ მომენტში, მაყურებლისათვის შეუმჩნევლად გამოიჩინოს, განათავისუფლდეს გრძობათა ტვირთისაგან და წუთის შემდეგ, მაყურებლისათვის ასევე შეუმჩნევლად, კვლავ ჩაერთოს იმავე გრაფისში, რომლიდანაც გამოერთო. ამაშია მისი ტექნიკა, შეუმჩნეველი ოსტატობა.

ამგვარი ოსტატობა დიდი ტალანტის და დიდი გამოცდილების ნაყოფია. გამოცდილებას წლები სჭირდება... ორმოცდაათი წელია რაც ვერკო სცენაზეა. რამდენი რამ შეიქცევა ამ ხნის მანძილზე: შეხედულებანი, ინტერესები, ასაკი... დიდი ხელოვანი, სახელგანთქმული მსახიობი და აღიარებული ოსტატი ვერკო, მაგრამ ახალგაზრდა აღარ არის... რა შეუმჩნევლად ვიჭროლა დრომ...

...როდესაც კასონა პიეტის პირველი წარმოდგენის დღეს სცენაზე ვერკოს ბებია ეუბენა გამოჩნდა, დარბაზში ერთსდროვანი ტანით დაიჭება. მეგობრული სიხარულის ტანით. ეს არ იყო საყვარელ მსახიობთან შეხვედრის ჩვეულებრივი ნიშანი. ეს იყო ნიშანი იმ ალტეკებისა, რომელსაც განიცდიდა მაყურებელი იმის გამო, რომ სცენაზე კვლავ ახალგაზრდა ვერკო იდგა: ეუბენა კვლავაა იგი, ბებიას ეძახდნენ, იყო მოხუცი, მაგრამ მხოლოდ წლოვანებით, სულთ კი ახალგაზრდა, წმინდა, კეთილშობილი იდეალებით. ის იბრძოდა ამ იდეალისათვის როგორც თვითონ შეეძლო, დაუღალავად, მეღვრად, შეეძლო თავი შეეწირა, მაგრამ მაღლა ამაყად შემართული. ვერკოს გმირს შეეცემა მხოლოდ ასაკი, თუმა კი არა. მართალია, ეკვე ხანდაზმული ქალის სახით, მაგრამ ის მაინც მოუწოდებდა მაყურებელს ხელოვანი სიმტკიცის, კეთილშობილი იდეების დაცვის, მისი გამარჯვებისათვის ბრძოლისკენ.

ვერკოს მრავალი შესანიშნავი, ამაყი, ძლიერი და ტანჯული კეთილშობილი ქალის სახე შეუქმნია, მაგრამ ისეთი თბილი და ყველასათვის ახლობელი, როგორც ბებია, ეფიჭრობით, არც ერთი არ ყოფილა.

როდესაც ვერკო ანჯაფარიძემ ვერაბილეს მედია ითაშაშა, მისი სცენური სიციცხლე მეხუთე ათეულს ითვლიდა. ეს იყო 1962 წ. ზოგი გმირი მსახიობისაგან პიროვნულსა და შემოქმედებით სიმწიფეს, მოთხოვნას, ზოგი შემოქმედებით სიმწიფეს, დიდ გამოცდილებას და ამავე დროს ახალგაზრდობას. ასეთია მედია. ასაკი ამ გმირისათვის მნიშვნელოვანია ჭერით იმიტომ, რომ მისი სცენური სიციცხლის ლოგიკა ეფრო ბუნებრივია ახალგაზრდა ქა-

ლისთვის, მეორე ამ უღმობელად დანერგული როლის დასაძლევად მსახიობს ახალგაზრდული ენერჯია სჭირდება.

უჩვეულო გამოჩენისი იყო, რომ ვერკო ანჯაფარიძემ წელთა თავდაღმართზე შეივლო მხრებზე ასეთი ტვირთი.

მედის სცენური სიციცხლის დინება შეუკავებელია, შემადრწუნებელი, იყუება უცოდურასი დაძაბულობით, რომელიც შემდეგ მხოლოდ იზრდება და სცელდება ყოველგვარ საზღვარს. ვერკო ანჯაფარიძის მედეს ტრაგედიის სათავე კომპრომისთან შეურიგებლობაშია, ან ყველაფერი ნამდვილი, ტექნიკური, ან არაფერი. ის ვერ შეურიგდება აზრს, რომ იაზონისა და მისი დიდი სიყვარული, რომლისთვისაც მან ამდენი მსხვერპლი გაიღო, არ ყოფილა თურმე ტექნიკური. ამაშია ვერკოს მედის ტრაგედია და არა ქალურ ექვიანობაში, თუმცა არც ამისაგან ათავისუფლებს იგი თავის გმირს. ასეც წერდა ვერკო ანჯაფარიძემ:

...მედია შერს კი არ იძიებს, ის საკეთარი თავს სწის იმ შეცდომების გამო, რომლებიც ჩაიღინა მან იაზონისადმი დიდი სიყვარულით. აქედან დაიბადა ფინალის გადაწყვეტა: მედია არ იცავს თავს, სიციცხლი სასჯელი არ იქნება, სასჯელია იყო ცოცხალი და სრულიად მარტო, აღარ გქონდეს არაფრის რწმენა.

ლატვიის სახალხო პოეტმა იან სუდრაბაკლმა ა. ჩხარტიშვილის ამ წარმოდგენის გაცოცხლებული სულბეტრა უწოდა. ვერკო ანჯაფარიძის მედეს სცენურ ქანდაკებაში შერწყმული იყო წამლავი ემოცია და სწავლა. ამაში იყო საიდუმლო მისი ანტიკურობისა და მისი თანამედროვეობისა ერთსა და იმავე დროს. ეს არ იყო ანტიკური სახის დღევანდლობამდე დაყვანა, ეს იყო თანამედროვე ქალის გრძობათა აზრდება ტექნიკური ანტიკური ტრაგედიის მწვერვალებამდე.

ვერკო ანჯაფარიძის სცენური სიციცხლე წელს სიუჟენის ნახევარს გადააბიჯებს. ქართული საზოგადოებრიობა აღნიშნავს ამ სახეობის თარღას, მაგრამ ეს არ იქნება მხოლოდ მაღლობა წარსულში დიდებული ხელოვნებისათვის. ჩაქრება შუქი, უბოლო გაიხსნება ხავერდის ფარდა (მერაბენდ) და ჩვენს თვალწინ ვერკო ანჯაფარიძის რომელიმე გმირის ჩოთლი ცხოვრება, მისი ტანჯვა, ბრძოლა და სულერი გამარჯვება გადაიშლება. ამ საღამოსაც, როგორც ყოველთვის, ვერკო ანჯაფარიძე მოგვიწოდებს მაღალი, კეთილშობილი იდეალისკენ და საკეთარი შემოქმედებით დაგვარწმუნებს, რომ არ არსებობს ამაზე დიდი ბედნიერება.

ზღვის მწერალი

კოლხეთის ლაქარდოვან ზეცას, შავი ზღვისპირის ერთ-ერთ უძველეს და უღამაზეს სანავსადგურო ქალაქ ფოთს და მის მთელ შემოგარენს, ჭეშნარი სანაპიროებთან მუდამ მოლილოვე ზღვის ღერძ ტალღებს ანდრო ლომიდის სახით ჭართულ თანამედროვე მწერლობაში თავისი მებოტბე, ბოლომდე ერთგული და მისიყვარულე მხატვარი გაუჩნდა. ცნობილია, რომ მწერლის შემოქმედებაში მშობლიური მხარის ადრინდელი შთაბეჭდილებები მუდამ არის შთავიწინების დაუმრეტელი წყარო. ეს თავისებურ, მკაფიო გამოხატულებას პოეტობის ანდრო ლომიდის შემოქმედებითს პრაქტიკაშიც.

ყველა ის საუკეთესო ნაწარმოები, რომლებიც შექმნილია მწერალს ზღვისა და ნადირობის თემაზე, გამოსახვის ადგილის, პეიზაჟური ფერადებისა და დამახასიათებელი კოლორიტულობის მიხედვით მოქცეულია თითქმის ერთგეოგრაფიულ „გარემოებაში“ — კოლხეთის ზღვისპირა ზონაში, სადაც ოდესღაც კაობებით დაფარული მიწები ახლა ფორთოხლები-სა და მანდარინების, ევკალიპტებისა და მავნოლების ბაღნარებით არის დაფარული.

თი საქართველოს ამ მხარის მძიმე წარსული და დიდებული აწმყო, ბოთქიანი ზღვის შრისხანება და მებლეთურის საბედისწერო ფათე-რაკები, ახალი კოლხეთის მშენებელი ადამიანების სუნთქვა და მისწრებანი, ნადირობისადმი ტრფილი და მინადირის დეოკებელი, ბუნების სტიქიისაგან გაუტრეხელი სურვილები, სამაშულო ომის ქეკაქეხილის ეკო და საშობლოს გმირ დამცველთა პატრიოტული სულისკვეთება, უხეში, ტლანქი, ბოქმური მიდრეკილების ხასიათები და ნატიფი სინახით აღსავსე ქალის იღვწალი გრძობები, სიცოცხლის მარჯისობაზე ფერი და სიკვდილის ლანდებთან ლილიყი — ყოველივე და ყველაფერი ეს, კონტრასტებსა და შტრიხებში გახვეული, შეადგენს ანდრო ლომიდის, როგორც ბელეტრისტის, გამოსახვის ძირითად საგანს, მისი შემოქმედებითი გზის ძირითად განმსაზღვრელ ნიშნებს. ეს გზა და ნიშნები მთელი

თავისი სრულყოფილობით ნათლად გამოვლინდა გასულ წელს გამოცემულ სქელტანაან წიგნში „სიყვარული“.

ამ წიგნში შესული მოთხრობა „სიცოცხლე“ პირველად 1940 წელს გამოქვეყნდა „ლიტერატურულ გაზეთში“. აქედან იწყება ა. ლომიდის შემოქმედებითი ბიოგრაფიაც. დასახელებულმა მოთხრობამ იმთავითვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება არა თემის უჩვეულო სიახლით, არამედ თხრობის დინამიკურობითა და სიტყვიერი ინვენტარის ოსტატური გამოყენებით, მასალის ფლორისფორი გააზრებითა და რაღაც თავისებურ, ზღვიდან მონაბერი ნაივის გამახალისებელი ქროლვით. ერთი შეხედვით ნაცნობი სიტუეტი — იქ, სადაც თავდება ერთის სიცოცხლე, ბუნებაში იწყება მეორის არსებობა და ამშაა სიცოცხლის უცნაურობა და უსასრულობა — მწერალმა გახვია მიზიღვევლ მხატვრულ სამოსელში და ამით თავის პირველ გამოჩენას ლიტერატურულ სარბოლზე სიმედო, მყარი საფუძველი შეუქმნა.

სარტყენზო წიგნს წინ უძღვის ავტობიოგრაფიული ჩანახატი „ჩემი ცხოვრება“. ამ ჩანახატიდან უპირველესად ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებო არის ის, რომ ა. ლომიძე მწერლობაში თავიდანვე მოვიდა უშუალოდ ცხოვრებიდან, გარკვეული გამოცდილებებითა და შთაბეჭდილებებით დატვირთული და მხოლოდ იმის გარშემო წერს და მოკვირობს, რაც თვითონ უნახავს, გადახდენია ან განუცდია. ეს ანიჭებს მის ნაწარმოებებს რეალისტურობის დიდ ძალას. მისი გმირები ჩვენს ცნობიერებაში შემოიდან, როგორც უბრალო, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები, რომელთა სამოქმედო ასპარეზი მერქილად თითქმის ერთი და იგივეა — ზღეა, ვუმი, ნავსადგური, ან კიდევ, ტყე, ტბისპირი, ლაქაშოვანი მინდორები, — მაგრამ რომელთა ხასიათი და შინაგანი ბუნება ყოველთვის კოლორიტული, ერთმანეთისაგან განსხვავებული და თავისებურია.

ზემოაღნიშნულ ავტობიოგრაფიას მწერალი ამთავრებს ასეთი პათეტიკური სიტყვიებით: „ახლა, როცა მძიმე სწულებამ ინვალიდად მაქცია და დრომ თავისი წარუშლელი დაღი დამსხვა, ხშირად შესიხმრება ფოთი, ჩემი უბო,

1 ანდრო ლომიძე, „სიყვარული“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.

ზღვა. აღღვებულსა და ავალცრემლიანს შეღვიძება. ისევე და ისევე ძალუმად მხმობის, თანაცენ მეძახის, ზღვა, ჩემი ფოთი და ჩემი ლაზეთი“.

ასეთი ბიოგრაფიის მქონე მწერალს არ შეიძლება ისე განუთავად არ შეეყვარებოდა ზღვის ტალღებთან მებრძოლი ადამიანი, სიკეთე და სიცოცხლე, როგორც ეს ა. ლომიძის ნაწარმოებებში ხანს. მის არ სჭირდება რამის ზელოვნური გამოგონება. მისი ნაწარმოებების თაქმის ყოველ პერსონაჟს ცხოვრებაში თავისი ცოცხალი, რეალური პროტოტიპი ჰყავს, თითოეული მათგანი მისი საკუთარი სულის ნაწილია ან მთლიანი ავტობიოგრაფიული სურათი ხან თეიმურაზის („გოგონი“), ხან ვერის („სიყვარული“), ხან კიდევ თამაზის („უცვლადი ნათელი“) სახით ამტყველებული და განსახიერებულნი.

მეტად თვალსაჩინოდ იგრძნობა მსგავსება ამ მხრივ ავტობიოგრაფიულ მომენტებსა და 1957 წელს დაწერილ ნოველაში „უცვლადი ნათელი“ თამაზის სულიერ აღსარებას შორის. „ჩემი ბოჰემური ცხოვრება სულ უწყალოდ და დედას. — ჰყვება თამაზი — მემუდარებოდა — შიატოვე ფოთით. ზღვისპირას დაჯიბდა, ტანი ავიყარე, მერე რამდენიმე წელი დაჯიბე თბილისში და ვაეწამე. მცხუნვარე მზითა და ზღვის შირილით გაუღწეოდა ჩემს მკერდს სხელს ზღვის მშფოთვარე სული გაროჰყავდა და იგი ძალუმად მიილტვოდა ტალღებისაკენ, საიდუმლოებით მოცული ღერძი უსასრულობისაკენ“.

აი სწორედ ამ „ღერძი უსასრულობის“ საიდუმლოებათა შეცნობას, „მცხუნვარე მზითა და ზღვის შირილით გაუღწეოდა“ ადამიანების რკინისბუნური ნებისყოფის, მათი ახირებული ქცევებისა და ტლანქი ხასიათების, განცდებისა და გრძნობების, შეგობრობისა და სიყვარულის მხატვრულ ჩვენებს, გამოკვეთას და გამოსახვას შეალია ა. ლომიძემ უმთავრესად თავისი ნიჭი და ძალღონე, ამით ვითქვია და დამაძვირდა ზღვის მწერლის, „ქართული მხარისიტული პროზის ფუძემდებლის“ (ი. ბელიაშვილი) უწყინარი და უპრეტენზიო სახელი.

შემთხვევითი როდია, რომ თავის ერთ-ერთ უკანასკნელ, შედარებით საკმაოდ მორბილ მოთხრობაში „სიყვარული“ იგი პარადიპარ ეხება ზღვის დემისადმი მწერლობის დამოკიდებულების საკითხს და ესთეტიკური ხასიათის აქტიური პრობლემის აყენებს. მაგრამ სანამ ამ პრობლემას შევეხებოდეთ, საჭიროა მოკლედ გავცნოთ თვით ნაწარმოების სიტუაცია.

მოთხრობის მთავარი გმირი ახალგაზრდა, დიკი და გულადი გური ლომია თბილისად „საქართველოზე“ ნაოსნად მუშაობს. როგორც ყოველ მუზღაურს, მასაც უყვარს არყის სმა, მაგრამ გეშე მორიდების დროს თავის მო-

ვლეობას ყოველთვის პირნათლად ასრულებს. გამოცხიზლების შემდეგ სიმფრალეში ჩადუნოლ არასასიამოვნო მოქმედებებს შედამ იზნინებს და ცდილობს გემის კაპიტნის ვასტყუან შენგვლისა ნდობა და დაფასება დაიმსახუროს. მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებს და კაპიტანსა და მუზღაურს შორის ჩუმი წინააღმდეგობა ნელ-ნელა ლეიფდება.

ამას ხელს უწყობს ერთი ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული მოვლენა. გურის წრფელი გრძნობით უყვარს გემის ექიმი ქალი იაშვი თოიძე, მაგრამ ამ სიყვარულს გულში იკლავს და ვერ უმჟღავნებს. ამავე დროს გემის კაპიტანი, მარტოხელა, საშუალო ხნის კაცი, სარგებლობს თავისი პრივილეგიური მდგომარეობით და იაშვითან ატარებს მეტწილად თავისუფალ დროს, ლაშობს დაისაკუთროს მისი ვული. ეს ვარემოება გური ლომიძის ეჭვებს ავითარებს და კიდევ უფრო ამძაფრებს ურთიერთდამოკიდებულებას უფროსს და ზეღვეითს შორის. გურის ერთადერთი თანამგრძნობელი და მესაიღუმლე გეშე მისებრ ნაოსანი, დაბალი ტანის ანატოლი უდოვინტრა, რომელთანაც ის სპეტაკი შეგვიგობდა გრძნობით არის დაკავშირებული. ანატოლის მეშვეობით გური გებულობს მის შესახებ იაშვიეს ფარულ აზრებს. თანდათან ხელს იღებს ბოჰემური ცხოვრებისაგან, წიგნების კითხვით აღერ გატაცებული თავის ძალს მოთხრობების წერაში ცდის და ამ გზით იაშვიესთან დამახლოვებულ, მასთან მისასვლელ ნიადაგს აზნადებს.

იაშვიეს აოცებს გურის უცნაური ბუნება — ცალ ხელში წიგნი უჭირავს, მეორე კი მუდამ მომარჯვებელი აქვს სტვისთვის გასარტყმელად — ფორობს ის და მისი ბუნების შეცნობას ცდილობს. მას ხიბლავს გურის ნაყოსნობა, ცხოვრებისეული მოვლენების სწორი, დაკვირვებული განსჯა, მაგრამ არ მოსწონს გურის ნაყვავილარი სახე. გური თითქმის გრძნობს ამას და ყოველთვის ერთდება იაშვიესთან დაახლოებას, პირისპირ დგომას და გამბულ ლაპარაკს.

მაგრამ ერთ დღეს ღია, წყნარ ზღვაში გასული გემის გემბანზე გური და იაშვი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. და აა მათ შორის გამბულ საუბარში ადამიანური ცხოვრების მნიშვნელოვან ზოგად საკითხებთან ერთად ლიტერატურული ხასიათის ასეთი პრობლემატური საკითხიც წამოჭრება.

— ქართველები ძველთაგანვე ცნობილი არიან, როგორც მამაცი მუზღაურები, განსაკუთრებით ეს თქმის ლაზებზე, თქვენც ზომილანი ხართ! შავი ზღვა იყო და არის ქართველი ზღვაც და მივირს, რატომ არ გეყავს ჩვენი სტანუკოვიჩი, ჩვენი კონრადი — ეუბნება იაშვი გურის.

— საქართველო ხომ წარმოუდგენელია მთების ვარდზე?

— რა თქმა უნდა.

— ქართული ლიტერატურიდან ამოგდეს ვაჟა აქვენი დარწმუნდებით, რომ ჩვენს შთის პოეზიისა თითქმის არაფერი დარჩება, აუწყა მთის შესახებ ვაჟის გარდა სხვებიც წერდნენ. ვაჟა გენოსი იყო, მაგრამ მთაში რომ არ ეცხოვრა, მთის ბრწყინვალე პოეზია ვერ შეიქმნებოდა. ზღვის შესახებ წერდნენ ჩვენი მწერლები, ახლაც წერენ, მაგრამ საჭიროა დიდი პოეტური სენტიმენტი, დიდი ტალანტი და ზღვის, მეზღვაურთა ცხოვრების ღრმა ცოდნა, რომ ზღვის რომანტიკულმა პოეზიამ ვაჟამდიდროს ქართული მწერლობა... თქვენი სურვილია გავაყდეს ქართული ლიტერატურის სტანდუიანი. ქართველი მეზღვაურთა ცხოვრება ისეთი ვაჟაეფილია, ისეთი მდიდარია მათი წარსულიც, რომ საჭიროა დიდებული ვაჟა და არა „სტანდუიანი“. — ასეთია წარწომების გმარის, ქართული მეზღვაურის გური ლომიას პასუხი იაშვის მიერ დასმულ შეტად საინტერესო საკითხზე.

ამ შემთხვევაში გური ლომიას სახით თავი მწერალი ამჟღავნებს თავის შინაგან სულიერ კრდოს, შინაგან მოწოდებას და იმ ესოტერიკურ მრწამსს, რომლითაც ის თანამედროვე ქართულ მწერლობაში შემოვიდა. ა. ლომიძე აქ პრინციპულად იცავს და ეხმობება ამ სწორ და ურყვე მოსაზრებას, რომლის მიხედვით ყოველი ჰემოარიტი მწერლისთვის ისევე აუცილებელია ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა, როგორც შემოქმედებითი ნიჭი და ტალანტი. რწდივილაღობის სულისკვეთების ისეთი უცლიერესი გამოჰატეულია კი, როგორც იყო რეალუციონისტულ რუსულ ლიტერატურაში ლეონიდ ანდრეევი, ბოლოს მაინც იძულებული აღმოჩნდა ეღარებინა საციალური გარემოს, პირადად გამოცდილებასა და განცდების უდიდესი როლი შემოქმედების მაღალი მიზნებისათვის. ერთ-ერთ თავის ავტობიოგრაფიულ ფელეტონში „მწერლის შესახებ“ იგი წერდა: „მე არ ვლაპარაკობ, რომ ტალანტი არ არის საჭირო. ის აუცილებელია, როგორც თბილი ფეხები ცხენისთვის, მაგრამ როგორც მხოლოდ თბილი ფეხები ვერ გახდის ყოველ ცხენს თხარაკილად, მხოლოდ ტალანტი ვერ გადააქცევს ადამიანს მწერლად... ის უნდა იტანებოდეს ყველა ადამიანური სატანჯველით და მაშინ იქნება უდიდესი მწერალი, რომელიც ადამიანების გულს სიტყვებით წვავს.“ (Л. Андреев. Собрание сочинений, т. I, 1911, стр. 318—319).

ზღვისა და მეზღვაურთა ცხოვრების ცოდნაში, მათი „ღმინისა“ და „სატანჯველის“ ხანგრძლივი დროის მანძილზე საკუთრივ გამოცდაში ჩვენს მწერლობაში ა. ლომიძეს, ვფიქ-

რობთ, არავინ შეედრება და ამიტომ მას წარილაც აქვს უფლება სტანდუიანის დაუპირისპიროს საკუთარი თავი (რა თქმა უნდა, არა ვაგასებური შემართებით), საკუთარი წარსული და გამოცდილება, რომლითაც ესოდენ ზრუნავს და ილწვის ზღვის რომანტიკული პოეზიით ჩვენი მწერლობის გადარდებებსა და გამშვენიერებისათვის.

ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ა. ლომიძის შემოქმედება თითქმისდა მხოლოდ ზღვის თემატიკით იყოს შემოფარგლული. არანაკლები ინტერესით იკითხება ნადირობის, სამაშულო ომის, ზაფხუთა სულიერი სამყაროს გამოშახველი მისი ნაწარმოებები. საერთოდ მწერალი თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში უმთავრესად ზღვრდება ნადირობის პრინციპით — დაწერის გუშინდელზე უფროსი, ვიდრე მეტო, ცოტა, მაგრამ კარგი. ამ ასპექტში მწერლის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა ჩვენ გვესახება მხატვრული ოსტატობის თანდათანობითი სრულყოფის საკუთარი, დამოუკიდებელი სტილის გამოსამუშავებლად. დიდებულ მწერალში შინაგანი სწრაფის, ნაწარმოების დაეუბრეთე-ტიკური ღირებულების განუწყვეტელი ამაღლებისათვის ბრძოლის საინტერესო გზად. მართალია, ამ გზაზე ანდრო ლომიძეს არასოდეს გაუკვირებია მკითხველი თავისი ნაწარმოებების სტელტანიანობით, მაგრამ ზნობად ვაუტაცინია იგი ფრაზების ლეკონობით, სახის გამოკვეთილობითა და აზრის სუბადალით.

სულ რაღაც სამფერულიანია მოთხრობა „სულიველი“. იგი დაწერილია ოცდახუთი წლის წინით, სამაშულო ომის შრისხანე დღეებში. და როგორ ცოცხლად, შთამბეჭდავად გადმოგვეცემს დღესაც სამშობლოსთვის თავგანწირული ადამიანთა მკვეთარად, კალმის ერთი მოსმით დახატულ სახეებს! იმ ერთი შრავალ-აჯანი — ეგსეი სემიონოვი — გერმანელი დამპყრობლების მიერ ოკუპირებული ზღვისპირა სოფლის კოლმერენობის თავმჯდომარე, რომელიც „ნაილი ვადახურული ვრტელი პოსლიდან ცხვირსაბოკით თვალაბველი“ გამოჰყავს გერმანელ ქარისკაცს. სახელდახლოდ ვაბხრილ ორმოსთან ჩამწყვიტებულ ხეთუნს კიდევ ერთი შეტანის ყმაწვილი შეემატა. ეს ეგსეის ვაფიშვილი მიტია. რა ძუნწი, მაგრამ ამაღლებელი ფერებით გადმოგვეცემს მწერალი მამა-შვილის დახვეტის გულსაყოფ სყენის.

ეგსეიმ თბილი ჰაერი რამდენჯერმე მძლავრად შეისუნთქა, გააერჯოლა. დამწვარი ნაქვის სურნელებით დამძიმებულ იმ თბილ ჰაერში რაღაც ახლობელი და მშობლიური უხმოდ, გულამოსკენით ტაროდა. თავი სწრაფად აქეთ-იქით მიატრიალა, მაგრამ ვერა დანახა რა „იქვის ჩვენი ნამაგარი“. — გაიფიქრა.

- მხეცები, — ჩაიბუტებტა მახლობლად მდგარმა უმწველიმა.
 - ევსეი შერათა.
 - მიტია, შენც აქა ხარ?
 - მეც, მამა.
 - ზოსიმე სად არის?
 - ბოსელში დაეტყვე.
 - მოხუცმა ყრულ ჩილაპარაკა:
 - ზოსიმე.
 - პასუხი არაინ ვასცა.
 - შვიდობით, ზოსიმე! — დაიყვირა მიტიაშ.
- ამ დროს ავტორმატებმა იგრძალეს და ექვსი წელი ორმოში ჩაყარდა. ფაშისტმა ჭარისკაცებმა ნიბებებს ხელი სტაცეს და ორმოს ავსებას შეუდგნენ“.

შეთხველის ცნობიერებაში ახლაც ყრულ იტრება ცოცხლად დამარბული ევსეის გმინვა. ამ დავეიწყარ სურათს მხატვრული სამართლის დიდ ძალას ანიჭებს მწერლის მიერ რემარტულ ჩარბოში ზუსტად ჩასმული ლაბიდარული დრამა: აქ, აადაც ევსეი დამარბეს, შიწა ინტრადა და ბელტები სედებოდნენ“. ამ ფრანს გამომსახველობითობას კიდევ უფრო აძლიერებს ორმოს თავზე ლიტენანტის ბარბაცია, გესლანნი ხიბობითი და შიშისმომგვრელი სიტყვები: „— არ ამირებს სიყვილის... აი, ხომ ხედავთ, სამართდანაც კი გვებრძვის“.

მართლაცდა, თავისებურად, ვანმამოვადებულნი ფერებით ნათლება საერთო კონტრესტში ეს ბოლო სამი სიტყვა: „სამართდანაც კი გვებრძვის“. აქ, ევსეის გმირული სულის იქმთ შესანიწნავედ მოჩანს მიველი გმირი რუსი ხალხის, შთელი სამშოთა ხალხის უძლეულობა და სიდიადე, სიმშობლის დასაცავად მათი ერთსულვანა დარაზმულობა და გაუტყებელი ნება.

ა. ლომიძე მტირე ფორმის მოთხრობებით შემოვიდა ჩვენს მწერლობაში და ბოლომდე დარჩა ამ ეანრის ერთველი და პატრიოტი. მისი ზოგიერთი მოთხრობა ხან ესკიზური ხასიათისაა („მონადირის ნამშობი“), ხან ნოველში ვადადის („უყვადეი ნათელი“), ხან მინიატურული ჩანახატის იერს იღებს („ორმოკდაათი წელი“), მაგრამ, საერთოდ თითქმის უმეტესობისათვის, ცხოვრების სიმართლით გამოსახვისთან ერთად, ძირითადად მიიწე დამახასიათებელია ღრმა ლირიზმი, გრძნობის უშუალობა, ვანცლები სირწყელე და იდეურ-ემოციური ზემოქმედების ძალოვნება. წმინდა ლირიული და ფსიქოლოგიური ელემენტები ა. ლომიძის ნოველებსა და მოთხრობებში ზოგჯერ იმდენად ორგანულად და ბუნებრივად არის შეხვეებული თხრობის ეპიკურ მანერასთან, რომ ისინი, ერთი შეხედვით, გარყვეული პოეტური სიმღერის შთაბეჭდილებას ქმნიან მკითხველში.

„— ნათელა, შენი სურვილი ახდა, — ვეითხელობთ ნოველში „უყვადეი ნათელი“, — ახალმა ცხოვრებამ შეც დიდ სხაქვ დამაყენს, ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე ვამხატვნი, ბერდი, ჩემო ნათელა, და ისეც ვოცნებობ შენზე, ვეიქრობ და ვდაზრობ, რატომ არ ვახდინეში, შენ ხომ ჩემი სულის ცისფერი ნათელი იუაი. ისე ვანიყურებ და წავედი საყაიდმოფოდან — გულში არ ჩავახედუ, შორიდან გეტრფოდლი, ვეალერსებოდლი. არავისთვის მემეტრებოდლი, ამით ისარგებლა სხტომ და წამართვა შენი თავი.“

ნეტაც, ახლა სადა ხარ, ნათელა, სად არის შენი ყარგი, თბილი გული? მომწყურდები, უსაზღვროდ მომენატრები, იხვე ვახშობ და დავებებ, ჩემი სულის უყვადეი ნათელი...“

ვან ამ სტრიქონების მშვენიერებას ღრმადსიქოლოგიში არ ვანსახვარავს? ვანა აქ ადამიანის სულიერი თბილვა, გრძნობის სიწრწყელე და უშუალობა არ იგრძნობა? ვანა აქ ლირიული პროზა თავის გამართლებას არ პოულობს?

ამ მხრივ ა. ლომიძე თავისი შემოქმედებით ჩვენ გვეცდნება ლირიული პროზის გამოქვნილი ოსტატების შიშ არავისპირებისა და ჭოლა ლომთათიძის მიერ რევილუციამდელ ქართულ ლიტერატურაში დანერგული შესანიწნავი ტრადიციების ერთ-ერთი თავისებურ განმგრძლებულა, განსაყუთრებელი შემოქმედებით ნათესაობა იგრძნობა. ამ თვალსაზრისით, ჭოლა ლომთათიძისა და ა. ლომიძის ლირიული პროზის ცალკეულ ნიმუშებს შორის, მაგრამ ეს სპეციალური განმილივს საგანია და სცადლება ჩვენი რეცენზიის ფარგლებს, რომლის მიზანია მწერლის ნაწარმოებების ახლად გამოსულ კრებულზე რამდენადმე სრული წარმოდგენა მისცეს მკითხველს. ეს წარმოდგენა არ იქნებოდა ობიექტური, რომ აქვე არ აღგვენიშნა ზოგიერთი ნაელი, რომლის შესახებ აღრეც იყო გამოთქმული აზრი ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში. საქმე ეხება ცხოვრების ქრონიკალური ამბების მხატვრული განზოგიდების დონემდე ამაღლების საყაიხს. ზოგჯერ ა. ლომიძე ფაქტებისა და ამბების აღწერას ვერ ცილდება მის ზედაპირულ მხარეს და ამდენად ყოველთვის ვერ ახერბებს მისცეს მას გარყვეული მხატვრულ-ემოციური მნიშვნელობა. უმთავრესად ეს ითქმის მოთხრობებზე „ნადირიზა და ტყუილი“, „თოლია“ და სხვ.

მაგრამ მოთხრობების სარეცენზიო კრებულის, შთლანად აღებული, მწერლის ოსტატობის, მისი შემოქმედებითი წინსვლისა და აღმვლობის უტყუარი ნიშანია. სამართლიანად

წერდა გამოჩენილი რუსი მწერალი იერი ნავი-
ბინი: „საინტერესო ნოველისტის — ანდრო-
ლომიძის საწყვეარი თემები — ზღვა, ნაღი-
რობა, თევზობა, შობილური ქვეყნის ბუნება.

იგი წერს იმის შესახებ, რაც ღრმად და ყოველ-
მხრივ აქვს შესწავლილი. ამიტომ მისი მოთხ-
რობების წიგნი ბევრ ახალ მწეყვებს შეეძინა-
ხველს აღმზანებსა და ბუნებაზე.

აააი თოფური.

ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონი

ოთხი წლის წინათ დასრულდა „ქართული
ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რედაქცი-
ული გამოცემა, რაც ღირსშესანიშნავი მოკ-
ლენა იყო ჩვენი ხალხის კულტურის ისტო-
რიისში. ლექსიკონის გამოსვლამ ფართო გამო-
მავრება პოვა და ეს კაბიტალური ნაშრომი
ქართული ხალხის საუნჯეში შევიდა როგორც
უძვირფასესი განძი. ლექსიკონში გამოვლენ-
ული და ასახულია ქართული ენის ლექსიკო-
ნი შემადგენლობა, მოცემულია მისი გრამა-
ტიკული და სემანტიკური დახასიათება განმარ-
ტებებს ახლავს დოკუმენტაცია, რაც აადვილებს
სიტყვის მნიშვნელობის გაგებას.

ამ ლექსიკონის დანიშნულება სცილდება
სიტყვის განმარტების ამოცანას, მისი გამოყე-
ნების შესაძლებლობანი ფართო და მრავალ-
მხრივია.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის
საფუძველზე საქართველოს სსრ მეცნიერება-
თა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის
თანამშრომლებმა, ამავე ინსტიტუტის ზოგადი
ენათმეცნიერებისა და ლექსიკოლოგიის
განყოფილებაში თაოსნობით, შეადგინეს და
გამომცემლობა „მეცნიერება“ 1967 წლის მი-
წურულს გამოუშვა ქართული ენის ინვერსი-
ული ლექსიკონი.

ინვერსიულს (შებრუნებულს) უწოდებენ
ისეთ ლექსიკონს, რომელშიც სიტყვები დალა-
გებულია ანბანზე მათი ბოლოკიდური ასო-
ების მიხედვით, მაგალითად, ასე: ვინციკობა...
ბა, ნაბა, დაბა... ბავა, ჯავლაგა... და, ლაბა-
და, ნაბადა... აბოვა, იღვა... ეა, ავა, გავა, დო-
ვა და ა. შ. ასეთი დალაგება წარმოაჩენს ქარ-
თული სიტყვების მნიშვნელოვან ბეჭდობას და
გრამატიკულ თავისებურებებს.

ქართული ენის ასეთი ლექსიკონი დღემდე
არ გვექონია.

რა ღირებულება აქვს ინვერსიულ ლექსი-
კონს?

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მისი
მეცნიერული მნიშვნელობა. ვერ ერთი, იგი
ადვილებს ტექსტზე ფილოლოგიურ მუშაობას
(მაგალითად, დავუბმარება ზელნაწერთა და-

ნიანებელი ადგილების აღდგენაში...), რაც
ლექსიკონში სიტყვათა ერთგვარი დაბოლოება-
ნი ერთად არის თავმოყრილი, ზელსაყრელი
პირობები იქნება მათი ანალიზისათვის, მით-
უმეტეს, სუფიქსულია ქართულ სიტყვაწარმო-
ებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ლექსი-
კონის შემუშავებით ადვილდება დადაგვირით
ამა თუ იმ სუფიქსის გავრცელებულობა ანუ
მისი ზმარების სიზოილე, მაგალითად, ლექსი-
კონში შეტანილია ისტ ბოლოკიდურიანი
260-ზე მეტი ფუძე, მაგრამ ამათვან ოთხიოდე
სიტყვაში (ვეიისტი, ქსტი, ყისტი, ხისტი...) არ
გამოყოფა იგი, როგორც სუფიქსი, ყველა-
სხვა შემთხვევაში კი უცხოური სიტყვათმწარ-
მოებელი სუფიქსია და მხოლოდ უცხოურ
სიტყვებთანვე გვხვდება, არც ერთი შემთხვევა
არ არის ქართულ ფუძეებთან ზმარებაში. სა-
ინტერესოა ქართული ენე სუფიქსის გავრცე-
ლებულობის საკითხიც. ინვერსიული ლექსიკო-
ნის მიხედვით ირყევა, რომ ამ სუფიქსით ნა-
წარმოებია სიტყვები: მორბედი (წინამორბე-
დი...), უბედი, კედედი, ვარსკვლავედი, კარვე-
დი, ყვესედი, ფრთედი, თვალედი, შრობლე-
დი, ფავილედი, წლედი (თწლედი, შეიწლედი,
ხეწლედი...), მოქმედი, განედი, თარო-
ედი, ჯრედი, ცალკარედი, კამარედი, ყურე-
დი, ფიცრედი, წრედი, უკრედი, თაღედი,
გრძედი, ფხედი, კუთხედი, ჩონჩხედი და სხვ.
— სულ 4 ათეულამდე სიტყვა.

ასევე შეგვიძლია ეს ლექსიკონი გამოვი-
ყენოთ პრეფიქსაციის ცალკეული საკითხების
შესასწავლადაც, სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორ-
მების შეპირისპირებით შესაძლებლობა იქ-
ნება დადაგვირით ძიებებისა და ზმნისწინე-
ბის მნიშვნელობანი და მათი ურთიერთობარ-
თება. მაგალითად, წვათა: აწვაეს, გაწვაეს,
დაწვაეს, გადაწვაეს, ჩაწვაეს, შეწვაეს, მოწ-
ვაეს, ამოწვაეს, გამოწვაეს, შემოწვაეს... არ ვა-
ვიანვლებუბა ვაგივით აგრეთვე ქცევის ფორმ-
თა წარმოებუბა შესაძლებლობანი (რომელი
ქცევის ფორმის წარმოება შეუძლია ზმნის და-
რობლისა — არა). ყველა ასეთი ფორმა ლექ-
სიკონში ერთად არის თავმოყრილი, ოღონდ
სიტყვათა შებრუნებული დალაგებით.

ქართული ლექსიკონის ფონეტიკურ-გრამატიკ-
ულ დახასიათებას ემსახურება ერთგვარდა-
ბოლოებიანი სიტყვათა რაოდენობის დანვა-

რამდენად, რომლის შედეგები წარმოდგენილია „შინაარსში“ (გვ. 1-16). ლექსიკონიდან შეიძლება გამოკრიბოთ ცნობები სიტყვათა ბოლოკლერი ასოების (ბგერების) ხმაურების სიხშირის შესახებაც. მაგალითად, ანთ ბოლოვდება 24691 ერთეული, ბანთ — 21537, განთ 528 ჯონთ — 5683 ერთეული და ა. შ. ყველაზე იშვიათად (სულ 25-ჯერ) სიტყვის დაბოლოებად გვხვდება მე. ასეთ ზუსტ ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენის სტატისტიკური ანალიზისათვის.

ინვერსიული ლექსიკონი დახმარებას გაუწევს ენის მასწავლებლებსაც, რადგან იგი საშუალებას იძლევა სწრაფად შევარჩიოთ საილუსტრაციო მასალა გრამატიკის საკითხების სწავლებისას. მაგალითად, **-ოსან** სუფიქსის სწავლებისას მასწავლებელს ლექსიკონის 369-ე გვერდზე შეუძლია მონახოს ამ სუფიქსით ნაწარმოები ყველა სიტყვა: თაოსანი, ნაოსანი, ტყაოსანი, შაოსანი, ჩიქლიბოსანი, ჭობოსანი, შუბოსანი, ნიღბოსანი, ნიჩბოსანი, ქარმაგოსანი, დაზგოსანი, თანრიგოსანი, ბარგოსანი, კარგოსანი, ზელარგოსანი, ფრიადოსანი, ჯადოსანი, ნაბდოსანი და ა. შ. — 100-ზე მეტი სიტყვა, მათ შორის იშვიათად ხმარებული სიტყვები, როგორცია ხმოსანი, ნინოსანი, ქმაროსანი, ჯილოსანი და ა. შ. ამის შემდეგ საილუსტრაციო მასალის მონახვა ძნელი არ არის ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. მასწავლებელს შეუძლია **-ოსან** სუფიქსიან სიტყვებს შეუპირისპიროს ისეთი სიტყვები, რომლებსაც **ოსან** დაბოლოება აქვთ, მაგრამ იქ ეს **ოსან** სუფიქსი კი არ არის, არა-

მედ ძირისეულია (მგოსანი, კრიალოსანი, სოსანი...).

ამ ტიპის ლექსიკონს სიტყვის მნიშვნელობის განმარტება არ მოეთხოვება იგი მხოლოდ ინდექსია, სიაა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოთავსებული სალექსიკონო ერთეულებისა. გზადია, ბევრ შემთხვევაში, ზოლო ზოგჯერ აუცილებლად, საჭიროა ეს ლექსიკონი გამოვიყენოთ განმარტებით ლექსიკონებთან ერთად. მაგალითად, თუ გვინდა შევამოწმოთ რომელიმე სიტყვის რეალური არსებობა ან დეფინსტოთ, რამდენად სწორად გვერძის მისი მნიშვნელობა, აუცილებელია განმარტებით ლექსიკონში ჩვენთვის საინტერესო სიტყვის მონახვა და ამომწურავ ცნობებს იქ ვიპოვიოთ.

ინვერსიული ლექსიკონი ერთგვარ დახმარებას გაუწევს ქართული რათმის საკითხებით დაინტერესებულ პირთაც.

წინასიტყვაობაში, რომლის ავტორია ბიძინა ფოჩხუა, გაშუქებულია ამ სახის ლექსიკონთა დანიშნულება, ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონის შედგენის პრინციპები, აგებულია და გამოყენების წესები.

ლექსიკონი შედგენილია ბ. ფოჩხუას ხელმძღვანელობით. რედაქტორები არიან ბ. ფოჩხუა და მ. ჭაბაშვილი.

ინვერსიული ლექსიკონის გამოსვლა ერთხელ კიდევ ნათელიყოფს, თუ რა სახის დიდმნიშვნელოვანი სამუშაოები შეიძლება შესრულდეს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის ბაზაზე.

ბ. შალაშხერიძე

3060 80 432

ИНДЕКС
76128

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»